



HAT

აუდიტის სახელმძღვანელო

ვერსია: აპრილი, 2018

(განკუთვნილია 2016 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდგომ დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდებისთვის)



HAT

აუდიტის სახელმძღვანელო

ადაპტირებული და გამოცემულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტიდან მიღებული ლიცენზიის საფუძველზე, ლონდონი, ინგლისი. © იუნზი 2018

წინასიტყვაობა

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტსა (ლიცენზიარი) და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ლიცენზიანტი) შორის 2018 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქართულ ენაზე ითარგმნა აუდიტის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიებისათვის.

საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ბრიტანული აუდიტის მეთოდოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნა განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. აგრეთვე მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრისა (CFRR) და ქართული აუდიტორული კომპანიების მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოს გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ხარისხის გაუმჯობესებას.

ზაფის სახელით, გვინდა მადლობა გადავუხადოთ მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე მომზადებაში (თარგმნა, ექსპერტიზა, რედაქტირება, დაკაბადონება, ადმინისტრირება) მონაწილე ყველა პირს, განსაკუთრებით ბატონ ლევან პაპიაშვილს თარგმნისა და ექსპერტიზის სამუშაოებისათვის და ბატონ რევაზ ძამამიას, საქმიანი და კრიტიკული შენიშვნებისათვის.

გაწეული რთული და ხანგრძლივი შრომის მიუხედავად, თარგმნილი მასალის სპეციფიკისა და მოცულობის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო დაზღვეული ვერ იქნება ტერმინოლოგიური ან/და სხვა ხარვეზებისაგან. ასეთი ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელი იქნება პრაქტიკაში გამოყენების დროს აუდიტორთა შენიშვნებისა და მოსაზრებების ზაფისათვის მოწოდებით, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

ზაფი მადლობას მოახსენებს აუდიტორული კომპანიების პარტნიორებს, რომლებმაც შემოწირულობა გაიღეს აუდიტის მეთოდოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნისა და ექსპერტიზის სამუშაოებისათვის. ეს კომპანიებია: შპს გრანთ თორნთონ; შპს ნექსია თიეი; შპს ბაკაშვილი და კომპანია; შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი; შპს კრესტონ პაპიაშვილი; შპს ალექსანდრე; შპს ცოდნისა; შპს მორისონ ჯორჯია; შპს პრესტიჟ აუდიტი; შპს არბიტრანსი; შპს ინტელექტ აუდიტი; შპს ჟორჯიან აუდიტი.

ლაერენტი ჭუმბურიძე

ზაფის აღმასრულებელი დირექტორი

სარჩევი

თავი 1. დაგეგმვა და კონტროლი.....	1
თავი 2. დეტალიზებული ძირითადი და კონტროლის პროცედურები.....	182
თავი 3. მიმოხილვა და დასრულება.....	308

თავი 1

დაგეგმვა და კონტროლი

1. შესავალი

აუდიტი არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი პირის მიერ შესწავლა (განხილვა) და მასზე მოსაზრების გამოხატვა. აუდიტორი დგას იმ რისკის წინაშე, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოთქმული მისი მოსაზრება არასწორი აღმოჩნდეს.

აუდიტი მოიცავს შემდეგ სამ განსხვავებულ ეტაპს:

- დაგეგმვა (მოცემულია HAT აუდიტის სახელმძღვანელოს 1-ელ თავში);
- ადგილზე შესასრულებელი სამუშაოები (საველე სამუშაოები) (მოცემულია HAT აუდიტის სახელმძღვანელოს მე-2 თავში)
- მიმოხილვა (მოცემულია HAT აუდიტის სახელმძღვანელოს მე-3 თავში)

დაგეგმვის ეტაპი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და თუ ის შესაბამისად შესრულდება, ადგილზე შესასრულებელი (საველე) სამუშაოების მინიმალური დანახარჯებით ჩატარებას უზრუნველყოფს, მაღალი რისკის შემცველ სეგმენტზე ჯეროვანი ყურადღების გამახვილების პირობებში.

არსებობს აუდიტის დაგეგმვის რამდენიმე ფუნდამენტური ასპექტი, რომლებიც განხილულია HAT აუდიტის სახელმძღვანელოში. წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა მოიცავს შინაარსობრივ/კონკრეტულ გარემოებებზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც უნდა განხორციელდეს HAT აუდიტის სახელმძღვანელოს დახმარებით ეფექტური აუდიტის გეგმის შესამუშავებლად. ასს-ის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრობის დაცვა.

1. აუდიტორის დანიშვნა პირველად და განმეორებით და დავალების მიცემა

გარიგებაში შესვლისას, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკოსი აუდიტორის დამოუკიდებლობას და სათანადო გამოცდილებას.

პრაქტიკოსი აუდიტორი გარიგებაში შედის აუდიტის დამკვეთთან (გარიგების წერილის გაფორმების გზით) იმისათვის, რომ გარიგება შეასრულოს.

2. დამკვეთის შესწავლა

განიხილება წინა აუდიტებისა და აუდიტორების ინფორმაცია (სადაც ეს შესაძლებელია, იხ. ამ თავის ნაწილი 22) აუდიტის მუდმივ ფაილებში დაცული ინფორმაციის ჩათვლით. წამოჭრილი საკითხები, ბოლო პერიოდიდან მოყოლებული (მათ შორის, აუდიტის ფაილის დათვალიერებისას გამოვლენილი მიგნებები), ბოლო წლის ფინანსური ანგარიშგება და კომპანიის ხელმძღვანელობისადმი აუდიტორის ბოლო პერიოდის წერილი. რათა ყველა ადრინდელი პრობლემა მხედველობაში ადრეულ ეტაპზევე იქნეს მიღებული და გეგმა თითოეულ ასეთ საკითხზე სათანადო ყურადღების გამახვილების პირობებში შემუშავდეს. ამ პერიოდში უნდა შეიქმნას ან განახლდეს დამკვეთის შესახებ ძირითადი/პერმანენტული ინფორმაცია, რაც წლიდან წლამდე სხვა აუდიტორული გარიგებებისთვისაც აქტუალური დარჩება.

3. წინასწარი პროცედურები

დამკვეთთან განხილვები იმისათვის იმართება, რომ გამოვლენილ იქნეს საანგარიშგებო პერიოდის ის პრობლემები და სარისკო სფეროები, რომლებიც დამკვეთის მიერ იქნა იდენტიფიცირებული.

ამ ეტაპზე ასევე მიმოიხილება წინასწარი შედეგები, რათა ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების შესრულებისას, უზრუნველყოფილ იქნეს ყურადღების გამახვილება მაღალი რისკის შემცველ სფეროებზე.

იქ, სადაც შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ბიზნესპროცესების გავლისა და გამომოწმების ტესტები, ასევე, წარიმართოს მუშაობა ჟურნალებსა და განცალკევებულ, ჯერ დაუკლასიფიცირებულ ანგარიშებზე.

4. რისკების შეფასება და არსებითობის დადგენა

უნდა მოხდეს კლიენტის ბიზნესის რისკის სრულად შეფასება მთლიანობაში, იმ საკონტროლო გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც ის საქმიანობს. ასევე უნდა მოხდეს რისკების სრულად შეფასება მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყველა არსებითი მუხლისათვის. ამ სფეროებში რისკები უნდა შეფასდეს მტკიცებებების დონეზე. შემდეგ უნდა გამოითვალოს არსებითობის ზღვარი, რომელიც გამოყენებული იქნება ადგილზე შესასრულებელი სამუშაოებისას იმის გამოსავლენად, შეცდომამ ან გამოტოვებამ, რა მომენტში შეიძლება გახადოს ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი.

5. აუდიტის მიდგომის არჩევა და შერჩევის ბიჯის განსაზღვრა

უნდა განისაზღვროს აუდიტის ჩატარების მიდგომა, ე.ი. ძირითადი ტესტების, კონტროლის ტესტების, ანალიზური პროცედურებისა და ოპერაციების ტესტების რომელი ასპექტები იქნება გამოყენებული ადგილზე მუშაობის ეტაპზე. ამ დროს აუდიტის პროგრამები უნდა იქნეს დახვეწილი და მორგებული აუდიტის ობიექტზე, რათა დაერწმუნდეთ, რომ ჩატარებული ტესტები საწარმოს საქმიანობის შესაფერისია. როგორც კი ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია, გასატესტი გენერალური ერთობლიობის სტრუქტურის შესახებ, უნდა განისაზღვროს შერჩევის ზომა/ ბიჯი ისე, რომ შესაძლებელი იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობისა (საექვო, უჩვეულო, ან რაიმე პარამეტრის მიმართ მიდრეკილი) და ძირითადი ელემენტების გამოვლენა.

6. ინსტრუქტაჟი

სანამ დაიწყება ადგილზე მუშაობა, გუნდის ყველა წევრს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟისას განხილული უნდა იყოს მაღალი რისკის შემცველი როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური სფეროები, სადაც შეიძლება თაღლითობას ან დაკავშირებულ მხარეთა შორის გარიგებებს ჰქონდეს ადგილი.

7. დამკვეთთან ურთიერთობა

დაგეგმვის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს დაგეგმვის ეტაპის ძირითადი საკითხების დამკვეთთან განხილვა.

2. სამუშაო დოკუმენტების სტრუქტურა

სამუშაო დოკუმენტები გამოიყენება ჩატარებული სამუშაოების დეტალების, მოპოვებული ინფორმაციისა და მიღებული გადაწყვეტილების ჩასაწერად.

სამუშაო დოკუმენტებში ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს დეტალებთან ერთად ჩაიწერება ძირითადი ინფორმაცია, სისტემური შენიშვნები და ძირითადი სააღრიცხვო სისტემების შეფასება. სამუშაო დოკუმენტები იქმნება შემდეგი მიზნებისთვის:

- აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლის შესაქმნელად;
- ჩატარებული სამუშაოს შესახებ მტკიცებულების შესაქმნელად; ასევე
- ეფექტური დაგეგმვისათვის და შესასრულებელი სამუშაოს გასაკონტროლებლად.

სამუშაო დოკუმენტები ორი სახისაა: მუდმივი აუდიტორული ფაილი (PAF) და მიმდინარე აუდიტორული ფაილი (CAF).

2.1 მუდმივი ფაილი (HAT სისტემური დამყოფები)

ფაილის სტრუქტურას განაპირობებს „HAT სისტემური დამყოფის“ გამოყენება. თავ-ფურცელი წარმოადგენს საკონტროლო ცხრილს, რომელიც ადასტურებს, რომ ფაილის განხილვა და განახლება ყოველწლიურად ხდება.

ფაილის მომდევნო ნაწილი გაყოფილია ორად. პირველ ნაწილში ასახულია მუდმივი ინფორმაცია და:

- წარმოადგენს საწყის საცნობარო მასალას დამკვეთის საქმიანობის შესახებ აუდიტის გუნდისათვის. ასს 315, პარაგრაფი A24 – A48 მოითხოვს, რომ ეს ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული. საუკეთესო პრაქტიკაა, როდესაც შესაძლებელია დამკვეთის ვიზუალიზება;
- შეიცავს მუდმივ ინფორმაციას, რომელიც საჭირო იქნება ყოველი პერიოდის აუდიტის დროს. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს:
 - გარიგების წერილს;
 - ბანკიდან დასტურის წერილს;
 - ძირითად იურიდიულ დოკუმენტებს;
 - კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაციას (დოკუმენტაცია) და სხვა.
- სხვადასხვა პერიოდის მიმდინარე აუდიტორულ ფაილში (CAF) ინფორმაციის გამეორება არ უნდა ხდებოდეს.

მეორე ნაწილი წარმოადგენს სისტემურ ნაწილს. ის შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების მიმოხილვას, ასევე, ინფორმაციას, დამკვეთის მიერ განხორციელებული უფრო მაღალი დონის კონტროლების შესახებ და დეტალურ სისტემურ ჩანაწერებს დამკვეთის ძირითადი ოპერაციების ციკლებზე და მასთან დაკავშირებულ კონტროლებზე (ასს 315, პარაგრაფი A49 – A117). ბუღალტრული აღრიცხვისა და მისი დეტალიზაციის ხარისხი დიდწილად იქნება დამოკიდებული დამკვეთის სპეციფიკაზე, თუმცა, ის საკმარისად დეტალური უნდა იყოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს გამჭოლი ტესტების ჩატარება.

მუდმივი ფაილის მასალები განხილული და განახლებული უნდა იყოს მოთხოვნილი პერიოდულობით. ამ მიზნით მოცემულია მუდმივი ფაილის საკონტროლო კითხვარი (დანართი 1.6), რომელიც ყოველ წელს უნდა შეივსოს. შევსებული საკონტროლო კითხვარი უნდა ჩაიდოს მიმდინარე აუდიტის ფაილის Ac7 ნაწილში.

2.2 მიმდინარე აუდიტორული ფაილი (CAF)

მიმდინარე აუდიტორული ფაილი უნდა შეიცავდეს:

- მომზადებული/აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ვერსის ასლს;
- გამოსაცემი ფინანსური ანგარიშგების ასლს (განსხვავების არსებობის შემთხვევაში);
- აუდიტის საკონტროლო კითხვარების შევსებულ ნაწილს;
- გაწეული აუდიტის სამუშაოს შემაჯამებელი დოკუმენტების, გაკეთებული დასკვნებისა და განვითარებული მსჯელობების/მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილს;
- სააღრიცხვო ჩანაწერებთან და წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოტანილ დასკვნებს;
- აგრეთვე, აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეტალურ სამუშაო დოკუმენტებს, რომლებშიც განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები.

HAT-ის წლიური ფაილების სარჩევი/ინდექსაცია

HAT-ის წლიური ფაილების სარჩევი წარმოადგენს ერთგვარ ანბანურ საძიებელს იმ ასოთი და ციფრული სიმბოლოებით, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ნებისმიერი შესაბამისი სამუშაო ფაილისათვის/სექციისათვის. ყველა იურიდიული სუბიექტის აუდიტორულ ფაილში, გამოყენებული უნდა იქნას ინდექსაციის ზემოაღნიშნული სისტემა.

Aa-დან Ad-მდე დანაყოფები საკონტროლო სამუშაო დოკუმენტებია. Aa-ში მოცემულია მიმდინარე აუდიტორული ფაილი საბოლოო სახით და მისი მიმოხილვა, დანაყოფი Ab მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, დანაყოფი Ac ეთმობა დაგეგმვას, ხოლო Ad ინახავს ფინანსური ანგარიშგების მონახაზების ასლებს.

დანარჩენი სექციები მოიცავს აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის, საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშის, სხვა ძირითადი ანგარიშების, ასევე დამხმარე/განმარტებითი შენიშვნების ცალკეულ ელემენტებს განამტკიცებს. დანაყოფი N აღწერს რამდენიმე დამატებით სფეროს. სააღრიცხვო შეფასებების, თაღლითობისა და შეცდომის, საკანონმდებლო ბაზისა და რეგულაციების, ასევე, აუდიტის პროცესში მესამე მხარის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით.

განყოფილებები, რომლებიც არაა საჭირო მოცემული კომპანიის აუდიტის მიზნებისთვის, უნდა მოინიშნოს ჩანაწერით: „არ არის აქტუალური“ და ხელი მოეწეროს აუდიტში ჩართული პარტნიორის მიერ, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ეს საკითხი არ არის შემთხვევით გამოტოვებული და შესაბამის განხილვას დაექვემდებარა.

წლიური ფაილის სარჩევი შემუშავებულია ცალკეული დარგის კომპანიებისთვის. მათი გამოყენება შეიძლება სხვა დარგის კომპანიებისთვისაც, რომლებსაც ისინი მიესადაგებიან.

ბარათები ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტებისათვის (თავსართი)

(თავსართი) უნდა შეიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები ყოველი მონაცემისთვის და განთავსდეს თითოეული ნაწილის (B1, C1 და სხვა) დასაწყისში. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტებისათვის (მაგალითად მოთხოვნები, ვალდებულებები, ძირითადი საშუალებები და სხვა) შექმნილი ასეთი ბარათები, შესაძლოა

აჯამებდეს შედარებით ქვედა დონის ანგარიშების მონაცემებს, ან შესაძლოა თვითონ უკვე ქვედა დონის (ინდივიდუალური ელემენტებისათვის) შექნილ ბარათებს წარმოადგენდეს (მაგ., ისეთებისათვის, როგორებიც არის: გუდვილი, ნაშთი საბანკო ანგარიშზე, სააქციო კაპიტალი). ისინი ჯვარედინად უნდა იქნეს მონიშნული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან და ამავდროულად ადასტურებდნენ რომ შესაბამისი თანხები დადარებულ იქნა, წინა პერიოდის ოფიციალურად გამოცემული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტების თანხებზე.

თითოეულ თავსართში მოცემული უნდა იყოს:

- დამკვეთის დასახელება;
- სააღრიცხვო პერიოდი;
- საგანი/დასახელება (როგორც მოხსენიებულია ფინანსურ ანგარიშგებაში);
- ბარათის შემდგენელი პირის ინიციალები და თარიღი;
- ბარათის შემმოწმებელი პირის ინიციალები და თარიღი;
- მიმდინარე პერიოდის მონაცემები; და
- შესაბამისი თანხები.

ბარათი, თავის მხრივ, მხარდაჭერილი უნდა იყოს დეტალური დამხმარე უწყისით ბარათის ცალკეული ელემენტების დასადასტურებლად, თუ ისინი არსებითია. თითოეული დამხმარე ბარათი ჯვარედინად უნდა იყოს დაკავშირებული ძირითად ბარათთან და პირიქით. აუდიტის დასკვნის მხარდამჭერი/გამამყარებელი ყველა მასალა და ყველა მნიშვნელოვანი მსჯელობა სრულად უნდა იქნეს დადოკუმენტირებული.

აუდიტის პროგრამები

აუდიტის პროგრამები უშუალოდ უნდა მოჰყვებოდეს ბარათს ყველა დანაყოფში. აუდიტორული ფორმა/პაქტიკოსი შეიძლება იყენებდეს წინასწარ შემუშავებულ აუდიტის პროგრამებს. ამასთან, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია აუდიტის პროგრამების ზოგადი ნიმუშები მიმდინარე აუდიტორული ფაილის თითოეული განყოფილებისათვის.

აუდიტის მოცემული პროგრამები შეიცავს მხოლოდ ძირითად (საკვანძო) აუდიტორულ ტესტებს, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი სფეროსთვის და დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელია შეივსოს და გაფართოვდეს საჭიროებისამებრ. HAT აუდიტის პროგრამების შესრულებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

ეს პროგრამები შეიცავს შესასრულებელი სამუშაოების მხოლოდ მოკლე მიმოხილვას. ამ პროგრამების გამოყენებისას უნდა მომზადდეს უფრო დეტალური დამხმარე უწყისები, სადაც დოკუმენტირებული იქნება:

- ტესტების მიზნები;
- ტესტის ჩატარების მეთოდი (მათ შორის, შერჩევის მეთოდები და გამოყენებული ინფორმაციის წყაროები);
- ტესტის შედეგები (მათ შორის, ყველა შესაბამისი განმარტება, მაგალითად გამოყენებული ალგორითმის განმარტება); და
- ტესტების შედეგად გამოტანილი დასკვნა (მათ შორის, შეცდომებისა და გამონაკლისი შემთხვევების ინტერპრეტირება).

სამუშაო დოკუმენტები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამუშაო დოკუმენტაციის მოცულობა დამოკიდებულია გამოყენებულ აუდიტის პროგრამებზე, თუმცა, ყველა დამხმარე სამუშაო დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- დამკვეთის დასახელება;
- საანგარიშგებო პერიოდი;
- ფაილის უნიკალური იდენტიფიკატორი;
- თემა (შესწავლის საგანი)/დასახელება (მაგ., დებიტორული დავალიანებების გაუფასურების ტესტი);
- უწყისის შემდგენელი პირის ინიციალები და თარიღი; ასევე,
- უწყისის მიმომხილველი პირის ინიციალები და თარიღი.

დამკვეთის მიერ მომზადებული ცხრილები/უწყისები

დამკვეთის თანამშრომლები ხშირად ადგენენ მათთვის საჭირო ცხრილებს/უწყისებს, რომლების გამოყენებაც შესაძლებელია აუდიტის ფაილებში. ჩვეულებრივ, ამ უწყისების თავიდან შედგენის ნაცვლად, უმჯობესია მათი ასლის გადაღება.

ასევე, შესაძლებელია, დამკვეთის თანამშრომლებს ეთხოვოს აუდიტორის სახელით ზოგიერთი ცხრილის მომზადება. ასეთი სამუშაოების დამკვეთისათვის გადაბარება შეიძლება ახსნილი იყოს იმით, რომ მათი თანამშრომლების მიერ ზოგიერთი რუტინული სამუშაოს შესრულებით, შესაძლებელი იქნება მათ მიერ გარკვეული თანხის დაზოგვა. თუ ასეთი ცხრილების მომზადება გადამწყვეტია კონკრეტული თარიღისთვის აუდიტის დასასრულებლად, ამის შესახებ დამკვეთს უნდა ეცნობოს დაგეგმვის წერილში.

დამკვეთის მიერ მომზადებულ ყველა უწყისს, რომელიც ჩართული იქნება აუდიტის ფაილში, ამის შესახებ გაკეთებული უნდა ჰქონდეს ანოტაცია შემსრულებელი და შემმოწმებელი პირის ხელმოწერებით და თარიღებით.

შენახვა და კონფიდენციალურობა

ყოველთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციის უსაფრთხოდ შენახვა და მასალების მესამე მხარესთან გამჟღავნებისგან დაცვა. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია დამკვეთის თანამშრომლებისთვის სამუშაო დოკუმენტაციის ჩვენება, მაგალითად, თუ ისინი თანახმანი არიან, ახსნან და განმარტონ შემოწმებისას გამოვლენილი განსხვავებები, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამჟღავნდეს მასზე წვდომაშეზღუდულ თანამშრომელთან.

3. აუდიტორად დანიშვნა პირველად და განმეორებით

IESBA ეთიკის კოდექსი აუდიტორისაგან მოითხოვს განსჯის ქონას აუდიტორულ გარიგებაზე პირველად, ასევე შემდგომ პერიოდში, ხელახლა დანიშვნაზე დათანხმებისას.

გარიგების შესრულების პროცესში დეტალური განხილვების მოწყობა სავალდებულოა შემდეგ სამ ეტაპზე (ასს 220, პარაგრაფი 9 – 11):

- თავდაპირველად დათანხმებამდე და ყოველ წელს ახალი აუდიტის დაწყებამდე, საკუთარი გადაწყვეტილების გასამყარებლად, აუდიტზე პასუხისმგებელმა პირმა (A.E.P.) უნდა შეავსოს აუდიტორისათვის განკუთვნილი საკონტროლო კითხვარი და არამარწმუნებელი მომსახურების საკონტროლო კითხვარი;
- აუდიტორულ მოსაზრებაზე ხელის მოწერამდე აუდიტზე პასუხისმგებელმა პირმა (A.E.P.) უნდა განიხილოს, ხომ არაფერი შეცვლილა გარიგებაზე მუშაობის პერიოდში, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მის უფლებაზე, ხელი მოაწეროს აუდიტორის დასკვნას იმ პრაქტიკოსის სახელით, რომელიც განსაზღვრულია აუდიტის კონტროლის ჩანაწერებით; ასევე
- შემდგომ წელს ხელახალ დანიშვნაზე თანხმობის მიცემამდე, აღნიშნული ასევე განსაზღვრულია აუდიტის კონტროლის ჩანაწერებით.

გარდა ეთიკური საკითხებისა, აუდიტზე პასუხისმგებელ პირს ასს-ის მოთხოვნის, წინდახედულობის, ან კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება სურდეს, გაითვალისწინოს დამატებითი ფაქტორები, სანამ გარიგებაზე (განმეორებით) დათანხმებას გადაწყვეტს.

ასეთი დამატებითი ფაქტორები შეიძლება იყოს:

- ბოლოდროინდელი ან სამომავლო ცვლილებები მფლობელთა რიგებში;
- მფლობელების კეთილსინდისიერება;
- მათ შორის რა დანიშნულებით იქნება გამოყენებული ფინანსური ანგარიშგება;
- რამდენად ხშირად იცვლიდა დამკვეთი აუდიტორებს ან კონსულტანტებს წარსულში;
- წარსულში დამკვეთის მონაწილეობა სამოქალაქო სასამართლო პროცესებში;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შესაძლო პრობლემები;
- არაადეკვატური/საეჭვო სააღრიცხვო პოლიტიკა ან შეფასების მეთოდები, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშირდება ფუნდამენტურ საკითხებს ან აუდიტის მიზნებისათვის კვალიფიკაციის გადახედვის საფუძველს ქმნის;
- ვალდებულებების დაგვიანებით განაღდება;
- შეზღუდვა გარიგების შესრულებისათვის საჭირო დროში ან აუდიტის საკომპენსაციო თანხის ოდენობაში; ასევე,
- ეჭვები გარიგებიდან გამოსვლის (ხელშეკრულების შეწყვეტის) აუცილებლობის დადგომასთან დაკავშირებით.

თუ დავალებაზე დათანხმების ან შესრულების დაწყების შემდეგ თავი იჩინა ისეთმა ფაქტორებმა, რომელთა საწყის ეტაპზე ცოდნის შემთხვევაში აუდიტორი უარს იტყოდა გარიგებაში შესვლაზე, მან უნდა გააკეთოს არჩევანი, დაასრულოს მიმდინარე აუდიტი, თუ დაუყოვნებლივ გამოვიდეს გარიგებიდან (ასს 220, პარაგრაფი 13). ეს გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება შესაბამისი ფაქტორის თავისებურებასა და იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს ეს კომპანიის აქციონერებზე. შესაძლოა, გარკვეულ სიტუაციაში, უკეთესი იყოს აუდიტის გაგრძელება და შესაბამისი ფაქტორების/გარემოებების შესახებ ინფორმირება აუდიტორის დასკვნაში.

4. გარიგების პირობების განსაზღვრა

ყველა დამკვეთისთვის უნდა მომზადდეს გარიგების წერილი, რომელიც განსაზღვრავს გარიგების პირობებს. აუდიტორული გარიგების წერილის ძირითადი დანიშნულებაა:

- აუდიტორულ გარიგებაზე თანხმობის დადასტურება (ასს 210, პარაგრაფი 9);
- აუდიტის მასშტაბის განსაზღვრა. აქ უნდა გაცხადდეს, რომ აუდიტი არ ჩატარდება დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ყველა ნაკლოვანების გამოსავლენად (თუმცა, აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილი სისუსტეები ანგარიშში მოხსენიებული იქნება). მართალია, აუდიტი დაგეგმილია არსებითი „უზუსტობის“ გამოვლენის გონივრული მოლოდინის გათვალისწინებით, მაგრამ აუდიტს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, ყველა შესაძლო უზუსტობის გამოვლენაზე (ასს 210, პარაგრაფი 10 (ა));
- დირექტორებისა და აუდიტორების პასუხისმგებლობების განსაზღვრა (ასს 210, პარაგრაფი 10(ბ) – (გ));
- დირექტორების გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ აუდიტორების შეცდომაში შეყვანა დანაშაულია;
- დირექტორების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რისი მიწოდება შეიძლება ეთხოვოს მათ (განმარტების წერილობითი დადასტურება, დოკუმენტების წარდგენა, საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების დეტალები;
- სხვა ანგარიშების ჩამოთვლა, რომლებიც შეიძლება მომზადდეს (მაგ., აუდიტორის წერილი კომპანიის ხელმძღვანელობისადმი). თუ სხვა ანგარიშები განკუთვნილია გასაგზავნად, გარიგების წერილში ნახსენები უნდა იყოს მათი კონფიდენციალურობის შესახებ და ყველა თანმდევი პირობის შესახებ, შესაბამის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს ამ ანგარიშების მესამე მხარისთვის გადაცემის დეტალური პირობები;
- ფირმის მიერ გასაწევი სხვა შესაძლო მომსახურებების დეტალური აღწერა. შეიძლება უკეთესი იყოს, რომ მათი აღწერა მოხდეს გარიგების წერილის ცალკეულ დანართში. იმ შემთხვევაში, თუ ფირმა დამკვეთს ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, ზუსტად უნდა იყოს აღწერილი ფირმის მონაწილეობის მასშტაბი და ხარისხი ამ პროცესში. დამატებითი მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი იყენებს „ინფორმირებულ მენეჯმენტს“ და მათი განხორციელება ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობითა და პროფესიული მოთხოვნებით.
- დამკვეთსა და აუდიტორულ ფირმას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მოკლე მიმოხილვა;
- ჰონორარისა და მომსახურების ანაზღაურების სქემის დეტალური აღწერა;
- დამკვეთისთვის საჩივრის წარდგენის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- იგი, ასევე, მოიცავს ისეთ კომერციულ საკითხებს, როგორცაა ელექტრონული კომუნიკაციის რისკი, დამკვეთის დოკუმენტაციის შენახვასთან დაკავშირებულ დეტალები, რისკის მინიმიზებისთვის შექმნილი განყოფილება და გარიგებიდან გამოსვლის პროცედურის დეტალური აღწერა.

დამკვეთმა ხელი უნდა მოაწეროს გარიგების წერილის ასლს, რათა დაადასტუროს, რომ ეთანხმება მის პირობებს.

გარიგების წერილები მიმოხილული უნდა იყოს თითოეული პერიოდისათვის. (ასს 210, პარაგრაფი 13/ასს 300, პარაგრაფი 6(გ)). შეიძლება საჭირო გახდეს ახალი წერილის შედგენა, თუ ცვლილებები მოხდა დამკვეთის საქმიანობაში ან ხელმძღვანელობის სტრუქტურაში, ან ცვლილებები შევიდა, საკანონმდებლო ან პროფესიულ მოთხოვნებში. ახალი წერილი შეიძლება საჭირო გახდეს, თუ დამკვეთს არასწორად ესმის აუდიტის მასშტაბი და მიზნები. მიღებულ უნდა იქნეს გარიგების ახალი წერილი, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ დავალების მასშტაბი შეიცვალა. (შენიშვნა: თუ გარიგების წერილი შედგენილია სამ წელზე მეტი ხნით, ყურადღებით უნდა გადაიხედოს იმის დასადგენად, ჯერ კიდევ შესაბამისია თუ არა გარიგების წერილში მოყვანილი შეთანხმების პირობები). თუ გარიგების პირობებზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, აუდიტორი უნდა გავიდეს გარიგებიდან (ასს 210, პარაგრაფი 17).

გარიგების წერილის ფორმულირების ნიმუში მოცემულია დანართში 1.1. აქ წარმოდგენილია აუდიტორული გარიგების დეტალები, რომლისთვისაც მოითხოვება ცალკე თანმხლები წერილი (პროფორმა დოკუმენტები/დანართი 1.1). გარიგების წერილის მოცულობის შესამცირებლად, HAT იძლევა რეკომენდაციას, „სამართლებრივი საკითხების“ პარაგრაფები ჩართულ იქნეს ცალკე განყოფილებაში სახელად „თანამშრომლობის პირობები“, რომელიც მოცემულია პროფორმა დოკუმენტებში / დანართი 1.2. თუმცა, ეს სავალდებულო მოთხოვნა არ არის და შეიძლება აუდიტორმა გადაწყვიტოს, გააერთიანოს თანმხლები წერილი, თანამშრომლობის პირობები და აუდიტის დანიშვნის ფორმულირება ერთ საერთო გარიგების წერილში.

5. დაგეგმვის დაწყება

დაგეგმვა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც იწყება დამკვეთის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე.

1.2 დანართში მოცემულია აუდიტის ფაილის მოწყობის საკონტროლო ფურცელი, რომელიც დაგეგმვის ეტაპზე აუდიტის ფაილის სწორად შედგენას უზრუნველყოფს.

პერიოდის დასრულებამდე, როგორც წესი - ერთი თვით ადრე შესასრულებელი სამუშაოებია:

- „აუდიტორის საკონტროლო კითხვარის“ შევსება (მათ შორის, დამკვეთისთვის რაიმე არამარწმუნებელი მომსახურების გაწევის განხილვა);
- ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა;
- წინა პერიოდში წამოჭრილი (პერიოდიდან გადმოტანილი) საკითხების მიმოხილვა (მათ შორის, აუდიტის წერილი კომპანიის ხელმძღვანელობისადმი და აუდიტის ფაილის მიმოხილვის შედეგები - იქ, სადაც ეს შესაფერისია);
- შედეგები, თუ შეესაბამება;
- ბანკის დადასტურების მოთხოვნის წერილ(ებ)ის და მესამე მხარისთვის სხვა დადასტურების წერილების გაგზავნა;
- მის დადგენა, არის თუ არა მარაგების ოდენობა არსებითი და შესაბამის შემთხვევაში გარიგების გუნდის წევრ(ებ)ის, მარაგების აღწერაზე დასწრების უზრუნველყოფა (ასს 501, პარაგრაფი 4);

- იმის დადგენა, იყენებს თუ არა დამკვეთი მომსახურე ორგანიზაციას და ხომ არ მოხდა, ასეთი მომსახურე ორგანიზაციის ცვლილება (ასს 402, პარაგრაფი 9 – 14);
- განსაზღვრა, იქნება თუ არა გამოყენებული ნდობით აღჭურვილი ექსპერტი (ასს 620, პარაგრაფი 7);
- შესყიდვებისა და გაყიდვების აღრიცხვის წიგნების მიმოხილვა და გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ცირკულაციის პროცედურის ჩატარება;
- სააღრიცხვო შეფასებების მიმოხილვა, უნდა შეივსოს დანართი 1.7;
- იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა დაესწროს დაგეგმვის წინა მოსამზადებელ საკითხებზე შეხვედრას და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ასეთი შეხვედრის ჩატარებას;
- პერმანენტური/მუდმივი ფაილის განახლება, ბიზნესის/აუდიტის ობიექტის შესახებ ინფორმაციის განახლების ჩათვლით;
- დამკვეთის ვებგვერდის მიმოხილვა;
- ინფორმაციის მოძიება დამკვეთზე, პრესასა და შესაბამისი დარგის სპეციალიზებულ პუბლიკაციებში; და
- ამ პერიოდის განმავლობაში დამკვეთის შესახებ გამართული გადაწყვეტილებების შეჯამება.

თუ დამკვეთი არის მშობელი საწარმო, რომელსაც ევალება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ხოლო ჯგუფის ნაწილს („კომპონენტს“) აუდიტს სხვა აუდიტორები უტარებენ, სამუშაოს შესრულების ამ ეტაპზე, ჯგუფის ამ წევრებთან („კომპონენტებთან“) მიმართებაში სხვა საკითხებიც იქნება განსახილველი.

6. დაგეგმვის წინა (მოსამზადებელი საკითხები) სტადია

დაგეგმვის მთლიანი დოკუმენტაციის შევსებამდე საჭიროა ჩატარდეს ზოგიერთი მოსამზადებელი პროცედურა. ამ პროცედურების მიზანია, აუდიტორმა უკეთ გაიაზროს დამკვეთის საქმიანობა.

ზოგიერთი დამკვეთის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ხშირი უშუალო კავშირი წლის განმავლობაში, სხვებთან კი, სიდიდიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეიძლება მართებული იყოს ვიზიტის განხორციელება, ან სატელეფონო საუბარი. HAT აუდიტის სახელმძღვანელოში მოცემულია შაბლონური დოკუმენტები დაგეგმვის წინა მოსამზადებელ სამუშაოებში დამკვეთის ჩართულობის აღსაწერად. დანართში 1.9. მოცემული ფორმა მოიცავს სავალდებულოდ განსახილველი საკითხების ჩამონათვალს.

ბიზნესრისკებთან მიმართებაში, დამკვეთის ხედვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხელს შეუწყობს დაგეგმვის ეტაპზე რისკის სწორ შეფასებას (ასს 315, პარაგრაფი 15). ბიზნესრისკი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „საფრთხე, რომლის დროსაც, რაიმე მოვლენა ან ქმედება უარყოფით გავლენას იქონიებს საწარმოს ბიზნესის უნარზე, მიაღწიოს მის წინაშე დასახულ მიზნებს“ (ბიზნესრისკის დეტალური აღწერისთვის იხ. ამ თავის ნაწილი 9.1).

7. წინასწარი ანალიზური პროცედურები

ასს 520 „ანალიზური პროცედურები“ (პარაგრაფი 5) მოითხოვს ანალიზური პროცედურების გამოყენებას ყველა აუდიტის მიმართ. ამის ძირითადი მიზნებია:

- საწარმოს საქმიანობის შესწავლისთვის ხელის შეწყობა, მაგალითად შემოსავლის ახალი წყაროების იდენტიფიცირება;
- პოტენციური აუდიტორული რისკის სფეროების დადგენა (ამიტომ რისკის შეფასებამდე საჭიროა წინასწარი ანალიზური პროცედურების ჩატარება) მათ შორის, თაღლითობის პოტენციური მაჩვენებლებისა (ასს 315, პარაგრაფი 6(ბ)); და
- სხვა აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და ხარისხის დაგეგმვის პროცესისთვის ხელის შეწყობა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ მოლოდინის ჩამოყალიბება ხდება დამკვეთთან თავდაპირველი გასაუბრებისას და ნებისმიერი სახის გადახრა, რომელიც აღემატება წინასწარდადგენილი „დაშვების“ ზღვარს, მოწმდება ან ექვემდებარება რისკის შეფასებასა და აუდიტორულ მიდგომას (ასს 520, პარაგრაფი 5(გ)).

დამკვეთის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და მისი მდგომარეობის დადგენა აღნიშნული პერიოდის დასასრულს შესაძლებელია შემდეგი დოკუმენტებიდან: ფინანსური ანგარიშგება, საცდელი ბალანსი, მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები, ბიუჯეტი, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ბიზნესგეგმები.

თუმცა, ზოგიერთი შედარებით მცირე დამკვეთისთვის შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი წინასწარი მონაცემები ან სხვა შიდა ფინანსური ინფორმაცია დაგეგმვის ეტაპზე. ამგვარ სიტუაციაში, პირველ რიგში, გამოყენებულ უნდა იქნეს ინფორმაციის სხვა წყაროები თავდაპირველი შეფასების შესაქმენლად, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს ნარატივს. ასეთი დამკვეთებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

- წინა წლის ფინანსური ანგარიშგება;
- არაფინანსური მონაცემები (თანამშრომლების რაოდენობა, ახალი ძირითადი საშუალებები და ა.შ.);
- პარტნიორთა/დამფუძნებელთა კრების ოქმები;
- საბანკო და ფულადი ჩანაწერები;
- საგადასახადო დეკლარაციები;
- სახელფასო ჩანაწერები;
- მოლაპარაკებები/კომუნიკაცია დამკვეთთან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; და
- მოლაპარაკებები დამკვეთთან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს (განსაკუთრებით მოგების, ფულადი დონის, დებიტორული დავალიანებისა და მარაგების შესახებ).

წინასწარ მონაცემებზე წვდომის მიღებისთანავე საჭიროა წინასწარი ანალიზური პროცედურების გადახედვა და ძირითადი მონაცემებისა და ბიზნესკოეფიციენტების გადათვლა. აღნიშნული გამოთვლების განხილვა უნდა მოხდეს იმის გამოსავლენად, შეესაბამება თუ არა ისინი წინა გამოცდილებასა და ცოდნას, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებული განვითარების გათვალისწინებით (ასს 520, პარაგრაფი 5(ბ)). განსხვავებებს

ისეთ სფეროებში, რომლებსაც აღმოჩნდათ პრობლემები ან ხარვეზები წარსულში, ენიჭებათ განსაკუთრებული ყურადღება.

გარდა ამისა, დარგობრივი ინფორმაცია ხელს უწყობს დამკვეთის საქმიანობის დონისა და წმინდა აქტივების პროგნოზირებას. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინტერნეტიდანაც, მაგრამ აუცილებელია ინფორმაციის საიმედოობაში დარწმუნება. სამთავრობო ან სხვა ორგანოები შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდეს ინფორმაციის სასარგებლო წყაროს. დარგის მიმდინარე მდგომარეობის ზოგადი ცოდნა, განსაკუთრებით ცვლილება მოთხოვნაში, აგრეთვე მნიშვნელოვანია.

ანალიზური პროცედურები დაგეგმვის ეტაპზე უნდა ჩაატარონ მენეჯერებმა ან უფროსმა აუდიტორებმა, რადგან მათ, როგორც წესი, აქვთ დეტალური წინასწარი ცოდნა დამკვეთის შესახებ.

დაგეგმვის ეტაპზე შესრულებული ანალიზური პროცედურები უნდა ჩაიწეროს დანართში Ac9 (დანართი 1.10).

ანალიზური პროცედურების შესახებ დამატებითი მითითებები (ტექნიკა და საგამოძიებო ფლუქტუაციები) მოცემულია მე-2 და მე-3 თავებში.

8. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები

დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და შიდა კონტროლის საშუალებების განხილვისას (ასს 315, პარაგრაფი 18) საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

- დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის (მათ შორის, კონტროლის) სისტემების დადგენა;
- სისტემების სრული მოცულობით მუდმივ აუდიტორულ ფაილში დოკუმენტირება;
- დადასტურება, რომ სისტემები (მათ შორის, კონტროლის სისტემები) მუშაობენ ისე, როგორც დოკუმენტირებულია (თითოეული მატერიალური ტრანზაქციის ციკლზე გამჭოლი ტესტების ჩატარების გზით);
- დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები დამკვეთის გარემოებებს სისტემების საკონტროლო კითხვარისა და მუდმივ აუდიტორულ ფაილზე არსებული კომპიუტერული სისტემის საკონტროლო კითხვარის გადახედვის მეშვეობით, აგრეთვე აუდიტორული კონტროლის ჩანაწერებში შესაბამის კითხვაზე პასუხის გაცემით; და
- დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების შესახებ ცოდნის გამოყენება რისკის შეფასებისა და აუდიტორული მიდგომის დადგენისთვის ხელის შესაწყობად.

8.1 დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების დადგენა

სისტემების დადგენისთვის გამოიყენება ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

- წინა აუდიტორების სამუშაო დოკუმენტები;
- დამკვეთის შიდა პროცედურების ინსტრუქცია;
- დისკუსიები დამკვეთის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან საანგარიშგებო წლის განმავლობაში და წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე;

- შესაბამისი დოკუმენტაცია;
- ოპერაციებზე დაკვირვება; და
- დამკვეთის სისტემის შესახებ არსებული ცოდნა.

8.2 ბუღალტრული სისტემების დოკუმენტირება

ბუღალტრული სისტემების დოკუმენტირების პროცესი მოიცავს:

- საერთო აღწერას; და
- შენიშვნებს, რომლებშიც დეტალურად აღწერილია მატერიალური ბუღალტრული აღრიცხვის პროცესი საერთო ბუღალტრული სისტემის ფარგლებში (მათ შორის, კონტროლის საშუალებებს).

სისტემების მიმოხილვის საკონტროლო კითხვარი (ჩეკლისტი)

პირველ რიგში საჭიროა სისტემების მიმოხილვის საკონტროლო კითხვარის შევსება (იხ. დანართი 1.8.1). აღნიშნული იძლევა იმის ზოგად ხედვას, თუ ბუღალტრული აღრიცხვის რომელი ჩანაწერები მუშავდება ინტერგრირებული ნომინალური ბუღალტრული წიგნის (პაკეტის) გამოყენებით ან სხვა საშუალებებით და რომელი მზადდება სხვა აუდიტორების ან სხვა მომსახურე ორგანიზაციების მიერ, ასეთების არსებობის შემთხვევაში.

დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების კომპიუტერიზაციის შემთხვევაში, საჭიროა აგრეთვე სისტემების საკონტროლო კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება გამოყენებული აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეტალური აღწერისთვის.

სისტემების საკონტროლო კითხვარის ორივე ნაწილი უნდა ჩაიწეროს მუდმივი აუდიტორული ფაილის B1 ნაწილში და, საჭიროებისამებრ, განახლდეს ყოველწლიურად. შესაბამისი აუდიტორული სავსე სამუშაოების დასრულებისთანავე, აუდიტორმა უნდა დაადასტუროს, შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა სანდო საფუძველს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და შენახულია თუ არა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერები. ეს დასტურდება აუდიტის კონტროლის ჩანაწერების Aa1 ნაწილში (დანართი 3.1) დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემით.

სისტემების დეტალური შენიშვნები

აგრეთვე საჭიროა სისტემების დეტალური შენიშვნების მომზადება მუდმივი აუდიტორული ფაილის B ნაწილში. ეს უნდა მოიცავდეს:

- სქემას, რომელიც აჩვენებს ბუღალტერიის სტრუქტურასა და ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობებს;
- მომსახურე ორგანიზაციის შესახებ დეტალებს, მათ შორის, მათი გარიგების წერილის ასლს;
- გამოყენებული კომპიუტერული პაკეტების შესახებ ინფორმაციას;
- ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ან დიაგრამებს (რომელიც უფრო მისაღებია), რომლებიც იძლევა სააღრიცხვო სისტემის მიმოხილვის საშუალებას;
- დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ მზადდება მმართველობითი ინფორმაცია. მაგალითად, ბიუჯეტის სიხშირე, საცდელი ბალანსი, მმართველობითი ანგარიშგება და ა.შ.; და

თითოეული ტრანზაქციის ციკლისათვის:

- ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ გენერირდება ტრანზაქცია;
- სისტემაში შეყვანის დეტალები;
- მიღებული ინფორმაციის დეტალები;
- კონტროლის დეტალები, რომლებიც შესრულებულია ხელით ან კომპიუტერული სისტემის მეშვეობით.

სისტემების შენიშვნები უნდა იყოს ნათელი და ლაკონური. სისტემის შესახებ უფრო დეტალური მონაცემების მისაღებად შესაძლებელია კლიენტის მიერ მომზადებული განმარტებების დანართის სახით გამოყენება. საკმარისი არ არის უბრალოდ ითქვას, რომ კლიენტი იყენებს კონკრეტულ საბუღალტრო პროგრამულ პაკეტს. კომპიუტერული სისტემის ჩანაწერები უნდა:

- დაუკავშირდეს ჩანაწერებს, რომლებშიც დეტალურად აღიწერება ინფორმაციის სისტემაში შეყვანისა და გამოტანის პროცესი (საჭიროების შემთხვევაში); და
- საკმარისად დეტალურად აჩვენებდნენ სამეურნეო სუბიექტის შიდა სისტემურ დოკუმენტბრუნვას, რაც აუდიტორს საშუალებას მისცემს, შეაფასოს კონტროლის ძლიერი და სუსტი მხარეები.

სისტემური შენიშვნების ტიპური სისუსტე ის არის, რომ ისინი არ მოიცავს ჟურნალის ჩანაწერებს, მარაგებს, საკრედიტო კონტროლს ან ძირითადი საშუალებების მართვას.

8.3 სისტემის მუშაობის დადასტურება (გამჭოლი ტესტი)

მას შემდეგ, რაც სისტემური შენიშვნები ჩამოყალიბდება, როგორც წესი, დამკვეთის პერსონალს უნდა ეთხოვოს დადასტუროს, თუ რამდენად სწორად მიხვდა აუდიტორი საქმის არსს და გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი. საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გაირკვეს დამკვეთის პერსონალთან.

სისტემურ შენიშვნებში ცვლილებების შეტანის შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში), იგი უნდა დადასტურდეს გამჭოლი ტესტის ჩატარებით. გამჭოლი ტესტი წარმოადგენს სპეციფიკურ ტესტს, რომელშიც ტრანზაქციას თვალყური მიედევნება, სააღრიცხვო სისტემის და მასთან დაკავშირებულ კონტროლის მექანიზმების მეშვეობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჩანაწერების შესაბამისობა სისტემის მუშაობასთან. იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნული უნდა იყოს წინასწარი დაგეგმვის პროცესის ნაწილი. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ იგი უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას, რომელიც შესრულდება სავსე სამუშაოების დროს. გამჭოლი ტესტისთვის გამოყენებული ტრანზაქცია შერჩეულ უნდა იქნეს შემთხვევითი პრინციპით შემთხვევითი რიცხვების გენერაციის ცხრილის გამოყენებით. იხ. დანართი 1.18.

ბუღალტრული აღრიცხვის პროცესის თითოეული ძირითადი მიმართულებით აუცილებელია შესრულდეს გამჭოლი ტესტი. მაგალითად, სამშენებლო მასალების ნაღდი ანგარიშწორებით მიწოდება შეიძლება მოხდეს საცალო მყიდველებისათვის, ხოლო გადახდის გადავადებით საქონელი შეიძლება მიეწოდოს საბითუმო მყიდველებს, რომლებიც მუშაობენ სამშენებლო ინდუსტრიაში. ამიტომ აუცილებელია დაიტესტოს:

- ერთი მიწოდება ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ერთი მიწოდება გადახდის გადავადებით.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში მოხდა ნაღდი გაყიდვების სისტემებში ცვლილება, აუდიტორმა აუცილებლად უნდა შექმნას დოკუმენტაცია ახალ სისტემაზე, ხოლო შემდეგ შეასრულოს გამჭოლი ტესტი იმის გასარკვევად, თუ რა ასახვა ჰქონდა ამ მოვლენებმა ფინანსურ ანგარიშგებაში. ამისათვის აუცილებელია შესრულდეს შემდეგი გამჭოლი ტესტები:

- ერთი მიწოდება ნაღდი ანგარიშსწორებით ძველ სისტემაში;
- ერთი მიწოდება ნაღდი ანგარიშსწორებით ახალ სისტემაში; და
- ერთი მიწოდება გადახდის გადავადებით.

მიმდინარე აუდიტის ფაილში უნდა ჩაინიშნოს, რომ გამჭოლი ტესტების ჩატარების საფუძველზე გაკეთდა დასკვნები, თუ რამდენად გამართულად მუშაობს სისტემები. შერჩეული ელემენტი უნდა იქნეს დოკუმენტირებული. არ არის საკმარისი მხოლოდ სისტემური შენიშვნების ჩამოთვლა. საქმიანობის შედეგების ანგარიშგების თითოეული პროგრამა მოიცავს ტესტს „განახორციელე ერთი გამჭოლი ტესტი მიმდინარე პერიოდის ყველა სისტემისათვის, რომლის დანიშნულებაც დაადასტუროს, რომ სისტემა მუშაობს ისე, როგორც დოკუმენტირებულია მუდმივ აუდიტორულ ფაილში“. ეს შესაბამისი ადგილია გამჭოლი ტესტების შესახებ შესრულებული სამუშაოების ჩასაწერად.

8.4. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების შეფასება

როგორც არ უნდა იყოს ჩანაწერების დეტალიზაციის დონე, შეფასების ძირითად მიზნად რჩება შემდეგი - შეინარჩუნა თუ არა ორგანიზაციამ ადეკვატური საბუღალტრო ჩანაწერები და არის თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ადეკვატური საფუძველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რაც გულისხმობს, რომ სისტემა:

- მოიცავს ყველა ტრანზაქციას;
- მოიცავს მხოლოდ ვალიდურ ტრანზაქციებს;
- უზრუნველყოფს ჩაწერილი დეტალების სიზუსტეს;
- იწერს ტრანზაქციებს დროის შესაბამის პერიოდებში;
- იწერს ტრანზაქციებს სავალდებულო მოთხოვნებისა და ზოგადად მიღებული საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად;
- იძლევა ტრანზაქციების სათანადო შეფასების შესაძლებლობას;
- დეტალურად აღწერს ტრანზაქციებს ფინანსური ანგარიშგებისათვის;
- ეხმარება აქტივების დაცვას;
- წარმოადგენს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემების იდენტიფიცირებისათვის;
- უზრუნველყოფს საწარმოსთვის არსებით კანონებთან და წესებთან შესაბამისობას;
- განსაზღვრავს და აღრიცხავს სასამართლო პროცესების და დავების შესაძლო შედეგებს;
- ზღუდავს თაღლითობისა და შეცდომების შესაძლებლობას;
- იწერს ყველა არსებით ტრანზაქციას დაკავშირებულ მხარეებს შორის.

აუდიტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ, ხშირ შემთხვევაში, სააღრიცხვო ჩანაწერებთან დაკავშირებული პრობლემები (როგორცაა არაადეკვატური დოკუმენტაცია ან ბალანსგარეშე ანგარიშები), შეიძლება იყოს თაღლითობის ან არსებითი შეცდომის

მანიშნებელი.

აუდიტის საკონტროლო ჩანაწერზე დასკვნის გაკეთებამდე ყველა აღნიშნული ფაქტორი განხილულ უნდა იქნეს, მიუხედავად იმისა, კმაყოფილდება თუ არა აუდიტორი იმით, რომ საწარმოს გააჩნია ადეკვატური საბუღალტრო ჩანაწერები ან იმით, რომ საბუღალტრო სისტემა უზრუნველყოფს ზუსტი ფინანსური ანგარიშგების საიმედო საფუძველს. გამჭოლი ტესტების მეშვეობით შესრულებული სამუშაო შექმნის ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია სხვა გარემოებები (იხ. თავი 2) და/ან კონტროლის ტესტების (იხ. სექცია 2) შედეგები.

8.5. აუდიტის მიდგომის განსაზღვრა

საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ელემენტების ტესტების მიდგომა განისაზღვრება დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მიმართ შესრულებული სამუშაოებით.

იმ შემთხვევაში, თუ გამჭოლი ტესტები წარმატებულია, მაშინ შესაძლებელია ტრანზაქციების ტესტების სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება ანალიზური პროცედურებით. ეს შესაძლებლობა რომ გაჩნდეს, აუცილებელია წარმატებით დასრულდეს აუდიტორი სამუშაო ბალანსის შესაბამის განაყოფებზე, მაგალითად გაყიდული საქონლის თვითღირებულების აუდიტის პროგრამა. წარმატებული გამჭოლი ტესტების გარდა, cut-off testing/სავალდებულო ტესტები და scrutiny tests/შემოწმების ტესტებიც შესყიდვებიდან/მიღებული მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში დამაკმაყოფილებლად უნდა შესრულდეს (სექცია I). ამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მეორე თავში.

ტრანზაქციის (ოპერაციის) ტესტების აუცილებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, აუდიტორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, არის თუ არა დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები კომპიუტერიზებული. ხელნაწერი სააღრიცხვო წიგნებისა და ჩანაწერების არსებობის შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია შემოწმდეს ბუღალტრული გატარებები, სააღრიცხვო ჟურნალი, ბალანსი და ა. შ. ვინაიდან ოპერაციის შესრულებისას შესაძლებელია არასისტემური შეცდომების დაშვების რისკი ადამიანური ფაქტორის გამო. თუმცა, თუ დამკვეთს გააჩნია კომპიუტერიზებული მონაცემები, აღრიცხვის წარმოებისას ძირითადი ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს საბუღალტრო ჩანაწერებს, სავარაუდოდ, სათანადოდ დამუშავდება. აუცილებელია ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებაც, ვინაიდან არსებობს პროგრამირებისას შეცდომების დაშვების ალბათობა. თუმცა, რისკი არაკომპიუტერიზებულ სისტემასთან შედარებით ბევრად ნაკლებია და, სავარაუდოდ, ნებისმიერი ასეთი იზოლირებული (ერთეული) შეცდომა არაარსებითი იქნება. ხარვეზების პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება სისტემურ შეცდომებად იქნეს მიჩნეული და ანალიზური პროცედურების გამოყენებისას გამოვლინდეს.

ფირმის, როგორც აუდიტორის მუშაობის პირველ წელს (იმ შემთხვევაში, თუ წინა აუდიტორის სამუშაო დოკუმენტები არ არსებობს), ბუნებრივი იქნება ტრანზაქციების ტესტების პროცედურის შესრულება ვინაიდან ამ დროისათვის არ იარსებებს დამკვეთის სისტემებისა და შესრულებული ოპერაციების შესახებ წინასწარი ცოდნა (ასს 330, პუნქტი 13-14).

9. ბიზნესრისკების შეფასების ჩართვა აუდიტის პროცესში

დამკვეთის საბუღალტრო სისტემის ფუნქციონირების დადასტურების გარდა, აუდიტის პროცესში საჭიროა ბიზნესის რისკების შეფასების ჩართვა. აუდიტორი უნდა გაერკვეს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ფინანსური ანგარიშგების მიზნებთან დაკავშირებული რისკებისა და შესაბამისი დაკავშირებული მოქმედებების და შედეგების დასადგენად (ISA 315, პუნქტი 15-16). თუ სამეურნეო სუბიექტის რისკის შეფასების პროცესი შეესაბამება არსებულ გარემოებებს, იგი საშუალებას მისცემს აუდიტორს განსაზღვროს არსებითი უზუსტობების რისკები.

პირველი ნაბიჯი არის კლიენტთან რისკის შეფასების მიმოხილვა. ეს კლიენტთან წინასწარი დაგეგმვის დისკუსიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთ შეხვედრაზე განიხილება შემდეგი ძირითადი საკითხები:

- კლიენტის ბიზნესის ფუნქციონირების შესწავლა;
- განსაზღვროს, რა არის კლიენტის მთავარი რისკები;
- განსაზღვროს გაუთვალისწინებელ გარემოებებში კლიენტის მოქმედების საკვანძო გეგმების შესახებ საკმარისი ინფორმაცია, რომ შესაძლებელი გახდეს თავდაპირველი შეფასების შესრულება;
- კლიენტთან ზემოხსენებული საკითხების განხილვის შემდეგ აუდიტორმა უნდა გააგრძელოს ბიზნესრისკების შეფასების პროცესი. წინამდებარე თავის მე -10 ნაწილი აღწერს ბიზნესრისკების შეფასებისა და წარმართვის მეთოდებს.

ბიზნესრისკების შეფასების მეთოდები აუდიტს რამდენიმე გზით ეხმარება:

- აუდიტორს აძლევს ბიზნესის ძალიან კარგ ცოდნას და, შესაბამისად, ხელს უწყობს საქმიანობის წარმართვას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად რაც აისახება დაგეგმვის, ბიზნესის ცოდნის, კანონმდებლობისა და რეგულაციების, რისკების და ქმედებების გაცნობიერებაში;
- აუდიტორს ეხმარება გაუთვალისწინებელი ბიზნესრისკების დადგენაში და, აქედან გამომდინარე, საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს ამ რისკების ფინანსური ანგარიშგების შედეგები. ეს ნიშნავს, რომ მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველაზე სარისკო სეგმენტში;
- კლიენტს შეიძლება ეცნობოს, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილი უკონტროლო რისკების მართვა და, შესაბამისად, აუდიტორული რისკების შემცირება მომავალში;
- უზრუნველყოფს აუდიტის ჩატარებას მაქსიმალურად ეფექტურად;
- აუდიტის დასრულების შემდეგ, კლიენტი მიიღებს პრევენციული ხასიათის ბიზნეს რეკომენდაციებს.

ბიზნესრისკების შეფასების დასრულების შემდეგ აუდიტის ჩატარება შესაძლებელია ჩვეულ რეჟიმში, ამ პროცესში მიღებული ცოდნის გათვალისწინებით.

9.1 ბიზნესრისკი

ბიზნესრისკი განისაზღვრება, როგორც „საფრთხე იმისა, რომ მოვლენა ან ქმედება უარყოფითად იმოქმედებს ბიზნესის ქმედუნარიანობაზე და ხელს შეუშლის მიმდინარე მიზნების განხორციელებას“.

ბიზნესრისკი გამოწვეულია როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებით, აგრეთვე, თუ როგორ ამოწმებს ხელმძღვანელობა და გეგმავს მომავალში ამ რისკების კონტროლს. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნეს რისკი წარმოადგენს თანდაყოლილი რისკისა და კონტროლის რისკის კომბინაციას. აქედან გამომდინარე, ის შეიძლება შეყვანილ იქნეს აუდიტის რისკის განტოლებაში:

ბიზნეს რისკი (BR) = თანდაყოლილი რისკი (IR) x კონტროლის რისკი (CR)

აუდიტის რისკი (AR) = თანდაყოლილი რისკი (IR) x კონტროლის რისკი (CR) x გამოვლენის რისკი (DR)

ამიტომ აუდიტის რისკი (AR) = ბიზნეს რისკი (BR) x შემუმჩნევლობის რისკი (DR).

ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ყველა თანდაყოლილ და კონტროლის რისკს წარმოშობს უმართავი ბიზნესსაფრთხეები. თუ აუდიტორი შეძლებს განსაზღვროს, მართოს და დაადგინოს აღნიშნული რისკების დონე, შესაძლებელია აუდიტისადმი მიდგომის ადაპტირება და რისკის დონის შეცვლა, რაც უზრუნველყოფს აუდიტორული რისკის მისაღები დონის შენარჩუნებას.

9.2 გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესრისკებზე

გარე ფაქტორები, რომლის წინაშეც ბიზნესი აღმოჩნდება, ფაქტობრივად, რეაგირების შესაძლებლობებსა და საფრთხეებს წარმოადგენს. მაგალითად:

- პოლიტიკური ფაქტორები - მაგ., ცვლილებები ფისკალური პოლიტიკით;
- ეკონომიკური ფაქტორები - მაგ., კრედიტის ხელმისაწვდომობა, სავალუტო კურსის ცვლილებები, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებსა და დასაქმების დონეში;
- სოციალური, კულტურული და დემოგრაფიული ფაქტორები - მაგ., გემოვნების შეცვლა, ასევე, ცვლილებები მოდასა და დემოგრაფიაში;
- ტექნოლოგიური ფაქტორები - ახალი მეთოდებისა და პროდუქტების აღმოჩენა;
- იურიდიული ფაქტორები - ცვლილებები შრომით და გარემოსდაცვით კანონმდებლობაში.

9.3 შიდა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესრისკებზე

შიდა რისკები დამოკიდებულია ბიზნესის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. მაგალითად, რამდენად ეფექტურად იმართება ბიზნესი შემდეგი კუთხით:

- პროდუქტები და მომსახურება;
- მომხმარებლები და მომწოდებლები;
- ფულადი სახსრების მართვა და დაფინანსება;
- ადამიანური რესურსების საკითხები;
- ტექნოლოგიური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა.

10. ბიზნესრისკების შეფასება

ბიზნესრისკის შეფასების საუკეთესო მიდგომა არის კლიენტთან მუდმივი ურთიერთ-ქმედება. საშუალოდ, მცირე კომპანიებისთვის, რომლებსაც მფლობელები მართავენ, მთელი პროცესი არ უნდა აღემატებოდეს 3 ან 4 საათს.

განსახილველი საკითხების სენსიტიურობიდან გამომდინარე, შეხვედრის მიზანი წინასწარ უნდა შეთანხმდეს და მასში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ მაღალკვალიფიციური აუდიტის პერსონალმა (როგორც წესი, A.E.P. და/ან მენეჯერი). რაც შეეხება კლიენტის მხარეს, მფლობელი და ხელმძღვანელობა, ცხადია, უნდა დაესწროს. გარემოებათა გათვალისწინებით, სხვა პირებსაც, მაგ., დირექტორებს, მენეჯერებს და შესაძლოა დეპარტამენტის ხელმძღვანელებსაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრებში.

ვინაიდან შეხვედრა აუდიტორთა და კლიენტთა მაღალი თანამდებობის პირებისგან შედგება, მნიშვნელოვანია რეგლამენტის სათანადოდ შემუშავება. შეხვედრაზე კლიენტის მიერ რისკის შეფასების შესახებ შემუშავებული და წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი მიიჩნევა ხელშემწყობ ფაქტორად, ინფორმირებულობის კუთხით. საჭიროა დაინიშნოს თავმჯდომარე (სავარაუდოდ, A.E.P) და მიღებულ იქნეს ამომწურავი შენიშვნები.

შეხვედრა რამდენიმე ეტაპისგან შედგება და ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლა მხოლოდ წინას დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი:

- ბიზნესის მახასიათებლების იდენტიფიცირება;
- ბიზნესის მიზნების მიუღწევადობის რისკის იდენტიფიცირება, რომელიც გამომდინარეობს ბიზნესის თითოეული მახასიათებლისაგან;
- იდენტიფიცირებული რისკების პრიორიტეტიზაცია, მათი დადგომის ალბათობისა და შესაძლო გავლენის მიხედვით;
- პრიორიტეტული რისკების გავლენის განსაზღვრა ფინანსურ ანგარიშგებაზე რისკების შეზღუდვის, შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით შესაძლო ქმედებების ან კონტროლის საშუალებების ხაზით რეკომენდაციების შემუშავება.

10.1 ბიზნესის მახასიათებლების იდენტიფიცირება

ეს ეტაპი მოიცავს დამკვეთის ბიზნესის დეტალურ გარკვევას. კერძოდ, გასათვალისწინებელია:

- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ბიზნესაქტივობები; და
- ბიზნესისა და საანგარიშგებო გარემო.

გარდა იმისა, რომ უნდა შეიქმნას მახასიათებლები თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხისათვის, ასევე მნიშვნელოვანია თითოეული მახასიათებლის რელევანტურობის გათვალისწინება, მაგალითად კომპანიის მთავარი მომწოდებლების შერჩევასა, მოსალოდნელია, რომ ისინი არიან სანდო, აქვთ კონკურენტული საბაზრო ფასები და უზრუნველყოფენ ხარისხიან მოწოდებებს.

10.2 რისკების იდენტიფიცირება

შემდეგი ეტაპი ეთმობა წინა ეტაპზე იდენტიფიცირებულ თითოეულ ბიზნესის მახასიათებელთან დაკავშირებულ რისკების განხილვას.

ასე, რომ თუ გვყავდა დამკვეთი, რომელიც ვაჭრობს ქალის ტანსაცმლით პატარა მაღაზიაში ცენტრალურ ქუჩაზე, ჩვენ დავიწყებდით ერთ-ერთი ბიზნეს მახასიათებლით; მაგალითად, რომ მას ჰყავს კარგად ჩამოყალიბებული კლიენტთა ბაზა და დიდ ქსელურ მაღაზიებთან კონკურენცია იდენტიფიცირდება, როგორც ასოცირებული რისკი. ჩვენ შემდეგ დავასკვნით, რომ ამ რისკის დადგომის შემთხვევაში, კლიენტმა შესაძლოა ვეღარ მიაღწიოს დასახულ ბიზნესმიზანს - მოგების დონის შენარჩუნებას. ეს თავისთავად არ ქმნის აუდიტის რისკს, მაგრამ შესაძლოა იყოს ფაქტორი, რომელიც გამოიწვევს ე.წ. „აგრესიული მოგების მენეჯმენტს“.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი იმავე კლიენტისთვის ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ბიზნესმახასიათებელი - თუ ბანკმა კლიენტი უზრუნველყო ოვერდრაფტით (მოკლევადიანი სესხით) და ამით იქცა დაინტერესებულ მხარედ ბიზნესში, შესაძლებელია სამომავლო რისკების იდენტიფიცირება, როგორც კომპანიის შეუძლებლობა დაფაროს ოვერდრაფტი დათქმული თარიღისთვის, ან ბანკის მიერ ოვერდრაფტის დროზე ადრე დაფარვის მოთხოვნა, ბანკის წესებში ცვლილებათა გამო. ჩვენ დავასკვნით, რომ რისკის დადგომის შემთხვევაში შესაძლებელია კომპანიამ ვერ მიაღწიოს ზოგადად დასახულ მიზნებს, საქმიანობის ხანგრძლივად გაგრძელების შესახებ.

10.3 რისკების პრიორიტეტების განსაზღვრა

ამ ეტაპისთვის ბიზნესის წინაშე მდგომი ყველა მთავარი რისკი იდენტიფიცირებულია. ახლა საჭიროა რისკების რანჟირება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- რამდენად მოსალოდნელია, რომ რისკი გამართლდეს; და
- გამართლების შემთხვევაში, მისი გავლენის ხარისხი.

ამის განხორციელების ყველაზე მარტივი გზაა მოვლენების „რისკის რუკაზე“ განთავსება, სადაც x-ღერძი წარმოადგენს მოვლენის დადგომის ალბათობას და y-ღერძი - რისკის გავლენას.

„რისკის რუკა“ შესაძლოა იყოფოდეს ოთხ ნაწილად:

- დაბალი ზემოქმედება / დაბალი ალბათობა
- მაღალი ზემოქმედება / დაბალი ალბათობა
- დაბალი ზემოქმედება / მაღალი ალბათობა
- მაღალი ზემოქმედება / მაღალი ალბათობა

ყველა შესაძლო რისკი (როგორც უკვე აღინიშნა და დაიწერა on a post-it note წინა ეტაპზე) საჭიროა განლაგდეს „რისკების რუკაზე“ შესაბამის ადგილას.

რისკფაქტორის ალბათობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ კონტროლის ზომები, რომლებიც მიიღება საშიშროების შემთხვევაში, რამდენადაც მათ შეუძლია შეამციროს ამ მოვლენის დადგომის ალბათობა, ან გავლენა, ან ორივე ერთად.

მაგალითისთვის მოყვანილია ფაქტორები ბიზნესისთვის, რომლებიც შესაძლოა მოერგოს ოთხივე შემთხვევას და შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

დაბალი ზემოქმედება/დაბალი ალბათობა – მაგალითად: კომპიუტერული ქსელი.

ეს უარყოფითი ფაქტორი ნაკლებადაა მოსალოდნელი თუ სისტემა კარგ მდგომარეობაშია.

შესაძლებელია, რომ ორგანიზაციამ იფუნქციონიროს, ორმაგი სერვერის სისტემით ან ჰქონდეს სარეზერვო ასლი ე. წ. (cloud back up-ში), ასეთ შემთხვევაში, ინფორმაცია არ დაიკარგება. შესაძლებელია, რომ ორგანიზაციის მიმდინარე ოპერაციები გაგრძელდეს მთლიანი ქსელის გათიშვის შემთხვევაშიც (ალტერნატიული სააღრიცხვო ჩანაწერებით, ელექტრონული ფოსტის და ლეპტოპის გამოყენებით), თუმცა მნიშვნელოვანი ხანმოკლე შეფერხებებით, ამიტომ ზემოქმედების ხარისხი დაბალი აღმოჩნდება.

მაღალი ზემოქმედება/დაბალი ალბათობა – მაგ., ხანძარი ან დატბორვა.

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ ეს მოვლენები არ მოხდება და საბედნიეროდ შედარებით იშვიათად ხდება.

მიუხედავად ამისა, თუ საწყობი დაიტბორება ან დაიწვება, ზემოქმედება იქნება საკმაოდ სერიოზული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბიზნესი დაზღვეულია, ამ პროცესის ხანგრძლივობამ შესაძლოა მყიდველს უზიდავოს, ალტერნატიული მომწოდებლის მოძიებისკენ, რამაც შესაძლოა კლიენტების დაკარგვა გამოიწვიოს. ამიტომ ზემოქმედების ხარისხი შეფასებულია, როგორც მაღალი.

დაბალი ზემოქმედება / მაღალი ალბათობა – მაგ., კომპანიის მანქანების ავტოსაგზაო შემთხვევები.

თუკი კომპანია ადგილზე მომსახურების პერსონალს უზრუნველყოფს მანქანებით, არის ავტოსაგზაო შემთხვევების გონივრულად მაღალი ალბათობა.

თუმცა, თუ ბიზნესი დაზღვეულია (და არ არსებობს დაუზღვეველი ვალდებულებების საკითხები) და სავარაუდო ზეგავლენა გრძელვადიან მოგებიანობაზე მინიმალურია, ეს მოვლენა შეფასდება, როგორც დაბალი ზემოქმედება.

მაღალი ზემოქმედება / მაღალი ალბათობა – მაგ., ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში ოპერირებადი ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქტის მოძველება.

ამ სფეროში მუდმივი ცვლილებების გათვალისწინებით, ამ შემთხვევის დადგომის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

ვინაიდან, რთულია მუდმივად შესაფერის დონეზე ვიყოთ მიმდინარე სიახლეებთან, მოსალოდნელია, რომ ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას კომპანიას ვაჭრობის გაგრძელებაში. ეს კი მისი მომხმარებლების სხვა მომწოდებელთან გადასვლას გამოიწვევს. ამიტომ ზეგავლენა მაღალია.

10.4 აუდიტის შედეგების იდენტიფიცირება

მას შედეგ, რაც ყველა შესაძლო ბიზნესრისკი იდენტიფიცირებული და განაწილებულია „რისკების რუკაზე“, ანალიზი დასრულებულია. აუდიტორმა შემდეგ უნდა გაითვალისწინოს ის შედეგები, რომლებსაც გავლენა აქვს აუდიტის დაგეგმვის პროცესზე (ასს 315, პ. 25 – 26) და უზრუნველყოს მათი სრულად დოკუმენტირება თანდაყოლილი ბიზნესრისკის შეფასებაში. სასარგებლოა, ასევე „ბიზნესრუკის“, როგორც აუდიტის დაგეგმვის ნაწილის გამოყენება, კონცეპტუალური პროცესის სრულად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით.

გავლენები საყურადღებოა ორივე თვალსაზრისით:

- რისკები, რომლებსაც ზეგავლენა აქვს მთლიან აუდიტის პროცესზე; და

- რისკები, რომლებსაც ზეგავლენა აქვს კონკრეტული ანგარიშების ნაშთებზე და არსებობს კონკრეტული შეკითხვა ინდივიდუალური სფეროს რისკის შეფასების ფორმაზე.

ემპირიული წესით, ბიზნესის რისკების შეფასებაზე დაყრდნობით აუდიტის დაგეგმვისას კარგი იდეაა „რისკების რუკის“ „მაღალი ალბათობის“ ნაწილზე კონცენტრირება, მაშინ, როდესაც ვაკეთებთ იდენტიფიცირებას აუდიტის იმ სფეროებზე, სადაც ყველაზე დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო და „დაბალი ალბათობის“ ნაწილზე, სადაც აუდიტის საქმიანობა შესაძლოა შემცირდეს.

11. რისკის შეფასება

ასს 315-ში - „*არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტის და მისი გარემოს შესწავლის გზით*“ - აღნიშნულია, რომ „აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეებზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რითიც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის“ (ასს 315, პარ. 3). ნებისმიერი გამოვლენილი რისკი, რომელიც განისაზღვრება სიტყვით „მნიშვნელოვანი“, საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას აუდიტის ჩატარების დროს.

აუდიტორული რისკი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

აუდიტორული რისკი (AR) = თანდაყოლილი რისკი (IR) x კონტროლის რისკი (CR) x შეუმჩნეველობის რისკი (DR)

თანდაყოლილი რისკი და კონტროლის რისკი ისე განსხვავდება შეუმჩნეველობის რისკისგან, რომ აუდიტორს არ შეუძლია მათი შეცვლა. აუდიტორულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს, რომ საერთო აუდიტორული რისკი შენარჩუნებული იყოს მისაღებ დონეზე. იმისათვის, რომ გააკონტროლოს აუდიტორული რისკის საერთო დონე, აუდიტორს შეუძლია ტესტებისა და შერჩევის მოცულობის ცვლილებით შეცვალოს შეუმჩნეველობის რისკის დონე.

დაგეგმვის მნიშვნელობა ის არის, რომ ეს პროცესი აუდიტორს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს და განაახლოს ინფორმაცია ბიზნესის ხასიათისა და იმ გარემოს შესახებ, რომელშიც ის საქმიანობს, ე. ი. შეისწავლოს თანდაყოლილი რისკი, კონტროლის გარემო და კონტროლის რისკი. მას შემდეგ, რაც მოხდება ბიზნესში არსებული რისკების (თანდაყოლილი და კონტროლის რისკები) დონის განსაზღვრა, აუდიტორს შეუძლია განსაზღვროს მიდგომა და ტესტირების დონე, რომელიც საჭირო იქნება აუდიტის დროს. შესაბამისად, თუ საჭიროა რისკის გაკონტროლება, სწორად დაგეგმვა არის უკიდურესად მნიშვნელოვანი.

აუცილებელია, რომ განხილულ იქნეს ბიზნესრისკი, რომელსაც კომპანია აწყდება. ბიზნესრისკი გამომდინარეობს სამეურნეო სუბიექტის თანდაყოლილი და კონტროლის სუსტი მხარეების კომბინირების შედეგად. ბიზნესრისკზე დაფუძნებული მიდგომის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ აუდიტს საშუალებას აძლევს, იყოს უფრო შორსმჭვრეტელო და პროგრესული და კონსტრუქციული გარიგების წერილის საშუალებით გამოავლინოს დამატებითი ღირებულებების შესაძლებლობები. ბიზნესრისკის

შესახებ დეტალური ნარატივი მოცემულია ტექსტის მე-9 ნაწილში.

კლიენტების შესახებ ამოსავალი ინფორმაციის მოპოვება, წარმოება და აღრიცხვა მნიშვნელოვანია აუდიტორული რისკის კონტროლისთვის. ასს 315-ის - „*არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტის და მისი გარემოს შესწავლის გზით*“ - მიხედვით, ყველამ, ვინც ჩართულია აუდიტის პროცესში, უნდა იცოდეს იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე. ეს ცოდნა გამოიყენება თანდაყოლილი და კონტროლის რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოავლენს რომელი აუდიტორული მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული.

11.1 რისკის შეფასების დოკუმენტირება

HAT სისტემაში რისკის შეფასების პროცესი ტარდება ოთხ ან ხუთ ეტაპად, რაც დამოკიდებულია აუდიტორულ მიდგომაზე. ესენია:

- თანდაყოლილი ბიზნესრისკის შეფასება (მთლიანად ბიზნესისათვის) (ასს 315, პარ. 11);
- კონტროლის გარემოს ზოგადი შეფასება (ასს 315, პარ. 14);
- თითოეული სფეროს თანდაყოლილი რისკის შეფასება ფაილში მტკიცებების დონეზე (ასს 315, პარ. 25);
- კონტროლის რისკის შეფასება ინდივიდუალური სფეროების შესაბამისად (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიმართულია კონტროლის ტესტის ჩასატარებლად ამ სფეროში.) (ასს 315, პარ. 22 – 24); და
- ყველა ზემოთ მოცემული ინფორმაციის შეჯამება რისკის რეზიუმეში (ასს 315, პარ. 32).

HAT სისტემა შესაძლებლობას იძლევა, რომ კლიენტთან დაკავშირებული რისკი მთლიანობაში შეფასდეს აღწერილობითი (ნარატიული) მიდგომით, ან ალტერნატიულად, რისკის შეფასების საკონტროლო კითხვარის გამოყენებით, ან ორივე მიდგომის ნებისმიერი კომბინაციის საშუალებით. რისკის შეფასება ცალკეულ სფეროებში შესაძლებელია მხოლოდ აღწერილობითი (ნარატიული) მიდგომით. მთლიანად პრაქტიკაზეა დამოკიდებული იმის განსაზღვრა, კლიენტებთან არის თუ არა საკონტროლო კითხვარების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილი და AEP-მ (აუდიტორული გარიგების პარტნიორმა) უნდა დაადგინოს, რომელი მიდგომა არის ყველაზე მეტად მისაღები. რისკის შეჯამების პროცედურა უნდა დასრულდეს იმის მიუხედავად, რომელი სისტემით ხელმძღვანელობთ. (დანართი 1.11.1 ან 1.11.2, აგ 10/1).

11.2 თანდაყოლილი ბიზნესრისკი

თანდაყოლილი რისკი არის არსებითი უზუსტობებისადმი მგრძობელობა და გათვალისწინებული უნდა იყოს შიდა კონტროლის გარემოს შეფასებამდე. თანდაყოლილი რისკის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- *მაღალტექნოლოგიური დარგები.* მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრია – თუ კლიენტი მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში საქმიანობს, სავარაუდოდ, ის განიცდის სწრაფ ცვლილებას, რის შედეგადაც პროდუქცია, მომსახურება ან აღჭურვილობა შეიძლება სწრაფად მოძველდეს;
-
- *უკიდურესად არასტაბილური სექტორები.* მაგალითად, მოდის ინდუსტრია - თუ კლიენტი ოპერირებს უკიდურესად არასტაბილური ინდუსტრიაში, შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს მოულოდნელი ეკონომიკური ზრდა ან ვარდნა;

- *გამოუცდელი ხელმძღვანელობა* - თუ კლიენტს არ გააჩნია ბიზნესის მართვის არც კვალიფიკაცია და არც შესაბამისი გამოცდილება, იზრდება ფინანსურ ანგარიშგებაში ცდომილებების შესაძლებლობა;
- *მკაცრად რეგულირებადი სექტორები*. მაგალითად, ფინანსური მომსახურების ინდუსტრია - თუ სამართალი და რეგულაციები მნიშვნელოვანია კომპანიისთვის და მოხდა მათი დარღვევა, ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმები ან შესაძლოა კომპანია იძულებულიც კი გახდეს, რომ შეწყვიტოს საქმიანობა. ბიზნესის შესახებ ცოდნის მიღების მნიშვნელოვანი ნაწილია ანგარიშგების მოთხოვნებისა და მარეგულირებელი გარემოს შესწავლა.

როდესაც ვიყენებთ საკონტროლო კითხვარებს თანდაყოლილი ბიზნესრისკის შესახებ, თითოეულ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს „კი“ ან „არა“, ან „არ არსებობს“. მას შემდეგ, რაც ყველა შეკითხვა იქნება პასუხგაცემული, მონაცემები უნდა იქნეს განხილული და დადგინდეს, თანდაყოლილი რისკი მოიაზრება როგორც დაბალი, საშუალო თუ მაღალი დონის. კითხვარში მოცემულია ადგილი შეფასებასთან დაკავშირებული კომენტარებისთვის, ვინაიდან გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს განსახილველად და საჭიროებს სრულყოფილად დოკუმენტირებას.

იმ შემთხვევაში, თუ რისკი განისაზღვრა, როგორც მაღალი, ამან შეიძლება აუდიტზე მოახდინოს სხვადასხვა სახის გავლენა, მათ შორის:

- ხელახლა უნდა გადაიხედოს საკითხი, ჩატარდეს თუ არა აუდიტი;
- ყურადღებითაა გადასახედი სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული საკითხი;
- პერსონალის არასათანადო კომპეტენცია. შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო მეტად გამოცდილი კადრების დამატება;
- შესაძლოა საჭირო იყოს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის (EQCR) მონაწილეობა;
- შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგადი აუდიტორული მიდგომა. მაგალითად, ტრანზაქციების ტესტები და არა დეტალური ანალიზური პროცედურები;
- შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ უნდა გატარდეს პროცედურები, რომლებიც უკეთესი ხარისხის აუდიტორულ მტკიცებულებებს იძლევა. მაგალითად, დებიტორული დავალიანების დასტურები და სხვა;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ აუდიტის განრიგმა ხელი შეუწყოს შესაბამისი სიფრთხილის ზომების მიღებას; და
- ახლიდან შესათანხმებელი გახდეს გაზრდილი საფასური.

11.3 კონტროლის გარემო

კონტროლის გარემო არის საფუძველი, რომლის ფარგლებშიც ვითარდება კონტროლის სისტემა, ასევე ხელმძღვანელობის დამოკიდებულება, შესაძლებლობები და ქმედებები, კორპორაციული კულტურა და საერთო ღირებულებები. კონტროლის გარემოს შეფასების ძირითადი მიზნებია:

- განსაზღვროს, მოქმედებს თუ არა სანდო სააღრიცხვო სისტემა;
- განსაზღვროს ხელმძღვანელობის უნარი, საჭირო გადაწყვეტილებებისა და შეფასებების განხორციელების კუთხით;

- განსაზღვროს ხელმძღვანელობის უნარი, ბიზნესზე ეფექტური კონტროლის განხორციელების კუთხით;
- მოახდინოს ხელმძღვანელობის მიერ შეცდომებისა და შეუსაბამობების დაშვების შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- განსაზღვროს, შეუძლია თუ არა ხელმძღვანელობას გვერდი აუაროს კონტროლს; და
- შეაფასოს, ხელმძღვანელობას აქვს თუ არა წვდომა ბიზნესის ეფექტური კონტროლისთვის საჭირო და სანდო ინფორმაციაზე, ასევე განსაზღვროს, რომელმა მათგანმა შეიძლება გამოიწვიოს პრობლემური საკითხები ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან დაკავშირებით.

როგორც კი ჩამოყალიბდება აუდიტის მიდგომა, კონტროლის გარემოს შეფასება დაადგენს:

- გამოყენებული იქნება თუ არა კონტროლის ტესტი;
- უნდა განხორციელდეს თუ არა ტრანზაქციების (გარიგების ოპერაციების) ტესტი, და
- ისეთი სფეროები, რომლებიც აღიქმება როგორც სუსტი კონტროლის მქონე, სადაც აუდიტორის მუშაობა საჭიროებს ფოკუსირებას.

მცირე ბიზნესი (ასს 315, პუნქტი A84-A86)

მცირე ან მარტივი ბიზნესის საწარმოებს, როგორც წესი, თანამშრომელთა მცირე რაოდენობა ჰყავთ, რის გამოც მოვალეობების გადანაწილება, ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატურად ხდება. თუმცა, ეს აშკარა სისუსტე ჩვეულებრივ ანაზღაურდება მესაკუთრის (აქციონერის ან დირექტორის) უშუალო ყოველდღიური მონაწილეობით მართვასა და საადრიცხვო პროცედურებში. ამ ვითარებაში სირთულე ისაა, რომ კონტროლის მექანიზმები ნაკლებად ფორმალურია, შესაძლებელია, ხელმძღვანელობის მიერ მათი გაუქმება და, შესაბამისად, არ არსებობს კონტროლის მექანიზმის ეფექტურობის მტკიცებულებები.

შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაძლებელი იქნება ეფექტური კონტროლის ტესტების ჩატარება კონტროლის გარემოს შესაფასებლად და ამ მიზნით არ ღირს დიდი დროის დახარჯვა. სანაცვლოდ, აუცილებელია, ჩატარდეს კონტროლის სისტემის შედარებით მოკლე მიმოხილვა, რისკის სფეროების გამოვლენის მიზნით, რადგან ტესტები მხოლოდ არსებითად მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს.

ყველა კლიენტის მიერ, მათი კონტროლის გარემოს შეფასების მიზნით, გამოყენებული უნდა იყოს რისკების აღწერილობითი (ნარატიული) შეფასების, ან საკონტროლო კითხვარის (იხ. დანართი 1.11.1 ან 1.11.2) მეორე ნაწილი.

კონტროლის გარემოს შესაფასებელ საკონტროლო კითხვარში ყველა საკონტროლო კითხვა არსებითია, რომლებზეც პასუხად უნდა გაეცეს „დიახ“ ან „არა.“ ნებისმიერი დადებითი პასუხი ნიშნავს, რომ მართვის გარემო პოტენციურად არაეფექტურია. კითხვების დასრულების შემდეგ აუცილებელია იმის განხილვა, თუ რამდენად ეფექტურია ან არაეფექტურია კონტროლის მექანიზმები და შემოწმდება თუ არა ისინი სავსე სამუშაოების დროს.

თუ კონტროლის გარემო ეფექტურია, აუცილებელია, დასაბუთდეს, რატომ არ უნდა ჩატარდეს კონტროლის ტესტები.

11.4 თანდაყოლილი რისკის შეფასება თითოეული სფეროსთვის მტკიცების დონეზე

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (მაგ., დებიტორული დავალიანების) და საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში (მაგ., რეალიზაცია) თითოეული სფეროსთვის რისკის შეფასება არ უნდა შეეხოს მხოლოდ ამ სფეროს მთლიანობაში, არამედ უნდა შეეხოს ყველა შესაბამის მტკიცებას. ეს მტკიცებებია (ასს 315, პუნქტი ა124):

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

- არსებობა;
- უფლებები და ვალდებულებები;
- სისრულე;
- სისწორე, შეფასება და მიკუთვნება;
- კლასიფიკაცია; და
- წარდგენა.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება:

- წარმოშობა;
- სისრულე;
- სისწორე;
- დროში გამიჯვნა;
- კლასიფიკაცია; და
- წარდგენა.

თუ კონკრეტული მტკიცების რისკი სხვებთან შედარებით უფრო მაღალია, აუცილებელია, აღნიშნულ რისკ-ფაქტორზე შესაბამის დონეზე რეაგირება. ეს გავლენას მოახდენს შერჩევის ზომაზე, რომელიც გაიზრდება მხოლოდ იმ კონკრეტული მტკიცების შემცველი ტესტებისთვის, რაც უზრუნველყოფს საველე სამუშაოს დროს მაღალი რისკის სფეროებზე ყურადღების გამახვილებას.

11.5 ბიზნესის თანდაყოლილი რისკისა და ინდივიდუალური სფეროს (მტკიცების) რისკის ურთიერთქმედება

საჭიროა, განვიხილოთ, რა ხდება მაშინ, როდესაც ბიზნესის თანდაყოლილი რისკები და კერძო სფეროს რისკები ერთმანეთისაგან განსხვავდება.

თუ ინდივიდუალური სფეროს რისკი უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანი ბიზნესის რისკი, მაშინ საჭიროა ამ რისკის დონის გამოყენება და იმის გათვალისწინება, არის თუ არა ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი გავლენას მოახდენს მთლიანი ბიზნესის თანდაყოლილ რისკზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის თანდაყოლილი რისკი მთლიანობაში უფრო მაღალია, ვიდრე ინდივიდუალურ სფეროში, ჩნდება კითხვა - არის თუ არა კერძო სფერო უფრო მაღალი რისკის ქვეშ. ეს კი განსჯის საგანს წარმოადგენს.

- თუ, მაგალითად, რისკის დონეებს შორის განსხვავების მიზეზი ისაა, რომ ამ ბიზნესის მოსალოდნელი გაყიდვის გამო ბიზნესის თანდაყოლილი რისკი მაღალია, მაშინ მოსალოდნელია, რომ ორივე სფეროში რისკის დონე, სავარაუდოდ, გაიზრდება.
- მაგალითად, თუ ბიზნესი გამოირჩევა მაღალი რისკით, რასაც განაპირობებს საქმიანობა IT სექტორში, მაშინ შესაძლებელია, რომ კონკრეტული სფეროები, ისეთები, როგორცაა ფულადი სახსრები და ბანკი, სახელფასო ხარჯები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები - დარჩეს გათვლილი რისკის ქვეშ,

ხოლო სხვა სფეროებში, როგორებიცაა არამატერიალური აქტივები და მარაგები - გაიზარდოს.

11.6 ინდივიდუალური სფეროს კონტროლის რისკის შეფასება

იმ შემთხვევაში, თუ კონტროლის შემოწმება კონკრეტულ სფეროში ხორციელდება, საჭიროა ამ სფეროსთვის ჩატარდეს კონტროლის რისკების დეტალური შეფასება, რის საფუძველზეც გაკეთდება დასკვნა, რამდენად ეფექტური ან არაეფექტურია კონტროლი ამ სფეროში. ეფექტურობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მცირე ზომის შერჩევის გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, აზრი არა აქვს ტესტების ჩატარებას.

12. არსებითობა და სამუშაო არსებითობა

განმარტება - „ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. სხვა სიტყვებით, არსებითობა ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან, ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშის კონტექსტში“ (ბასს-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კონცეპტუალური საფუძვლები).

აუდიტორი პასუხისმგებელია არა მხოლოდ არსებითობის დონის განსაზღვრაზე, არამედ ნებისმიერი უზუსტობის სიდიდისა და ხასიათის განსაზღვრაზეც, შესაბამისად, არსებითობა იმ გადაწყვეტილებების საფუძველია, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს გასაჯაროებული/გახსნილი ფინანსურ ანგარიშგებებში და რომელი ხარისხობრივი თუ ფინანსური შეცდომა უნდა შესწორდეს. არსებითობა ასევე გამოიყენება აუდიტორული პროცედურების ხასიათისა და მოცულობის დადგენის მიზნით.

12.1. არსებითობის განსაზღვრა დაგეგმარების ეტაპზე

არსებითობის დადგენის მიზანია, განსაზღვროს, რა დონის უზუსტობები თუ ხარვეზები შეუცვლის ადრესატს ხედვას, ფინანსური ანგარიშგების მიმართ. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს:

- ვინ არიან ადრესატები და რა უნდა იცოდნენ მათ; და
- ფინანსური ანგარიშგების რომელი მაჩვენებლები და რომელი პირველადი ანგარიშგება აინტერესებთ მათ. მათი ინტერესები დაფუძნებულია იმ მიზნებზე, რისთვისაც ისინი ფინანსურ ანგარიშგებებს გამოიყენებენ, მაგალითად ბანკის მენეჯერისთვის წარდგენა.

აღნიშნული საკითხი ჩართული უნდა იყოს დამკვეთის წინასწარი შესწავლის გეგმაში - Ac8 (იხ. დანართი 1.9).

იმის მიუხედავად, რომ არსებითობის დონის გაანგარიშება ნიშნავს ნებისმიერ ელემენტს, რომელიც ინდივიდუალურად თუ სხვა მონაცემებთან ერთად აღემატება სამუშაო არსებითობას, ჩატარდება ტესტები, იგი არ ითვალისწინებს დამატებითი, დაუდგენელი და დაუკორექტირებელი უზუსტობების არსებობის შესაძლებლობას (აუდიტორის მიერ საკითხის გაუცნობიერებლად), რაც ფინანსურ ანგარიშგებებში არსებით უზუსტობებზე მიუთითებს.

ასს 320-ის მე-11 პუნქტის მიზნებისათვის, „სამუშაო არსებითობა აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდეებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილ არსებითობის დონეზე და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისაღებ დონემდე შემცირდეს იმის ალბათობა, რომ შეუსწორებელი და გამოუვლენელი უზუსტობების ჯამური სიდიდე გადააჭარბებს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილ არსებითობას. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო არსებითობა ასევე აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდეებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია კონკრეტული კატეგორიის (კლასის) ოპერაციებისთვის, ანგარიშთა ნაშთებისთვის ან გასაჯაროებული ინფორმაციისთვის დადგენილ არსებითობის დონეზე ან დონეებზე“. (ასს 320, პუნქტი 9).

ასს 320 არ განსაზღვრავს არსებითობის დონის გამოთვლის წესს, თუმცა, 1.15 დანართში ჩამოყალიბებულია მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის საჭირო არსებითობის დონის გამოთვლის წესები HAT სისტემის შესაბამისად. მასში, ასევე, ჩამოყალიბებულია სამუშაო არსებითობის გამოთვლის მეთოდები კონკრეტული კლასის ოპერაციებისთვის, საბალანსო ნაშთებისთვის ან გასაჯაროებული/გახსნილი ინფორმაციისთვის.

აუდიტორი ვალდებულია, მოახდინოს იმ ფაქტორების დოკუმენტირება, რომლებიც გაითვალისწინება მთლიანობაში არსებითობის და სამუშაო არსებითობის დასადგენად, ასევე საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული კლასის ოპერაციებისათვის, ანგარიშთა ნაშთებისათვის ან გასაჯაროებული/გახსნილი ინფორმაციისთვის არსებითობის დონის/დონეების დასადგენად. არსებითობის განსაზღვრა გულისხმობს პროფესიული განსჯის გამოყენებას, ამიტომ აუდიტორს უნდა შეეძლოს დაასაბუთოს არსებითობის განმსაზღვრელი შერჩეული კრიტერიუმები. იხილეთ **ასს 320 გ4** პუნქტი.

მაგალითად: სავაჭრო კომპანიებისათვის, სადაც დირექტორი ორიენტირებულია მოგებაზე, საუკეთესო კრიტერიუმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოგება დაბეგვრამდე. კომპანიისთვის, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას უძრავ ქონებაში, სავარაუდოდ, აქტივების საერთო თანხის მაჩვენებელი ყველაზე სათანადო კრიტერიუმად შეფასდება. მომსახურების სფეროს კომპანიისათვის, „ხარჯები-პლუს“ პრინციპით მომუშავე და არაკომერციული სამეურნეო სუბიექტებისთვის შესაფერის ნიშნულს შემოსავლები წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ერთეულისთვის ყველაზე რელევანტური ნიშნული/კრიტერიუმი წლების მიხედვით არასტაბილური და შეუსაბამო აღმოჩნდება, ისე, რომ ამ ნიშნულის/კრიტერიუმის გამოყენებით მივიღებდით არაშესაძარის არსებითობის მაჩვენებელს წლიდან წლამდე, მიზანშეწონილია სხვა ჯეროვანი კრიტერიუმების/ნიშნულების განხილვა.

გარდა ამისა, ნებისმიერი ანომალიის დროს, რამაც შესაძლებელია, გავლენა იქონიოს არსებითობაზე, უნდა მოხდეს შესაბამისი შესწორება. მაგალითად, ბიზნესისათვის, რომელსაც მართავს მესაკუთრე-მენეჯერი და ანაზღაურების სახით იღებს დაბეგვრამდე მოგების დიდ ნაწილს, არსებითობის გამოთვლის შესაბამის კრიტერიუმად უნდა იქნეს მიჩნეული მესაკუთრის მიერ მიღებული გასამრჯელოს „უკანვე დამატება“ დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებელზე.

გამოთვლა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რა უნდა იყოს არსებითობის მაჩვენებელი და საჭიროა, ეს მაჩვენებელი დეტალურად გაანალიზდეს აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ, იმის გასარკვევად, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება კონკრეტული ბიზნესისათვის.

დაგეგმარების დროს გამოთვლილი არსებითობა გამოიყენება:

- შერჩევის მოცულობის გამოთვლის მიზნით;
- იმის გასარკვევად, არის თუ არა სეგმენტი დეტალურად შესწავლილი; და
- აუდიტორებისთვის კონკრეტული ნაშთების დადგენის მიზნით.

12.2 არსებითობა და შერჩევა

არსებითობა, შეფასებულ რისკის დონეებთან ერთად, გამოიყენება შერჩევის ზომის განსაზღვრის/გამოთვლის მიზნით, ის გავლენას არ ახდენს კონკრეტული ოპერაციების ტესტების ან კონტროლის ტესტების შერჩევის ზომაზე.

12.3 მუხლების ხასიათი

ზოგიერთი მუხლი, ძირითადად ისინი, სადაც მოთხოვნილია ინფორმაციის გასაჯაროება/გახსნა ფინანსურ ანგარიშგებებში (მაგალითად, დირექტორებზე გაცემული სესხები და აუდიტორის ანაზღაურება), ყოველთვის უნდა იყოს განხილული როგორც არსებითი. 1.15 დანართში განსაზღვრულია სამუშაო არსებითობის დონე ცალკეული მუხლებისთვის, რაც, სავარაუდოდ, უნდა იყოს ზუსტი და კორექტული (შესაძლებელია მცირე გადახრა, რაც გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებებში არსებით უზუსტობებს და შეიძლება მხოლოდ 5 აშშ დოლარს შეადგენდეს (ასს 320, პარაგრ. ა10). აუდიტორის გასამრჯელოს განხილვა მოცემულია აუდიტის საკონტროლო ჩანაწერებში, სადაც ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებული თანხის ოდენობა უნდა შედარდეს არა-აუდიტორული მომსახურების გრაფიკთან.

სხვა დელიკატურ მუხლებს მიეკუთვნება ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, აგრეთვე არაკანონიერი ქმედებები და დარღვევები. არამატერიალურმა უკანონო გადახდებმა შესაძლებელია, გამოიწვიოს არსებითი გარემოებები ან აქტივების დაკარგვა.

გარდა ამისა, იმ მუხლებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენს ძირითად კოეფიციენტებზე (მოგების მარჟა, ლიკვიდურობის კოეფიციენტები) ან გადასახადებზე, შესაძლებელია, მათთვის არსებითობის განსხვავებული დონე დადგინდეს.

12.4. არსებითობის გამოთვლასთან დაკავშირებული გარემოებები

გარემოებები, რომლებიც შეიძლება გულისხმობდეს, რომ არსებითობის გამოთვლა მოდიფიცირებულია გარკვეული მუხლებისათვის ან მთლიანად ფინანსური ანგარიშგებებისთვის, მოიცავს:

- ცვლილებას ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ან არსებული პროცედურებიდან გადახრას;
- ბიზნესის წინასწარ შესწავლას პოტენციური შესყიდვისთვის;
- როდესაც მონაცემებში მცირე ცვლილებამაც კი, შესაძლებელია, დაარღვიოს საბანკო შეთანხმებები;
- როდესაც ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველი შეუსაბამოა;
- კრიტიკულ ცვლილებებს (ანუ, წმინდა აქტივების შეცვლა წმინდა ვალდებულებებით, მოგების შეცვლა წაგებით, ხოლო სააქციო კაპიტალის შეცვლა სააქციო კაპიტალის დანაკლისით);
- გარიგების სპეციფიკური პირობები, რომლებიც დამატებით ვალდებულებებს ითვალისწინებს. მაგალითად, თაღლითობის ძიებას ან მარეგულირებელი ორგანოსათვის

(რეგულატორისთვის) ანგარიშის გაგზავნის მოთხოვნას. ეს პროცესი შეიძლება აუდიტის გამოყენების სფეროს გასცდეს, მაგრამ გავლენას მოახდენს არსებითობის დონეებზე, თუ ზემოთ ხსენებული სამუშაო აუდიტორულ სამუშაოსთან ერთად ტარდება.

12.5. არსებითობა და გადასახადები

საგადასახადო მიზნებისათვის კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით სამუშაო დოკუმენტებში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს უფრო მეტი დეტალური ინფორმაციის მოწოდება, ვიდრე ეს გარანტირებულია მათი აუდიტის არსებითობით საგადასახადო გამოთვლების მომზადებაში დასახმარებლად. ეს სფეროები აუდიტორულ დავალებათა გეგმაში განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს (დანართი 1.16).

13. აუდიტის სტრატეგია

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის და საკონტროლო გარემოს და არსებითობის წინასწარი შეფასების, ასევე, რისკების და წინასწარი ანალიზური პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, შესაძლებელია, აუდიტის სტრატეგიის შემუშავება. იგი მოიცავს გარკვეული საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებას, შემდეგ კი აუდიტის გეგმისა და დეტალური აუდიტორული პროგრამების შემუშავებას. სტრატეგიის შემუშავების ძირითადი ელემენტებია:

- მიზნების განსაზღვრა. სტანდარტული ამოცანების გარდა, საჭიროა, განხილულ იქნეს, ხომ არ საჭიროებს დამკვეთის მოთხოვნები დამატებითი ღონისძიებების შემუშავებას. მაგალითად, დამატებითი გარანტიები ცალკეულ სფეროებში კონტროლის განხორციელებაზე. ასევე აუცილებელია, იმის გათვალისწინება, თუ როგორ განიხილავს დამკვეთი აუდიტს. თუ დამკვეთს სურს, მხოლოდ მინიმალური დანახარჯების დონე და არ აფასებს აუდიტს, როგორც არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალებას, დამკვეთი არ დაინტერესდება ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი დეტალური მოხსენებითი წერილის მიღებით, რომელიც ასახავს მათ სისტემაში გამოვლენილ ყველა ნაკლოვანებას. თუმცა, სავალდებულოა, ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი მოხსენებითი წერილის საშუალებით ეცნობოს დამკვეთს, შიდა კონტროლის სისტემაში არსებული ყველა ნაკლოვანების შესახებ (ასს. 265, პარაგრაფები 9-10).
- გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად სანდოა დამკვეთისთვის შესრულებული საბუღალტრო სამუშაო აუდიტის მიზნებისთვის და საჭირო იქნება თუ არა დამატებითი აუდიტორული რწმუნება. იდეალურ შემთხვევაში, შესაძლებელია, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული სამუშაოების განცალკევება, თუმცა, თუ აუდიტორულ სამუშაოში ჩართული პირი ასევე, ინტენსიურად მონაწილეობს ბუღალტრული აღრიცხვის სამუშაოებში, სავალდებულოა, მათი სამუშაოები (ან არააუდიტორული სამუშაო) გადაიხედოს იმ პირის მიერ, რომელიც არ არის აუდიტის გუნდის წევრი. შესაძლებელია, აუდიტორული სამუშაო დაექვემდებაროს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვას.
- განსაზღვრა, თუ რომელი სფეროები და მუხლებია მნიშვნელოვანი აუდიტორული რწმუნებისთვის (ასს 330, მუხ. 6). აუდიტის ძირითადი სფეროები მოიცავს:
 - სფეროებს, რომლებიც არსებითია;
 - სფეროებს, სადაც არსებითი უზუსტობების რისკი ყველაზე დიდია, თაღლითობის ან შეცდომის გამო;


- კომპლექსურ სფეროებს;
- სფეროებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს (მაგ., ღირეუტორებთან ან დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები); და
- სფეროები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კომპანიისთვის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოსთვის.

ძირითადი მუხლებია:

- მაღალი ღირებულების მუხლები (მათ შორის ისინი, რომელთა ღირებულება სამუშაო არსებობას აღემატება);
 - მუხლები, რომლებიც კომპანიის კანონთან და რეგულაციებთან შესაბამისობას ეხება;
 - უზუსტობების მნიშვნელოვანი რისკის შემცველი მუხლები (მაგ. ბუღალტრის შევებულებაში ყოფნის პერიოდში შესრულებული ოპერაციები);
- კონტროლის ტესტისა და გარიგების/ოპერაციების ტესტების მოცულობის განსაზღვრა (იხ. მე-2 თავიში მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვა);
- შეფასება, თუ რა დონის რწმუნების მიღებაა შესაძლებელი სხვადასხვა სახის ტესტიდან. ეს ფაქტორები მოიცავს, რამდენად სანდოა ანალიზური პროცედურები და რისკისა და არსებობის დონეებიდან გამომდინარე, საჭიროა თუ არა სხვადასხვა ტიპის ტესტების გამოყენება, ჯეროვანი რწმუნების მისაღებად.
- იმის გადაწყვეტა, რამდენად სანდოა ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, ასევე, აუდიტორის მტკიცებულება ან სხვა დამოუკიდებელი მტკიცებულება. შეცდომების მაღალი რისკი გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის ნაკლები ნდობის ხარისხს და შესაძლოა ვრცელი დამოუკიდებელი მტკიცებულებების წარდგენა გახდეს საჭირო. შესაძლებელია, კონკრეტულ სფეროებში დამოუკიდებელი დადასტურება გახდეს საჭირო (მაგალითად, გაუთვალისწინებელი გარემოებების თაობაზე იურისტის დასტური, ხოლო ოვერდრაფტის პირობებზე - ბანკის და ა.შ).
- იმის განსაზღვრა, რა დონის რწმუნებაა/გარანტიებია საჭირო შვილობილი კომპანიების, ასოციაციების, ერთობლივი საწარმოების ან ფილიალებისთვის ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ. გათვალისწინებულ უნდა იქნეს თაღლითობისა და შეცდომების შესაძლებლობა, უკანონო ქმედებებისა და დაკავშირებულ მხარეთა შორის გარიგებების შესაძლებლობები.
- სამუშაო ვადების განსაზღვრა. ფინანსური წლის დასრულების საბოლოო პროცედურების მსგავსად, ცალკეული ტესტების შედეგებმა, თუ ისინი ჩატარდება ადრეულ ეტაპზე (როგორც შუალედური აუდიტის ნაწილი), შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სხვა სამუშაოს მოცულობაზე.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პირობების განსაზღვრა.

13.1 აუდიტორული მიდგომის სქემა

სამეურნეო სუბიექტისთვის შესაბამისი აუდიტორული მიდგომის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი სქემა:



1. აღნიშნული მიდგომა, იდეალურ ვარიანტში, არ უნდა იქნეს გამოყენებული ფირმის აუდიტორული საქმიანობის პირველ წელს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათთვის ხელმისაწვდომია წინა აუდიტორის სამუშაო დოკუმენტები).

14. აუდიტის დაგეგმვის დოკუმენტირება

აუდიტორის დავალებათა გეგმა (დანართი 1.16 (Ac14)) უნდა მომზადდეს ყველა ტიპის დავალებისთვის, იმის საჩვენებლად, რომ დაგეგმვა ჩატარდა ასს 300-ის - „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა*“ - წესების შესაბამისად და პერსონალის დასახმარებლად (ასს 300, პუნქტი 2). იდეალურ შემთხვევაში, დავალებათა გეგმა უნდა

მომზადდეს ელექტრონულად, რომ შესაძლებელი გახდეს მისი შენახვა, გადატანა და განახლება მომდევნო პერიოდის აუდიტისთვის. იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

დავალების შესასრულებლად საჭირო სპეციალური უნარ-ჩვევების გათვალისწინება

საჭიროა გარიგების გუნდის კომპეტენციის (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის) შეფასება (ხკსს 1, პუნქტი 30-31), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფაილი მოიცავს ისეთ სპეციალურ სფეროებს, როგორცაა, საპენსიო სისტემა განსაზღვრული სარგებლით, აქციებზე დაფუძნებული გადახდები ან სამშენებლო კონტრაქტების კალკულაცია. უნდა მიეთითოს წინა პერიოდის პრაქტიკული გამოცდილება და გავლილი უწყვეტი/განგრძობითი პროფესიული სწავლების კურსები.

აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ დაგეგმვის დამტკიცება

აუდიტორული გარიგების პარტნიორმა ხელი უნდა მოაწეროს და თარიღი დაუსვას გეგმას სამუშაოების დაწყებამდე (ასს 300, პუნქტი 11).

გარიგების ხარისხის კონტროლის შიდა დამოუკიდებელი მიმომხილველის მიერ დაგეგმვის დამტკიცება

თუ აუდიტორის საკონტროლო კითხვარის რეგულაციებში/წესებში მოთხოვნილია გარიგების ხარისხის კონტროლის შიდა შემოწმების/მიმომხილვის ჩატარება, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველმა ხელი უნდა მოაწეროს და დაათარილოს სავსე სამუშაოს დაწყებამდე (ასს 220, პუნქტი 20), ასევე ხელმოწერით დაადასტუროს, პერსონალის მტკიცება იმის შესახებ, რომ დაგეგმვის პროცედურები მათ მიერ წაკითხული და გაცნობიერებულია.

საბაზო ინფორმაცია

ამ ნაწილში მითითებული უნდა იყოს დამკვეთის საქმიანობის აღწერა, კერძოდ, საქმიანობის ხასიათი, მისი ორგანიზაცია და მუშაობის წესი. იგი ასევე უნდა მოიცავდეს დამკვეთის შესახებ მნიშვნელოვან ფაქტებს, მაგალითად ადგილმდებარეობას, ძირითად პერსონალს და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს ჯვარედინი მითითება აუდიტის მუდმივ ფაილზე.

აუდიტის ჩატარების მიზეზი

ეს არის საკონტროლო კითხვარის ნაწილი, რომელიც ასაბუთებს აუდიტის ჩატარების მიზეზებს. საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, რადგან ის ხაზს უსვამს მესამე მხარის მხრიდან სიფრთხილის დაცვის ვალდებულებას.

წინა აუდიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები

უნდა დაზუსტდეს წინა წლის აუდიტთან დაკავშირებული ფაქტორები და შემოწმდეს, არის თუ არა ისინი კვლავ რელევანტური და მათი ზემოქმედება.

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში განვითარდა

აუცილებელია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დოკუმენტებში ასახვა. ამ სექციაში უნდა აისახოს ბიზნესის, მართვის სტრუქტურის, კანონმდებლობის, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (ან ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს), ძირითადი პერსონალისა და საბუღალტრო სისტემების ხასიათთან დაკავშირებული ცვლილებები. ასევე, აუცილებელია, მნიშვნელოვანი მოვლენების დეტალური ასახვა საანგარიშგებო პერიოდის

განმავლობაში. მაგალითად, უძრავი ქონების გაყიდვა, საკუთრების ჩამორთმევა, მსხვილი დამკვეთის ლიკვიდაცია.

უნდა მოხდეს შემდეგი „შიდა“ ფაილების შემოწმება/მიმოხილვა და დოკუმენტურად გაფორმება:

- კორესპონდენციის ფაილი;
- საგადასახადო ფაილები;
- სავალდებულო ფაილები;
- ხელმძღვანელთა ანგარიშის ფაილები;
- სახელფასო ფაილები და ა.შ.

აღნიშნული პროცედურების ჩატარება უზრუნველყოფს, რომ აუდიტორული მიდგომით მოცული/ათვისებულ იქნა ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია.

კანონი და რეგულაციები და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები

ამ სექციებში მოცემულია არსებითი კანონები და რეგულაციები (ასს 250, ნაწილი A, პუნქტი 2), რომლებიც უნდა შეასრულოს სამეურნეო სუბიექტმა და შემდეგ დავალების შესრულების სავსე სამუშაოების ეტაპზე დეტალურად უნდა შეფასდეს. მათში ასევე მითითებულია ის რისკი, რომ იქნება დაფარული/დაუდგენელი არსებითი დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები (ასს 550, პუნქტი 3).

ექსპერტის ან მომსახურე ორგანიზაციის გამოყენება

თუ დამკვეთის რომელიმე საქმიანობა ხორციელდება მომსახურე ორგანიზაციის მიერ, ეს უნდა განისაზღვროს დაგეგმვის ეტაპზე. აუდიტორის მიდგომაზე ზემოქმედება/გავლენა ასევე დოკუმენტურად უნდა იყოს გაფორმებული. ბევრი აუდიტორი ვერ აცნობიერებს მომსახურე ორგანიზაციების საერთო მახასიათებლებს, ან ფაქტს, რომ აუდიტორები შესაძლებელია, თვითონ აღმოჩნდნენ მომსახურე ორგანიზაციების როლში. ქვემოთ ჩამოთვლილია მომსახურე ორგანიზაციების სია, რომლებსაც დამკვეთები ხშირად მიმართავენ:

- სახელფასო ბიურო;
- ქვეკონტრაქტორი ბუღალტ რები;
- ბუღალტერი, რომელიც დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში;
- ბუღალტერი, რომელიც დაეხმარება გადასახადების გაანგარიშებაში;
- მესამე მხარეები, რომლებიც დამკვეთის სახელით სასაქონლო მარაგების შენახვასა და დისტრიბუციას უზრუნველყოფენ;
- ინვენტარიზაციის სპეციალისტი;
- ინვესტიციების დეპოზიტორი ორგანიზაცია; და
- ინვესტიციების მენეჯერები (მათ ზოგიერთ ფუნქციასთან დაკავშირებით).

შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, სადაც საჭირო იქნება კომპეტენცია და გამოცდილება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტში აუდიტორის ტრადიციული უნარ-ჩვევების მიღმაა. ასეთი შემთხვევების მაგალითებია აქტუარის მიერ დადგენილი საპენსიო სქემით გათვალისწინებული ვალდებულების შემოწმება ან შემფასებლის მიერ

განხორციელებული ქონების შეფასების შემოწმება. აუცილებელია ექსპერტის დახმარების საკითხის წინასწარ განხილვა (ასს 620, მე-7 პუნქტი). როდესაც აუდიტორი ნდობას უცხადებს დამკვეთის ექსპერტს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, არის თუ არა ის დამოუკიდებელი კლიენტისაგან და შესაძლებელია თუ არა მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობა.

აუდიტორის მიდგომა

აღნიშნულ სექციაში შეჯამებულია ზოგადი მიდგომების შემუშავების პროცესი, ასევე მთავარი კონტროლის ტესტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მნიშვნელოვანი ტესტი. მან ხაზი უნდა გაუსვას აუდიტის საკვანძო სფეროებსა და საკვანძო ელემენტებს სპეციფიკურ სფეროებში. თუ არსებობს მაღალი რისკის შემცველი კონკრეტული სფეროები, ან თაღლითობის პოტენციური შესაძლებლობა, ამ საკითხების განხილვაც ამავე სექციაში უნდა განხორციელდეს.

უნდა მოხდეს დოკუმენტირება, მოსალოდნელია თუ არა ტრანზაქციების ტესტის ჩატარება და განისაზღვროს კონკრეტული სფეროები, რომლებიც სიღრმისეული ანალიზური პროცედურების შედეგად დამატებით სარგებელს მიიღებენ.

ასევე, უნდა მიეთითოს, საჭიროა თუ არა დამატებითი სამუშაოს ჩატარება, განსაკუთრებული მიზნების მიღწევის მიზნით, მაგალითად კონტროლის დაწესება აუდიტის გარკვეულ სფეროებში.

სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს აუდიტის პროგრამების ადაპტირება და გარიგების სირთულიდან გამომდინარე გადაწყდეს, გამოყენებული იქნება პროფორმა (სტანდარტული), თუ სპეციალური/ინდივიდუალური აუდიტის პროგრამა, თუ ორივეს კომბინაცია.

დავალებათა გეგმის ამ ნაწილში, ასევე უნდა მიეთითოს, როგორ გადანაწილდა სამუშაოები გუნდის სხვადასხვა წევრზე.

ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების მიმოხილვა

დოკუმენტირებულ უნდა იქნეს, კომპანიის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები შესაფერია თუ არა კომპანიისთვის. თუ დამკვეთის მიერ შეთავაზებული ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები შეუსაბამოა, აუცილებელია, მას ამ ფაქტის შესახებ ეცნობოს და მოეთხოვოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების ბაზისის (სტანდარტების) შეცვლა.

სავალდებულო ფინანსური ანგარიშგება

მიმდინარე ნაწილში უნდა მიეთითოს მოსამზადებელი და აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების ფორმატი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ინფორმაცია იქნა გასაჯაროებული და შესაბამისი საკონტროლო კითხვარები იქნა გამოყენებული.

გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვართან დაკავშირებული მოთხოვნები

წინამდებარე ნაწილი უნდა ადასტურებდეს, სავალდებულოა თუ არა ინფორმაციის გასაჯაროების სრული საკონტროლო კითხვარი, თუ აუდიტორი იყენებს იმ უფლების უპირატესობას, რომ სრული საკონტროლო კითხვარი მოამზადოს სამ წელიწადში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გასაჯაროების სრული საკონტროლო კითხვარი არ შეივსება მიმდინარე წელს, მაშინ აუცილებელია, გასაჯაროებული ინფორმაციის ყოველწლიური საკონტროლო კითხვარის შევსება (იხ. დანართი 3.14),

ამასთანავე ცვლილებების/კორექტირებების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლებში, რომელიც სამეურნეო სუბიექტმა მიიღო და ძალაში შევიდა წინა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

სავალდებულო *საგადასახადო გრაფიკები*

აღნიშნულმა ნაწილმა უნდა აჩვენოს ინფორმაცია, რომელიც უნდა იქნეს მოპოვებული/მიღებული და ნომინალური მთავარი წიგნის ანგარიშები, რომლებიც უნდა იქნეს გაანალიზებული აუდიტის პერსონალის მიერ, რათა ხელი შეუწყონ გადასახადების გაანგარიშების პროცესსა და სახელფასო გადასახადების შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებულ სამუშაოს.

ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები

წინამდებარე ნაწილში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა დამატებითი საანგარიშგებო მოთხოვნების საჭიროება, მათ შორის, ანგარიშგების პაკეტის შექმნის მოთხოვნა მაკონტროლებელი კომპანიის აუდიტორებისთვის ან დამკვეთის ფულადი სახსრების „აუდიტის“ განხორციელების ვალდებულება.

დავალებათა განრიგი, მესამე მხარეთა დასტურები

დავალებათა გეგმის ეს სექციები ეხება დავალების ადმინისტრირების კონტროლს.

მასში მითითებული უნდა იყოს პირობითი თარიღები:

- დამკვეთთან წინასწარი დაგეგმვისათვის შეხვედრის;
- მარაგების ინვენტარიზაციაზე დასწრების (ასს 501, პუნქტი 4);
- დებიტორულ დავალიანებათა ცირკულარიზაცია;
- ბანკისა და სხვა მესამე მხარეებისთვის წერილობითი მიმართვის გაგზავნის (ასს 501, პუნქტი 10 / ასს 505, პუნქტი 7);
- საველე სამუშაოების;
- დასკვნითი შეხვედრის; ასევე
- ყოველწლიური საერთო კრების / სავარაუდო თარიღის წევრებისთვის მიწოდება.

15. შერჩევა

საველე სამუშაოების ეტაპზე აუდიტის ტესტების ჩატარების მიზნით, შერჩევის მოცულობა უნდა იყოს გამოთვლილი და დაზუსტებული. HAT სახელმძღვანელოს 1.17 დანართში მოცემულია ძირითადი ტესტების, გარიგებების/ოპერაციების ტესტების და კონტროლის ტესტების შერჩევის მოცულობის გამოთვლის საფუძვლები.

მე-2 თავის მე-8 ნაწილი მთლიანად განმარტავს HAT-ის შერჩევის მეთოდოლოგიას.

16. ბიუჯეტი

ბიუჯეტის მომზადების მიზნები:

- განხილვა, თუ ვინ შეასრულებს კონკრეტული საველე სამუშაოს კონკრეტულ სექციებს და ვის დაევალება მისი შემდგომი შემოწმება;
- რეალური ხარჯების მონიტორინგის კრიტერიუმი და იმის განსაზღვრა, დაიხარჯა თუ არა დაგეგმილ დროზე მეტი პროცედურის ჩატარებისთვის; და

- აუდიტის საფასურისა და ანგარიშზე გადახდების შესახებ მოლაპარაკებების საფუძველი.

ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- დეტალიზაციის დონე (ანუ საჭიროა თუ არა ბიუჯეტის ჩაშლა ინდივიდუალურ ტესტებად, სფეროებად თუ ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს ერთიანად, მთელ დავალებაზე);
- საკმარისი დროის უზრუნველყოფა დაგეგმვის, მონიტორინგის, დასრულებისა და ანალიზის პროცედურებისთვის, აგრეთვე ახალი დამკვეთებისთვის პირველადი პროცედურების შესასრულებლად (მაგალითად, საბუღალტრო სისტემის აღწერისათვის ნულიდან); და
- გაუთვალისწინებელი ფაქტორები შეიძლება იყოს რელევანტური, მაგალითად დაგეგმილი ცვლილებები (განაწილებულ) ტარიფებში.

პერსონალს უნდა ეცნობოს წარსულში ჩატარებული აუდიტის ფაქტობრივ დროის დანახარჯებსა და მიმდინარე პერიოდის აუდიტისათვის დაგეგმილი დროით დანახარჯებს შორის მნიშვნელოვანი მოსალოდნელი განსხვავებების მიზეზების შესახებ.

აუდიტის ჯგუფმა მიზნად უნდა დაისახოს ბიუჯეტის ფარგლებში ჩატევა, თუ ეს შესაძლებელია. თუმცა, ეს არ გულისხმობს, კომპრომისს აუდიტის სამუშაო სტანდარტში.

თუ აღმოჩნდება, რომ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი განსხვავებები დაგეგმილ (ბიუჯეტირებულ) და ფაქტობრივ დროებს შორის, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მენეჯერს და/ან აუდიტორული გარიგების პარტნიორს.

ეს სახელმძღვანელო არ შეიცავს ბიუჯეტის დეტალურ ფორმებს.

16.1 დროის შეჯამება

დროის ჯამური მაჩვენებელი უნდა მომზადდეს ყველა დავალებისთვის. მოხდება მთლიანობაში დახარჯული დროის შედარება დაგეგმილ ვადებთან და მნიშვნელოვანი განსხვავებების მიზეზების ახსნა-განმარტება.

უნდა მოხდეს თანამშრომლების მიერ დამკვეთის ხარვეზების გამოსწორებისათვის შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა, რათა იგი საფუძველად დაედოს დამატებით გადასახდელ თანხას, საჭიროების შემთხვევაში. რამდენადაც, ნებისმიერი დამატებითი სამუშაო უფრო საბუღალტრო სამუშაოა, ვიდრე აუდიტორული სამუშაო, არა-აუდიტორული მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს საჭირო გარანტიებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ გამოცემული ეთიკის კოდექსის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ეს სახელმძღვანელო არ შეიცავს დროის შეჯამების დეტალურ ფორმებს.

17. ბრიფინგები

აუდიტის ყველა პერსონალი ვალდებულია, დაესწროს ბრიფინგს (ასს 300, პუნქტი 5), რომელსაც ატარებს აუდიტორული გარიგების პარტნიორი ან პასუხისმგებელი მენეჯერი (თუ მათ ამის შესახებ წინასწარ აცნობა გარიგების პარტნიორმა). აღნიშნული შეხვედრის მიზნებია:

- პასუხისმგებლობების ახსნა;
- შესრულების გრაფიკებისა და საბოლოო ვადების განსაზღვრა და დაცვა;
- ყველა შესაბამისი ინფორმაციის, მათ შორის დამკვეთის პროფილისა და ძირითადი აუდიტორული და საბუღალტრო პრობლემების შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- დარწმუნება, რომ ყველა წევრი აცნობიერებს აუდიტის საერთო მიზნებს და როგორ უნდა მიიღოს საკმარისი მტკიცებულებები. იმის ილუსტრირება, თუ რამდენად შეიცვალა აუდიტორული მიდგომა წინა პერიოდებთან შედარებით, ასე, რომ არ დაიხარჯება დრო გასული წლის განმავლობაში განხორციელებული და ამჟამად არასაჭირო სამუშაოს შესრულებაზე;
- გუნდის ყველა წევრისთვის ზუსტი როლის დადგენა, რაც თანამშრომელთა პასუხისმგებლობისა და ინიციატივების დონის განსაზღვრას გულისხმობს. ასევე გულისხმობს დასრულებული სამუშაოს დონის დადგენას, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს ყველა წევრის მიერ;
- მნიშვნელოვანი პრობლემის ან ზედმეტი დანახარჯების შემთხვევაში, შესასრულებელი პროცედურების წინასწარ შემუშავება. მაგალითად, აუდიტის პერსონალმა უნდა იცოდეს, რომ აუდიტის დროს დამკვეთის სისტემების ნებისმიერი ცვლილება, შესაძლებელია, დაგეგმვის სფეროში ცვლილებების მიზეზი გახდეს. აუცილებელია, მენეჯერებს ეცნობოთ ტესტების შეუსაბამობის შესახებ დაგეგმვის შეცვლის მიზნით;
- სათუო საკითხების მოგვარება და კითხვებზე პასუხი; და
- დარწმუნება იმაში, რომ გუნდის თითოეულმა წევრმა წაიკითხა და გააცნობიერა დაგეგმვის ძირითადი დოკუმენტაცია, მათ შორის დავალებათა გეგმა, ასევე არსებობა და რისკის შეფასება (ასს 300, პუნქტი 5).

ბრიფინგები განსხვავებული იქნება სამუშაოს ზომისა და სირთულის მიხედვით. თუმცა, აუცილებელია მათი ჩატარება ყველა დავალების დროს, მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა აკისრიათ დავალებათა ეფექტური შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ბრიფინგზე დამსწრეთა ვინაობის, შეხვედრის თარიღისა და სამოქმედო გეგმის დეტალები უნდა ჩაიწეროს Ac18-ში (დანართი 1.19). (NB: თუ გარიგების ხარისხის კონტროლის შიდა მიმომხილველის (მაგრამ არა გარე მიმომხილველის) ჩართულობაა გათვალისწინებული, იდეალურ შემთხვევაში, ეს პიროვნებაც უნდა დაესწროს ბრიფინგს).

გუნდის დისკუსია თაღლითობასთან, რისკებთან და დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებით

გუნდმა უნდა განიხილოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძობელობა, თაღლითობითა და არსებითი უზუსტობებით გამოწვეული, არსებითი უზუსტობების მიმართ. ამ მსჯელობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს გუნდის ყველა წევრმა და მას ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს აუდიტორული გარიგების პარტნიორმა (თუ გუნდის წევრები არ ესწრებიან სხდომას, გაითვალისწინეთ, რომ ინსტრუქტაჟი უნდა მიაწოდოთ გუნდის ამ წევრებს (რომლებიც არ ესწრებოდნენ სხდომას)).

დანართი 1.19 შეიცავს განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს. სავალდებულოა, ყველა აღნიშნული საკითხის სათანადოდ განხილვა სხდომაზე და ასს (ასს) 240, 315 და 550 მოთხოვნების შესაბამისად ასახვა დოკუმენტებში.

18. პერსონალი

ყველა პერსონალს უნდა გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება/კომპეტენცია, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი ISQC 1, პუნქტები 30-31). რეგულირებადი კლიენტების შემთხვევაში, ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდის ყველა ან რომელიმე წევრმა ადგილზევე მიიღო ამ სახის აუდიტის გამოცდილება ან გაიარა სასწავლო კურსი. ასეთი „არასტანდარტული“ კორპორაციული ამოცანები უნდა აისახოს დავალებათა გეგმაში.

პერსონალის დაგეგმვამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ აუდიტის გუნდის ზემდგომ წევრებს გააჩნდეთ საკმარისი ზოგადი ან სასწავლო კურსიდან მიღებული გამოცდილება/კომპეტენცია, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. მაგალითად, მოქმედ ზემდგომ პიროვნებას ტრენინგი უნდა ჰქონდეს გავლილი მიმოხილვაში. დაგეგმვა ასევე უნდა ითვალისწინებდეს კლიენტის გარემოებებით ნაკარნახებ დამატებით/კონკრეტულ მოთხოვნებს. კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს გარიგების ხარისხის კონტროლის შიდა ან გარე მიმოხილვის (EQCR) საჭიროებაზე.

დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს არააუდიტორი პერსონალის, მაგალითად საგადასახადო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სანდოობა და გამოყენება. ყველა, ვისი სამუშაოც ემსახურება აუდიტის მოსაზრების ფორმირებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას, უნდა აცნობიერებდეს მის მიერ შესრულებული სამუშაო რა შედეგებს მოუტანს აუდიტს. მათ, ასევე, უნდა იცოდნენ დავალებათა სქემა და საბოლოო ვადები. დებულება არააუდიტორული მომსახურების შესახებ უნდა შეიცავდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების (IESBA) შესაბამისობაში ყოფნის აუცილებელ გარანტიებს.

უფრო ზოგადად, აუდიტორული გარიგების პარტნიორებმა და მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ იმის საჭიროება, რომ ყველა მომსახურე პერსონალს განსხვავებული, მაგრამ შესაბამისი გამოცდილება/კომპეტენცია ჰქონდეს და არ მოხდეს მათი საქმიანობის შეზღუდვა ვიწრო სფეროთი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისათვის, რომელთათვისაც არსებობს მოთხოვნები, შეიძინონ სხვადასხვა ტიპის გამოცდილება/კომპეტენცია.

19. სხვების მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება

სამუშაოს დაგეგმვისას, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს შიდა აუდიტზე, სხვა აუდიტორებზე, მომსახურე ორგანიზაციებზე ან ექსპერტებზე დაყრდნობა (მათ მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება).

19.1 შიდა აუდიტი

ასს 610-ში – „შიდა აუდიტორების სამუშაოს გათვალისწინება“ – შეჯამებულია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს დამკვეთის შიდა აუდიტის დეპარტამენტს გარიგებაზე. შიდა აუდიტის ფუნქციის გაცნობიერება/შესწავლა უნდა იყოს ბიზნესის უმაღლესი დონის შიდა კონტროლის შესახებ ცოდნის მიღების განუყოფელი ნაწილი.

დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს შიდა აუდიტის მუშაობის გავლენაზე (ასს 610, პუნქტი 8 - 10).

ასევე, უნდა მოხდეს შიდა აუდიტის ფუნქციის მუშაობის დეტალური შეფასება, თუ რაღაც დონის ნდობა იქნება მასზე მინიჭებული. შეფასება უნდა მოიცავდეს:

- შიდა აუდიტის სტატუსს ორგანიზაციაში;
- ფუნქციის გამოყენების სფეროს;

- ტექნიკურ კომპეტენციას;
- ვის წარუდგენენ ისინი ანგარიშს; და
- სათანადო პროფესიულ გულისხმიერებას.

თუ შიდა აუდიტის სპეციფიკურ სამუშაოზე დაყრდნობა ხდება და, შესაბამისად, აუდიტის სხვა სამუშაო მცირდება, უნდა მოხდეს ამ სამუშაოს ადეკვატურობის შეფასება (ასს 610, პუნქტი 11).

19.2 მთავარი აუდიტორები და სხვა აუდიტორები

მითითებები მოცემულია ასს 600-ში - „სპეციფიკური საკითხები - ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორთა სამუშაოს ჩათვლით).

ჯგუფის აუდიტორები არიან ისინი, რომლებიც ანგარიშს წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებებზე, რომლებიც მოიცავს შვილობილი, ასოცირებული, ერთობლივი საწარმოების, ფილიალების და ა. შ. ფინანსურ ინფორმაციებს, რომლებიც სხვა აუდიტორების (ცნობილი როგორც კომპონენტის აუდიტორები) მიერ იქნა აუდიტირებული. ჯგუფის აუდიტორად მოქმედების შემთხვევაში, ფირმამ, პირველ რიგში, უნდა გადაწყვიტოს, საკმარისია თუ არა მისი მონაწილეობა იმისთვის, რომ წარადგინოს დამაჯერებელი ანგარიში, როგორც ჯგუფის აუდიტორებმა.

თუ კომპონენტის აუდიტორები ანგარიშს წარადგენენ შვილობილ საწარმოებზე და ა.შ., მაშინ ჯგუფის აუდიტორებმა უნდა განიხილონ, საკმარისია თუ არა სხვა ფირმების პროფესიული კვალიფიკაცია, გამოცდილება/კომპეტენცია და რესურსები აღნიშნული დავალების მიზნის შესასრულებლად. გარდა ამისა, ჯგუფის აუდიტორებმა უნდა მოიპოვონ მტკიცებულება, თუ რა აქვთ შესრულებული კომპონენტის აუდიტორებს, რათა შეაფასონ, რამდენად ადეკვატურია მათი მუშაობა და ჯგუფის აუდიტორმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია, სპეციფიკური რისკებისა და არსებითობის დონეების თაობაზე, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული კომპონენტის აუდიტის დროს. ეს შეიძლება მოხდეს როგორც დისკუსიის, ასევე აუდიტორის კითხვარის ან სამუშაო დოკუმენტების განხილვის მეშვეობით. სასურველია, სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვა მოხდეს ნდობის გამოცხადების პირველ წელს, რათა სხვა აუდიტის პრაქტიკის ზოგად კომპეტენციას ჩაეყაროს საფუძველი. ჯგუფის აუდიტორებმა, ასევე, საჭიროა განიხილონ კომპონენტის აუდიტორების მიერ მოპოვებული მონაცემების მნიშვნელობა.

ასს 600-ში ასევე მოთხოვნილია, რომ შვილობილი კომპანიების, ასოციაციების, ერთობლივი საწარმოების, ფილიალების და ა.შ. აუდიტორებმა ითანამშრომლონ და დახმარება გაუწიონ ჯგუფის აუდიტორებს.

19.3. მომსახურე ორგანიზაციის სამუშაოს გამოყენება

მითითებები მოცემულია ასს 402-ში - „*აუდიტორული მოსაზრებები სამეურნეო სუბიექტების მიერ მომსახურე ორგანიზაციის გამოყენებაზე*“ - (ასს 402, პუნქტები 9-11). მომსახურე ორგანიზაციები ჩვეულებრივ ასრულებენ მექანიკურ ფუნქციას, როგორცაა:

- ინფორმაციის დამუშავება (მაგალითად, ბუღალტრები ან სახელფასო ბიუროები);
- რაოდენობის აღრიცხვა/დათვლა (მაგ., მარაგის დამოუკიდებელი მრიცხველები);
- აქტივების უსაფრთხო შენახვის უზრუნველყოფა (მაგალითად, ინვესტიციების დეპოზიტორი ორგანიზაცია).

ვინაიდან მომსახურე ორგანიზაციები მხოლოდ კლიენტთა ბიზნესის აუთსორსინგის ნაწილს წარმოადგენს, უნდა მოხდეს მისი, როგორც ბიზნესის შემადგენელი ნაწილის

აუდიტორული შემოწმება. თუმცა, შესაძლებელია დამოუკიდებელი ტესტირების დონის შემცირება მომსახურე ორგანიზაციების აუდიტორების მიერ შიდა კონტროლის შესახებ ანგარიშების, კერძოდ, „ტიპი 2“ ანგარიშის (ასს 402, პუნქტი 17) წარდგენის გამო.

19.4. ექსპერტის სამუშაოს გამოყენება

მითითებები მოცემულია ასს 620-ში - „აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს გამოყენება“: აუდიტორებმა შესაძლებელია, ექსპერტებს რამდენიმე მიზეზით მიმართონ:

- ძირითადი საშუალებების (ქონება, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები), საინვესტიციო ქონების, არაძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების და ა.შ შეფასება;
- სპეციალური ტექნიკისა და მეთოდების გამოყენება (მაგალითად, აქტუარული შეფასებები);
- დაუსრულებელი წარმოების შეფასება; და
- იურიდიული/სამართლებრივი მოსაზრებები.

დაგეგმვის ეტაპზე საჭიროა ექსპერტის ობიექტურობის, კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და რესურსების შეფასება (ასს 620, პუნქტი 9). ასევე საჭიროა ექსპერტთან გარიგების პირობების გადახედვა, რათა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მათი სამუშაოს მოქმედების სფერო აუდიტის მიზნებს.

ექსპერტის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მისი სამუშაოს ადეკვატურობისა და მიზანშეწონილობის აუდიტის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი განხილული უნდა იქნეს (ასს 620, პუნქტი 12). ეს გულისხმობს შემდეგი კომპონენტების გადახედვას/მიმოხილვას:

- გამოყენებული მონაცემების;
- ვარაუდებისა და გამოყენებული მეთოდების;
- მათი სამუშაოს ვადების; და
- მათი მუშაობის შედეგების, ბიზნესის ცოდნისა და აუდიტის სხვა პროცედურების შედეგების კუთხით.

თუ ექსპერტის ნამუშევარი სხვა მტკიცებულებებთან შეუსაბამოა, ნებისმიერი შეუსაბამისობა დამკვეთთან ან ექსპერტთან მსჯელობით, ან დამატებითი პროცედურების საშუალებით უნდა გადაწყდეს/მოგვარდეს (მაგალითად, განსხვავებული კვალიფიციური აზრის მიღება).

20. დაგეგმვის წერილი

დაგეგმვის პროცედურების დასრულების შემდეგ, აუდიტორი ვალდებულია გააცნოს/შეატყობინოს ძირითადი მოსაზრებები. შემდეგი საკითხები შესაბამისობაში უნდა იყოს ასს 260-თან - „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება“:

- არსებითობის კონცეფცია და როგორ იქნება იგი გამოყენებული (ასს 260, პუნქტი A13);
- აუდიტორის მიერ რისკების შეფასება (ასს 260, პუნქტი A13);
- აუდიტორის მიერ კონტროლის გარემოს შეფასება და არის თუ არა დაგეგმილი კონტროლის ტესტირება (ასს 260, პუნქტი A13);
- შიდა და სხვა აუდიტორებზე ნდობის გამოცხადება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ასს 260, პუნქტი A14);

- ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებით (IESBA) მოთხოვნილი საკითხები;
- წარსადგენი ანგარიშის ფორმატი (ასს 260, პუნქტი A9).

ყოველ საანგარიშო წელს, ამ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა დაგეგმვის წერილის გაგზავნა (ასს 260, პუნქტი 23). არსებობს რეკომენდებული პროფორმა 1.20 დანართში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს ადაპტირებული, დამკვეთს უნდა სთხოვოთ, ნებისმიერი პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს აუდიტურ კომპანიას. ოფიციალურ წერილში დამკვეთი ოფიციალურად ადასტურებს ამ წერილის მიღებას.

21. დავალებების კონტროლი

დავალებების კონტროლი დამოკიდებულია მასში მონაწილე პერსონალზე. ბალანსი უნდა იყოს დაცული, ერთი მხრივ, ხარჯების დაზოგვას შორის, რაც მიიღწევა დაბალანაზღაურებადი თანამშრომლებისათვის რაც შეიძლება მეტი წვრილი დავალების მიცემით და ნაკლებად გამოცდილი თანამშრომლების განგრძობითი პროფესიული მომზადებით, ხოლო, მეორე მხრივ, რთული ამოცანების დაკისრებით მასზე, ვისაც აქვს საკმარისი ცოდნა და აუდიტორული გარიგების პარტნიორზე, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.

როგორც არ უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა დაკომპლექტება, აუცილებელია დავალებების გადანაწილება (დელეგირება) გარიგების ეფექტურად შესრულებისათვის. აუდიტორული გარიგების პარტნიორებისა და მენეჯერების უმთავრეს როლს კი სწორედ მართვა წარმოადგენს. ნებისმიერი კომპლექსური სფერო, რომელიც საჭიროებს დეტალურ მუშაობას აუდიტორული გარიგების პარტნიორისა და მენეჯერის მხრიდან, უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი ან განსაკუთრებული წესით განხილული, თუ ის აუდიტის წარმართვისას იჩენს თავს. თუმცა, როგორც წესი, აუდიტორული გარიგების პარტნიორებმა და მენეჯერებმა არ უნდა ჩაატარონ დეტალური აუდიტორული სამუშაოები.

მენეჯერისა და აუდიტის გარიგების პარტნიორის დროს ეფექტურად გამოყენების მიზნით, თანამშრომლები სათანადოდ უნდა იყვნენ მართულები. ეს მოიცავს სათანადო ბრიფინგს, კონტროლს დავალების შესრულებისას და დავალების შემდგომი შეფასებები.

21.1. კონტროლი დავალების შესრულების პერიოდში

დავალებების შესრულებისას, მენეჯერებისა და გარიგების პარტნიორების მიერ განხორციელებული კონტროლის მოცულობა დამოკიდებულია დაგეგმვის დროს განსაზღვრულ პასუხისმგებლობის დონეებზე. თანამშრომლებს უნდა მიეცეთ საშუალება, დავალებები ზედმეტი ჩარევის გარეშე შეასრულონ (ასს 220-ე მუხლის მე-15-17 / 1 ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი, A34 პუნქტი). თუმცა, მონიტორინგის გარკვეული დონე ყოველთვის საჭირო იქნება.

მონიტორინგის ზუსტი მოცულობა დამოკიდებულია თანამშრომელთა გამოცდილებასა და იმაზე, სრულდება თუ არა დავალება სამუშაო ოფისის გარეთ. თუ თანამშრომლები დამკვეთის კუთვნილ შენობაში მუშაობენ, მნიშვნელოვანია მათთან ვიზიტების სიხშირის განსაზღვრა. თუ გუნდს ადგილზე, დავალების შესრულებისას, ეწვევიან, სასურველია, ამ დროს აუდიტის ფაილის მოკლე მიმოხილვა. ამან შეიძლება დაადგინოს ისეთი სფეროები, სადაც აუდიტის მიდგომა შეცვლას მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მენეჯერებმა, როგორც წესი, დავალების მიმოხილვა, საველე სამუშაოების ეტაპის დასრულებისას, ადგილზე უნდა აწარმოონ.

თუ წამოიჭრება სერიოზული პრობლემები, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებს უნდა შეეძლოს მენეჯერებთან დაკავშირება. ამასთან, აუცილებელია თანამშრომლების წახალისება, რათა თავად შეეცადონ, გადაჭრან ყოველდღიური პრობლემები, ვიდრე წარადგინონ შენიშვნების გრძელი ნუსხა დავალების დასასრულს. თუ საკითხები აუცილებელ განხილვას მოითხოვს, სასურველია თანამშრომლებმა პრობლემის გადაჭრის გზები გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოადგინონ.

პრობლემების, გადაწყვეტილებებისა და შეცდომების შესახებ დეტალური ინფორმაცია და დავალების დროს მიღებული სხვა გადაწყვეტილებები შენახული უნდა იყოს აუდიტის დოკუმენტის შესაბამის ნაწილში. აუდიტორული გარიგების პარტნიორებსა და მენეჯერებს ევალებათ აუდიტორული დავალების პერიოდში აუდიტის დასკვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების (და არა შეზღუდული მნიშვნელობის მქონე საკითხების ჩამონათვალი) გათვალისწინება.

დავალების შესრულების დროს, გუნდმა უნდა გამოყოს ხელმძღვანელობის ან ოფიციალურ წერილში შესატანი საკითხები ფაილის „Aa“ პუნქტში (ან მიუთითოს დანართი, სადაც ეს საკითხი არის ჩანიშნული ან განხილული). გუნდმა ასევე უნდა გამოყოს ის საკითხები, რომლებსაც შეუძლია გააუმჯობესოს ეფექტიანობა, ან მომავალში მოახდინოს გავლენა აუდიტორულ მიდგომაზე. დავალების დასასრულს კი გაიმართება სხდომა, ზემოთ ხსენებულ საკითხთა შეჯამების მიზნით (იხ. თავი 3 დამატებითი მითითებებისთვის).

21.2. შეფასებები

შეფასებები დავალების კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები 1, პარა A65). მისი მიზანია აუდიტორულ საქმიანობაში ჩართული ყველა პირისთვის განვითარებისთვის საჭირო სასწავლო საკითხებისა და სფეროების ათვისება. ამ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-3 თავში.

22. პროცედურები უფლებამონაცვლე აუდიტორული ფირმისთვის

22.1 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უფლებამონაცვლე აუდიტორთათვის

უფლებამონაცვლე აუდიტორისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა შესაძლებელია აუდიტორის შეცვლის შემთხვევაში, თუ ეს კანონით არის დაშვებული. წინამორბედ აუდიტორს შეუძლია უზრუნველყოს შესაბამის ინფორმაციასთან უფლებამონაცვლე აუდიტორის წვდომა, ამგვარი ხელმისაწვდომობის შესახებ წერილობითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

ამ მიმოხილვის მიზანია შემდეგი სამი კომპონენტი:

- უფლებამონაცვლე აუდიტორისთვის სარწმუნო გახდეს საწყისი ნაშთები (ასს 510, პუნქტი 6) და შესადარისი მონაცემები (ასს710, პუნქტი 7);
-
- აუდიტორთა ცვლილების შედეგად გამოწვეული არსებული და მოსალოდნელი რისკის შემცირება; და
- აუდიტორთა შეცვლის პროცესზე დაიხარჯოს ნაკლები სახსრები უფლებამონაცვლე აუდიტორის მიერ დამკვეთის შესახებ ინფორმაციის უფრო ეფექტურად მოპოვებით წინა აუდიტორის მუდმივი აუდიტორული ფაილის შესწავლის გზით.

გაითვალისწინეთ, წინამორბედის სამუშაო დოკუმენტაციის გათვალისწინება ვალდებულებას არ წარმოადგენს. საწყის ნაშთებსა და შესადარის ინფორმაციაში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეიცავს თუ არა უფლებამონაცვლე აუდიტორის სამუშაო დოკუმენტაცია ადეკვატურ ალტერნატიულ მტკიცებულებებს? ინფორმაციის მოთხოვნა უნდა იყოს არა მხოლოდ ზოგადინფორმაციული ხასიათის ყველა აუდიტისთვის, არამედ მაქსიმალურად დაზუსტებული/კონკრეტული.

წინამორბედები მზად უნდა იყვნენ, უზრუნველყონ ზეპირი და წერილობითი განმარტებების დროული მიწოდება, უფლებამონაცვლე აუდიტორთათვის სამუშაო დოკუმენტაციის გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით.

ინფორმაციის მოთხოვნა უნდა მოხდეს ორ აუდიტორს შორის წერილებითი ფორმით.

აუდიტის ფაილიდან შესაძლებელია ამოღებულ იქნეს შემდეგი ინფორმაცია, სანამ უფლებამონაცვლე აუდიტორებს წარედგინება:

- ხარჯების გრაფიკები;
- პერსონალის შეფასებები;
- საგადასახადო სამუშაო დოკუმენტები;
- ინფორმაცია, რომელიც დაცულია კანონის პრივილეგიით (მისი მიღება დაშვებულია დამკვეთის ნებართვით); და
- ინფორმაცია ფულის გათეთრების შესახებ და ა.შ. (ყოველთვის ამოღებული უნდა იქნეს ფაილიდან).

წინამორბედ აუდიტორს შეუძლია უარი განაცხადოს მისი სამუშაო დოკუმენტების ასლის გადაღებაზე ან სკანირებაზე. თუმცა, სამართლიანი და სასარგებლო იქნებოდა დამკვეთის საბუღალტრო ჩანაწერების ან უწყისის ამონაწერის კოპირება, სადაც ჩანს ნაშთების დეტალური ჩაშლები.

დაუშვებელია ინფორმაციის გადაცემის პროცესიდან ფინანსური სარგებლის მიღება და მხოლოდ შეზღუდული კომპენსაციის მოთხოვნა იქნება მისაღები. შესაძლო კომპენსაციის ნიმუშები მოყვანილია ქვემოთ:

- მასალის კოპირებისთვის გაწეული ხარჯები;
- არქივში შენახული დოკუმენტების მოძიებისთვის გაწეული ხარჯები; და
- დოკუმენტების მიწოდების ხარჯები.

თუ ინფორმაციის მიწოდება კანონის მოთხოვნის შესაბამისად ხდება, არ არსებობს დამკვეთების კონფიდენციალურობის ან მონაცემთა დაცვის შესახებ პრობლემის წამოჭრის საშიშროება. თუმცა, ინფორმაციის ნებაყოფლობით საფუძველზე გამოთხოვის შემთხვევაში, აუცილებელია ზემოთ ხსენებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

გარიგების წერილის ნიმუში - აუდიტის დანართი (ფასს)

(წინამდებარე დანართი უნდა მოერგოს (ადაპტირდეს) კონკრეტულ გარემოებებზე და გამოყენებულ იქნეს თანმხლებ წერილთან/კომერციულ პირობებთან ერთად, რომელიც მოცემულია პროფორმა დოკუმენტებში/ დანართი 1.1 და 1.2.. შესაძლებელია მათი ერთ წერილში გაერთიანებაც, როგორც ერთი დოკუმენტის. თუ ფირმაში ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები სხვადასხვაა, მაშინ წერილის ასლი უნდა გადაეგზავნოს ხელმძღვანელობასაც, იმისათვის, რომ გაეცნონ აუდიტორული გარიგების პირობებს).

მიაქციეთ ყურადღება, რომ წერილის შესავალი ნაწილი და პარაგრაფები 1.1, 1.3, 1.8, 1.9, 2.1, 2.2, 3.12, 3.13, 4.1 და 5.1 (როგორც ხაზგასმულია) უნდა ჩამოაყალიბოთ, დამკვეთთან დაკავშირებული კონკრეტული პირობების შესაბამისად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია – ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

წინამდებარე დანართის დანიშნულებაა, გადმოგვცეთ, რის საფუძველზე ვიმოქმედებთ როგორც თქვენი აუდიტორები, ასევე შესაფერის სფეროებში თქვენი და ჩვენი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. თქვენს საქმეებთან დაკავშირებით, ურთიერთობა გვექნება თქვენს წარმომადგენელთან ბ-ნ (ქ-ნ) (მიუთითეთ სახელი), როგორც შევთანხმდით.

1. თქვენი, როგორც დირექტორების, პასუხისმგებლობა

1.1 თქვენ, როგორც ზემოაღნიშნული ფირმის დირექტორს, გეკისრებათ პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყარ და სამართლიან წარდგენაზე (მიუთითეთ ნორმატიული აქტი, მაგ., ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად. თქვენ, როგორც დირექტორმა, არ უნდა დაამტკიცოთ ფინანსური ანგარიშგება, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ მასში დაფიქსირებული მონაცემები იძლევა უტყუარ და სამართლიან წარმოდგენას კომპანიის აქტივებზე, ვალდებულებებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალზე.

1.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თქვენ მოგეთხოვებათ:

- შეარჩიოთ შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა და შემდგომ გამოიყენოთ იგი თანმიმდევრულად;
- გააკეთოთ დასაბუთებული და გონივრული განსჯები და შეფასებები; და
- მოამზადოთ ფინანსური ანგარიშგება „ფუნქციონირებადი საწარმოს“ პრინციპებზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიზანშეუწონელია იმის დაშვება, რომ საწარმო გააგრძელებს ფუნქციონირებას.

1.3 თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოებაზე, სადაც ჯეროვანი სიზუსტითაა ასახული საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ნებისმიერი დროისათვის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და (მიუთითეთ ნორმატიული აქტი) შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე, უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის წარდგენაზე.

1.4 თქვენ ასევე გეკისრებათ პასუხისმგებლობა შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომლებიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

- 1.5 თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა კომპანიის აქტივების დაცვაზე, აგრეთვე იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც მიმართულია თაღლითობის, არაკეთილსინდისიერი და უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად და ნებისმიერი ასეთი შემთხვევის გამოვლენაზე.
- 1.6 თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა კომპანიის მიერ კანონებისა და ნორმატიული აქტების დაცვაზე, აგრეთვე იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც მიმართულია კანონებისა და ნორმატიული აქტების დარღვევის აღსაკვეთად და ნებისმიერი ასეთი შემთხვევის გამოსავლენად.
- 1.7 თქვენ ვალდებული ხართ, საჭიროების შემთხვევაში, წარმოგვიდგინოთ კომპანიის სრული ბუღალტრული ჩანაწერები და შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია, ხელმძღვანელობის და აქციონერთა (მეწილეების) კრების ოქმების ჩათვლით, რაც აუცილებელია ჩვენი სამუშაოს შესასრულებლად. ასევე ვალდებული ხართ, მოგვანიჭოთ ნებისმიერ იმ პირთან ურთიერთობის შეუზღუდავი უფლება, ვისგანაც აუდიტორული მტკიცებების მიღებას ჩავთვლით საჭიროდ მივიჩნევთ. თითოეული დირექტორი ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რომ გაეცნოს ნებისმიერ შესაბამის აუდიტორულ ინფორმაციას და უზრუნველყოს ჩვენი ინფორმირებაც.
- 1.8 [თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა, თქვენს ვებგვერდზე ან სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით გამოქვეყნებულ ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, თუ იგი არ არის ჩვენთან შეთანხმებული და დადასტურებული, იმისათვის, რომ სწორად იყოს ასახული ფინანსური ინფორმაცია და აუდიტორის ანგარიში. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი გითხრათ ჩვენი ანგარიშის ან ფინანსური ანგარიშგების ელექტრონულად გამოქვეყნებაზე, თუ იგი გამოქვეყნდება შეუფერებელი ფორმით].
- 1.9 [თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა კონტროლის უზრუნველყოფაზე, ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის მცდელობის აღკვეთის ან დროულად აღმოჩენის მიზნით. ჩვენ არ გვაკისრია ვალდებულება, გადავამოწმოთ ასეთი კონტროლი ან ვატაროთ ინფორმაციის მუდმივი მიმოხილვები მისი პირველი გამოქვეყნების შემდეგ. თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებული ინფორმაციის მთლიანობასა და შენახვაზე, ხოლო ჩვენ არ ვაგებთ პასუხს შემოწმებული ინფორმაციის პირველად გამოქვეყნების შემდეგ მასში შეტანილ ცვლილებებზე.]

2. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა

- 2.1 კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენ გვაკისრია ვალდებულება, კომპანიის წევრებს წარვუდგინოთ ანგარიში, ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, კერძოდ:
 - ა) იძლევა თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს კომპანიის საქმიანობის შესახებ საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, აგრეთვე მოგებასა და ზარალზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე დასრულებული წლისათვის;
 - ბ) მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების შესაბამისად, და
 - გ) მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება (მიეთითოს კონკრეტული კანონმდებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
- 2.2 [შეიტანეთ კანონმდებლობით მოთხოვნილი დამატებითი მოსაზრებები]

2.3 ჩვენ გავგაჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა, გაცნობით, თუ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი სტანდარტებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ წესიდან გადახრა შეიძლება მოცემული გარემოებების შესაფერისი იყოს. ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს:

- ა) თუ ასეთი გადახრა საჭიროა, ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენისათვის; და
- ბ) თუ ამ გადახრასთან დაკავშირებით გაკეთდა შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება.

2.4 ჩვენს პროფესიულ მოვალეობებში ასევე შედის:

- ა) ჩვენს ანგარიშში შევიტანოთ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით დირექტორთა პასუხისმგებლობების აღწერა, თუ ფინანსური ანგარიშგება ან თანმხლები ინფორმაცია არ შეიცავს ასეთ აღწერას; და
- ბ) განვიხილოთ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების შემცველ დოკუმენტებში სხვა ინფორმაცია შეესაბამება თუ არა ამ ფინანსურ ანგარიშგებებს.

2.5 როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კომპანიის წევრებისთვის. ჩვენი აუდიტის სამუშაოები ჩატარდება ისე, რომ შევძლოთ შევატყობინოთ კომპანიის წევრებს ის საკითხები, რაც უნდა აღვწეროთ აუდიტის ანგარიშში. ამ მოსაზრების გამოთქმისას, პასუხისმგებლობას არ ვიღებთ ჩვენს თავზე რაიმე მიზნებისთვის ან რომელიმე სხვა პირის მიმართ, რომელსაც წარედგინა ანგარიში, ან ვის ხელშიც შეიძლება მოხვდეს, გამონაკლის შემთხვევებში, როცა ეს აშკარადაა შეთანხმებული წარმომადგენლებთან წერილობითი ფორმით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ განთავისუფლებს თქვენი პასუხისმგებლობებისგან.

3. ჩვენი აუდიტის მოქმედების სფერო

3.1 აუდიტი ჩატარდება აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მომზადებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ ჯეროვანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებული ინფორმაციისა და ასახული თანხების რეალობის შესახებ, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჩასატარებელ პროცედურებს. პროცედურების შერჩევა, რომელიც მოიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებასაც, დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე. აუდიტი მოიცავს იმის შეფასებასაც, თუ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები რამდენად შესაფერისი და თანმიმდევრულად გამოყენებადია, აგრეთვე იმის შეფასებას, ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია რამდენად შეესაბამება მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლებს. ჩვენ ასევე შევაფასებთ, ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია რამდენად რელევანტური, საიმედო, შესადარისი და აღქმადია, აგრეთვე მოგაწვდით გასაჯაროებულ ინფორმაციას და შესაბამის ტერმინოლოგიას.

3.2 ტესტების ხასიათისა და აუდიტისათვის დამახასიათებელი სხვა შეზღუდვების, ასევე აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემების შეზღუდვების გამო, არსებობს გარდაუვალი საფრთხე, რომ ზოგიერთი არსებითი უზუსტობა ვერ იქნეს გამოვლენილი.

- 3.3 ჩვენ განვიხილავთ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად წარმოდგენილ ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ნებისმიერი არსებითი უზუსტობის ან შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით, ან კომპანიის ჩვენეულ შესწავლაზე დაყრდნობით. თუ ასეთი სახის შეცდომები ან უზუსტობები კვლავ უცვლელი რჩება, უნდა განვიხილოთ ჩვენს ანგარიშში შესაბამისი შესწორებების საკითხი.
- 3.4 ჩვენ ჩამოვიყალიბებთ ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემების შესახებ ჩვენს ხედვას, რათა შევავსოთ მათი შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საფუძვლის შესაქმნელად და იმის დასადგენად, კომპანიას გააჩნია თუ არა სათანადო ბუღალტრული ჩანაწერები. ჩვენ ველოდებით, მივიღოთ ისეთი მტკიცებულებები, რომლებსაც მივიჩნევთ საკმარისად გონივრული დასკვნების გამოტანისათვის.
- 3.5 ჩვენი პროცედურების ხასიათი და მოცულობა დამოკიდებული იქნება კომპანიაში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ჩვენეულ შეფასებაზე და სადაც საჭიროდ მივიჩნევთ, შესაძლოა დავეყრდნოთ შიდა კონტროლის სისტემას. ეს სისტემები შესაძლოა მოიცავდეს კომპანიის საქმიანობის ნებისმიერ ასპექტს. ჩვენი აუდიტი მიზნად არ ისახავს ყველა არსებითი ნაკლოვანების/სისუსტის გამოვლენას, მაგრამ არსებითი ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, გაცნობებთ მათ შესახებ.
- 3.6 ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენი ანგარიშის გარდა, განზარაბული გვაქვს მოგაწოდოთ ცალკე წერილი, რომელიც ეხება ჩვენ მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს საბუღალტრო და შიდა კონტროლის სისტემებში, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობისა და ინფორმაციის შეფასების და გასაჯაროების მეთოდების შესახებ. ასეთი ანგარიში არ შეიძლება მიეწოდოს მესამე პირებს, ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასეთი თანხმობა მიიღება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ასეთი ანგარიშები მომზადებული არ არის გარეშე პირების ინტერესების გათვალისწინებით და პასუხისმგებლობას ან რაიმე ვალდებულებას არ ვიღებთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩვენ არ მივიღებთ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას, ნებისმიერი სხვა მხარის წინაშე ანგარიშგებებთან დაკავშირებით.
- 3.7 სტანდარტული აუდიტორული პროცედურების ფარგლებში ვითხოვთ, თქვენგან მიღებული გარკვეული ზეპირი ინფორმაციის (რომელიც ჩვენ მივიღეთ თქვენგან აუდიტის პროცესში) წერილობით დადასტურებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც მიგითითებთ უზუსტობებზე ფინანსურ ანგარიშგებებში, მოვითხოვთ წარმოგვიდგინოთ წერილობითი დასაბუთება, რა მიზეზებით არ მოხდა ამ უზუსტობების შესწორება. აქვე შეგახსენებთ, რომ დაუდევრობით ან წინასწარი განზარაბით აუდიტორებისათვის მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება, ასევე მოთხოვნილი ინფორმაციის გათვალისწინებულ ვადებში მიუწოდებლობა, მიიჩნევა დანაშაულად.
- 3.8 იმისათვის, რომ დაგვეხმაროთ თქვენი ფინანსური ანგარიშგების შესწავლაში, გთხოვთ, გაეცნოთ ყველა საბუთს ან ანგარიშგებებს, მათ შორის თავმჯდომარის განცხადებას, ოპერაციული და ფინანსური საქმიანობის მიმოხილვას და დირექტორების ანგარიშს, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენ ასევე გვაქვს უფლება, მივიღოთ დეტალური ინფორმაცია წერილობითი გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც უნდა იყოს გავრცელებული წევრებს შორის, რომლებიც უნდა ესწრებოდნენ კომპანიის ყველა საერთო კრებას და იღებდნენ შეტყობინებას ყველა ასეთი შეკრების შესახებ.
- 3.9 თქვენ ხართ პასუხისმგებელი კომპანიის აქტივების დაცვაზე, ასევე თაღლითობის აღმოჩენისა და თავიდან არიდებისთვის, შეცდომებისა და კანონთან ან ნორმატიულ აქტთან შეუსაბამობისთვის. ჩვენ ვგეგმავთ ჩვენს რევიზიას ისე, რომ აღმოვაჩინოთ მნიშვნელოვანი უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებებში ან ბუღალტრულ ჩანაწერებში (მათ შორის, თაღლითობის შედეგად, შეცდომებს ან კანონისთვის ან ნორმატიული

აქტებისთვის თავის არიდებას). ჩვენი ექსპერტიზა არ უნდა ეფუძნებოდეს ყველა არსებითი დამახინჯების ან თაღლითობის, შეცდომების ან კანონის და წესების უგულვებელყოფის შემთხვევების აღმოჩენას, რომლებიც შეიძლება არსებობდეს.

- 3.10 ჩვენი აუდიტორული პასუხისმგებლობების მიზნებისთვის, ჩვენ არ უნდა განვიხილოდეთ, როგორც იმ ინფორმაციის საქმის კურსში მყოფები, რომელიც მიეწოდა ჩვენი კომპანიის წევრებს (ხელმძღვანელობას და პერსონალს), იმათ გარდა, ვინც აუდიტითაა დაკავებული (მაგალითად, ინფორმაცია, წამოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშთან, დაბეგვრასა და სხვა მომსახურებასთან კავშირში).
- 3.11 ანგარიშის გამოქვეყნების მერე ჩვენ არ გვაქვს არანაირი პირდაპირი პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში ამ პერიოდისთვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ველით, რომ თქვენ მოგვაწვდით ინფორმაციას, ყველა არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდება ჩვენი ანგარიშის თარიღსა და წლიურ საერთო შეკრებას შორის/ფინანსური ანგარიშგების გავრცელება წევრებს შორის, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებზე.
- 3.12 იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური ორმხრივი კომუნიკაცია ჩვენს შორის, ასევე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად, ჩვენ:
- აუდიტის დაწყებამდე დაგიკავშირდებით, რათა განვიხილოთ შესაბამისი საკითხები, აუდიტის დაგეგმილი მოქმედების სფერო და ვადები და შევთანხმდეთ ნებისმიერი აუცილებელი ქმედებები; და
 - დაგიკავშირდებით აუდიტის შემდეგ, რათა განვიხილოთ აუდიტიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხები და დავამტკიცოთ ნებისმიერი შეთანხმებული ქმედებები.
- რა თქმა უნდა, აუდიტის პროცესში უფრო ხშირად და რეგულარულად დაგიკავშირდებით აუდიტის საკითხებზე.
- 3.13 (ჩვენ გვესმის, რომ თქვენი ბიზნესის ამჟამინდელი ზომა ეკონომიკურად არაპრაქტიკულს ხდის შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, რომელიც ეფუძნება ვალდებულებების გადანაწილებას განსხვავებული ფუნქციებისთვის ბიზნესის ყველა სფეროში. ჩვენ გვესმის, რომ თქვენი ფირმის მართვაში დირექტორ(ებ)ი მჭირდროდ არიან დაკავშირებულები კომპანიის ოპერაციების კონტროლთან. ჩვენი აუდიტორული სამუშაოს დაგეგმვისა და ჩატარებისას/შესრულებისას უნდა გავითვალისწინოთ ეს ზედამხედველობა.
- 3.14 (კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შედის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (მშობელი კომპანიის სახელი), რეგისტრირებული კომპანია (დასახელება). აუდიტის სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ მშობელი კომპანიის აუდიტორებთან და მივაწოდოთ მათ გარკვეული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს აუდიტთან ამ კომპანიაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული მიზნებისთვის. თქვენ ეთანხმებით იმას, რომ შეგვიძლია ვაწარმოოთ მიმოწერა მშობელი კომპანიის აუდიტორებთან და მათ საფუძვლიან მოთხოვნაზე მივაწოდოთ ინფორმაცია (რომელიც შეიძლება მოიცავდეს წვდომას ჩვენს სამუშაო საბუთებთან) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, თქვენგან დამატებითი უფლებამოსილების გარეშე.)

4. გარიგებიდან გასვლის პროცედურები

(დაურთეთ დეტალური ინფორმაცია ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით, რომელიც მოთხოვნილია კანონით აუდიტის შეწყვეტის დროს).

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ აღარ ვიქნებით თქვენი კომპანიის სავალდებულო აუდიტორები, ვალდებულები ვართ, კომპანიის აუდიტთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია მოთხოვნისთანავე მივაწოდოთ უფლებამონაცვლე აუდიტორებს. თქვენ ეთანხმებით დაფაროთ, ამ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გონივრული ხარჯი, რომელიც შეიძლება გავწიოთ ჩვენი მოვალეობის შესრულებისას.

5. პირობების შეთანხმება

5.1 ჩვენი, როგორც სავალდებულო აუდიტორების, გარიგება დაიწყება კომპანიის საანგარიშგებო პერიოდიდან, რომელიც დასრულდება (მიუთითეთ თარიღი). ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიღებთ წინა საანგარიშგებო პერიოდებზე.

ან [ჩვენი, როგორც სავალდებულო აუდიტორების, გარიგება დაიწყება კომპანიის საანგარიშგებო პერიოდიდან, რომელიც დასრულდება (მიუთითეთ თარიღი). (წინა საანგარიშგებო პერიოდებში ჩატარებული არ იყო კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი] [ეს არის კომპანიის იურიდიული რეგისტრაციიდან პირველი ფინანსური ანგარიშგება] და, შესაბამისად, ეს არის პირველი აუდიტორული გარიგება].

ან [ეს არის აუდიტორული გარიგების გაგრძელება და წერილი ცვლის ჩვენს წინა გარიგების წერილს (მიუთითეთ თარიღი)].

**გარიგების წერილის ნიმუში - კომპანიის ფინანსური
ანგარიშგების მომზადება აუდიტის კლიენტებისთვის**
გაითვალისწინეთ, რომ პარაგრაფი 1.3 საჭიროებს ადაპტირებას
თუ გაწეულია ბუღალტრული მომსახურება, დარწმუნდით,
რომ დანართი 1.5 არის შესრულებული

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია - ფინანსური ანგარიშგების მომზადება, აუდიტის შესრულებისას

1. **თქვენი, როგორც დირექტორების პასუხისმგებლობები**
 - 1.1 თქვენ მიზნად დაისახეთ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადოთ, როგორც და როდესაც საჭირო იქნება, ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის, მართვის შეხვედრების ოქმების ჩათვლით, რომელიც გვჭირდება, რათა შევასრულოთ ჩვენი სამუშაო. თქვენ მოგვაწვდით ყველა ინფორმაციას და განმარტებას, რომელიც დაკავშირებულია ბუღალტრული ჩანაწერების მიზანთან და კომპილაციასთან და თქვენ სრულად გაასაჯაროებთ ყველა შესაბამის ინფორმაციას.
 - 1.2 თქვენ ხართ პასუხისმგებელი, უზრუნველყოთ, თქვენი ცოდნისა და რწმენის შესაბამისად, კომპანიის მიერ საბუღალტრო ჩანაწერებისთვის გამოყენებული ფინანსური ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული. თქვენ, ასევე, პასუხისმგებელი ხართ, უზრუნველყოთ, რომ კომპანიის საქმიანობები ჩატარებულია პატიოსნად და დაიცვათ ბიზნესის ქონება (აქტივები), ასევე მიიღოთ მიზანშეწონილი ზომები, რათა აღმოაჩინოთ თაღლითობა და სხვა დარღვევები და მოახდინოთ მათი პრევენცია.

1.3 თანახმანი ხართ, რომ თქვენი პერსონალი:

- (ა) შეინახავს ქვითრებისა და გადახდების ჩანაწერებს;
- (ბ) ყოველთვიურად შეაჯერებს ბანკის ნაშთებს ბანკის უწყისებთან;
- (გ) შეიტანს და დააბალანსებს მონაცემებს ყიდვა-გაყიდვის მთავარ წიგნში;
- (დ) ამოიღებს მთავარი წიგნის დეტალურ სიას; და
- (ე) [მოამზადებს ყოველწლიურ მარაგის დათვლის დეტალებს, შესაფერისად შეფასებული და გავრცობილი ისე, რომ ადვილად შევძლოთ ფასების გადამოწმება მომწოდებლის ინვოისებთან მიმართებაში] [მოგვაწოდოთ შეფასების ასლი, რომელიც შექმნილია თქვენი დამოუკიდებელი მარაგის მრიცხველების მიერ]; და
- (ვ) მოამზადებს დაუმთავრებელი წარმოების დეტალებს სააღრიცხვო თარიღისთვის და ხელმისაწვდომს გახდის ჩვენთვის იმ დოკუმენტებსა და სხვა ინფორმაციას, რომლიდანაც ეს ინფორმაცია არის კომპილირებული.

2. ჩვენი, როგორც ბუღალტრების, პასუხისმგებლობებია

2.1 შეთანხმებულია, რომ შევასრულებთ შემდგომ საბუღალტრო მომსახურებებს:

- (ა) გავაკეთებთ კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერების აღწერას, რამდენადაც არასრული იყო ის, როდესაც ჩვენ მოგვაწოდეს;
- (ბ) დავასრულებთ ჩანაწერების შეტანას ნომინალურ საბუღალტრო წიგნში; და
- (გ) მოვამზადებთ სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებებს თქვენ მიერ დასადასტურებლად.

დამკვეთი:

პერიოდი:

აუდიტის ფაილის მოწყობის საკონტროლო დოკუმენტი

აღნიშნული ცხრილი წარმოადგენს შევსების არასავალდებულო ფორმას, რომელიც შედგენილია დაგეგმის ეტაპზე აუდიტის ფაილის სწორი მოწყობის უზრუნველსაყოფად.

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმ- ძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ ივსება
Aa1	აუდიტის საკონტროლო ჩანაწერი.	დან. 3.1	
Aa2	სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები.	დან. 3.2	
Aa3a	შემდგომი მოვლენების აღმწერი საკონტროლო კითხვარი.	დან. 3.3	
Aa3b	ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კით- ხვარი.	დან. 3.4	
Aa5b	ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ცხრილი.	დან. 3.6.2	
Aa7	ასს შესაბამისობის შესახებ კრიტიკული საკით- ხების მემორანდუმი.	დან. 3.7	
Aa10	ზოგადი ანალიზური მიმოხილვა.	დან. 3.8	
Aa11	დაუკორექტირებელი შეცდომებისა და დამ- კვეთის ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი ცვლილებების შემაჯამებელი ანგარიში.	დან. 3.10	
Ab1	ფინანსური ანგარიშგების კრიტიკული მიმო- ხილვა.	დან. 3.13	
Ab2	გათავისუფლების უფლება.	დან. 1.4	
Ab3	ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებული ინფორმაცია და შესაბამისობის ყოველწლიური საკონტროლო კითხვარი.	დან. 3.14	
Ab4	კომპანიის ფინანსური ანგარიშგება და ფასს-ის გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი.	დან. 3.15 დან. 3.15.1 / 3.15.2 / 3.15.3 / 3.15.4 / 3.15.5 / 3.15.6 (დამატებითი)	
Ac2	აუდიტორის რეგულაციების საკონტროლო კითხვარი.	დან. 1.3	
Ac3	არააუდიტორული მომსახურების მიწოდების სა- კონტროლო კითხვარი.	დან. 1.5	
Ac4	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული ზოგადი საკითხები.	წინა პერიოდის აუდიტორული ფაილი (Aa2)	

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმ- ძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ იკვება
Ac5	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული ფინანსური ანგარიშგების საკითხები.	წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერილი ასლი	
Ac6	წინა წელს სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები - მენეჯმენტის წერილი.	(Aa5) წინა პერიოდის აუდიტორული ფაილი	
Ac7	მუდმივი ფაილის საკონტროლო კითხვარი.	დან. 1.6	
Ac8/1	დაგეგმვის წინასწარი პროცედურები - დამკვეთის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.	დან. 1.9	
Ac8/2	ბუღალტრული აღრიცხვის შეფასება.	დან. 1.7	
Ac9	წინასწარი ანალიზური პროცედურები.	დან. 1.10	
Ac10	რისკის შეჯამება და თანდაყოლილი ბიზნეს რისკისა და კონტროლის გარემოს შეფასება.	დან. 1.11.1 ან დან. 1.11.2 (თუკი საჭიროა აღწერილობითი მიდგომის გამოყენება)	
Ac11	თანდაყოლილი რისკის შეფასება – სპეციფიკური სფეროები.	დან. 1.12	
Ac12	კონტროლის რისკის შეფასება – სპეციფიკური სფეროები.	დან. 1.13	
Ac13	არსებითობის შეფასება.	დან. 1.15	
Ac14	დავალეების გეგმა.	დან. 1.16	
Ac15	შერჩევის მოცულობა/აუდიტორული მიდგომა.	დან. 1.17	
Ac16	გამოსაყენებელი შემთხვევითი რიცხვების ცხრილის ამონაბეჭდი.	დან. 1.18	
Ac18	თანამშრომელთა ბრიფინგები (ინსტრუქტაჟი).	დან. 1.19	
B2	არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები და გუდვილი - ძირითადი ტესტები.	დან. 2.1	
C2	ძირითადი საშუალებები - ძირითადი ტესტები.	დან. 2.2	
D/G2	ინვესტიციები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.3	
E2	მარაგები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.4.1 / 2 / 3 / 4	
F2	დებიტორული დავალიანება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.5	
F9	დებიტორული დავალიანების დადასტურება – შედეგების შეჯამება.	პროფორმა დან. 5	
H2	ფულადი სახსრები ბანკში და ხელზე – ძირითადი ტესტები.	დან. 2.6	

დანართის ნომერი ფაილში	დოკუმენტის სახელწოდება	დანართის ნომერი სახელმ- ძღვანელოში	არის ფორმა ფაილში? დიახ/არა/არ ივსება
I2	კრედიტორული დავალიანება – ძირითადი ტესტები.	დან. 2.7	
J2	დაბეგვრა – ძირითადი ტესტები.	დან. 2.8	
K2	დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.9	
L2	ანარიცხები და გაუთვალისწინებელი ხარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.10	
M2	სააქციო კაპიტალი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.11	
N2	კაპიტალის ვალდებულებები, კანონი და რეგულაციები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.12	
O2	შემოსავლები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.13	
P2	პირდაპირი ხარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.14	
Q2	სხვა შემოსავალი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.15	
R2	ხარჯები – ძირითადი ტესტები.	დან. 2.16 და 2.17	
S2	ინფორმაციის სავალდებულო გასაჯაროება/გახსნა – ძირითადი ტესტები.	დან. 2.18.1 /2 /3 /4	
U2	ნომინალური ბუღალტრული წიგნი – ძირითადი ტესტები.	დან. 2.19.1 / 2 / 3	

ძირითადი შესრულება

განვიხილე მოცემული ფორმები და მოვარგე სამეურნეო სუბიექტის პირობებს.

ხელმოწერა:

თარიღი:

ხელმძღვანელის განხილვა

განვიხილე შევსებული ფორმები და მიმაჩნია, რომ ისინი აკმაყოფილებს სამეურნეო სუბიექტის პირობებს.

ხელმოწერა:

თარიღი:

დამკვეთი:

პერიოდი:

აუდიტორთა რეგულაციის საკონტროლო კითხვარი

წინამდებარე ფორმა უნდა შეივსოს აუდიტორული გარიგების პარტნიორის (A.E.P.) მიერ აუდიტორულ ფაილზე ნებისმიერი სახის საქმიანობის წამოწყებამდე

ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, აუდიტორული ან ნებისმიერი ქსელური ფირმის შემთხვევაში, საჭიროა შემდეგი საკითხების სრულყოფილად განხილვა: დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, სხვა დამკვეთებთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, ეკონომიკური დამოკიდებულება, ტრასტები, მარეგულირებელ ორგანოებთან დაკავშირებული საკითხები, დამკვეთისთვის მომსახურების გაწევის უნარი, დამკვეთისთვის სხვა მომსახურებები და კეთილგანწყობა. დამატებითი მითითებები მოცემულია კანონმდებლობასა და ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ეთიკის კოდექსში.

ყველა დადებითი პასუხი სრულად უნდა აიხსნას იმ გარანტიების მითითებით, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დავეთანხმოთ/გავაგრძელოთ გარიგებაში შესვლა.

ეთიკის პარტნიორთან საჭიროა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და ამ განხილვის დეტალების აუდიტორულ ფაილში დოკუმენტებით დასაბუთება.

ტერმინების განმარტებები მოცემულია დოკუმენტის ბოლოს.

1. ხომ არ არის გარიგების ჯერ კიდევ შეუთანხმებელი პირობები?
თუ შემდეგი ფაქტორებიდან რომელიმე დაკავშირებულია აღნიშნულ აუდიტორულ დავალებასთან, მაშინ საჭიროა გარიგების შესახებ ახალი წერილის შედგენა:
 - ზემდგომი ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი ცვლილებები;
 - მნიშვნელოვანი ცვლილებები მფლობელებში;
 - ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებში ცვლილებების შეტანა, რომელთა მიღება მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში; ან
 - საანგარიშგებო მოთხოვნებში ცვლილებების შეტანა.
2. *კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ფირმის დაჩქარებული როტაციის კრიტერიუმებს - იმუშავა თუ არა აუდიტორული გარიგების პარტნიორმა ან სხვა მთავარმა აუდიტორებმა ზედიზედ [რიცხვი], ან უფრო მეტი წლის განმავლობაში?*
ყველა სხვა კლიენტი - იმუშავა თუ არა აუდიტორული გარიგების პარტნიორმა ან სხვა მთავარმა აუდიტორებმა ზედიზედ 10 წლის განმავლობაში?

დიახ/არა	კომენტარები

3. შეუერთდა თუ არა პარტნიორი (მათ შორის, გარიგების პარტნიორი და გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი) დამკვეთს საკვანძო ხელმძღვანელ თანამდებობაზე და გავიდა თუ არა ორ წელზე ნაკლები ბოლო აუდიტის ჩატარების მომენტიდან, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ?

იმ შემთხვევაში, თუ ფირმა დააპირებს გარიგების გაგრძელებას, საჭიროა, ყურადღებით განხილულ იქნეს, რამდენად შესაფერისია აღნიშნული ქმედებების მსვლელობის პროცესი და მისი მკაფიო დასაბუთება.

4. გადააჭარბებს თუ არა დამკვეთიდან ან ჯგუფიდან (თუ ის ჯგუფის ნაწილია), მიღებული პერიოდული შემოსავლები პრაქტიკის მთლიანი შემოსავლების 10%?

შენიშვნა: აღნიშნული ლიმიტი არ არის დადგენილი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ეთიკის კოდექსში, თუმცა რეკომენდებულია სხვადასხვა აუდიტის რეგულატორების მიერ მსოფლიო მასშტაბით. დაწესებული ზღვრის გადამეტების შემთხვევაში, საჭიროა, მკაფიოდ დოკუმენტებით დასაბუთება, თუ რატომ არის კვლავ მართებული ფირმის აუდიტორის სახით მოქმედება.

5. არსებობს თუ არა გადაუხდელი თანხები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება ნორმალურ საკრედიტო პირობებს?

N.B.: თუ გადაუხდელი თანხები აღემატება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, დაასაბუთეთ ვადაგადაცილების აღნიშნული პერიოდი.

საჭიროა, აგრეთვე ყურადღება მიექცეს დაუმთავრებელ წარმოებას, სადაც მოხდა ბილინგის ვადის გადაწევა - დაასაბუთეთ აღნიშნული თანხა და პერიოდი.

6. ხომ არ არის წინა აუდიტის ანაზღაურების თანხა და ასევე გადახდის პირობები ჯერ კიდევ შეუთანხმებელი?

7. მოხდა თუ არა რაიმე სახის გაუთვალისწინებელი საზღაურის შეთანხმება რომელიმე მომსახურებებთან დაკავშირებით?

N.B.: აუდიტორული სამუშაო და არააუდიტორული მომსახურების წარმოება შეუძლებელია წინასწარ გაუთვალისწინებელი ანაზღაურების საფუძველზე, თუკი გაუთვალისწინებელი ანაზღაურების ოდენობა არსებითია ფირმისათვის, ან არააუდიტორული მომსახურების შედეგები დამოკიდებულია მომავალ აუდიტორულ განსჯაზე. საგადასახადო მომსახურებების განხორციელება შეუძლებელია პირობითი საზღაურის საფუძველზე, სადაც საზღაური ემყარება საგადასახადო

დიახ/არა	კომენტარები

კანონმდებლობის შემოთავაზებულ გამოყენებას, რომელიც გაურკვეველია, ან არ არის დადგენილი.

8. მოქმედებს თუ არა აუდიტური ან ნებისმიერი ქსელური ფირმა კომპანიის მდივნის ან დირექტორის სახით აუდიტის დამკვეთისთვის ან მეკავშირე საწარმოსთვის?

N.B.: დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეუძლებელია რაიმე სახის გარანტიის გამოყენება აუდიტის საწარმოებლად.

9. მოქმედებს თუ არა აუდიტორული ან ქსელური ფირმის რომელიმე პარტნიორი, კომპანიასთან ან მეკავშირე საწარმოსთან მიმართებაში, როგორც კომპანიის მდივანი ან დირექტორი, ოფიციალურ ან არაოფიციალურ დონეზე?

N.B.: დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეუძლებელია რაიმე სახის გარანტიის გამოყენება აუდიტის საწარმოებლად.

10. აქვს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირს (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) დამკვეთის აქციები ან სხვა წილი დამკვეთის კომპანიაში?

11. არის თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირი (ან მისი ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი) ტრასტის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ფლობს აქციებს დამკვეთის კომპანიაში?

12. არსებობს თუ არა რაიმე სახის სესხი ან ფინანსური შეთანხმება აუდიტზე გავლენის მქონე პირსა (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) და დამკვეთს შორის?

13. ყიდულობს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირი (ან მისი ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი) საქონელსა და მომსახურებას დამკვეთისგან ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას, როცა შესყიდვის ღირებულება არსებითია ორივე მხარისათვის?

14. აქვს თუ არა აუდიტზე გავლენის მქონე პირს (ან მის ახლო ნათესავს ან ოჯახის წევრს) ახლო ოჯახური ან პირადი ურთიერთობები დამკვეთთან?

15. ვფლობთ თუ არა ინფორმაციას, ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ?

16. გვაქვს ან გვემუქრება თუ არა რაიმე სახის სასამართლო პროცესი დამკვეთთან?

N.B.: თუ დიახ, მაშინ აუდიტურ ფირმას არ შეუძლია გარიგებაში მონაწილეობა.

17. მივიღეთ თუ არა ჩვენ, ან აუდიტზე გავლენის მქონე სხვა პირმა, საჩუქრები ან გამასპინძლება დამკვეთისგან, ფირმის დასაშვები კრიტერიუმების გადამეტებით?

დიახ/არა	კომენტარები

18. ვმოქმედებთ თუ არა ჩვენ ჯგუფის მშობელი საწარმოსთვის, რომლისთვისაც ვამზადებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, სადაც ვმუშაობთ ჯგუფის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილისთვის?
N.B.: თუ დიახ, მაშინ აუდიტურმა ფირმამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს გარიგებაში.
19. არის თუ არა რაიმე სახის მითითება იმაზე, რომ დირექტორებს შეუძლიათ დააწესონ მოქმედების სფეროს შეზღუდვა, რაც გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოცემულ აუდიტორულ მოსაზრებაზე უარის თქმას (ასს 705.13 (b) (i))?
N.B.: თუ დიახ, მაშინ აუდიტური ფირმა ვერ მიიღებს გარიგებაში მონაწილეობას.
N.B. 2: თუ წინა პერიოდების განმავლობაში მოსაზრებაზე უარი ეთქვა მოქმედების სფეროზე დაწესებული შეზღუდვების გამო (მიუხედავად იმისა, მოქმედებდა თუ არა ფირმა აუდიტორის სახით აღნიშნულ პერიოდში), აუცილებელია, დირექტორთა ოფიციალური წერილობითი განცხადების მიღება იმის თაობაზე, რომ ამგვარი სიტუაცია წელს აღარ განმეორდება. გარდა ამისა, ეს საკითხი სრულად უნდა განიხილოს ეთიკის პარტნიორთან.
20. გვაქვს თუ არა სათანადო ტექნიკური ცოდნა/კომპეტენცია და მხარდაჭერა, ან სხვა რესურსები აღნიშნული გარიგების საწარმოებლად?
21. გამოიწვია თუ არა მფლობელების, დირექტორებისა და ხელმძღვანელობის პატიოსნების შეფასებამ რაიმე სახის შეშფოთება?
22. აქვს თუ არა ფირმას გაწეული დამკვეთისათვის ნებისმიერი სახის შეფასებითი მომსახურება (მათ შორის, სამართალწარმოების მხარდაჭერისა და აქტუარული მომსახურებების), რომელიც კრძალავს აუდიტის ჩატარებას?
N.B.: შეფასებითი სამსახურის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის არაარსებითია, ან არასაგნობრივია ფინანსური ანგარიშგების მიმართ.
23. გაუწია თუ არა ფირმამ რაიმე სახის აკრძალული მომსახურება სამეურნეო სუბიექტს, რომელიც შეძენილი იქნა აუდიტის დამკვეთის მიერ ახლო წარსულში?
N.B.: ფირმას აქვს არა უმეტეს სამი თვისა შეძენის მომენტიდან, რათა აღმოფხვრას ის საფრთხეები, რომლებსაც შეუძლია დამოუკიდებლობის შერყევა.
24. შეავსეთ ფორმა Ac3 (დან. 1.5) – არააუდიტორული მომსახურების გაწევა აუდიტის დამკვეთებისთვის ყველა იმ არააუდიტორული მომსახურებისთვის, რომელიც უნდა უზრუნველყოს ფირმამ, ან ნებისმიერმა

დიახ/არა	კომენტარები

ქსელურმა ფირმამ ან მეკავშირე საწარმომ. ახდენს თუ არა აღნიშნული მომსახურებებიდან რომელიმე ზემოქმედებას ჩვენს, როგორც დამკვეთის აუდიტორების, მომსახურებაზე?

25. ცნობილია თუ არა ჩვენთვის სხვა ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს დამოუკიდებლობაზე ან სხვაგვარად მიუთითონ იმაზე, რომ არ უნდა შევიდეთ გარიგებაში.

მაგალითად, ეს შეიძლება შეიცავდეს სიტუაციას, როცა ბოლო ორი წლის განმავლობაში დამკვეთთან მომუშავე პირმა მუშაობა დაიწყო აუდიტურ ფირმაში.

26. დააყენებს თუ არა ობიექტური, გონივრული და ინფორმირებული მესამე მხარე ფირმის პატიოსნებას, ობიექტურობას ან დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ ინდივიდუალურ და კუმულაციურ საფუძველზე, საფრთხეების საერთო შეფასებაზე დაყრდნობით? თუ დიახ, მაშინ ფირმა არ უნდა მოქმედებდეს აუდიტორის სახით.

დიახ/არა	კომენტარები

აუდიტორული გარიგების პარტნიორის სახელი, რომელსაც კავშირი არა აქვს მოცემულ დავალებასთან და რომლისთვისაც თანამშრომლებს შეუძლიათ ნებისმიერი სახის უკმაყოფილების გამოთქმა, აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებით: _____

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები და ხელმძღვანელობა

ასს 260/265 მოითხოვს სხვადასხვა საკითხის ცალ-ცალკე განხილვას მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან და ხელმძღვანელობასთან. იმ შემთხვევაში, როცა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები და ხელმძღვანელობა ერთი და იგივე ადამიანები არიან (მაგალითად, ყველა საკითხის მოგვარება ხდება მხოლოდ კომპანიის დირექტორების მიერ), საჭირო არ არის ამ საკითხების ორჯერ განხილვა.

[ან]

დირექტორები აქტიურად არიან ჩართულნი სამეურნეო სუბიექტის ყოველდღიურ ოპერაციებში და ამიტომაც განიხილებიან როგორც ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

ინფორმირებული ხელმძღვანელობის დასახელება:.....

დაასაბუთეთ, რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი ინფორმირებულ ხელმძღვანელობად:

.....

ინფორმირებული ხელმძღვანელობა არის „სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის (ან უფროსი თანამშრომლის) წევრი, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე გარიგებასთან და აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა დამოუკიდებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად არააუდიტორულ/დამატებით მომსახურებებთან დაკავშირებით, ფირმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე“.

აუდიტისთვის ჩვენი პირველადი დონის კონტაქტია (იმ შემთხვევაში, თუ ინფორმირებული ხელმძღვანელობა განსხვავებულია):

.....

[ან]

დირექტორები არ არიან აქტიურად ჩართულნი სამეურნეო სუბიექტის ყოველდღიურ ოპერაციებში და ამ მიზეზით განიხილებიან, როგორც მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლება გადაეცა: -----

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებიდან ჩვენი პირველადი დონის კონტაქტია: ----

ხელმძღვანელი გუნდის ფარგლებში ჩვენი პირველადი დონის კონტაქტია:

ინფორმირებული ხელმძღვანელობის დასახელება:

დაასაბუთეთ, რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი ინფორმირებულ ხელმძღვანელობად:

.....
.....

გარკვეული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან და ხელმძღვანელობასთან. ამ ორმაგ კომუნიკაციას დაადასტურებს შემდეგი დოკუმენტები:

- გარიგების წერილი;
- დაგეგმვის წინასწარი პროცედურები;
- დაგეგმვის წერილი;
- ოფიციალური წერილი;
- ხელმძღვანელობის წერილი.

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა:

გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა საჭიროა ყველა აუდიტის შემთხვევაში, სადაც

- გათვალისწინებულია ფირმის მიმოხილვის კრიტერიუმები (იხ. გვერდი 8);
- აუდიტორული გარიგების პარტნიორს მიაჩნია, რომ მიმოხილვის ჩატარება აუცილებელია; ან
- ის მოთხოვნილია გარანტიის სახით იმ საფრთხეებთან საბრძოლველად, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა, ფირმის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. მისი გათვალისწინება საჭიროა ყველა სახის დავალების შემთხვევაში, რომლის დროსაც ხდება არააუდიტორული მომსახურებების გაწევა.

გაითვალისწინეთ, რომ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა უნდა დაინიშნოს ფირმის ეთიკის პარტნიორის და არა აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ. აუდიტორული გარიგების პარტნიორი დავალების შესრულებისას უნდა ერიდებოდეს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველთან ზედმეტ კონსულტაციებს, ვინაიდან ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს მიმოხილველის მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. გადამეტებული კონსულტაციების შემთხვევაში, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველი უნდა შეიცვალოს.

- * გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა არ არის საჭირო.
- * გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა საჭიროა და მას შეასრულებს
- * იმ შემთხვევაში, თუ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვას ასრულებს გარე მიმოხილველი, მიუთითეთ ორგანიზაცია, რომელშიც იგი მუშაობს

* საჭიროების შემთხვევაში, წაშალეთ

<p>გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მიზეზი (თუ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა შესრულდა წინა პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მიმდინარე პერიოდში ეს არ მომხდარა, აუცილებელია, ამ გადაწყვეტილების დასაბუთება).</p>
<p>გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მასშტაბი (ასს 220.20):</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აუდიტორული გარიგების პარტნიორთან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა; ➤ ფინანსური ანგარიშგებისა და შემოთავაზებული აუდიტორული ანგარიშის მიმოხილვა; ➤ შერჩეული აუდიტორული დოკუმენტაციის მიმოხილვა, რომელიც ეხება გარიგების გუნდის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და გამოტანილ დასკვნებს; და ➤ აუდიტორული ანგარიშის ფორმულირებისას გამოტანილი დასკვნების შეფასება და შემოთავაზებული ანგარიშის შესაფერისობის განსაზღვრა.

გარიგებაში შესვლის უფლებამოსილება:

დავასრულე წინამდებარე საკონტროლო კითხვარის შევსება, და *მიმაჩნია/*არ მიმაჩნია, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, პატიოსნება და ობიექტურობა არის საფრთხის ქვეშ, და მიმაჩნია, რომ *შეგვიძლია შევიდეთ/ *შეგვიძლია დასაბუთებული გარანტიებით შევიდეთ / *არ შეგვიძლია შევიდეთ გარიგებაში.

საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდა შესაბამისი კონსულტაციები ეთიკის პარტნიორთან, რაც დასაბუთებულია_____.

ხელმოწერა: _____ (აუდიტორული გარიგების პარტნიორი)

თარიღი: _____

საჭიროების შემთხვევაში:

ხელმოწერა: _____ (გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი:)

თარიღი: _____

1. დადებითი პასუხის შემთხვევაში, საჭიროა, ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელება:
 1. ხდება აუდიტორული გარიგების პარტნიორის როტაცია და მის მაგივრად ინიშნება აუდიტორული გარიგების სხვა პარტნიორი, რომელსაც ბოლო დროის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია კონკრეტული დამკვეთის აუდიტში;
 2. აუდიტორული გარიგების დამატებითი პარტნიორი, რომელიც ბოლო ხნის განმავლობაში იყო გარიგების გუნდის წევრი, აწარმოებს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვას;
 3. აუდიტორული ფაილი ექვემდებარება გარიგების ხარისხის კონტროლის გარე მიმომხილვას; ან
 4. დაგეგმვის წერილში დამკვეთის ინფორმირება, ხანგრძლივი ასოცირების წესის დარღვევისა და სტანდარტის მიერ შემოთავაზებული გარანტიების განუხორციელებლობის შესახებ. დოკუმენტურად დაასაბუთეთ ნებისმიერი სახის არსებული გარანტიები.
2. წინამდებარე ფორმის ხელმოწერის ალტერნატივის სახით, მისაღებია მისი ჯვარედინი დადასტურება გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის დასკვნით, რომელმაც განიხილა დავალების დაგეგმვის ეტაპი.

ტერმინების განმარტებები:

<p>ახლო ნათესავები:</p>	<p>დამოუკიდებელი მშობელი, შვილი ან დედმამიშვილები.</p>
<p>გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი (EQCR)</p>	<p>პარტნიორი, ფირმაში მომუშავე სხვა პირი, სათანადოდ კვალიფიცირებული გარე პირი, ან ასეთი პირებისგან შედგენილი გუნდი, რომელთაგან არც ერთი არ მიეკუთვნება გარიგების გუნდს, გააჩნია საკმარისი და შესაბამისი გამოცდილება და უფლებამოსილება გარიგების გუნდის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და ანგარიშის შედგენის პროცესში გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასებისთვის.</p>
<p>ოჯახის წევრები</p>	<p>მეუღლე (ან შემცვლელი), ან კმაყოფაზე მყოფი.</p>
<p>ძირითადი ხელმძღვანელის თანამდებობა</p>	<p>სამეურნეო სუბიექტში არსებული ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია გარიგებასთან და მოითხოვს პასუხისმგებლობას ხელმძღვანელობის ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიმართ აუდიტირებულ სუბიექტში, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე ზემოქმედების უნარი და აუდიტირებული სუბიექტის შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომზადება. ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობას აგრეთვე განაპირობებს საკონტრაქტო და ფაქტობრივი შეთანხმება, რომელიც რეალურად ანიჭებს პირს უფლებით მიიღოს მონაწილეობა მმართველობითი ფუნქციის აღსრულებაში სხვა გზით (მაგალითად, საკონსულტაციო კონტრაქტის საშუალებით).</p>
<p>გარიგებაში ჩართული საკვანძო პარტნიორი</p>	<p>გარიგების გუნდში მომუშავე პარტნიორი ან სხვა პიროვნება (გარდა გარიგების პარტნიორისა ან გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველისა), რომელიც, ან:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩართულია ჯგუფურ დონეზე და პასუხს აგებს გარიგების საკვანძო ასპექტებზე, მათ შორის, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან რისკის ფაქტორებზე, რომლებიც უკავშირდება ამ სუბიექტში მიმდინარე გარიგებას; ან ➤ უპირველეს ყოვლისა, პასუხს აგებს გარიგების სამუშაოზე, რომელიც სრულდება სამეურნეო სუბიექტის მნიშვნელოვან ფილიალთან, განყოფილებასთან ან ფუნქციასთან დაკავშირებით.
<p>ქსელური ფირმა:</p>	<p>ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც არის უფრო დიდი სტრუქტურის ნაწილი და მიზნად ისახავს თანამშრომლობას და:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) კონტროლდება აუდიტური ფირმის მიერ; ან (ii) ექვემდებარება საერთო კონტროლს, მფლობელობას ან ხელმძღვანელობას; ან (iii) არის უფრო დიდი სტრუქტურის ნაწილი, რომელიც ცალსახად მიზნად ისახავს მოგების ან ხარჯების განაწილებას; ან (iv) სხვაგვარად აფილირებულია ან ასოცირებულია აუდიტურ ფირმასთან საერთო პოლიტიკისა და პროცედურების, საერთო ბიზნესსტრატეგიის, საერთო სახელწოდების გამოყენების გზით, ან მნიშვნელოვანი საერთო პროფესიონალური რესურსების მეშვეობით.

სცენარები, რომელთა შემთხვევაში საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა

<p>კრიტერიუმები, რომელთა შემთხვევაში საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნებისმიერი დამკვეთი, რომლის შემთხვევაში საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა ფირმის მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ➤ ნებისმიერი დამკვეთი, რომლის შემთხვევაში საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. ➤ ფირმის მიერ დადგენილი ნებისმიერი სახის დამატებითი კრიტერიუმები, რაც დოკუმენტურად დასაბუთებულია ფირმის აუდიტორული პროცედურების სახელმძღვანელოში.
--	--

დამკვეთი:

მომზადებულია:	თარიღი:
---------------	---------

პერიოდი:

განხილულია:	თარიღი:
-------------	---------

გათავისუფლების უფლება

გარკვეულ კომპანიებს კანონმდებლობით ეძლევათ ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნის და/ან აუდიტისგან გათავისუფლების უფლება.

ქვემოთ მიუთითეთ ამგვარი გათავისუფლების გამოყენებისთვის საჭირო კრიტერიუმები და დამკვეთის კვალიფიკაციის ამსახველი დეტალური ინფორმაცია:

დამკვეთი: _____

პერიოდი: _____

არააუდიტორული მომსახურების უზრუნველყოფა

მიზანი:

შესაბამისად იქნეს შესწავლილი არააუდიტორული მომსახურების უზრუნველყოფის მიმდებლობა იმ სამეურნეო სუბიექტებისთვის, რომლებიც არ არიან კოტირებული (ან ასეთი სუბიექტების ფილიალები/კომპანიონები).

ფორმა უნდა დასრულდეს ფირმის ან ნებისმიერი ქსელური ფირმის მიერ განხორციელებული თითოეული არააუდიტორული საქმიანობის (არასავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით) დაწყებამდე და უნდა დამტკიცდეს აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ (ან არყოფნის შემთხვევაში, აუდიტორული გარიგების სხვა პარტნიორის მიერ ფირმის ფარგლებში).

აუდიტის ახალი დამკვეთებისთვის ეს უნდა გავრცელდეს დანიშვნამდე უზრუნველყოფილ არააუდიტორულ მომსახურებაზე, რომელიც უკავშირდება ფირმის მიერ აუდიტორული მომსახურების გაწევის პერიოდს. მომდევნო წლებში ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუდიტის დროს განხორციელებულ ნებისმიერი სამუშაოს ჩატარებამდე.


ეს საკონტროლო კითხვარი იძლევა მხოლოდ ზოგად მითითებებს და მინიშნება უნდა გაკეთდეს IESBA-ის 290-ენაწილზე: *დამოუკიდებლობა- აუდიტი და მიმოხილვის გარიგებები*, თუ არსებობს რაიმე ეჭვი. კერძოდ, ეს ფორმა არ ითვალისწინებს:

- შიდა აუდიტორულ მომსახურებას;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას;
- ახალი თანამშრომლების აყვანის/მოზიდვის მომსახურებას;
- კორპორაციული ფინანსების მომსახურებას.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერის განხორციელების შემთხვევაში, ეს განხილულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, IESBA-ს ეთიკის კოდექსის მითითებით, Ac2-ის დასრულებამდე.

N.B.: თუ დამკვეთს არა ჰყავს „ინფორმირებული ხელმძღვანელობა“, აუდიტორული და არა-აუდიტორული მომსახურების გაწევა არ არის ნებადართული.

1-ლი ნაწილი - აკრძალული მომსახურებების განხილვა



მე-2 ნაწილი - არააუდიტორული მომსახურების ტიპის და უსაფრთხოების სათანადო ზომების/სათანადო გარანტიების გათვალისწინება

N.B. ცხრილი შეავსეთ იმ შემთხვევაში, თუ ოთხზე მეტი სხვადასხვა ტიპის არააუდიტორული მომსახურებაა გაწეული.


N.B. აუდიტთან დაკავშირებული (მაგალითად, ცალკე ანგარიში რეგულატორისთვის არააუდიტორული მომსახურება მაინც უნდა განიხილებოდეს როგორც არააუდიტორული მომსახურება, თუმცა უსაფრთხოების ზომები/გარანტიები არ არის აუცილებელი, რამდენადაც დამოუკიდებლობის საფრთხეები უმნიშვნელოა.

გასაწევი არააუდიტორული მომსახურება:	კორპორაციული გადასახადი	სავალდებულო მომსახურება	ანგარიშწარმოება / ბუღალტრული აღრიცხვა (მათ შორის ფინანსური ანგარიშგების მომზადება)	სხვა (დააკონკრეტეთ)
მომსახურების შედეგების მისაღებად დანიშნული ინფორმირებული ხელმძღვანელობის წევრი (თუ განსხვავდება აუდიტორის საკონტროლო კითხვარის რეგულაციაში მითითებული პირისგან)				
არააუდიტორულ მომსახურებაში ჩართული პერსონალი				

პარტნიორი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს არააუდიტორული მომსახურებას:					ჯამური CU
საფასური (ყოველწლიურად) აღნიშნული არა-აუდიტორული მომსახურების გაწევისათვის (ა):					
მიმდინარე პერიოდის აუდიტორის მოსალოდნელი საფასური (ბ):					
არააუდიტორული მომსახურების მთლიანი საფასურის შეფარდება აუდიტის საფასურთან (ა/ბ) <i>(საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არა-აუდიტორული მომსახურების მთლიანი საფასური აღემატება აუდიტის საფასურს)</i>					
იქნება თუ არა აუდიტის გუნდის წევრი ის პიროვნება, რომელიც არააუდიტორულ მომსახურებას ასრულებს, ან პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ამაზე?					

<p>თუ ზემოთ დასმულ შეკითხვაზე პასუხია „დიახ“, მაშინ აუცილებელია, სათანადო გარანტიების დასაბუთება ამ ველში.</p> <p>ეს გარანტიები შეიძლება იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არააუდიტორული მომსახურება მიმოხილულია - პარტნიორის ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ზემდგომი თანამშრომლის მიერ, რომელიც არ არის აუდიტორული გუნდის წევრი. ➤ აუდიტი ექვემდებარება EQCR-ს; ან ➤ თანამშრომლები, რომლებიც არააუდიტორულ მომსახურებაში არიან ჩართულნი, არიან საკმარისად გამოცდილნი და ზემდგომი, რომ შეამცირონ პარტნიორის თავდაჯერებულობის საფრთხე, რომელიც პასუხისმგებელია ორივე დავალებაზე. 					
--	--	--	--	--	--

კონკრეტული საკითხები, რომლებიც ბრიფინგზე განიხილება	
დისკუსიის აღწერილობა (დაამატეთ პუნქტები, საჭიროებისამებრ) - გაითვალისწინეთ, რომ ყველა პუნქტი უნდა იქნეს განხილული და აუცილებელია ქვემოთ მოცემული ძირითადი საკითხების წინა პლანზე წამოწევა:	არის თუ არა განხილული? დიახ/არა
1. ყველა თანამშრომლისთვის ცნობილია:	
➤ ფულის გათეთრების შემთხვევის იდენტიფიცირების აუცილებლობა შიდა ძალებით, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით;	
➤ ნებისმიერი საკითხი (ფაქტობრივი ან შესაძლო), მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ადრე გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა, ფირმის მიერ შეხვედრის გაუქმების საფუძველი ყოფილიყო, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის აუდიტორული გარიგების პარტნიორს;	
➤ დამკვეთისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს ექვექვეშ ყოფნის ნებელი და პრობლემური საკითხების გამოვლენის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის აუდიტორული გარიგების პარტნიორს;	
➤ იმ შემთხვევაში, თუ ახალი დაკავშირებული მხარეების ვინაობა ცნობილია, ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს აუდიტის გუნდის ყველა წევრს;	
2. გუნდის წევრების პასუხისმგებლობები განმარტებული და დასაბუთებულია Ac14-ში;	
3. დამკვეთთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია (მათ შორის, მიზნები, სტრუქტურა და საქმიანობა);	
4. რისკის შეფასებიდან გამოვლენილი რისკის სფეროები და როგორ აისახება დამატებითი სამუშაოები ამ მიმართულებით აუდიტის მიდგომაში;	
5. აუდიტის მიდგომაში არაპროგნიზირებადობის ჩართვა, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს თაღლითური ტრანზაქციების გამოვლენა, (მაგ. რომელი პროცედურა საჭიროებს შემთხვევით ტესტებს და ა.შ.);	
6. განხილვის პროცედურების დროის განსაზღვრა და თითოეული სფეროს შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცება.	

წერილი დავალებათა პირობების შესახებ (ნიმუში)

ეს წერილი მორგებულია თითოეული დავალების კონკრეტულ გარემოებებზე, მაგრამ საკითხები, რომლებიც აღნიშნულია (*) სიმბოლოთი, სავალდებულოა, შეესაბამებოდეს ასს 60 - „მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან კომუნიკაციის“ - შესახებ დებულებებსა და ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსს, რომელიც დაკავშირებულია მმართველობასთან და IESBA-ს ეთიკის კოდექსთან. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მოვალეობები განსხვავდება, აუცილებელია, დავალებათა პირობების შესახებ წერილის ასლის გაგზავნა ხელმძღვანელობისთვის, აუდიტორული გარიგების პირობების გაცნობიერების მიზნით.

სასურველია, ეს წერილი გაიგზავნოს დაგეგმვის დასრულების შემდეგ, შესაბამისი სავალდებულო სამუშაოების დაწყებამდე.

დირექტორები

[დამკვეთის სახელი]

[მისამართი]

[თარიღი]

ბატონებო

(სამეურნეო სუბიექტის სახელი) აუდიტთან დაკავშირებული დავალებების პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს (თარიღი)

ამ წერილის მიზანია მოგაწოდოთ ჩვენი აუდიტორული საქმიანობის ხასიათი და მასშტაბები [აუდიტთან დაკავშირებული ნებისმიერ სხვა პირობებთან ერთად). ეს არის დამატებითი ინფორმაცია, გარიგების წერილისა და მასთან დაკავშირებული ბიზნესპირობების თაობაზე, რომელიც გვაკისრებს შესაბამის პასუხისმგებლობას ჩვენ, როგორც აუდიტორებს, ასევე თქვენ, როგორც დირექტორებს.

1. აუდიტის გამოყენების სფერო

როგორც უკვე გარიგების წერილით გაცნობეთ, აუდიტი ხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA). ჩვენთვის უცნობია, ჩვენი საქმიანობის ფარგლებში, ინფორმაცია რაიმე მოსალოდნელი შეზღუდვის ან დამატებითი მოთხოვნის შესახებ.

[იხილეთ ნებისმიერი სხვა შესაბამისი მითითებები და ა.შ.]

2. აუდიტორის ანგარიში (*)

ჩვენი აუდიტორული საქმიანობის დასრულების შემდეგ, გამოვაქვეყნებთ აუდიტორის ანგარიშს, რომელიც გაეგზავნება კომპანიის წევრებს. როგორც აუდიტორები პასუხისმგებელნი ვართ ჩამოვყალიბოთ და გამოვხატოთ აზრი ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. საერთო დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით, ვახორციელებთ სხვადასხვა სახის აუდიტორულ პროცედურას, რომელიც მოგვცემს საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომ დავასკვნათ, ხომ არ არსებობს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებებში.

ჩვენი, როგორც აუდიტორების, ასევე, თქვენი, როგორც დირექტორების პასუხისმგებლობების შემდგომი დეტალები მოცემულია ჩვენს გარიგების წერილში .

გვსურს, შეგახსენოთ, თქვენი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ათავისუფლებს ხელმძღვანელობას ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს კანონმდებლობით (დაამატეთ კანონმდებლობა) გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, რაც გულისხმობს „ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის" საფუძველზე სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების მოპოვებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

აუდიტორული გარიგების პარტნიორი არის პირი, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის ზოგად მიმართულებას, განსჯის, რაც გავლენას ახდენს აუდიტორულ მოსაზრებაზე და ფირმის სახელით ხელს მოაწერს აუდიტორის ანგარიშს. ეს იქნება [დაამატეთ სახელი].

[განხილეთ ნებისმიერ სხვა დაკავშირებული ანგარიშები, მაგ., მარეგულირებლებისთვის გათვალისწინებული ანგარიშები, მაკონტროლებელი კომპანიის აუდიტორები, სავაჭრო ობიექტები და ა.შ.]

3. არსებითობა (*)

აუდიტორული საქმიანობის ჩატარების პროცესში, ვითვალისწინებთ ხომ არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგება რაიმე სახის „არსებით უზუსტობებს,“ როგორც ეს აღწერილია მე-2 პუნქტში. არსებითობა წარმოადგენს კონკრეტული საკითხის შედარებით მნიშვნელობას ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში. მუხლი შესაძლებელია იყოს არსებითი, თუ მასში არსებული ხარვეზი გონივრულად აისახება იმ პირთა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც იყენებენ ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსური ანალიზის კონტექსტში, უზუსტობათა არსებითობის შეფასება პროფესიონალური განსჯის საკითხია და ეხება როგორც ხარვეზების რაოდენობას, ასევე მის ხასიათს. ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საჭირო იყოს არსებითობის განსხვავებული დონეების დადგენა.

თუ არსებობს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე სფერო, სადაც გსურთ. რომ გამოვიყენოთ კონკრეტული დონის არსებითობა, მოხარული ვიქნებით, თქვენთან ერთად განვიხილოთ ეს საკითხი, მათ შორის, რამდენად ადაპტირებულია ჩვენი აუდიტორული მიდგომა ამა თუ იმ სფეროში აღნიშნული დონის დასადგენად, ან ხომ არ აჯობებს კონკრეტული დონის დიხების გატარება ამ სფეროზე.

4. რისკის შეფასება (*)

აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვისას, ვცდილობთ შევამციროთ ფინანსურ ანგარიშგებებში არსებითი უზუსტობების რისკი. ამისათვის ვითვალისწინებთ როგორც თანდაყოლილ რისკს ფინანსური ანგარიშგებებში, ასევე კონტროლის გარემოს, სადაც თქვენი კომპანია ფუნქციონირებს. ჩვენ ამ შეფასებას გამოვიყენებთ, აუდიტორის ეფექტიანი მიდგომის შემუშავების მიზნით.

კონტროლის გარემო:

(იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის დონის დიხები არაეფექტურია და არ იქნება გადამოწმებული) [მიგვაჩნია, რომ კომპანია არ ახორციელებს კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც არის საკმარისად ჩამოყალიბებული ან დასაბუთებული, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩავატაროთ აუდიტორული ტესტები. აქედან გამომდინარე, ჩვენი მუშაობა მიმართული იქნება ძირითადად პროცედურებზე].

(იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ღონისძიებების ეფექტურია და მოწმდება). [მიგვაჩნია, რომ კომპანია ახორციელებს კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც საკმარისად ჩამოყალიბებული ან დასაბუთებულია, რაც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ აუდიტორული ტესტები. ამიტომ, ვგეგმავთ კონტროლის ტესტები ჩავრთოთ ჩვენს აუდიტორულ მიდგომაში, რაც, შესაბამისად, შეამცირებს ძირითადი პროცედურების რაოდენობას.]

(იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ღონისძიებები ეფექტურია, მაგრამ არ იქნება გადამოწმებული) მიუხედავად იმისა, გვჯერა, რომ კომპანია იყენებს ეფექტურ და ჩამოყალიბებულ კონტროლის მექანიზმებს, არ ჩავრთავთ კონტროლის ტესტებს ჩვენს აუდიტორულ მიდგომაში, რადგან, ჩვენი აზრით, ყველა აუდიტორული მტკიცება შეიძლება შემოწმდეს, სწორად ძირითადი პროცედურების მეშვეობით და მიგვაჩნია, ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია.]

მნიშვნელოვანი რისკები:

თქვენი ბიზნესის შესახებ ჩვენი ცოდნის საფუძველზე ვასკვნით, რომ [არ არსებობს] [არსებობს] არსებითი უზუსტობების მნიშვნელოვანი რისკის გარკვეული სფეროები, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ აუდიტორულ განხილვას. კერძოდ:

- [ხელმძღვანელობის მხრიდან გადაჭარბებული კონტროლის რისკი];
- [თაღლითობის რისკი ამონაგების აღიარების დროს];
- [სხვა რისკი 1]
- [სხვა რისკი 2]

5. სააღრიცხვო სისტემა (*)

ჩვენი აუდიტორული მუშაობის დაგეგმვისას ასევე ვცდილობთ, გაარკვიოთ, თუ როგორ მუშაობს კომპანიის სააღრიცხვო სისტემა და განვახორციელებთ სხვადასხვა გამჭოლ ტესტს ან ალტერნატიულ პროცედურას, რათა დავრწმუნდეთ მის სათანადო მუშაობაში. სამუშაოს შედეგი განსაზღვრავს და ზარალისა და მოგების ანგარიშზე ტრანზაქციების ტესტების გამოყენების დონეს, ან ნაცვლად დეტალურ ანალიზურ პროცედურებზე დაყრდნობას.

ტრანზაქციების ტესტები გულისხმობს ინდივიდუალური ტრანზაქციების ნიმუშის შემოწმებას სააღრიცხვო სისტემის მეშვეობით. ანალიზური პროცედურები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლებს შორის ურთიერთქმედების შედეგებს და ბიზნესის დეტალურ ცოდნას.

6. შიდა და სხვა გარე აუდიტორებზე დამოკიდებულება და ექსპერტების დახმარება (*საჭიროების შემთხვევაში)

(აღწერეთ დამოკიდებულება, რომელიც დაეკისრებათ შიდა აუდიტორებს და როგორ აპირებთ შიდა აუდიტორებთან მუშაობას კონსტრუქციულად და შეთანხმებულად).

(აღწერეთ საქმიანობა, რომელსაც ნებისმიერი სხვა ფირმის აუდიტორი განახორციელებს დამკვეთისთვის და როგორ აპირებთ მოიპოვოთ მათ მიერ ჩატარებული პროცედურების ადეკვატურობის გარანტიები, რადგან ეს არის თქვენი, როგორც ძირითადი აუდიტორის როლი).

(აღწერეთ ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში ექსპერტთა ჩართულობის აუცილებლობა. ჩვენი აუდიტორული საქმიანობის ფარგლებში, შევისწავლით ექსპერტთა [ექსპერტის ტიპი] კვალიფიკაციას, ასევე, მათ მიერ გამოყენებულ მნიშვნელოვან დაშვებებს და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაშვებები არსებითად განსხვავდება ჩვენ მიერ შემუშავებული შეფასებებისგან, შეიძლება მოგთხოვოთ დამატებითი ინფორმაცია.)

7. სამუშაოს შეზღუდვა, სახელფასო ანაზღაურებასა და მცირე სალაროსთან მიმართებაში

როგორც მე-2 პუნქტში აღვნიშნეთ, ჩვენი აუდიტორული საქმიანობა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების ჩატარების პროცესში რაიმე სახის „არსებითი უზუსტობების“ გამორიცხვას. ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესი არ გულისხმობს სახელფასო ანაზღაურების ან მცირე სალაროს დეტალურ შემოწმებას და ჩვენი აუდიტორული პროცედურები არ უზრუნველყოფს არაარსებითი თაღლითობის ან შეცდომის გამოვლენას. თუ რომელიმე ამ სფეროზე მოითხოვთ დეტალური გამოკვლევის ჩატარებას, გთხოვთ, შეგვაცუობინოთ და ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ეს საქმიანობა, როგორც ცალკე დავალება.

8. კორექტირებულ და არაკორექტირებულ მუხლები

ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი შესაძლო კორექტირებებიდან, რამდენიმე მათგანმა შეიძლება კორექტირება მოითხოვოს. ფინანსურ ანგარიშგებებში კორექტირების გადაწყვეტილების მიღება თქვენს დამოუკიდებელ კომპეტენციას. აუდიტორული საქმიანობის დასასრულს, მოგაწვდით გეგმას იმ მუხლების დეტალური აღწერილობით, რომლებიც ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლინდა და თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებებში შესწორებას საჭიროებს. გთხოვთ, დაგვიდასტუროთ, რომ განიხილეთ ზემოთ ხსენებული მუხლები და მიიღეთ გადაწყვეტილება, ფინანსურ ანგარიშგებებში კორექტირების შეტანის საჭიროების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ გეცნობებათ ოფიციალურ წერილში.

ჩვენ ასევე მოგაწვდით სქემას, სადაც დეტალურადაა აღწერილი იმ შეცდომების შესახებ, რომლებიც ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლინდა და შესწორებული არ არის ფინანსურ ანგარიშგებებში. აღნიშნული დასკვნა არ აერთიანებს "არსებითად უმნიშვნელო" ხარვეზებს. ჩვენ მსგავსი ტიპის შეცდომებს განვსაზღვრავთ, როგორც ცალკეულ ფაქტორებს, რომელთა არსებითობის დონე 1%-ს არ აღემატება (იხ. პუნქტი 3). ჩვენ გვჭირდება დასტური იმისა, რომ შესაბამის დონეზე განიხილეთ დაუსაბუთებელი ხარვეზები და მიიღეთ გადაწყვეტილება, არ შეიტანოთ კორექტირება ფინანსურ ანგარიშგებებში. ამის შესახებ გეცნობებათ ოფიციალურ წერილში.

თუ გადაწყვეტთ, რომ კორექტირება არ შეიტანოთ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში შეცდომის გამოსწორების მიზნით (რაც ჩვენი აზრით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენისთვის), სავარაუდოდ, შემოგთავაზებთ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

9. არააუდიტორული მომსახურება(*)

[ან] ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ თანახმა ხართ, მოგაწოდოთ შემდეგი აუდიტორული მომსახურებები, რომლებიც, ჩვენი, როგორც აუდიტორების ფუნქციას წარმოადგენს:

- 1-ლი სამსახური;
- მე-2 სამსახური; და
- მე-3 სამსახური.

[თქვენ ასახელებთ [სახელი], როგორც „ინფორმირებული ხელმძღვანელობის“ წევრს, რომელსაც შეუძლია ჩვენგან მიიღოს ეს მომსახურება და გამოიტანოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სხვადასხვა ვერსიის საფუძველზე, რომელიც შეიძლება მოგვაწოდოთ].

ჩვენ უზრუნველყოფთ [მიუთითეთ უსაფრთხოების გარანტიების ჩამონათვალი] ჩვენი, როგორც აუდიტორების მიზნებისა და დამოუკიდებლობის საფრთხის შემცირებას მისაღებ დონეზე.

[ან] შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ უარყოფთ შეთანხმებას, ნებისმიერი არააუდიტორული მომსახურების მიწოდების თაობაზე.

10. აუდიტორული გარიგების პარტნიორთა მომსახურების ხანგრძლივობა (* გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უსაფრთხოების გარანტიების შემუშავება არ განხორციელდა)

აუდიტორული გარიგების პარტნიორის საქმიანობა გაგრძელდა [მიუთითეთ რიცხვი] /10- ათი წლის განმავლობაში. უსაფრთხოების გარანტიები არ შემუშავებულა და მიგვაჩნია, რომ ჩვენ, როგორც აუდიტორებმა, საჭიროა, მოვახდინოთ სათანადო რეაგირება შემდეგი მიზეზებით:

➤ [ჩამოთვალეთ მიზეზები]

11. სხვა ეთიკური საკითხები

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოხსენებულ პუნქტებში აღინიშნა [არააუდიტორული მომსახურების მიწოდება] და [აუდიტორული გარიგების პარტნიორთა მომსახურების ხანგრძლივობა], არ არსებობს სხვა ეთიკური საკითხები, რომლებიც თქვენთან კომუნიკაციას საჭიროებს.

12. ინფორმაცია, რომელიც უნდა მოგვაწოდოთ

აუდიტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტაცია [აუდიტორული საქმიანობის დასაწყისში]/[შემდეგ ვადებში: (საჭიროების შემთხვევაში საჭირო დოკუმენტაციის და თარიღის მითითებით)].

იმისათვის, რომ თქვენი სამართლებრივი წარმომადგენლების გამოკითხვა დროულად ჩავატაროთ, თუ ეს აქამდე არ გაგიკეთებიათ, გთხოვთ, დაადასტუროთ, თუ არსებობს რაიმე მიმდინარე სამართლებრივი საქმე ან სავარაუდო თაღლითობის შემთხვევები, რომელთა შედეგებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებზე. თუ არსებობს ასეთი შემთხვევები, გთხოვთ, მოგვაწოდოთ კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც ამ საქმეზე მუშაობს, რათა შევძლოთ სათანადო გამოძიების ჩატარება.

13. აუდიტის განრიგი (*)

აუდიტის წარმართვის დაგეგმილი განრიგი შემდეგია:

	ვადები
შეხვედრის დაგეგმვა	
ინვენტარის დათვლა	
დებიტორული დავალიანების ცირკულარიზაცია	
სააღრიცხვო სამუშაოები	
აუდიტორული სამუშაოები	
შეხვედრის დასრულება	
ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღი	

14. კომუნიკაცია აუდიტის დროს გამოვლენილ საკითხებზე (*)

აუდიტორული საქმიანობის პროცესში, შესაძლებელია გაჩნდეს შეკითხვები, რაზეც გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ. ამ საკითხების გაცნობა, ჩვეულებრივ, წერილობითი ფორმით მოხდება. ასეთი კითხვები შეიძლება მოიცავდეს:

- თქვენი სააღრიცხვო სისტემისა და კონტროლის გარემოს სისუსტეებს;
- სააღრიცხვო პრაქტიკების, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებული ინფორმაციის შესახებ მნიშვნელოვან ხარისხობრივ ასპექტებს;
- აუდიტის დროს გამოვლენილ მნიშვნელოვან სირთულეებს; და ასევე
- არსებობის შემთხვევაში, ისეთ საკითხებს, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯით მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობისთვის.

თუ არ არსებობს ისეთი საკითხები, რომლებზეც ღირს თქვენი ყურადღების გამახვილება, გთხოვთ, დაგვიდასტუროთ. ეს მოცული იქნება ოფიციალურ წერილში.

15. აუდიტორის საფასური

აუდიტორის საფასური შეთანხმებულია კონკრეტული თანხის ოდენობით [თანხის ოდენობა]. ჩვენ ვიტოვებთ საფასურის გაზრდის უფლებას, თუ არ მოგვაწვდით თქვენი მხრიდან სავალდებულო ინფორმაციას, როგორც აღნიშნულია წინა პუნქტში ან თუ აუდიტორების პროცესში გაუთვალისწინებელ პრობლემებს წავაწყდებით.

16. დასტური წერილის მიღებაზე

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ ოფიციალურად აღნიშნული წერილის მიღება თქვენს შეტყობინებაში. თუ გსურთ ამ წერილის ნებისმიერი ასპექტის განხილვა, გთხოვთ დაუკავშირდეთ პასუხისმგებელ პირს [სახელი] [პირდაპირი დეტალები].

პატივისცემით

აუდიტორი ფირმის სახელით, ხელმომწერი პირის ხელმოწერა

თავი 2

დეტალიზებული ძირითადი და კონტროლის პროცედურები

1. შესავალი

აუდიტორებმა უნდა მიიღონ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა შეძლონ გონივრული დასკვნების გამოტანა, რომლებიც, თავის მხრივ, მათი აუდიტორული მოსაზრების საფუძველი იქნება (ასს 500, პარაგრაფი 6). აუდიტის მტკიცებულებები შეიძლება მოპოვებულ იქნეს სხვადასხვა გზებით, მათ შორის კონტროლის პროცედურების ტესტირებისა და ძირითადი აუდიტორული პროცედურების სათანადო დოზით კომბინირებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მცირე კლიენტებთან ურთიერთობისას, შესაძლებელია, რომ კონტროლის პროცედურების ტესტირება არ განხორციელდეს, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი სრულად იქნება დამოკიდებული ძირითადი აუდიტორული პროცედურების შედეგებზე (ასს 330, პარაგრაფი გ18). თუმცა, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა კონტროლის მექანიზმების ტესტირება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ აუდიტის მუდმივ ფაილში დადოკუმენტირდეს სუბიექტის საკვანძო კონტროლები, ასევე სუბიექტის კონტროლების აუდიტორის მიერ გაგება უნდა დასტურდებოდეს - დოკუმენტირებული სისტემის, ფაქტობრივად არსებულ სისტემასთან შედარების გზით, საწარმოში დანერგილი სხვადასხვა სისტემების ფარგლებში გამჭოლი შიდა კონტროლის, თუ სხვა სისტემებისა და პოლიტიკების იდენტიფიცირების/დადასტურების ტესტების აუდიტორის მიერ ჩატარების შედეგად.

მართალია, შესაძლებელია, რომ კონტროლის პროცედურების ტესტირება არ განხორციელდეს, მაგრამ აუცილებელია, რომ ფინანსური ანგარიშებების ყოველ იმ ნაშთზე თუ შესაბამისი კატეგორიის ოპერაციისათვის, რომლებიც სამუშაო არსებითობაზე მალაა, ჩატარდეს რომელიმე სახის ძირითადი აუდიტორული პროცედურა, უსაფრთხოების/გადამოწმების ტესტების ჩათვლით, რომელიც ამ თავში მოგვიანებით დეტალურად იქნება განხილული.

განსახორციელებელი ძირითადი პროცედურის ტესტირების მოცულობა (ასს 500, პარაგრაფი 36) დამოკიდებული იქნება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- კლიენტთან დაკავშირებული რისკის საერთო შეფასება და კონკრეტული ბალანსის ან ტრანზაქციის ტიპის ინდივიდუალური რისკის შეფასება მტკიცების დონემდე;
- ბალანსის ან ტრანზაქციის ტიპის არსებითობა და ბუნება;
- აუდიტორული მტკიცებულების ალტერნატიული წყაროს ხელმისაწვდომობა;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებულა თუ არა, კონტროლის პროცედურების ტესტირება;
- მენეჯმენტის ექსპერტის მიერ განხორციელებული სამუშაოების ბუნება, მოცულობა და მიზნები;
- ეყრდნობა თუ არა მოპოვებული რწმუნება დეტალურ ანალიზურ პროცედურებს.

2. შიდა კონტროლის შეფასება - კონტროლის პროცედურების ტესტი.

აუდიტორის მიდგომას, რომელიც შიდა კონტროლის შეფასებებს მოიცავს, „არსებით პროცედურებზე“ დაფუძნებული მიდგომისაგან განსხვავებით, ხშირად როგორც „კონტროლზე“ დაფუძნებულ მიდგომას მოიხსენიებენ. გარკვეული კლიენტებისათვის, როგორც წესი, უფრო დიდი და კომპლექსური კლიენტებისთვის, შესაძლებელია ფინანსური თვალსაზრისით უფრო ეფექტური იყოს კონტროლის ტესტების ჩატარება და ამის ხარჯზე ძირითადი პროცედურების ტესტირების რაოდენობის შემცირება.

ტესტირებას დაექვემდებარება სისტემაში არსებული ის კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეფასდება, როგორც შესაფერისი კონტროლის მექანიზმი იმისათვის, რომ მოახდინონ შესაბამისი ტიპის შეცდომების დაშვების პრევენცია ან ასეთი შეცდომების აღმოჩენა, მათი დაშვების (გაპარვის) შემთხვევაში.

კონტროლის ტესტი შესაძლოა მოიცავდეს:

- შიდა კონტროლის ფუნქციებზე დაკვირვებას. დაკვირვების ტესტები ხშირად გამოიყენება ისეთი კონტროლების ტესტირებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია იმ უფლება-მოვალეობების განაწილებასთან, რომელიც წერილობითი/დეკლარირებული ფორმით არ არის დაცული, აღწერილი აუდიტის ობიექტის შიგნით;
- დოკუმენტაციის ინსპექტირება, მაგალითად იმაში დასარწმუნებლად, რომ მოხდა შესაბამისი ტრანზაქციების ავტორიზება, ან შესაბამისი დოკუმენტაციის შეჯერება/შედარება;
- ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული მიმოხილვების შედეგების შემოწმება;
- კონტროლის პროცედურების მიმოხილვა, მაგალითად შედარება/ შეჯერება; და
- IT კონტროლის ტესტი.

2.1 კონტროლის პროცედურების ტესტირების დოკუმენტირება

(ასს 230, პარაგრაფი 8)

თუ კონტროლის ტესტირებაზე დაფუძნებული მიდგომა მიჩნეულია, როგორც კომპანიისთვის შესაბამისი, მაშინ კონტროლის ტესტირების აუდიტორული პროგრამა უნდა შემუშავდეს დასაწყისიდან (თავიდან, ნულიდან) „პოტენციური ბიზნესრისკების და მოსალოდნელი სააღრიცხვო კონტროლის“ ჩამონათვალის გათვალისწინებით. დანართში 1.14.2. აქ მოცემულია სხვადასხვა შესაძლო რისკისა და ასევე იმ კონტროლის მაგალითები, რომლებიც ფარავენ ჩეკებს (ნაღდი ანგარიშსწორება), გადახდებს, შემოსავლებს, ხარჯებს, ხელფასებს და სააღრიცხვო ჟურნალებს.

კონკრეტული ტრანზაქციის ციკლის ფარგლებში იდენტიფიცირებული პოტენციური რისკი საჭიროა აღიწეროს ცალკეულ ფორმაში, სპეციალური სათაურის ქვეშ სახელად „რისკი“, რომლის ქვემოთაც უნდა მოხდეს იდენტიფიცირებული შესაბამისი კონტროლის პროცედურების ჩამოთვლა.

ტესტები განხორციელდება იმის დასადგენად, ეფექტურად მუშაობს თუ არა ესა თუ ის კონტროლი პრაქტიკაში. ტესტების შედეგები შესაბამის ფორმაში უნდა აისახოს, იმ კონკრეტულ შესაფასებელ კონტროლთან მიმართებაში, რომელთა შეფასებაც არის საჭირო.

მე-8 სექციაში მოცემული შერჩევის მოცულობის განსაზღვრისთვის მოცემული მიმართულებები რელევანტურია აქაც, მაგრამ საჭიროა გარკვეული საკითხების დამატებით განმარტება, რომლებიც სპეციფიკურია კონტროლის ტესტირებისთვის და რომლებიც მოცემულია ქვემოთ ჩამონათვალში:

- მიზანი იქნება მტკიცებულებების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, რომ ტესტირებას დაქვემდებარებულ კონტროლს შეუძლია თავიდან აგვაცილოს შესაბამისი შეცდომა;
- შერჩევის რისკი წარმოადგენს კონტროლის რისკის მართებულთან შედარებით გადაჭარბებულად ან შემცირებულად შეფასების რისკს,
- რამეთუ კონტროლის წარუმატებლობა (ჩავარდნა), რომელიც შერჩევითი შემოწმების შედეგად ვლინდება, განსხვავდება კონტროლის წარუმატებლობისაგან (ჩავარდნისაგან), რომლებიც მთლიან სიმრავლეში შეიძლება არსებობდეს;
- ერთობლიობა იქნება იმ ელემენტების სიმრავლე, რომლებიც კონტროლის ტესტს დაექვემდებარებიან;
- კონტროლის ტესტირებისას საგნების რაოდენობა და ღირებულება არ იქნება რელევანტური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პოპულაცია ძალიან მცირეა;
- შერჩეული ერთობლიობა წარმოდგენილი იქნება ცალკეული ტრანზაქციებით, რომლებიც კონტროლს არიან დაქვემდებარებული;
- შეცდომებად ჩაითვლება შემთხვევები, სადაც სათანადო კონტროლის მუშაობა არაადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, ან აღმოჩნდება, რომ კონტროლი არ მუშაობს (მაგ: არ ხდება დოკუმენტების ავტორიზება);
- კონტროლის რისკის შეფასება თავის თავში გულისხმობს, რომ ადგილი ექნება შეცდომებისა და გადახრების გარკვეული პროცენტის არსებობას; დ
- აღმოჩენილი ცალკეული/ლოკალური შეცდომების მიმართ მიდგომა ტოლერანტული იქნება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კონტროლი შეფასდება როგორც საიმედო. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია მათი გამოკვლევა და დარწმუნება იმაში, რომ საქმე ნამდვილად ცალკეულ/ლოკალურ შეცდომებთან გვაქვს. თუ აღმოჩნდება, რომ კონტროლი დამაკმაყოფილებელ დონეზე (ეფექტურად) არ ფუნქციონირებს, ძირითადი პროცედურების ჩატარება იქნება საჭირო კონტროლის სისუსტეების ეფექტის შესაფასებლად.

ტესტირების შედეგები უნდა აღიწეროს განცალკევებულ სამუშაო ფაილში და კონტროლის ეფექტიანობის შესახებ დასკვნა უნდა გაკეთდეს. თუ ტესტირება აჩვენებს, რომ იდენტიფიცირებულმა კონტროლმა აღკვეთა ან გამოავლინა ნებისმიერი რისკი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, დამაკმაყოფილებელი დასკვნა დაფიქსირდება აღნიშნული ფორმის ბოლოში.

ნებადართულია, რომ სანამ გამჭოლმა ტესტირებამ ვერ დააფიქსირა კონკრეტული კონტროლის ცვლილებები, რომლების ტესტირებაც მოხდა ან მიმდინარე პერიოდში ან ორიდან ერთი წინა პერიოდის განმავლობაში იდენტიფიცირებული პრობლემების გარეშე, დავეყრდნოთ დასკვნებს, მიღწეულს ამ ტესტებით. საჭიროა ცალკეული სფეროებისათვის მოხდეს დასკვნების შესაბამისი დოკუმენტირება კონტროლის ტესტირებისათვის განკუთვნილ სამუშაო ფაილებში. მიუხედავად ამისა, იქ, სადაც აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე რისკის კლასიფიცირება „მნიშვნელოვან რისკად“ მოხდა, სავალდებულოა, მასთან დაკავშირებული კონტროლის ტესტირების განხორციელება მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, იმის მიუხედავად, თუ როდის განხორციელდა ბოლოს მათი ტესტირება.

როდესაც კონტროლი, რომელზეც განზრახულია დაყრდნობა, ხდება კლიენტის მიერ გამოყენებულ მომსახურე ორგანიზაციაში, „მე-2 ტიპის ანგარიში/რეპორტი“ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მანამ, სანამ აუდიტორი ითვალისწინებს შემდეგს:

- მომსახურე ორგანიზაციაში გამოყენებული კონტროლის შინაარსი, დიზაინი და მათი საოპერაციო ეფექტურობა - განსაზღვრული თარიღისთვის ან პერიოდისთვის, აუდიტორის (აუდიტის) მიზნების შესაფერისია (ასს 402 პარაგრაფი 17(ა)).

- თუ მომსახურე ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებული კონტროლი რელევანტურია დამკვეთისთვის და ეყრდნობა (იყენებს) თუ არა დამკვეთი ამ კონტროლს (ასს 402 პარაგრაფი 17(ბ));.
- იმ დროის პერიოდის ადეკვატურობა, რომელიც მოიცავს კონტროლის ტესტირებამ და დრო, რომელიც გავიდა ამ ტესტების განხორციელების შემდგომ (ასს 402 პარაგრაფი 17(გ)); და
- თუ კონტროლი, რომელთა ტესტირება და მე-2 ტიპის ანგარიშში/რეპორტში რეპორტირება მოხდა, რელევანტურია კლიენტის ფინანსური ანგარიშგებისთვის და უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, რაც აუდიტორის მიერ რისკის შეფასების საფუძველია (ასს 402 პარაგრაფი 17(დ)).

კონტროლის პროცედურების ფუნქციონირების ნაწილში ნებისმიერი წარუმატებლობა/ჩავარდნა გამოკვლეული უნდა იქნეს. კონტროლის ფუნქციონირების წარუმატებლობები/ჩავარდნები, გარდა ისეთებისა, რომლებიც აშკარად „ცალკეულ/ლოკალურად“ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, ნიშნავს, რომ შესაბამისი განყოფილებისათვის კონტროლის რისკი არ შეფასდება, როგორც დაბალი. ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოხდეს რისკის სრულად შემცირება კონტროლის ტესტირებებში, რაც დეტალურადაა მოცემული შერჩევითი ერთობლიობის ზომის განსაზღვრის ცხრილში, დანართი 1.17.

ზოგ აუდიტის განყოფილებაში (მაგრამ არა ყველაში) პოტენციურად ეფექტური კონტროლის არსებობა იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ რისკების დონის გარკვეული შემცირება შეიძლება მოხდეს. ის, თუ რა დოზით შეიძლება ამის გაკეთება, შემდგომი განსჯის საგანია. იმ კონტროლის ტესტების შედეგების დასაკომპენსირებლად, რომლებიც არ მუშაობს, საჭირო იქნება ძირითადი პროცედურები. ყველა განყოფილებაში პოტენციურად არაეფექტური კონტროლის არსებობა ნიშნავს, რომ შეუძლებელია რისკის დონის შემდგომი შემცირება.

შენიშვნა: სახელმძღვანელო არ შეიცავს კონტროლზე დაფუძნებულ აუდიტორულ პროგრამას, სამაგიეროდ, ფოკუსირდება არსებით (ძირითადი პროცედურებით) აუდიტორულ მიდგომაზე (როგორც განმარტებულია ქვემოთ). თუ კონტროლზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება იქნება არჩეული, აუდიტორს დასჭირდება შესაბამისი სამუშაო პროგრამის შექმნა.

3. ძირითადი (ძირითადი პროცედურებით) ტესტების მიზნები

3.1 ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები

(ასს 315, პარაგრაფი A124)

არსებითი ტესტების მიზანია, მოპოვებულ იქნეს საკმარისი მტკიცებულება, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და სამართლიანობაზე. უტყუარობა და სამართლიანობა გულისხმობს, რომ განსაზღვრული კრიტერიუმები (ცნობილი, როგორც ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები) სრულდება. ეს მტკიცებებია:

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, ტრანზაქციების კლასებთან, მოვლენებთან, ასევე მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებასთან მიმართებაში შემოღებული მტკიცებები:

- **წარმოშობა** - ასახული ან გასაჯაროებული ტრანზაქციები და მოვლენები ჭეშმარიტად მოხდა და ასეთი ტრანზაქციები და მოვლენები უკავშირდება კომპანიას;

- **სისრულე** - ყველა ტრანზაქცია და მოვლენა, რომელიც უნდა ასახულიყო, აისახა და ყველა მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც უნდა შესულიყო ფინანსურ ანგარიშგებებში, შესულია;
- **სიზუსტე** - თანხის **ოდენობა** და სხვა დაკავშირებული ინფორმაცია ტრანზაქციებისა და მოვლენების შესაბამისად აღწერილია და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება შესაბამისად შეფასებული და აღწერილია
- **დროში გამიჯვნა** - ტრანზაქციები და მოვლენები ასახულია სწორ საანგარიშგებო პერიოდში;
- **კლასიფიკაცია** - ტრანზაქციები და მოვლენები ასახულია შესაბამის ანგარიშებზე;
- **წარდგენა** - ოპერაციები და მოვლენები სათანადოდ არის აგრეგირებული, ან დეზაგრეგირებული, და ნათლად და გასაგებად აღწერილი, ხოლო მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება არის შესაბამისი და აღქმადი, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით;

მტკიცებები პერიოდის ბოლოს არსებული ანგარიშების ნაშთების და შესაბამისი აინფორმაციის გასაჯაროებისთვის:

- **არსებობა** - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი არსებობს;
- **უფლებები და მოვალეობები** - სამეურნეო სუბიექტის საკუთრებაშია აქტივები, ან სამეურნეო სუბიექტი აკონტროლებს აქტივებზე უფლებებს, ხოლო ვალდებულებები სამეურნეო სუბიექტის ვალდებულებებია;
- **სისრულე** - ყველა სახის აქტივი, ვალდებულება და საკუთარი კაპიტალი, რომლებიც ბუღალტრულად უნდა აღრიცხულიყო, აღრიცხულია, ასევე ყველანაირი შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც ჩართული უნდა ყოფილიყო ფინანსურ ანგარიშგებებში, ჩართულია;
- **სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება** - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია შესაფერისი თანხებით და სათანადოდ არის ასახული ყველა კორექტირება, რომელიც დაკავშირებულია მათ შეფასებასთან, ან თანხების მიკუთვნებასთან/განაწილებასთან, ასევე შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება სათანადოდ არის შეფასებული და აღწერილი;
- **კლასიფიკაცია** - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი სათანადოდ არის ასახული შესაბამის ანგარიშებზე;
- **წარდგენა** - აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი სათანადოდ არის აგრეგირებული, ან დეზაგრეგირებული და ნათლად და გასაგებად აღწერილი, ხოლო მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება არის შესაბამისი და აღქმადი, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

საკმარისი მტკიცებულება უნდა იქნეს მოპოვებული, რომ მოხდეს თითოეულ მტკიცებაზე შემოწმება. ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები მოყვანილია HAT-ის აუდიტორულ პროგრამებში და ჩართული რელევანტური ტესტები უზრუნველყოფს, რომ ტესტირებამ დაფაროს ყველა მტკიცება და გამოყენებული იყოს შესაფერისი შერჩევითი ერთობლიობები.

3.2 შეცდომები და გამოტოვებები

ძირითადი აუდიტორული პროგრამის შედგენისას მნიშვნელოვანია იმ ტესტების გათვალისწინება, რომლებიც მიზნად ისახავს შეცდომებისა და გამოტოვებების აღმოჩენას.

ტესტები, რომლებიც შეიქმნა შეცდომების გამოვლენის მიზნით, იწყება ჩანაწერებით, რომლებშიც ერთეულოვანი ჩანაწერები კეთდება და შერჩეული მოცულობა ედრება პირველად დოკუმენტაციას (მაგალითად, გაყიდვების ჟურნალის ჩანაწერი უნდა შეედაროს კლიენტების შეკვეთების დოკუმენტებს).

გამოტოვებები არ გამოვლინდება საბუღალტრო ჩანაწერებთან მუშაობით, არამედ მათი გამოვლენა უნდა მოხდეს ცალკე აღრიცხული და სასურველია დამოუკიდებელი (მესამე მხარის) მტკიცებულებების იდენტიფიკაციით, რომლებიც ცალკე ჩაიწერება და, უკეთეს შემთხვევაში, დამოუკიდებელი (მესამე პირის მიერ) მხარის მიერ იწარმოება (მაგ., შეკვეთების შედარება მთავარი წიგნის გაყიდვების ანგარიშთან).

ამიტომ ნებისმიერი მოცემული ტესტის ამოსავალი წერტილი ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი, იქნება ეს კლიენტის დოკუმენტაცია (შეცდომების გამოვლენისათვის). თუ დამოუკიდებელი მტკიცებულება (გამოტოვებების გამოვლენისათვის). მოცემულ ცხრილში მოყვანილია ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი:

ტესტირებას დაქვემდებარებული პოზიციები	კლიენტის შესაბამისი დოკუმენტაცია	დამოუკიდებელი მტკიცებულება
გაყიდვები	<p>მიწოდების (გაგზავნის) დამადასტურებელი დოკუმენტები.</p> <p>სააღრიცხვო ჟურნალიდან ჩამოწერილი სმფ.</p> <p>გაყიდვების ჩანაწერები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეკვეთები (შიდა დოკუმენტაცია); • ინვოისები; • ჟურნალი; • ანგარიშების ამონაწერები/ ანგარიშგება; <p>მომხმარებლის ფაილები.</p>	<p>დებიტორული დავალიანების ცირკულარი (დასტური, შედარება).</p> <p>პროდუქტის მიღების დასტური.</p> <p>საგადახდო დავალებები (გადარიცხვის დამადასტურებელი).</p> <p>შემოსავლების ორდერები.</p> <p>კორესპონდენცია მომხმარებელთან.</p> <p>მომხმარებლის შეკვეთები.</p>
სავაჭრო ვალდებულებები	<p>მიღებული საქონლის თანხლები დოკუმენტები.</p> <p>სმფ სააღრიცხვო ჟურნალში.</p> <p>შეძენასთან დაკავშირებული ჩანაწერები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეკვეთები • ჟურნალი. 	<p>მომწოდებლის მიერ გამოგზავნილი საქონლის თანხლები დოკუმენტები.</p> <p>მომწოდებლის ანგარიშების ამონაწერები.</p> <p>შეძენის ინვოისები.</p>

ტესტირებას დაქვემდებარებული პოზიციები	კლიენტის შესაბამისი დოკუმენტაცია	დამოუკიდებელი მტკიცებულება
უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი	გაყიდვების ჟურნალი. კორესპონდენციის ფაილები.	დებიტორული დავალიანების ცირკულარი (დასტური, შედარება). ადგილობრივი პრესა, მომხმარებელთან კორესპონდენცია. კრედიტის შესახებ წერილები. წერილები ადმინისტრატორებისგან და ა.შ.
დარიცხვები	წინა გადახდები. საბიუჯეტო/წინასწარშეფასებული ხარჯები. სმფ სააღრიცხვო წიგნში. შეკვეთები.	მომწოდებლის ინვოისები. მომწოდებლის ამონაწერები. წერილები იურისტებისგან.

მიზანმიმართული ტესტირება გულისხმობს ტესტირებას დაქვემდებარებული საგნების გაზვიადებულად ან დაკნინებულად შეფასებაზე ტესტირებას, მაგრამ არა ორივეს ერთად. წარსულში აქტივები აუდიტირებული იყო გაზვიადებების გამოსავლენად, ხოლო ვალდებულებები კი შემცირებების გამოსავლენად, რადგან ეს იყო მიჩნეული ძირითად რისკად. ამ ტიპის მიდგომა არ შეესაბამება ასს-ს. დამკვეთმა შესაძლოა თანაბარი ალბათობით მოახდინოს შემოსავლებისა და აქტივების შეფასების შემცირება, შესაბამისად მას აქვს გარკვეული გამონაკლისების გაკეთების უფლებამოსილება, ფინანსურ ანგარიშგებებთან და აუდიტთან მიმართებაში. ვალდებულებები ასევე შეიძლება იყოს გადაჭარბებულად შეფასებული, თუ დამკვეთი გადასახადების შემცირებას ცდილობს და ა.შ.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, დებიტორული დავალიანების ტესტირება გადაჭარბებულად შეფასებაზე და გაყიდვების ტესტირება მათ შემცირებაზე. არგუმენტი ისაა, რომ დებიტორული დავალიანების ტესტირება გადაჭარბებაზე ირიბად ნიშნავს გაყიდვების ტესტირებას ვალიდურობაზე, ხოლო გაყიდვების ტესტირება სისრულეზე ნიშნავს, რომ დებიტორული დავალიანებაც იტესტება სისრულეზე.

რამდენადაც ეს მიდგომა თეორიულად ვალიდურია (აზრს მოკლებული არ არის), ის მაინც შესაძლოა იყოს სარისკო. განვიხილოთ ორი სცენარი:

1. როგორ იმუშავებს ეს გადაჭარბებულად შეფასებაზე/ნაღდი ანგარიშით გაყიდვების ვალიდურობაზე?
2. როგორ ვიძლევიტ იმის გარანტიას, რომ არ ხდება ყალბი გაყიდვების აღრიცხვა და შემდეგ მათი ჩამოწერა? მაგალითად, საჟურნალო გატარებების კორექტირება განხორციელებულია დებიტორული დავალიანების ანგარიშის ხარჯზე, იმისათვის, რომ შემდეგ გაყიდული საქონლის თვითღირებულებად დაკვალიფიცირდეს?

პირველი შემთხვევა შესაძლოა საერთოდ არ იქნეს წამოწეული; თუმცა, მეორე შემთხვევის იდენტიფიცირება თეორიულად სააღრიცხვო ჟურნალების ტესტირების გზით არის შესაძლებელი.

ამ ტიპის მიზანმიმართული ტესტირება მუშაობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი/ტრანზაქციების ტესტირების მიდგომა გამოიყენება მოგების ან ზარალის მუხლების მიმართ (განსხვავებით ანალიზური პროცედურებისგან).

3.3. სააღრიცხვო სისტემის ადეკვატურობა

პირველი თავის მე-8 ნაწილში განმარტებულია, თუ როგორ უნდა შეისწავლონ და დაადოკუმენტონ აუდიტორებმა დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და ჩაატარონ გამჭოლი ტესტები. ეს განაპირობებს აუდიტორის მოსაზრების საფუძველს იმასთან დაკავშირებით, აწარმოებს თუ არა სამეურნეო სუბიექტი ადეკვატურ ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებს და წარმოადგენს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა საიმედო საფუძველს ზუსტი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

4. ძირითადი ტესტების ვადები

ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია შუალედური ტესტების ჩატარება. მაგალითები შეიძლება მოიცავდეს მარაგის ინვენტარიზაციას და მომხმარებლებისთვის, შესაბამისი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოსთვის, დებიტორული დავალიანებების ნაშთის დასტურების მიზნით წერილების დაგზავნას. ამ სამუშაოს შესრულებამდე მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ დავალების დაგეგმვის კონკრეტული ნაწილი დასრულებულია. საჭიროა აუდიტორის საკონტროლო კითხვარის შევსება არააუდიტორული მომსახურებების მიწოდებისათვის განკუთვნილ ფორმასთან ერთად. უნდა მოხდეს არსებითობისა და რისკის შეფასება (ეს შეიძლება ეფუძნებოდეს წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებებს, მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებს, ბიუჯეტებს ან წინა პერიოდის ინფორმაციას, იმისდა მიხედვით, თუ რა არის ხელმისაწვდომი). შემდეგ შესაძლებელია შერჩევითი მოცულობის განსაზღვრა, რომელიც ადეკვატური სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს. შემდეგ გარკვეული პროცედურების შესრულება საჭიროა აუდიტის მთავარი ვიზიტის პერიოდში, რათა მოხდეს წინარე (წინასწარ) შედეგებსა და ფინანსურ ანგარიშგებებში მოყვანილ მონაცემებს შორის კავშირის/ზმის დადგენა, რათა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებთან მიმართებაში რწმუნების მიღება (ასს 330, პუნქტი 12). ტრანზაქციების ტესტების ჩატარება აგრეთვე შესაძლებელია სააღრიცხვო პერიოდის მხოლოდ რომელიმე ნაწილთან მიმართებაში, ხოლო დანარჩენი სამუშაო შესაძლოა შესრულდეს საბოლოო აუდიტის პერიოდში.

4.1. აუდიტორული მტკიცებულების ღირებულების ეფექტიანობა და მისი საიმედოობა

დანახარჯების საკითხმა არასდროს არ უნდა შეუშალოს ხელი აუდიტორული სამუშაოს საკმარისი მოცულობით ჩატარებას. თუმცა, აუდიტის ძირითადი მიზანი ყოველთვის იქნება საკმარისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ყველაზე რენტაბელური მიდგომის გამოყენებით. საკვანძო ფაქტორებია:

- ბუღალტრული ნაშთის ან ტრანზაქციების კლასის ხასიათი/ზუნება და შემადგენლობა;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ორგანიზება; და
- იმ მტკიცებულებების საიმედოობა, რომლებიც პოტენციურად ხელმისაწვდომი იქნება.

ზოგადად, ჭეშმარიტია/ძალაშია შემდეგი დებულებები (ასს 500, პუნქტი გ1):

- დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები უფრო საიმედოა, ვიდრე დამკვეთის ჩანაწერებიდან/წიალიდან მიღებული;
- დამკვეთის ჩანაწერებიდან/წიალიდან მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები უფრო საიმედოა, როცა სააღრიცხვო და შიდა კონტროლის სისტემები ეფექტურად მუშაობენ;
- უშუალოდ აუდიტორების მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება უფრო საიმედოა, ვიდრე დამკვეთისგან მიღებული აუდიტორული მტკიცებულება;
- წერილობითი მტკიცებულებები უფრო საიმედოა, ვიდრე ზეპირი მტკიცებულებები; და
- ორიგინალი დოკუმენტები უფრო საიმედოა, ვიდრე სკანირებული ასლები, ფოტო ასლები, ფაქსით და ელფოსტით მიმოწერა.

5. რა არის ძირითადი პროცედურები?

ძირითადი პროცედურები (ასს 500, პუნქტები გ14 – გ 25) ესაა სპეციფიკური აუდიტორული ტესტები, რომლებიც ეხება ცალკეულ ტრანზაქციებს ან ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ ნაშთებს და ჩვეულებრივ ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- ანალიზური პროცედურები (ტექნიკურად ისინი აგრეთვე წარმოადგენენ კონტროლის ტესტებს);
- ტრანზაქციების ელემენტების ტესტები (განკუთვნილია ტრანზაქციების ტესტებისათვის);
- ანგარიშთა ნაშთების ელემენტების ტესტები (განკუთვნილია ფინანსური შედეგების ანგარიშგებას და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, წარმოდგენილი მონაცემების ტესტირებისათვის ანუ „ძირითადი ტესტირება“); და
- დეტალური ტესტები.

6. ანალიზური პროცედურები

ანალიზური პროცედურების, ძირითადი აუდიტორული პროცედურების სახით გამოყენებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორის (ასს 520, პუნქტი 5/ასს 520, პუნქტი გ6-გ14). ესენია:

- აუდიტორული მიზნები და რწმუნების ხარისხი, რომელიც მოპოვებულ მტკიცებულებებს შეიძლება მიენიჭოს;
- არსებობა და რისკი, რომელიც დაკავშირებულია შემოწმებას დაქვემდებარებული ანგარიშის ნაშთთან/მნიშვნელობასთან;
- მონაცემების სანდოობა;
- ინფორმაციის წყარო;
- ინფორმაციის ბუნება/ხასიათი და მისი აქტუალურობა;

- ის დაწესებული კონტროლი, რომლებსაც ასეთი ინფორმაციის მომზადების პროცესზეა დაქვემდებარებული;
- საკვანძო მაჩვენებლების/მახასიათებლების, კომპონენტებად ჩაშლის შესაძლებლობა;
- აქვს თუ არა ხელმძღვანელობას შესაბამისი (რომელშიც დასაქმებულნი არიან) ბიზნესის სწორი ფინანსური აღქმის/გაგების უნარი;
- გამოსაყენებელი ინფორმაციის შესადაროსობა (მაგალითად, შესაბამისი დარგის მაჩვენებლების/კოეფიციენტების შესახებ ან/და სხვა ინფორმაცია შესაძლოა რამდენიმე წლით მოძველებული იყოს და აღარ ახლდებოდეს);
- ვითარებების, მოვლენებისა და ურთიერთობების - დამაჯერებლობა, სარწმუნოობა და წინასწარგანჭვრეტადობა (რთულია ახალი დამკვეთებისთვის ზუსტი პროგნოზების გაკეთება; ან ისეთი დამკვეთებისთვის, რომლებიც საპროექტო სამუშაოს - სტანდარტული მოგების მარჯის გარეშე აწარმოებენ);
- ჩართული პერსონალის უნარები (ანალიზური პროცედურები უნდა შესრულდეს აუდიტის ისეთი პერსონალის მიერ, რომელსაც საკმარისი გამოცდილება გააჩნია და კარგად იცნობს დამკვეთს - იმ სფეროს ჩათლით, რომელშიც დამკვეთი მოღვაწეობს); და
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მაგალითად, ბიუჯეტები იშვიათ შემთხვევაშია ხელმისაწვდომი).

ანალიზური პროცედურების ჩატარებისას, საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- რომელიმე პროცედურის **ჩატარებამდე** ჩამოაყალიბეთ მოსალოდნელი შედეგი და-საშვები „გადახრის/ტოლერანტობის“ მითითებით (რომელი არ უნდეს აღემატებოდეს სამუშაო არსებობას) (ასს 520, პუნქტი 5(გ) / ასს 520, პუნქტი 6(15));
- შეადარეთ რეალური შედეგები მოსალოდნელ შედეგებს;
- გამოიკვლიეთ არასათანადო გადახრები (ასს 520, პუნქტი 7(ა));
- დაადოკუმენტირეთ და სრულად დაასაბუთეთ ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული განმარტებები; და
- სიტუაციის გააზრების შედეგად გააკეთეთ დასკვნა.

არსებობს ანალიზური პროცედურების ოთხი სახეობა, რომლებსაც განვიხილავთ რიგრიგობით:

- ჯამური თანხების საკონტროლო გამოთლა;
- ტრენდების(ტენდენციების) ანალიზი;
- კოეფიციენტების ანალიზი; და
- გონივრულობის ტესტები.

6.1. ჯამური თანხების საკონტროლო გამოთლა

(ასს 520, პუნქტი 66-68)

აქ იგულისხმება ბალანსის თეორიული ჯამის გამოანგარიშება მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე და მისი ფაქტობრივ ბალანსთან შედარება. მაგალითად, გამყიდველების საკომისიოების შემოწმება მთლიანობაში შესაძლებელია საერთო გაყიდვების გამრავლებით საკამოსიო განაკვეთზე.

6.2. ტენდების (ტენდენციების) ანალიზი

(ასს 520, პუნქტი გ1)

აქ იგულისხმება მოცემულ პუნქტში/მუხლში დროის განმავლობაში ცვლილებების ანალიზი. ტენდენციების ანალიზის პროცედურები შეიძლება იყენებდეს გრაფიკებს, მოიცავდეს საშუალო არითმეტიკულის ან უფრო რთული ტექნიკების გამოყენებას, როგორცაა რეგრესიული ანალიზი.

6.3. კოეფიციენტების ანალიზი

(ასს 520, პუნქტი გ2)

კოეფიციენტების ანალიზი თავის თავში გულისხმობს ძირითადი კოეფიციენტების გაანგარიშებას, როგორცაა მოგებიანობა, ლიკვიდურობა, ასევე მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი. ზოგიერთი, ყველაზე ხშირად გამოთვლადი კოეფიციენტი ჩართულია დანართში 3.9. შემდეგ ხდება მათი მოლოდინთან შედარება, რომლებიც შესაძლოა, ეფუძნებოდეს წინა პერიოდებს, ბიუჯეტებს, მსგავს საწარმოებს ან სხვადასხვა დანაყოფებს ერთი და იმავე ორგანიზაციის ფარგლებში. შესაძლოა, საჭირო გახდეს ამ ყველაფრის „გაანალიზება“, მიმდინარე სააღრიცხვო (აუდიტის) პერიოდში არსებული გარემოებების გამოსავლენად/გამოსახატად.

ჩვეულებრივ, გამოიყენება კოეფიციენტების ანალიზი, მაგრამ უფრო მეტი ეფექტურობისთვის, აუდიტორებმა უნდა უზრუნველყონ:

- კოეფიციენტების გამოთვლის თანმიმდევრულობა;
- შესადარებელ პოზიციებს/პარამეტრებს შორის შესაბამისი დამოკიდებულების არსებობა; და
- შესაბამისი (გამონაკლისი) ელემენტებისათვის გაანგარიშებების კორექტირება, რომლებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგების დამახინჯება შეუძლია.

6.4. გონივრულობის ტესტები

(ასს 520, პუნქტი გ7)

გონივრულობის პროცედურები მიზნად ისახავს ობიექტის შეფასების კონცეფციის შემუშავებას ისეთი მიდგომის საფუძველზე, რომელიც ფინანსურ და საოპერაციო მონაცემებს მოიცავს. ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა გონივრულობის ტესტის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგრამ სხვა მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს საშუალო ხელფასის გამოთვლა - სახელფასო ხარჯისა და თანამშრომელთა საშუალო რაოდენობის საფუძველზე და აგრეთვე დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული ჩვენ მიერ გამოთვლილ მოლოდინს და რამდენად „გონივრულია“ ეს.

7. ოპერაციებისა და ანგარიშთა ნაშთების ელემენტების ტესტები

(ასს 500, პუნქტი 10)

ოპერაციებისა და ანგარიშთა ნაშთების ელემენტების ტესტების გამოყენება შესაძლებელია ტრანზაქციებისა და ნაშთების შესამოწმებლად და მათი გამოყენება დაშვებულია როგორც საქმიანობის შედეგების ანგარიშ(ებ)ის, აგრეთვე ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მუხლებისადმი.

ისინი ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- 100%-იანი ტესტირება; და
- შერჩევითი ტესტირება.

7.1. 100%-იანი (სრული) ტესტირება

(ასს 500, პუნქტი გ53)

სახელწოდებიდან გამომდინარე, 100%-იანი ტესტირება ითვალისწინებს გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეულის შემოწმებას. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება იყოს შესაფერისი:

- თუ გენერალური ერთობლიობა შედგება მაღალი რიცხოვრივი მნიშვნელობის მქონე მცირე ოდენობის ერთეულებისაგან; ან
- თუ შეცდომის რისკი განსაკუთრებულად მაღალია.

7.2. შერჩევითი ტესტირება

(ასს 500, პუნქტი გ54-გ56)

ხშირ შემთხვევაში 100%-იანი ტესტირება არაპრაქტიკულია და შესაბამისად შერჩევითი ერთობლიობა იტესტება.

შერჩევის საფუძველებია:

- მაღალი რიცხოვრივი მნიშვნელობის მუხლები, ერთეულები (მათ შორის, ისინი, რომლებიც აღემატებიან სამუშაო არსებითობას);
- ძირითადი მუხლები; და
- წარმომადგენლობითი მუხლები/ერთეულები ნარჩენ გენერალურ ერთობლიობაში (შერჩევა).

მაღალი რიცხოვრივი მნიშვნელობის მქონე მუხლები/ერთეულები

(ასს 500, პუნქტი გ54)

მაღალი რიცხოვრივი მნიშვნელობის მქონე მუხლების შემოწმება, გარკვეული მნიშვნელობის ზემოთ ყველა მუხლის/ერთეულის შემოწმებას გულისხმობს (ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, სამუშაო არსებითობის დონე). აღნიშნული მეთოდი ხშირად გამოიყენება, როცა მაღალი რიცხოვრივი მნიშვნელობის მქონე მუხლში არსებულ შეცდომას შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა თანხებზე, ან, როდესაც ეს ანგარიშის ნაშთის დიდი ნაწილის შესახებ აზრის ჩამოყალიბების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევებში, ეს მიდგომა კომბინირებული უნდა იყოს ნარჩენი ერთობლიობიდან წარმომადგენლობითი შერჩევის განსაზღვრის მიდგომასთან.

ძირითადი მუხლები/ერთეულები

(ასს 500, პუნქტი გ54)

ძირითადი მუხლების ტესტირება ესაა ისეთი მუხლების ტესტირება, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება რისკისადმი, ან როცა არსებობს იმის გაზრდილი შესაძლებლობა, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებით შეცდომებს შეიცავდეს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:

- მუხლებს, რომლებიც არ ექვემდებარება ჩვეულ/შესაბამის კონტროლის პროცედურებს ან არ ექვეციან ბიზნესის ჩვეული პროცედურების ფარგლებში;
- მუხლები, რომლებთან მიმართებაშიც წინა პერიოდებში შეცდომები ფიქსირდება (ისტორიულად);
- მუხლები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს თაღლითობაზე ან კანონთან და რეგულაციებთან შეუსაბამობაზე;
- დაკავშირებული მხარეების მიერ წარმოებული ტრანზაქციები;

- ანგარიშების ნაშთები, რომლებზეც უჩვეულოდ დაბალი აქტივობა ფიქსირდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, ძნელად გაყიდვადი მარაგები); და
- სხვა უჩვეულო მუხლები/ერთეულები ან ანომალიები.

ზემოაღნიშნული ასევე კომბინირებული უნდა იქნეს, ნარჩენი ერთობლიობიდან წარმომადგენლობითი შერჩევის განსაზღვრის მიდგომასთან.

წარმომადგენლობითი ერთეულები (შერჩევითი ერთობლიობა, შერჩევა)
(ასს 500, პუნქტი 656)

ნებისმიერი დიდი რიცხობრივი მნიშვნელობის მქონე ან ძირითადი მუხლების ტესტირებასთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს წარმომადგენლობითი ერთეულებისაგან შემდგარი შერჩევითი ერთობლიობის ტესტირებაც. წარმომადგენლობითი ერთობლიობის შერჩევის შესახებ, მეტი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

8. შერჩევა

ასს 530, პუნქტი 5(ა) – „აუდიტორული შერჩევა“, შერჩევას განმარტავს როგორც – აუდიტორული პროცედურების გამოყენება მოცემულ გენერალურ ერთობლიობაში შემავალი ერთეულების 100%-ზე ნაკლები ერთეულის მიმართ ისე, რომ ყველა შესარჩევ ერთეულს ჰქონდეს ერთნაირი შერჩევის შანსი, რათა აუდიტორმა მიიღოს დასაბუთებული საფუძველი იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს დასკვნა იმ გენერალური ერთობლიობისთვის, საიდანაც შეარჩია შერჩევითი ერთობლიობა;

სტატისტიკური შერჩევა
(ასს 530, პუნქტი 5)

სტატისტიკური შერჩევა - შერჩევის ნებისმიერი მიდგომა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- (i) შერჩევითი ერთობლიობის მუხლების შემთხვევითი შერჩევა; და
- (ii) ალბათობის თეორიის გამოყენება შერჩევითი ერთობლიობის შედეგების შესაფასებლად, მათ შორის შერჩევის რისკის გასაზომად;

შერჩევის ისეთი მიდგომა, რომელსაც არ ახასიათებს (i) და (ii) ქვეპუნქტების ნიშნები, მიიჩნევა არასტატისტიკურ შერჩევად.

შერჩევა მოიცავს წარმომადგენლობით მუხლებს, ასე, რომ მასში არ გაერთიანდება მუხლები, მხოლოდ დიდი თანხობრივი მაჩვენებლის ან მხოლოდ სხვა რომელიმე გამორჩეული პარამეტრის მიხედვით. მიუხედავად ამისა, დიდი ღირებულების ან სხვა რაიმე ძირითადი პარამეტრით გამორჩეული ერთეულების ტესტირება შესაძლებელია საკმარისი აუდიტორული საიმედოობის გარანტი აღმოჩნდეს და, აქედან გამომდინარე, შერჩევა არ ჩაითვლება მუხლების დეტალური ტესტირების ერთადერთ საშუალებად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რისკი იმისა, რომ დამკვეთი შენიშნავს, რომ დაბალი ღირებულების მქონე ერთეულების ტესტირება არ განხორციელდა, რამეთუ ეს რისკი პოტენციურად ზრდის თაღლითობის რისკს.

8.1 შერჩევითი მოცულობის გამოთვლა

შერჩევითი მოცულობის გამოთვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, დეტალების ტესტირება განხორციელდება ნაშთებისა და ტრანზაქციების მიმართ, თუ განხორციელდება კონტროლის ტესტირება.

ნაშთების ტესტირება (საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასა თუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ტესტირებისას, ყოველთვის აღნიშნული მეთოდი იქნება გამოყენებული, ამასთანავე კონკრეტულ გარემოებებში, ეს მეთოდი შესაძლებელია საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ნაშთების ტესტირებისთვისაც აღმოჩნდეს მიზანშეწონილი. მაგალითად, თუ საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ნაშთ(ებ)ს შედარებით მცირე ოდენობის ტრანზაქციები შეადგენს, ან იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება რამდენიმე დიდი თანხობრივი მაჩვენებლით გამორჩეული ერთეულის ან სხვა რომელიმე ძირითადი ერთეულის ცალკე ტესტირების შესაძლებლობა, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მეთოდი უფრო ეფექტური აღმოჩნდეს.

პირველ რიგში, ტესტირებისთვის შერჩეული იქნება დიდი რიცხობრივი მნიშვნელობის მქონე ერთეულები და ძირითადი ერთეულები, ამიტომ გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი ფორმულა:

$$\text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა} = \frac{\text{გენერალური ერთობლიობის ღირებულება - დიდი ღირებულების ერთეულები ან ძირითადი ერთეულები } \times \text{რ}}{\text{არსებითობის დონე}}$$

რისკის ფაქტორი „რ“ აღებულია მარტივი სამიეზო ცხრილიდან და ეფუძნება რისკის შეფასებას და იმ გარემოებას, თუ რამდენად იქნება მხარდაჭერილი, დეტალური ძირითადი ტესტირების პროცესი, ერთობლივი ანალიზური პროცედურებით ან/და კონტროლების ტესტირებით.

ტრანზაქციების ტესტირება (მხოლოდ საქმიანობის შედეგების ანგარიშგების მუხლები) და კონტროლების ტესტირება

იმ შემთხვევებში, როდესაც საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ნაშთებში მრავალრიცხოვანი ტრანზაქციების შემოწმებაა საჭირო, ან როდესაც ტესტირება ხორციელდება ტრანზაქციების შემცირებულად შეფასების დასაფარად, სავარაუდოდ, უფრო ეფექტური იქნება, თუ აქცენტი გაკეთდება ტრანზაქციების ტესტირებაზე, ვიდრე ნაშთების შემოწმებაზე. ასეთ შემთხვევებში, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გამოთვლის სხვა მეთოდი გამოიყენება.

შერჩევის იგივე მეთოდი გამოიყენება კონტროლის ტესტირებისას, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონტროლის ტესტირება ოდესმე განხორციელდეს, დაბალი რისკის გარემოს გარდა სხვა რომელიმე პირობებში.

ტრანზაქციების ან კონტროლის ტესტირებისათვის, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრისას, მუხლებისა და ცალკეული ერთეულების რიცხობრივ სიდიდეს მნიშვნელობა არ მიენიჭება, ვინაიდან თვითონ უშუალოდ სისტემის ტესტირება უნდა მოხდეს. რეკომენდებულია შემდეგი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობის გამოყენება:

<u>წინასწარი თანდაყოლილი რისკი</u>	<u>შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა</u>
დაბალი	25
საშუალო	40
მაღალი	60+

რისკის დონის გამოხატულება, შესაბამის პოპულაციაში მოსალოდნელი გადახრების (დევიაციების) პროცენტულ მაჩვენებლებში, წამოდგენილია ქვემოთ:

<u>რისკის დონე</u>	<u>მოსალოდნელი გადახრების პროცენტულ მაჩვენებელი</u>
დაბალი	0
საშუალო	0.25-დან 2.5-მდე
მაღალი	2.75 ზემოთ

შერჩევის აღნიშნული მოცულობა ეფუძნება იმ სტატისტიკურ ფაქტს, რომ დაახლოებით 2 მილიონიან გენერალურ ერთობლიობაში, დასაშვები ტოლერანტობის 10%-იანი მაჩვენებლებით, იმ შემთხვევაში, თუ შერჩევაში აღმოჩენილი არ არის უზუსტობები, არსებობს 90% ალბათობა იმისა, რომ თანდაყოლილი რისკი არ იქნება შეფასებული როგორც ძალიან დაბალი. როდესაც უზუსტობების რისკი იზრდება, საკმარისი აუდიტორული რწმუნების მისაღწევად უნდა გაიზარდოს შერჩევითი მოცულობაც. ანალოგურად, თუ შერჩევის ფარგლებში აღმოჩენილია უზუსტობა, უნდა მოხდეს შერჩევითი მოცულობის გაფართოება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ლოკალურ ერთჯერად შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ცხრილი, შერჩევითი მოცულობის გამოთვლისა და ჩაწერისათვის, მოცემულია დანართში 1.17. იგი უნდა შეივსოს დაგეგმვის ეტაპზე და, საჭიროების შემთხვევაში, მისი გადახედვა - დავალების შესრულების - საველე სამუშაოების ეტაპზე უნდა მოხდეს.

ზემოთ აღნიშნული შერჩევითი მოცულობა სათანადოდ ითვლება, თუ გენერალურ ერთობლიობაში 500-ზე მეტი ერთეულია გაერთიანებული. შერჩევის პრინციპების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, პოპულაციისათვის - 500-ზე ნაკლები ერთეულით და დაბალი რისკის არსებობის პირობებში, შერჩევით ერთობლიობაში მოყოლილი ერთეულების ოდენობა უნდა იყოს, ტრანზაქციების რაოდენობიდან კვადრატული ფესვი, მეტობით დამრგვალებული უახლოეს 5-ის ჯერადამდე. საშუალო რისკის არსებობის პირობებში, მიღებული მოცულობა გაამრავლეთ დამატებით კოეფიციენტზე 1.6-ის ოდენობით, (ანუ გვექნება თანაფარდობა $40/25 = 25*1.6$), ხოლო მაღალი რისკის არსებობის პირობებში კი კოეფიციენტზე 2.4-ის ოდენობით (ანუ გვექნება თანაფარდობა $60/25 = 25*2.4$). შესაბამისად, მივიღებთ შერჩევის მოცულობის ერთობლიობის გაანგარიშების შემდეგ ცხრილის:

გენერალური ერთობლიობის მოცულობა	დაბალი რისკი	საშუალო რისკი	მაღალი რისკი
401 ან მეტი	25	40	60+
226 – 400	20	32	48+
101 – 225	15	24	36+
26 – 100	10	16	24+
1 – 25	5	8	12+

ასე, რომ საშუალო რისკის არსებობის პირობებში, გენერალური ერთობლიობით 86, შერჩევის მოცულობა იქნება 16 ელემენტის ტოლი (კვადრატული ფესვი 86-დან = 9,27, დამრგვალებული მეტობით უახლოეს 5-ის ჯერადამდე=10-ს, რადგან საშუალო რისკის პირობებში ვიმყოფებით > გამრავლებული კოეფიციენტზე 1,6 = 16 ელემენტს).

აღნიშნული შერჩევა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი დავალების შესასრულებლად, სადაც ტრანზაქციების ტესტირება ან კონტროლის ტესტირება გამოი-

ყენება. უნდა გვახსოვდეს, რომ მცირე პოპულაციების შემთხვევაში, ტრანზაქციებისა და კონტროლის ტესტირება, შესაძლოა არ იყოს აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების სათანადო მეთოდი.

ძირითადი პროცედურების შესრულებისას ასევე დასაშვებია, რომ გენერალური ერთობლიობის დარჩენილი ნაწილიდან შერჩეული მუხლების/ერთეულების რაოდენობაც (ყველა იმ მუხლის/ერთეულის ტესტირების შემდეგ, რომლებიც სამუშაოს არსებითობას აღემატება და ასევე, სხვა მუხლების, რომლებიც გენერალური ერთობლიობიდან უნდა შეირჩეს) ზემოთ მოყვანილი ზღვრული ოდენობებით განისაზღვრებოდეს.

8.2 შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის მეთოდები

(ასს 530, დანართი 4)

შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის მეთოდზე გავლენას მოახდენს ტესტირების მიზანი, გენერალური ერთობლიობის შემადგენლობა, შესამოწმებელი მუხლების/ერთეულების ტიპი (მაგ. დანომრილია თუ არა ისინი წინასწარ) და შერჩევითი მოცულობა. ტრანზაქციების მიახლოებითი რაოდენობა მითითებული უნდა იყოს შერჩევითი მოცულობის ცხრილში, გამოყენებული მიდგომის დასაბუთების უზრუნველსაყოფად.

უსისტემო შერჩევა

იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ერთობლიობის ელემენტები არ არის წინასწარ დანომრილი, აუდიტორს სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ ელემენტები უბრალოდ უსისტემოდ აირჩიოს, რაც ხშირ შემთხვევაში, არასწორად მოიხსენიება როგორც შემთხვევით შერჩევა და ეს არ არის მართებული. შერჩევის ეს მეთოდი არ არის სტატისტიკური შერჩევის რომელიმე ფორმა და ასევე არ არსებობს იმის გარანტია, რომ აუდიტორის დამოკიდებულება/„წინასწარგანწყობა“ შერჩევისადმი არ იმოქმედებს შერჩევის ერთობლიობაზე. შერჩევის ეს მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შერჩევის სხვა ფორმის გამოყენება შეუძლებელია.

შემთხვევითი შერჩევა

ამ მეთოდის გამოყენებისას ხდება შემთხვევითი რიცხვების გამოყენება შემთხვევითი რიცხვების ცხრილებიდან (იხ. დანართი 1.18), შესამოწმებელი მუხლების იდენტიფიცირების მიზნით (იდეალურ შემთხვევაში, გენერალური ერთობლიობის ელემენტები გადანომრილი უნდა იყოს). ცხრილების გამოყენებისას, ამავე ცხრილების ფარგლებში, შერჩევის დაწყებისას გამოყენებული ათვლის წერტილი, შემოწმების ყოველ ეტაპზე უნდა იცვლებოდეს. თუ გვაქვს ისეთი ელემენტები, რომლებიც შესაბამისი ნომრების დიაპაზონს გარეთ აღმოჩნდნენ, ან შესაბამისი რიცხვი შემთხვევით ორჯერ იქნა დაგენერირებული, მაშინ უნდა მოხდეს ასეთი რიცხვების გაუქმება და გამოყენებულ იქნეს დამატებითი შემთხვევითი რიცხვები მანამ, სანამ ელემენტების საკმარისი რაოდენობა არ იქნება შერჩეული.

სისტემური შერჩევა

სისტემური შერჩევისას, შერჩევის ინტერვალი გამოითვლება გენერალური ერთობლიობის მოცულობის, შერჩევით მოცულობაზე გაყოფით. შერჩევითი მოცულობის განსაზღვრის შემდეგ ხდება ყველა იმ ელემენტის გამოყოფა, რომელიც შერჩევის ინტერვალს შეესაბამება.

მაგალითად, საქონლის მიწოდების ზედნადები დოკუმენტები დანომრილია 1-დან 4000-მდე და გამოყენებულ უნდა იქნეს შერჩევითი მოცულობა, რომელიც უდრის 25-ს.

აქედან გამომდინარე, მიიღება შერჩევის ინტერვალი 160 (4000/25). შემთხვევითი „სტარტისათვის“ საწყისი ნიშნული უნდა განისაზღვროს პირველი 160-ის ფარგლებში,

მაგალითისათვის ავიღოთ 52-ე; (აღნიშნული კვლავ შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენებით უნდა განისაზღვროს). ზემოაღნიშნული მიდგომით, შერჩეული ზედნადები დოკუმენტების ნომრები იქნება 52, 212 (=52 + 160), 372 (=52 + (2 x 160)) და ა.შ.

სისტემური შერჩევა გამოიყენება მაშინ, როდესაც გენერალური ერთობლიობა გადანომრილია და არა მაშინ, როდესაც მისი შეფასება ფულადი ღირებულების ნიშნით ხდება; მაგ., როდესაც შემოსავლის სისრულის შემოწმება, შეკვეთების ნუმერაციის რიგითობის სისწორეზე დაყრდნობით ხდება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ამ დროს წარმომადგენლობითი შერჩევა ვერ იქნეს უზრუნველყოფილი, თუ გენერალური ერთობლიობას ხისტი სტრუქტურა გააჩნია.

ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევა

ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევის არსი ის არის, რომ შერჩევა წარმოებს ფულადი ერთეული ღირებულებიდან გამომდინარე და არა ფიზიკური რიგითობიდან/ერთეულიდან გამომდინარე. ეფექტურობის თვალსაზრისიდან, აღნიშნული მეთოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, თუ კუმულაციური ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომია.

მაგალითად, თუ გენერალური ერთობლიობა შედგება 100 მუხლისგან/ერთეულისაგან, რომელიც ჯამში თანხობრივად შეადგენს 90,000 ფე-ს, ხოლო შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 30-ით.

შერჩევის ინტერვალი იქნება 90,000 ფე / 30, ე.ი. 3,000 ფე.

შემთხვევით შერჩეულ საწყის სასტარტო თანხად, (პირველი 3,000 ფ.ე.-ს ფარგლებში) შეირჩა 564.

მუხლის/ ერთეულის ნომერი	მუხლის/ ერთეულის მნიშვნელობა (ღირებულება) CU	კუმულაციური მნიშვნელობა (ღირებულება) CU	ტესტირებას დასაქვემდებარებელი მუხლები/ერთეულები
1	252	252	
2	1,060	1,312	ფე(შემთხვევითი საწყისი564)
3	614	1,926	
4	93	2,019	
5	3,178	5,197	ფე(564 + 3,000 = 3,564)
6	486	5,683	
7	2,301	7,984	ფე(3,564 + 3,000 = 6,564)
8	2,074	10,058	ფე(6,564 + 3,000 = 9,564)
-	-	-	
-	-	-	
-	-	-	
97	732	84,745	ფე(81,564 + 3,000 = 84,564)
98	1,609	86,354	
99	2,732	89,086	ფე(84,564 + 3,000 = 87,564)
100	914	90,000	

თუ მუხლის/ერთეულის ფულადი ღირებულება შერჩევის ინტერვალს აღემატება, იგი უდავოდ მოჰყვება შერჩევაში. აქედან გამომდინარე, ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევა არის დიდი ღირებულების მქონე მუხლების ავტომატური შერჩევის საშუალება და გამორიცხავს გენერალური ერთობლიობიდან შერჩევის პროცესის დაწყებამდე, მათი

გამოხშირვის საჭიროებას. როდესაც მუხლს/ერთეულს გააჩნია ორი შერჩევის ინტერვალი, დამატებითი მუხლის არჩევის საჭიროება აღარ იარსებებს; ფაქტობრივად, მოწმდება სავალუტო ერთეულების სრული შერჩევა, თუმცა, ერთი მუხლის ტესტირება გულისხმობს რწმუნებას ორ სავალუტო ერთეულზე. ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ გენერალური ერთობლიობა არ არის შეფასებული (არ გააჩნია ღირებულება).

ეს მეთოდი გამოსადეგია სავაჭრო დებიტორული და სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ტესტირებისთვის, რადგან ის ფოკუსირდება (ყურადღებას ამახვილებს) უფრო დიდი ღირებულების მქონე მუხლებზე/ერთეულებზე, მაგრამ, ამავედროულად, არც დაბალი ღირებულების მქონე მუხლებს/ერთეულებს ტოვებს უყურადღებოდ.

8.3 უზუსტობების შეფასება

სავალდებულოა, ყველა აღმოჩენილი უზუსტობის შეფასება. არ უნდა მოხდეს აღმოჩენილი უზუსტობების უგულებელყოფა იმის გამო, რომ თავისთავად არაარსებითია. შეცდომის მიზეზი გამოკვლეულ უნდა იქნეს (ასს 530, პუნქტი 12).

უზუსტობების შეფასების ძირითადი ეტაპებია:

- უზუსტობის მიზეზის ანალიზი (მაგალითად, ხომ არ იყო ეს ერთჯერადი ან ლოკალური უზუსტობა, ან ხომ არ მოხდა, ჩვეულებრივ, მასზე პასუხისმგებელი პირის შვებულებაში ყოფნის დროს (ასს 530, პუნქტი 13);
- გააფართოეთ შერჩევითი მოცულობა/ჩაატარეთ დეტალური ტესტები და სხვა, რათა დადგინდეს უზუსტობათა მიზეზები;
- უზუსტობათა მოცულობის პროექცირება;
- დასკვნების გაკეთება.

8.4 უზუსტობების გავლენის ანალიზი

(ასს 530, პუნქტი 12)

თუ ერთეული უზუსტობა იზოლირებულად მიიჩნევა, ეს უნდა დადასტურდეს კლიენტთან საუბრის შედეგადაც, შემდგომი განხილვისას ან შემდგომი დეტალური ტესტირებისას (ასს 530, პუნქტი 13). თუ გამოვლენილი უზუსტობები დაკავშირებულია კონკრეტულ მოვლენასთან ან სხვა საერთო მახასიათებლებთან, აღნიშნული მახასიათებლების შემცველი ყველა სხვა ელემენტი შესაძლებელია მოითხოვდეს შემდგომ დეტალურ ტესტირებას.

8.5 პროექცირებადი უზუსტობები

(ასს 530, პუნქტი 14)

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა დაშვებული უსუსტობა გამეორებადია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინოს მთლიანად გენერალურ ერთობლიობაზე, თუ ვერ დადასტურდება, რომ აღნიშნული უზუსტობები იზოლირებულია ან განპირობებულია კონკრეტული მოვლენით.

უნდა ხდებოდეს ნებისმიერი განმეორებითი უზუსტობის მთლიან გენერალურ ერთობლიობაზე პროექცირება (ასს 530, პუნქტი გ22). ეს შესაძლებელია განხორციელდეს ორიდან ერთი მეთოდით, რაც დამოკიდებულია უზუსტობის ხასიათზე:

პროპორციული მეთოდი

პროპორციული მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მუხლში აღმოჩენილი უზუსტობის სიდიდე კავშირშია მუხლის მასშტაბთან. მაგალითად, მომხმარებელმა გამოიყენა არასწორი ზედნადები ხარჯების შთანთქმის მაჩვენებელი მიმდინარე სამუშაოს შეფასებისას. რადგან მუხლის ფულადი ღირებულება იზრდება, ხდება ასევე უზუსტობის თანხობრივი ღირებულების ზრდაც. პროგნოზორებადი უზუსტობა განისაზღვრება ფორმულით:

$$\frac{\text{მაქსიმალური მოხდენის ალბათობის მქონე სავარაუდო/ (საპროგნოზო) უზუსტობა}}{\text{შერჩევაში აღმოჩენილი უზუსტობა x შერჩევისთვისათვის გამოყენებულ პოპულაციაზე (დიდი ღირებულების & ძირითადი მუხლების ამოღების შემდეგ) შერჩევით მოცულობაზე}}$$

მაგალითად,

შერჩევისათვის გამოყენებული გენერალური ერთობლიობის მთლიანი ღირებულება	<u>2,000,000 ფე</u>
შერჩევითი მოცულობა	<u>500,000 ფე</u>
შერჩევაში აღმოჩენილი უზუსტობები	<u>9,000 ფე</u>

$$\frac{\text{მაქსიმალური მოხდენის ალბათობის მქონე სავარაუდო/ (საპროგნოზო) უზუსტობა მთლიან პოპულაციაში = } 2,000,000 \text{ ფე} \times 9,000 \text{ ფე}}{500,000 \text{ ფე}} = 36,000 \text{ ფე}$$

მაქსიმალური მოხდენის ალბათობის მქონე, სავარაუდო/(საპროგნოზო) უზუსტობა მთლიან პოპულაციაში ჯამურად იქნება: 36,000 ფე-ს დამატებულ, 100%-ით შემოწმებულ, დიდი ღირებულის მქონე მუხლებსა და ძირითად მუხლებში აღმოჩენილი რეალური უზუსტობა. ორივე უნდა მიეწეროს დაუკორექტირებელი უზუსტობების ნუსხას/ჯამს (Aa 11). 9,000 ფე უნდა აღირიცხოს ფაქტობრივ უზუსტობად მაშინ, როდესაც ექსტრაპოლირებული შეცდომა (36,000 ფე - 9,000 ფე = 27,000 ფე) უნდა აღირიცხოს იმ სახით, როგორც უკვე არის წარმოდგენილი.

სხვაობის მეთოდი

ეს მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნეს იქ, სადაც შეცდომას არ აქვს პირდაპირი კავშირი მუხლის ფულად ღირებულებასთან; ეს ძალაშია მეტ-ნაკლებად ყველა მუხლისთვის. მაგალითის სახით შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მარაგის ყველა მუხლს დამატებული აქვს ერთი იარლიყი და ეს არ არის გათვალისწინებული მარაგის შეფასებისას. ამ გარემოებებში, შეცდომა გაიზრდება გენერალურ ერთობლიობაში, ასეთი მუხლების რაოდენობის პროპორციულად.

მოხდენის ყველაზე დიდი ალბათობის მქონე სავარაუდო შეცდომა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\frac{\text{მოხდენის ყველაზე დიდი ალბათობის მქონე შესაძლო = შეცდომები}}{\text{შერჩევით ერთობლიობაში აღმოჩენილი შეცდომა x შერჩევისთვის გამოყ. გენ. ერთობლიობაში არსებული მუხლების რაოდენობა}}{\text{მუხლების რაოდენობა შერჩევით ერთობლიობაში}}$$

შენიშვნა: შერჩევისთვის გამოყ. გენ. ერთობლ-ში არს. მუხლ-ის რაოდენობა აიღება, პოპულაციიდან არსებითი და საკვანძო მუხლების გამოკლების შემდეგ

შერჩევისთვის გამოყენებული მუხლების მთლიანი რაოდენობა	<u>8000</u>
მუხლების რაოდენობა შერჩევით ერთობლიობაში	<u>40</u>
შერჩევით ერთობლიობაში აღმოჩენილი შეცდომები	<u>90ფე</u>

მოხდენის ყველაზე დიდი ალბათობის მქონე შესაძლო შეცდომები შერჩევისათვის

$$= \frac{8000 \text{ ფე} \times 90 \text{ ფე}}{40 \text{ ფე}} = 18,000 \text{ ფე}$$
= გამოყენებულ ერთობლიობაში

და კვლავ, ერთობლიობისთვის მთლიანობაში, მოხდენის ყველაზე დიდი ალბათობის მქონე შესაძლო შეცდომა იქნება 18,000 ფე-ს დამტკებელი საკვანძო ან მაღალი ღირებულების მუხლებში აღმოჩენილი არსებული შეცდომა. ისევ და ისევ, ეს შეცდომები უნდა ჩაიწეროს Aa11-ის შესაბამის ადგილებში.

8.6 დასკვნების გამოტანა

(ასს 530, პუნქტი 15)

ექსტრაპოლირებული შეცდომა უნდა შედარდეს სამუშაოს არსებითობასთან. უნდა მოხდეს დიფერენციაცია (უხეშ) და (მცირე) შეცდომებს შორის. როგორცაა შეცდომების ნაწილი, რომელიც ცნობილია და შეცდომების ნაწილი, რომელთა პროგნოზირებაც მოხდა. თუ ექსტრაპოლირებული შეცდომის ოდენობა აჭარბებს სამუშაოს არსებითობას, ამ შემთხვევაში არ იქნება საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ გენერალური ერთობლიობა არსებითად სწორია და მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

- ეთხოვოს დამკვეთს, რომ გამოიკვლიოს არსებული შეცდომები და გაარკვიოს შემდგომი შეცდომების არსებობის პოტენციალი; ასევე განახორციელოს ნებისმიერი საჭირო კორექტირება;
- გაფართოვდეს აუდიტორული პროცედურები ან განხორციელდეს ალტერნატიული პროცედურები, სანამ არ იქნება მიღებული საკმარისი მტკიცებულებები.

9. საკონტროლო ტესტები

საკონტროლო ტესტი წარმოადგენს მოცემულ ერთობლიობაში ტრანზაქციების ან ნაშთების მიმოხილვის პროცედურას, რომელიც მიზნად ისახავს უჩვეულო ერთეულების იდენტიფიცირებას (ასს 500, პუნქტი A14). მაგალითად, გაყიდვების საკონტროლო ტესტი შეიძლება გულისხმობდეს ანგარიშ-ფაქტურების მიმოხილვას, რომელსაც არ აქვს მიყენებული რეალიზაციაზე გადასახადის სტანდარტული განაკვეთი. ხშირად დამკვეთის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებას, ადვილად შეიძლება მოგვაწოდოს, ამგვარი გამონაკლისების ამსახველი შესაბამისი ანგარიში.

საკონტროლო ტესტები უნდა განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ ყველა ნაშთზე ან ტრანზაქციების კლასზე, მანამ სანამ არ იქნება განხორციელებული 100%-იანი ტესტირება. გამონაკლისებს წარმოადგენს სამუშაო არსებითობის დონის ქვემოთ არსებული სფეროები.

10. ძირითადი ტესტების პროგრამის შემუშავება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის

სამუშაო არსებითობის დონეზე მეტი (მაღალი) (ასს 330, პუნქტი 18), ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები, ჩვეულებრივ, დეტალების ტესტირებისა და ანალიზური პროცედურების კომბინაციის გამოყენებით მოწმდება. გამოყენებული ტესტების კომბინაცია დამოკიდებული იქნება შემოწმებას დაქვემდებარებულ ნაშთზე და მიღწეული აუდიტორული მტკიცებულების ხარისხზე.

მომხმარებლებისთვის, სადაც თანდაყოლილი რისკი მაღალია და კონტროლის გარემო სუსტია, დეტალური ტესტი შესაძლოა გამოიყენება, ყველა მნიშვნელოვანი აუდიტორული მტკიცების სრულყოფის მიზნით.

11. ძირითადი ტესტების პროგრამის შემუშავება ფინანსური შედეგების ანგარიშგებისათვის

ფინანსური შედეგების ანგარიშგების ძირითადი ტესტები (ასს 330, პუნქტი 18) შესაძლოა გულისხმობდეს ანალიზური პროცედურების (იხ. სექცია 6) და დეტალური ტესტების კომბინაციას (იხ. სექცია 7). გამოყენებული ტესტების კომბინაცია დამოკიდებული იქნება გამჭოლი ტესტების (იხ. თავი 1, სექცია 8.3) შედეგებზე; ასევე შეფასებაზე, თუ რომელი მიდგომა შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტური.

იქ, სადაც დეტალური ანალიზური პროცედურები განხორციელდა და ამავდროულად ისინი წარმატებული აღმოჩნდა, შესაძლოა, რომ სრულებით გამოირიცხოს ან არსებითად შემცირდეს დეტალების ტესტირების საჭიროება. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, ჩატარებული ანალიზური პროცედურები მაღალი ხარისხით უნდა გამოირჩეოდეს, რათა ტესტირებას დაქვემდებარებულ აუდიტორულ მტკიცებებთან მიმართებაში, რწმუნება მოვიპოვოთ.

დეტალების ტესტირება განხორციელებულ უნდა იქნეს, როდესაც:

- შესრულებული დეტალური ანალიზური პროცედურების შედეგად არ არის მიღებული საკმარისად სანდო მტკიცებულებები; და / ან
- არსებობს ეჭვი სააღრიცხვო სისტემის მუშაობასთან მიმართებაში.

დეტალების ტესტები გულისხმობს ან ნაშთების ტესტირებას ან/და ტრანზაქციების ტესტირებას. ტრანზაქციის ტესტები გულისხმობენ ინდივიდუალური ტრანზაქციების ტესტირებას სააღრიცხვო სისტემის სხვადასხვა ეტაპებზე, დაწყებული იმ მომენტიდან, როდესაც მისი სააღრიცხვო სიტემაში გატარება პირველად მოხდა, იმ მომენტის ჩათვლით, როდესაც მისი ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანა ხდება.

ტრანზაქციების ტესტირება უზრუნველყოფს საწარმოს სააღრიცხვო სისტემის კარგ შესწავლას (მის სრულად გაგებას) და შესაბამისად:

- უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ სააღრიცხვო სისტემა შეძლებს საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებას და ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადების ხელშეწყობას, რომლებიც კანონმდებლობას შეესაბამება; და
- უზრუნველყოფს რწმუნებას, ტესტირებას დაქვემდებარებულ აუდიტორულ მტკიცებებთან მიმართებაში, რომლებიც, თავის მხრივ, ამყარებენ საერთო რწმუნებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან სურათს წარმოაჩენს.

ნებისმიერი აღმოჩენილი შეცდომა უნდა იქნეს გაანალიზებული, როგორც იმ კუთხით, რომ ასეთი შეცდომების დაფიქსირება, სააღრიცხვო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კითხვების დასმის საფუძველი ხომ უნდა გახდეს და ასევე იმ კუთხით, რომ ასეთი შეცდომების დაფიქსირება, ავტომატურად ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დაშვებულია არსებითი შეცდომა.

12. აუდიტორული პროგრამები

(ასს 330, პუნქტი 28)

ამ თავის დანართებში მოცემულია პროფორმა აუდიტორული პროგრამები თითოეული ანგარიშის სალდოსთვის. სურვილისამებრ, პრაქტიკოსებმა ასევე შეიძლება გამოიყენონ საკუთარი, მათ მიერ შემუშავებული პროგრამები. შესრულების გრაფიკის მომზადებისა და ანალიზური პროცედურების ჩატარების ზოგადი მოთხოვნების გარდა, თითოეული აუდიტორული პროგრამა მოიცავს ტესტებს, თითოეული აუდიტორული მტკიცების მიხედვით (იხ. თავი 3.1).

დაგეგმვის ეტაპზე აუდიტორული პროგრამები უნდა მოერგოს დამკვეთს, წაშალოს ის ტესტები და სექციები, რომლებიც არ შეესაბამება მას და, საჭიროებისამებრ, დაამატოს დამატებითი ტესტები. დოკუმენტირებული უნდა იქნეს თარიღი და ინიციალები იმ პირის, რომელმაც თითოეული პროგრამა მოამზადა. შემდეგ, აუდიტორული გარიგების პარტნიორი დაამტკიცებს ყველა აუდიტორულ პროგრამას მათ გამოყენებამდე. ეს დოკუმენტირებულ იქნება „გლობალურად“ დოკუმენტის Ac სექციაში შეტანილი სამუშაოს გეგმის სახით. მაშინაც კი, როდესაც აუდიტორული პროგრამა წინა პერიოდიდან უცვლელად იქნა გადმოტანილი, აღნიშნული პროცედურები აქტუალური და საჭირო რჩება იმის დემონსტრირებისათვის, რომ გეგმაში შესაბამისი ტესტებისა და სექციების მიზანშეწონილობა განხილულ იქნა და საჭირო არ არის ცვლილებების განხორციელება.

აუდიტის პროგრამების გამოყენებისას უნდა მომზადდეს ტრადიციული სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც ახდენენ მიზნის, მეთოდის, შერჩევის საფუძვლის, შედეგების და თითოეული ტესტის დასკვნის დეტალიზებას. ეს დამხმარე ცხრილები შემდეგ ჯვარედინად უნდა იქნეს მონიშნული აუდიტის მთავარ პროგრამაში.

მას შემდეგ, რაც შესაბამისი სექცია დასრულდება, უნდა შედგეს სექციის დასკვნის ჩამოყალიბება და მისი ჩაწერა სპეციალურ, ფაილის წლიურ გამყოფ ანკეტაში. აუდიტორული გარიგების პარტნიორმა უნდა განიხილოს დასრულებული აუდიტორული პროგრამა და აღნიშნულის დემონსტრირების მიზნით, ხელი მოაწეროს შესაბამის საქაღალდეს და თარიღი დააწეროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული აუდიტორული პროგრამა, რომელიც ეხება ფინანსური შედეგების ანგარიშგებას, მოითხოვს, შესაბამისი პერიოდის მანძილზე მოქმედი თითოეული სისტემისათვის, ერთი გამჭოლი ტესტის ჩატარებას (იხ. თავი 1, ნაწილი 8.3). გამჭოლი ტესტის ჩატარებისას, ტრანზაქციის ციკლის ფარგლებში, მოცული უნდა იქნეს ერთი ტრანზაქცია, კონტროლის პროცედურების ჩათვლით. ამის შემდეგ აღნიშნული მიმოხილული იქნება, აუდიტორული მიდგომის განსაზღვრის მიზნით (იხ. ნაწილი 11).

12.1 დადასტურება მესამე მხარისაგან და კონტრაჰენტებისაგან

ასს 505, პუნქტი 2 „გარე დადასტურებები“ აცხადებს, რომ დამოუკიდებელი წყაროებისგან აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ორიგინალი დოკუმენტაციის სახით არის წარმოდგენილი, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს

საიმედო აუდიტორულ მტკიცებულებებს. ასეთმა აუდიტორულმა მტკიცებულებებმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს მტკიცებებთან მიმართებაში არსებითი უზუსტობების რისკის მისაღებად დაბალ დონემდე შემცირებას და ასევე შესაფერისი იყოს თაღლითობის რისკთან მიმართებაში, შესაბამისი მტკიცებებისათვის.

არსებობს სხვადასხვა სფერო, რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას გარე დადასტურებები, რომლებიც მოიცავს:

- ამზომველის მიერ ქონების შეფასებას (პროფორმა დოკუმენტი, პროფორმის დოკუმენტებში / დანართი 2);
- სმფ-ს შეფასებას იმ პირების მიერ, რომლებიც მარაგის ინვენტარიზაციას ახორციელებენ (პროფორმა დოკუმენტი, პროფორმის დოკუმენტებში / დანართი 3);
- დასტურების გზით მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთებს (პროფორმა დოკუმენტი პროფორმის დოკუმენტებში / დანართი 4);
- მომწოდებლების ანგარიშგებიდან და დასტურების გზით მიღებულ სავაჭრო ვალდებულების ნაშთებს;
- ბანკირებისაგან, საზღვარგარეთ მდებარე ბანკებისაგან და სხვა ფინანსისტებისგან მიღებულ ბანკის ანგარიშების ნაშთებს და სხვა ინფორმაციას (პროფორმა დოკუმენტი პროფორმა დოკუმენტებში / დანართი 6.1);
- რთული ფინანსურ ინსტრუმენტების შეფასებას, მათ შორის "კომპლექსურ" სესხებს, საპროცენტო განაკვეთის გაცვლას და არა-სტანდარტულ ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს;
- წერილს იურიდიული მრჩევლისაგან, რომელიც ადასტურებს სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ იმ დეტალებს, სადაც კომპანიაა ჩართული (პროფორმა დოკუმენტი პროფორმის დოკუმენტებში / დანართი 8);
- „სხვა ექსპერტის“ წერილს, რომელიც ადასტურებს მათ მიერ ორგანიზაციისთვის შესრულებული საქმიანობის დეტალებს, თუ სად იქნება ის გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებებში (პროფორმა დოკუმენტი პროფორმის დოკუმენტებში / დანართი 9);
- აქტუარის ანგარიშებს IAS 19- ის მიხედვით შეფასებების შესახებ;
- მესამე მხარის მიერ ინვენტარიზაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს. მაგალითად, სასაზღვრო საწყობში შენახვის, დამუშავების, გადასაზიდი ტვირთის ან გადაზიდვის შესახებ;
- ანგარიშები საინვესტიციო მენეჯერებისა და შემნახველი ინსტიტუტებისაგან.

ინფორმაციის მოთხოვნის ფორმულირება ყოველთვის უნდა იყოს მორგებული კონკრეტული აუდიტის მიზნების უზრუნველყოფაზე. მოთხოვნის შემუშავებისას აუდიტორმა უნდა განიხილოს იმ ინფორმაციის ტიპი, რომელიც რესპონდენტებს შეეძლება დაუყოვნებლივ დაადასტურონ, ვინაიდან ამან შეიძლება გავლენა იქონიოს რეაგირების ხარისხსა და მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებების თავისებურებაზე (ასს 505, პუნქტი 7).

დასტურის მოთხოვნები ასევე, როგორც წესი, მოიცავს მენეჯმენტის მიერ რესპონდენტისთვის ნებართვის მიცემას, აუდიტორისთვის ინფორმაციის გამხელის თაობაზე (ასს 505, პუნქტი A4). ფინანსური ინსტიტუტებისთვის „საბანკო წერილზე“ თანდართული წერილი უნდა იქნას ხელმოწერილი ავტორიზებული ანგარიშის ხელმომწერის მიერ (პროფორმა დოკუმენტები/დანართი 6.2). მსგავსი ფორმულირება თან უნდა ახლდეს აუდიტორის მიერ სხვა ინფორმაციის პირდაპირ მოთხოვნას.

13. დაგეგმვაში ცვლილებების შეტანა საველე სამუშაოების განხორციელებისას

შესაძლოა, რომ დაგეგმვის ეტაპზე გაკეთებულ დაშვებებში ცვლილების შეტანის საჭიროება დადგეს, თუ აუდიტის საველე სამუშაოების განხორციელებისას მიწოდებული დამატებითი ინფორმაცია უზრუნველყოფს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც დაგეგმვის ეტაპზე რომ ყოფილიყო ცნობილი, ერთ ან ერთზე მეტ დაშვებას შეცვლიდა. დაშვებებში შეტანილმა ასეთმა ცვლილებებმა შესაძლოა, აუდიტორული პროგრამების დამატებითი ადაპტაცია მოითხოვოს.

ასს 300, პუნქტი 12(c) / ასს 300, პუნქტი გ18, "ფინანსური ანგარიშგების დაგეგმვა და აუდიტი" სთხოვს აუდიტორს, რომ მოახდინოს აუდიტორული გარიგების მსვლელობისას, დაგეგმვაში შეტანილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებების დოკუმენტირება. ცვლილებები დოკუმენტირებულ უნდა იქნეს ასს კრიტიკული საკითხების შესაბამისობის მემორანდუმის დანართში 3.7, რომელიც შეტანილ უნდა იქნას Aa7-ის მიმდინარე აუდიტის ფაილში.

14. კონსულტაცია

აუდიტის პროცესის განმავლობაში, მნიშვნელოვანია, სათანადო კონსულტაციების გაწევა ნებისმიერ რთულ ან სადავო საკითხზე. მაგალითად, შეიძლება, გამოსადეგი იყოს პროფესიონალი ორგანოს მიერ შემოთავაზებული ტექნიკური დახმარების სამსახურთან დაკავშირება. ან ისეთი შიდა სპეციალისტის გამოყენება, რომელიც არ არის აუდიტორული ჯგუფის წევრი. უფრო სპეციალიზებული სამუშაოებისთვის შეიძლება გონივრული იყოს, მაგალითად სახელმწიფო დეპარტამენტთან დაკავშირება. გარე ორგანოებისაგან კონსულტაციების მიღებისას, აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა კლიენტთან მიმართებაში.

როდესაც გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა (გზკმ) უნდა ჩატარდეს, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გონივრულზე მეტი დოზით არ გაიმართოს კონკუსულტაციები გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველეთან, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ მათ არ შეუძლიათ ობიექტური ხედვისა და ანგარიშის ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, გონივრულია, რომ სადავო საკითხებზე ჯეროვანი კონსულტაციები გაიმართოს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველთან (გზკმ), რაც გარიგების გუნდს აუდიტის უკანასკნელ ეტაპებზე თავიდან აარიდებს მოსალოდნელ აზრთა სხვადასხვაობას.

იმ შემთხვევებში, რომლებშიც კონსულტაციების შედეგები აუდიტის მსვლელობისას გამოტანილი/გამოსატანი დასკვნებისათვის აუცილებელი მოთხოვნაა (ასს 220, პუნქტი 18), რომ შესაბამისი დეტალები სწორად იქნეს დოკუმენტირებული ასს კრიტიკული საკითხების შესაბამისობის მემორანდუმის დანართი 3.7-ში, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს Aa7-ის მიმდინარე აუდიტის ფაილში.

დამკვეთი:
საანგარიშგებო პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები და გუდვილი

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისა და გუდვილის ბარათი, აქტივების თითოეული კლასის ბრუნვის მითითებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. **(P)**
2. შეათანხმეთ ბარათში მოცემული ჯამური მონაცემები საცდელ ბალანსთან. **(E)**
3. შეათანხმეთ შესადარისი მონაცემები, წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებს. **(V)**
4. განიხილეთ არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები და გუდვილი, გონივრულობაზე და თანმიმდევრულობაზე. **(C & E)**
5. გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებობის გაანგარიშებას და დავალებათა გეგმას და, საჭიროების შემთხვევაში, განაახლეთ გარიგების შესრულების პროცესში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებით.
6. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში აღმოჩენილი ძირითადი მიგნებები შეტანილია ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობასთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.
7. დარწმუნდით, რომ დასკვნა სათანადოა. **(P)**
8. დარწმუნდით, რომ ბიზნესის კომბინაციისას შეძენილი არამატერიალური აქტივების აღიარება ხდება გუდვილისაგან განცალკევებით იმ შემთხვევებში, სადაც შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება და რეალური ღირებულების საიმედოდ გაზომვა. **(V, P)**
9. დაუდარეთ დამატებითი შერჩევა დამხმარე დოკუმენტაციას და დარწმუნდით, რომ ხარჯების კაპიტალიზაცია სათანადოდ მოხდა. **(E, R & O)**
10. დაუდარეთ გაყიდვებიდან აღებული შერჩევის ელემენტები, გაყიდვების ინვოისებსა და ქვითრებს და დარწმუნდით, რომ გაყიდვებიდან მიღებული მოგება /ზარალი სწორად იქნა დაანგარიშებული. **(C, V)**

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი
	B1	
	B1	
	B1	
	B1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილის წლიურ გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები (გაგრძელება)

11. არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ფარგლებში გაკეთებული შერჩევის ნიმუშებისათვის მოიპოვეთ იმის მტკიცებულება, რომ ეს აქტივები ჯერ კიდევ არსებობს, მათი სახელშეკრულებო, საპატენტო და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის გამოყენების გზით. დარწმუნდით, რომ ისინი ჯერ კიდევ აგენერირებენ ფულად ნაკადებსა და ფულად დანაზოგებს (E)
12. დარწმუნდით, რომ გუდვილი არ გენერირდება კომპანიის შიგნიდან. აგრეთვე, დარწმუნდით, რომ პროდუქტის განვითარებაზე გახარჯული თანხების გარდა, რომლებიც აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, არ მოხდა კომპანიის შიგნიდან გენერირებული არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების კაპიტალიზაცია. (E)
13. პროდუქტის განვითარებაზე დახარჯული თანხების კაპიტალიზაციის შემთხვევაში (კვლევაზე გაწეული დანახარჯები, აღრიცხულ უნდა იქნეს როგორც ხარჯი, თუ ის არ არის მიღებული როგორც ბიზნესის კომბინაციის ნაწილი ან არ არის შემენილი), იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ასეთი ხარჯების გაწევის შედეგად/შემდეგ, ეკონომიკური უკუგებაა მოსალოდნელი, შეადარეთ კაპიტალიზებული ხარჯები (იმ ფინანსური ხარჯების ჩათვლით, რომელთა შემთხვევაშიც ასევე მათი კაპიტალიზების ალტერნატივა იქნა გამოყენებული) დამხმარე დოკუმენტაციასთან. შეადგინეთ სამუშაო დოკუმენტი იმის აღსაწერად, თუ რომელი გარემოებების არსებობის შედეგად დაკმაყოფილდა კაპიტალიზაციის აღიარებისათვის საჭირო კრიტერიუმები. (V)
14. თავიდან გამოანგარიშეთ ამორტიზაცია და შეაფასეთ გამოყენებული განაკვეთების გონივრულობა. უზრუნველყავით ზემოაღნიშნული გუდვილისგან განსხვავებული არამატერიალური აქტივებისთვის, დარწმუნდით, რომ სასარგებლო გამოყენების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და გამოყენებული ამორტიზაციის მეთოდები ღირეპქტორების მიერ ყოველწლიურად განიხილება. (V)
15. განიხილეთ, ხომ არ არის რაიმე სახის მინიშნება იმისა, რომ არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები ან გუდვილი გაუფასურდა. (E, V)
16. დარწმუნდით, რომ გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ზარალი, რომელიც ადრე გუდვილითან მიმართებაში იქნა აღიარებული, არ იქნა აღდგენილი შემდგომ პერიოდში. (V)

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები / თარიღი
	B3	
	B8	

აუდიტორული ტესტები (გაგრძელება)

17. დარწმუნდით, რომ არ მოხდა არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების გადაფასება. (V)
18. დარწმუნდით რომ ნეგატიური გუდვილი, მისი წარმოქმნის შემთხვევაში, ჩამოწერილ იქნა მოგება/ზარალში (P),
19. მიმოიხილეთ საანგარიშგებო პერიოდის შესაბამისი საბჭოების სხდომის ოქმები და მიმდინარე წლის ამოწურვის შემდგომ დამატებული არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები. იმ მუხლებისათვის, რომლებთან მიმართებაშიც წლის ბოლოსათვის, აქტივის შეძენის მიზნით დადებული იყო სახელშეკრულებო შეთანხმება. დარწმუნდით, რომ განმარტებით შენიშვნებში, სწორად იქნა გასაჯაროებული საინვესტიციო ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.(P)
20. იმ შემთხვევებში, სადაც სამეურნეო სუბიექტმა ხარჯებში აღიარა, კვლევასა და პროდუქტის განვითარებაზე გაწეული დანახარჯები, დარწმუნდით, რომ დადგინდა ასეთი დანახარჯების ჯამური ოდენობა და მოხდა მათი განმარტებით შენიშვნებში ასახვა. (P)
21. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები / თარიღი
	B9	

მტკიცებათა განმარტებები:

- E= Existence; არსებობა;
- R&O= Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C= Completeness; სისრულე;
- V= Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P= Presentation; წარდგენა
- O= Occurrence; წარმოშობა
- A= Accuracy; სისწორე
- CO= Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL= Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი:
საანგარიშგებო პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

ძირითადი საშუალებები

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, თითოეული კლასის ბრუნვის ამსახველი, ძირითადი საშუალებების, გუდვილისა და საინვესტიციო ქონების ანგარიშების ბარათები (P)
2. მოიპოვეთ აქტივების რეესტრი, რომელშიც მოცემულია სამეურნეო სუბიექტის აქტივები და მათი ღირებულება. (V)
3. შეადარეთ ბარათში მოცემული ჯამური მონაცემები, საცდელ ბალანსთან და ძირითადი საშუალებების რეესტრთან. (E)
4. დაადარეთ შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებს. (V)
5. შეამოწმეთ ძირითადი საშუალებები გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. (C)
6. გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებითობის გაანგარიშებას, დავალებათა გეგმას და, საჭიროების შემთხვევაში, განახლეთ, თუ გარიგების პროცესში დამატებითი საკითხები გამოვლინდა.
7. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში აღმოჩენილი ძირითადი მიგნებები შეტანილია ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობისთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.
8. დარწმუნდით, რომ დასკვნა სათანადოა. (D)
9. დაუდარეთ შერჩევითი ერთობლიობა პირველად დოკუმენტაციას. (E, V)
10. დარწმუნდით, რომ საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში, მისაკუთვნილ ნასესხები სახსრების დანახარჯებს მოიცავს. (V)
11. თუ დანამატებისათვის განსახორციელებელი გადახდა, ყოველგვარი ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებს სცდება, ან და თუ გაფორმებულია ფინანსური იჯარა, დარწმუნდით, რომ „ხარჯი“ ასახავს ყველა სამომავლო გადახდის მიმდინარე ღირებულებას. (V)

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიცი-ალები/თარიღი
	C1	
	C1	
	C1	
	C1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილის წლიურ გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები

12. იმ შემთხვევაში, როცა სამეურნეო სუბიექტი *de minimis*-ის ლიმიტის ზღვარზეა, რომლის ქვემოთაც ძირითადი საშუალებების კაპიტალიზაცია შესაძლებელი უკვე აღარ არის, მიმოიხილეთ სამეურნეო სუბიექტის პოლიტიკა და გააანალიზეთ, თუ რამდენად გონივრულია ის. კერძოდ, შეუძლია თუ არა მას დროთა განმავლობაში მიგიყვანოთ ძირითადი საშუალებების ღირებულების არარეალურ არსებით შემცირებამდე. (V)
13. განიხილეთ რემონტი, განახლებები და წვრილი ხარჯები, ყველა იმ მუხლების გამოსავლენად, რომლის კაპიტალიზებაც უნდა მომხდარიყო.
14. დაუდარეთ გაყიდვებიდან აღებული შერჩევის ელემენტები, გაყიდვების ინვოისებსა და ქვითრებს და დარწმუნდით, რომ გაყიდვებიდან მიღებული მოგება/ზარალი სწორად იქნა დაანგარიშებული. (E, V)
15. შეამოწმეთ შერჩევაში მოყოლილი აქტივების ფიზიკურად არსებობა. (E)
16. შეამოწმეთ შერჩევაში მოყოლილი აქტივები, საკუთრებისა და შესაბამისი უფლება/მოვალეობების დამდგენი დოკუმენტაციის გამოყენებით (R & O).
17. დარწმუნდით, რომ ხელმძღვანელობამ განიხილა ძირითადი საშუალებების არსებითი ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადა და ნარჩენი ღირებულება ყოველი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. (V)
18. გადაანგარიშეთ ამორტიზაციის შერჩევაში მოყოლილი ელემენტები და შეაფასეთ გამოყენებული განაკვეთების გონივრულობა. (V)
შენ: მიწის ნაკვეთზე ან საინვესტიციო ქონებაზე არ უნდა იქნეს წარმოდგენილი რაიმე სახის ამორტიზაცია.
19. არის თუ არა რაიმე სახის მინიშნება იმაზე, რომ ძირითადი საშუალებები გაუფასურებულია. (V)
20. განიხილეთ ძირითადი საშუალებების რეესტრი ხელმძღვანელობის წევრთან ერთად, მოძველებული და ჩამოსაწერი აქტივების იდენტიფიცირების მიზნით. (E, V)
21. განვადებით შეძენის, ასევე ლიზინგის ხელშეკრულებით ნაყიდი აქტივების შემთხვევაში, უზრუნველყავით შესაბამისი ინფორმაციის სწორად გახსნა:
 - საბალანსო (ნარჩენი) ღირებულების სწორი განმარტებითი შენიშვნები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის; და
 - საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაწეული საამორტიზაციო ხარჯებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი
	C14	
	PAF C11	

აუდიტორული ტესტები

22. განიხილეთ ფინანსური და საოპერაციო იჯარები და დარწმუნდით, რომ ისინი სწორად დაკლასიფიცირდნენ. (P)
23. გადახედეთ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაგროვილ საბჭოს ოქმებს და ძირითადი საშუალებების დამატებებს მიმდინარე წლის ამოწურვის შემდგომ. იმ მუხლებისათვის, რომელთათვისაც შესაბამისი წლის ბოლოსთვის სახეზე იყო კონტარქტი შესაბამისი აქტივის შექმნის მიზნით, დარწმუნდით, რომ განმარტებით შენიშვნებში სწორად იქნა გასაჯაროებული საინვესტიციო ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.
24. დარწმუნდით, რომ გასასხვისებელი აქტივები განიხილულ იქნა ფასს 5 შესაბამისად და შეფასდა საბალანსოსა და გაყიდვის ხარჯების შემცირებული რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით, იმის უზრუნველყოფით, რომ აქტივის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ამორტიზაციის დარიცხვა შეწყდება. (P, V)
25. დარწმუნდით, რომ აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას, სათანადოდ არის კლასიფიცირებული (მათ შორის, მშენებლობის პროცესში მყოფი ის უძრავი ქონება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს საინვესტიციო ქონების სახით). (V, P)
26. დარწმუნდით, რომ ძირითადი საშუალებების ყველა პუნქტი აღრიცხულია ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთის მიხედვით:
- რეალური ღირებულებით;
 - სავარაუდო ღირებულებით (ფაქტობრივად „გაყინული შეფასება“, რომელიც ასახავს აქტივის რეალურ ღირებულებას ფასს-ზე გადასვლისას ან ბოლო ღირებულებას გადასვლამდე, სამეურნეო სუბიექტის წინა ბუღალტრული აღრიცხვის პერიოდის შესაბამისად); ან
 - ისტორიული ღირებულებით. (V)
27. რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივების შემთხვევაში, განიხილეთ შეფასების გონივრულობა (გარე შემფასებლის გამოყენების შემთხვევაში, გამოიყენეთ N აუდიტორული პროგრამის შესაბამისი ტესტები, ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს დასასაბუთებლად). დარწმუნდით, რომ შეფასების ანგარიშის ასლი მოცემულია მუდმივ ფაილში. (V)
28. დარწმუნდით, რომ ყველა საინვესტიციო ქონება ასახულია ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთის მიხედვით:

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი
	C15	
	C12 N2 PAF	

აუდიტორული ტესტები

- რეალური ღირებულებით (იმ ქონების გამოკლებით, რომლის შემთხვევაში შეუძლებელია რეალური ღირებულებისთვის საიმედო შეფასება); ან
 - თვითღირებულებით (შენიშვნა: რეალური ღირებულება მაინც უნდა იქნეს წარმოდგენილი განმარტებით შენიშვნები). (V)
29. დარწმუნდით, რომ, იმ შემთხვევებში, როცა არჩეული იქნა რეალური ღირებულების მოდელი, მოხდა ოპერაციული იჯარის ფარგლებში არსებული ყველა საინვესტიციო ქონების კაპიტალიზაცია და რეალური ღირებულებით შეფასება. (V)
- დარწმუნდით, რომ საკუთარი წარმოების საინვესტიციო ქონების ღირებულება, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს სესხებზე გაწეულ ხარჯებს.
30. დარწმუნდით, რომ გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი სწორად აღირიცხა.
- საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაში შეტანილი ყველა სახის ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში (და არა სხვა სრულ შემოსავალში) და შეტანილ უნდა იქნეს მოგება/ზარალის რეზერვში. თუმცა, არ ხდება აღნიშნული მოგების რეალიზება და, აქედან გამომდინარე, არ არის გასანაწილებლად ხელმისაწვდომი მანამ, სანამ არ მოხდება ქონების უტილიზაცია.*
- ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება შეტანილ უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში და აისახოს გადაფასების რეზერვში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის წარმოადგენს რევერსირებულ ზარალს, რომელიც წარსულში იქნა აღიარებული მოგება ან ზარალში.*
31. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____

საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

ინვესტიციები

აღნიშნული პროგრამა არ მოიცავს საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ ტესტებს. ეს ტესტები მოცემულია C აუდიტორულ პროგრამაში.

აღნიშნულ პროგრამაში მოცემული ტესტები ეხება კოტირებულ და არაკოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებს. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციები წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტებს, მაშინ საჭიროა F აუდიტორულ პროგრამაში მოცემული შესაბამისი ტესტების შესრულება. თუ სამეურნეო სუბიექტს გააჩნია ფიზიკური ინვესტიციები, როგორცაა ღვინო, ხელოვნების ნიმუშები ან საქონელი (როგორცაა ძვირფასი ლითონები), მიზანშეწონილი იქნება მათი რეალური ღირებულებით ასახვა. ტესტები 16 და 18-23 უნდა შესრულდეს ამგვარი ინვესტიციების შემოწმებისას.

აღნიშნული პროგრამა არ მოიცავს რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებს: საპროცენტო სვოპები განიხილება I აუდიტორულ პროგრამაში, ხოლო ფორვარდული გაცვლითი კონტრაქტები L აუდიტორულ პროგრამაში. თუ სამეურნეო სუბიექტს აქვს რთული ფინანსური ინსტრუმენტების სხვა სახეობები, მაშინ შესაბამის აუდიტორულ პროგრამას უნდა დაემატოს დამატებითი ტესტები.

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ ინვესტიციების ბარათი, რომელიც გაყოფილია ჯგუფებში გაკეთებულ ინვესტიციებსა და სხვა ინვესტიციებს შორის. (P)
2. დაადარეთ ბარათში მოცემული ჯამური მონაცემები საცდელ ბალანსს და ინვესტიციების რეესტრს. (E)
3. დაადარეთ შესადარისი მონაცემები, წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან. (V)
4. შეამოწმეთ ინვესტიციები, გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. განიხილეთ, ინვესტიციების ფარგლებში ჩართული რომელიმე სავალო ინსტრუმენტის კლასიფიცირება, უფრო შესაფერისი - დებიტორის სახით ხომ არ იქნებოდა (C, E & P)
5. გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებობის გაანგარიშებას და დავალებათა გეგმას, საჭიროების შემთხვევაში, განახლეთ, თუ გარიგების შესრულების პროცესში დამატებითი საკითხები გამოვლინდა.
6. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში მოცემული ძირითადი მიგნებები აისახა ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობისთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.
7. დარწმუნდით, რომ დასკვნა სათანადოა. (P)

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიცი-ალები/თარიღი
	D1	
	D1	
	D1	
	D1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილის წლიურ გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები

8.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიცი- ალები/ თარიღი
	N2	

თუ შესაძლებელია, მოიპოვეთ მე-2 ტიპის ანგარიში საინვესტიციო მენეჯერ(ებ)ისგან ან შემნახველი/დეპოზიტორი ინსტიტუტ(ებ)ისაგან. განიხილეთ ანგარიშ(ებ)ი და გამოყენებადი კონტროლის საშუალებების ეფექტურობისა და საიმედოობის მიმართ მიღებული მტკიცების საფუძველზე, განსაზღვრეთ ხარისხი, რომელი ხარისხითაც უნდა ჩატარდეს ტესტები 9-12. დარწმუნდით, რომ აუდიტორული პროგრამის N ნაწილში მოცემული შესაბამისი ტესტები შესრულდა, მომსახურე ორგანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებული განხილვების დადოკუმენტირების მიზნით **(E, R&O, C, V)**

აუდიტორული ტესტები

9. დაადარეთ აქციათა წილობრივი ფლობა, სააქციო სერტიფიკატებს, ან სხვა შესაბამის დოკუმენტაციას. **(E, R & O)**
აღნიშნული ტესტი საჭიროა შვილობილი საწარმოებისათვის, ერთობლივი საწარმოებისა და მეკავშირე საწარმოებისთვის, ასევე სხვა ინვესტიციებისთვის.
10. შეამოწმეთ შეძენების შერჩევითი ერთობლიობის ელემენტები, დოკუმენტაციასთან მიმართებაში. **(E, R & O)**
11. გაყიდვების შერჩევითი ერთობლიობის ელემენტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეესტრში დაფიქსირებულ ჩანაწერებთან, ასევე საბანკო ქვითრებთან მიმართებაში და დარწმუნდით, რომ მოგება/ზარალი სწორად არის დაანგარიშებული. **(C, V)**
12. ინვესტიციებისთვის, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადის და რეალური ღირებულებით უნდა იქნეს აღრიცხული, დაადარეთ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემები, გამოქვეყნებულ მონაცემებს, იმ უმაღლესი ფასების („bid“ price) გამოყენების მეშვეობით, რომლის გადახდისთვისაც მზად არის პოტენციური მყიდველი, შესაბამისი აქტივის შეძენისათვის **(V)**
13. შეამოწმეთ, მოხდა თუ არა უცხოურ ვალუტაში მოცემული მუხლების გადაყვანა სწორი კურსით. **(V)**
14. დარწმუნდით, რომ აუდიტის ფაილი ასაბუთებს ინვესტიციების კლასიფიკაციას: შვილობილ საწარმოებად, მეკავშირე საწარმოებად, ერთობლივ საწარმოებად, სხვა ინვესტიციებად. **(D, V).**
15. შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ სამეურნეო სუბიექტმა ისინი შეაფასა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის მიხედვით.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიცი- ალები/ თარიღი

- თვითღირებულებით; ან
- რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით; ან
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით. (V)

16. ისეთი ინვესტიციებისათვის, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე არ გადის (შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საწარმოების გარდა) დარწმუნდით, რომ ისინი აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი რეალური ღირებულებით შეფასება არ არის შესაძლებელი. (V)
17. ინვესტიციებისთვის, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადის, დაადასტურეთ, რომ მოხდა ყველა დივიდენდისა და მისაღები პროცენტის აღრიცხვა და „ბინძური (თაღლითური) ფასწარმოქმნა“ მომხდარა. (V)
18. იმ შემთხვევებში, სადაც ინვესტიციები არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით, განიხილეთ, ხომ არ არსებობს რაიმე სახის მინიშნება ინვესტიციების გაუფასურებაზე. (აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ბოლოდროინდელი ფინანსური ანგარიშგების ან ბიუჯეტების მიმოხილვას ან მნიშვნელოვანი შემოფოტების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტის შეფასების ანგარიშის მოწოდების საკითხის დაყენებას). (V)

	D10	

თუ შესაძლებელია, მოიპოვეთ მე-2 ტიპის ანგარიში საინვესტიციო მენეჯერ(ებ)ისგან ან შემნახველი/დეპოზიტორი ინსტიტუტ(ებ)ისაგან. განიხილეთ ანგარიშ(ებ)ი და გამოყენებადი კონტროლის საშუალებების ეფექტურობისა და საიმედოობის მიმართ მიღებული მტკიცების საფუძველზე, განსაზღვრეთ ხარისხი, რომელი ხარისხითაც უნდა ჩატარდეს ტესტები 9-12. დარწმუნდით, რომ აუდიტორული პროგრამის N ნაწილში მოცემული შესაბამისი ტესტები შესრულდა, მომსახურე ორგანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებული განხილვების დადოკუმენტირების მიზნით (E, R&O, C, V)

აუდიტორული ტესტები

19. იმ შემთხვევაში, თუ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ასკვნაან, რომ ინვესტიციები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე არ გადის (შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საწარმოების გარდა), არ შეიძლება საიმედოდ იქნეს შეფასებული რეალური ღირებულების საფუძველზე, მოიპოვეთ ამის დასტური ოფიციალურ წერილში. მხედველობაში მიიღეთ იმ არგუმენტების დასაბუთებულობა, რომლებიც წარმოდგენილ იქნა იმ ვარაუდის უარსაყოფად, რომ

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი
	Aa4	

- ინვესტიციების უმეტესობის რეალური ღირებულებით შეფასება შესაძლებელია (იდეალურ შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა უნდა მოგაწოდონ, აღრიცხვის არჩეული მიდგომის გამამყარებელი დოკუმენტი). (V)
20. როდესაც ინვესტიციების - რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე არ გადის - რეალური ღირებულებით შეფასება ხდება, მოიპოვეთ ასეთი შეფასების - მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ან ექსპერტის მიერ მომზადებული - ანგარიშის დეტალები (V).
შენიშვნა: გამოყენებული შეფასების მოდელის შესაბამისი დეტალები და ძირითადი დაშვებები, უნდა გასაჯაროვდეს ფინანსურ ანგარიშგებებში. (D)
21. იმ შემთხვევაში, სადაც მოპოვებულ იქნა ექსპერტის შეფასება რეალური ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციის ფასის დასადასტურებლად, ან გაუფასურების განხილვაზე პროცედურის სახით, ჩაატარეთ N აუდიტორულ პროგრამაში მოცემული შესაბამისი აუდიტორული ტესტები. (V)
22. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებები ეფუძნება დირექტორთა შეფასებებს, განიხილეთ შეფასების მოდელის მიზანშეწონილობა და გაკეთებული დაშვებები. (V)
23. განიხილეთ საინვესტიციო საქმიანობის შედეგები, პერიოდის დასრულების შემდეგ, შეფასებულ ღირებულებაში არსებითი ვარდნის არარსებობის დასადასტურებლად. (P)
24. შემნახველი ინსტიტუტებისაგან მიღებული ანგარიშების, სასესხო ხელშეკრულებების, კრების ოქმების შემოწმების გზით დაადგინეთ, ხომ არ ჩაიდო ინვესტიციები, უზრუნველყოფის (გირაოს/გარანტიის) სახით. (P)
25. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ ჩათვლით.

	N	

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი:
საანგარიშგებო პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

მარაგები

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ მარაგების ბარათი (P)
2. შეადარეთ მარაგების ბარათის ჯამური მონაცემები და საცდელ ბალანსს და მარაგების საბოლოო ნუსხას. (E)
3. შეადარეთ შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებს. (V)
4. შეამოწმეთ მარაგები გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. (C)
5. გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებითობის გაანგარიშებასა და დავალებათა გეგმას და, საჭიროების შემთხვევაში, განახლეთ, თუ გარიგების შესრულების პროცესში დამატებითი საკითხები გამოვლინდა.
6. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში მოცემული ძირითადი მიგნებები აისახა ოფიციალური წერილის პროექტში, „წერილი ხელმძღვანელობისთვის“ განკუთვნილ პუნქტებში და ასევე აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის ყურადსაღებ პუნქტებში.
7. დარწმუნდით, რომ დასკვნა სათანადოა. (D)
8. თუ მარაგები ფინანსურ ანგარიშგებებში არსებითია, მარაგის დათვლამდე ჩაატარეთ შესაბამისი აუდიტის დაგეგმვის პროცედურები და მიმოიხილეთ დამკვეთის მარაგის დათვლის პროცედურები (მარაგის დანართი 1). (E)
9. თუ მარაგები ფინანსურ ანგარიშგებებში არსებითია, დაესწარით მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს და ჩაატარეთ მარაგის ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრებისას ჩასატარებელი ტესტები (მარაგის დანართი 2). (E)
10. თუ მარაგების შეფასება პროფესიონალი მარაგის დამთვლელის/აღმრიცხველის მიერ არის მომზადებული, ჩაატარეთ მომსახურე ორგანიზაციების შემთხვევაში ჩასატარებელი შესაბამისი ტესტები. (E, C, V)
11. შეადარეთ საბოლოო მარაგების ბარათი, დათვლის პროცესში შედგენილ შავად დაწერილ ფურცლებთან და შეამოწმეთ, ხომ მოხდა არასანქცირებული ცვლილებები. (C & E)

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიცი-ალები/თარიღი
	E1	
	E1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილის წლიურ გამყოფი ანკეტა	
	E2/1	
	E2/2	
	N2	

აუდიტორული ტესტები

12. მიმოიხილეთ საინვენტარო ფურცლები და მოძველებულ საინვენტარო ამონაბეჭდები, სავარაუდოდ, მოძველებული პოზიციების (მარაგების) არსებობაზე და განიხილეთ ისინი ხელმძღვანელობასთან (E, R & O).
13. შეადარეთ მარაგების შერჩევითი ერთობლიობის ელემენტების ღირებულება შესყიდვის ინვოისებს ან შესაბამის ხარჯებთან დაკავშირებით გაკეთებულ ჩანაწერებს. (V)
14. იმ შემთხვევაში, სადაც მარაგები ფასდება ხარჯებთან დაკავშირებით გაკეთებულ ჩანაწერებზე დაყრდნობით, შეამოწმეთ ხარჯების ჩანაწერების სიზუსტე - არსებითი ხარჯების გადანაწილების, შრომითი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების გონივრულობის შემოწმების გზით.
15. დარწმუნდით, რომ „გაყიდვადი“ მარაგები შეფასდა მინიმალურით: თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში, მარაგების შერჩევითი ერთობლიობის შესაბამის ელემენტებზე, გაყიდვის ანგარიშ-ფაქტურების შემოწმების გზით (V).
16. ბევრი სამეურნეო სუბიექტი საკუთარ კლიენტებსა და პოტენციურ კლიენტებს უსასყიდლოდ უზრუნველყოფს პრომო და სარეკლამო მასალით. ეს შეიძლება მოიცავდეს:
 - ბროშურებსა და კატალოგებს;
 - ნიმუშებს;
 - საინფორმაციო ფურცლებს;
 - მერჩენდაიზინგის ლოგოებს, კალმებს, მაუსის ხალიჩებს და ა.შ.
 დარწმუნდით, რომ აღნიშნული ელემენტები აღიარებულია ხარჯებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ითვლება, რომ მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გააჩნიათ (ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი მე-15 პუნქტის შესაბამისად შეფასება). (V)
17. საკუთარი წარმოების მარაგის მუხლების შემთხვევაში, რომლებიც კვალიფიციურ აქტივებს წარმოადგენენ, დარწმუნდით, რომ შესაბამის შემთხვევაში ხარჯი, სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებსაც მოიცავს. (V)
„კვალიფიციური აქტივები“ ესაა აქტივები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დროის არსებით პერიოდს, დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ან გასაყიდად მომზადებისათვის.
18. შეამოწმეთ დროში გამიჯვნა მარაგებთან მიმართებაში, იმის შემოწმებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მიღებული და გაგზავნილი საქონელი ჩართულია შესაბამის სწორ პერიოდში. (C, V)

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი

აუდიტორული ტესტები

19. განიხილეთ, ხომ არ აქვს რომელიმე მესამე მხარეს, რაიმე სახის მარაგი და დარწმუნდით, რომ ისინი ჩართულია კლიენტის მარაგებში. **(C, R & O)**
20. იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარესთან ფიქსირდება კლიენტის მარაგები (და თუ მესამე მხარის მიერ, საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე დამუშავებული/ათვისებული ოდენობა, არსებითია), ჩაატარეთ მომსახურე ორგანიზაციებთან მიმართებაში ჩასატარებელი ტესტები. **(E, C, V)**
21. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტმა მარაგის გარკვეული ელემენტები ჩამოწერა ან მარაგის ჩამოწერის ზოგადი პოლიტიკა გააჩნია, მიმოიხილეთ მათი მიზანშეწონილობა. **(C, V)**
22. დარწმუნდით, რომ მარაგები, რომლებიც საკუთრების უფლების დარეზერვებას ექვემდებარებოდა (Romalpa Clause), იდენტიფიცირებულია და შესაბამისი მინიმუმება უსაფრთხოებაზე ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებებში. **(P)**
23. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიე დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნით.

მოცულობა	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	ინიციალები/თარიღი
	N2	

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამოიჯვანა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთის მარაგის ინვენტარიზაციის პროცედურების მიმოხილვა

აღნიშნული მიმოხილვა, დამკვეთის ინვენტარიზაციის ინსტრუქციების ასლების მიმოხილვასთან ერთად, უნდა ჩატარდეს დამკვეთის მარაგის ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრებად. ნაწილი 1 ეხება კონტროლის საერთო საშუალებებს, ხოლო სექციები 2-4 მარაგის ინვენტარიზაციის ინსტრუქციებსა და პროცედურებს, ნაწილი 5 მოიცავს მარაგის დამოუკიდებელი აღმრიცხველის მიერ შესრულებულ მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს, ნაწილი 6 კი დამკვეთებს, რომლებიც იყენებენ მარაგის ინვენტარიზაციის პერიოდულ სისტემას.

მოიცავს თუ არა მარაგის ინვენტარიზაციის პროცედურები:	დიახ/არა/ არ ივსება	კომენტარი / მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<p>1. კონტროლის საერთო საშუალებებს</p> <ul style="list-style-type: none"> • პერსონალის მომზადებასა და ინსტრუქციების წინასწარ გაცემას ? • პერსონალისთვის მოვალეობების განაწილებას? • მარაგის ინვენტარიზაციაზე ზედამხედველობას ისეთი პირის მიერ, რომელიც ზოგადად არ აგებს პასუხს მარაგის შენახვაზე? • ხელმძღვანელობის მიერ განსახორციელებელ საერთო კონტროლის საშუალებებს? 		
<p>2. ორგანიზება</p> <ul style="list-style-type: none"> • მარაგების განაწილებას, სათანადოდ დაყოფილ ადგილებში? • მოშორებულ/სხვა ლოკაციებზე, საწყობებში, ასევე მესამე მხარეებთან განთავსებული მარაგების მოცვას? • მესამე მხარის კუთვნილი მარაგების ჩამონათვალიდან გამორიცხვას (მაგალითად, გაყიდული და მიუწოდებული საქონელი, რემონტისთვის განკუთვნილი საქონელი, საქონელი „გაყიდვის ან დაბრუნების“ პირობით, როდესაც რისკები და სარგებელი კვლავ მესამე მხარესთან რჩება)? • მარაგის ყველა შიდა გადაადგილების აკრძალვას, მარაგის ინვენტარიზაციის განმავლობაში და მათ გადაადგილების აღრიცხვას? • მოძველებული ან დაზიანებული (ნელა ბრუნვადი ან ჭარბი) მარაგების კლასიფიკაციას, იდენტიფიკაციასა და ჩამოთვლას? • მარაგების ინვენტარიზაციის დაწყებამდე მიღებული მარაგების შენაძენებში ჩართვას? • უშუალოდ მარაგის ინვენტარიზაციამდე გაგზავნილი საქონლის გაყიდვებში ჩართვას? • სწორ დამოკიდებულებას „საქონელთან გზაში“? • მარაგის ინვენტარიზაციის პროცესში ჩამოსული საქონლის გაყოფას? 		

მოიცავს თუ არა მარაგის ინვენტარიზაციის პროცედურები:	დიახ/არა/ არ ივსება	კომენტარი / მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<ul style="list-style-type: none"> • არასტანდარტული ელემენტების ჩართვას, მაგალითად, გასაუფასურებელ მარაგებს, თანმდევ პროდუქტებს, ძირითადი საშუალებების სათადარიგო ნაწილებს (უმნიშვნელო თავისი არსით), სათადარიგო აღჭურვილობას (უმნიშვნელო თავისი არსით) და სარეკლამო მასალებს, მათ შორის, კატალოგებს და ა.შ. • მიმდინარე სამუშაოს შემოწმებას და შესრულების ხარისხის, რაოდენობისა და მდგომარეობის აღრიცხვას? • ისეთი მარაგების ცალკე იდენტიფიკაციასა და ჩამოთვლას, რომლებზეც საკუთრების უფლება ვრცელდება (Romalpa Clause) 		
<p>3. აღრიცხვა და გაზომვა</p> <ul style="list-style-type: none"> • უშუალოდ მარაგის ინვენტარიზაციის წინ დამთვლელი და ამწონი მოწყობილობების შემოწმებას, იმის დასადგენად, სწორად დაკალიბრებულია თუ არა ისინი? • კონტროლის საშუალებებს ყველა ელემენტის დათვლის უზრუნველსაყოფად და იმას, რომ არც ერთი ელემენტის დათვლა არ ხდება ორჯერ? • მარაგების დათვლას ერთი ადამიანის მიერ და სიის შედგენას მეორე ადამიანის მიერ? • რთულად გაზომვადი მარაგების რაოდენობის განსაზღვრას? • შეფუთული ელემენტების შერჩევის საფუძველზე გახსნასა და დათვლას? • დათვლილი მარაგების იდენტიფიკაციას (მაგალითად, ყუთების, ურნების, კონტეინერების მუდმივი მარკირებით)? • სულ მცირე, ერთ დამოუკიდებელ დამთვლელს იმათგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მარაგის შენახვაზე და მარაგის ინვენტარიზაციის თავდაპირველი ჩანაწერების გაცემაზე? • კონტროლის საშუალებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დათვლილი ელემენტი შეტანილია საინვენტარო ფურცლებში? • ყველა არსებული განსხვავების მოგვარების გზას? 		

მოიცავს თუ არა მარაგის ინვენტარიზაციის პროცედურები:	დიახ/არა/ არ ივსება	კომენტარი / მითითება სამუშაო დოკუმენტზე
<p>4. საინვენტარო ფურცლები</p> <ul style="list-style-type: none"> • საინვენტარო ფურცლების ან ბარათების წინასწარ ნუმერაციას? • ხელმოწერების მოპოვებას ყველა გაცემული ან დაბრუნებული საინვენტარო ფურცლისთვის/ ბარათისთვის? 		
<ul style="list-style-type: none"> • შემოწმებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა გაცემული საინვენტარო ფურცელი/ ბარათი დაუბრუნდება რევიზორს, იმ შემთხვევაშიც, თუ მათი გამოყენება არ მომხდარა. • საინვენტარო ფურცლების ინიციალიზაციას დამთვლელების და აღმწერების მიერ? • ჩანაწერებს (მაგალითად, ადგილმდებარეობებს, შესრულების პირობებსა და მდგომარეობას) და რაოდენობის ერთეულებს საინვენტარო ფურცლებზე/ბარათებზე მათი ფასწარმოქმნის მიზნებისთვის იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად და რომ შესაძლებელია მათი საინვენტარო ჩანაწერებთან შედარება? • ყველა მონაცემის მექანიზმით ჩაწერას? • საინვენტარო ფურცლების/ბარათების შენახვას შემდგომი გამოყენებისთვის? 		
<p>5. მარაგის დამოუკიდებელი დამთვლელის მიერ შესასრულებელი მარაგის ინვენტარიზაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • დამკვეთთან/მარაგის დამოუკიდებელ დამთვლელთან კავშირის დამყარებას დასწრებამდე მისი შეუფერხებელი მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად? <p><i>შენიშვნა: მარაგის დამოუკიდებელი დამთვლელის გამოყენების შემთხვევაში, აქტუალურია მომსახურე ორგანიზაცია და თუ რომელიმე ადგილზე განთავსებული მარაგი აღემატება სამუშაო არსებობას, აქტუალურია ასს 501</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მოამზადეთ შეფასების მოთხოვნის წერილი (პროფორმის დოკუმენტები/დანართი 3) მარაგის დამოუკიდებელი დამთვლელისთვის გასაგზავნად. 		
<p>6. ციკლური შემოწმება</p> <ul style="list-style-type: none"> • ხდება თუ არა მარაგის თითოეული ელემენტის შემოწმება ყოველ 12 თვეში ერთხელ? 		

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

მარაგი – დანართი 2 – ტესტები მარაგის ინვენტარიზაციისას

შენიშვნა: თუ მარაგის ინვენტარიზაცია ტარდება მხოლოდ მესამე მხარის მიერ, ეს არ ხსნის იმ აუდიტორული პროცედურების ჩატარების საჭიროებას, რომლებსაც აუდიტორი ჩაატარებდა იმ შემთხვევაში, თუ ინვენტარიზაცია კლიენტის მიერ იქნებოდა ჩატარებული. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მესამე მხარის პატიოსნება და დამოუკიდებლობა.

არსებობა/სისრულე

1. შეამოწმეთ ტერიტორია და დარწმუნდით, რომ დასათვლელი მარაგი მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული.
2. შეამოწმეთ, ხდება თუ არა მარაგის დათვლის ინსტრუქციების გათვალისწინება და მიმდინარეობს თუ არა დათვლის პროცესი ყურადღებით.
3. დათვალეთ მარაგი და შეადარეთ ინვენტარიზაციის სატესტო დათვლები, დამკვეთის დათვლის უწყისებთან - მარაგის ინვენტარიზაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
4. აირჩიეთ ელემენტები დამკვეთის უწყისებიდან და მატერიალურ ელემენტებზე კონცენტრირებით, დათვალეთ მარაგები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ (არ მონიშნოთ დამკვეთის ასლები).
5. დარწმუნდით, რომ ყველა უთანხმოება მოგვარებულია და, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, განიხილეთ გადათვლები.
6. შეამოწმეთ მარაგის ინვენტარიზაციის საკონტროლო ჩანაწერი იმის დასადგენად, მოხდა თუ არა ყველა წინასწარდანიშნული საინვენტარო ფურცლის აღრიცხვა, გამოუყენებელი და გაფუჭებული ფურცლების ჩათვლით. გამოიკვლიეთ ცვლილებები/უჩვეულო მუხლები.
7. თუ საინვენტარიზაციო ფურცლები/ბარათები კონტროლდება ნუმერაციის მიხედვით, აღნიშნეთ გამოყენებული ნუმერაცია. სხვა შემთხვევებში, მოახდინეთ ყველა ინვენტარული ფურცლის თქვენი ინიციალებით მონიშვნა. განიხილეთ, არის თუ არა არარსებული მარაგის ჩამონათვალში შეტანის რაიმე სახის შესაძლებლობა.

დაახ/არა/არ ივსება	სამუშაო დოკუმენტის ნომერი	შევსებულია (ვის მიერ)

არსებობა/სისრულე

შედგენილი ანგარიშის მომზადების გზით, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- რას ფიქრობთ ინვენტარიზაციის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირების უნარებსა და შესაძლებლობებზე?
- ხდება თუ არა ასისტენტების სათანადოდ ორგანიზება და ინსტრუქტირება?
- იყო თუ არა ინსტრუქციები ადეკვატური (თუ ინსტრუქციები ვერბალური იყო, დაურთეთ მარაგის ინვენტარიზაციის პროცედურების მოკლე შინაარსი)
- იყო თუ არა მარაგი განლაგებული იმგვარად, რომ მისი იდენტიფიცირება და დათვლა უფრო ეფექტური და მარტივი ყოფილიყო?
- ზოგადად, იცნობდნენ თუ არა მარაგის დამთვლელები იმ მარაგს, რომელსაც ითვლიდნენ?
- რა სახის სიფრთხილის ზომები იქნა მიღებული რაოდენობრივი ერთეულების არასწორი აღწერის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, 10 მანქანა ერთ ყუთში ჩაწერილია, როგორც 10 ყუთი, ან ადგილი აქვს იმპერიული ერთეულების მეტრულ ერთეულებად ჩაწერას)?
- აღწერეთ მეთოდები, რომლებიც გამოყენებულ იქნა მოძველებული, ზედმეტი და განადგურებული მარაგების იდენტიფიცირებისა და რაოდენობის განსაზღვრისათვის?
- რას ფიქრობთ მარაგის ინვენტარიზაციის ზოგად სანდოობაზე?
- რა სახის ცვლილებების შეტანას შესთავაზებდით სუბიექტს, მარაგის სამომავლო ინვენტარიზაციის გაუმჯობესებისთვის შესაბამის ლოკაციაზე? იქნა თუ არა ისინი აქტუალურობის შემთხვევაში შეტანილი ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ვერსიაში?

19. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ ნებისმიერი სახის დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

დიახ/არა/არ ივსება	სამუშაო დოკუმენტის ნომერი	შევსებულია (ვის მიერ)

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო
 პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

**სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები –
 დანართი 3 – ალტერნატიული პროცედურები**

ალტერნატიული პროცედურების ჩატარება საჭირო იქნება იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოში არ მოხდა მარაგის დათვლა. თუ ჩატარდა მარაგის ინვენტარიზაცია, მაგრამ არ მომხდარა ამ პროცესზე დასწრება, ფაილში მითითებულ უნდა იყოს მიზეზი და აუდიტორის ანგარიშზე შესაძლო ზეგავლენა.

გაითვალისწინეთ, რომ ასს 501-ში წერია, რომ აუდიტორი უნდა დაესწროს მარაგის ინვენტარიზაციას იმ შემთხვევაში, თუ მარაგი არსებითია.

არსებობა

1. შეამოწმეთ, აწარმოებს თუ არა დამკვეთი მარაგის აღრიცხვის ადეკვატურ ჩანაწერებს, რომელთა განახლებაც ხდება.
2. შეამოწმეთ, მხარდჭერილია თუ არა მარაგის აღრიცხვის ჩანაწერები, შესყიდვის ინვოისებით, წარმოების ჩანაწერებით, სატრანსფერო შრომითი ანალიზით და გაყიდვების ინვოისებით/გადასაცემად გასული საქონლის დოკუმენტაციით.
3. მიმოიხილეთ უკვე დანომრილი გაგზავნის და მიღების დოკუმენტაციის ნუმერაციის თანმიმდევრობა.
4. განიხილეთ წინა პერიოდის ბოლოსათვის არსებული მარაგების გადახედვის შესაძლებლობა. რეალური სურათი და ჩანაწერებიდან მიღებადი ინფორმაცია მოიყვანეთ შესაბამისობაში.
5. შეამოწმეთ, ხდება თუ არა მარაგების დათვლა წელიწადში ერთხელ და განიხილეთ მარაგის შუალედურ ინვენტარიზაციაზე დასწრების საკითხი. დაათვალიერეთ ინვენტარიზაციის ჩანაწერები იმის გამოსავლენად, შეტანილ იქნა თუ არა აუცილებელი კორექტირებები.

დონე	მითითება სამუშაო დოკუ- მენტზე	შევსე- ბულია (ვის მიერ)

არსებობა

6. შეამოწმეთ ინვენტარიზაციის თარიღისათვის, ფიზიკური დათვლისა და ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების შედარების შედეგად. შესრულებული შესაბამისი შეთანხმებისა და კორექტირების ამსახველი სამუშაო.
7. შეამოწმეთ, განახლდა თუ არა ინვენტარული აღრიცხვა შენამენებისა და გაყიდვების მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის, ასევე შეამოწმეთ, რომ გამოტოვებულია თუ არა შემდგომი ქმედებები.
8. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიჩნევთ.

დონე	მითითება სამუშაო დოკუმენტზე	შევსებულია (ვის მიერ)

დამკვეთი:

საანგარიშგებო
პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარი დასრულებისას:	თარიღი:

მოთხოვნები

აუდიტორული ტესტები - ზოგადი მიმოხილვა

1. მოიპოვეთ დებიტორული დავალიანებისა და წინასწარ გადახდების ბარათები (P).
2. შეადარეთ შესაბამის ბარათზე არსებული ჯამური მაჩვენებელი, ბანკიდან ამონაწერთან და საცდელ ბალანსთან. (E & C)
3. შეადარეთ წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლები, წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.
4. შეამოწმეთ დებიტორული დავალიანებები, გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე.
5. გადაამოწმეთ რისკის შეფასების, არსებობის გამოთვლა და დავალებათა გეგმა, და საჭიროებისამებრ, განახლეთ, გარიგების მსვლელობისას დამატებითი პუნქტების წამოჭრის შემთხვევაში.
6. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.
7. დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. (P)

სავაჭრო მოთხოვნები

მოიპოვეთ ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების ჩამონათვალი და შეუჯერეთ შესაბამის ბარათზე ასახულ, ძირითად სავაჭრო დებიტორული დავალიანების მაჩვენებელს. (C)

8. განიხილეთ დებიტორული დავალიანების მესამე მხარეებისაგან დადასტურების საკითხი, დებიტორული დავალიანებების არსებობის დასადასტურებლად. იმ შემთხვევაში, თუ დებიტორული დავალიანების მესამე მხარეებისაგან დადასტურება არ მოხდება, მიუთითეთ მიზეზი და დაასახელეთ, რა ალტერნატიული პროცედურები უნდა ჩატარდეს. (V, R & O, E)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	F1	
	F1	
	F1	
	F1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	
	F3	
	F10	

აუდიტორული ტესტები - ზოგადი მიმოხილვა

- 9. მიმოხილვით შერჩევითი ერთობლიობა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებებისათვის, რათა დადგინდეს, რომ მოხდება მათი ანაზღაურება. შეისწავლეთ ასაზღაურების საკითხი გადაუხდელი ნაშთებისათვის. (V, C, E)
- 10. აუდიტორის ანგარიშის შედგენის თარიღისთვის, ნებისმიერ დაუფარავ დებიტორული დავალიანების ნაშთთან მიმართებაში, რომელიც სამუშაო არსებობას აღემატება (ინდივიდუალურად ან მთლიანობაში), ასეთი ნაშთების დადასტურების მიზნით, ცალკეული დადასტურების პროცედურები განახორციელეთ. დარწმუნდით, რომ ნებისმიერ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც უიმედო დებიტორულ დავალიანებად ჩაითვალა, შესაბამისი ანარიცხი შეექმნა. (V, C & E)
- 11. გადაამოწმეთ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გაცემული ყველა მნიშვნელოვანი საკრედიტო ნოტა, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არ უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე გაყიდვებს.
- 12. დარწმუნდით, რომ უცხოურ ვალუტაში მისაღები ნებისმიერი სავაჭრო დებიტორული დავალიანება სწორად არის გადაყვანილი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას არსებულ განაკვეთზე და სახეზეა სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი აღრიცხვა. (P, C)
- 13. გადაამოწმეთ დებიტორული დავალიანებების სააღრიცხვო წიგნში შეტანილი საკრედიტო ნაშთები. განიხილეთ, ხომ არის ეს დაურეგისტრირებელი გაყიდვების შედეგი და, იმ შემთხვევაში, თუ ეს საკრედიტო ნაშთები სარწმუნოდ ჩაითვლება, განიხილეთ მათი კრედიტორებად რეკლასიფიკაციის საკითხი. (V)
- 14. შეამოწმეთ ფინანსური წლის დახურვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაცემული ინვოისებისა და საკრედიტო ნოტების გადაამოწმების გზით და დარწმუნდით, რომ ისინი აღრიცხულია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში, შესაბამის დოკუმენტზე მითითების გაკეთებით. (C, V)

აუდიტორული ტესტები - სხვა დებიტორული დავალიანებები

- 15. გადაამოწმეთ კონტრაქტის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხები და დარიცხული შემოსავლები, იმაში დასარწმუნებლად, რომ დროში გამიჯვნა სწორად არის განხორციელებული. მოიპოვეთ იმის რწმუნება, რომ აღნიშნული თანხა ანაზღაურდება. (C, V)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	F4 F8	

აუდიტორული ტესტები - ზოგადი მიმოხილვა

16. გადაამოწმეთ დამხმარე დოკუმენტაცია „სხვა დებიტორული დავალიანებებზე“ არსებითობის ფარგლებში და განიხილეთ მათი ანაზღაურებადობა (დაკავშირებულ მხარეთა ნაშთებისთვის ეს უნდა მოიცავდეს ნაშთების წერილობითი დადასტურების მოპოვებას). (V & E)
17. გადაამოწმეთ შვილობილ კომპანიებზე და იმ სამეურნეო სუბიექტებზე გაცემული სესხები, რომლებშიც დამკვეთს წილობრივი მონაწილეობა გააჩნია, იმის დასადგენად, ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი აღნიშნული ნაშთების ინვესტიციებად კვალიფიცირება. (P)
18. დარწმუნდით, რომ შვილობილ კომპანიებზე და იმ სამეურნეო სუბიექტებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში, რომლებშიც დამკვეთს წილობრივი მონაწილეობა გააჩნია, დროში გამიჯვნის პროცედურები სწორად იქნა განხორციელებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:
 - მმართველობით ხარჯებს;
 - დარიცხულ პროცენტს;
 - დივიდენდებს, რომლებიც ჯერ არ მიუღიათ. (C)
19. თუ მისაღები სესხის თანხები გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, საკრედიტო დოკუმენტაციის გაანალიზების გზით, განსაზღვრეთ, ხომ არა აქვს კლიენტს ან კონტრაქტს, რისკი ან სარგებელი, გაცვლითი კურსის ცვლილებიდან. (P & V)
20. გადაამოწმეთ ყველა დებიტორული დავალიანება და დარწმუნდით, რომ იდენტიფიცირებულ იქნა ყველა ის დებიტორული დავალიანება რომლებიც, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელზე მეტი ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა იქნეს გადახდილი. ასევე, გრძელვადიანი ნაშთების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ მეორე მხარეს აქვს კანონიერი უფლება იმისა, რომ მინიმუმ მომდევნო 12-თვიან პერიოდზე თავიდან აიცილოს გადახდა. (P)
21. იმ შემთხვევაში, როდესაც სესხების გაცემა ხორციელდება ფორმალური სესხის ხელშეკრულებით, მიმოხილეთ ასეთი ხელშეკრულებები, რომ განსაზღვროთ, სესხის რომელიმე პუნქტი ხომ არ განაპირობებს სესხის რეალური ღირებულებით დათვლის საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სესხი რეალური ღირებულებით უნდა შეფასდეს, ჩაატარეთ ქვემოთ მოცემული 25-ე პუნქტით გათვალისწინებული ტესტი.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	F7	
	F6	
	F6	
	N2	

აუდიტორული ტესტები - ზოგადი მიმოხილვა

22. იმ შემთხვევებში, როდესაც ნაშთები უნდა დაიფაროს ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ და თავიდანვე კომერციულ საპროცენტო განაკვეთს არ გულისხმობს, განიხილეთ, არის თუ არა ფულის ღირებულება დროში არსებითი და თუ ასეა, დარწმუნდით, რომ ისინი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხა და გამოყენებულ იქნა შესაბამისი დისკონტირების განაკვეთი. (V).

არსებითობის მიხედვით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ნაშთები:

- გაუნაწილებელი მოგება/დაკავებები;
- თანამშრომელთა სესხები;
- დაკავშირებულ მხარეთა სესხები;
- საიჯარო დეპოზიტები.

აუდიტორული ტესტები - წინასწარი გადახდა

23. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გადახდა აღემატება სამუშაო არსებითობას (ინდივიდუალურად ან მთლიანობაში), მოახდინეთ მის ფარგლებში შერჩეული შერჩევითი ერთობლიობის ხელახალი გადათვლა, პირველად დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. (V)

აუდიტორული ტესტები - ფინანსური ინსტრუმენტები

24. ინსტრუმენტისთვის, რომელსაც არა აქვს სტატუსი „მარტივი“, დარწმუნდით, რომ არჩეულია რეალური ღირებულების მოდელი. შეასრულეთ შემდეგი პროცედურები (საჭიროების შემთხვევაში):

- გამოარკვიეთ, თუ როგორ მოხდა ხელმძღვანელობის მხრიდან რეალური ღირებულების დადგენა (მაგ. გამოთვლილ იქნა თვითონ ხელმძღვანელობის მიერ; შეფასება მიღებულ იქნა კონტრაქტისაგან; მიღებულია დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ შესრულებული შეფასება);
- შეაფასეთ და შეამოწმეთ რეალური ღირებულების გამოთვლის/უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული საფუძვლები;
- იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ გარიგებაში ჩართო შემფასებელი - მესამე მხარე, მოპოვებული მტკიცებულებების საიმედოობის დადგენის მიზნით, ჩაატარეთ N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული აუდიტორული ტესტები;
- განიხილეთ აუდიტორის ექსპერტის დანიშვნის საჭიროება (როგორც ეს გათვალისწინებულია ასს 620-ით). საჭიროების შემთხვევაში, ჩაატარეთ N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული ტესტები;

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	F11	

აუდიტორული ტესტები - ზოგადი მიმოხილვა

- შეფასების გონივრულობაში დარწმუნების მიზნით, შეიმუშავეთ რეალური ღირებულების თქვენბური შეფასება/მოლოდინი და შეადარეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ შეფასებას.
- განიხილეთ, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მომხდარი რომელიმე მოვლენა, ხომ არ გვამღვეს რაიმე აუდიტორულ მტკიცებულებას.

NB 1. ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტისეული შეფასება არ შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერი ასეთი შეფასება არ არის დამოუკიდებელი და, ხშირ შემთხვევაში, არ გვაწვდის ინფორმაციას, შეფასებისათვის გამოყენებულ დაშვებებთან, მონაცემებთან ან მოდელებთან მიმართებაში.

NB 2. ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს კოდექსის მიხედვით, აუდიტორებს ეკრძალებათ დამკვეთათვის შეფასების მომსახურების გაწევა, როდესაც შეფასებისათვის აუცილებელია სუბიექტურობა და ასეთი შეფასების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითია.

შემოწმების ტესტები

25. ყურადღებით შეისწავლეთ გაყიდვები და ყოველდღიური გაყიდვების აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერები, უჩვეულო ჩანაწერებთან მიმართებაში. (CL, A)
26. ყურადღებით შეისწავლეთ ყველა გატარება, ასევე სალაროს წიგნი, დიდი ღირებულების მქონე შემოსავლებზე ან უჩვეულო შემოსავლებზე. (CL, A)
27. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

ბანკი და ნაღდი ფული

აუდიტორული ტესტები

- განაახლეთ მუდმივი ფაილი იმისათვის, რომ მასში შეიტანოთ ახალი ინფორმაცია ან/და განსხვავებები ბანკის მიმართ არსებულ მიმართებებთან, ბანკში წარდგენილ ავტორიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას საბანკო ანგარიშებსა და ხელმომწერ პირებზე.
- მოიპოვეთ ყველა ბარათი, როგორც საბანკო ანგარიშზე არსებული, ასევე ნაღდი ფულის ნაშთისათვის.
- შეადარეთ ცალკეულ ბარათზე არსებული ჯამური მონაცემი, საცდელი ბალანსის შესაბამის მონაცემს. **(E)**
- შეადარეთ შესადარისი პერიოდის მაჩვენებლები, წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის მონაცემებს. **(D, V)**
- შეამოწმეთ საბანკო ნაშთები და ნაღდი ფულის ნაშთები, გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. **(C & E)**
- რისკის შეფასება, არსებობის განსაზღვრა და დავალებათა გეგმა და განაახლეთ საჭიროებისამებრ, დავალების დროს შესაბამისი საკითხების წამოჭრის შემთხვევაში.
- დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.
- დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. **(P)**
- დარწმუნდით, რომ ვადაგადაცილებული აუნაზღაურებელი ჩეკები, ასევე ვადაგადაცილებული ჩარცხვები, რომლებიც ასახული იყო ბანკის შეჯერების დოკუმენტში, მალევე იქნა წაშლილი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები / თარიღი
	PAF A	
	H1	
	H1	
	H1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	
	H5	

აუდიტორული ტესტები

10. თუ ერთი და იმავე ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ საბანკო ანგარიშებს გააჩნია როგორც საკრედიტო ასევე სადებეტო ნაშთები, განიხილეთ და დაასაბუთეთ, უნდა მოხდეს თუ არა აღნიშნული ნაშთების გაქვითვა, თუ უმჯობესი იქნებოდა მათი გაქვითვის გარეშე წარდგენა. (V)
11. მოიპოვეთ ბანკის დასტურის წერილი ყველა იმ ბანკისგან, რომელთანაც დამკვეთს ურთიერთობა ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. დაადარეთ ანგარიშის ნაშთები და დარწმუნდით, რომ ყველა წამოჭრილი საკითხი მოგვარდა. (P, R & O, E, C, V)
12. შეამოწმეთ სალაროს წიგნი და საბანკო ამონაწერები საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღის ირგვლივ, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა გადარიცხვა და ა.შ., სწორად იქნა ასახული ფინანსურ ანგარიშგებებში. (C)
13. შეამოწმეთ სალაროს წიგნი და საბანკო ამონაწერები საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღის ირგვლივ, ყველა უჩვეულო ქვითართან და გადახდასთან მიმართებაში. (E, V)
14. დარწმუნდით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული ნებისმიერი უცხოური ვალუტის ნაშთი სწორად არის გადაყვანილი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას არსებულ კურსზე და გაკეთებულია სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა. (V, P)
15. დათვალეთ სალაროს ფულადი ნაშთები და შეადარეთ საკონტროლო ანგარიშებს. (V, C)
16. მოიპოვეთ წერილობითი დასტური, ნაღდი ფულით განხორციელებული არსებითი ოპერაციების შესახებ. (V)
17. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები / თარიღი
	H7	

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

ვალდებულებები

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ ვალდებულებებისა და დარიცხვების ბარათები, (P)
2. შეადარეთ ბარათზე არსებული ჯამური მაჩვენებლები სარეზერვო ბარათებთან და საცდელ ბალანსთან. (E & C)
3. დარწმუნდით, რომ უზრუნველყოფილ იქნა ვალდებულებების სათანადო განაწილება ერთი წლის განმავლობაში და წელიწადზე მეტი დროის მონაკვეთში გადასახდელ თანხებად. ასევე, „მიმდინარედ“ ნაჩვენები ნაშთების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ სამეურნეო სუბიექტს აქვს კანონიერი უფლება, საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში თავიდან აიცილოს გადახდის ვალდებულება. (R & O, P)
4. შეადარეთ შესადარისი პერიოდის მაჩვენებლები, წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგების მაჩვენებლებს. (V)
5. მიმოიხილეთ ვალდებულებები საფუძვლიანობასა და თანმიმდევრულობაზე და დარწმუნდით, რომ დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების იდენტიფიცირება მოხდა. (C, P)
6. გადაამოწმეთ რისკის შეფასების, არსებითობის გამოთვლისა და დავალბათა გეგმის ნაწილები და განახლეთ საჭიროებისამებრ, გარიგების დროს წამოჭრილი საკითხების შესაბამისად.
7. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის შაბლონში, მმართველისათვის მომზადებულ წერილში და აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის განკუთვნილ ყურადსაღებ საკითხებში.
8. დარწმუნდით, რომ გამოტანილი დასკვნა შესაბამისია. (P)

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი
	I1 I6	
	I1	
	I1	
	I1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები

9. შეისწავლეთ საბჭოს სხდომის ოქმები, სასესხო შეთანხმებები და სხვა მტკიცებულებები იმის დასადგენად, არის თუ არა ყველა სავალო ვალდებულება და სხვა სესხები (საბანკო სესხების ჩათვლით) აღრიცხული. **(V, R&O)**
10. მოიპოვეთ შემხვედრი მხარის დასტურები სავალო ვალდებულებებისა და სასესხო ანგარიშების ნაშთებისათვის (საბანკო სესხების ნაშთების ჩათვლით). დაადარეთ ანგარიშის ნაშთები და დარწმუნდით, რომ ყველა წამოჭრილი საკითხისადმი სათანადო მიდგომა იქნა განვითარებული. **(P, R & O, E, C, V)**
11. მოიპოვეთ ინფორმაცია, სასესხო შეთანხმებების დეტალების შესახებ და გამოარკვიეთ, შესრულდა თუ არა ისინი. **(P)**
 თუ მოხდა სასესხო ხელშეკრულების დარღვევა და საანგარიშგებო თარიღისათვის ასეთი დარღვევა არ არის გამოსწორებული (რესტრუქტურიზება ან/და სხვა) და ფინანსური დაწესებულება ანგარიშების თარიღისათვის არ დათანხმებულა აღნიშნული დარღვევის იგნორირებას, სესხის მთლიანი თანხა ნაჩვენები უნდა იქნას, როგორც ერთი წლის განმავლობაში უკან დასაბრუნებელი.
12. მიმოიხილეთ სასესხო ხელშეკრულებები (კერძოდ, საბანკო სესხები), რათა დარწმუნდეთ, რომ არც ერთი პუნქტი არ იწვევს სესხის რეალური ღირებულებით აღრიცხვის საჭიროებას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სესხის შემთხვევაში რეალური ღირებულებით აღრიცხვის საჭიროება არსებობს, ჩაატარეთ ქვემოთ მოცემული 38-ე პუნქტით გათვალისწინებული ტესტირება. **(V)**
13. ნებისმიერ სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მოიძიეთ ინფორმაცია მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისგან, ხომ არ არის სახეზე საპროცენტო განაკვეთის სვოპის, კაპიტალის ან საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული მინიმუმისა და მაქსიმუმის შემთხვევა „მესამე მხარის შეთანხმების“ მეშვეობით ან ცალკე კონტრაქტით. **(C)**
14. იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიცირებულ იქნა ამ საპროცენტო განაკვეთის სვოპები ან სესხები, რომლებიც საჭიროებენ რეალური ღირებულებით აღრიცხვას, დარწმუნდით, რომ კლიენტმა მოიპოვა შესაბამისი რეალური ღირებულება შემხვედრი მხარისგან და ჩაატარეთ ქვემოთ მოცემული 38-ე პუნქტით გათვალისწინებული ტესტირება. ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების შემთხვევაში, შეასრულეთ ტესტები S2 / 4.

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი
	N2 S2/4	

აუდიტორული ტესტები

15. იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულებების ნაშთები უნდა დაიფაროს ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ და საწყის ეტაპზე არ ითვალისწინებს კომერციული საპროცენტო განაკვეთს, გაითვალისწინეთ, არის თუ არა ფულის ღირებულება დროში არსებითი და თუ ასეა, დარწმუნდით, რომ ისინი ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე აღრიცხება და გამოყენებულ იქნა სათანადო დისკონტირების განაკვეთი. (V)
16. თუ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებად კვალიფიცირებული სესხები უნდა დაიფაროს ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო პროცენტი არ არის თანაბრად განაწილებული სესხის პერიოდზე (მაგალითად, არარეგულარული გადახდები სასესხო პერიოდის განმავლობაში, ან ერთი მთლიანი გადახდა სასესხო პერიოდის დასასრულს), დაწმუნდით, რომ მოხდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა და სესხი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხება. (V)
17. დარწმუნდით, რომ დროში გამიჯვნის პროცედურები სწორად იქნა გამოყენებული შვილობილი კომპანიებისაგან, ასევე იმ სამეურნეო სუბიექტებისაგან მიღებული სესხების მიმართ, რომლებშიც დამკვეთი წილს ფლობს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:
 - მმართველობითი აპარატის ხარჯები;
 - დარიცხული პროცენტი;
 - გადასახადელი დივიდენდები. (C)
18. თუ სასესხო ვალდებულება გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, საკრედიტო დოკუმენტაციის გადასინჯვის გზით, განსაზღვრეთ, ხომ არ ატარებს კლიენტი ან შემხვედრი მხარე რისკს, ან ხომ არ იღებენ ისინი სარგებელს გაცვლითი კურსის ცვლილებიდან. (P & V)
19. შეადგინეთ ხანდაზმული ვალდებულებების ჩამონათვალი და შეაჯერეთ ისინი ძირითად ბარათზე მოცემული სავაჭრო ვალდებულებების მაჩვენებელთან. (C)
20. შეარჩიეთ სავაჭრო ვალდებულებების შერჩევითი ერთობლიობა და დაადარეთ/შეადარეთ მომწოდებელთა ანგარიშგებებს, პირდაპირ დასტურებს ან შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურებს. იმ შემთხვევაში, თუ ნაშთი შეესაბამება მომწოდებლის ანგარიშებს, შეამოწმეთ შესაბამისი დადარებული მუხლები და დარწმუნდით, რომ ყველა საჭირო ანარიცხი ასახულია ფინანსური ანგარიშგებებში. (V, R&O)

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი
	I6	

აუდიტორული ტესტები

21. დარწმუნდით, რომ უცხოურ ვალუტაში გადასახდელი ნებისმიერი სავაჭრო ვალდებულება სწორად არის გადაყვანილი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებული კურსით და სახეზეა სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის არსებობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება. **(V & P)**
22. დარწმუნდით, რომ სათანადოდ იქნა გამოყენებული დროში გამიჯვნის პროცედურები. შეამოწმეთ საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები, როგორც უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, ასევე უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ (საანგარიშგებო პერიოდის დასასრულის უშუალო ორივე მომიჯნავე მხარეს) და დარწმუნდით, რომ შესაბამისი საქონელი სწორად არის აღრიცხული შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში. **(C, V)**
23. შეარჩიეთ ანგარიშგების თარიღის შემდგომი შესყიდვის, ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდების, ხარჯების მოთხოვნების, ასევე კომპანიის საკრედიტო ბარათის ამონაწერიდან შერჩეული ტრანზაქციებისაგან შემდგარი შერჩევითი ერთობლიობა და დაასაბუთეთ, რომ ისინი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი პერიოდის შესაბამის ელემენტებს, ან სწორად არის ასახული როგორც კრედიტორული დავალიანება. **(C, V)**
24. გადაამოწმეთ სადებეტო ნაშთები, კრედიტორული დავალიანებების სააღრიცხვო წიგნის ჩათვლით წიგნებში. განიხილეთ, ხომ არ არის ასეთი სადებეტო ნაშთები აღურიცხავი შესყიდვების შედეგი და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სადებეტო ნაშთების არსებობისათვის სამართლიანი საფუძველი არსებობს, მაშინ განიხილეთ მათი დებიტორებად გადაკლასიფიცირების შესაძლებლობა. **(V)**
25. შეამოწმეთ თანდართული დოკუმენტაცია იმ „სხვა ვალდებულებებისათვის“, რომლებიც არსებითია, აღნიშნული უნდა მოიცავდეს:
 - მოგების გადასახადს;
 - სახელფასო გამოქვითვებს;
 - ნებისმიერ სხვა ვალდებულებების არსებით ნაშთებს. **(V, E)**
26. ყველა სახის ფინანსური იჯარის და განვადებით შეძენის გადახდებისათვის უზუნველყავით, რომ თანხები სწორად იქნეს განსაზღვრული, მათ მიმართ განხორციელდეს სწორი მიდგომები და მოხდეს მათი სწორი ასახვა დროში, ხანდაზმულობის გათვალისწინებით. **(P)**

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი

აუდიტორული ტესტები

27. დარწმუნდით, რომ ფინანსური იჯარით გადასახდელი მინიმალური სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია რაოდენობრივად და გაანალიზებულია შემდეგი ასპექტების ქრილში:
- ერთი წლის განმავლობაში გადახდელი;
 - ერთი წლის შემდეგ, მაგრამ 5 წლის განმავლობაში გადახდელი;
 - 5 წლის შემდეგ გადასახდელი. (P)
- შენიშვნა: ეს არ არის ფინანსური იჯარით გათვალისწინებული გადასახდელების ანალიზი, რომელიც „ნეტო“ პრინციპით გამოითვლება, არამედ სამომავლო „მთლიან“ ფულად ნაკადებს წარმოადგენს, რომლებიც გადახდას ექვემდებარება.*
28. თუ რომელიმე ფინანსური იჯარა ინდივიდუალურად „არსებითია“, დარწმუნდით, რომ ის იდენტიფიცირებულია ასეთად, ასევე დარწმუნდით, რომ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებებში. (P)
29. მოიპოვეთ წერილობითი დადასტურება „სხვა ვალდებულებებში“ შეტანილი ნებისმიერი სესხის ღირებულების შესახებ, დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში არსებული ნებისმიერი თანხების ჩათლით. (V, R & O, E)
30. დარწმუნდით, რომ იდენტიფიცირებულ იქნა ყველა უზრუნველყოფილი ვალდებულება, იმ სავაჭრო ვალდებულებების ჩათლით, რომლებთან მიმართებაშიც საქონელზე ვრცელდება საკუთრების უფლება (Romalpa Clause) და უზრუნველყოფასთან მიმართებაში გაკეთდა შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. (P, R&O)
31. დარწმუნდით, რომ იდენტიფიცირებულ იქნა ყველა ვალდებულება, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად უნდა დაიფაროს ხუთ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ და შესაძლებელია დამატებით განმარტებებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა. (P)
32. თუ დარიცხვა სამუშაო არსებითობას აღემატება (ან ინდივიდუალურად და/ან მთლიანობაში), ხელახლა შეარჩიეთ შერჩევითი ერთობლიობა პირველადი დოკუმენტაციიდან. (V)
33. მიმოიხილეთ გადავადებული შემოსავალი და დარწმუნდით, რომ დროში გამიჯვნის პროცედურები სათანადოდ იქნა გამოყენებული. (C, V)

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი

აუდიტორული ტესტები

34. დარწმუნდით, რომ ვალდებულებებში ასახული ნებისმიერი დივიდენდი საბოლოოდ განსაზღვრული დივიდენდია და მათი დამტკიცება საანგარიშგებო თარიღამდე მოხდა. **(V)**
35. დარწმუნდით, რომ ვალდებულებებში ასახული ნებისმიერი ბონუსი სახელშეკრულებო ან კონსტრუქციული ხასიათის ვალდებულებას წარმოადგენს ანგარიშგების თარიღისთვის. **(R&O)**
36. დეტალურად შეამოწმეთ შესყიდვების შესახებ ჩანაწერები და შესყიდვის დღიური წიგნი უჩვეულო ელემენტებზე. **(CL, A, P)**
37. დეტალურად შეამოწმეთ ყველა გატარებისა და ფულადი სახსრების ჟურნალები, დიდი რაოდენობრივი მნიშვნელობის ხარჯების, ან უჩვეულო ხარჯების ელემენტებზე. **(CL, A, P)**.
38. ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტი“, დარწმუნდით, რომ გამოიყენება რეალური ღირებულების მოდელი. ჩაატარეთ შემდეგი პროცედურები (საჭიროების შემთხვევაში):
 - დაადგინეთ, თუ როგორ მოხდა ხელმძღვანელობის მხრიდან რეალური ღირებულების დადგენა (მაგ., გამოთვლა ხელმძღვანელობის მიერ; მიღებულ იქნა შემხვედრი მხარის შეფასება; მიღებულ იქნა დამოუკიდებელი მესამე მხარის შეფასება).
 - შეაფასეთ და შეამოწმეთ რეალური ღირებულების გამოთვლისათვის/დაშვების გასამყარებლად გამოყენებული საფუძვლები.
 - იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ გარეგანებაში ჩართო შემფასებელი როგორც მესამე მხარე, ჩაატარეთ N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აუდიტორული ტესტი, მოპოვებული მტკიცებულებების საიმედოობის დადგენის მიზნით.
 - განიხილეთ აუდიტორის ექსპერტის დანიშვნის საჭიროება (როგორც განსაზღვრულია ასს 620-ით). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საჭიროდ ჩაითვლება, ჩაატარეთ N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აუდიტორული ტესტი.

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი

აუდიტორული ტესტები

- მეტი გონივრულობისათვის, შეიმუშავეთ თქვენი საკუთარი მოლოდინი, რეალური ღირებულების დიაპაზონთან მიმართებაში და შეადარეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ რეალური ღირებულების მნიშვნელობას.
 - განიხილეთ, რომელიმე მოვლენა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე ხომ არ გვამღევს რაიმე აუდიტორულ მტკიცებულებას.
შენიშვნა 1: საიმედოდ არ შეიძლება ჩაითვალოს შემხვედრი მხარისეული ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება. ეს სწორედ იმიტომ, რომ ასეთი შეფასება არ არის დამოუკიდებელი და ხშირ შემთხვევაში არ შეიცავს გამოყენებულ დაშვებებთან, დეტალებთან და მოდელებთან დაკავშირებულ დეტალებს.
შენიშვნა 2: პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მიხედვით, აუდიტორებს ეკრძალებათ დამკვეთთათვის შეფასების მომსახურების გაწევა, როდესაც შეფასება გულისხმობს სუბიექტურობას და შესაბამისი ეფექტი/გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე არსებითია.
39. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტირება საჭიროების მიხედვით.

მოცულობა	დანართი	ინიციალები /თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

გადასახადები - მათ შორის, გადავადებული გადასახადები

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ გადასახადის ბარათი.
2. დაადარეთ ბარათზე მოცემული გადასახადის დარიცხვის/საკრედიტო ნაშთების სახით მოცემული კომპონენტები, საცდელ ბალანსში მოცემულ ინფორმაციას. (E)
3. დაადარეთ შესადარის პერიოდში მოცემული მონაცემები, წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებს. (V)
4. გადაამოწმეთ რისკის შეფასების, არსებობის გამოთვლისა და დავალებათა გეგმის ნაწილები და განაახლეთ საჭიროებისამებრ, გარიგების დროს წამოჭრილი საკითხების შესაბამისად.
5. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის შაბლონში, მმართველისათვის მომზადებულ წერილში და აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის განკუთვნილ ყურადსაღებ საკითხებში.
6. დარწმუნდით, რომ ცალკეული საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას, აუდიტორის სამუშაო დოკუმენტაციის (მაგ. დასაქმებით ან გაყიდვებით განპირობებული გადასახადები/გადასახდელები) აუდიტორის სამუშაო ფურცლების სხვა სექციებიდან წარმოჭრილ საკითხებს, რომლებიც საგადასახადო თვალსაზრისით სპეციალურ განხილვას საჭიროებს, საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირის შესაბამისი ყურადღება დაეთმო.
7. დარწმუნდით, რომ გამოტანილი დასკვნა შესაბამისია. (P)
8. დარწმუნდით, რომ შესაბამისმა საგადასახადო ორგანომ დაადასტურა წინა საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო დეკლარაციის მიღება და დაამუშავა იგი. (R&O)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	J1	
	J1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები

9. დარწმუნდით, რომ გადახდები განხორციელდა დადგენილ ვადებში (საჭიროების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდის თარიღი) და საურავი/პროცენტი ყველა ვადაგადაცილებული გადახდისათვის ასევე გადახდილ იქნა. (C)
10. მიმოიხილეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოსთან კორესპონდენცია, იმაში დასარწმუნებლად, რომ უზრუნველყოფილია ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული ყველა შესაბამისი საკითხის სწორად განიხილვა. (P)
11. მოიპოვეთ მიმდინარე „კორპორაციული გადასახადის“ გაანგარიშების ასლი. (V)
12. დაადარეთ მიმდინარე საგადასახადო გამოთვლები მხარდამჭერ მტკიცებულებებს, მთლიანი აუდიტის ფაილის მასშტაბით. (A, C, V)
13. შეამოწმეთ მიმდინარე საგადასახადო გამოთვლები შემდეგის გათვალისწინებით:
 - მუხლები, რომლებიც საგადასახადო და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის სხვადასხვაგვარად განიხილება;
 - მუხლები, რომელთა გამოყენება დაუშვებელია საგადასახადო მიზნებისთვის;
 - იქნა თუ არა ანარიცხები სათანადო აქტივებზე და გამოთვლილ იქნა თუ არა ისინი სწორად;
 - სწორი მიდგომები იქნა თუ არა განვითარებული შემოსავლებზე განხორციელებულ დარიცხვებზე;
 - არსებობს თუ არა ყველა გამოყენებული შეღავათის კანონიერი საფუძველი;
 - გათვალისწინებულ იქნა თუ არა გაანგარიშებაში, ყველა დაბეგვრას დასაქვემდებარებელი შემოსულობა;
 - გამოყენებულ იქნა თუ არა შესაძლო დაბეგვრის გაანგარიშებაში გასათვალისწინებელი ზარალი;
 - განხორციელდა თუ არა არასაოპერაციო შემოსავლის მიმართ სწორი მიდგომები;
 - დაანგარიშდა თუ არა საგადასახადო დარიცხვა სწორი განაკვეთის გამოყენებით;
 - ნებისმიერი გაქვითვებისა და გამოქვითვების დასაბუთებულობა (მოგების გადასახადი, ჯგუფური შეღავათი და ა.შ). (V).

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

აუდიტორული ტესტები

14. მოიპოვეთ ინფორმაცია მოსალოდნელ საგადასახადო დარიცხვასა (მოგება დაბეგვრამდე ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, გამრავლებული ნორმალურ საგადასახადო განაკვეთზე) და ფაქტობრივი საგადასახადო დარიცხვის ჯამურ მაჩვენებელზე და დარწმუნდით, რომ დადარების ყველა ელემენტი სწორად იქნა განსაზღვრული. (P).
15. შეამოწმეთ, თუ რამდენად საიმედო იყო წინა საგადასახადო რეზერვები და განიხილეთ, ხომ არ ახდენს აღნიშნული გავლენას მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შეფასებებზე. დარწმუნდით, რომ იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდების რომელიმე გამოუყენებელი ანარიცხი მომდევნო პერიოდში გადაიტანება, აღნიშნულისათვის სათანადო საფუძველი არსებობს. (V)
16. მოიპოვეთ გადავადებული გადასახადის გაანგარიშების ასლი. (V)
17. განიხილეთ, მოხდა თუ არა დროებითი სხვაობის გამომწვევი ყველა გარემოების გათვალისწინება, მაგალითად:
 - გადაფასება და რეალური ღირებულების კორექტირება;
 - გადაფასების რეზერვი ცვეთასთან მიმართებაში;
 - გადახდილი და მიღებული პროცენტი და როიალტი;
 - საერთო რეზერვები;
 - საპენსიო შენატანები, საპენსიო ხარჯთან მიმართებაში;
 - აქციაზე დაფუძნებული გადახდები;
 - გადატანილი ზარალი; და
 - სხვა დროებითი სხვაობები. (C, V)
18. დარწმუნდით, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს უფრო დიდი ალბათობა იმისა, რომ მისი გამოყენება მოხდება, ვიდრე იმისა რომ მისი გამოყენება არ მოხდება. (R&O)
19. დაადასტურეთ, რომ გადავადებული გადასახადის დაანგარიშება მოხდა საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთის მიხედვით, რომელიც არსებითად ამოქმედდა საანგარიშგებო თარიღისათვის და რომლებიც როგორც მოსალოდნელია გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობის აღდგენისათვის. (V)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

აუდიტორული ტესტები

20. დარწმუნდით, რომ საგადასახადო დარიცხვა თუ საკრედიტო ნაშთი იქნება ეს მიმდინარე პერიოდისათვის განსაზღვრული თუ გადავადებული, აღიარებულია იმავე ძირითად ანგარიშგებაში, რომელშიც ძირითადი მოგება ან ზარალი. **(P)**
21. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო
 პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მიმო- ხილვა დასრულებისას:	თარიღი:

დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები/ტრანზაქციები

შენიშვნა: ტესტები, რომლებიც მოიცავს დირექტორთა ანაზღაურებას, ძირითადი მმართველი პერსონალის გასამრჯელოსა და ძირითადი მმართველი პერსონალის იდენტიფიკაციას, აღნიშნულია R2 აუდიტორულ პროგრამაში.

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

1. მოიპოვეთ დირექტორებისა და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებების/ტრანზაქციების გრაფიკი (მათ შორის, ძირითადი პერსონალის). **(P)**
2. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში შეტანილი დაკავშირებულ მხარეთა გრაფიკი შემოწმდა და განახლდა, ასევე მოიცავს წინა აუდიტორთა მიერ წინა პერიოდის აუდიტორული შემოწმების დროს და მიმდინარე პერიოდის აუდიტის დროს გამოვლენილ გრაფიკს. **(C)**
3. შეადარეთ ძირითად ცხრილში არსებული თანხების შესაბამისობა საცდელ ბალანსთან, ასევე ყიდვა-გაყიდვის ჟურნალთან, საჭიროებისამებრ. **(E)**
4. საჭიროებისამებრ, შეადარეთ შესადარისი მაჩვენებლები და გასაჯაროებული ინფორმაცია წინა პერიოდის სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებებს. **(V)**
5. მიმოიხილეთ გარიგებებისა/ტრანზაქციებისა და ნაშთების თანმიმდევრულობა და საფუძვლიანობა დირექტორებთან და დაკავშირებულ მხარეებთან. **(C, E)**
6. გადაამოწმეთ რისკის შეფასება, არსებითობის გამოთვლა და დავალების გეგმა და განახლეთ საჭიროებისამებრ, დავალების დროს გამოვლენილი საკითხების შემთხვევაში.
7. მოიპოვეთ დასტური, რომ დირექტორებისა და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებების/ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია სწორად არის გასაჯაროებული ოფიციალურ წერილში. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული დამატებით ძირითად მონაცემებზე მითითებულია ხელმძღვანელობის წერილის პუნქტებში და გამახვილებულია აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება. **(D, C, V, R & O)**
8. დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. **(D)**

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	K1	
	K1	
	K1	
	K1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური დამყოფი	

აუდიტორული ტესტები

- ინვოისები და კორესპონდენცია იურიდიულ და სხვა პროფესიონალ კონსულტანტებთან;
 - საგადასახადო დეკლარაციები და კორესპონდენცია შესაბამის საგადასახადო ორგანოსთან;
 - ნორმატიული ჩანაწერები;
 - რეგულატორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია;
 - კორესპონდენცია საპენსიო უზრუნველყოფის გეგმასთან დაკავშირებით; და
 - აქციონერებისა და საბჭოს ოქმები. (C, E, V)
19. გამოიკვლიეთ შემდეგი საკითხები დაკავშირებულ მხარეთა არაგასაჯაროებულ გარიგებების/ტრანზაქციების შესახებ მტკიცებულების მოსაპოვებლად:
- ინვესტიციები იმ სამეურნეო ობიექტებში, რომლებიც არ წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს (და არ არის კოტირებული ინვესტიციები);
 - იმ სამეურნეო სუბიექტებზე გაცემული სესხები, რომლებიც არ წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს;
 - გარანტიები, რომლებიც გაცემულია სამეურნეო სუბიექტების ან ფიზიკური პირების სახელით, რომლებიც არ წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს;
 - მომსახურების გაწევა, რომელიც არ არის ნორმალური ბიზნესსაქმიანობის ნაწილი ან არ არის „კომერციული პირობებით“ გათვალისწინებული. (C, E, V)
20. თუ 19–20 ტესტებში დაკავშირებულ მხარეთა არაგასაჯაროებული გარიგებების/ტრანზაქციების იდენტიფიცირება მოხდება, საჭიროებისამებრ, ჩაატარეთ დამატებითი პროცედურები, რათა შეამციროთ რისკი და დაკავშირებულ მხარეთა შემდგომი არაგასაჯაროებული გარიგებები/ტრანზაქციები დასაშვებ დონეზე იყოს. (P)
- იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა გარიგებები/ტრანზაქციები სამეურნეო სუბიექტის ნორმალური ბიზნესსაქმიანობის ფარგლებს გარეთ:
- შეამოწმეთ ძირითადი კონტრაქტები ან შეთანხმებები;
 - მოიპოვეთ აუდიტორული მტკიცებულება, გარიგების სათანადო ავტორიზაციის და დამტკიცების შესახებ. **R&O, C, V, O**)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

აუდიტორული ტესტები

21. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ანგარიშგებებში ხელმძღვანელობამ გააკეთა მტკიცება, რომ დაკავშირებულ მხარეთა გარიგება/ტრანზაქცია შედგა „გაწვდენილი ხელის მანძილზე“, მოიპოვეთ მტკიცებულება, რომ აღნიშნული მტკიცება სწორია. **(R&O, C, V, P)**
- თუ დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები/ტრანზაქციები არ მოხდა „გაწვდენილი ხელის მანძილზე“, განიხილეთ, ხომ არ არსებობს ტრანსფერული ფასწარმოქმნის საკითხები და დარწმუნდით, რომ ფაილის J ნაწილი სათანადოდ იქნა განხილული.
- სადაც დაკავშირებულ მხარეთა გარიგებების/ტრანზაქციების აგრეგირება მოხდა გასაჯაროების მიზნით, განიხილეთ, რამდენად მიზანშეწონილია ეს აგრეგირება და ხომ არ არსებობს ამ აგრეგირებაში ნებისმიერი გარიგება/ტრანზაქცია, რომელიც ცალკე გასაჯაროებას საჭიროებს.
- ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი საჭიროებისამებრ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა ინიციალების განმარტება:

- E = Existence; არსებობა
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და მოვალეობები
- C = Completeness; სისრულე
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და განაწილება;
- P = Presentation; /წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა;
- A = Accuracy; სიზუსტე;
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია

დამკვეთი:
საანგარიშგებო პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

რეზერვები/ანარიცხები, გაუთვალისწინებელი ხარჯები და ფინანსური ვალდებულებები

გადავადებული გადასახადის შესახებ აუდიტორული სამუშაო შედის J აუდიტის პროგრამაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გადავადებული საგადასახადო რეზერვები/ანარიცხები არ შეიძლება იქნეს დისკონტირებული.

აუდიტორული ტესტები

1. მოიპოვეთ ინფორმაცია რეზერვების/ანარიცხების, პირობითი აქტივების, პირობითი და ფინანსური ვალდებულებების გრაფიკის შესახებ, რომელშიც აღწერილი იქნება აღნიშნული საანგარიშგებო პერიოდის ყოველი ანარიცხის მოძრაობა. (P)
2. რეზერვებთან/ანარიცხებთან დაკავშირებით, შეადარეთ ძირითად ცხრილში არსებული საბოლოო მაჩვენებლების შესაბამისობა საცდელ ბალანსთან. (E)
3. რეზერვებთან/ანარიცხებთან დაკავშირებით, შეადარეთ შესადარისი მაჩვენებლები და გაუთვალისწინებელ ხარჯებთან დაკავშირებით შეადარეთ შესადარისი გასაჯაროებული ინფორმაცია წინა საანგარიშგებო პერიოდის სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებებთან (V)
4. მიმოიხილეთ რეზერვების/ანარიცხების, პირობითი აქტივების, პირობითი ვალდებულებების და ფინანსური ვალდებულებების თანმიმდევრულობა და საფუძვლიანობა. (C)
5. გადაამოწმეთ რისკის შეფასების, არსებითობის გამოთვლისა და დავალებათა გეგმის პუნქტები და განაახლეთ საჭიროებისამებრ, დავალების დროს წამოჭრილი საკითხების შემთხვევაში.
6. განიხილეთ ხელმძღვანელობასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა შესაფერისი რეზერვის/ანარიცხის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგებებში და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესახებ. დაადასტურეთ მიღებული მონაცემები ოფიციალურ წერილში. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი დამატებითი მონაცემები წარმოდგენილია ოფიციალურ და ხელმძღვანელობის წერილების პუნქტებში და აუდიტორული გარიგების პარტნიორის საყურადღებოდ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	L1	
	L1	
	L1	
	L1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	

აუდიტორული ტესტები

14. გაარკვეით, გაკეთდა თუ არა ყველა საჭირო რეზერვი/ანარიცხი და გაუთვალისწინებელი ხარჯის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, შემდეგი საკითხების განხილვით, მაგალითად:
 - სამართალწარმოება და სარჩელი;
 - გადავადებული გადასახადი (იხილეთ სექცია J);
 - არენდით აღებული შენობების სავალალო მდგომარეობა (?)
 - პროდუქტის ხარისხის გარანტიის ანარიცხები;
 - მაკორექტირებელი ანარიცხები (იხ. სექცია E);
 - დამამძიმებელი კონტრაქტები; და
 - საპენსიო ვალდებულებები. (C, P)
15. მიმოიხილეთ:
 - აქციონერთა და საბჭოს ოქმები;
 - იურისტებისგან მიღებული კორესპონდენცია და ანგარიშ-ფაქტურები/ინვოისები;
 - კორესპონდენცია მარეგულირებელი ორგანიზაციებიდან;
 - რათა გამოავლინოთ, ხომ არ არსებობს რამე აქტუალური მიმდინარე საკითხები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი რეზერვების/ანარიცხების ან პირობითი ვალდებულებების საჭიროება. (C)
16. დარწმუნდით, რომ ოფიციალურ წერილში დართულია კონკრეტული დასტური, რაც გულისხმობს, რომ სამართალწარმოებისა და სარჩელის შესახებ აუდიტორთათვის შეტყობინება გაგზავნილია. (C)
17. შესაძლო რეზერვების/ანარიცხების ან პირობითი ვალდებულებების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მიმართეთ აღნიშნულ საკითხზე მომუშავე იურიდიულ კონსულტანტს, რომელიც ადგენს სამართალწარმოებისა და სარჩელის ჩამონათვალს, მათ შორის, ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საქმის შედეგის შეფასებას და მოითხოვეთ დასტური, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის შეფასების გონივრულობას და ასევე, თუ არსებობს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუდიტორმა უნდა განიხილოს (იხ. პროფორმა დოკუმენტები და დანართი 8). (C, R&O, V)
18. დარწმუნდით, რომ კომპენსაცია აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მათი მიღების პრაქტიკული გარანტია. (V)
19. რეზერვის/ანარიცხის (გარდა გადავადებული გადასახადისა) დისკონტირების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ რეზერვის პოზიციის დახურვა სრული შემო-

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	Aa4	

აუდიტორული ტესტები

- სავლის ანგარიშგების მოგება-ზარალის ნაწილში სათანადოდ არის ასახული, როგორც ფინანსური ოპერაციების ხარჯები. (P, V)
20. გამოიკვლიეთ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტების არსებობა. მათი არსებობის შემთხვევაში, მოიპოვეთ ინფორმაცია, შემხვედრი მხარის შეფასების შესახებ და შეადარეთ საბაზრო შეფასებას, რომელიც შეიძლება მიიღოთ პრემიალური გამოწერის საშუალებით, დარწმუნდით, რომ აღიარებულ იქნა შესაბამისი ვალდებულება ან აქტივი და დაასრულეთ ჰეჯირების აუდიტორული პროგრამა, სადაც დამკვეთმა არჩევანი ანგარიშის ჰეჯირებაზე გააკეთა. (P, E,C)
21. გამოიკვლიეთ არაძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების არსებობა (სავალუტო ფორვარდული კონტრაქტების, არაძირითადი საბანკო სესხებისა და საპროცენტო სვოპების გარდა). მათი არსებობის შემთხვევაში, მოიპოვეთ შემხვედრი მხარის შეფასება, შემდეგ მოიპოვეთ ექსპერტის შეფასება და დაასრულეთ N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული ტესტები. დარწმუნდით, რომ აღიარებულ იქნა შესაბამისი ვალდებულება ან აქტივი და დაასრულეთ ჰეჯირების აუდიტორული პროგრამა, სადაც დამკვეთმა არჩევანი ანგარიშის ჰეჯირებაზე გააკეთა. (P,E,C)
22. თუ აუდიტორული სამუშაოს შესრულების დროს გაჩნდა რაიმე ეჭვი დოკუმენტის ავთენტიკურობასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია დოკუმენტის შინაარსის დადასტურება პირდაპირ დოკუმენტის შემქმნელ მესამე მხარესთან. (E, R&O, C)
23. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	S2/3	
	N2 S2/3	

მტკიცებათა ინიციალების განმარტება

- E = Existence; არსებობა
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და მოვალეობები
- C = Completeness; სისრულე
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და განაწილება;
- P = Presentation; პრეზენტაცია/წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა;
- A = Accuracy; სიზუსტე;
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია

დამკვეთი:
საანგარიშგებო პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

სააქციო/საკუთარი კაპიტალი და კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაცია

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

- მოიპოვეთ გრაფიკი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია - სააქციო კაპიტალისა და რეზერვების ყველა მოძრაობასთან დაკავშირებით.
 - შეათანხმეთ ყველა მაჩვენებელი „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში“ (SOCE). (P)
 - გადაამოწმეთ რისკის შეფასების, არსებითობის გამოთვლისა და დავალებათა გეგმის პუნქტები და განაახლეთ საჭიროებისამებრ, დავალების შესრულების დროს წამოჭრილი საკითხების შემთხვევაში.
 - დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მონაცემები წარმოდგენილია ოფიციალურ წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.
- დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. (D)

სააქციო კაპიტალი

- შეადარეთ წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლები ფინანსური ანგარიშგების კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტთან. (E)
- შეადარეთ განაწილებული სააქციო კაპიტალი საცდელ ბალანსს და წევრთა რეესტრს. (C, E)
- დარწმუნდით, რომ გამოცემული სააქციო კაპიტალის ყველა ცვლილება (მათ შორის, დამატებითი აქციების გამოშვება, აქციების გამოსყიდვა და ა.შ.) სათანადოდ ავტორიზებულია და კანონმდებლობის შესაბამისად სწორად არის აღრიცხული. უნდა მომზადდეს **დეტალური** დამატებითი სამუშაო დოკუმენტაცია. (E, C, V)
- განიხილეთ, სააქციო კაპიტალი არის თუ არა სწორად წარმოდგენილი როგორც კაპიტალი ან ვალი. (D)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	M1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	წლიური ფაილის დამყოფი	
	M1	

აუდიტორული ტესტები

დირექტორები და ხელმძღვანელი

7. გარკვეით, ხომ არ განხორციელდა დირექტორებისა და/ან ხელმძღვანელების ჩანაცვლება და შეათანხმეთ შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებს. (C, P)

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

8. ოფიციალურ წერილში მიუთითეთ, რომ გასაჯაროვდა შესაბამისი ინფორმაცია, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის შესახებ. გადაამოწმეთ ნორმატიული დოკუმენტები იმის უზრუნველსაყოფად, შეესაბამება თუ არა ისინი გასაჯაროებულ ინფორმაციას და შეაფასეთ, ხომ არ გამოიკვეთა რამე სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს დირექტორების მიერ მოწოდებულ ფაქტებს. (P)

რეზერვები

9. დაადასტურეთ, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი რეზერვები წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებს. (P)

10. დარწმუნდით, რომ შემოსულობები და ზარალი წარმოდგენილია სათანადო ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში. (P)

პირდაპირ რეზერვებში აღიარებული უნდა იყოს:

- სააქციო კაპიტალის მოძრაობა;
- დივიდენდები (ფაქტობრივი და მიღებული);
- წინა საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული კორექტირებები.

შემდეგი აღიარებული უნდა იყოს როგორც სხვა სრული შემოსავალი:

- ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი (ან გარკვეული ზარალი);
- გადაფასებული ძირითადი საშუალებების გაუფასურების კორექტირება;
- რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული შვილობილი კომპანიების, ასოცირებული საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების გადაფასების ნამეტი, სადაც მიმოქცევა/მოძრაობა არ არის მოცემული მოგებასა ან ზარალში.
- გარკვეული შემოსულობა და ზარალი განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებზე;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ჰეჯირება;
- საგადასახადო და გადავადებული გადასახადის მოძრაობა ზემოთ ხსენებულ მუხლებთან მიმართებაში;

11. დარწმუნდით, რომ უზრუნველყოფილია თითოეული სარეზერვო შემადგენლობის სათანადო იდენტიფიკაცია. (C)

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი
	Aa4	
	S4j	

აუდიტორული ტესტები

დივიდენდები

12. მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, განიხილეთ არის თუ არა დივიდენდები იდენტიფიცირებული და გასაჯაროებული „ფაქტიურ“ და „მიღებულ“ დივიდენდებად. (P)
„მიღებული“ დივიდენდები წარმოიქმნება ფირმათა-შორისი/დაკავშირებული მხარეთა უფრო გრძელვადიანი სესხების საწყისი აღიარებისას, რომელსაც არ გააჩნია პროცენტის კომერციული განაკვეთი.
13. დაადასტურეთ, რომ ყველა დივიდენდი (ფაქტობრივი თუ „მიღებული“) დეკლარირებულია/გამოცხადებულია მხოლოდ გასანაწილებელი მოგებიდან და დაშვებულია სამეურნეო სუბიექტის მაკონტროლებელი დოკუმენტაციის მიხედვით. (P)
14. დარწმუნდით, რომ შუალედური დივიდენდების გადახდა განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე (ან მიიჩნევა გადახდილად, როდესაც მათი დახმარებით ოფიციალურად ხდება აქციონერთა გადაჭარბებული სესხის ანგარიშის კომპენსაცია/დაფარვა, შუალედური დივიდენდი ვერ წარმოშობს კრედიტორს), და საბოლოო დივიდენდები კი ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე. (R&O)
15. დაადასტურეთ, რომ დივიდენდების გამოთვლა სწორად განხორციელდა. დარწმუნდით, რომ ყველა უარი დივიდენდზე სათანადოდ აღირიცხა და „არაფულადი“ (აქტივების) სახით გადახდილი დივიდენდები აღირიცხა გადაცემული აქტივების საბალანსო ღირებულების საფუძველზე. (C, E)
*„არაფულადი“ (აქტივების) სახით გადახდილი დივიდენდებისთვის, სადაც აქტივები არ არის გადაცემული პროპორციულად ყველა აქციონერისთვის, კომპანიაში მათი წილის მიხედვით, დარწმუნდით, რომ „არაფულადი“ (აქტივების) სახით გადახდილი დივიდენდის რეალური ღირებულება გამოთვლილი და გასაჯაროებულია.
ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება დივიდენდზე უარის თქმა ან, როდესაც არსებობს სხვადასხვა აქციონერთა საკუთრებაში არსებული სხვადასხვა კლასის აქციები ან აქციონერთა შორის არსებობს განსხვავებული მცოცავი/დიფერენციალური პროცენტი.*
16. დარწმუნდით, რომ გამოვლენილ იქნა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები, თუმცა, არ იქნა აღიარებული, როგორც ვალდებულება. ისინი შესაძლებელია, წარდგენილ იქნეს გასანაწი-

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

აუდიტორული ტესტები

ლებელი რეზერვების ცალკეულ კომპონენტად საანგარიშგებო თარიღის დროს. (P)

ოქმები

- 17. დოკუმენტის სხვა ნაწილში არსებული ტესტები მოიცავს აქციონერთა და დირექტორთა კრებების ოქმებს დამატებითი საინვესტიციო ვალდებულებების, ახალი საკრედიტო ხელშეკრულებების, დამატებითი რეზერვების ან გაუთვალისწინებელი ხარჯების, თაღლითობისა და უზუსტობის, კანონისა და რეგულაციების დარღვევის, და დაკავშირებულ მხარეთა არგასაჯაროებულ გარიგებების/ტრანზაქციების მიმოხილვას.
- 18. დარწმუნდით, რომ კომპანიის ოქმებში მითითებული იყოს აუდიტისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი სხვა საკითხი. (P)

კანონით დადგენილი წიგნები

- 19. გადაამოწმეთ ოქმებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დარწმუნდით, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის ჩანაწერთა განყოფილებას გაეგზავნა შეტყობინება აღნიშნულთან დაკავშირებით.
- 20. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	დანართი	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა ინიციალების განმარტება:

- E = Existence; არსებობა
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და მოვალეობები
- C = Completeness; სისრულე
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და განაწილება;
- P = Presentation; პრეზენტაცია/წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა;
- A = Accuracy; სიზუსტე;
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

სხვა აუდიტორული სფეროები, მათ შორის:

- საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა
- კანონი და რეგულაცია
- თაღლითობა და შეცდომები
- მომსახურე ორგანიზაცია
- აუდიტის ექსპერტები
- სხვა აუდიტორებზე და შიდა აუდიტორებზე დამოკიდებულება

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

1. წინა პერიოდის ნებისმიერ არსებით სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებით, მიმოხილეთ, როგორ იქნა ისინი გამოყენებული მიმდინარე პერიოდში მათი მიზანშეწონილობის/გონივრულობის გასარკვევად.

იმ შემთხვევაში, თუ ეს სამუშაო უკვე განხორციელდა ფაილის სხვა სექციებში, შემაჯამებელი ცხრილი უნდა გაკეთდეს, საბოლოო დასკვნის მიღების მიზნით.

2. დარწმუნდით, რომ დანართი 1.7 (სააღრიცხვო შეფასებები) შევსებული და დასრულებულია.

3. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ სხვა დამატებითი ტესტები, რომლის გამოყენებაც საჭიროა.

კანონი და რეგულაცია

4. მოიპოვეთ კანონისა და რეგულაციების შესახებ ის დეტალები, რომლებიც:

- საწარმოს ოპერაციების გასაგრძელებლად ცენტრალური მნიშვნელობსაა; ან
- თუ არ იქნება შესრულებული, გამოიწვევს მნიშვნელოვანი ფინანსური ჯარიმის გადახდვინებას;
- საწარმოსთვის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკონტრაქტო ან სალიცენზიო შეთანხმებას;
- სხვაგვარად შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს საწარმოს ფუნქციონირებაზე.

დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილშიც განახლებულია ეს დეტალები.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	PAF A1/11 / Ac8/2	

საზღვალტრო ხარჯთაღრიცხვა

5. განიხილეთ ხელმძღვანელობასთან პროცედურების შესაბამისობა კანონთან და რეგულაციებთან მიმართებაში. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილშიც განახლდა ეს დეტალები.
6. მიმოიხილეთ რამდენად შესაბამისობაშია კანონთან და რეგულაციებთან მიმართებაში:
 - მიმოიწერა იურიდიულ მრჩეველებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან;
 - კორესპონდენცია სახელმწიფო ორგანოებთან (საგადასახადო ორგანოების ჩათვლით);
 - აქციონერთა და საბჭოს ოქმები; და
 - ექსპერტებისგან მიღებული ანგარიშები.
7. განიხილეთ, რამდენად კარგად იცნობს სამეურნეო სუბიექტი დასაქმების შესახებ კანონს. ტარდება თუ არა პროცედურები, რომელთა საშუალებითაც სათანადოდ განიხილება ის სფეროები, რომლებსაც მოიცავს კანონმდებლობა:
 - მონაცემთა ბაზის დაცვა, ზედამხედველობა და კონფიდენციალობა სამუშაო ადგილზე;
 - დისკრიმინაცია (ეს მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ასაკი (პენსიაზე გასვლის გათვალისწინებით) ქმედუნარიობა, რასა, რელიგია, სქესი და სექსუალური ორიენტაცია);
 - დისციპლინა და შრომითი დავების გადაწყვეტის პროცედურები;
 - დასაქმებულის სტატუსი;
 - თანაბარი ანაზღაურება;
 - დადგენილი სამუშაო ვადა;
 - მოქნილი სამუშაო საათები, მშობელთა უფლებები და ოჯახის ინტერესებზე მორგებული პროცედურები;
 - დედობა, მამობა, მშობლებზე განაწილებული შვებულება, შვილის აყვანის დროს აღებული შვებულება და ანაზღაურება;
 - მინიმალური ხელფასი და საარსებო მინიმუმი;
 - ნახევარ განაკვეთზე მუშაობის საათები;
 - ახალი თანამშრომლების მოზიდვა და შერჩევა;
 - შტატების შემცირება;
 - დასაქმების პირობები;
 - პროფკავშირები და გაფიცვა;
 - მოქალაქეობრივი აქტივობა, უკანონობის შემთხვევაში;
 - პენსია;
 - სამუშაო საათების რეგულაცია;

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

- უკანონო განთავისუფლება სამსახურიდან; და
- ნებისმიერი სხვა დასაქმების კანონი, რომელიც ეხება ამ საწარმოს.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული წარმოადგენს დასაქმების კანონმდებლობის საკითხებს, რომელიც აქტუალურია მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ყველა ეს საკითხი არ იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული თითო-ეულ იურისდიქციაში.

8. საჭიროებისამებრ, განახორციელა თუ არა საწარმომ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკის შეფასება, რომელიც განახლებულია?
9. საჭიროებისამებრ, განახორციელა თუ არა საწარმომ ხანძრის რისკის შეფასება, რომელიც არის განახლებული?
10. დაასაბუთეთ შეუსაბამისობის ყველა სფერო, დარწმუნდით, რომ ადეკვატურად არის ეს სფეროები შეფასებული ფაილის L სექციაში და თუ საჭიროა, გათვალისწინებული/განხილულია ფუნქციონირებადი საწარმოს მიმოხილვაში. (P)
11. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები.
12. მიმოიხილეთ შესაძლო თაღლითობისა და შეცდომების დადგენის მიზნით (ამ სამუშაომ შეიძლება გამოავლინოს კანონთან და რეგულაციებთან შეუსაბამისობა, ანდა დაკავშირებულ მხარეთა არგასაჯაროებული ტრანზაქციები):
 - სამთავრობო დეპარტამენტების მიერ ჩატარებული გამოძიებები/გამოკვლევები;
 - ჯარიმების გადახდა ან სანქციები;
 - უარყოფითი მედია კომენტარი;
 - ზემდგომი ხელმძღვანელობის ხელგაშლილი ცხოვრების წესი ან ზედმეტად ხშირი მოგზაურობა საზღვარგარეთ;
 - სამეურნეო სუბიექტის აგრესიული საგადასახადო მენეჯმენტი, გადასახადების გვერდის ავლის ან თავიდან აცილების მიზნით;
 - შემოსავლების აგრესიული მენეჯმენტი;
 - (გარდა იმისა, რომლებიც ავტორიზებული ანაზღაურების პაკეტის ნაწილია) პირადი სარგებლობისთვის გამოყენებული აქტივები;
 - ჯგუფის კომპლექსური სტრუქტურები, მათ შორის ოფშორული სამეურნეო სუბიექტები, სადაც საკუთრების იდენტიფიცირება შეუძლებელია;

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

- საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა**
- სააღრიცხვო ჩანაწერების ან ფინანსური ანგარიშგებების წარმოება ხანგრძლივი დაგვიანებით;
 - არაავტორიზებული გარიგებები/ტრანზაქციები ან შეუსაბამოდ აღრიცხული ოპერაციები/ტრანზაქციები;
 - კომპიუტერული პრობლემები ან სხვა სისტემური პრობლემები, რაც ნიშნავს, რომ ადეკვატური აუდიტის მიმართულება არ არის მოცემული;
 - ცუდი კონტროლის გარემო და მოვალეობების სეგრეგაციის ნაკლებობა;
 - ხელმძღვანელობის მიერ უარის გაცხადება ინფორმაციის მიწოდებაზე;
 - უჩვეულო სააღრიცხვო მიდგომები, რომლებიც არ შეესაბამება საწარმოს მიერ მიღებულ სააღრიცხვო პოლიტიკას;
 - დაუდგენელ მომსახურებაზე გადახდილი თანხები, ასევე ისეთ საქონელზე ან მომსახურებაზე გადახდილი თანხები, რომლებიც არ არის მიღებული ან საჭირო;
 - გაყიდვების (ფიქსირებული აქტივების გასვლის ჩათვლით), ან შესყიდვების განხორციელება საბაზრო ფასებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალ ან დაბალ ფასად;
 - ნაღდი ანგარიშსწორება იქ, სადაც ეს მეტად შეუსაბამოა;
 - ტრანზაქციები, რომლებსაც არა აქვთ ცხადი მიზანი ან ეკონომიკური მნიშვნელობა;
 - დაკავშირებულ მხარეთა უჩვეულო ტრანზაქციები;
 - ტრანზაქციები გადასახადების გადამხდელთა თავშესაფრში, მაღალი რისკის მქონე და არაკოორპირაციულ იურისდიქციებში (როგორც ჩამოყალიბებულია ფინანსურ ქმედებათა სამუშაო ჯგუფის მიერ (FATF)) ან მესამე ქვეყნებში, სადაც გარიგება/ტრანზაქცია არ მომხდარა;
 - გაყიდვების საკომისიოები ან აგენტების მოსაკრებლები/საფასური, რომლებიც, როგორც ჩანს, გადაჭარბებულია, ხორციელდება გაყოფილი საკომისიოს საფუძველზე ან გადახდილია წინასწარ, ტრანზაქციის განხორციელებამდე;
 - ტრანზაქციების მოულოდნელი ნაშთები და გაუქმება პერიოდის დასრულების შემდეგ;
 - უჩვეულო ინვესტიციები.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

- 13. თუ აუდიტორული სამუშაოს შესრულების დროს, გაჩნდება ეჭვი დოკუმენტის ნამდვილობის/აუთენტურობის ან შეცვლის თაობაზე, დოკუმენტის შინაარსის დამადასტურებელი საბუთი მოითხოვეთ პირდაპირ მესამე მხარისგან, სადაც დოკუმენტი შედგა. (E, R&O, C)
- 14. ყველა პრობლემური სფერო დაასაბუთეთ, დარწმუნდით, რომ მათზე გამახვილდა აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება და განიხილეთ, მოახდენს თუ არა გავლენას ეს პრობლემა აუდიტორის მოსაზრებაზე, ან აყენებს თუ არა ის ზემდგომი ხელმძღვანელობის პატიოსნებას ეჭვქვეშ და, ამგვარად, უნდა გავაგრძელოთ თუ არა კლიენტისთვის მუშაობა.
- 15. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი საჭირო ტესტი.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	Aa7	

მომსახურე ორგანიზაციები (ასს 402)

თუ ეს სამუშაო შესრულდა ფაილის სხვა სექციებში, უნდა მომზადდეს შემაჯამებელი გრაფიკი. ამ ტესტებმა ასევე უნდა მოიცვას ნებისმიერი მომსახურე ორგანიზაცია, რომლებსაც იყენებენ მომსახურე ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ უწევენ მომსახურებას სამეურნეო სუბიექტს იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შესრულებულია ფაილის სხვა სექციებში, შემაჯამებელი ცხრილის გამოყენება საჭიროა.

- 16. ხელმძღვანელობასთან დისკუსიების გამართვით დარწმუნდით, რომ ყველა მომსახურე ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს ფინანსურ ინფორმაციას, იდენტიფიცირებულია.
- 17. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში სამეურნეო სუბიექტის მომსახურე ორგანიზაციების სრული სიაა მოცემული, ასევე, მოცული უნდა იყოს (საჭიროების შემთხვევაში):
 - სახელფასო განყოფილება;
 - გარედან მოწვეული ბუღალტერი;
 - ბუღალტრები, რომლებიც მონაწილეობენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში;
 - ბუღალტრები, რომლებიც მონაწილეობენ საგადასახადო გადასახადის და გადავადებული საგადასახადო გადასახადის გამოთვლებში;
 - ბუღალტრები, რომლებიც ჩართულნი არიან საგადასახადო მოთხოვნების შესრულების სამუშაოში;
 - მესამე მხარეები, რომლებიც ინახავენ და ანაწილებენ მარაგს საწარმოს სახელით;
 - მარაგის პროფესიონალი აღმრიცხველები;
 - ინვესტიციების დეპოზიტორი ორგანიზაციები; და
 - ინვესტირების მენეჯერები.

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

18. სადაც მომსახურე ორგანიზაცია ასევე ახორციელებს აუდიტორულ პრაქტიკას, დარწმუნდით, რომ არააუდიტორული მომსახურების გაწევის შედეგად ეთიკურ საკითხებზე მოხდენილი გავლენა სათანადოდ იქნა განხილული.
19. მოიპოვეთ სამეურნეო სუბიექტსა და მომსახურე ორგანიზაციას შორის გაფორმებული გარიგების წერილების ასლი და დარწმუნდით, რომ შემდეგი საკითხები დასაბუთებული და შესწავლილია:
- კონტრაქტის პირობები;
 - კლიენტისა და მომსახურე ორგანიზაციის შესაბამისი პასუხისმგებლობები;
 - ვის შეუძლია მომსახურე ორგანიზაციისთვის ინსტრუქციის მიცემა;
 - რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს და მოგვაწოდოს მომსახურე ორგანიზაციამ, წარმოების ვადები ; და
 - ზარალის ანაზღაურების შესაბამისი პუნქტები, მომსახურე ორგანიზაციის ჩავარდნის/მარცხის შემთხვევაში.
20. დარწმუნდით, რომ მომსახურე ორგანიზაციას შეუძლია კლიენტისთვის უწყვეტი მომსახურების მიწოდება და, საჭიროების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი შემთხვევების სათანადო გეგმები არსებობს, თუ მომსახურების გაგრძელება შეუძლებელი გახდება რაიმე მიზეზით (მაგალითად, მონაცემთა ბაზის დაკარგვა, ხანძარი ან ლიკვიდაცია).
21. დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში დასაბუთებული იყოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც მომსახურე ორგანიზაციისთვის ინფორმაციის მიწოდებას და მისგან ინფორმაციის მიღებას აკონტროლებს (ანუ როგორ არის უზრუნველყოფილი, რომ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ხდებოდეს ორ უწყებას შორის და ეს ინფორმაცია გადაცემული იყოს უფლებამოსილი პირის მიერ).
- ბევრი მომსახურე ორგანიზაცია წარადგენს „მე-2 ტიპის“ ანგარიშს (როგორც ეს განსაზღვრულია ასს 402-ში). „მე-2 ტიპის“ ანგარიშებს, ასევე, ხანდახან ამზადებენ მომსახურე ორგანიზაციის შიდა აუდიტორები. მათში მოცემულია შიდა კონტროლის აღწერა, დიზაინი და სამუშაო ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია. ორგანიზაციებმა შესაძლოა ალტერნატიულად წარადგინონ „I ტიპის“ ანგარიში, სადაც მოცემულია მხოლოდ შიდა კონტროლის აღწერა და დიზაინი.*

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	Ac3	
	PAF	
	PAF	
	PAF	

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

22. მიმოიხილეთ ეს დოკუმენტები, სადაც ხელმისაწვდომია და განაახლეთ აუდიტის მუდმივი ფაილი (PAF), მომსახურე ორგანიზაციის შიგნით მოქმედი კონტროლის შესახებ.
23. განიხილეთ აუდიტორის მიდგომა მომსახურე ორგანიზაციის სამუშაოსთან მიმართებაში, რათა განსაზღვროთ, რამდენად სანდოა მათი შიდა კონტროლი, ან ხომ არ იქნება გამოყენებული მხოლოდ ძირითადი აუდიტორული მიდგომა.
ზოგიერთი აუდიტორული მტკიცებებისთვის, მაგალითად აქციათა ფლობა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შესაბამისი რწმუნება იქნება მოპოვებული მხოლოდ ძირითადი აუდიტორული მიდგომის გამოყენებით.
განაახლეთ დაგეგმვის დოკუმენტები საჭიროებისამებრ და სადაც კონტროლი სანდოდ ითვლება და ხდება მასზე დაყრდნობა, დაასრულეთ 25-ე და 26-ე ტესტები.
კლიენტთა კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომსახურე ორგანიზაციების უმრავლესობამ მესამე მხარის აუდიტორებს მისცეს პირდაპირი წვდომა სააღრიცხვო სისტემებსა და კონტროლზე. ამიტომ მხოლოდ მომსახურე ორგანიზაციის კონტროლი ჩაითვლება სანდოდ და მოხდება შიდა ან გარე აუდიტორებზე დაყრდნობა. განიხილეთ მე-2 ტიპის ანგარიში, რათა დადგინდეს, თუ რომელ კონტროლზე მოხდა მოსაზრების გამოხატვა, შემდეგ განსაზღვრეთ, რომელ აუდიტორულ მტკიცებას შეიძლება დავეყრდნოთ.
24. დარწმუნდით, რომ აუდიტორული პროგრამის ტესტები, რომელიც ეხება სხვა აუდიტორის ან შიდა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს სანდოობას, შესრულებულია/დასრულებულია.
25. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები.
26. დარწმუნდით, რომ ექსპერტის მიერ მოწოდებული ფინანსური ინფორმაცია იდენტიფიცირებულია და კონტრაქტის პირობები და ექსპერტისა და დამკვეთის პასუხისმგებლობა შესწავლილია.
27. შეაფასეთ ექსპერტის კომპეტენცია და დამოუკიდებლობა (მაგალითად, ექსპერტის აღიარებული პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება, ან აღიარებული სავაჭრო ან პროფესიული ორგანიზაციის წევრობა).

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

28. განიხილეთ გამოყენებული დამკვეთები/შეფასებები რის საფუძველზე შესრულდა ექსპერტის სამუშაო, რათა გამოველინა ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის შესაბამისობაში:
 - წინა პერიოდებთან; ან
 - ნებისმიერი კონტრაქტიდან მიღებულ ინფორმაციასთან; ან
 - სხვა ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან; ან
 - დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან; ან
 - შეუსაბამო აუდიტორის მიერ დამკვეთის შესახებ ზოგად ცოდნასთან ან სხვა აუდიტორულ მტკიცებულებასთან.
29. სადაც ექსპერტის სამუშაო მოიცავს მისი სამუშაო-თვის დიდი მნიშვნელობის მქონე პირველადი მონაცემების გამოყენებას, განიხილეთ პირველადი მონაცემების რელევანტურობა, სისრულე და სიზუსტე.
30. დარწმუნდით, რომ რის საფუძველზეც შესრულდა ექსპერტის სამუშაო, შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკას.
31. დარწმუნდით, რომ ექსპერტის მიერ დროულად შესრულდა სამუშაო.
32. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები (რომლებსაც ჩათვლით საჭიროდ), რათა აუდიტორმა დაასკვნას, რამდენად საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს იძლევა ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო ამ სფეროში.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

სხვების მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ასს 600)

ეს მიზნად ისახავს მხოლოდ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში სხვა აუდიტორის გამოყენებას. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ტარდება, საჭიროა დამატებითი მოსაზრებები.

შიდა აუდიტორების სამუშაოს გამოყენება (ასს 610)

33. თუ ჯერ კიდევ არ არის დასაბუთებული ფაილში, დაასაბუთეთ რომელ აუდიტორებს ვეყრდნობით/ ვუცხადებთ სანდოობას, შიდა იქნება გარე და რატომ ვეყრდნობით/ ვუცხადებთ ნდობას რომელიმე მათგანს.
34. დარწმუნდით, რომ მიღებულია სხვა აუდიტორული ფირმის მიერ მათი დამკვეთისგან დამოუკიდებლობის შესახებ დასტური.

საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა

- 35. მიმდინარე წელს მიმოვიხილეთ თუ არა მათი სამუშაო დოკუმენტები და ჩავთვალეთ ისინი სანდოდ? თუ არა, მაშინ, ბოლოს როდის განვიხილეთ ეს დოკუმენტები და იყო თუ არა მიმდინარე წლისთვის შესაბამისი აუდიტორული კითხვარები გაგზავნილი?
- 36. იდენტიფიცირდა თუ არა რაიმე პრობლემები წინა წლებში სხვა აუდიტორთან ან შიდა აუდიტთან?
- 37. სამუშაო, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ, შესრულდა თუ არა ასს-ის ან ექვევალენტური სახელმძღვანელოს შესაბამისად (როგორცაა მე-2 ტიპის ანგარიში) გათვალისწინებით.
- 38. არის თუ არა სხვა აუდიტორი საწარმოსგან დამოუკიდებელი?
- 39. არის თუ არა გარე ხარისხის კონტროლის პროცედურები?
- 40. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ და რომელიც შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ ასს-ის მოთხოვნებს.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____

საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

შემოსავალი

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

1. ა) მოიპოვეთ შემოსავლების ცხრილი (P)
 ბ) დარწმუნდით, რომ შემოსავლები გაანალიზებული იყოს ბიზნესის კლასზე და გეოგრაფიულ ბაზარზე დაყრდნობით. დარწმუნდით, რომ შემოსავლების ანალიზი ასევე ახდენს შემდეგი საკითხების ცალკე იდენტიფიცირებას:
 - გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები;
 - მომსახურების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი; და
 - სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები (P)
2. შეადარეთ მთავარ ცხრილში მოცემული მთლიანი ჯამი საცდელ ბალანსთან (A).
3. (P) შეადარეთ შესადარისი მაჩვენებლები წინა პერიოდის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებებს (P).
4. დარწმუნდით, რომ შემოსავლების სააღრიცხვო პოლიტიკა IFRS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია (C, A, P).
5. მიმოხილეთ შემოსავლები რამდენად გონივრულია და თანმიმდევრული, მათ შორის, ნებისმიერი სავალდებულო ინფორმაციის გასაჯაროება. (C, P)
6. ხელახლა გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებობის გამოთვლას და დავალებათა გეგმას და განახლეთ საჭიროებისამებრ შეფასებისას გამოვლენილი საკითხები.
7. დარწმუნდით, რომ ამ სექციის მთავარი მონაცემები შესულია ოფიციალური წერილის სამუშაო ვერსიაში, ხელმძღვანელობის წერილში და მასზე გამახვილებულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება.
8. დარწმუნდით, რომ დასკვნა შესაბამისია. (P)

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	O1	
	O1	
	O1	
	O1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ყოველწლიური ფაილის გამყოფი	

აუდიტორული ტესტები

17. გაყიდვების ინვოისების შერჩეული ჯგუფისთვის/ნიმუშისთვის, შეამოწმეთ:
 - გაყიდვის ფასები;
 - ფასდაკლებები;
 - გაყიდული საქონლის რაოდენობა/გამოთვლა და საერთო ღირებულება (O, C, A)
18. დაადასტურეთ, რომ გაყიდვების ნომინალური წიგნის ანგარიშზე აღრიცხული თანხიდან გამორიცხულია გაყიდვების გადასახადები. (A)
19. შეამოწმეთ გაყიდვების ყოველდღიური წიგნის გამოთვლები (A)
20. სადაც გაყიდვების ავიზოები (საკრედიტო ნოტა) არსებითია, დაადასტურეთ, რომ ისინი სწორად არის ავტორიზებული და წარმოადგენენ მოქმედ კრედიტებს. (C, A, CO)
22. გადაამოწმეთ, რამდენად ზუსტია ძირითად ცხრილში აღნიშნული შემოსავლების ანალიზი, შეათანხმეთ ის ნომინალური წიგნის ანალიზთან და ჩაუტარეთ ტესტი ნომინალური წიგნის ანგარიშებში აღრიცხულ ჩანაწერების შერჩეულ ჯგუფს/ნიმუშს და შეადარეთ საბაზისო ინვოისებს, რათა დავადასტუროთ, რამდენად შესაბამისია განაწილება (P).
23. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამოიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო
 პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

პირდაპირ ხარჯები

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

1. მოიპოვეთ მთავარი ცხრილი პირდაპირი ხარჯებისთვის. (P)
2. შეათანხმეთ პირდაპირი ხარჯების მთავარი ცხრილის მთლიანი ჯამი საცდელ ბალანსს. (A)
3. შეათანხმეთ შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის კანონით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს. (P, C)
4. განიხილეთ პირდაპირ ხარჯებსა და სხვა ხარჯებს შორის დანახარჯების გადანაწილების შესაბამისობა. (P)
5. განიხილეთ პირდაპირი ხარჯების მიზნობრიობა და მდგრადობა. (P, C)
6. ხელახლა გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებობის გამოთვლას და დავალებათა გეგმას და განახლეთ სათანადო წესით, თუ გამოვლინდა საკითხები შეფასებისას.
7. დარწმუნდით, რომ ამ სექციაში მოცემული ძირითადი მონაცემები შესულია ოფიციალური წერილის პროექტში, ხელმძღვანელობის წერილში და აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ ყურადსაღებ საკითხებში.
8. დარწმუნდით, რომ დასკვნა შესაბამისია. (P)
9. განიხილეთ პირველ სექციაში შესრულებული დაწვრილებითი ტესტების შედეგები. (CL, A, P)

გამჭოლი ტესტები

10. ჩაატარეთ ერთი გამჭოლი ტესტი თითოეული მოქმედი სისტემისთვის (რომელმაც უნდა მოიცვას ტრანზაქციები და ასოცირებული კონტროლი). ეს შედეგები გამოიყენეთ კრედიტორული დავალიანების ტესტის შედეგებთან ერთად, რათა გადაწყვიტოთ, ჩაანაცვლოთ თუ არა ელემენტების ზოგიერთი ან ყველა ტესტი დეტალური ანალიზური პროცედურებით. (A)
11. დეტალური ანალიზური პროცედურები. ჩაატარეთ დეტალური ანალიზური პროცედურები დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა, შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი (შეადარეთ პერიოდები და მსგავსი სამეურნეო სუბიექტები). (C, CL, A)

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	P1	
	P1	
	P1	
	P1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	Annual file divider	

12. ელემენტების ტესტები. მიჰყევით და შეამოწმეთ შესყიდვების შერჩეული ჯგუფი/ნიმუში ნომინალური წიგნიდან დაწყებული შესყიდვის მთავარი წიგნის, შესყიდვების ყოველდღიური წიგნის და შემდეგ თანდართული დოკუმენტაციის ჩათვლით. (O, A)
13. შესყიდვების ინვოისების შერჩეული ჯგუფისთვის/ნიმუშისთვის შეამოწმეთ და შეადარეთ:
 - შესყიდვების რაოდენობა შეკვეთებს და საქონლის მიღების უწყისებს;
 - ინვოისში მითითებული ფასები ნებისმიერ შეთანხმებას;
 - წარმოებული პროდუქტის რაოდენობა/გამოთვლა და საერთო ღირებულება. (O, A)
14. საწყისი დოკუმენტებიდან (შეკვეთებიდან, ხელშეკრულებებიდან და ა.შ.) აღებული შესყიდვების შერჩეული ჯგუფი/ნიმუში შეათანხმეთ/შეადარეთ:
 - მიღებული საქონლის უწყისებს;
 - შესყიდვის ინვოისებს;
 - შესყიდვების ყოველდღიურ წიგნს;
 - შესყიდვების მთავარ წიგნს, და
 - ნომინალურ წიგნს. (O, C, A)

ამ ტესტის კომბინირება შესაძლებელია „R“ პროგრამის ტესტთან, როდესაც ყველა შესყიდვა ერთნაირად მიმდინარეობს.
15. შეამოწმეთ შესყიდვების ყოველდღიურ წიგნში შესყიდული საქონლის რაოდენობა. (A)
16. სადაც საქონლის ან მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკან ბრუნდება, დარწმუნდით, რომ შესაბამისი საკრედიტო უწყისები (ნოტა) მიღებული და აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში. (C, A, CO)
17. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

სხვა შემოსავლები და ამონაგები

ამ აუდიტორულ პროგრამაში მოცული უნდა იყოს მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც აღიარდება მოგება/ზარალში, მუხლები, რომლებიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში განხილული უნდა იყოს „წ“ აუდიტორულ პროგრამაში.

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

- ა) მოიპოვეთ სხვა საოპერაციო შემოსავლებისა და ამონაგების ცხრილი. (P)

ბ) დარწმუნდით, რომ სხვა საოპერაციო შემოსავალი და ამონაგები გაანალიზებულია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

 - პროცენტი/წილი;
 - როიალტი;
 - დივიდენდები განაწილებულია:
 - ჯგუფის საწარმოების აქციებიდან მიღებულ შემოსავალზე;
 - მონაწილეობის წილიდან მიღებულ შემოსავალზე;
 - სხვა ფიქსირებული აქტივების ინვესტიციიდან მიღებულ შემოსავალზე.
 - საკომისიოები;
 - მიღებული გრანტები;
 - ნებისმიერი ტიპის შემოსავლების მნიშვნელოვანი შემოდინება სათანადოდ არის აღწერილი. (P)
- დარწმუნდით, რომ მომზადებულია ცხრილი, რომელიც ცალ-ცალკე აჩვენებს შემოსავალსა და ამონაგებს, რომლებიც აღიარებულია მოგება/ზარალში, რომელიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს და განაწილებულია:

 - ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია რეალურ ღირებულებად მოგება/ზარალში;
 - ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც შეფასებულია რეალურ ღირებულებად მოგება/ზარალში;
 - ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე; და
 - ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე; (P)
- შეათანხმეთ სხვა შემოსავლისა და ამონაგების ძირითად ცხრილში ნაჩვენები მთლიანი ჯამი საცდელ ბალანსს. (A)

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	Q1	
	Q1	

4. შეათანხმეთ შესადარისი ინფორმაცია წინა პერიოდის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებებს. (P)
 5. დარწმუნდით, რომ ყველა მუხლი სწორად არის აღირებულია მოგება/ზარალში, ვიდრე სხვა სრულ შემოსავალში. (P)
 6. ხელახლა გადახედეთ რისკის შეფასებას, არსებითობის გამოთვლას და დავალებათა გეგმას და განახლეთ საჭიროებისამებრ, დავალების შესრულების პროცესში გამოვლენილი საკითხები.
 7. დარწმუნდით, რომ ამ სექციაში მოცემული ძირითადი მონაცემები შესულია ოფიციალური წერილის სამუშაო ვერსიაში, ხელმძღვანელობის წერილიში და მასზე გამახვილებულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება.
 8. დარწმუნდით, რომ დასკვნა შესაბამისია. (D)
 9. განიხილეთ F განყოფილებაში შესრულებული დაწვრილებითი ტესტების შედეგები. (CL, A)
 10. **გამჭოლი ტესტი.** ჩაატარეთ ერთი გამჭოლი ტესტი თითოეული მოქმედი სისტემისთვის (რომელმაც უნდა მოიცვას ტრანზაქციები და ასოცირებული კონტროლი). ეს შედეგები გამოიყენეთ აუდიტის ფაილის სხვა სექციებიდან მიღებულ შედეგებთან ერთად, რათა გადაწყვიტოთ, ჩაანაცვლოთ თუ არა ელემენტების ზოგიერთი ან ყველა ტესტი დეტალური ანალიზური პროცედურებით. (A)
- დეტალური ანალიზური პროცედურები**
11. ჩაატარეთ დეტალური ანალიზური პროცედურები დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა, შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი (შეადარეთ პერიოდები და მსგავსი სამეურნეო სუბიექტები). (C, CL, A)
 12. **ელემენტების ტესტები.** შეამოწმეთ ნომინალურ წიგნში მოცემული სხვა შემოსავლის ნებისმიერი მუხლი, რომელიც აღემატება სამუშაო არსებითობას (ინდივიდუალურად ან მთლიანობაში), თანდართულ დოკუმენტაციას. (C, A)
დარწმუნდით, რომ ეს სამუშაო არ არის აუდიტის ფაილის სხვა სექციებში უკვე განხორციელებული სამუშაოების დუბლირება, განსაკუთრებით, თუ საკითხი ეხება დებიტორებს და კრედიტორებს.
 13. სხვა საოპერაციო შემოსავლის ყველა ცნობილი წყაროსთვის ჩაატარეთ ტესტები, რათა დაადგინოთ, რამდენად სრულია შემოსავლის ყველა წყარო, რომელიც აღემატება სამუშაო არსებითობას (ინდივიდუალურად ან მთლიანობაში). (C)

	Q1	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	

14. დარწმუნდით, რომ არაფულადი სახელმწიფო გრანტები აღიარებულია ან რეალური ღირებულებით ან ნომინალური თანხით/ოდენობით. (A)
15. მიმოიხილეთ სამეურნეო სუბიექტის ოპერაციები და განიხილეთ, არის თუ არა სხვა საოპერაციო შემოსავლის ყველა წყარო იდენტიფიცირებული და სწორად აღრიცხული, მათ შორის:
- ჯართის/ლითონის ნარჩენების გაყიდვა და სუბპროდუქტების წარმოება;
 - გაყიდვები პერსონალზე;
 - პერსონალის მიერ გაკეთებული შენატანები საარსებო ხარჯებთან მიმართებაში;
 - სავაჭრო ავტომატებიდან მიღებული შემოსავალი;
 - მოძველებული ძირითადი საშუალებებისა და მარაგის გაყიდვა. (C)
- დარწმუნდით, რომ ამ მუხლებთან დაკავშირებით საგადასახადო გადასახადისა და მოსაკრებლების სწორად აღრიცხვა ხდება.*
16. განიხილეთ ფინანსური აქტივები, რათა უზრუნველყოთ, რომ საანგარიშო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ ამოღებულ იქნეს და არ გადაიხადონ კომერციული საპროცენტო განაკვეთი, ამორტიზირებულ დანახარჯებზე დაყრდნობით და ფასდაკლების მოშლა შესაბამისად არის დაანგარიშებული შემოსავლის მოგებისა და წაგებისთვის.
17. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო
 პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

სხვა დანახარჯები და დანაკარგები

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

1. მოიპოვეთ სხვა დანახარჯებისა და დანაკარგების ბარათები, რომელიც მოიცავს:
 - სადისტრიბუციო ხარჯების ბარათებს;
 - ადმინისტრაციული დანახარჯების ბარათებს;
 - გადასახდელ პროცენტს და მსგავს ხარჯებს. (P)
2. დარწმუნდით, რომ მომზადებულია ბარათი, რომელშიც ცალ-ცალკე არის ნაჩვენები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დანახარჯები და დანაკარგები, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და განაწილებულია:
 - მოგება ან ზარალში ასახულ და რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს;
 - მოგება ან ზარალში ასახულ და რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს;
 - ამორტიზებული ღირებულების ბაზაზე შეფასებულ ფინანსურ აქტივებს; და
 - ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს შორის. (P)
3. დაადარეთ ბარათში მოცემული მთლიანი ჯამი სახელ ბალანსს. (A)
4. დაადარეთ შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებებს. (P, C)
5. დარწმუნდით, რომ ყველა მუხლი სწორად არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში და არა სხვა სრულ შემოსავალში. (P)
6. განიხილეთ დანახარჯების გადანაწილების შესაბამისობა ზემოთ მოცემულ დანახარჯის კლასიფიკაციებსა და ასევე პირდაპირ დანახარჯებს შორის. (P)
7. განიხილეთ სხვა დანახარჯები გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. (C)
8. /ხელახლა განიხილეთ რისკის შეფასება, არსებითობის გამოთვლა და დავალებათა გეგმა და საჭიროებისამებრ განაახლეთ დავალების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი საკითხები.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი
	R1/1 R1/2 R1/3	
	R1	
	R1	
	R1	
	Ac11, Ac13, Ac14	

აუდიტორული ტესტები

9. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.

10. დარწმუნდით, რომ დასკვნა არის შესაბამისი. **(P)**

11. განიხილეთ I სექციაში დასრულებული დაწვრილებითი ტესტების შედეგები. **(CL, A, P)**

გამჭოლი ტესტი

12. ჩაატარეთ ერთი გამჭოლი ტესტი თითოეული მოქმედი სისტემისთვის (რომელმაც უნდა მოიცვას ტრანზაქციები და ასოცირებული კონტროლი). ეს შედეგები გამოიყენეთ კრედიტორული დავალიანების ტესტის შედეგებთან ერთად, რათა გადაწყვიტოთ, ჩაანაცვლოთ თუ არა ელემენტების ზოგიერთი ან ყველა ტესტი დეტალური ანალიზური პროცედურებით. **(A)**

დეტალური ანალიზური პროცედურები

13. ჩაატარეთ დეტალური ანალიზური პროცედურები დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად: ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა, შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი (შეადარეთ პერიოდები და მსგავსი სამეურნეო სუბიექტები). **(C, CL, A)**

ელემენტების ტესტები

14. მიჰყევით და შეამოწმეთ ხარჯების შერჩეული ჯგუფი/ნიმუში ნომინალური წიგნიდან (დაფარვის, ადმინისტრაციული, სადისტრიბუციო და ფინანსური ხარჯები) დაწყებული:

- შესყიდვების მთავარი წიგნის და შესყიდვების ყოველდღიური წიგნის ჩათვლით; ან
- სალაროს წიგნის ჩათვლით; ან
- სააღრიცხვო ჟურნალის ჩათვლით; და
- შემდეგ თანდართული დოკუმენტაციის ჩათვლით. **(O, A)**

15. შესყიდვების შერჩეული ჯგუფისთვის/ნიმუშისთვის, მიჰყევით და შეამოწმეთ საწყისი დოკუმენტებიდან დაწყებული (შეკვეთები, ხელშეკრულებები და ა.შ.) დაადარეთ, სადაც საჭიროა:

- მიღებული საქონლის უწყისს;
- შესყიდვის ინვოისს;
- შესყიდვების ყოველდღიურ წიგნს;

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი
	Aa4, Aa5b, Aa7	
	ფაილების წლიური გამყოფი ანკეტა	

აუდიტორული ტესტები

- შესყიდვების მთავარ წიგნს; და
 - ნომინალურ წიგნს. (O, C, A)
- ამ ტესტის კომბინირება შესაძლებელია „P“ პროგრამის ტესტთან, როდესაც ყველა შესყიდვა ერთნაირად მიმდინარეობს.

16. სადაც საქონლის ან მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკან ბრუნდება, დარწმუნდით, რომ შესაბამისი საკრედიტო უწყისები (ნოტა) მიღებული და აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში. (C, A, CO)
17. მიმოიხილეთ ფინანსური ვალდებულებები, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა, რომელიც დასაფარია 12 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდგომ და არ გააჩნია კომერციული საპროცენტო განაკვეთი, აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე და გამოყენებულ იქნა სათანადო დისკონტირების განაკვეთი.
18. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი:	
საანგარიშგებო პერიოდი:	

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

სახელფასო დანახარჯები

სადაც სამეურნეო სუბიექტს გააჩნია დადგენილგადასახდელიანი საპენსიო სქემა, დარწმუნდით, რომ S2/2 აუდიტორული პროგრამა დასრულებულია და სადაც თანამშრომლები იღებენ წილობრივ გადახდებს, დარწმუნდით, რომ S2/3 აუდიტორული პროგრამა არის დასრულებული.

აუდიტორული ტესტები

ზოგადი ინფორმაცია

1. მოიპოვეთ ბარათი, რომელშიც მოცემულია დარიცხული ხელფასები, სოციალური დაზღვევა და საპენსიო შენატანები თანამშრომელთა (მათ შორის დირექტორთა) კატეგორიების მიხედვით განაწილებული. (P)
2. შეადარეთ ბარათში მოცემული მთლიანი ჯამი საცდელ ბალანსს. (E)
3. მოიპოვეთ ბარათი, რომელშიც ნაჩვენებია თანამშრომელთა რაოდენობა და დასაქმების ხელშეკრულებების კონკრეტული რიცხვი თითოეულ თვეში. ამ ბარათში გაანაზილებული უნდა იყოს თანამშრომელთა რაოდენობა მათი როლების მიხედვით (მაგ., გაყიდვები, მარკეტინგი, წარმოება, ადმინისტრაცია და ა.შ.)
შენიშვნა: საჭიროებისამებრ, დარწმუნდით, რომ ეს ციფრები ემთხვევა იმ ციფრებს, რომლებიც განსაზღვრავს კომპანიის „ზომას“.
4. შეადარეთ სახელფასო ხარჯებისა და დასაქმებულთა რაოდენობის შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის ნორმატიული ფინანსური ანგარიშგების შესადარის მონაცემებს. (C, P)
5. განიხილეთ ხელფასები და ანაზღაურება კატეგორიების მიხედვით გონივრულობაზე და თანმიმდევრულობაზე. (C)
6. ხელახლა განიხილეთ რისკის შეფასება, არსებითობის გამოთვლა და დავალებათა გეგმა და, საჭიროებისამებრ, განაახლეთ დავალების დროს გამოვლენილი საკითხები.
7. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი
	R	
	R	
	Ac11, Ac13, Ac14	
	Aa4, Aa5b, Aa7	

აუდიტორული ტესტები

- 8. დაწვრილებით გადახედეთ სახელფასო ჩანაწერებს ნებისმიერი უჩვეულო მუხლების არსებობაზე. (A & CO)
- 9. მოიპოვეთ წმინდა სახელფასო გადახდის საკონტროლო ანგარიში და დარწმუნდით, რომ ის წარმოადგენს საბოლოო პერიოდის წმინდა გადახდას (თანამშრომლებზე) და შეადარეთ სახელფასო ჩანაწერებს და წარდგენის შემდგომ გადახდას. (CO)
- 10. მოიპოვეთ სახელფასო დაქვითვების საკონტროლო ანგარიში და დარწმუნდით, რომ იგი წარმოადგენს საბოლოო პერიოდის თანხას, რომელიც გადასახდელია შესაბამის საგადასახადო ორგანოზე და შეადარეთ სახელფასო ჩანაწერებს და წარდგენის შემდგომ გადახდას. (CO)

არასამუშაო (უქმე) დღეებში მუშაობის ანაზღაურების დარიცხვა

- 11. მოიპოვეთ უქმე დღეებში სამუშაოს ანაზღაურების დარიცხვის ბარათი და დარწმუნდით, რომ, დასაქმებულთა შერჩეული ჯგუფისთვის, საჭიროებისამებრ, უქმე დღეებში სამუშაოს ანაზღაურების დარიცხვა გამოანგარიშებულია/დათვლილია, ბარათი არითმეტიკულად სწორია, უქმე დღეების გამოყენების უფლების შესახებ დეტალები შეთანხმებულია დასაქმების ხელშეკრულებებში ან სამეურნეო სუბიექტის პერსონალის შინაგანაწესში, გამოყენებული უქმე დღეები შეთანხმებულია სამეურნეო სუბიექტის უქმე დღეების ჩანაწერებში და დარიცხული დღეების რაოდენობა წარმოადგენს ან სამართლებრივ, ან კონსტრუქციულ პასუხისმგებლობას. (E, CO)

დირექტორთა ანაზღაურება/შემოსავალი (საჭიროებისამებრ)

- 12. მოიპოვეთ ბარათი, რომელშიც მოცემულია დირექტორთა მთლიანი ანაზღაურება/შემოსავალი და დირექტორთა რაოდენობა, რომლებსაც ერიცხებათ სარგებელი დადგენილი შენატანების სქემის მიხედვით. დარწმუნდით, რომ მთლიანი ანაზღაურება/შემოსავალი მოიცავს:
 - ანაზღაურებას და ბონუსებს;
 - დასაქმებულთა შენატანებს დადგენილი შენატანების საპენსიო სქემაში;
 - აქციათა ოფციონზე მიღებულ ამონაგებს (აქ არ იგულისხმება მინიჭებული ოფციონის ღირებულება); და
 - სარგებელს/ანაზღაურებას ნატურით. (P)
- 13. შეამოწმეთ, რომ დირექტორთა ანაზღაურება (ბონუსების ჩათვლით) არის ავტორიზებული და სწორად დაანგარიშებული. (A)

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

აუდიტორული ტესტები

- დაქვითვების გამოთვლა;
 - წმინდა სახელფასო ანაზღაურება სალაროს წიგნის მიხედვით ან ელექტრონული გადახდები; და
 - ხელფასების ჯამურ ანგარიშში ჩართვა. **(O, C, A)**
23. შეამოწმეთ, რომ ხელფასები და მათი ჯამური ანგარიში სწორად იყოს გადატანილი ნომინალურ წიგნში. **(O, C, A)**
24. მიმოიხილეთ სახელფასო უწყისები, რათა დარწმუნდეთ, რომ ახალი და უკვე წასული თანამშრომლები სწორად არის აღრიცხული. **(A)**
25. შეამოწმეთ დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია რამდენად სათანადოდ არის გასაჯაროებული. დარწმუნდით, რომ მონაცემები არ არის წარმოდგენილი სრული განაკვეთის ექვკვივალენტურ ბაზაზე. დასაქმებულთა შერჩეული ჯგუფისთვის დარწმუნდით, რომ მათი კლასიფიკაცია შესაბამისობაშია თანდართულ დოკუმენტაციასთან, როგორცაა:
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
 - კადრების/პერსონალის ფაილები;
 - ხელმძღვანელობის დღის განრიგი. **(P)**
26. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტი აფორმებს თვითდასაქმებულ პირებთან კონტრაქტებს, რომლებიც არ ითვლებიან თანამშრომლებად, განიხილეთ, არის თუ არა ეს მიდგომა გამართლებული. **(C)**
27. საჭიროებისამებრ, შეამოწმეთ ყველა საპენსიო რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა იქნა თუ არა შესაბამისად შესულებული. **(C)**
28. შეამოწმეთ, რომ დამატებითი გადასახდელი თანხები სწორად იქნა აღრიცხული დადგენილ გადასახდელებში. **(C)**
29. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებით ტესტები, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

მტკიცებათა განმარტებები:

- E = Existence; არსებობა;
- R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები;
- C = Completeness; სისრულე;
- V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება
- P = Presentation; წარდგენა
- O = Occurrence; წარმოშობა
- A = Accuracy; სისწორე
- CO = Cut-off; დროში გამიჯვნა
- CL = Classification. კლასიფიკაცია.

დამკვეთი:

საანგარიშგებო

პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

აუდიტორული პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც მოიცავს დირექტორების ანგარიშს და ფინანსურ ანგარიშგებებს.

საჭირო იქნება დამატებითი აუდიტორული პროგრამები, თუ სამეურნეო სუბიექტს გააჩნია დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა/სქემა, აქვს წილობრივი გადახდები ან ჰეჯირების ანგარიშები. საჭიროებისამებრ შეავსეთ დანართები 2.18.2, 2.18.3 და 2.18.4.

აუდიტორული ტესტები

ძირითადი საკითხები

1. დარწმუნდით, რომ თუ სამეურნეო სუბიექტს საქმიანობა მოიცავს მრავალ ვალუტას, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს დადგენილი აქვთ სამეურნეო სუბიექტის საოპერაციო/ძირითადი ვალუტა. ეს ასევე დადასტურებული უნდა იყოს ოფიციალურ წერილში.

დირექტორების ანგარიში

2. მოიპოვეთ დირექტორების ანგარიშის სამუშაო ვერსიის ასლი, რამდენადაც შესაძლებელია წინასწარ აუდიტის პორცესში.

- ა) განიხილეთ მისი თანმიმდევრულობა დანარჩენ ყოველწლიურ ანგარიშთან და ფინანსურ ანგარიშგებებთან.
- ბ) განიხილეთ მისი შესაბამისობა მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებთან.
- გ) განიხილეთ მისი ნებისმიერი არსებითი უზუსტობები სამეურნეო სუბიექტის ხედვის ფარგლებში.

სადაც საჭიროა, განიხილეთ ფირმის აუდიტორულ მოსაზრებაზე გავლენა. დარწმუნდით, რომ ნებისმიერ სუსტ მხარესთან (რომლებიც არ არის შემდგომ განხილული) დაკავშირებით მოხდა ინფორმაციის მიწოდება კლიენტისთვის ხელმძღვანელობის წერილში.

3. დარწმუნდით, რომ კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის შესახებ ინფორმაცია გასაჯაროებულია და ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ხდება აუდიტორის აღქმის შესაბამისად და შეესაბამება აუდიტის ფაილის დანარჩენ ნაწილში მოცემულ ინფორმაციას. ასევე, დარწმუნდით, რომ ხელმძღვანელობამ შესაბამისად მოახდინა შემდეგი რისკების იდენტიფიცირება:

- საკურსო რისკი;
- საკრედიტო რისკი;

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	Aa4	
	Aa5 S3a / S3b	

აუდიტორული ტესტები

- ლიკვიდურობის რისკი; და
- ფულადი ნაკადების რისკი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება - განსაკუთრებული მუხლები

4. მიმოიხილეთ ნებისმიერი მუხლი, რომელიც კლიენტმა განიხილა როგორც განსაკუთრებული, რათა დაადასტუროთ, რომ მათ შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება უნდა მოხდეს ცალკე, მათი ზომისა და გავლენიდან გამომდინარე.

5. განიხილეთ ფაილის O, P, Q და R სექციებში და Ac9-ში მოცემული ანალიზური პროცედურების გრაფიკი სხვა მუხლების არსებობაზე, რომლებიც შესაძლოა იყოს განსაკუთრებული. თუ ასეთი მუხლები არსებობს, დაასაბუთეთ მათ შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების/არ გასაჯაროების მიზეზი ცალკე.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება - შეწყვეტილი ოპერაციები

განიხილეთ ხელმძღვანელობასთან, მოხდა თუ არა რაიმე აქტივობის შეწყვეტა საანგარიშგებო პერიოდში და განსაკუთრებით საანგარიშგებო პერიოდის დასასრულამდე. თუ მნიშვნელოვანი/არსებითი აქტივობები შეწყდა საანგარიშგებო პერიოდში, განიხილეთ, წარმოდგენენ თუ არა ისინი შეწყვეტილ ოპერაციებს.

6. განიხილეთ ფაილის O, P, Q და R სექციებში და Ac9-ში მოცემული ანალიზური პროცედურების გრაფიკი ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილების არსებობაზე და განსაზღვრეთ, უნდა მოხდეს თუ არა მათი კლასიფიცირება როგორც შეწყვეტილი ოპერაციები.

7. დარწმუნდით, რომ „შეწყვეტილი ოპერაციების“ შესახებ ინფორმაცია გასაჯაროებულია განცალკევებულად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

8. დარწმუნდით, რომ ყველა გასაყიდად განკუთვნილი აქტივი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულ გასაჯაროებულ ჯგუფში.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება - სხვა ინფორმაციის გასაჯაროება

9. დარწმუნდით, რომ შემდეგი მუხლები იდენტიფიცირდა და მათი სისრულე და ვალიდობა დადასტურდა:

- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებიდან მიღებული ნამეტი ან ზარალი (გარდა მოგება ან ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით);
- აუდიტორის ანაზღაურება (საჭიროებისამებრ).

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	S4j	
	S4g	
	PAF	
	S4e	

აუდიტორული ტესტები

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება - სხვა სრული შემოსავალი

10. მოიპოვეთ ან მოამზადეთ ყველა ნამეტის/ამონაგების და დანაკარგის/ზარალის გრაფიკი, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. დარწმუნდით, რომ არც ერთი ეს მუხლი არ არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში, ან პირდაპირ საკუთარ/სააქციო კაპიტალში.

ფინანსური საქმიანობის ანგარიშგების შენიშვნები

11. დარწმუნდით, რომ წარმოდგენილია გრაფიკი, რომელშიც ნაჩვენებია მთლიანი (და არა წლიური) საოპერაციო ღირებულების ვალდებულება და რომელიც გაანალიზებულია როგორც გადასახდელი:

- არა უგვიანეს ერთი წლისა;
- ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ხუთი წლისა;
- ხუთი წლის შემდეგ.

12. დარწმუნდით, რომ დებიტორული დავალიანებების (რომლებიც დასაფარი იყო წარსულში, მაგრამ არ ექვემდებარება არშესრულებას) ხანდაზმულობა იდენტიფიცირებულია.

13. დარწმუნდით, რომ ფინანსური ინსტრუმენტები არის შესაბამისად კლასიფიცირებული, როგორც:

- მოგება ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები;
- დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები;
- სესხები და დებიტორული დავალიანებები;
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, გარდა მოგება ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია, ყველა სამეურნეო სუბიექტმა, რომელიც იყენებს IFRS-ს, მოამზადოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება).

14. განიხილეთ კლიენტთან, მათი აზრით, რომელი აქტივები აკმაყოფილებს „ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების“ განმარტებას და განიხილება თუ არა ოვერდრაფტები როგორც „ფულადი ეკვივალენტები“.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	S4j	
	S4f	
	S5	

აუდიტორული ტესტები

15. მუდმივ ფაილში არსებული დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს, რომ თანმიმდევრული სააღრიცხვო მიდგომა არის გამოყენებული თითოეულ პერიოდში შემდეგი მუხლებისთვის:

- ბანკის ოვერდრაფტი (როგორც ზემოთაა ნახსენები);
- გადასახადები;
- მისაღები პროცენტები;
- გადასახადი პროცენტები;
- მისაღები დივიდენდები; და
- გადასახდელი დივიდენდები.

შენიშვნა: ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საგადასახადო ფულადი ნაკადები უნდა მოხვდეს ერთი და იგივე ფულადი ნაკადების დასათაურების ქვეშ. თუმცა, შესაბამის იქნებოდა, თუ საგადასახადო ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ერთი და იმავე ძირითად ტრანზაქციას, კლასიფიცირებული იქნებოდა სხვადასხვა კლასიფიკაციაში წინა პერიოდებისგან განსხვავებით (თუ ეს მიდგომა გამართლებული არ იქნებოდა).

16. მოიპოვეთ კლიენტისგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების პროექტი, სადაც დასტურდება, რომ ტრანზაქციების ხასიათისა და კლიენტის პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განხილულია მე-16 ტესტში, ფულადი ნაკადები სათანადოდ არის კლასიფიცირებული, როგორც:

- საოპერაციო;
- საინვესტიციო; და
- საფინანსო.

17. მიმოიხილეთ მოგება/ზარალისა და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება. განსაკუთრებით, დარწმუნდით, რომ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ყველა ცვლილება უკავშირდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობას და არა ინვესტიციების, ძირითადი საშუალებებისა და ა.შ. გაყიდვებსა და შესყიდვებს და არაფულადი ტრანზაქციები გამორიცხულია.

18. დარწმუნდით, რომ ყველა ფულადი ნაკადები აღიარებულია ბრუტოს საფუძველზე.

სხვა

19. დარწმუნდით, რომ სადაც აუდიტორის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შეზღუდულია, შესაბამისი ინფორმაცია გასაჯაროებულია.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	PAF	

აუდიტორული ტესტები

20. განიხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული შეფასების მეთოდები, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა არსებითი მუხლისთვის არსებობს სათანადო პოლიტიკა.
21. დარწმუნდით, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა და გამოყენებული შეფასების მეთოდები, ყველაზე მეტად შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის გარემოებებს და სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმულირება სათანადოა.
22. დარწმუნდით, რომ დირექტორებმა მოამზადეს სათანადო მგრძობელობის ანალიზი, რათა გამოავლინონ მგრძობიარობა იმ მუხლების საბალანსო ღირებულებებში, რომლებიც მოიცავს შეფასების გაურკვეველობის წყაროებს.
23. დარწმუნდით, რომ დირექტორებმა განახორციელეს IFRS-ის ცვლილებების განხილვა, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და მათი გავლენის/ზემოქმედების შესახებ შესაბამისი განმარტება შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებებში. ამ ინფორმაციის გასაჯაროება უნდა შეესაბამებოდეს ზემოქმედების დონეს.
24. ხელახლა განიხილეთ რისკის შეფასება, არსებითობის გაანგარიშება და დავალებათა გეგმა და დავალების შესრულების დროს გამოვლენილი საკითხები სათანადოდ განაახლეთ.
25. დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.
26. ჩამოთვალეთ და ჩაატარეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, საჭიროებისამებრ.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	Aa4, Aa5b, Aa7	

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებიანს:	თარიღი:

საპენსიო სქემები დადგენილი გადახდებით

საპენსიო სქემები რამდენიმე დამსაქმებელის შემთხვევაში, სადაც შენატანები ხდება რამდენიმე დაკავშირებულ ან ჯგუფის სამეურნეო სუბიექტების მიერ, უნდა დაიყოს სამეურნეო სუბიექტის დონეზე და შეუძლებელია ამ სქემების მხოლოდ აღრიცხვა კონსოლიდირებისას.

შენიშვნა: აუდიტორი ვერ განახორციელებს აქტუარული ვალდებულების შეფასებას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუდიტორი ფორმების უმეტესობას ჰქონდეთ ამ სფეროში კომპეტენცია და იმ შემთხვევაში, თუ აქტუარული ვალდებულება არ არის არაარსებითი, ეს წარმოადგენს ბესსს-ს ეთიკის კოდექსის დარღვევას.

აუდიტორული ტესტები – დაგეგმვა და მუდმივი ფაილის პროცედურები საველე სამუშაოების დაწყებამდე

1. მოიცავს თუ არა მუდმივი ფაილი შესაბამის ინფორმაციას საპენსიო სქემის შესახებ, მათ შორის:
 - სქემის წესებს;
 - მინდობილობას საკუთრების მართვაზე;
 - სქემის ფინანსურ ანგარიშგებას;
 - აქტუარულ შეფასებებს;
 - გარიგების წერილს სამეურნეო სუბიექტსა და აქტუარს შორის შეფასებასთან დაკავშირებით; და
 - დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ რწმუნდება თავად აქტუარი იმაში, რომ მათ მიერ გამოყენებული ინფორმაცია არის რელევანტური.
2. ასაბუთებს თუ არა დანართში Ac14 მოცემული დავალებათა გეგმა შემდეგს:
 - რომ აუდიტორულ გუნდს გააჩნია ადეკვატური ცოდნა;
 - სქემის სახეობას;
 - მისაღები/მოსაპოვებელი აუდიტორული მტკიცებულებების სახეობებს საპენსიო სქემის აქტივებისა და აქტუარული პასუხისმგებლობის მხარდასაჭერად;
 - აქტუარსა და საპენსიო სქემის აუდიტორებს შორის შეთანხმებულ გრაფიკს.
3. მოხდა თუ არა საპენსიო სქემის აქტივის/ვალდებულების გამორიცხვა არსებითობის ძირითადი შეფასებიდან და ჩატარდა თუ არა აღნიშნული ნაშთისთვის არსებითობის ცალკე შეფასება?

დონე	მითითება	ინიციალები
	PAF	
	Ac14	
	Ac13	

აუდიტორული ტესტები – დაგეგმვა და მუდმივი ფაილის პროცედურები საველე სამუშაოების დაწყებამდე

4. განხორციელდა თუ არა რისკის შეფასება საპენსიო აქტივების/ვალდებულების ან დაკავშირებულ ტრანზაქციების შესახებ (ურიგო არ იქნებოდა მოკლე აღმწერითი შეფასების განხორციელება).
5. *თუ საპენსიო სქემის აუდიტს ახორციელებს სამეურნეო სუბიექტის აუდიტორული გარიგების პარტნიორი, მომზადდა თუ არა მემორანდუმი შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:*
 - საპენსიო სქემისა და დამკვეთის აუდიტორული გარიგების პარტნიორი არის ერთი და იგივე ადამიანი;
 - იყო თუ არა საპენსიო სქემის აუდიტორის ანგარიში პირობითი;
 - საპენსიო სქემის შემდგომი მოვლენების მიმოხილვა განახლდა დამკვეთის აუდიტორის ანგარიშის თარიღისთვის;
 - ძირითადი საკითხების მოკლე რეზიუმეს; და
 - საპენსიო სქემის არსებობის განხილვას და დამკვეთის საპენსიო სქემის აქტივთან/ვალდებულებასთან დაკავშირებულ არსებობას?
6. *თუ სქემის აუდიტი განხორციელდა იმავე ფირმის მიერ, მაგრამ არა იმავე აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ, მომზადდა თუ არა მემორანდუმი შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:*
 - საპენსიო სქემისა და დამკვეთის აუდიტორული გარიგების პარტნიორი არის ერთი და იგივე ადამიანი;
 - არის თუ არა საპენსიო სქემის აუდიტორის ანგარიში პირობითი;
 - სქემის მოვლენების მომდევნო განხილვა განახლდა დამკვეთის აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე;
 - ძირითადი საკითხების მოკლე რეზიუმეს; და
 - საპენსიო სქემის არსებობის განხილვას და დამკვეთის საპენსიო სქემის აქტივთან/ვალდებულებასთან დაკავშირებულ არსებობას?
7. *თუ საპენსიო სქემის აუდიტი განხორციელდა აუდიტორთა სხვა ფირმის მიერ:*
 - სასურველია, რომ საპენსიო სქემაზე მომუშავე აუდიტორთა სამუშაო ფურცლები/დოკუმენტები გადაიხედოს ყოველწლიურად სამუშაოს ხარისხის დასადგენად; თუკი სხვაგვარად ამის გაკეთება შეუძლებელია;

დონე	მითითება	ინიციალები
	Ac11	

აუდიტორული ტესტები – დაგეგმვა და მუდმივი ფაილის პროცედურები საველე სამუშაოების დაწყებამდე

- სამუშაო ფურცლების/დოკუმენტების მიმოხილვა უნდა ხდებოდეს ყოველ რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხარისხის შესაფასებლად და შუალედურ პერიოდში კითხვარის გაგზავნის მიზნით.
8. *თუ დამკვეთისა და საპენსიო სქემის პერიოდები არ მთავრდება ერთდროულად:*
- იქნა თუ არა მოპოვებული რაიმე სახის შუალედური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ადეკვატური აუდიტორული მტკიცებულება საპენსიო სქემის აქტივებში/ვალდებულებებში მნიშვნელოვანი გადაადგილების საწარმოებლად საპენსიო სქემის საანგარიშგებო თარიღიდან დამკვეთის საანგარიშგებო თარიღამდე?
9. *აქტუარული ვალდებულების მიმოხილვა:*
- შეფასდა თუ არა აქტუარის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა;
 - შემოწმდა თუ არა გარიგების პირობები მოქმედების სფეროს პოტენციურ შეზღუდვაზე;
 - არის თუ არა აქტუარი აქტუარების რომელიმე აღიარებული პროფესიონალური ორგანოს წევრი?
 - მიეწოდა თუ არა აქტუარს წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი სამუშაო გამოყენებული იქნება აუდიტორული მტკიცებულების სახით?
 - იქნა თუ არა აქტუარულ დაშვებებში შეტანილი ცვლილებები განხილული და აღმოჩენილ იქნა თუ არა შეცდომების ისტორია (მაგალითად, სიკვდილიანობის შეუსაბამო მაჩვენებლები იქნებოდა შეცდომა, ხოლო სიკვდილიანობის ცხრილების განახლების შედეგად სიკვდილიანობის ცვალებადი მაჩვენებლები არა)?
 - მოხდა თუ არა შემდეგი საკვანძო დაშვებების განხილვა:
 - სიკვდილიანობის მაჩვენებლები (საპენსიო სქემის მიზანშეწონილობა);
 - ინფლაცია (სახელმწიფო სტატისტიკის ფონზე);
 - ხელფასის გაზრდის განაკვეთი (ისტორიული ზრდისა და დამკვეთის ბიუჯეტების გამოყენებით);
 - პენსიის ზრდის განაკვეთი (სქემის წესებში მოცემული ინდექსაციის ნებისმიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით); და
 - დისკონტირების განაკვეთი (ეფუძნება თუ არა ის კორპორაციული ობლიგაციების განაკვეთის კარგ ხარისხს?)

დონე	მითითება	ინიციალები

აუდიტორული ტესტები – დაგეგმვა და მუდმივი ფაილის პროცედურები საველე სამუშაოების დაწყებამდე

- თუ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს მიეწოდა ოპფიონების ფართო არჩევანი, დარწმუნდით, რომ მოქნილი გაცვლითი ოფცია სათანადოდ განხორციელდა.
- განიხილეთ აქტუარის მიერ გამოყენებული საწყისი მონაცემები და ყურადღება მიაქციეთ აქტუარის მიერ გამოყენებულ კონტროლის საშუალებებს აღნიშნული მონაცემების სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მოცემულია საკვანძო მონაცემები:
 - წევრობის სტატისტიკა;
 - წევრების ასაკი;
 - მომსახურების ხანგრძლივობა;
 - სქესი;
 - ხელფასები;
 - შემოსავლების ისტორია.
 - თანამშრომელთა შენატანები და ა.შ.

10. *განიხილეთ აქტუარის მიერ მოწოდებული ციფრების მიზანშეწონილობა და გადათვალეთ ისინი:*

- შეათანხმეთ შენატანების დონე საპენსიო სქემის ფინანსურ ანგარიშგებებთან და შენატანების გრაფიკთან;
- განიხილეთ მომსახურების მიმდინარე ხარჯები, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წინა პერიოდებისა და სახელფასო უწყისებში შეტანილი ცვლილებების ფონზე
- წინა პერიოდის მომსახურების ხარჯები/შემცირებები და ა.შ., რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. განიხილეთ საპენსიო სქემის დოკუმენტაცია იმის გასარკვევად, თუ რასთან გვაქვს საქმე.
- შეამოწმეთ წმინდა საპროცენტო განაკვეთის კალკულაცია. ამის გაკეთება შესაძლებელია დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით საწყის წმინდა საპენსიო სქემის აქტივების (იმის მიუხედავად – აღიარებულია თუ არა ისინი)/ ვალდებულებების მიმართ და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შენატანებისა და გადახდილი გადახდების მიმართ;

11. წმინდა საპენსიო სქემის ვალდებულების ან აქტივის რეალური ღირებულებით გადაფასებისას სხვა სრულ შემოსავლში, ძირითადი გასათვალისწინებელი ელემენტები იქნება:

- აქტუარული მოგება/ნამეტი და ზარალი/ დანაკარგი;

დონე	მითითება	ინიციალები

აუდიტორული ტესტები – დაგეგმვა და მუდმივი ფაილის პროცედურები საველე სამუშაოების დაწყებამდე

- საპენსიო სქემის აქტივების ფაქტობრივ შემოსავალსა და აქტივების საწყის ღირებულებას შორის სხვაობა გამრავლებული დისკონტირების განაკვეთზე; და
- საპენსიო სქემის წმინდა აქტივების დაბრუნების შესაძლებლობის დონის შედეგად წარმოშობილი ცვლილებები.

12. განიხილეთ დადგენილგადასახდელიანი საპენსიო სქემების ვალდებულებების სააღრიცხვო გავლენა:

- დამკვეთის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსზე; და
- (კომპანიის შემთხვევაში) დისტრიბუციის კანონიერებაზე.

13. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

დონე	მითითება	ინიციალები

დამკვეთი:

საანგარიშგებო

პერიოდ:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

აქციებზე დაფუძნებული გადახდები

აღნიშნული პროგრამის გამოყენება უნდა მოხდეს იმ დროს, როცა სამეურნეო სუბიექტის აქციებზე დაფუძნებული გადახდების ოპერაციები მოხვდება ფას 2-ის გამოყენების სფეროში. როგორც წესი, აქციებზე დაფუძნებული გადახდების შემოთავაზება ხდება თანამშრომლებისთვის სამეურნეო სუბიექტში დარჩენის სტიმულის სახით, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე მათი მესამე მხარეებისთვის შეთავაზება, საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფას 2-ის გასაჯაროებული ინფორმაციის შესაბამისი მოთხოვნები მოცემულია გასაჯაროებული კორპორაციული ინფორმაციის სრული საკონტროლო კითხვარის დამატებით საკონტროლო კითხვარში, იხილეთ დანართი 3.15.3.

შენიშვნა: აუდიტორი ვერ განახორციელებს აქციებზე დაფუძნებული გადახდების შეფასებას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუდიტურ ფირმების უმეტესობას ჰქონდეს ამ სფეროში კომპეტენცია და იმ შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულება არ იქნება არაარსებითი, ეს იქნება ბესსს-ის ეთიკის კოდექსის დარღვევა.

აუდიტორული ტესტები – დამხმარე ინფორმაცია

დაადასტურეთ აქციებზე დაფუძნებული გადახდების გეგმის ხასიათი ადგილზე:

- წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშ-სწორება;
- Cash-settled; or
- ნაღდი ანგარიშსწორება; ან
- კომბინირებული ხელშეკრულება, რომელშიც მოცემულია გადახდის არჩევანი (გადახდა ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან წილობრივი ინსტრუმენტებით, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე).

საჭიროებისამებრ, განაახლეთ მუდმივი აუდიტორული ფაილი.

მოიპოვეთ აქციებზე დაფუძნებული გადახდების გეგმის დეტალები მისი ძირითადი პირობების გამოსავლენად, მათ შორის:

- ოფციონების მინიჭებისა და გადაცემის თარიღი;
- თითოეული მიმღებისთვის მინიჭებული აქციების რაოდენობა;
- ოფციონების თანმხლები გადაცემის პირობები;
- წილობრივი ოფციონების რეალური ღირებულება მიცემის/გადაცემის დღისთვის;
- ოფციონის შესრულების ფასი.

მოცულობა	მითითება	ინიციალები
	PAF მუდმივი აუდიტორული ფაილი	

როგორც წესი, ოფციონების მიმღებებს უნდა მიეწოდოს წილობრივი ოფციონების მინიჭების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს წარდგენილ ოფციონებთან თანდართულ პირობებს.

დაადგინეთ წილობრივი ოფციონების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული პროცესი:

- ოფციონის ფასწარმოქმნის რომელი მოდელი იქნა გამოყენებული?
- როგორ განისაზღვრა ფასწარმოქმნის მოდელში ამოსავალი მონაცემები?
- იყო თუ არა ჩართული ექსპერტი ოფციონების რეალური ღირებულების შეფასების პროცესში?
- არაკოტირებული სამეურნეო სუბიექტისთვის, როგორ შეფასდა ღირებულება?

აუდიტორული ტესტები - სავლე სამუშაოები

1. მოიპოვეთ ბარათები დამკვეთისგან:

- შეათანხმეთ შესადარისი მონაცემები წინა პერიოდის კანონმდებლობით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან.
- მოძრაობების დინამიკა;
- შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებული ნაშთები დამხმარე გრაფიკებს/ბარათებს.

მოიპოვეთ დამხმარე დოკუმენტაცია საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებულ მოძრაობებზე რწმუნების მისაღებად:

- შეათანხმეთ საანგარიშგებო პერიოდში გაცემული სუბსიდიები მათი შემოთავაზების წერილებთან;
- შეათანხმეთ ოფციონების შესრულება აქციონერთა სერტიფიკატებთან;
- შეათანხმეთ ჩამორთმეული/გაუქმებული აქციები გასულ აქციონერთა დოკუმენტაციასთან ან სხვა დამხმარე ინფორმაციასთან;
- შეადარეთ სხვა ნებისმიერი სახის მოძრაობა შესაბამის დოკუმენტაციას.

გაზომვა/შეფასება

აქციებზე დაფუძნებული გადახდების წილობრივი ინსტრუმენტებითანგარიშსწორება

განიხილეთ მინიჭებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების გამოთვლები (მაგალითად, განიხილეთ შეფასების გამოყენებული მეთოდი):

- შემოწმდა თუ არა შემდეგი საკვანძო დანახარჯების მიზანშეწონილობა:

მოცულობა	მითითება	ინიციალები
	S6/1	

მოცულობა	მითითება	ინიციალები
<p>აუდიტორული ტესტები - საველე სამუშაოები</p> <ul style="list-style-type: none"> • აქციების საშუალო შეწონილი ღირებულება; • ოფციების შესრულების ფასი; • სადივიდენდო შემოსავალი; • ვოლატილურობის რეიტინგი; • ოფციონების მოსალოდნელი რესურსი; • საპროცენტო განაკვეთი. <ul style="list-style-type: none"> ➤ განხილულ იქნა თუ არა ოფციის ფასწარმოქმნის მოდელის მიზანშეწონილობა? ➤ შეფასდა თუ არა აღნიშნული მოდელის დანახარჯები სხვა მსგავსი სამეურნეო სუბიექტების დანახარჯებთან მიმართებით? განხორციელდა თუ არა კრიტერიუმების შესწავლა? ➤ იმ შემთხვევებში, როცა მოწვეულ იქნა ექსპერტი დამკვეთის სახელით ოფციონების ღირებულების გამოსათვლელად, შემოწმდა თუ არა მისი კომპეტენტურობა და გამოთვლების განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაციები და გამოცდილება? ➤ <i>საჭიროა N აუდიტორულ პროგრამაში შესაბამისი ტესტების შეესება.</i> <p>შენიშვნა: თუ ტრანზაქცია უკავშირდება საქონლის ან მომსახურების უზრუნველყოფას და ამისთვის ხდება რეალური ღირებულების გამოთვლა, მაშინ მიმოიხილეთ მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების გამოთვლები.</p>		
<p>2. გადახედეთ ოფციონის გეგმის დოკუმენტს იმის დასადგენად, ახლავს თუ არა ოფციონებს (უფლების) მინიჭების პირობები და/ან საბაზრო პირობები ან არასაბაზრო პირობები.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საბაზრო პირობების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ მათი გათვალისწინება ხდება მხოლოდ მინიჭების დღეს ოფციონების რეალური ღირებულების შეფასებისას, შემდგომი ყოველგვარი შესწორებების გარეშე ყოველ მომდევნო საანგარიშგებოთარიღისთვის. ➤ არასაბაზრო და/ან (უფლების/ოფციონის) მინიჭების პირობების შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ მათი გათვალისწინება ხდება ყოველ მომდევნო საანგარიშგებოთარიღისთვის მინიჭებული ოფციონების რეალური ღირებულების განახლებით გადასაცემი ოფციონების მოსალოდნელი რაოდენობის გამოსავლენად. 		

აუდიტორული ტესტები - საველე სამუშაოები

ოფციონის გეგმის პირობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში:

- თუ ცვლილება სასარგებლოა დასაქმებულისთვის (მაგალითად, ოფციონის შესრულების ფასის შემცირება) და შესაბამისად ზრდის მინიჭებული ოფციონების რეალურ ღირებულებას, დარწმუნდით, რომ დამატებითი რეალური ღირებულება აღიარებული იყოს გადაცემის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.
- თუ ცვლილება არ არის სასარგებლო დასაქმებულისთვის, ან მცირდება რეალური ღირებულება, დარწმუნდით, რომ არ იცვლება თავდაპირველი შეფასება.
- თუ ოფციონები უქმდება ან ხდება მათი ნაადრევად შესრულება, აღნიშნული უნდა განიხილებოდეს გადაცემის დაჩქარებად. დარწმუნდით, რომ ხარჯები, რომლებიც აღიარებული იქნებოდა გადაცემის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, დაუყოვნებლივ იყოს აღიარებული.

ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდები

ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდების გეგმების შესაბამისად, მიღებული საქონელი და მომსახურება უნდა აღიარებულ იქნეს ვალდებულების რეალური ღირებულებით. ვალდებულების ხელახალი შეფასება უნდა მოხდეს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, სანამ ის არ შესრულდება, შეფასების პროცესში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც შეტანილ იქნა სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგება ან ზარალის სექციაში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

განიხილეთ ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანშეწონილობა/გონივრულობა.

ჯგუფის გეგმები

თუ სამეურნეო სუბიექტის მიერ ხდება ჯგუფის სხვა წევრის თანამშრომლებზე აქციებზე დაფუძნებული გადახდებით პრემიის გაცემა, არსებობს აქციებზე დაფუძნებული გადახდების აღიარებული ხარჯების ოფციონი, რომელიც ხდება ჯგუფისთვის ხარჯების გონივრული განაწილების საფუძველზე.

აღნიშნული ოფციონის გამოყენების შემთხვევაში, განიხილეთ ხარჯების განაწილების მიზანშეწონილობა და დოკუმენტურად დაასაბუთეთ განაწილების საფუძველი.

მოცულობა	მითითება	ინიციალები

აუდიტორული ტესტები - საველე სამუშაოები

ალიარება

აქციებზე დაფუძნებული გადახდებით ტრანზაქციების მეშვეობით მიღებული საქონლის ან მომსახურების ალიარება უნდა მოხდეს მათი მიღებისთანავე. აგრეთვე, საჭიროა, კაპიტალში (აქციებზე დაფუძნებული გადახდების წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების შემთხვევაში) ან ვალდებულებებში (აქციებზე დაფუძნებული გადახდების ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში) შესაბამისი ზრდის ალიარება.

თუ წარმოდგენილი წილობრივი ოფციონების გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ, მაშინ არ არსებობს კონკრეტული მომსახურების პერიოდის დასრულების მოთხოვნა აქციებზე დაფუძნებულ გადახდებზე უფლების მიღებამდე. ამიტომ დარწმუნდით, რომ მინიჭების/გადაცემის თარიღისთვის ხარჯების ალიარება მოხდა სრულად კაპიტალის ან ვალდებულებების (რაც დამოკიდებულია გეგმის ხასიათზე) შესაბამისი ზრდით.

3. თუ წარმოდგენილი აქციების ოფციონების გადაცემა ხდება მომსახურების პერიოდის განმავლობაში, მაშინ მიღებული მომსახურებების მიღება მოსალოდნელია აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. ამიტომ დარწმუნდით, რომ ხარჯების განაწილება ხდება ამ მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

აღრიცხვის/სააღრიცხვო წესი/მეთოდი

აქციებზე დაფუძნებული გადახდების წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორება

4. მოგება ან ზარალი – სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგების ან ზარალის სექციაში მოცემული ხარჯების გამოთვლა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს გადაცემული ოფციონების რეალური ღირებულების გადაცემის პერიოდზე განაწილების პარალელურად.

(მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში მინიჭებული/გადაცემული 1,000 ოფციონი რეალური ღირებულებით, თითოეული – CU3. ოფციონებს აქვთ 4-წლიანი გადაცემის პერიოდი, შესაბამისად ერთი წლის ხარჯი იქნება $(1,000 \times CU3)/4 = CU750$).

რეზერვები – უნდა ხდებოდეს საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა, პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების რეზერვში ან აქციებზე დაფუძნებული გადახდების რეზერვში ასახვით.

მოცულობა	მითითება	ინიციალები

აუდიტორული ტესტები - საველე სამუშაოები

ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებული აქციებზე დაფუძნებული გადახდები

მოგება ან ზარალი – სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგების ან ზარალის სექციაში მოცემული ხარჯების გამოთვლა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს (დასაფარი) ვალდებულების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილების სახით.

შენიშვნა: შესაბამისი ჩანაწერი აისახება ვალდებულებებში.

გასაჯაროებული ინფორმაციის მოთხოვნები

დარწმუნდით, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებულია შესაბამისი ინფორმაცია და მითითებულია დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი.

5. ჩამოთვალეთ და შეასრულეთ ნებისმიერი დამატებითი ტესტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

მოცულობა	მითითება	ინიციალები
	Ab4c	

დამკვეთი:

საანგარიშგებო

პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

ჰეჯირების აღრიცხვა

აღნიშნული პროგრამა უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტმა ჰეჯირების გარიგება დადო და იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას. ჰეჯირების გამოყენება არასავალდებულოა - ბევრი კლიენტი იღებს ფინანსურ ინსტრუმენტებს რისკებისგან დაზღვევის (რისკების „ჰეჯირების“) მიზნით (როგორცაა ფორვარდული უცხოური ვალუტის კონტრაქტები, ცვალებადი სავალუტო კურსთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით), თუმცა, ეს არ მოითხოვს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების აუცილებლობას. ჰეჯირების აღრიცხვა არის არჩევითი და შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება.

აუდიტორული ტესტები - დამხმარე ინფორმაცია

- დაადასტურეთ, რომ დამკვეთის მიერ გამოყენებულ იქნა ჰეჯირების აღრიცხვა.
- დაადასტურეთ ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისას დამკვეთის მიერ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა:
 - ბასს 39-ის აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები; ან
 - ფასს 9-ის აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები.
- მოიპოვეთ ინფორმაცია ჰეჯირებული მუხლების და ჰეჯირების ინსტრუმენტის შესახებ.

ჰეჯირებული მუხლი. შეიძლება იყოს აღიარებული აქტივი ან ვალდებულება, არააღიარებული ფირმის ვალდებულება, დიდი ალბათობით, პროგნოზირებადი ტრანზაქცია ან წმინდა ინვესტიცია უცხოურ ოპერაციებში, ან რომელიმე ასეთი მუხლის კომპონენტი, იმ პირობით, რომ ეს მუხლი საიმედოდ შეფასდება.

ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ჰეჯირების ინსტრუმენტი, თუ ყველა ქვემოთ მოცემული პირობა შესრულდება:

- ეს არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში;

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

- აუდიტორული ტესტები - დამხმარე ინფორმაცია**
- ბ) ეს არის კონტრაქტი ანგარიშვალდებული სამეურნეო სუბიექტის ფარგლებს გარეთ არსებულ მხარესთან (მაგ., ანგარიშგების ჯგუფის ან ინდივიდუალური სამეურნეო სუბიექტის გარეთ); და
- გ) ეს არ არის გაყიდული ოფციონი.
5. განიხილეთ, შესრულებულია თუ არა ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისთვის საჭირო ყველა საკვალიფიკაციო კრიტერიუმი:
- ჰეჯირების ურთიერთობა შედგება მხოლოდ ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტისგან;
 - ჰეჯირების ურთიერთობა შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის რისკის მართვის მიზნებს;
 - არსებობს ეკონომიკური კავშირი ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის;
 - არსებობს ჰეჯირების ურთიერთობის დოკუმენტაცია (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტი); და
 - სამეურნეო სუბიექტმა განსაზღვრა და დაადგინა ჰეჯირების არაეფექტურობის მიზეზები.
6. მოიპოვეთ ინფორმაცია ჰეჯირების ურთიერთობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესახებ და განიხილეთ, არის თუ არა შემდეგი საკითხები მკაფიოდ გამოვლენილი:
- ჰეჯირებული რისკი;
 - ჰეჯირებული მუხლი;
 - ჰეჯირების ინსტრუმენტი;
 - არაეფექტურობის მიზეზები.
- ეკონომიკური კავშირი ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტი იმედოვნებს, რომ ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულებები იმავე ჰეჯირებული რისკის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილდება.
- დაადასტურეთ ადგილზე არსებული ჰეჯირების ურთიერთობის ტიპი. ეს იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთი:
- რეალური ღირებულების ჰეჯირება;
 - ფულადი ნაკადების ჰეჯირება;
 - უცხოურ ოპერაციებში წმინდა ინვესტიციების ჰეჯირება.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

აუდიტორული ტესტები - დამხმარე ინფორმაცია

რეალური ღირებულების ჰეჯირება წარმოადგენს აღიარებული აქტივის ან ვალდებულების, არააღიარებული ფირმის ვალდებულების ან ნებისმიერი მსგავსი მუხლის კომპონენტის რეალური ღირებულების ცვლილებების ზემოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ რისკთან და შეიძლება გამოიწვიოს მოგება ან ზარალი. მაგალითად, კონტრაქტი უცხოელ მიმწოდებლისგან აქციების შეძენის მიზნით, რომელიც ჰეჯირებულია საკომპენსაციო ფორვარდული სავალუტო კონტრაქტის მიხედვით.

ფულადი ნაკადების ჰეჯირება წარმოადგენს ფულადი ნაკადების ცვალებადობის ზემოქმედების ჰეჯირებას, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ რისკთან, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ უკავშირდება აღიარებულ აქტივებს ან ვალდებულებას (როგორცაა, ცვლადი განაკვეთის დავალიანების მთლიანი ან ნაწილობრივი მომავალი საპროცენტო გადასახადები) ან დიდი ალბათობით პროგნოზირებად ტრანზაქციას და შეიძლება გავლენა მოახდინოს მოგებაზე ან ზარალზე. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის სვოპი.

არაღიარებული ფირმის ვალდებულების უცხოური სავალუტო რისკის ჰეჯირება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

შეფასება

რეალური ღირებულება

ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულება უნდა ჩაიწეროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოიძიეთ დამატებითი დოკუმენტაცია რეალურ ღირებულების შესახებ (როგორც წესი, მისი მოპოვება შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტისგან). შეაფასეთ ეს ინფორმაცია გონივრულობის კუთხით შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

- ძირითადი დაშვებები;
- ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა;
- რეალური ღირებულების მიმწოდებლის კვალიფიკაცია;
- თუ ინფორმაცია ინსტრუმენტის კონტრაქტის მიერაა მოწოდებული, შეაფასეთ, წარმოდგენილი იქნა თუ არა ყველა საჭირო ინფორმაცია;
- თუ რეალური ღირებულება შეფასდა ექსპერტის მიერ დამოუკიდებლად, შესრულდა თუ არა N აუდიტორული პროგრამით გათვალისწინებული სათანადო ტესტები?

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

აუდიტორული ტესტები - დამხმარე ინფორმაცია

სააღრიცხვო მიდგომა

რეალური ღირებულების ჰეჯირება

დარწმუნდით, რომ მოგება/ზარალი ჰეჯირების ინსტრუმენტის ამონაგები/დანაკარგი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

მოგებაში ან ზარალში საანგარიშგებო პერიოდის ხარჯი უნდა იყოს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მოძრაობა (მეორე მხარეა თავად ინსტრუმენტის რეალური ღირებულების კორექტირება).

ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირების ამონაგები/დანაკარგი ასევე, აღიარებულ უნდა იქნეს მოგება/ზარალში, ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულების სათანადო კორექტირებით.

თუ ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს არაღიარებული ფირმის ვალდებულებას, ჰეჯირებული მუხლის კუმულაციური ჰეჯირების ამონაგები/დანაკარგი აღიარებული იქნება როგორც ცალკეული აქტივი/ვალდებულება, შესაბამისი ჩანაწერით მოგებაში ან ზარალში.

თუ ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს არაღიარებული ფირმის ვალდებულებას შეიძინოს აქტივი ან აიღოს ვალდებულება, მოხდა თუ არა ვალდებულების შესრულებიდან წარმოშობილი აქტივის/ვალდებულების საწყისი საბალანსო ღირებულების კორექტირება, რათა მასში მოცული ყოფილიყო ჰეჯირებული მუხლის კუმულაციური ჰეჯირების ამონაგები/დანაკარგი, რომელიც აღიარებული იყო ბალანსში?

მაგალითად, ჰეჯირებული მუხლით არსებობს უცხოელი მიმწოდებლისგან ძირითადი აქტივის შეძენის ვალდებულება, ხოლო ჰეჯირების ინსტრუმენტი არის კომპენსაციური ფორვარდული სავალუტო ხელშეკრულება. შესყიდვის ვალდებულების რეალური ღირებულების აღიარების კუმულაციური ამონაგები ან დანაკარგი არის CU100. აქტივები შეძენისას ჯდება CU500. შესაბამისად, ხდება საბალანსო ღირებულების შემდგომი კორექტირება და ის იქნება CU400.

- 7. იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, მაშინ ზემოთ აღნიშნული მე-9 ტესტიდან გამომდინარე, ნებისმიერი კორექტირება ჩამოწერილი იქნება მოგებაში ან ზარალში.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

აუდიტორული ტესტები - დამხმარე ინფორმაცია

ფულადი ნაკადების ჰეჯირება

8. ფულადი სახსრების ჰეჯირების რეზერვი აღიარებულ უნდა იქნეს კაპიტალში (როგორც ცალკე რეზერვი), აბსოლუტური პირობებით (ანუ დადებითი ან უარყოფითი მხარეების უგულვებელყოფით);

- ჰეჯირებული ინსტრუმენტის კუმულაციური ამონაგები/დანაკარგიდან; და
- ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების კუმულაციური ცვლილებიდან, რომელიც უფრო დაბალი იქნება.

აღიარებული იქნა თუ არა ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტის ამონაგების/დანაკარგის ნაწილი სხვა სრულ შემოსავალში?

ეს არის ამონაგები/დანაკარგის ნაწილი, რომლის მეშვეობით იფარება ცვლილება ფულადი სახსრების ჰეჯირების რეზერვში.

9. დარწმუნდით, რომ ნებისმიერი ჰეჯირების არა-ეფექტურობასთან დაკავშირებული ამონაგები/დანაკარგი გადატანილია მოგებაში ან ზარალში.

ეს არის ამონაგები/დანაკარგი, რომელიც აუცილებელია ფულადი სახსრების ჰეჯირების რეზერვში ცვლილების დასაბალანსებლად.

მოცულობა	მითითება	ინიციალები / თარიღი

დამკვეთი: _____
 საანგარიშგებო პერიოდი: _____

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

ნომინალური წიგნი

ზოგადი ინფორმაცია

1. აუდიტის ფაილის ყველა ცალკეული ნაწილით უნდა დადასტურდეს, რომ მიმდინარე წლის მონაცემები შეესაბამება საცდელ ბალანსს, ხოლო შესადარისი მონაცემები შეესაბამებოდა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მონაცემებს. დარწმუნდით, რომ ზემოთ აღნიშნული პროცედურები სათანადოდ განხორციელდა.
2. საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლების გადახედვის შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ანოტირებულია და გადახედვა მოხდა ქვემოთ მოცემული რამდენიმე მიზეზიდან ერთ-ერთთან დაკავშირებით:
 - სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ცვლილების გამო (სააღრიცხვო შეფასებების საპირისპიროდ)
 - არსებითი უზუსტობის გამო*;
 - რეკლასიფიკაციის გამო, რათა მომხდარიყო წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდების მაჩვენებლების შედარება.

** განიხილეთ დამკვეთთან წინა პერიოდის (პერიოდების) შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების ოფცია და განიხილეთ, არსებითი უზუსტობების აღმოჩენით დგება თუ არა ეჭვის ქვეშ წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის მუშაობის საკითხი.*

3. გადაამოწმეთ, გადატანილ იქნა თუ არა სათანადოდ საწყისი ნაშთები და სწორად აქვს თუ არა დამკვეთს დამუშავებული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის აუდიტორული ჟურნალის კორექტირებები.

აღრიცხვის ჟურნალები

დარწმუნდით, რომ მუდმივ ფაილში დასაბუთებულია, თუ როგორ იყენებს კლიენტი ჟურნალებს.

ჩაატარეთ გამჭოლი ტესტი დამკვეთის აღრიცხვის ჟურნალის სისტემაში (ეს უნდა მოიცავდეს ფაქტობრივ ტრანზაქციას და მასთან დაკავშირებულ კონტროლს).

შეადარეთ ნომინალური წიგნიდან აღებული ჟურნალთა შერჩეული ჯგუფი ჟურნალების ფაილს ან მსგავს დოკუმენტაციას და პირიქით.

მოცულობა	მითითება	ინიციალები/თარიღი
	PAF	

4. შეარჩიეთ ჟურნალების შერჩევითი ჯგუფი, მათ შორის, ყველა მუხლი, რომელიც აღმატება სამუშაო არსებობას და სხვა ჟურნალების შემთხვევითი შერჩევით, შეადარეთ დამხმარე დოკუმენტაციას, მათი სიზუსტის დასადასტურებლად. დარწმუნდით, რომ ნიმუშში შედის მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამუშავებული ჟურნალები, ასევე, ჟურნალები, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დარწმუნდით, რომ ეს ნამუშევარი არ ახდენს ფაილის სხვა ნაწილში გაჩეული მუშაობის დუბლირებას, მაგალითად, ყველა სახელფასო აღრიცხვის ჟურნალი შეიძლება შემოწმებულ იქნეს ანაზღაურების შესახებ ჟურნალის მეშვეობით და საამორტიზაციო ჟურნალები შესაძლოა უკვე განხილული ყოფილიყო ფაილის ფიქსირებული აქტივების განყოფილებაში შესრულებული სამუშაოს მეშვეობით.

დამხმარე ანგარიშები

გადაამოწმეთ დამკვეთის დამხმარე ანგარიშები, (მათ შორის, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნულოვანი ნაშთის მქონე ანგარიშები) ჩანაწერების სათანადოდ გადანაწილების მიზნით.

განიხილეთ, შემოწმდა თუ არა სათანადოდ დამხმარე ანგარიშები ან მათი გამოყენება ხომ არ ავლენს დამკვეთის სააღრიცხვო სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან სისუსტეს, რომელიც მოითხოვს დამატებით აუდიტორული პროცედურების ჩატარებას ან სათანადოდ ჩამოყალიბებულ პუნქტს, რომელიც უნდა იყოს შეყვანილი ხელმძღვანელობის წერილში.

ნომინალური წიგნისა და საცდელი

ბალანსის დეტალური ტესტი

თუ დამკვეთი სააღრიცხვო სისტემას ხელით აწარმოებს – ან არსებობს ეჭვი კომპიუტერული სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს შემდეგი ტესტები:

- 5. შეამოწმეთ საცდელი ბალანსის გამოთვლები.
- 6. გამოითვალეთ შერჩეული ნიმუშის საფუძველზე ნომინალური წიგნის რამდენიმე ანგარიში.

სხვა ტესტები

განიხილეთ დამატებითი ტესტების ჩატარების აუცილებლობა აუდიტორული მიზნების განხორციელებისთვის.

დამკვეთი:

საანგარიშგებო

პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

ახალი კლიენტი რომელსაც წინა პერიოდში ჩაუტარდა აუდიტი

მოიპოვეთ წინა აუდიტორის სამუშაო დოკუმენტაცია შესადარისი მონაცემების და საწყისი ნაშთების შემოწმების მიზნით.

1. შეაფასეთ წინა აუდიტორის მიერ ჩატარებული სამუშაოს დონე, შეესაბამება თუ არა ის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მთხოვნებს.
2. იმ შემთხვევაში, თუ წინა აუდიტორის მიერ ჩატარებული სამუშაო მნიშვნელოვანია საიმედოობის კუთხით, ჩატარეთ შესაბამისი აუდიტორული ტესტები, რაც გათვალისწინებულია სხვა აუდიტორული სფეროების აუდიტორული პროგრამით.
3. დარწმუნდით, რომ ხდება სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ან სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სათანადოდ არის აღრიცხული, წარმოდგენილი და გასაჯაროებული. **(P)**
4. დარწმუნდით, რომ შესადარისი მონაცემები/მაჩვენებლები ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის. **(P)**
5. იმ შემთხვევაში, თუ წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტორის ანგარიში მოდიფიცირებულ იქნა, განიხილეთ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის აუდიტორის მოსაზრებაზე ზემოქმედება. **(P)**
6. ჩატარეთ დამატებითი ანალიზური პროცედურები და იმუშავეთ მიმდინარე წლის მონაცემებზე, საწყისი ნაშთებისა და შესადარისი მონაცემების/მაჩვენებლების განმტკიცების მიზნით.
7. განიხილეთ დამატებითი ტესტების ჩატარების აუცილებლობა აუდიტორული მიზნების განხორციელებისთვის.

მოცულობა	მითითება	ინიციალები
	N2	

მტკიცებათა განმარტებები:

- | | |
|---|------------------------------------|
| E = Existence; არსებობა; | P = Presentation; წარდგენა |
| R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები; | O = Occurrence; წარმოშობა |
| C = Completeness; სისრულე; | A = Accuracy; სისწორე |
| V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება | CO = Cut-off; დროში გამოჯვანა |
| | CL = Classification. კლასიფიკაცია. |

დამკვეთი:

საანგარიშგებო

პერიოდი:

პროგრამა მომზადებულია:	თარიღი:
აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიმოხილვა დასრულებისას:	თარიღი:

როცა წინა საანგარიშგებო პერიოდი არ არის აუდიტირებული - ახალი ან არსებული დამკვეთი

1. მოიპოვეთ ინფორმაცია დამკვეთისგან/წინა კონსულტანტისგან საწყისი და შესადარისი მონაცემების/მაჩვენებლების შესახებ.
2. გადაამოწმეთ ნაშთები ყველა იმ სფეროში, სადაც რთული იქნება აუდიტი ჩაუტარდეს/შემოწმდეს საწყისი ბალანსი/შესადარისი მაჩვენებლები (მაგ., მარაგების არსებითი ნაშთები).
3. დარწმუნდით, რომ შესადარისი მაჩვენებლები ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის. (P)
4. დარწმუნდით, რომ ხდება სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება, ან სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სათანადოდ არის აღრიცხული, წარმოდგენილი და გასაჯაროებული. (P)
5. ჩატარეთ ანალიზური პროცედურები და იმუშავეთ მიმდინარე წლის მონაცემებზე, საწყისი ნაშთებისა და შესადარისი მონაცემების/მაჩვენებლების განმტკიცების მიზნით.
6. დარწმუნდით, რომ აუდიტორის ანგარიშში შედის სათანადოდ დასათაურებული პუნქტი „სხვა საკითხები“, რომელშიც განმარტებულია, რომ შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდი არ არის აუდიტირებული. თუ საწყისი ნაშთისა და შესადარისი მაჩვენებლების შესახებ საკმარისი მტკიცებულება არ არის მოპოვებული, დარწმუნდით, რომ აუდიტორის ანგარიშში შესაბამისად არის მოდიფიცირებული.
7. განიხილეთ დამატებითი ტესტების ჩატარების აუცილებლობა აუდიტორული მიზნების განხორციელებისთვის.

მოცულობა	მითითება	ინიციალები

მტკიცებათა განმარტებები:

- | | |
|---|------------------------------------|
| E = Existence; არსებობა; | P = Presentation; წარდგენა |
| R&O = Rights and Obligations; უფლებები და ვალდებულებები; | O = Occurrence; წარმოშობა |
| C = Completeness; სისრულე; | A = Accuracy; სისწორე |
| V = Accuracy, Valuation and Allocation; სიზუსტე, შეფასება და მიკუთვნება | CO = Cut-off; დროში გამოიჯენა |
| | CL = Classification. კლასიფიკაცია. |

თავი 3

საძიებელი

მიმოხილვა და დასრულება

ნაწილები

1. შესავალი
2. უფროსი აუდიტორის პასუხისმგებლობა
3. აუდიტის ფაილების მიმოხილვა
 - 3.1 თვითშეფასება და დეტალური მიმოხილვა
 - 3.2 ზოგადი მიმოხილვა
 - 3.3 მიმოხილვის დოკუმენტირება
 - 3.4 მიმოხილვის ვადები
4. შემდგომი მოვლენები
5. მსჯელობა საწარმოს ფუნქციონირებადობის შესახებ
 - 5.1 დირექტორების შეფასება
 - 5.2 აუდიტორის შეფასება
 - 5.3 ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვარი
 - 5.4 გავლენა აუდიტორის ანგარიშზე
6. ოფიციალური წერილი
7. წერილები ხელმძღვანელობას
8. საერთო ანალიზური პროცედურები
9. დაუკორექტირებელი შეცდომების განხილვა და არსებითობისა და რისკების შეფასება საბოლოო ეტაპზე
10. ინფორმაციის გასაჯაროების და შესაბამისობის მიმოხილვა
11. აუდიტის ფაილის დასრულება
12. აუდიტორის ანგარიში
 - 12.1 აუდიტორის ანგარიშის ელემენტები
 - 12.2 მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება
 - 12.3 მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი/სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი
13. თაღლითობის შესახებ ანგარიშის წარდგენა
 - 13.1 ინფორმაციის გასაჯაროება ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული თაღლითობის შესახებ
 - 13.2 თაღლითობის ფაქტების შესახებ ხელმძღვანელობისა და მესამე მხარეებისთვის ანგარიშის წარდგენა
14. კანონთან ან რეგულაციებთან არსებული შეუსაბამობის შესახებ ანგარიშის წარდგენა
 - 14.1 ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება
 - 14.2 ხელმძღვანელობისა და მესამე პირების ინფორმირება შეუსაბამობებთან შესახებ

15. ანგარიშის წარდგენა რეგულატორებისთვის, რეგულირებული აუდიტის შესახებ
 - 15.1 კანონით დადგენილი ვალდებულება რეგულაციების დარღვევების შესახებ ინფორმირებისთვის.
 - 15.2 რეგულატორებისთვის მომზადებული სხვა ანგარიშები
 - 15.3 ანგარიშების შინაარსი
 - 15.4 ინფორმაციის გასაჯაროება ფინანსურ ანგარიშგებებში, რეგულაციების დარღვევების შესახებ.
16. შეფასებები და შედეგების შეჯამება და სამომავლო საკითხები.

დანართები

- 3.1 Aa1 აუდიტორის საკონტროლო ჩანაწერები
- 3.2 Aa2 პროფორმა სამომავლო საკითხები
- 3.3 Aa3a შემდგომი მოვლენების მიმოხილვა
- 3.4 Aa3b ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვრი
- 3.5 Aa4 ოფიციალური წერილი.
- 3.6.1 Aa5a ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილის ნიმუში
- 3.6.2 Aa5b ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ფურცელი
- 3.7 Aa7 ISA შესაბამისობასთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების მემორანდუმი
- 3.8 Aa10 დასკვნითი/საბოლოო ანალიზური პროცედურები
- 3.9 ანალიზური მიმოხილვის სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ტექნიკები
- 3.10 Aa11 შესწორებული და შეუსწორებული შეცდომების შეჯამება
- 3.11 აუდიტორის ანგარიშის ნიმუში
- 3.12 დირექტორთა პასუხისმგებლობის შესახებ ანგარიშის ნიმუში
- 3.13 Ab1 ფინანსური ანგარიშგების კრიტიკული მიმოხილვა
- 3.14 Ab3 ფინანსური ანგარიშგებებში ინფორმაციის გასაჯაროება და შესაბამისობის წლიური მიმოხილვის საკონტროლო კითხვარი
- 3.15 Ab4 ფასს სტანდარტების მიხედვით კორპორაციული ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი
 - 3.15.1 Ab4a დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – მინერალური რესურსები (ფასს 6)
 - 3.15.2 Ab4b დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – საპენსიო სქემები განსაზღვრული სარგებლით
 - 3.15.3 Ab4c დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – აქციებზე დაფუძნებული გადახდა
 - 3.15.4 Ab4d დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა
 - 3.15.5 Ab4e დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება
 - 3.15.6 Ab4f დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარი – მშობელი საწარმო, სადაც არ მზადდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მიმოხილვა და დასრულება

1. შესავალი

აუდიტორული გარიგების პარტნიორებს და მენეჯერებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ აუდიტის მიმოხილვისა და დასრულების ეტაპზე. ისინი ჩართულები იქნებიან როგორც ცალკეული სამუშაო დოკუმენტების, ასევე ფინანსური ანგარიშგების საბოლოო დოკუმენტების დეტალურ განხილვაში. სავსე სამუშაო, როგორც წესი, სრულდება უფროსი აუდიტორის მიერ, რომელიც შევსებული საბოლოო ფაილის განსახილველად წარმოდგენამდე, განიხილავს რიგითი აუდიტორების მიერ მომზადებულ დეტალურ სამუშაო დოკუმენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორული გარიგების პარტნიორი/მენეჯერი პასუხისმგებელია მიმოხილვის პროცესზე, კონტროლი შენარჩუნდება აუდიტის დასრულებამდე, ფინანსური ანგარიშგების საბოლოო განხილვამდე და ხელმოწერამდე (ასს 220, პარაგრაფი 17). ამ ეტაპზე დაშვებულ შეცდომას შესაძლოა სერიოზული შედეგი ჰქონდეს. ზეწოლა, რომ დროულად იქნეს მიღებული ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგება, ზრდის პროცედურების იგნორირების ან არაადეკვატურად შესრულების შანსებს. ამიტომ აუდიტის გუნდის ყველა წევრს, საჭიროა, ცხადად ესმოდეს მისი წილი პასუხისმგებლობები, რაც საჭიროა პოტენციური რისკების მინიმიზაციისთვის. მიმოხილვისა და დასრულების პროცესი საჭიროა ყურადღებით დაიგეგმოს. შესაბამისი ცოდნის მქონე პერსონალმა უნდა დაასრულოს კონკრეტული ეტაპები. მაგალითად, სხვადასხვა საკონტროლო კითხვარების შევსება.

დამკვეთთან ჩატარებული განხილვები, ჯეროვნად უნდა აისახოს შესაბამის ჩანაწერებში. მიეთითოს სამოქმედო პუნქტები და შესაბამისი ჯვარედინი მინიშნებები.

ქვემოთ მოცემულია მიმოხილვისა და დასრულების ეტაპებისათვის შესაფერისი სხვადასხვა პასუხისმგებლობების დონეები.

2. უფროსი აუდიტორის პასუხისმგებლობები

უფროსი აუდიტორი, რომელიც პასუხისმგებელია დამკვეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ყოველდღიურ სამუშაოებზე, პასუხს აგებს სამუშაო დოკუმენტების ფაილების განსახილველად მომზადებაზე. საკვანძო დავალებებია:

- სრულად მოახდინოს ფაილების ინდექსაცია, ფურცლების გამოტოვების გარეშე;
- ყველა გადაუჭრელი თემა და საკითხი, აგრეთვე აუდიტორის ანგარიშისათვის მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს ცალკე განხილვას, უნდა იქნეს მითითებული აუდიტის საკონტროლო ფურცლებში, მათი აუდიტორული გარიგების პარტნიორებისათვის/ მენეჯერებისათვის მიწოდების მიზნით. ამ მიზნისათვის პროფორმა ცხრილი მოცემულია 3.7 დანართში;
- გადაუჭრელი საკითხები ნათლად უნდა იყოს აღწერილი იმავე ფაილში, ან შეიცავდეს ჯვარედინ მინიშნებებს კონკრეტულ სამუშაო დოკუმენტებზე, რომლებიც დეტალურ განმარტებებს შეიცავს;

ყველა საკითხზე პასუხი მოცემული უნდა იყოს იმავე სამუშაო ფურცლებში, იმისათვის, რომ ცალკეული სამუშაო ფურცლები იყოს დამოუკიდებლად გარჩევადი. ამგვარად, სრული ფაილი იქნება თვითმყოფადი, თუ განსახილველი საკითხების სია და გამოჩეული

საკითხები მოცილებული იქნება მათი გადაჭრის შემდეგ. როდესაც საკითხებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გაიცემა, უნდა მოხდეს მათი გადახაზვა, მაგრამ თუ პასუხის გაცემის შემდეგ ცვილები მოითხოვება, მაგალითად როგორცაა ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერების შეტანა, არ უნდა იქნეს გადახაზული მანამ, სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება;

- დაბალი რგოლის თანამშრომლებზე განაწილებული საქმე განხილული უნდა იყოს და მათთან ყველა წამოჭრილი საკითხი უნდა იქნეს დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტილი;
- სამუშაო ფურცლების შესაბამისობა უნდა დადასტურდეს აუდიტის საკონტროლო ჩანაწერებით (იხ. დანართი 3.1); და
- ნებისმიერი შეუსწორებელი უზუსტობა, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების კორექტირებული მუხლები ისე უნდა განზოგადდეს, რომ საერთო ეფექტის შეფასება იყოს შესაძლებელი. აგრეგირებისა და შეუსწორებელი უზუსტობების, ასევე შესწორებების შეჯამების ფორმა, რომლებიც შეტანილ იქნა დამკვეთის ფინანსური ანგარიშგების პროექტში, შესულია დანართში 3.10;
- უფროსმა აუდიტორმა უნდა გამოკითხოს თავის დაქვემდებარებაში მყოფი შედარებით დაბალი რგოლის პერსონალი. იხ. სექცია 16.

3. აუდიტის ფაილების მიმოხილვა

მიმოხილვის პროცესის მთავარი მიზნებია (ასს 220, პარაგრაფი 16-17):

- იმის უზრუნველყოფა, რომ სამუშაო ფურცლები ადასტურებდეს, რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; და
- რომ ფაილი შეიცავს საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს ფინანსურ ანგარიშგებებზე გამოტანილი მოსაზრების დასადასტურებლად.

მიმოხილვის სტანდარტული პოლიტიკა გულისხმობს სამსაფეხურიან განხილვას (ხკსს 1, პარაგრაფი 33), შემდეგნაირად:

- *თვითშეფასება*, სადაც პირი, რომელმაც სამუშაო ფურცლები მოამზადა, კითხულობს და თავად განიხილავს მათ;
- *დეტალური მიმოხილვა*, სადაც დაქვემდებარებულის მიერ უკვე თვითშეფასებული სამუშაო, არის განხილვის საგანი უფროსი აუდიტორისათვის. მენეჯერმა უნდა განახორციელოს უფროსი მუშაკის მიერ მომზადებული ყველა სამუშაო დოკუმენტის დეტალური განხილვა. აუდიტორული გარიგების პარტნიორმა დეტალურად უნდა განიხილოს მენეჯერის მიერ მომზადებული სამუშაო ფურცლები. დეტალური განხილვა უნდა ჩატარდეს ყველა სამუშაო ფურცელს (გარდა აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მომზადებულისა) და უნდა დამოწმდეს მიმოხილველის ინიციალებითა და თარიღით.
- *ზოგადი განხილვა*, სადაც მენეჯერი/ აუდიტორული გარიგების პარტნიორი განიხილავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც უკვე იყო დეტალური მიმოხილვის საგანი.

მაგალითად:

აუდიტის შემდეგი გუნდი ახორციელებს „Arcidiacono Engineering Limited“-ის აუდიტს:

აუდიტორული გარიგების პარტნიორი: ენდრიუ

მენეჯერი: სიმონი

უფროსი აუდიტორი: იანი

უმცროსი აუდიტორი: როჯერი

- როჯერი ასრულებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას.
- იანი ასრულებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას და როჯერის საქმიანობის დეტალურ მიმოხილვას.
- სიმონი ასრულებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას, იანის მიერ შესრულებული სამუშაოს დეტალურ მიმოხილვას და როჯერის მიერ შესრულებული სამუშაოს ზოგად მიმოხილვას.
- ენდრიუ ასრულებს საკუთარი სამუშაოს თვითშეფასებას, სიმონის სამუშაოს დეტალურ მიმოხილვას და იანისა და როჯერის სამუშაოს ზოგად მიმოხილვას.

3.1 თვითშეფასება და დეტალური მიმოხილვა

საკუთარი საქმიანობის ან სხვათა სამუშაოს დეტალური მიმოხილვისას, გადასამოწმებელი საკითხები იქნება მსგავსი. სამუშაო ფურცლების განხილვისას (ასს 220, პარაგრაფი A17) მიმოხილველი უნდა დარწმუნდეს, რომ:

- თითოეული ცხრილი დასათაურებული, დათარიღებული, დანომრილი და ინიციალებიანია;
- ჯვარედინი მითითება შესრულებულია;
- აუდიტის აღნიშვნები არის ნათლად განმარტებული;
- სამუშაო ფურცლები დალაგებულია ლოგიკურად;
- ჩატარებული ტესტები მთლიანად განმარტებულია (ტესტის მიზნებისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით);
- გამოყენებული ინფორმაციის წყარო მითითებულია;
- ტესტები შეესაბამება აუდიტის მიზნებს;
- შერჩევითი ერთობლიობების ზომები ადეკვატურია;
- განმარტებულია შერჩევის მეთოდი და საფუძველი;
- შედეგები ჩაწერილია ლოგიკურად;
- ტესტების შედეგად გამორჩეული ყველა საკითხი გაირკვა ან შესაბამისად განზოგადდა/შეჯამდა;
- შეცდომები და გამონაკლისები სათანადოდ იქნა დამუშავებული და შესაბამის შემთხვევებში, შევიდა დაუკორექტირებელი შეცდომების ჩამონათვალში (Aa11 – დანართი 3.10);
- ტესტების დასკვნები მნიშვნელოვანი, ზუსტი და ფაქტებით დადასტურებულია.

აუდიტის თითოეული სფეროსთვის საჭიროა შემოწმდეს შემდეგი:

- ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული ძირითადი განრიგები, საცდელი ბალანსი და სათადარიგო სამუშაო ფურცლები;
- ძირითადი ცხრილები, რომლებშიც გასაჯაროებულია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში არსებული ციფრობრივი მონაცემები;
- აუდიტის პროგრამები სათანადოდაა შევსებული და არსებობს ადეკვატური დოკუმენტაცია ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესახებ დაგეგმვის სტადიიდან მოყოლებული;
- არსებობს ანალიზური პროცედურების საკმარისი მტკიცებულება;
- ყველა სფეროს მიზნები მიღწეულ იქნა;
- აუდიტის თითოეულ სფეროს აქვს მიზნებთან დაკავშირებული შესაბამისი დასკვნები, ხოლო ცალკეული ტესტების შედეგები და გადაუჭრელი საკითხები დეტალიზებულია;
- ცალკეული საკითხები გამოკვეთილია და უკავშირდება შემდეგს:
 - აუდიტის სხვა სფეროს;
 - სხვა სამუშაოს, რომლის განხორციელებაც საჭიროა;
 - აუდიტორული გარიგების პარტნიორისა და მენეჯერისათვის ყურადსაღებ საკითხებს;
 - ხელმძღვანელობის წერილს;
 - ოფიციალურ წერილს; და
 - შემდეგი წლისთვის გასათვალისწინებელ საკითხებს.

დეტალური მიმოხილვის ეფექტურობისთვის, განსახილველი საკითხების მნიშვნელობის ახსნასთან ერთად, უკიდურესად მნიშვნელოვანია მათი სიცხადე და პოზიტიურობა. სარკასტული და აზრს მოკლებული შენიშვნები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. მიმოხილველმა უნდა მოემზოს ბალანსი ფაილური აღრიცხვის პუნქტებსა (მაგ., ჯვარედინი მითითება, ხელმოწერა და ა.შ.) და აუდიტორული მოსაზრებისათვის საჭირო საკითხებს შორის. მიმოხილვა, რომელიც შედგება მხოლოდ ადმინისტრაციული ასპექტებისგან, შესაძლოა არ ითვალისწინებდეს აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს და ვერ შეძლოს მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, შესაძლოა მიუთითებდეს წინასწარი ინფორმაციის არასაკმარისად ეფექტურად მიწოდებაზე და ასევე იმაზე, რომ აუდიტის გუნდისათვის ცნობილი არ იყო აუდიტის შესრულების ის ხარისხი, რომლის მოლოდინიც რეალურად არსებობდა.

3.2 ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი მიმოხილვის ძირითადი მიზნები (ასს 220, პარაგრაფი A18) გამოიხატება იმის უზრუნველყოფაში, რომ:

- ჩატარდა დეტალური მიმოხილვა;
- მნიშვნელოვანი სფეროები განხილულია და აუდიტორული გარიგების პარტნიორების/მენეჯერების საყურადღებოდ მონიშნული საკითხები გადაჭრილია;
- თითოეული განყოფილება შეიცავს ჯეროვან მტკიცებულებებს დასკვნების გასამყარებლად;

- სათანადოდ არის გამოყოფილი მენეჯმენტის ის მოსაზრებები, რომლებიც შესაბამისად გამყარებული არ იქნა;
- საკმარისი მტკიცებულებები არსებობს იმისათვის, რომ აუდიტი სწორად დაგეგმილი და განხორციელებულია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა, დაგეგმვის ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში;
- შეთანხმდა მნიშვნელოვანი განსხვავებები იმისათვის, რომ მოხდეს ინფორმირებული ხელმძღვანელობის მიერ მათი კორექტირება და განხორციელდა სათანადო კორექტირებები;
- სათანადოდ იქნა განხილული თაღლითობის, კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შეუსაბამობის, ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების რისკების არსებობის შესაძლებლობა;
- ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სათანადოდ და შეესაბამება სათანადო კანონმდებლობას და ბუღალტრული აღრიცხვის/ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს;
- ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფილია აუდიტის ფაილით;
- აუდიტორის მოსაზრებასახავს აუდიტის შედეგად გამოტანილ დასკვნებს;
- დავალება შესრულდა ეფექტურად, შემდეგის ჩათვლით:
 - მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება, რომელთა გადატანაც უნდა მოხდეს;
 - იმის განსაზღვრა, არის თუ არა ზედმეტი დოკუმენტაცია აუდიტის ფაილში და არის თუ არა დოკუმენტაცია წარმოდგენილი გასაგებად;
 - იმის განსაზღვრა, მოხდა თუ არა თანამშრომელთა სწორი შეფასება.

ზოგადი მიმოხილვა მოიცავს:

- ყოველწლიური ფაილის გამოფებს, სახელმძღვანელო ცხრილსა და აუდიტის პროგრამების. იმისათვის, რომ გვექონდეს საკმარისი რწმუნება დასკვნების ხელმოსაწერად ლურჯ გამოფებთან, აუდიტორული გარიგების პარტნიორმა საჭიროა, მინიმუმ შეამოწმოს: შესაბამის განყოფილებაში გასაჯაროებულია თუ არა ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა, რომ გახსნილი იყოს მოცემულ სფეროში (შესაბამისად გადახედილი უნდა იქნეს სახელმძღვანელო ცხრილი) და შესრულდა თუ არა დაგეგმილი სამუშაო (შესაბამისად უნდა შემოწმდეს აუდიტის პროგრამა);
- საკითხებს მენეჯერებისა (Aa9) და აუდიტორული გარიგების პარტნიორების (Aa7) საყურადღებოდ.
- მენეჯერმა უნდა მიმოხილოს ფაილის დაგეგმვისა და კონტროლის განყოფილებები. მათ ხელმეორედ უნდა მოაწერონ ხელი დაგეგმვის განყოფილებაში არსებულ ფორმებს. თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება დაგეგმვაში, აღნიშნული უნდა შეჯამდეს Aa7-ში. ამრიგად, აუდიტორული გარიგების პარტნიორმა დასრულებისას არ უნდა განახორციელოს დაგეგმვის პროცესის შეჯამების ზოგადი მიმოხილვა, რადგან საკვანძო საკითხები აღწერილი იქნება საკონტროლო დოკუმენტებში; და
- ინფორმაციის გასაჯაროებისა და შესაბამისობის შემოწმებას.

3.3 მიმოხილვის დოკუმენტირება

დეტალური და ზოგადი შემოწმების დროს დადგენილი ყველა საკითხი უნდა იყოს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით (ასს 230, პარაგრაფი 9 (c)) და შეტანილ იქნეს აუდიტის ფაილის Aa განყოფილებაში. ყველა საკითხი უნდა გადამოწმდეს. ამის მტკიცებულება უნდა იქნეს წარმოდგენილი მიმოხილვის დოკუმენტში; თუმცა, დამატებითი სამუშაოები და სხვა, წარმოშობილი საკითხების განყოფილებაში უნდა აღიწეროს. საკითხების განიხილვის შემდეგ, მიმომხილველმა პასუხებს უნდა გადახედოს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი შესაბამისია. ეს უნდა დადასტურდეს მთელი გვერდის გადახაზვით და მინიშნების გაკეთებით "ყველა საკითხი გარკვეულია", ასევე ინიციალების მითითებით. ფირმებმა უნდა დაამკვიდრონ პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს, ინახავს თუ არა ფირმა მიმოხილვისას გარკვეულ საკითხებს აუდიტის ფაილში. ეს პოლიტიკა უნდა მითითებული იყოს ფირმის აუდიტის პროცედურების სახელმძღვანელოში.

3.4 მიმოხილვის ვადები

უფროსისა და დაქვემდებარებულის სამუშაოს დეტალური მიმოხილვა, საუკეთესო შემთხვევაში, ადგილზე უნდა ჩატარდეს, სანამ თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ განყოფილების მომზადებაზე, ხელმისაწვდომნი არიან შესაბამის კითხვებზე პასუხის გასაცემად. ეს არა მხოლოდ უფრო მეტად ეფექტურია, არამედ კარგ საშუალებას გვაძლევს თანამშრომელთა განვითარებისთვის და უზრუნველყოფს უკეთეს კონტაქტს დამკვეთთან.

4. შემდგომი მოვლენები

ასს 560 „შემდგომი მოვლენები“ გვაძლევს სახელმძღვანელო პრინციპებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგეს აუდიტორი საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მომხდარ მოვლენებს.

ზოგადად, დამკვეთთან აუდიტორის პასუხისმგებლობა ვრცელდება აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღამდე (ასს 560, პარაგრაფი 6).

აუდიტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე, აისახა/გასაჯაროვდა ფინანსურ ანგარიშგებებში (ეს მოიცავს, მაგრამ შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს ფასს 10-ში, პარაგრაფი 9 და 22-ში ჩამოთვლილი მოვლენებით).

ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების მიმოხილვა უნდა განხორციელდეს თითოეული დავალების შესრულებისას. ამ მიმოხილვის მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა არსებითი მოვლენა იდენტიფიცირებულია და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდა მათი ასახვა ან გასაჯაროება ფინანსურ ანგარიშგებებში (ასს 560, პარაგრაფი 7 (ა)).

ხელმძღვანელობასთან განსახილველი ტიპური საკითხები (ასს 560, პარაგრაფი 7(ბ)/ასს 560, პარაგრაფი A9) მოიცავს:

- ნებისმიერ პირობით ვალდებულებას, რომლებიც გასაჯაროდება ფინანსურ ანგარიშგებებში ან შეიძლება წარმოიშვას სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ;
- ნებისმიერი არსებითი ცვლილებები კაპიტალში, გრძელვადიან ვალდებულებებში ან საბრუნავ კაპიტალში;

- ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გაკეთებული შეფასებები და ნებისმიერი მოვლენა, რომელმაც შეიძლება არაზუსტად აქციოს;
- შვილობილი საწარმოების, ფაბრიკების, ძირითადი აქტივების და ა.შ. შემენას, გაყიდვას ან დახურვას;
- სადავო ვალდებულებებს, როგორცაა, გარანტიებიდან გამომდინარე კლიენტის პრეტენზიები, გარანტიებს, ვალდებულებებს და ა.შ.
- ძირითადი საშუალებების ნებისმიერ გაუფასურებას;
- ნებისმიერ განსაკუთრებული არაამოღებად დებიტორულ დავალიანებას, აგრეთვე
- ნებისმიერ მოვლენას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველი.

სხვა პროცედურები მოიცავს:

- დირექტორთა შეხვედრების, ასევე კომიტეტთა შეხვედრების, ოქმების განხილვას საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ (ასს 560, პარაგრაფი 7(გ));
- საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგი პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერების მიმოხილვას;
- ხელმძღვანელობის უახლესი ანგარიშების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოპოვებას და მიმოხილვას (ასს 560, პარაგრაფი 7(დ)) და მისი წინა პერიოდის შედეგებთან შედარებას, ასევე მის შედარებას სხვადასხვა ხელმისაწვდომ ბიუჯეტის ანგარიშებთან (ასს 560, პარაგრაფი A8); და
- პერიოდის დასრულების შემდეგ არსებული იურიდიული და პროფესიული ხარჯების მიმოხილვას და შესაბამისი განმარტებების მიღებას ნებისმიერ არსებით მუხლებზე.

ვინაიდან დამკვეთის ხელმძღვანელობასთან ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა, ასეთი მიმოხილვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, მათი განხილვა უნდა მოხდეს შესაბამის მაღალი რგოლის ხელმძღვანელთან. მხოლოდ ფორმალური განხილვა ისეთ ფინანსურ დირექტორთან, რომელმაც შესაძლოა არ იცოდეს კომპანიაში მიმდინარე ყველა მოვლენა, შეიძლება არ იყოს საკმარისი და უბრალოდ არაადეკვატურ პროცედურას წარმოადგენდეს. აუდიტის ფაილში უნდა იყოს ჩანაწერი, შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობასთან გამართული მსჯელობის შესახებ. წერილობითი პოზიციები უნდა იქნეს მოპოვებული ოფიციალური წერილით (ასს 560, პარ. 9); იხილეთ (დანართი 3.5). უნდა შეივსოს 3.3. დანართში მოცემული შემდგომი მოვლენების მიმოხილვის ფორმა, იმის დასადასტურებლად, რომ შესაბამისი მიმოხილვა ჩატარებულია.

აუდიტორის ანგარიშის შედგენის თარიღის შემდგომ, მაგრამ შესაბამისი პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე აუდიტორმა შესაძლოა გაიგოს ისეთი შემდგომი მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებებზე. თუ ასეთი მოვლენები ვითარდება, საჭიროა მათი განხილვა დირექტორებთან (ასს 560, პარაგრაფი 10 (ა)) და განხილულ უნდა იქნეს მათი შესაძლო გავლენა აუდიტორის ანგარიშზე (ასს 560, პარ.12). ასს 560, პარაგრაფი გ11 - გ18-1 („შემდგომი მოვლენები“) იძლევა შემდგომ მითითებებს იმ სხვადასხვა შესაძლო სცენარებზე, რომლებიც შეიძლება განვითარდეს.

5. მსჯელობა საწარმოს ფუნქციონირებადობაზე

ზოგადი მიმოხილვის მნიშვნელოვანი ნაწილია მსჯელობა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დამკვეთი ფუნქციონირებად საწარმოს. კონცეფცია საქმიანობის უწყვეტობის შესახებ გულისხმობს, რომ უახლოეს მომავალში არ დადგება საწარმოს ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითი შემცირების საჭიროება/აუცილებლობა. (ასს 570, პარ. 2 / ფასს 1, პარაგრ. 25).

საწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაცულად, ლიკვიდობის პრობლემების მიმართ. ამრიგად, ასს 570 „ფუნქციონირებადი საწარმო“, მოითხოვს, რომ მიმოხილვა წარმოადგენდეს შეგნებულად/გააზრებულად ჩატარებულ პოზიტიურ პროცედურას.(ასს 570, პარ. 6).

5.1 დირექტორების შეფასება

დირექტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოს უნარის შეფასებაზე, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მიუხედავად ამისა, ხშირად აუდიტორებს შეუძლიათ დაეხმარონ მათ ასეთი შეფასების გაკეთებაში. ყველა შემთხვევაში, ასს 570-ის პარაგრ. გ11-1 / ბასს 1, პარაგრ. 26, მოითხოვს პერიოდს - არანაკლებ 12 თვისა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან.

სტაბილურ გარემოში მოქმედი კომპანიებისთვის, რომლებიც არ არიან დამოკიდებული გარე ფინანსებზე, აუდიტორული მიზნებისათვის შეიძლება საკმარისი იყოს, რომ დირექტორები იყვნენ მოვლენათა საქმის კურსში და გააჩნდეთ სამომავლო გეგმების ზოგადი მონახაზი.

კომპანიათა დიდ ნაწილს დასჭირდება საწარმოს ფუნქციონირებადობაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების განსაზღვრისათვის შემუშავებული შესაბამისი სისტემა. სისტემა უნდა იძლეოდეს იმის დეტალურ მტკიცებებს (მაგ., სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი), რა სავარაუდო მომავალი დაფინანსების საჭიროება არსებობს და როგორ აფასებს ხელმძღვანელობა ბიზნესის სამომავლო პერსპექტივებს. ასეთ შემთხვევებში, განხილული უნდა იყოს (ასს 570, პარ. 12):

- ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი სისტემების შესაბამისობა;
- რას გვიჩვენებს საერთო პროგნოზები და ხელმძღვანელობის პროგნოზები რამდენად შეესაბამება მონაცემთა სხვა წყაროებს;
- რამდენად შორს იხედება ხელმძღვანელობა; კერძოდ, რამდენად დაეთმო ყურადღება ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღიდან (დამტკიცებიდან) მომდევნო 12 თვიან პერიოდზე პროგნოზის გაკეთებას;
- გარე და შიდა ფინანსების ხელმისაწვდომობა;
- ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯები სხვადასხვა არსებული პრობლემის შესამსუბუქებლად.

შემდეგ აუდიტორებმა უნდა განიხილონ, თუ რამდენად ადეკვატურია ხელმძღვანელობის შეფასება (ასს 570, პარ. 14).

5.2 აუდიტორის შეფასება

აუდიტორის შეფასების ძირითადი ნაწილი ეთმობა იმ მტკიცებულებების განხილვას, რომ საბანკო დაწესებულებები და სხვა ფინანსური წყაროები კვლავ ხელმისაწვდომი იქნება მომავალშიც (ასს 570, პარ. 16 / ასს 570, პარ. გ3). ბანკირების დასტური, სავარაუდოდ,

აუცილებელია შემდეგ გარემოებებში:

- ბანკის პოლიტიკის ცვლილებების შემთხვევაში;
- კომპანია სირთულეებს განიცდის, შეთანხმებულ პირობებში საქმიანობისას;
- ნასესხები სახსრები უახლოეს პერიოდში განახლებას ექვემდებარება;
- ბოლო განახლება დაკავშირებული იყო სირთულეებთან;
- მოსალოდნელია ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- უზრუნველყოფის საშუალებების ღირებულება მცირდება; და/ან
- კომპანია არღვევს სესხის პირობებს.

გარდა საბანკო შესაძლებლობების განხილვისა, შესაძლოა შეფასდეს და ფინანსების სხვა წყაროებისა და დახმარების საჭიროება. დამკვეთის წარმატებულობა ან ნებისმიერი სხვა მცდელობა, მიიღოს წვდომა დაფინანსების ახალ წყაროებზე, როგორც წესი, უნდა დასტურდებოდეს წერილობითი ფორმით. დასტურის ან ნებისმიერი პირობის ადეკვატურობა უნდა შეფასდეს. თუ საწარმო ჯგუფის წევრია და დამოკიდებულია ჯგუფური წყაროდან დაფინანსებაზე, საჭიროა მიღებულ იქნეს წერილობითი თანხმობა ჯგუფის ძირითადი საწარმოს დირექტორთა საბჭოდან. ამასთან, საჭიროა შეფასდეს ჯგუფის მიერ შესაბამისი დახმარების გაწევის უნარი.

გარდა აღნიშნულისა, უნდა შეფასდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრობლემების სხვა პოტენციური ნიშნები.

დირექტორთა წერილობითი განცხადებები (ასს 570, პარ. 16(ე)) უნდა აისახოს ოფიციალურ წერილში (იხ.დანართი 3.5).

5.3 ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვარი

ფუნქციონირებადი საწარმოს (ფორმა Aa3b, დანართი 3.4) საკონტროლო კითხვარის შევსება უნდა განხორციელდეს აუდიტის მიმდინარეობისას და დასრულდეს მიმოხილვის ეტაპზე.

5.4 გავლენა აუდიტორის ანგარიშზე

აუდიტორის ანგარიშის შედგენისას (ასს 570, პუნქტი 17), გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოს უწყვეტობის პრინციპის სისწორე და გონივრულობა. აღნიშნული პრინციპის იმ შემთხვევაში გამოყენებისას, როდესაც მისი გამოყენება არამართებულია, უნდა გაიცეს უარყოფითი მოსაზრება. თუ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილად მიიჩნევა, მაგრამ გარკვეული განუსაზღვრელობა მაინც არსებობს, შესაძლებელია საჭირო გახდეს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატება, სახელით „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღველობა“, რომელიც მკითხველთა ყურადღებას ფინანსური ანგარიშგებებში მოცემულ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე მიაპყრობს;
- ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობა. თუ აღნიშნული შენიშვნები არაადეკვატურია, შესაძლოა, საჭირო გახდეს პირობითი მოსაზრების გამოთქმა. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს უნართან დაკავშირებით - განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ - სერიოზული ეჭვები არსებობს, ფინანსური ანგარიშგება, როგორც წესი, შემდეგ გასაჯაროებულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს:

- განაცხადს იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე მომზადდა;
 - შესაბამისი ფაქტების შესახებ ანგარიში;
 - არსებული საკითხის/პრობლემის ხასიათი;
 - დირექტორთა მიერ გაკეთებული ძირითადი დაშვებები, რომელიც უნდა გაიმიჯნოს ფაქტებისგან;
 - იქ, სადაც ეს შესაფერისია, დირექტორთა გეგმები, რომლებიც პრობლემათა გადაჭრისაკენ არის მიმართული; და
 - დირექტორთა მიერ განხორციელებული ქმედებების დეტალები.
- განიხილეს თუ არა დირექტორებმა (საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ) საწარმოს ფუნქციონირებადობა საკმარისად გრძელ პერიოდთან მიმართებაში. თუ მათ მიერ განხილული პერიოდი, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღიდან 12-თვიან პერიოდზე ნაკლებია და დირექტორების მიერ ეს არ არის გასაჯაროებული ფინანსურ ანგარიშგებებში, აუდიტორმა უნდა განიხილოს მოსალოდნელი შედეგები, საკუთარ ანგარიშთან მიმართებაში.

6. ოფიციალური წერილი

ასს 580, მე-9 პუნქტში არის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, ოფიციალური წერილი მოპოვებული უნდა იქნეს და მოიცავდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც არსებითია ფინანსური ანგარიშგებისათვის, როდესაც ოფიციალურ წერილს კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება, საკმარისი შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მიღებაში/მოპოვებაში. ყოველთვის უნდა გაკეთდეს შეფასება, სხვა მტკიცებულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ის უნდა არსებობდეს, მაგრამ არ არის, მოხდება აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა, რაც მოდიფიცირებული აუდიტორის ანგარიშის გაცემის საჭიროებას გააჩენს.

შესაბამისი განმარტებების მოპოვება განსაკუთრებით ისეთ სფეროებთან მიმართებაში უნდა მოხდეს, სადაც ფაქტების შესახებ ცოდნა/ინფორმაცია შეზღუდულია ხელმძღვანელობის მხრიდან (მაგალითად, ხელმძღვანელობის ზრახვები), ან საკითხი ეხება მსჯელობას ან მოსაზრებას (მაგ., დამკვეთის პოზიცია).

ზოგადი მოთხოვნების გარდა, სავალდებულოა კონკრეტულ მტკიცებულებათა წარმოდგენა ასს-ის, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ასევე, ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ეს კონკრეტული მოთხოვნები მითითებულია 3.5 დანართის სანიმუშო ფორმის მუქი შრიფტით გამოყოფილ ნაწილში.

მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური წერილი მორგებული იყოს თითოეული კომპანიის გარემოებებზე. სასარგებლო პუნქტების ზოგად მაგალითად მიჩნეული იქნეს ნებისმიერი პირობითი ვალდებულება ან სავარაუდო სასამართლო ქმედებები; მარაგების შეფასების მეთოდებთან და მათი საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებული დადასტურებები; დირექტორების სასესხო ანგარიშების საბოლოო ნაშთებთან დაკავშირებული დადასტურებები. გარდა ამისა, აღნიშნულ დოკუმენტში შესაძლებელია ჩართულ იქნეს დირექტორების ხელფასის, ასევე მათი სარგებლის ოდენობის დასტურები, თუმცადა, აღნიშნულისათვის შესაძლოა, ინდივიდუალური წერილების მოთხოვნა გახდეს საჭირო.

წერილში შესატანი პუნქტები აუდიტის მსვლელობისას მითითებული უნდა იყოს ფორმა Aa4-ში. ოფიციალური წერილის ნიმუში მოცემულია 3.5 დანართში. ეს არის სტანდარტული წერილი და იგი მორგებული უნდა იქნეს კონკრეტული აუდიტის ცალკეულ გარემოებებზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს გასული პერიოდის წერილში ასახული ინფორმაციის, მიმდინარე პერიოდზე გამოყენებისას, ვინაიდან შესაძლებელია, გამოტოვებული იყოს ძირითადი განახლებები/ცვლილებები. ყველა პუნქტი განხილული უნდა იქნეს უმაღლეს ხელმძღვანელობასთან ერთად, რათა შესაბამისი საკითხების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

საბჭომ უნდა განიხილოს ეს წერილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ მთლიანობაში აქვთ ინფორმაცია, იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებსაც აუდიტორები ეყრდნობიან. ასს 580 - „ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია“ - მოითხოვს აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერამდე მოპოვებული შესაბამისი მტკიცებულებების წერილობით დასტურს. წერილობითი მტკიცებულება ჩვეულებრივ თარიღდება აუდიტორის ანგარიშის გამოქვეყნების თარიღით (ასს 580, პუნქტი 14). თუ ეს შესაძლებელი არ არის, მაშინ წერილის მტკიცებულებითი ღირებულება მცირდება. HAT-ი იძლევა რეკომენდაციას, რომ წერილობითი განაცხადი, აუდიტორის ანგარიშამდე არა უმეტეს ორი კვირით ადრე თარიღდებოდეს. კომპანიის ოფიციალური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გარკვეულ მინიმალურ ინფორმაციას (მაგ., რეგისტრირებული ოფისის მისამართი და კომპანიის რეგისტრირებული ნომერი), პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ წერილობითი განაცხადი, დამკვეთის ოფიციალურ ბლანკზე უნდა იბეჭდებოდეს.

ყოველთვის უნდა გაკეთდეს შეფასება იმის შესახებ, არის თუ არა წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია სათანადოდ დასაბუთებული (ასს 580, პუნქტი 6) და არის თუ არა ეს ინფორმაცია გონივრული და სხვა აუდიტორული მტკიცებულებების შესაბამისი. ასევე აუცილებელია, რომ ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაციის საიმედოობა სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით დამახინჯებული ინფორმაციის კუთხით, რომელიც შესაძლოა, თაღლითურ ქმედებაზე მიუთითებდეს.

ნებისმიერი წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა აუდიტორულ მტკიცებულებებს, უნდა იქნეს შესწავლილი (ასს 580, პუნქტი 17). პრობლემების არსებობის შემთხვევაში, საჭიროა იმის განხილვა, არის თუ არა სხვა ოფიციალური ინფორმაცია სანდო (ასს 580, პუნქტი 18).

იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა უარს ამბობს წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის წერილობითი ფორმით დადასტურებაზე (ასს 580, პუნქტი 19), უნდა მოხდეს აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება, აუდიტის მასშტაბის შეზღუდვისა და შესაბამისი ინფორმაციისა და ახსნა-განმარტებების მიუღებლობის გამო.

7. წერილები ხელმძღვანელობას

ასს 265-ის შესაბამისად წერილი ხელმძღვანელობას (ან წერილობითი ინფორმირების სხვა ფორმა) აუდიტორული პროცედურების დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს ყველა ადრესატს, - მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს და ხელმძღვანელობას, რომლებიც, ჩვეულებრივ, დირექტორებს წარმოადგენენ (ასს 265, პუნქტი 9). თუ ეს პირები განსხვავდებიან ხელმძღვანელობისგან, კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ორივე მხარესთან (ასს 265, პუნქტი 10). თუ აუდიტის სამუშაოები ერთზე მეტ ეტაპად არის შესრულებული, ხშირად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისათვის შუალედური წერილის გაგზავნა, აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდეგ. თუმცა,

გასაგები უნდა იყოს, რომ, საერთო ჯამში, აუდიტორული სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული და შესაძლებელია, გაჩნდეს დამატებითი საკითხები.

კარგ პრაქტიკად მიიჩნევა ხელმძღვანელობის წერილზე პასუხის მოთხოვნა, დირექტორთა ან ხელმძღვანელთა იმ მიზნების გასაგებად, რომლებსაც ისინი წერილის შედეგად განახორციელებენ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულს მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყვა, მნიშვნელოვანია, რომ ეს განხორციელდეს დამკვეთთან შემდგომი კავშირის დროს ან წერილობით განაცხადში შესაბამისი პარაგრაფი დაერთოს.

აუდიტორებმა უნდა განმარტონ, რომ ეს წერილი არ ითვალისწინებს ყველა არსებული ნაკლოვანების ყოვლისმომცველ გადმოცემას, იგი მხოლოდ იმ საკითხებს ასახავს, რომლებიც აუდიტის დროს გამოვლინდა (ასს 265, პუნქტი 11). შეიძლება სასარგებლო იყოს შერჩეული აუდიტორული მიდგომის ხელახალი დადასტურება. კერძოდ, საბუღალტრო სისტემებზე და კონტროლის გარემოზე შესრულებული სამუშაოს მოცულობის, რათა ხელი შეუწყოს დამკვეთს, შეაფასოს არსებული შეზღუდვები. წერილში ასევე უნდა დადასტურდეს, რომ არავითარი პრობლემა არ გამოვლენილა, სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების ტექნიკასთან მიმართებაში, ან ფინანსური ანგარიშგებებში გასაჯაროებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

HAT აუდიტის სახელმძღვანელო მოიცავს „წერილი ხელმძღვანელობას“ ნიმუშს, სადაც საჭიროა ხელმძღვანელობის ყურადღების გამახვილება გარკვეულ საკითხებზე (დანართი 3.6.1) და რომელიც, საჭიროებისამებრ, უნდა იქნეს ადაპტირებული. საკითხები, რომლებიც აუდიტის დროს წამოიჭრება, უნდა გაერთიანდეს ხელმძღვანელობის წერილის სამუშაო ფორმაში (დანართი 3.6.2).

8. საერთო ანალიზური პროცედურები

ასს 520, პუნქტი 6 „ანალიზური პროცედურები“ მოითხოვს, რომ ანალიზური პროცედურები შესრულდეს აუდიტის დასკვნით ეტაპზე, რათა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება, აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ მიღებულ ცოდნას.

როგორც წესი, ამ მიმოხილვას ჩაატარებს უფროსი აუდიტორი, რაც შემდგომში შემოწმდება და, სავარაუდოდ, გაგრძელდება მენეჯერის ან გარიგების პარტნიორის მიერ.

მიმოხილვაში უნდა შედიოდეს შემდეგი საკითხები (ასს 520, პუნქტი A1 - A2):

- საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლა;
- მოლოდინი, რომელიც ეფუძნება ამ კოეფიციენტების შედარებას წინა საანგარიშგებო პერიოდებთან, ბიუჯეტთან და შესაბამის დარგში იმავე საქმიანობით დაკავებულ სხვა კომპანიების მონაცემებთან;
- განხილვა, თუ რამდენად ემთხვევა გამოთვლილი კოეფიციენტები ბიზნესის საქმიანობის შესახებ მიღებულ ცოდნას; და, ასევე
- საერთო კომენტარი, ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილ სურათზე.

შესწავლილ უნდა იქნეს მნიშვნელოვანი გადახრები, უჩვეულო ვარიაციები და მოულოდნელი კავშირები (მათ შორის, ცვლილებები საბოლოო მაჩვენებლებში წინასწარ მაჩვენებლებთან შედარებით). მიღებულ უნდა იქნეს განმარტებები ხელმძღვანელობისგან და შეფასდეს მათი საფუძვლიანობა. განმარტებები შეიძლება დადასტურდეს საქმიანობის შესახებ მიღებული ცოდნისა და აუდიტის ტესტების ერთმანეთთან შედარებით. თუმცა,

საბოლოო ეტაპზე შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს დამატებით პროცედურების საჭიროება, თუ განმარტებები არ არის სათანადო ან არ არის დადასტურებული დამატებითი მტკიცებულებებით (ასს 520, პუნქტი 7).

განგარიშები და დამატებითი მტკიცებულებები ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი Aa10-ში. მცირე დამკვეთთათვის Aa10, სავარაუდოდ, შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების ყველა მნიშვნელოვან მაჩვენებელზე. თუმცა, მსხვილი დამკვეთთათვის Aa10-ში წარმოდგენილი უნდა იყოს შეჯამებული ინფორმაცია, რომელიც გააერთიანებს დეტალურ განმარტებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშგების განყოფილებებიდან.

ანალიზური პროცედურების შედეგები შეიძლება იყოს ღირებული დახმარება ხელმძღვანელობისთვის, მაგალითად საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალის დონის მახასიათებლების, დარგობრივ მახასიათებლებთან შედარებისას. განხილულ უნდა იქნეს, შესაძლებელია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებს თან დაერთოს მმართველობითი ინფორმაციის პაკეტი, რომელიც ანალიზური ინფორმაციისა და წინა წლებთან შედარებით არსებული განსხვავებების განმარტებებს ან შესაბამის მოლოდინს მოიცავს. ყველაფერი, რაც კი წარდგენილი იქნება, მორგებული უნდა იყოს დამკვეთის საჭიროებებზე და შეესაბამებოდეს დამკვეთის ბუღალტრული ცოდნის დონეს.

9. დაუკორექტირებელი უზუსტობების განხილვა, არსებობისა და რისკის შეფასება საბოლოო ეტაპზე

აუდიტის დასკვნით ეტაპზე უნდა შეფასდეს, გასწორდა თუ არა ყველა არსებითი უზუსტობა და სათანადოდ გასაჯაროვებული იქნა თუ არა ყველა არსებითი მუხლი. ეს შეფასება უნდა მოიცავდეს ცალკეული დაუკორექტირებელი უზუსტობებიდან მიღებული ჯამური მაჩვენებლის შესაძლო არსებობის გათვალისწინებას (მაგ., დაუკორექტირებელი უზუსტობების შემაჯამებელი ბარათი, მოცემულია დანართში 3.10), ასევე, ნებისმიერი სხვა უზუსტობა, რომელთა რაოდენობრივად ზუსტად განსაზღვრა ვერ მოხერხდა (ასს 450, პუნქტი 6). გარდა ამისა, ურთიერთჩათვლების შემთხვევაში, განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი მუხლების არსებობა. შეუსწორებელი უზუსტობების განხილვისას გამოყენებულ უნდა იქნეს „სამუშაო არსებობის“ კონცეფცია, ანუ, განხილულ უნდა იქნეს გავლენა, რომელიც შესაბამის კორექტირებას შესაბამის კონკრეტულ სეგმენტზე ექნებოდა. იმ შემთხვევაში, სადაც აღნიშნული (ხარისხობრივად/შინაარსობრივად) არსებითად მიიჩნევა, მნიშვნელოვანია, მოხდეს იმ უზუსტობების კორექტირებაც, რომლებიც არსებობის ზღვარს ქვემოთ არის.

გამოყენებული არსებობის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს დაგეგმვის ეტაპზე გამოყენებული არსებობის დონისგან (ასს 450, პუნქტი 10), შემდეგი მიზეზების გამო:

- წინა საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლები, ექსტრაპოლირებული შუალედური ან დაგეგმვის ეტაპზე გამოყენებული საბიუჯეტო მაჩვენებლების; ან
- გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლების აუდიტორული კორექტირების მიზეზით.

დასკვნით ეტაპზე გამოყენებული არსებობის დონე უნდა აღირიცხოს Ac13 ფორმაში, „საბოლოო შედეგებით“ დასათაურებულ სვეტში, თუ ისინი განსხვავდებიან დაგეგმვის ეტაპისგან. თუ განსხვავება მნიშვნელოვანია, ძირითადი კითხვა იქნება, მოპოვებულ იქნა თუ არა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება დაგეგმვის ეტაპზე გამოთვლილი მაჩვენებლების გამოყენებით (ასს 450, პუნქტი A 12). ამ საკითხის განხილვა სრულად უნდა

იქნეს დოკუმენტირებული. არსებითობის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება აუცილებლად უნდა ეცნობოს გარიგების პარტნიორს Aa7-ის გამოყენებით.

საკითხის განხილვა, რამდენად მისაღებია დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული რისკის დონე აუდიტის დასკვნით ეტაპზე, უნდა მოხდეს ასევე დასკვნით ეტაპზე. თუ რისკის დონეები ძალიან დაბალია დაგეგმვის ეტაპზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ძირითად რისკებზე კონცენტრირებული დამატებითი სამუშაოს აუცილებლობაზე. ასევე, სავალდებულოა აღნიშნულის სრულად დასაბუთება და დოკუმენტირება.

10. ინფორმაციის გასაჯაროებისა და შესაბამისობის მიმოხილვა

ყველა ფინანსური ანგარიშგება უნდა შემოწმდეს ინფორმაციის გასაჯაროებასა და წარდგენასთან მიმართებაში, რაც გულისხმობს შესაბამისობას ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან, ასევე შესაბამის კანონმდებლობასთან (ასს 700, პუნქტი 10), რადგან ისინი აუდიტორის მოსაზრების საფუძველია.

დანართი 3.13 წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების კრიტიკულ მიმოხილვას, რომელიც ყოველწლიურად უნდა შესრულდეს. ეს საკონტროლო კითხვარი აჩვენებს, რომ ფინანსური ანგარიშგება აზრს მოკლებული არ არის, მაგალითად სწორია თუ არა დირექტორთა სახელი და რაოდენობა, შედგენილია სწორად და ა.შ.

ისეთ გარემოებებში, სადაც კომპანიის საქმიანობა სტაბილურია, კანონიერ ძალაში არ შემოსულა ახალი საბუღალტრო კანონმდებლობა, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, ერთხელ მაინც იქნა შევსებული ინფორმაციის გასაჯაროების სრული საკონტროლო კითხვარი ბოლო სამი წლის განმავლობაში, შესაძლებელია ინფორმაციის გასაჯაროების წლიური საკონტროლო კითხვარის შევსება (დანართი 3.14).

ყველა კომპანიამ, რომელიც იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, უნდა შეავსოს 3.15 დანართში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კორპორაციული ინფორმაციის გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი. არსებობს დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების ექვსი საკონტროლო კითხვარი, რომელიც უნდა შეივსოს იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ძალაშია, შესაბამის კომპანიასთან მიმართებაში:

- მინერალური რესურსების (ფასს 6) - დანართი 3.15.1;
- საპენსიო სქემები განსაზღვრული სარგებელით - დანართი 3.15.2;
- აქციებზე დაფუძნებული გადახდა - დანართი 3.15.3;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა - დანართი 3.15.4;
- ფასს-სტანდარტების პირველად გამოყენება - დანართი 3.15.5; და
- მშობელი კომპანია, სადაც არ მზადდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - დანართი 3.15.6.

მიმოხილვის ძირითადი კრიტერიუმი იმაში დარწმუნებაა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის/ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს, ინფორმაცია სათანადოდ არის გასაჯაროებული, თანმიმდევრულად არის გამოყენებული და შეესაბამება სამეურნეო სუბიექტს. ფინანსური ანგარიშგება განხილული უნდა იყოს დამკვეთის საქმიანობისა და სხვა აუდიტორული პროცედურების ცოდნის გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, არის თუ არა ინფორმაციის წარდგენა სამართლიანი და ასახულია თუ არა მასში სამეურნეო ოპერაციების შინაარსი (ასს 700, პუნქტი 13).

ასს 720, პუნქტი 14ა, „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით“ აუდიტორებს ავალდებულებს, გაეცნონ ამ ინფორმაციას და დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს არსებითი შეუსაბამობები (ასს 720, პუნქტი 17). იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შეუსაბამობები და ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარია, შესაძლოა საჭირო გახდეს პირობითი აუდიტორული ანგარიშის გაცემა (ასს 720 პუნქტი 18).

შესაძლებელია, საჭირო გახდეს იურიდიული კონსულტაცია, წლიურ ანგარიშში ფინანსურ ანგარიშგებებსა და სხვა ინფორმაციას შორის არსებული შეუსაბამობის საუკეთესო ფორმით ინფორმირების მიზნით - იმ შემთხვევაში, თუ სხვა ინფორმაცია არასწორია. გარიგებიდან გასვლა უკანასკნელი ვარიანტია, როდესაც უთანხმოებების მოგვარება არ არის შესაძლებელი.

11. აუდიტის ფაილის დაკომპლექტება

მას შემდეგ, რაც ჩატარდება საბოლოო მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგება მზადაა ხელმოსაწერად, აუდიტორული გარიგების პარტნიორმა აუდიტის საკონტროლო დოკუმენტზე ხელმოწერითა და დათარიღებით უნდა გამოთქვას თანხმობა ფინანსურ ანგარიშგებასა და იმაზე, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. აუდიტორული გარიგების პარტნიორის ხელმოწერა უნდა თარიღდებოდეს აუდიტის ანგარიშის ხელმოწერის თარიღით (ასს 700, პუნქტი 49-1). ეს არის დასტური იმისა, რომ ყველა განსახილველი პუნქტი წესრიგშია და სამუშაო დოკუმენტები ამყარებს აუდიტორის მოსაზრებას (არ არსებობს გადაუჭრელი საკითხები) (ასს 700, პუნქტი 49-2). იმ შემთხვევაში, თუ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველმა ჩაატარა თანმდევი მიმოხილვა (ე.წ. „ცხელი მიმოხილვა“), ან კონსულტაციები, აუდიტორის მოსაზრების ფორმულირებასთან დაკავშირებით, მათ ასევე ხელი უნდა მოაწერონ ამ ეტაპზე და აღწერონ მათი მიმოხილვის ფარგლები. (ასს 220, პუნქტი 20).

შემდგომი მოვლენების განხილვა ასევე უნდა დასრულდეს აუდიტორის მიერ აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის დღეს (ასს 560, პუნქტი 6). ეს უნდა მოიცავდეს განხილვას იმის შესახებ, რომ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი რომელიმე მოვლენა ექვეყნებ არ აყენებს კომპანიის მანამდე გაკეთებულ შეფასებას, და სუბიექტი საქმიანობას განაგრძობს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. (ასს 570, პუნქტი 11).

ბოლოს, აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერამდე, უნდა შემოწმდეს, რომ შესაბამისი პირისაგან მიღებულია ოფიციალური წერილი (ასს 580, პუნქტი 14).

12. აუდიტორული ანგარიში

ასს 700 „მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ იძლევა მითითებებს, ანგარიშგების ფორმის შესახებ.

უფროსმა აუდიტორმა უნდა მოამზადოს აუდიტორის ანგარიში, რომელიც ეფუძნება აუდიტზე მუშაობისას მოპოვებულ ფაქტებს. აუდიტორული გარიგების პარტნიორი უფროს აუდიტორთან ერთად მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, აუდიტორული ანგარიშის ფორმის შესახებ. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ გაიცემა რომელიმე სხვა ტიპის მოსაზრება, გარდა სტანდარტული არამოდიფიცირებული მოსაზრებისა, როგორც წესი, უნდა მოხდეს კონსულტაციების გავლა, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველთან.

12.1 აუდიტორული ანგარიშის ელემენტები

ასს 700-ის შესაბამისად, აუდიტორის ანგარიში უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- სათაური, რომელშიც მითითებულია აუდიტორული ანგარიშის ადრესატი (ასს 700, პუნქტი 21-22);
- აუდიტორული „მოსაზრების“ სათაურის ქვემოთ მიეთითოს (ასს 700, პუნქტი 23):
 - შესავალი აბზაცი, რომელშიც იდენტიფიცირებულია ფინანსური ანგარიშგება, რომელზეც კეთდება ანგარიში (ასს 700, პუნქტი 24);
 - მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ (ასს 700, პუნქტი 25-27);
- მოსაზრების საფუძველი (ასს 700, პუნქტი 28);
- საჭიროებისამებრ, ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება (ასს 700, პუნქტი 29).
- მოსაზრება სხვა საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში (ასს 700, პუნქტი 32)
- განაცხადი, დირექტორთა პასუხისმგებლობის შესახებ (ასს 700, პუნქტი 33-36);
- განაცხადი, აუდიტორთა პასუხისმგებლობის შესახებ (ასს 700, პუნქტი 37-40);
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომლის შესახებაც უნდა გაკეთდეს ანგარიში (ასს 700, პუნქტი 43);
- კანონისმიერად დანიშნული აუდიტორის სახელი, ხელმოწერა და აუდიტორული ანგარიშის თარიღი (ასს 700, პუნქტი 47, 49).
- აუდიტორის მისამართი (ასს 700, პუნქტი 48); და

გარდა ამისა, ბევრი ქვეყნის იურისდიქცია ითვალისწინებს შემდეგს:

- პასუხისმგებლობიდან გარიდების პარაგრაფი

სათაური (ასს 700, პუნქტები 21-22)

აუდიტორულ ანგარიშში მითითებული უნდა იყოს ადრესატები, იმ ფორმის აქციონერების/პარტნიორების, რომლის აუდიტიც ჩატარდა, ვინაიდან აუდიტი მათთვის ტარდება. ასევე უნდა გაკეთდეს მითითება დამოუკიდებელ აუდიტორებზე, რათა აღნიშნული ანგარიში ნათლად გამოიკვეთოს, ნებისმიერი სხვა შიდა აუდიტორული დასკვნიდან.

შესავალი აბზაცი (ასს 700, პუნქტი 24)

ამ აბზაცში განსაზღვრულია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისი პირველადი დოკუმენტების სახელწოდებებით, მასთან დაკავშირებული შენიშვნებით და საადრიცხო პოლიტიკით - ასეთ შემთხვევაში, საჭირო არ არის გვერდების ნუმერაციის მითითება. აქ არ უნდა იყოს წარმოდგენილი დირექტორების ანგარიში და ნებისმიერი დამატებითი ფინანსური ინფორმაცია (მაგალითად, მოგების ან ზარალის მუხლების დეტალური ანალიზი). ალტერნატივის სახით შესაძლოა აუდიტორის ანგარიში მოიცავდეს მხოლოდ იმ გვერდებს, რომლებიც შეიცავს პირველად დოკუმენტებს და შენიშვნებს, ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

თუ დამკვეთის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ფინანსური ანგარიშგება, ყოველთვის უნდა გაკეთდეს მითითებები, პირველადი დოკუმენტების, მათთან დაკავშირებული შენიშვნებისა და საადრიცხო პოლიტიკის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი „PDF“ ფორმატში უნდა გამოქვეყნდეს.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე (ასს 700, პუნქტი 25-27)

ასს 700 მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბებას, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისი საფუძვლების მკაფიოდ მითითებას. არამოდიფიცირებული მოსაზრების გამოხატვისას, „მოსაზრებების“ აბზაცში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების საფუძველი (ასს 700, პუნქტი 28)

ამ პუნქტში უნდა აღინიშნოს, რომ:

- აუდიტი ჩატარდა ასს-ის შესაბამისად;
- აუდიტორი დამკვეთისგან დამოუკიდებელია, შესაბამისი პროფესიული ორგანოს ეთიკური ნორმების შესაბამისად; და ასევე
- აუდიტორი მიიჩნევს, რომ მოპოვებულია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისი მოსაზრების გამოსათქმელად.

აქვე უნდა იყოს ჯვარედინი მითითება აუდიტორის პასუხისმგებლობების ნაწილზე.

პასუხისმგებლობიდან გარიდების პარაგრაფი

სასამართლო განხილვების შედეგად, რამდენიმე პროფესიული ორგანო გვთავაზობს პასუხისმგებლობაზე უარის შესახებ პუნქტის ჩართვას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მკვეთრი მოთხოვნა, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი მკითხველისთვის აუდიტორის ანგარიშის მიზნებზე ყურადღების გამახვილება და ასევე იმაზე, თუ ვის წინაშეა აუდიტორი ანგარიშვალდებული/პასუხისმგებელი. როდესაც ასეთი პუნქტი მოცემულია აუდიტორის ანგარიშში, იგი უშუალოდ „მოსაზრების საფუძვლის“ პუნქტს უნდა მოსდევდეს.

ფუნქციონირებადი საწარმო (ასს 700, პუნქტი 29)

საჭიროების შემთხვევაში, აუდიტორმა უნდა ისარგებლოს ასს 570-ით. მაგალითად პუნქტით „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“.

მოსაზრებასხვა საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში (ასს 700, პუნქტი 32)

ამ ნაწილში აუდიტორი ვალდებულია, მიუთითოს ისეთი საკითხები, რომელთა შესახებაც აუდიტორმა კანონმდებლობის ფარგლებში გამონაკლისის სახით უნდა მოამზადოს ანგარიში. მაგალითად, ეს შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთი საკითხის გამოყოფას, როგორცაა, მაგალითად შენახული ჰქონდა თუ არა კომპანიას აუდიტის პერიოდში შესაბამისი ხარისხის ბუღალტრული ჩანაწერები.

დირექტორთა პასუხისმგებლობის განაცხადი (ასს 700, პუნქტი 33-36);

ეს უნდა მოიცავდეს დირექტორთა პასუხისმგებლობას შემდეგი საკითხებზე:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც უტყუარ და სამართლიან სურათს წარმოაჩენს;
- შიდა კონტროლის დანერგვა იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას; და
- სამეურნეო სუბიექტის უნარის შეფასება, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

უნდა არსებობდეს აგრეთვე განაცხადი, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, თუ ისინი არ წარმოადგენენ დირექტორებს.

განაცხადი, აუდიტორთა პასუხისმგებლობის შესახებ (ასს 700, პუნქტი 37-40);

ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორის მიზნებია, მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას და გასცეს აუდიტორის ანგარიში.

აუდიტორმა ასევე უნდა დაადასტუროს, თუ რა იგულისხმება „დასაბუთებულ რწმუნებაში“, როგორ შეიძლება წარმოიშვას უზუსტობები და ახსნას, რატომ განიხილება ისინი არსებითად.

საჭიროა დამატებითი დეტალური ინფორმაციის მიწოდება, აუდიტორის იმ მოვალეობების შესახებ, რომლებიც უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში რჩება ძალაში. სტანდარტი ასეთი განმარტების სამ ვარიანტს ითვალისწინებს: შესაბამისი პუნქტის შეტანას ანგარიშში, ჯვარედინ მითითებას წლიური ანგარიშის სხვა ნაწილზე, რომელიც შეიცავს ამ ინფორმაციას, ან, სადაც დაშვებულია ჯვარედინი მითითება შესაბამისი სუბიექტის ვებგვერდზე.

სხვა საკითხები, რომლებიც უნდა იყოს წარმოდგენილი ანგარიშში (ასს 700, პუნქტი 43)

აღნიშნულ ნაწილში, აუდიტორი ვალდებულია წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი მოსაზრებები, მაგალითად მოსაზრებები, აუდიტის ფინანსური ანგარიშგების წლიურ ანგარიშში შეტანილი სხვა ინფორმაციის თანმიმდევრულობის შესახებ, ან, სადაც დაშვებულია, გააკეთოს ჯვარედინი მითითება შესაბამისი სუბიექტის ვებგვერდზე.

თარიღი და ხელმოწერა (ასს 700, პუნქტები 47 და 49)

აუდიტორის ანგარიშს არ უნდა მოეწეროს ხელი იმ დრომდე, სანამ დირექტორები არ დაამტკიცებენ ფინანსურ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც ჩართულია ფინანსური ანგარიშგების პაკეტში. ასს 700-ით აგრეთვე მოითხოვება ყველა საჭირო ხელმისაწვდომი მტკიცებულების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება ხელმოწერამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შემდგომი მოვლენების მიმოხილვა უნდა მოიცავდეს პერიოდს აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღამდე. აქედან გამომდინარე, აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღი მნიშვნელოვანია, ჩატარებული შესაბამისი მოცულობის აუდიტორული სამუშაოების ხარისხის განსაზღვრისათვის.

აუდიტორის ანგარიშში უნდა დათარიღდეს აუდიტორის მიერ მისი ხელმოწერის თარიღით. ხელმოწერა არ უნდა მოხდეს დირექტორების მიერ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე. თუ აუდიტორის ხელმოწერის თარიღი მოსდევს დირექტორების დამტკიცების თარიღს, მაშინ აუდიტორმა უნდა მოიპოვოს მტკიცებულება იმის შესახებ, ხომ არ უნდა დაემტკიცებინათ დირექტორებს ფინანსური ანგარიშგება მაქსიმალურად უფრო გვიანი თარიღით და შემდგომი მოვლენების განხილვა უნდა გაფართოვდეს ამ პერიოდის დასაფარად.

მისამართი (ასს 700, პუნქტი 48)

აუდიტორის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ადგილმდებარეობა, რომელიც ჩვეულებრივ არის ქალაქი, სადაც განთავსებულია აუდიტზე პასუხისმგებელი პირის ოფისი.

აღნიშვნა „კანონისმიერად დანიშნული აუდიტორები“

ბევრ შემთხვევაში, კანონმდებლობა მოითხოვს, რომ აუდიტორის ანგარიშში მითითებული იყოს კანონით გათვალისწინებული აუდიტორის სახელი/გვარი და მისი ხელმოწერა (მაგალითად, აუდიტორული გარიგების პარტნიორი) და სადაც შესაფერისია, იმის აღნიშვნა, რომ ისინი ხელს აწერენ როგორც პრაქტიკოსი აუდიტორები.

დანართში 3.11 მოცემულია უპირობო აუდიტორის ანგარიშის სტანდარტული ფორმა, არაკოტირებული კომპანიისათვის, რომელიც მორგებული უნდა იყოს ადგილობრივი კანონმდებლობის კონკრეტულ მოთხოვნებზე.

გამონაკლის შემთხვევებში, კომპანიას შეუძლია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც აუდიტორის ანგარიშიდან ორივე მინიშნების აუდიტის პრაქტიკის და კანონისმიერად დანიშნული აუდიტორის სახელის ამოღების საშუალებას მისცემს. აღნიშნული შეიძლება ისეთი სიტუაციების დროს გახდეს საჭირო, როცა ორივეს - მათი აუდიტის ობიექტთან გაიგივების შემთხვევაში, შეიძლება საფრთხე დაემუქროს. (ასს 700, პუნქტი 46).

12.2 აუდიტორის მოდიფიცირებული მოსაზრებები

იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული იქნა არასაკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები, ან ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას, აუდიტორმა უნდა მოახდინოს მოსაზრების მოდიფიცირება აუდიტორის ანგარიშში. ასს 705-ში მოცემულია მოდიფიკაციის შემდეგი სახეები:

- პირობითი მოსაზრება;
- უარყოფითი მოსაზრება;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე.

ყველაზე გავრცელებული სცენარები, რომლებსაც მივყავართ აუდიტორული მოსაზრების მოდიფიკაციამდე, არის ხელმძღვანელობის მიერ მასშტაბის შეზღუდვა ან აზრთა სხვაობა სააღრიცხვო მიდგომებსა და/ან ინფორმაციის გასაჯაროებაზე, რომლებიც ახსნილია ქვემოთ.

ხელმძღვანელობის მიერ მასშტაბის შეზღუდვა

მასშტაბის შეზღუდვა ნიშნავს იმას, რომ მოპოვებული არ იქნა საკმარისი მტკიცებულებები.

თუ დირექტორები აწესებენ შეზღუდვებს, რის შედეგადაც აუდიტორმა შეიძლება დაასკვნას, რომ რომელიმე აღმოუჩენელ უზუსტობას შეიძლება არსებითი და ყოვლისმომცველი გავლენა ჰქონდეს, აუდიტორმა უნდა (ასს 705, პუნქტი 13(ბ)):

- ა) უარი თქვას თუ ეს პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილია, აუდიტის გაგრძელებაზე ან
- ბ) თუ ამის გაკეთება აუდიტორული ანგარიშის გამოშვებამდე, პრაქტიკული თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი, უარი თქვას მოსაზრების გამოთქმაზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი, აუდიტორის ანგარიშში უნდა შეიცავდეს პირობით მოსაზრებას, იმ ფაქტორების აღწერით, რომლებმაც პირობის ჩადება გამოიწვია (ასს 705, პუნქტი 20-24).

ამ ნაწილში გასათვალისწინებელი ძირითადი ფაქტორები იქნებოდა ისეთი ძირითადი მტკიცებულებები, რომელთა არსებობის მოლოდინის ქონაც გონივრული იქნებოდა და იმ საკითხებზე შესაძლო გავლენა, რომელთათვისაც, საკმარისი მტკიცებულების მოპოვება ვერ მოხერხდა. შეზღუდვის აღწერისას მკაფიოდ უნდა მიეთითოს, გამოწვეულია თუ არა

ასეთი შეზღუდვა დირექტორების მხრიდან (მაგალითად, დირექტორებმა აუდიტორისათვის არ გახადეს ხელმისაწვდომი ყველა საბუღალტრო ჩანაწერი), ან დირექტორებისაგან და აუდიტორებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (მაგ., დავალება, რომელიც სრულდება მარაგის ინვენტარიზაციის შემდეგ და არასაკმარისი ალტერნატიული მტკიცებულება, ხელმისაწვდომი მარაგის შესახებ).

უთანხმოება („უარყოფითი“ და „პირობითი“)

თუკი აუდიტორი ეთანხმება დამკვეთის მიერ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიდან გადახვევას იმ მოტივით, რომ სტანდარტის შესრულება შეიძლება მიზანშეუწონელი, შეუსაბამო ან შეცდომაში შემყვანი იყოს, აუდიტორის ანგარიშში არ არის საჭირო გაკეთდეს ამ გადახვევის შესახებ მითითება, იმ პირობით, თუ ფინანსურ ანგარიშგებებში ადეკვატურად არის გასაჯაროებული ეს ინფორმაცია.

თუმცა, თუკი აუდიტორი არ ეთანხმება სააღრიცხვო მიდგომას ან გასაჯაროებულ ინფორმაციას და აღნიშნული გარემოება არსებითია, ანგარიშში მოცემული მოსაზრების სექცია უნდა შეიცავდეს:

- იმ მიზეზებისა და გარემოებების აღწერას, რომლებმაც წარმოშვა უთანხმოება;
- მათ შედეგებს; და
- თუ ეს შესაძლებელია, შედეგების რაოდენობრივ შეფასებას ან განცხადებას იმის შესახებ, რომ რაოდენობრივი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

იმ შემთხვევებში, სადაც აღნიშნული საკითხის შედეგები იმდენად ფუნდამენტურია, რომ ფინანსურ ანგარიშგებებს შეცდომაში შევყავართ, საჭიროა, უარყოფითი მოსაზრების დაფიქსირება (მაგალითად, ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა უტყუარ და სამართლიან სურათს) (ასს 705, პუნქტი 18).

იმ შემთხვევებში, სადაც წარმოიშობა არსებითი, მაგრამ არა ფუნდამენტური უთანხმოება, მოსაზრებაში უნდა დაფიქსირდეს, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულია სამართლიანი და ობიექტური სურათი „გარდა“ იმ საკითხებისა, რომლებიც უთანხმოებას წარმოშობს (ასს 705, პუნქტი 17).

12.3 მნიშვნელოვან გარემოებათა/სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცები

ასს 706, „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცები დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“ აღწერს სცენარებს, სადაც აუდიტორის ანგარიშში საჭიროა განმარტებითი აბზაცის შეტანა, თუმცა ეს გარემოება არ არის აუდიტორის მიერ მოსაზრების მოდიფიკაციის შემცველი.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი გავლენას არ ახდენს აუდიტის მოსაზრებაზე. ეს მხოლოდ დამატებითი აბზაცია, რომელიც უბრალოდ მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი განუსაზღვრელობები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებებზე (ასს 706, პუნქტი 8). აღნიშნული დამატებითი აბზაცი წარმოდგენილი უნდა იყოს აუდიტორის ანგარიშის ცალკეულ სექციაში (ასს 706, პუნქტი (ა)).

თანდაყოლილი უზუსტობები ისეთი უზუსტობებია, რომელთა მოცილება უფრო მეტი მტკიცებულებების მოპოვების გზით ამ ეტაპზე შეუძლებელია, ანუ ამ ეტაპზე მოპოვებადი ყველა მტკიცებულება ხელმისაწვდომია აუდიტორისათვის, თუმცა, მათი გადაწყვეტა მომავალში მოხდება.

ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული უზუსტობების შეფასებისას, საჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილობა;
- ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებული შეფასებების გონივრულობა; და
- გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობა.

თუ აუდიტორს არ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა, საჭირო გახდეს უთანხმოების ამსახველი მოსაზრების დაფიქსირება (იხ. ზემოთ).

აგრეთვე საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რამდენად არსებითია თანდაყოლილი განუსაზღვრელობა. ძირითადი ფაქტორებია:

- რისკი იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი შეფასება, შესაძლოა ცვლილებას დაექვემდებაროს;
- შესაძლო შედეგების დიაპაზონი; და
- ამ შედეგებით გამოწვეული გავლენა.

თანდაყოლილი განუსაზღვრელობა ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება, თუ ისინი დაკავშირებულია უზუსტობის ფუნდამენტურ დონესთან, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან ან სხვა საკითხებთან (მაგალითად, დიდი სასამართლო პროცესი), რომელთა პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე უჩვეულოდ დიდია.

თუ აუდიტორი კმაყოფილია ფინანსურ ანგარიშგებებში სააღრიცხვო მიდგომით და თანდაყოლილი განუსაზღვრელობა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ აუდიტორის ანგარიშში საჭირო არ არის შესაბამისი მინიშნების გაკეთება. თუკი არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, დანერგილი შესაბამისი ღონისძიებები დამაკმაყოფილებელია, მაშინ აუდიტორის მოსაზრების ქვემოთ მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი უნდა განთავსდეს.

როგორც ზემოთ 5.4 სექციაში აღინიშნა, თუ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი შესაფერისად მიიჩნევა, მაგრამ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, შესაძლოა საჭირო გახდეს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ჩართვა სახელწოდებით „ინფორმაცია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ“, რომელიც მკითხველთა ყურადღებას ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას მიაპყრობს.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი შეტანილ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ არ ჩატარებულა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ასს 710, პუნქტი 14). იმ გარემოებათა სრული ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც განმარტებითი აბზაცის ჩართვაა საჭირო, მოცემულია ასს 706, დანართებში 1-2.

13. ანგარიშის წარდგენა თაღლითობის შესახებ

ძირითადი გადაწყვეტილებებია:

- საჭიროა თუ არა აუდიტორის ანგარიშში თაღლითობის ფაქტების შესახებ კომენტარის გაკეთება; და
- კიდევ, როგორ არის შესაძლებელი თაღლითობის ფაქტის შესახებ ინოფრმირების უზრუნველყოფა.

13.1 ინფორმაციის გასაჯაროება, ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული თაღლითობის შესახებ

განსახილველია სავარაუდო თაღლითობის შედეგები (მაგალითად, ჯარიმები, სასამართლო ხარჯები და გაუთვალისწინებელი გარემოებები). თუ განუსაზღვრელობის დონეს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ, სხვა მხრივ, ფინანსური ანგარიშგება კარგია, მაშინ აუდიტორის ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები. შესაძლოა, საჭირო გახდეს მოდიფიცირება, თუ ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში ინფორმაციის გახსნის ხარისხი არასაკმარისია, თაღლითობის საკითხისადმი მიდგომა არ არის სათანადო ან, თუ არსებობს რაიმე სახის მასშტაბის შეზღუდვა, აუდიტორის მიერ განსახორციელებელ გამოკვლევებთან მიმართებაში.

13.2 თაღლითობის ფაქტების შესახებ ხელმძღვანელობისა და მესამე მხარეებისთვის ანგარიშის წარდგენა

თაღლითობის შესახებ ინფორმაცია შესაძლოა მისაწოდებელი იყოს რეგულატორებისათვის ან მესამე მხარეებისათვის, თუ აღნიშნული შედეგის საზოგადოებრივ ინტერესებში, ხოლო, უმეტეს შემთხვევებში, ხელმძღვანელობისათვის (მაგრამ უნდა განისაზღვროს, საჭიროა თუ არა აღნიშნულზე რეგულატორის თანხმობის მიღება, რომლისთვისაც შესაბამისი ანგარიში იქნა მომზადებული).

იდეალურ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ თანამშრომლების ან მესამე მხარეების მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია საბჭოს და შესაბამის უწყებებს უნდა წარუდგინოს. თუ ხელმძღვანელობა ანგარიშგებას სათანადო სიხშირითა და ოპერატიულობით არ აწარმოებს, შესაძლოა საჭირო გახდეს უშუალოდ აუდიტორისათვის შესაბამისი ანგარიშის მომზადება. ხელმძღვანელობის ინფორმირების გარეშე, შესაბამისი პირდაპირი ანგარიშგება მაშინ არის საჭირო, როდესაც არსებობს ეჭვები ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებასთან და პატიოსნებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, საჭიროა იურიდიული კონსულტაციის მიღება.

შემდგომი რეკომენდაციები ამ სფეროსთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ასს 240-ში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“.

14. კანონთან ან რეგულაციებთან არსებული შეუსაბამობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ინფორმირება

14.1 ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება

კანონისა და რეგულაციების დაცვის შეფასების ძირითადი ნაწილი აუდიტის ბოლო ეტაპზე, განმარტებითი შენიშვნების საკონტროლო კითხვარების შევსებაში გამოიხატება. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, აღრიცხვის/ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობაზე, რწმუნების გამოთქმისას.

საჭიროა აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებებთან და აუდიტორის ანგარიშებთან დაკავშირებულ სხვა კანონებთან თუ რეგულაციებთან შეუსაბამობის შედეგების გავლენის განხილვა, განსაკუთრებით:

- არის თუ არა შერჩეული სწორი მიდგომა და განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური. თუ არა, შესაძლებელია საჭირო გახდეს პირობითი მოსაზრების გამოთქმა;

- არის თუ არა პოტენციური ჯარიმები იმდენად დიდი, რომ საჭიროა მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრის ჩართვა აუდიტორის ანგარიშში. აგრეთვე უნდა შეფასდეს, მიღებულ იქნა თუ არა ყველა სახის საჭირო ინფორმაცია და განმარტებები, რომელთა მიღებაც შესაბამის მომენტში საჭიროდ იქნა მიჩნეული.

14.2 ხელმძღვანელობისა და მესამე მხარეების ინფორმირება შეუსაბამოების შესახებ

ხელმძღვანელობას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, კანონისა და რეგულაციების არსებითი დარღვევის ნებისმიერი შემთხვევების შესახებ, რომლებიც დაფიქსირდა აუდიტის განმავლობაში (ასს 250, პუნქტი 22). თუ დარღვევები განიხილება, როგორც წინასწარგანზრახული და კრიმინალთან ასოცირდება, მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს ადგილობრივი რეგულატორებისგან თანხმობის მიღება (ასს 250, პუნქტი 18-5). აგრეთვე, საჭიროა, იმის განხილვა, არსებობს თუ არა კანონით განსაზღვრული ვალდებულება იმისა, რომ დარღვევების შესახებ რეგულატორებს (იხ.ქვემოთ) ან სხვა ორგანოებს ეცნობოს.

თუ აუდიტორს ეჭვი შეაქვს ან იცის, რომ მოხდა ფულის გათეთრება, აღნიშნული შემთხვევების საგანს წარმოადგენს. როგორც წესი, კანონმდებლობა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, თუ არ ხდება ინფორმირება, აუდიტის დროს ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის შესახებ, ან თუ ეჭვმიტანილს ან მესამე მხარეს აცნობეს/მიანიშნეს, რომ საგამომიებო მოქმედებები მიმდინარეობს. იურიდიული თვალსაზრისით, აღნიშნული სფერო ძალიან კომპლექსურია; გონივრული იქნებოდა ანგარიშის მომზადებამდე, კონსულტაციის გავლა იურიდიულ მრჩეველებთან.

თუ არ არსებობს კანონით დადგენილი ვალდებულება, მაშინ საჭიროა, განხილულ იქნეს, აუცილებელია თუ არა ანგარიშის მომზადება მესამე მხარეებისთვის, საჯარო ინტერესებიდან ან ფირმის ინტერესებიდან გამომდინარე. უმეტეს შემთხვევებში, ფირმამ დამკვეთს წერილობით უნდა აცნობოს ანგარიშის საჭიროების შესახებ. ზოგადად, კლიენტმა თვითონ უნდა წარადგინოს ინფორმაცია შეუსაბამოების შესახებ. თუ დამკვეთი ინფორმირების პროცესში არასაკმარისად სწრაფია, შესაძლოა დადგეს პირდაპირი ინფორმირების აუცილებლობა. კონკრეტულ შემთხვევებში, (მაგალითად, ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებისადმი/პატიოსნებისადმი ნდობის ნაკლებობის არსებობის შემთხვევაში) დირექტორებს არ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, ამგვარი ინფორმირების (შესაბამისი ანგარიშის მომზადების) შესახებ. ამ შემთხვევაში, აუცილებელია იურიდიული კონსულტაციის მიღება.

15. ანგარიშის წარდგენა რეგულატორებისთვის რეგულირებულ აუდიტის შესახებ

თუ აუდიტის ჩატარებისას დაფიქსირდა რეგულაციების პოტენციური დარღვევა, საჭიროა მტკიცებულებების მოპოვება, მათი შესაძლო შედეგების შესახებ. საჭიროა იმის შეფასება, ხვდება თუ არა აღნიშნული დარღვევა რეგულატორის იურისდიქციაში და ასევე აქვს თუ არა არსებითი მნიშვნელობა შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში. გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები:

- რეგულირებას დაქვემდებარებული კლიენტების ფინანსური მდგომარეობა;
- იმ რეგულაციებთან შესაბამისობა, რომლებიც შესატყვისი ბიზნესის მართვის წესებს განსაზღვრავს; და
- დირექტორების, როგორც სათანადო და წესიერი პირების სტატუსი.

15.1 კანონით დადგენილი ვალდებულება რეგულაციების დარღვევების შესახებ ინფორმირებისთვის

თუ მტკიცებულებების თანახმად კანონით დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს პრობლემის შესახებ რეგულატორის ინფორმირება, მაშინ მას ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ისეთი ფორმით, რომელიც ხელს შეუწყობს რეგულატორის ქმედებებს. თუ პირველადი ანგარიში ზეპირად მომზადდა, ის წერილობითი ფორმით უნდა მომზადდეს და შემდგომი წერილობითი ინფორმაცია გაეგზავნოს რეგულატორს. გარდა ამისა, თუ საკითხი, რომლის ინფორმირებაც ხდება, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დირექტორების პაციოსნებას ან შესაძლებლობებს, ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა მომზადდეს, დირექტორების წინასწარი ინფორმირების გარეშე.

15.2 რეგულატორებისთვის მომზადებული სხვა ანგარიშები

თუ არ არსებობს საკითხის შესახებ ინფორმირების კანონით დადგენილი ვალდებულება, მაგრამ შესაძლებელია, რომ შესაბამისი საკითხი რეგულატორმა მნიშვნელოვნად მიიჩნიოს, მაშინ საჭიროა საკითხის ინფორმირების განხილვა. თუ ინფორმაციის მიწოდება მიზანშეწონილია, მაშინ დირექტორებს უნდა მიეცეთ შესაბამისი რჩევა.

საუკეთესო შემთხვევაში, დირექტორებმა უნდა შეადგინონ შესაბამისი ანგარიში. თუმცა, თუ ისინი ამას გონივრულ ვადაში არ გააკეთებენ, აუდიტორმა პირდაპირი გზით უნდა მოახდინოს ინფორმაციის მიწოდება.

15.3 ანგარიშის შინაარსი

რეგულატორებისთვის შედგენილი ანგარიშები იმგვარად უნდა მომზადდეს, რომ რეგულატორმა გადაწყვეტილების მიღება შეძლოს, სათანადო კურსის შერჩევასთან დაკავშირებულ შესაბამის ქმედებებზე. ხშირად აღნიშნული წარმოდგენილი იქნება სტანდარტული ანგარიშის ფორმატში და უნდა მოიცავდეს:

- კლიენტის სახელს;
- კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს, რომელთა შესაბამისადაც მომზადდა ანგარიში;
- ანგარიშის შინაარსის აღწერას;
- საკითხის აღწერას, რომელიც ანგარიშის მომზადების საფუძველი გახდა;
- ანგარიშის მიღების დადასტურების მოთხოვნას; და
- აუდიტორების სახელს, წერილობითი ფორმით შედგენილი ანგარიშის თარიღს და, შესაბამის შემთხვევაში, ზეპირი ანგარიშის დეტალებს (მათ შორის, თუ ვისთვის მომზადდა შესაბამისი ანგარიში).

15.4 ფინანსურ ანგარიშებებში რეგულაციების დარღვევების ფაქტების გასაჯაროება

კონკრეტული საკითხების სააღრიცხვო შედეგების შეფასების გარდა, რომლებიც მოითხოვს ანგარიშის შედგენას, ანგარიშების ეტაპზე უნდა შეფასდეს, მიუთითებს თუ არა ჩატარებული აუდიტის საერთო შედეგები ისეთ დარღვევაზე, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშებებში ან მითითებულ იქნეს აუდიტორის ანგარიშში.

16. შეფასება, შედეგების შეჯამება და სამომავლო საკითხები

შეფასებები წარმოდგენს მიმოხილვის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს. პერიოდულად შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს აუდიტის მთლიანი პერსონალი, აუდიტორული გარიგების პარტნიორების ჩათვლით. აღნიშნული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნაა (ISQC 1, პუნქტი A28). აუდიტორული გარიგების პარტნიორების შემთხვევაში, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია ფაილების დამოუკიდებელი ცივი მიმოხილვით. ინდივიდუალური დავალებების შემთხვევაში, ყველას, ვინც კი მუშაობს დავალებაზე, სულ მცირე არაფორმალური შეფასების სესია უნდა ჰქონდეს გავლილი. თითოეული შეფასების ჩატარებისას საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

- როგორ შესრულდა ინდივიდუალური დავალებები;
- წარმოქმნილი პრობლემები და მათი მოგვარებისთვის გატარებული ზომები;
- რამდენად ადეკვატური იყო ბრიფინგი/ინსტრუქტაჟი;
- როგორ მიუდგნენ და როგორ იქნა მოგვარებული მოულოდნელი პრობლემები; და
- ხომ არ არის სფეროები, სადაც შეფასებას დაქვემდებარებული პირის უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების უფრო მეტად განვითარება შესაძლებელი?

გარდა ამისა, საჭიროა ინსტრუქტაჟის ჩატარება, სადაც განხილული იქნება დავალების მიმდინარეობა და შემდეგი წლისთვის გასათვალისწინებელი საკითხები. თეორიულად, იგი უნდა მოიცავდეს ყველა იმ პირს, ვინც მუშაობდა ამ დავალებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აუდიტის მთლიანმა გუნდმა აუდიტის მიმდინარეობისას წინასწარ უნდა მოინიშნოს სამომავლო საკითხები, კერძოდ კი, ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებაში, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების მიზნით:

- იყო თუ არა ყველა შესრულებული ტესტი საჭირო?
- სწორად იქნა თუ არა გამოყენებული შესაბამისი პერსონალის დონე?
- რა სახის ტექნიკური პრობლემები წარმოიშვა?
- რა სახის პრობლემები წარმოიშვა დამკვეთთან;
- გამართლდა თუ არა სრულად დამკვეთის მოლოდინი?
- იქნა თუ არა მიღწეული ბიუჯეტი?
- მოხდა თუ არა სამსახურში აღდგენა?
- მიიღო თუ არა დამკვეთმა დამატებითი სარგებელი აუდიტისგან?
- გაგიხარდებოდათ თუ არა დამკვეთი თქვენ რომ ყოფილიყავით?

შედეგების შეჯამების სხდომა გამოყენებულ უნდა იქნეს აღნიშნულ საკითხებზე დასკვნების გამოსატანად. დასკვნები მომავალი წლისათვის შესასრულებელი დავალების გეგმის საფუძველს უნდა ქმნიდეს. საჭიროა შესაბამისი შენიშვნების გაკეთება. მომავალი წლის დავალებისათვის ოპტიმალური ვადების, პერსონალის დაკომპლექტებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ. ამგვარი დეტალების ჩაწერა შესაძლებელია სამომავლოდ ჩასანიშნი საკითხების პროფორმაში - დანართში 3.2.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა მოხდეს ფაქტობრივად დახარჯული დროის ამსახველი ჩანაწერების შედარება, დაგეგმის ეტაპზე ასახულ დროის საბიუჯეტო მონაცემებთან.

დამკვეთი: _____

პერიოდი: _____

აუდიტის საკონტროლო კითხვარი

დაგეგმვა

1. შეივსო თუ არა აუდიტორის საკონტროლო კითხვარი და მოხდა თუ არა არააუდიტორული მომსახურებების ადეკვატურად განხილვა?
2. საჭიროების შემთხვევაში, განხილულ იქნა და განახლდა თუ არა აღნიშნულ დამკვეთთან მიმართებაში, ჩვენი ექსპერტიზა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ და შეტანილ იქნა თუ არა ამ შეფასების შედეგად დასაბუთებული ძირითადი საკითხები პერსონალთან გასამართი ბრიფინგის პუნქტებს შორის?
3. იქნა თუ არა განხილული და შესაბამისად დამუშავებული წინა პერიოდის (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობის წინა წლის წერილი და ფინანსური ანგარიშგება), მათ შორის, სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები.
4. განხილულ იქნა თუ არა ნებისმიერი წინა პერიოდის აუდიტორული მოსაზრების მოდიფიკაცია, ან მიმოხილული იქნა თუ არა მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები და მიექცა თუ არა ყურადღება შესაბამის თანხებზე გავლენას და საჭიროა თუ არა ამ პერიოდში მოდიფიცირება ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები.
5. შეივსო თუ არა მუდმივი ფაილის საკონტროლო კითხვარი და დადოკუმენტირდა თუ არა ყველა დაშვება რომელიც კლიენტის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად იქნა გამოყენებული?
6. ჩატარდა თუ არა წინასწარი ანალიზური პროცედურები და ადეკვატურად აისახა თუ არა დამკვეთის ჩართულობა წინასწარი დაგეგმვის პროცესში?
7. შეფასდა თუ არა ბიზნესის თანდაყოლილი რისკი და კონტროლის გარემო?
8. შეფასდა თუ არა თანდაყოლილი რისკი ტრანზაქციის თითოეული არსებითი კლასის ან ნაშთის შემთხვევაში მტკიცების დონეზე და შემუშავდა თუ არა სპეციალურად მორგებული აუდიტორული პროგრამები შესაბამის რისკებზე საპასუხოდ?
9. იმ შემთხვევებში, სადაც დაგეგმილია კონტროლის საშუალებების შემოწმება, შეფასდა თუ არა კონტროლის რისკი ტრანზაქციის თითოეული არსებითი კლასის ან ნაშთის შემთხვევაში მტკიცების დონეზე და ასევე შეფასდა თუ არა უფრო მაღალი დონის კონტროლი?

დიახ/ არა/ არ ივსება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი
	Ac2 Ac3
	Ac4 Ac5 Ac6
	Ac14
	Ac7 / Ac8/2 PAF (A1/11)
	Ac8/1 Ac9
	Ac10
	Ac11
	Ac12

დაგეგმვა

10. განსაზღვრულ იქნა თუ არა არსებითობა და სამუშაო არსებითობა?

11. მომზადდა თუ არა გარიგების გეგმა?

12. არსებობს თუ არა რაიმე სახის სპეციალური ან დამატებითი საანგარიშგებო მოთხოვნები დამკვეთთან მიმართ (მშობელი კომპანიის აუდიტორისათვის მოსამზადებელი ანგარიშის ჩათვლით) და თუ კი, შემუშავდა თუ არა სათანადო მიდგომები?

1. განისაზღვრა თუ არა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობები?

2. განიხილა თუ არა პერსონალმა საკითხები თაღლითობასთან, რისკთან და დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში, მათ შორის, კანონისა და რეგულაციების დარღვევის შესაძლებლობა და მოხდა თუ არა პერსონალის ინსტრუქტირება, ყველა სხვა შესაბამის საკითხთან მიმართებაში?

3. გაეზავნა თუ არა დამკვეთს დაგეგმვის საკითხების ამსახველი წერილი?

ჩანაწერების (ჩაწერის) უზრუნველყოფა

4. იქნა თუ არა შესაბამისი სისტემებისა ან/და კომპიუტერული სისტემების მიმოხილვა და მიექცა თუ არა სათანადო ყურადღება რისკს, რომელსაც IT სისტემები უქმნიან დამკვეთს?

5. მოხდა თუ არა სათანადო სააღრიცხვო სისტემისა და კონტროლის საშუალებების დეტალური აღწერა ტრანზაქციების ყველა არსებითი ციკლისთვის (მათ შორის, მათი, რომლებიც მომსახურე ორგანიზაციების მიერ გამოიყენება)?

6. უზრუნველყოფს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა მყარ საფუძველს, ზუსტი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და გაერკვა თუ არა პრაქტიკოსი შესაბამის სისტემებსა და კონტროლში, მათთან დაკავშირებული გამჭოლი ტესტების ჩატარებისა და ასეთი ტესტებით, ზემოაღნიშნულის დადასტურების გზით?

7. მიღწეულ იქნა თუ არა ისეთი კონტროლის საშუალებების სათანადო გაგება, რომლებიც არ ეფუძნება ტრანზაქციებს, როგორებიცაა ბიუჯეტების, მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშების, შიდა აუდიტის ფუნქციების გამოყენება და ა.შ.?

8. მუდმივ ფაილში მოცემულ ინფორმაციასა და აუდიტორულ ტესტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ კლიენტის მიერ განხორციელებული ბუღალტრული აღრიცხვა ადეკვატურია?

დიახ/ არა/ არ ივსება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი
	Ac13
	Ac14
	Ac15
	Ac14 / Ac18
	Ac19
	B1 PAF
	B2-5 PAF
	B2-5 PAF
	PAF
	PAF

დაგეგმვა

9. იმ შემთხვევაში, თუ ხდება კონტროლის ღონისძიებებზე დაყრდნობა:
- ამართლებს თუ არა კონტროლის ტესტები მათთვის გამოცხადებულ ნდობას?
 - მოჰყვება თუ არა შეფასების პროცესში იდენტიფიცირებულ სისუსტეებს, ადეკვატური ძირითადი აუდიტორული ტესტები?
 - გამოვლინდა თუ არა შეფასების პროცესში ნაკლოვანებები, რის შემდეგაც ჩატარდა ადეკვატური არსებითი ტესტები?

საველე სამუშაოები

10. ჩატარდა თუ არა საველე სამუშაოები დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილ რისკებთან მიმართებით და იქნა თუ არა ისინი ჯეროვნად დამუშავებული, სათანადო აუდიტორული პროგრამების შედგენის გზით?
11. გამოყენებულ იქნა თუ არა დაგეგმვის ეტაპზე გამოთვლილი შერჩევითი ერთობლიობის მოცულობები და გარკვევით ჩაიწერა თუ არა შერჩევის საფუძველი სამუშაო ფურცლებში?
12. ასახავს თუ არა სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ძირითადი ტესტირება იმ სანდოობას, რომელიც მოპოვებულ იქნა შიდა კონტროლის ან შუალედური ძირითადი ტესტირების შედეგად?
13. ხდება თუ არა თითოეულ სააღრიცხვო სფეროსთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნების სათანადოდ ჩაწერა აუდიტორული ფაილის შესაბამის სექციაში?
14. სრულად შესრულდა თუ არა ყველა აუდიტორული პროგრამა?
15. მომზადდა თუ არა შესაბამისი სამუშაო ფურცლები?
16. მოპოვებულ იქნა თუ არა სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები თითოეული არსებითი ნაშთისა და ტრანზაქციების კლასის თითოეული საკვანძო მტკიცებისთვის?
17. მონიშნულ იქნა თუ არა ყველა გამორჩეული საკითხი, საბოლოო ეტაპზე განხილვის მიზნით?
18. მიექცა თუ არა სათანადო ყურადღება საწყის ნაშთებს და შესაბამის თანხებს?

შესაბამისობა საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებთან (GAAP-თან)

19. არის თუ არა კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველები კომპანიის შესაფერისი?
20. მოხდა თუ არა ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, იფორმაციის გასაჯაროებისთვის განკუთვნილი შესაბამისი საკონტროლო კითხვარის გამოყენებით და მოხდა თუ არა მისი კრიტიკული განხილვა?

დიახ/ არა/ არ იცხება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი
	Ac10-12
	Ac15
	ფაილის წლი- ურ გამყოფი ანკეტა
	Aa
	U2
	Ab1/ Ab2/Ab6

დაგეგმვა

21. განხილულ იქნა თუ არა სამეურნეო სუბიექტის მიერ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები და რამდენად შეესაბამება ისინი სამეურნეო სუბიექტის კონკრეტულ გარემოებებს უტყუარი და სამართლიანი სურათის დასაფიქსირებლად?

22. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განმარტებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, შეადარეთ აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურების გასაჯაროებული საკომპენსაციო თანხები, იმ შესაბამის საკომპენსაციო თანხებს, რომლებიც მოცემულია ფორმულარში სახელად - არააუდიტორული მომსახურების გაწევა.

მიმოხილვა და დასრულება

23. იქნა თუ არა არსებითობისა და რისკის ფორმები განახლებული და განხილული მენეჯერის მიერ დასრულების ეტაპზე?

24. მოხდა თუ არა (მათი წარმოშობის შემთხვევაში) ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების შეჯამება, აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ განხილვის მიზნით:

- დაგეგმვაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები;
- ძირითადი კონსულტაცია (როგორც შიდა, ისე გარე);
- ასს-ს მოთხოვნიდან გადახვევა, როცა შესრულდა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურები; და
- აუდიტის დასკვნაზე პოტენციური ზემოქმედების მითითება იმ შემთხვევაში, სადაც შეუძლებელი იყო ასს-ის მიზნის მიღწევა და ალტერნატიული პროცედურების ჩატარება?

25. შეტანილ იქნა თუ არა ყველა შესაბამისი პუნქტი მომდევნო წლის სამომავლოდ ჩანიშნული საკითხების ნუსხაში ?

26. განხორციელდა თუ არა შემდგომი მოვლენების კომპლექსური მიმოხილვა და ფუნქციონირებადი საწარმოს მიმოხილვა?

27. მომზადდა და იქნა თუ არა მოწოდებული ოფიციალური წერილი?

28. ეცნობა თუ არა დამკვეთს და შეთანხმდა თუ არა დამკვეთთან აუდიტის კორექტირებები და იქნა თუ არა უზრუნველყოფილი ის, რომ დამკვეთმა გაითვალისწინა აღნიშნული ცვლილებები საწყისი ბალანსების დასაკორექტირებლად შემდეგი ფინანსური პერიოდისთვის?

29. მომზადდა თუ არა ხელმძღვანელობის წერილი?

30. ჩატარდა თუ არა ანალიზური პროცედურები ბოლო ეტაპზე?

დიახ/ არა/ არ ივსება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი
	Ac8/2 / N2 / S2
	Ac3 / S4e
	Ac10-Ac13
	Ac section / Aa7
	Aa2
	Aa3a Aa3b
	Aa4
	Aa4, U3
	Aa5
	Aa10

დაგეგმვა

31. თუ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებობს დაუკორექტირებელი შეცდომები, არიან თუ არა ისინი ნამდვილად უმნიშვნელო? თუ შეცდომები არ მიიჩნევა უმნიშვნელოდ, ჩართულია თუ არა ისინი წარმომადგენლობით წერილში?
32. იმ შემთხვევებში, როცა გამოვლინდა თაღლითობა, კანონისა და რეგულაციების დარღვევები, იქნა თუ არა მიღებული შესაბამისი ზომები (მათ შორის, სათანადო კომუნიკაცია მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან და შესაბამისი ორგანოსთვის მამხილებელი ინფორმაციის მიწოდება)?

დიახ/ არა/ არ იცხება	მინიშნება სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი
	Aa1
	N section

1. უფროსი თანამდებობის პირის მიერ სავალდებულო სამუშაოს დასრულება

დავასრულე ჩემი სამუშაო, რაც შეჯამებულია ზემოთ და მიმაჩნია, რომ სამუშაო ფურცლები სათანადოდ შეესაბამება ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გამორჩეული პუნქტებისა.

ხელმოწერილია:

თარიღი:

2. მენეჯერის მიერ მიმოხილვის დასრულება

დავასრულე სამუშაო ფურცლების მიმოხილვა და მიმაჩნია, რომ ისინი შეესაბამება უკერს შემოთავაზებულ მოსაზრებას, გარდა აღნიშნული საკითხებისა.

ხელმოწერილია:

თარიღი:

3. მიმოხილვის დასრულება აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ

დავასრულე შემდეგი დოკუმენტების განხილვა:

- აუდიტის სამუშაო ფურცლები, შემდეგის ჩათვლით:
 - პროფესიული მსჯელობის კრიტიკული სფეროები, განსაკუთრებით გარიგების პროცესში გამოვლენილ რთულ ან სადავო საკითხებთან დაკავშირებით;
 - მნიშვნელოვანი რისკები; და
 - დანართში Aa7 მოცემული პუნქტები, რომლებმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება.
- ფინანსური ანგარიშგება/ფინანსური ანგარიშგების კომპლექტი, რომელიც გაეგზავნა დირექტორებს და მიმაჩნია, რომ ისინი მხარს უჭერენ შემოთავაზებული მოსაზრების დაფიქსირებას გარდა აღნიშნული საკითხებისა და აუდიტი შესრულდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, სადაც შემოთავაზებულია არამოდიფიცირებული მოსაზრების დაფიქსირება, შემიძლია დავადასტურო, რომ:

- დაცულია სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები და ჩვენი აუდიტისათვის მივიღეთ სათანადო უკუკავშირი იმ ფილიალებიდან, რომლებიც არ მოვიწინააღმდეგებოდნენ;
- ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება სააღრიცხვო ჩანაწერებსა და უკუკავშირს;

- მივიღეთ აუდიტისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაცია და განმარტებები;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სათანადოდ* ეროვნულ საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების GAAP/ფასს სტანდარტების შესაბამისად და განმარტებითი შენიშვნებისგან ნებისმიერი სახის გამოთავისუფლება სათანადოდ იქნა გამოყენებული;
- ფინანსურ ანგარიშგებასა და მასთან წარდგენილ სხვა ინფორმაციას შორის არ არსებობს არსებითი შეუსაბამობები;
- არ არსებობს არავითარი ეჭვი იმ ცნობებთან/განმარტებებთან დაკავშირებით, რომლებიც მივიღეთ/რომლების მიღებაც გვინდა ხელმძღვანელობის ოფიციალური წარმომადგენლობითი წერილით;
- არ არსებობს არავითარი საკითხები, რომლებიც აღნიშნულ იყო ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმში (Aa7), რომლებიც განაპირობებდა აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირების შესაძლებლობას;
- პუნქტებმა, რომლებიც ჩაიწერა შეუსწორებელი აუდიტორული შეცდომების სახით (Aa11), მათი ცალ-ცალკე და ერთობლივად განხილვისას, არ განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების არსებითად მცდარობა;
- ჩვენი სამუშაოს ფარგლებში არ ყოფილა რაიმე სახის მასშტაბის შეზღუდვები; და
- არ არსებობს არავითარი საკითხები, რომელთა შეტანასაც მოვისურვებდით აუდიტორის ანგარიშში ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, დამატებითი განმარტებების მიცემის მიზნით.

იმ შემთხვევაში, სადაც შეუძლებელია ზემოაღნიშნულის დადასტურება, რეკომენდებულია აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირება*/მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრების*/ სხვა გარემოებათა ამსახველი აზრების* ჩართვა აღნიშნული მიზეზების გამო.

(* - საჭიროების შემთხვევაში, წაშალეთ).

ხელმოწერილია:

თარიღი:

აუდიტორული გარიგების პარტნიორმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ შეივსოს ყველა შესაბამისი დეკლარაცია Aa3ხ ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვარისა და Aa7 ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმის პირველ გვერდზე.

4. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერამდე გასარკვევი საკითხები: დეტალები:

დამკვეთის მიერ მოთხოვნილი თარიღი:

მოთხოვნილი ასლების რაოდენობა:

5. აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ წინასწარი ხელმოწერა

<p style="text-align: center;">აუდიტის დასრულება</p>	<p style="text-align: center;">დიახ/ არა/ არ ივსება</p>	<p style="text-align: center;">მინიმუმ სამუშაო დოკუმენტზე/ კომენტარი</p>
<p>1. დაადასტურეთ, რომ არ არსებობს ისეთი საკითხები, რომლებმაც შეცვალა აუდიტორის საკონტროლო კითხვარის (Ac2) რეგულაციასა და აუდიტის დამკვეთებისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევაში (Ac3) მოცემული ეთიკური განხილვები.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა გარკვეული საკითხები, გვაქვს თუ არა აუდიტორებად მოქმედების უფლება?</p> <p><i>გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:</i></p> <ul style="list-style-type: none"> ➤ <i>ნებისმიერი საკითხები, რომლებმაც მიიპყრო აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღება აუდიტორული ფირმის დამკვეთისგან დამოუკიდებლობის თვალსაზრისით;</i> ➤ <i>ნებისმიერი საკითხები, რომლებმაც ფირმის ეთიკის პარტნიორის ყურადღება მიიპყრო, აუდიტორული ფირმის დამკვეთისგან დამოუკიდებლობის თვალსაზრისით;</i> ➤ <i>ნებისმიერი ახალი არააუდიტორული მომსახურება, რომელიც მოითხოვს ფორმის „აუდიტის დამკვეთებისთვის არააუდიტორული მომსახურებების გაწევა“ შევსებას</i> ➤ <i>ნებისმიერი თაღლითობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხელმძღვანელობის პატიოსნებას.</i> 		<p style="text-align: center;">Ac2, Ac3</p>
<p>2. მოხდა თუ არა აუდიტის შედეგად აღმოჩენილი ქვემოაღნიშნული ფაქტების განხილვა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან (დარწმუნდით, რომ ფაილში მოცემულია ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ/როდის შედგა კომუნიკაცია):</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აუდიტორის მოსაზრება კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების მიზანშეწონილობის შესახებ; ➤ აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობის შესახებ? ➤ მნიშვნელოვანი სირთულეები, მათი არსებობის შემთხვევაში, რომლებიც წარმოიშვა აუდიტის დროს; ➤ ოფიციალური წერილის საბოლოო ვარიანტი, მათ შორის ნებისმიერი არასტანდარტული აბზაცები, რომელებსაც აუდიტორი მოითხოვს ოფიციალურ წერილში, ასევე დანართები, რომლებშიც მოცემულია შესწორებული და შეუსწორებელი შეცდომები (საჭიროების შემთხვევაში); ➤ აუდიტორის ანგარიშში შესატანი მოსალოდნელი მოდიფიკაციები (იმ შემთხვევებში, სადაც შეტანილ იქნა აუდიტორის მოდიფიცირებული მოსაზრება ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, განხილულ იქნა თუ არა აღნიშნული დირექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში, როგორ შეიძლება ადანიშნულის თავიდან აცილება)? ➤ ხელმძღვანელობისათვის სხვა მნიშვნელოვანი/საინტერესო საკითხები. 		<p style="text-align: center;">Aa5</p> <p style="text-align: center;">Aa5</p> <p style="text-align: center;">Aa4</p> <p style="text-align: center;">Aa5</p>

3. გაეგზავნა თუ არა დამკვეთს ხელმძღვანელობის წერილი?
4. აღმოჩნდა თუ არა ორმხრივი კომუნიკაციის პროცესი აუდიტორებსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს შორის, საკმარისად ეფექტური დოკუმენტისთვის (ასს 260.22)?
5. თუ დაკმაყოფილდა ფირმის კრიტერიუმები, ჩატარდა თუ არა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა?

	Aa5
	Ac2

6. ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული მოსაზრება

გაირკვა თუ არა ინიციატორის სურვილისამებრ ყველა ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, დადასტურდა თუ არა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით შეცდომებს ან უზუსტობებს (და გადახედილ იქნა თუ არა ისინი აღნიშნულის წარმოსაჩენად)?

.....

მოპოვებულ იქნა თუ არა ოფიციალური წერილი, რომელიც დათარიღებულია აუდიტორული ანგარიშის თარიღით ან უშუალოდ მისი წინა თარიღით, ან შეტანილ იქნა თუ არა შესაბამისი მოდიფიკაცია?.....

ვადასტურებ, რომ მხედველობაში იქნა მიღებული ანგარიშგების თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე წარმოშობილი შემდგომი მოვლენები. შესაბამისი საკითხის წარმოშობის შემთხვევაში, ისინი დაფიქსირდა ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნაში

.....

ვადასტურებ, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველი* არის/არ არის შესაფერისი და ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ იქნა შესაბამისი გასაჯაროებული ინფორმაცია.

აუდიტორული მოსაზრების განხილვისას, მიმოვიხილე:

- მოპოვებულ იქნა თუ არა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება იმ განცხადების გასაკეთებლად, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს არსებით უზუსტობას, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით;
- არის თუ არა შეუსწორებელი უზუსტობები, ცალ-ცალკე ან მთლიანობაში, არა არსებითი;
- იძლევა თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან ხედვას; და
- მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება სწორად* ეროვნულ საყოველთაოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების GAAP/ფასს სტანდარტების შესაბამისად, ყველა შესაბამისი იურიდიული მოთხოვნის ჩათვლით.

ვადასტურებ* არამოდიფიცირებული/*მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების ხელმოწერას.

- * მოსაზრება მოდიფიცირებულია აღნიშნული მიზეზების გამო.
- * აუდიტორის ანგარიში მოიცავს *მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს/ *სხვა გარემოებათა აბზაცს აღნიშნული მიზეზების გამო.
- * აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირების შედეგად შეტანილ იქნა დამატებითი აბზაცი, რომელიც უკავშირდება მოდიფიცირების გავლენას, მომავალში კომპანიის მიერ დივიდენდების გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით.

A.E.P.)

ხელმოწერილია: _____ (აუდიტორული გარიგების პარტნიორი) თარიღი:

2. თუ ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხია „დიახ“, რომელი საკითხებია გასათვალისწინებელი:

--

ახდენს თუ არა რომელიმე ზემოაღნიშნულთაგან გავლენას ჩვენს, როგორც აუდიტორების მიერ, დამკვეთისათვის გასაწევ მომსახურებაზე?

3. ცნობილია თუ არა ჩვენთვის რომელიმე სხვა ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დამოუკიდებლობაზე ან სხვაგვარად მოანიშნებდეს, რომ არ უნდა დავთანხმდეთ განმეორებით დანიშვნაზე?

განმეორებით აუდიტორად დანიშვნის უფლებამოსილების მიღება:

განვიხილე ზემოაღნიშნული და არ მიმაჩნია, რომ არსებობს რაიმე სახის აღქმადი საფრთხეები ჩვენს დამოუკიდებლობასთან, პატიოსნებასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ *შეგვიძლია მივიღოთ/ შეგვიძლია მივიღოთ განცხადებული გარანტიებით/* არ შეგვიძლია მივიღოთ აღნიშნული განმეორებითი დანიშვნა.

საჭიროების შემთხვევაში, ჩაიწერა და დადოკუმენტირდა შესაბამისი კონსულტაცია, ეთიკის პარტნიორთან ერთად.

(* - წაშალეთ, საჭიროების შემთხვევაში)

ხელმოწერა: _____
 თარიღი: _____

გარიგების პარტნიორი

საჭიროების შემთხვევაში:

ხელმოწერა: _____
 თარიღი: _____

(გხსკმ)
 გარიგების ხარისხის
 კონტროლის მიმომხილველი

დამკვეთი:	მომზადებულია:	თარიღი:
პერიოდი:	განხილულია:	თარიღი:

სამომავლოდ ჩანიშნული საკითხები

მიზანი:

აუდიტის ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ძირითადი საკითხების მოკლე შეჯამება, სადაც შესაძლებელია აუდიტის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ საკითხებს. *აღნიშნული ფორმის გამოყენება არ არის სავალდებულო.*

ჩანაწერები:

აღნიშნული ფორმა უნდა შეივსოს აუდიტის დროს და მოიცავდეს ძირითად საკითხებს, რომლებიც შესაბამისობაშია მომავალი წლის დავალებასთან.

თუ აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ფაილის რომელიღაც სხვა თავში (მაგალითად, შემდგომი მოვლენების მიმოხილვა ან ასს-თან შესაბამისობის კრიტიკული საკითხების მემორანდუმში), მისი განმეორება არ არის საჭირო. საჭიროების შემთხვევაში, საჭიროა შემოთავაზებული ცვლილებების დეტალების მითითება.

აუდიტის დროს წარმოქმნილი პრობლემები (აუდიტორულ ტესტებთან დაკავშირებით):

აუდიტის დროს წარმოქმნილი პრობლემები (დამკვეთთან და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ა.შ.):

აუდიტორული ტესტები, რომელთა მოხსნა/შემცირება შესაძლებელია, აუდიტის ხარისხის გაუარესების გარეშე:

მომავალ პერიოდში შესატანი ცვლილებები, ან ახალი საადრიცხო პოლიტიკა და შეფასების ტექნიკა:

გარემოებების განვითარება მომავალში (ბიზნესის ხასიათი, ადგილმდებარეობა, შესყიდვები და გაყიდვები):

აუდიტის გუნდის მომავალი სტრუქტურა:

სხვა საკითხები:

დამკვეთი: _____

პერიოდი: _____

მიზანი:

შემდგომი მოვლენების მიმოხილვა

იმის დადგენა, საჭიროა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე სახის არსებითი კორექტირების, ან გასაჯაროებელი ინფორმაციის შეტანა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და ასს 560-ის შემდგომი მოვლენების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

შენიშვნა: მაკორექტირებელი მოვლენა ისეთი მოვლენაა, რომელიც საანგარიშგებო თარიღისათვის შესაბამისი პირობის არსებობის მტკიცებულებას უზრუნველყოფს. არამაკორექტირებელი მოვლენა ისეთი მოვლენაა, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, თუმცა საჭიროა მისი ახსნა-განმარტებებში ასახვა უტყუარი და სამართლიანი ხედვის წარმოსაჩენად.

დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვა

1. განსაზღვრეთ დამკვეთის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მომზადებული სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათი და ხარისხი, რომლებიც შესაძლებელია მიმოხილვას აუდიტორმა. ისინი შეიძლება მოიცავდეს:
 - ა) შემდგომი პერიოდის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას;
 - ბ) მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებს;
 - გ) ბიუჯეტებს (მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშების, უჩვეულო ან მოულოდნელ მუხლებზე შემოწმების შესაწყობისათვის);
 - დ) მთავარ წიგნს, მათ შორის, არსებით ჟურნალებს;
 - ე) გაყიდვებსა და შესყიდვის ჩანაწერებს ან ინვოისებს (კრედიტ-ნოტების ჩათვლით);
 - ვ) სახელფასო უწყისების ჩანაწერებს;
 - ზ) სალაროს წიგნებს.

შენიშვნა: არ არის იმის მოლოდინი რომ განხილული იქნება ყველა ზემოაღნიშნული ჩანაწერი – განხილულ უნდა იქნეს დამკვეთის გარემოებების ყველა შესაბამისი ჩანაწერი.

დოკუმენტურად აღნიშნული ჩანაწერების მიმოხილვა. კერძოდ, ხაზი გაუსვით აღნიშნული ჩანაწერების მომზადების თარიღს და იმას, თუ რამდენად ახლოა ეს თარიღი აუდიტორის ანგარიშის თარიღთან, ან საჭიროებს თუ არა აღნიშნული სამუშაო მომავალში გადახედვას.

მინიშნება სამუშაო ფურცლის ნომერზე ან კომენტარი

დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვა	მინიშნება სამუშაო ფურცლის ნომერზე ან კომენტარი
<p>2. მიმოხილეთ დირექტორთა/აქციონერთა და სხვა კომიტეტების კრების ოქმები საანგარიშგებო თარიღიდან და დაადოკუმენტირეთ ნებისმიერი ძირითადი მუხლები, რომლებიც საჭიროებს გასაჯაროებას ან ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების სახით შეტანას.</p>	
<p>3. განიხილეთ მთავარი წიგნის „მგრნობიარე“ ანგარიშებში არსებული ყველა გატარება, მათ შორის სამართლებრივ და პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და უჩვეული მუხლების ანგარიშები და მოიძიეთ შესაბამისი ახსნები.</p>	

განხილვები დამკვეთთან	მინიშნება სამუშაო ფურცლის ნომერზე ან კომენტარი
<p>1. დაადოკუმენტირეთ იმ პირ(ებ)ის ვინაობა, რომელთანაც განხილულ იქნა შემდგომი მოვლენები და აგრეთვე განხილვის თარიღი.</p> <p><i>შენიშვნა: თუ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობას შორის არ ხდება ურთიერთგადაფარვა, მაშინ ჩვეულებრივ საჭიროა დისკუსიის წარმართვა <u>ორივე</u> ორგანოს წარმომადგენლებთან.</i></p>	

დარწმუნდით, რომ დისკუსია მოიცავს შემდეგ სფეროებს (საჭიროების შემთხვევაში): ა)	
<p>ხელმძღვანელობის მიერ დაწესებულ პროცედურებს (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდგომი მოვლენების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რომელი საკითხების (მათი არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირება მოხდა ხელმძღვანელობის მიერ;</p>	
<p>ბ) ხელმძღვანელობის ან სხვა შეხვედრების ჩატარებას, მაგრამ როდესაც ჯერჯერობით კრების ოქმები დადოკუმენტირებული არ არის, შესაბამის შეხვედრებზე განხილული საკითხების შესახებ შესაბამისი პირების გამოკითხვას;</p>	
<p>გ) ნებისმიერი სახის სასამართლო სარჩელებთან დაკავშირებულ მოვლენებს/პერსპექტივებს (სამეურნეო სუბიექტის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ);</p>	
<p>დ) შეტანილ იქნა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ხდება თუ არა ისეთი ცვლილებების შეთავაზება, რომლებიც განმარტებით შენიშვნებში არამაკორექტირებელი მოვლენის სახით ასახვას მოითხოვს.</p> <p><i>აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ცვლილებას საბოლოო მაკონტროლებელ მხარეში, აქტივების</i></p>	

და ინვესტიციების მნიშვნელოვან გაყიდვებს ან შესყიდვებს, სტიქიურ მოვლენებს, დიდ სასამართლო პროცესებს ან აქტივების ფასებში ან უცხოური ვალუტის კურსებში არსებით ცვლილებებს.

- ე) მოხდა თუ არა ნებისმიერი სახის მოვლენა რისკის სფეროებთან ან გაუთვალისწინებელ გარემოებებთან დაკავშირებით;
- ვ) აღმოჩენილ იქნა თუ არა თაღლითობის ან შეცდომის ნებისმიერი სახის მტკიცებულება;
- ზ) მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა იდენტიფიცირებაც აუდიტორთა მიერ დამკვეთთა ჩანაწერების მიმოხილვის გზით მოხდა.

აუდიტის ფაილის დასრულება

აღნიშნულ სექციაში აგრეთვე დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ნებისმიერი სახის შესრულებული სამუშაო, შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის დაფარული ქვემოთ მოცემული საკითხებით.

1. მიმოხილეთ დამკვეთთან დაგეგმვამდე გამართულ შეხვედრაზე დაფიქსირებული შენიშვნები, აუდიტის დაგეგმვის მემორანდუმი და ინსტრუქტაჟისათვის გაკეთებული შენიშვნები, რათა დარწმუნდეთ, რომ ნებისმიერი შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული შენიშვნა, სათანადოდ იქნა გათვალისწინებული.
2. განიხილეთ, ხომ არ აჩვენა ფიზიკური დადასტურების ან რომელიმე სხვა აუდიტორულმა პროცედურამ, რომ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულიდან განადგურებულია რომელიმე ძირითადი საშუალება ან მნიშვნელოვნად შეიცვალა რომელიმე სახის საოპერაციო შესაძლებლობები.
3. გადახედეთ ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც შესრულდა არამატერიალური ფიქსირებული აქტივების, ძირითადი საშუალებების ან ინვესტიციების (მათ შორის, საკუთრების) შეფასებისას მიზნით. დაფიქრდით, ხომ არ მიიღო დამკვეთმა რაიმე სახის შეფასებები ან ანგარიშები, რომლებშიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ასახულ ღირებულებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გადახრები ფიქსირდება.
4. დაფიქრდით, მოხდა თუ არა მარაგების გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან, რომელსაც „ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე“ გავლენის მოხდენა შეეძლო.

ინიციალი და თარიღი	მინიშნება სამუშაო ფურცლის ნომერზე ან კომენტარი
	Ac8 Ac14 Ac18
	C/E
	B/C/D/G
	E

5. დაფიქრდით, მიღებულ იქნა თუ არა ნებისმიერი სახის შემდგომი ინფორმაცია, რომელსაც გავლენა შეეძლო მოეხდინა შემოსავლის აღიარებაზე/ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შედეგად მიღებულ მოგებაზე.
6. განიხილეთ შედეგები, რომლებიც წარმოიშობა მსხვილი დებიტორის გადახდისუუნარობის, ან მათთან პრობლემური დებიტორული დავალიანების არსებობის პირობებში, შესაფერისი მოლაპარაკებების წარმოების შემთხვევაში და რა გავლენას მოახდენს აღნიშნული დავალიანების სრულად ანაზღაურებაზე, ან თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დებიტორული დავალიანების ნაშთი რომლებიც ჯერ კიდევ გადაუხდელია, სამუშაო არსებითობის დონეს აღემატება.
7. განიხილეთ, მიღებულ იქნა თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია შვილობილ კომპანიებთან, ერთობლივ საწარმოებთან, ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებთან, ერთობლივად კონტროლირებად აქტივებთან ან მეკავშირე საწარმოებთან მიმართებაში, რომელსაც შეუძლია ამ ინვესტიციებზე ისეთი გავლენის მოხდენა, რომ ისინი და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.
8. მოითხოვეთ ან გააფართოვეთ წინა ზეპირი ან წერილობითი კითხვარები, სამეურნეო სუბიექტის იურიდიული მრჩეველებისაგან, სასამართლო პროცესთან, სარჩელებთან ან დავებთან დაკავშირებით.
9. განიხილეთ ჩვენი პრაქტიკის ამსახველი მიმოწერა და საგადასახადო ფაილები/საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდის საქალაქდები უჩვეულო მუხლებზე.
10. განიხილეთ, საჭიროა თუ არა ინფორმაციის გასაჯაროება საგადასახადო განაკვეთებთან ან საგადასახადო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც ძალაშია, ან გამოცხადებულია შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის, რომლებსაც არსებითი გავლენა ექნებოდათ მიმდინარე ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებაზე/აქტივზე.
11. განიხილეთ, მოითხოვს თუ არა ჟურნალში შეტანილი საბოლოო კორექტირებები, ფინანსური ანგარიშგებაში დამატებით გასაჯაროებას.
12. განიხილეთ ნებისმიერი სახის მომხდარი მოვლენა, ან მოვლენები, რომლებიც შესაძლოა განვითარდეს, აყენებს თუ არა კითხვის ნიშნის ქვეშ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მართებულობას, მათ შორის, უწყვეტობის პრინციპზე ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველს.

	E/F/O
	F
	D
	N
	U3
	Aa3b

13. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ნებისმიერი სახის მაკორექტირებელი შემდგომი მოვლენების, დარწმუნდით, რომ გადაიხედა და შეიცვალა (საჭიროების შემთხვევაში) არსებობის და სამუშაო არსებობის გათვლები; და შემდეგ თავიდან გადახედეთ აუდიტის დაუკორექტირებულ შეცდომებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით შეცდომებს.
14. დარწმუნდით, რომ ოფიციალურ წერილში შეტანილია შესაბამისი აბზაცი.

	Ac13 Aa11
	Aa4

თავდაპირველად გაკეთებული დასკვნა:

* წაშალეთ, საჭიროების შემთხვევაში

ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ დადგინდა, რომ:

არ მომხდარა არავითარი მნიშვნელოვანი მოვლენები.*

ზემოაღნიშნული შემდგომი მოვლენები ადეკვატურად აისახა*/არ აისახა* ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინამდებარე მიმოხილვაში ხაზგასმული მნიშვნელოვანი მოვლენები, მათ შორის, დამკვეთთან არსებული ნებისმიერი სახის უთანხმოება მიწოდებულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის, მიერ ჯეროვანი ყურადღების გამახვილების მიზნით და ასახულია ბარათზე

მომზადებულია: _____ თარიღი: _____

მიმოხილულია: _____ თარიღი: _____

საბოლოო დასკვნა:

შემდგომი მოვლენების პირველად მიმოხილვასა და აუდიტორის ანგარიშის ხელმოწერას შორის მნიშვნელოვანი დაყოვნების* არსებობის შემთხვევაში:

- საჭიროა შემდგომი მოვლენების დეტალურად თავიდან მიმოხილვა აღნიშნულ თარიღამდე;
- უნდა მოხდეს დაყოვნების მიზეზის განხილვა, ვინაიდან იგი შეიძლება მიუთითებდეს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებულ პოტენციურ პრობლემებზე; და
- დაყოვნების გამამართლებელი მიზეზის არარსებობის შემთხვევაში, გადახედეთ და განაახლეთ ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული მიმოხილვა.

* ის, თუ ზუსტად დროის რა პერიოდი მიიჩნევა „მნიშვნელოვან დაყოვნებად“ არ არის განსაზღვრული, მაგრამ დაყოვნება, რომელიც აღემატება სამ თვეს, სავარაუდოდ, იმას ნიშნავს, რომ შემდგომი მოვლენების მიმოხილვა თავიდან უნდა შესრულდეს.

თავდაპირველი მიმოხილვა შესრულდა აუდიტორის ანგარიშის შემოთავაზებულ თარიღთან საკმაოდ ახლოს და არ მოითხოვს სამუშაოს გადახედვას. *

თავდაპირველი მიმოხილვა განახლდა _____ (ჩასვით თარიღი). შესრულებული სამუშაო მითითებულია ქვემოთ:*

ზემოაღნიშნული პროცედურების მიმოხილვის შედეგად ვაცხადებ, რომ:

კმაყოფილი ვარ, რომ არავითარი შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა თავდაპირველი მიმოხილვასა, რაც დოკუმენტურად დასაბუთებულია ზემოთ მოცემულ დასკვნაში, და _____ შორის (საბოლოო მიმოხილვის თარიღი) *

მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები განმარტებულია ზემოთ, განხილულ იქნა აუდიტორული გარიგების პარტნიორთან და ადეკვატურად ასახული/გასაჯაროებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. *

მომზადებულია: _____ თარიღი: _____

მიმოხილულია: _____ თარიღი: _____

შენიშვნა: თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდგომ აღმოჩენილი იქნება საკითხი, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს გამოთქმული მოსაზრება, გაითვალისწინეთ შემდეგი (ასს 560.10):

- განიხილეთ აღნიშნული საკითხი ხელმძღვანელობასთან;
- გადახედეთ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მიიღეთ შესაბამისი ზომები.

დამკვეთი:	მომზადდა:	თარიღი:
საანგარიშგებო პერიოდი:	შემოწმდა:	თარიღი:

ფუნქციონირებადი საწარმოს საკონტროლო კითხვარი

მიზანი: უზრუნველყოფილ იქნეს ფუნქციონირებადი საწარმოს ძირითადი კონცეფციის სრულად გათვალისწინება და ასს 570- ის მოთხოვნების შესრულება.

მიმოხილვა: ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პირობებში, სამეურნეო სუბიექტი განიხილება როგორც საწარმო, რომელსაც უახლოეს მომავალში საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა გააჩნია. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მანამ, სანამ მენეჯმენტი არ გადაწყვეტს საწარმოს ლიკვიდაციას ან შეწყვეტოს ოპერაციების განხორციელება, ან ამისათვის რეალური ალტერნატივა არ გააჩნია (ასეთ პირობებში ფინანსური ანგარიშგება მზადდება სალიკვიდაციო საფუძველზე).

1-ლი ნაწილი - დისკუსია დამკვეთთან, ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ:

1. დამკვეთთან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების განხილვის თარიღ(ებ)ი;
2. დისკუსიაში მონაწილე აუდიტის ჯგუფის წევრების სახელები;
3. დისკუსიაში მონაწილე სამეურნეო სუბიექტის წარმომადგენელი პირის (პირების) სახელები;
4. *ეს უნდა მოიცავდეს „მმართველობაზე პასუხისმგებელ პირსა (მაგ., კომპანიის დირექტორი) და ხელმძღვანელობის წარმომადგენელ პირებს. მაშინ, როდესაც მრავალი ორგანიზაციისთვის „მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები“ იგივე ხელმძღვანელობა იქნება, იქ, სადაც Ac2-ი განსაზღვრავს, რომ ეს ასე არ არის, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული განხილვები, ორივე ჯგუფთან განხორციელდეს.*
5. მოამზადა თუ არა კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტთვიან პერიოდზე ოფიციალური პროგნოზები ან მსგავსი ტიპის გათვლები?
6. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ მოუმზადებია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტთვიან პერიოდზე ოფიციალური პროგნოზები ან მსგავსი ტიპის გათვლები, დაადოკუმენტირეთ დამკვეთის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული მსჯელობის ბუნება და შინაარსი.
7. *ეს შეფასება შეიძლება მოიცავდეს:*
8. *ფორმალურ კვარტალურ ბიუჯეტებს, რომლებიც, ძირითადად, შემდგომი პერიოდის არაფორმალურ შეფასებას ემყარება;*
9. *არაოფიციალურ შეფასებას, განმეორებითი შესყიდვებისა და ხარჯების დონის მოლოდინის სახით, მნიშვნელოვანი შეკვეთების შესრულების ვადებს, საბრუნავი კაპიტალის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვან სამომავლო „ერთჯერად“ ხარჯებს და სხვა.*

[დაახ / არა]

10. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ან ხელმძღვანელობას აქვთ თუ არა რაიმე სახის შეშფოთების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან დაკავშირებით?
11. თუ პასუხია „დიახ“, დამხმარე სამუშაო ბარათზე აღწერეთ დამკვეთის პრობლემები და მათი მნიშვნელობა.

[დიახ / არა]

მე-2 ნაწილი - აუდიტორის შეფასება - ზოგადი მოსაზრებები:

1. თუ კომპანიამ მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, მოიპოვეთ მისი ასლი, ასევე ის მტკიცებულებები და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასეთი შეფასებებისა და პროგნოზების საფუძველი გახდა. განიხილეთ, არის თუ არა სამეურნეო სუბიექტის მოლოდინი რეალისტური და შეიძლება თუ არა დადასტურებული იყოს ფაილში დაცული რომელიმე სხვა მტკიცებულებებით. განსაკუთრებით, ნებისმიერი ბიუჯეტი და სამომავლო პროექციები შეადარეთ მომდევნო პერიოდის ხელმძღვანელობის ანგარიშებს, განიხილეთ გაკეთებული დაშვებების საფუძვლიანობა და ის, თუ ისტორიულად რამდენად სანდოა მმართველობითი ინფორმაცია;
2. თუ დამკვეთს არ გაუკეთებია ფუნქციონირებადი საწარმოს ოფიციალური შეფასება, ან ეს შეფასება არ მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულიდან თორმეტვიანი პერიოდს, განიხილეთ, არის თუ არა ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასება დადასტურებული სხვა ფაილში არსებული მტკიცებულებებით. დაადოკუმენტირეთ, საკმარისია თუ არა ასეთი „არაოფიციალური“ შეფასება, ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით გამოვლენილი რისკის გათვალისწინებით?
3. დადასტურეთ, რომ სამეურნეო სუბიექტმა განიხილა (ოფიციალურად ან არაოფიციალურად) საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტვიანი პერიოდი;
4. მიმოიხილეთ აუდიტის ფაილში არსებული შესაბამისი დოკუმენტები და დარწმუნდით, რომ ისინი ამყარებენ (ან არ ეწინააღმდეგებიან) დამკვეთის მიერ გაკეთებულ დაშვებას, ფუნქციონირებად საწარმოსთან მიმართებაში;
 - დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის მომავალში განსახორციელებელი პუნქტები, დამკვეთთან წინასწარი მოლაპარაკებები; წინასწარი ანალიზური პროცედურები, გარეგების გეგმა და შენიშვნები ინსტრუქტაჟისათვის (ნაწილი Ac);
 - შემდგომი მოვლენების მიმოხილვა [Aa3a];
 - ასს-თან შესაბამისობის მიზნით მომზადებული კრიტიკული საკითხების მემორანდუმის მიმოხილვა/მნიშვნელოვანი საკითხები [Aa7];
 - საბოლოო ანალიზური პროცედურები, მათ შორის, მოგებიანობის, ლიკვიდურობისა და კომპანიის ვალისა და კაპიტალის თანაფარდობა, ძირითადი მაჩვენებლების შესახებ [Aa10];
 - საბანკო ხელშეკრულებების მიმოხილვა [I განყოფილება];
 - პირობითი ვალდებულებების მიმოხილვა [L განყოფილება]; და
 - დირექტორთა და აქციონერთა საბჭოს სხდომების მიმოხილვის შედეგები [M განყოფილება].

კომენტარები/ მითითება სამუშაო დოკუმენტზე

5. გაითვალისწინეთ, არის თუ არა დამკვეთის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პოტენციური პრობლემების გამოვლენის მიზნით ჩატარებული პროცედურები (საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით) შესაბამისი აღნიშნული სამეურნეო სუბიექტისთვის;
6. მოიპოვეთ წერილობითი დასტური დამკვეთისგან, რაც ადასტურებს, რომ სამეურნეო სუბიექტი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და (საჭიროებისამებრ) განხილულია საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე ერთწლიანი პერიოდი;

Aa4

ნაწილი 3ა - აუდიტორის შეფასება - განსაკუთრებული მსჯელობის საკითხები:

აღნიშნული ნაწილის შევსება არასავალდებულოა მანამ, სანამ პირველ ან მეორე ნაწილში არ გამოვლინდება ფუნქციონირებადი საწარმოს პრეზუმციასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემები.

1. თუ სამეურნეო სუბიექტმა უზრუნველყო დაკავშირებულ მხარეთა გარანტიები, შეამოწმეთ ამ სამეურნეო სუბიექტის ან პირების ფინანსური სიჯანსაღის სტატუსი, რათა დარწმუნდეთ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, შესაბამისი პასუხისმგებლობის შემთხვევა დადგეს, და იმ შემთხვევაში, თუ დადგება, აღნიშნული არ იქნება არსებითი სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსისათვის.
2. თუ სამეურნეო სუბიექტი დამოკიდებულია ძირითად დამკვეთებზე ან ძირითად მომწოდებლებზე (რომელიც არ შეიძლება ადვილად იქნეს ჩანაცვლებული), დაკავშირებულ მხარეთა ჩათვლით, არსებობს რაიმე მინიშნება იმაზე, რომ სავაჭრო ურთიერთობები საფრთხის ქვეშ იმყოფება ან ხომ არ არის საფრთხის ქვეშ შესაბამისი ბიზნესპარტნიორი მხარის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი?
3. თუ სამეურნეო სუბიექტი დამოკიდებულია ძირითად თანამშრომლებზე (რომელთა შეცვლა ადვილად შეუძლებელია), ხომ არ არსებობს მათი ორგანიზაციიდან წასვლის რაიმე ნიშნები?
4. თუ სამეურნეო სუბიექტი იჯარით აღებული ქონების საბოლოო ეტაპზეა, ხომ არ იკვეთება ნიშნები, რომ შესაფერისი ქონება შეიძლება ვერ მოიძებნოს, ან ხომ არ გახდის იჯარის მოცულობა კომპანიას არასიცოცხლისუნარიანს?
5. იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია დამოკიდებულია დაკავშირებული მხარისაგან მიღებულ დაფინანსებაზე, მიღებულ იქნა თუ არა ფინანსური მხარდაჭერის შესახებ წერილი და შეფასდა თუ არა შესაბამისი დაკავშირებული მხარის შესაბამისი ფინანსური რესურსები, რომლებიც მას კლიენტის უახლოეს მომავალში მხარდაჭერის საშუალებას მისცემს?
6. განიხილეთ ნებისმიერი სხვა კონკრეტული საკითხი, რომელიც გავლენას მოახდენს დამკვეთის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსზე, მაგალითად:
 - დამკვეთის წინააღმდეგ პოტენციური სადავო სამართალწარმოება ან მარეგულირებელის ქმედება;
 - სამთავრობო პოლიტიკისა (როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი) და საკანონმდებლო ცვლილებები;

კომენტარები/ მითითება სამუშაო დოკუმენტზე

- ცვლილებები ადგილობრივი დაგეგმვის კანონმდებლობაში, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს დამკვეთზე; და
 - ტექნოლოგიური პროგრესი და შესაბამისი ცვლილებები ბაზარზე, რომლებმაც დამკვეთის პროდუქცია და მომსახურება შეიძლება არაკონკურენტული და მოძველებული გახადოს.
7. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო სუბიექტისთვის საბანკო დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია და საბანკო შეთანხმებები ისევ ძალაშია, დარწმუნდითასეთი შეთანხმების პირობების - (იმ შემთხვევაში თუ ისინი უკვე არ არის შეტანილი ფაილში) - დაცვა სრულყოფილად იქნა შეფასებული, ხოლო საბანკო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შემთხვევაში, განხორციელდა ბანკისშემდგომი განზრახვებისა და გეგმების დადასტურება.

ნაწილი 3 ბ - აუდიტორისშეფასება - გასაჯაროებული ინფორმაციის განხილვა:

1. არანაირი არსებითი განუსაზღვრელობა:

თუ გამოვლინდა ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნარში, საქმიანობაგანაგრძოს როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, მაგრამ აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტორი დაასკვნის, რომ არა ხდება არსებითი განუსაზღვრელობა, გაკეთდა თუ არა შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება აღნიშნული მოვლენების ან პირობების შესახებ?

თუ აუდიტორი ასკვნის, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება საფუძვლიანია და არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს, აუდიტორს განსაკუთრებულ შემთხვევებში მოეთხოვება აუდიტორის ანგარიშში ასეთ საკითხებზე ინფორმირება.

2. არსებითიგანუსაზღვრელობა:

იმ შემთხვევებში, თუიდენტისფიცირებულ იქნა მოვლენები და პირობები, რაცფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს, გასაჯაროებული იქნა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებში ადეკვატური ინფორმაცია?

ფინანსურ ანგარიშგებაში გასაჯაროებულიუნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) ადეკვატურად უნდა გაიხსნას ინფორმაცია, იმ ძირითადი მოვლენებისა ან პირობების შესახებ, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნარში, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ასევეგასაჯაროებულიუნდა იყოსინფორმაცია მენეჯმენტის იმ გეგმებისა და ქმედებების შესახებ, რომლებსაც მათთან დაკავშირებით გეგმავენ; და


ბ) მკაფიოდ განიმარტოს, რომ სახეზეა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს როგორც

კომენტარები/ მითითება სამუშაო დოკუმენტზე

ფუნქციონირებადმა საწარმომ და,შესაბამისად, მან შეიძლება ვერ შეძლოს თავისი აქტივების რეალიზება და ვალდებულებების შესრულება, მისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

თუ გაკეთდა სათანადო განმარტებითი შენიშვნები, აუდიტორის მოსაზრება უნდა იყოს არამოდიფიცირებული, თუმცა, აუდიტორის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცალკე ნაწილს ქვესათაურით „ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა.“

იმ შემთხვევაში, თუ არ გაკეთდა ადეკვატური ინფორმაციის გასაჯაროება, აუდიტორმა უნდა გამოთქვას ან პირობითი მოსაზრება ან უარყოფითი მოსაზრება, ასს 705-ის შესაბამისად.



მე-4 ნაწილი - დასკვნის გამოტანა

იქ, სადაც იდენტიფიცირებულ იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს პრეზუმციასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემები, შეაჯამეთ შესაბამისი საკითხები და გადაწყვეტილებები:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული პრობლემები	მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება/ მითითება სამუშაო დოკუმენტში

შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, რომელიც აღწერილი ზემოთ, მიმაჩნია, რომ:

- ფინანსური ანგარიშგება სწორად არის მომზადებული იმ ბაზაზე, რომელიც იმ შემთხვევებში გამოიყენება, რომელთა დროსაც საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობა დაცული არ არის.*
- ფუნქციონირებადი საწარმოს კონცეფციის კლიენტის მიერ გამოყენება სწორია/არ არის სწორი;
- არარსებობს საკითხები/ არსებობს საკითხები/ არ არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები* კლიენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშგებისათვის დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საჭიროებს*/არ საჭიროებს* დამატებით ინფორმაციას, ფუნქციონირებადი საწარმოს კონცეფციასთან დაკავშირებით.

აუდიტორის ანგარიში უნდა იყოს მოდიფიცირების გარეშე*/მოდიფიცირების გარეშე, აბზაცით „არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით“*/ მოდიფიცირებული, ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო.*

(აუდიტორის ანგარიშში პირობითი მოსაზრების ან აბზაცის სახელად „არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით“ არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნა თუ არამარეგულირებელი ორგანოსათვის შესაბამისი ანგარიშის მომზადების აუცილებლობა.

(წაშლეთ, საჭიროებისამებრ)*

ხელმოწერილია:

[აუდიტორული გარიგების პარტნიორი] თარიღი:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის ფინანსურ ანგარიშგებებზე და აუდიტორის ანგარიშზე გავლენასთან დაკავშირებით, დეტალური მითითებები მოცემულია სახელმძღვანელოს მესამე თავის 5.4 პუნქტში, ასევე, ასს 570-ში.

ოფიციალური წერილის რეკომენდებული ნიმუში

წინამდებარე წერილი უნდა იყოს კონკრეტულ გარემოებებთან ადაპტირებული და, შეძლებისდაგვარად, დამკვეთის ტიტულიან ბლანკზე მომზადებული წერილის პირველივე გვერდზე მითითებულ უნდა იყოს კომპანიის რეგისტრირებული სახელი, სარეგისტრაციო ნომერი, კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართი, კომპანიის რეგისტრაციის ქვეყანა.

თუ კლიენტს არ აქვს ტიტულიანი ბლანკი, ეს ინფორმაცია მაინც უნდა იქნეს წარმოდგენილი. მუქი შრიფტით გამოყოფილი ნაწილები სავალდებულოა (ასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად). ყველა სხვა ნაწილის შეტანა მკაცრად რეკომენდებულია, სიტუაციიდან გამომდინარე.

[აუდიტორთა სახელები]

[აუდიტორთა მისამართი]

[თარიღი]

(ჩვეულებრივ, აუდიტორის ანგარიშის თარიღი)

(ქალ)ბატონებო

ოფიციალური წერილი [საანგარიშგებო პერიოდი] წლის [თარიღი]-თ დასრულებული წლისათვის

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე პერსონალის გამოკითხვას და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებს, რომელიც ჩვენთვის საკმარისია, იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვიძლია სათანადოდ წარგიდგინოთ იმ აუდიტთან დაკავშირებული თითოეული განმარტება, რომელიც მოიცავს [საანგარიშგებო პერიოდი] წლის [თარიღი]-თ დასრულებულ წელს.

ვაცნობიერებთ ჩვენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თქვენთვის აუდიტორული ინფორმაციის გაცნობასთან დაკავშირებით და ვადასტურებთ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გჭირდებოდეთ, თქვენი აუდიტორის ანგარიშის მოსამზადებლად. თითოეულმა დირექტორმა განახორციელა ყველა ის ქმედება, რომელიც მას როგორც დირექტორს უნდა განეხორციელებინა, შესაბამისი აუდიტორული ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობის კუთხით, ასევე იმისათვის, რომ შესაბამის შემთხვევაში თქვენთვის ცნობილი გამხდარიყო ყველა ასეთი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება:

1. ვადასტურებთ, რომ, როგორც დირექტორებმა შევასრულეთ (--- ის კანონმდებლობით) გათვალისწინებული ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა (--- ის კანონმდებლობით) გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან მიმართებაში და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ([მიუთითეთ კანონი]), რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე ამ თარიღით დასრულებული პერიოდის საქმიანობის შედეგების შესახებ უტყუარ და სამართლიან სურათს, რაც, თავის მხრივ, თქვენთვის ზუსტი განმარტებების გაკეთების საშუალება გვაძლავს. ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავამტკიცეთ წლის საბოლოო ფინანსური ანგარიშგება [საანგარიშგებო პერიოდი] წლის [თარიღი]-თ დასრულებული წლისათვის;
2. ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკები და გაკეთებული შეფასებების ტექნიკა (მათ შორის, მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასების დასადგენად გამოიყენება), რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას

გამოიყენება, ყველაზე შესაფერისია იმ პირობებში, რომლებშიც კომპანია საქმიანობს. ყველაზე მეტად შეესაბამება იმ გარემოებებს, რის მიხედვითაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას;

3. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებული შემთხვევებისა, კომპანიას არ დაუდია რაიმე სახის გარიგება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დირექტორები, ოფიცრები ან სხვა დაკავშირებული მხარეები, რომელიც მოითხოვს გასაჯაროებას [მიუთითეთ კანონმდებლობა]-ის, ან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება მოხდა, კომპანიის კონტროლთან დაკავშირებით;
4. ჩვენ გაგიძხილეთ ყველა ცნობილი ან შესაძლო/მოსალოდნელი სასამართლო პროცესის ან საჩივრის შესახებ ინფორმაცია, რომელთა შედეგები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და გაცხადებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
5. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის საბრუნავი კაპიტალისა და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად მინიმუმ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე ან მის შემდეგ;
6. საანგარიშო თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი ხდომილებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან მასში განმარტებით შენიშვნათა შეტანას საჭიროებს. თუ არსებითი მოვლენები განვითარდება, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან მასში განმარტებითი შენიშვნების შეტანას, დამატებით მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციას.
7. ჩვენ ვადასტურებთ, რომ განვიხილეთ დაუკორექტირებელი უზუსტობები, რომელთა შესახებაც გვაცნობთ და რომლებიც წარმოდგენილია ამ წერილის დანართში. მიგვაჩნია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული კორექტირებისათვის გასაწევი ხარჯები აღემატება ნებისმიერ სარგებელს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებელმა შეიძლება მათი გათვალისწინების შედეგად მიიღოს. შეუსწორებელი უზუსტობების საერთო ეფექტი არსებითი არ არის და არ მიგვაჩნია, რომ მათი ფინანსურ ანგარიშგებაში არასახვა, მის უტყუარობასა და სამართლიანობაზე გავლენას იქონიებს.

[ან]

ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების შესაბამისად, აუდიტის დროს არ გამოვლენილა რაიმე შეუსწორებელი უზუსტობები, ხოლო გამოვლენილი უზუსტობები კი მხოლოდ აშკარად ტრივიალურია.

8. ვადასტურებთ, რომ დავეთანხმეთ ამ წერილზე თანდართულ კორექტირებას, რომელიც შეტანილ იქნა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისა (ანგარიშგების) და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, რომელიც მოგაწოდეთ აუდიტისთვის.
9. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს გეგმები და ზრახვები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნებისმიერი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე.

[შემდეგი სამი პუნქტი მხოლოდ შესაბამის შემთხვევაში უნდა იქნეს შეტანილი:]

10. რაც შეეხება საპენსიო გეგმას დადგენილი გადახდებით, ჩვენ კმაყოფილები ვართ, რომ:
 - აქტუარული დაშვებები, რომლებიც შეფასების საფუძველია, შეესაბამება ბიზნესის შესახებ ჩვენს ცოდნას;
 - ყველა მნიშვნელოვანი საპენსიო გადახდები განსაზღვრულია და სათანადოდ არის აღრიცხული; და

➤ ყველა გადაწყვეტილება და შემცირებასთან დაკავშირებული საკითხი იდენტიფიცირებულია და სწორად არის აღრიცხული.

11. თუ არსებითი უზუსტობების არსებობის გამო, წინა პერიოდში კორექტირება მოხდა და შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის/ განმარტების წარდგენა (ასს 710.9.)
12. [დაურთეთ დამატებითი განმარტებითი ინფორმაცია იმ ახალი ან განახლებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესახებ, რომლებიც პირველად დაინერგა და ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა აქვს.]

წარმოდგენილი ინფორმაცია:

13. აუდიტის მიზნებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სათანადოდ იქნა აღრიცხული საბუღალტრო ჩანაწერებში. ჩვენ მოგაწოდეთ ყველა სხვა ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ და მოგეცით შეუზღუდავი წვდომა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ჩართულ პირებთან, რომელთანაც საჭიროდ მიიჩნიეთ გაგემართათ დისკუსია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ყველა სხვა ჩანაწერი და შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, ხელმძღვანელობისა და აქციონერთა ყველა შეხვედრის ოქმები.
14. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე გასაჯაროებული ინფორმაციისა, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის არსებითი ვალდებულებების, რეზერვების, პირობითი ვალდებულებების, პირობითი აქტივების ან კაპიტალურ ვალდებულებებზე დადებული კონტრაქტის შესახებ, რომლებიც წარმოდგენილი ან გასაჯაროებული უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში.
15. გააჩნია დამაკმაყოფილებელი საკუთრების უფლება ყველა აქტივზე და კომპანიის აქტივებზე არ ფიქსირდება გირაო ან რაიმე სახის დატვირთვა [გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც უკვე გასაჯაროებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში].
16. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის [მიუთითეთ ვალუტა].
17. იმ შემთხვევაში, როდესაც პორტფელში, რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული, საინვესტიციო ქონება თვითღირებულებით აღრიცხება, ან არსებობს აღურიცხავი ინვესტიციები (შვილობილ, მეკავშირე კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების გარდა), რომლებიც საწყისი ღირებულებით იქნა აღრიცხული; ვადასტურებთ, რომ სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, შემდეგი მიზეზების გამო [მიზეზები].
18. ვადასტურებთ, რომ მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური ფიქსირებული აქტივების ყველა არსებითი საკითხი და შევაფასეთ მათი ეფექტური სასიცოცხლო პერიოდისა და ნარჩენი ღირებულების გონივრულობა. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებების, არამატერიალური ფიქსირებული აქტივებისა და ინვესტიციების (გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულისა) ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი და გვჯერა, რომ [არ იყო საჭირო მიმოხილვის ჩატარება გაუფასურებასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები / გაუფასურების განხილვა საჭირო იყო და ამ განხილვის შედეგები მოწოდებული იქნა თქვენთვის].
19. ჩვენ ვადასტურებთ, რომ გაცნობეთ ყველა დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობისა და ჩვენთვის ცნობილი, შესაბამისი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ამ დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.
20. ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უზუსტობის ან თაღლითობის თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შიდა კონტროლის შექმნასა და დანერგვაზე და გაგიძლირებთ რისკის ჩვენებური შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს, თაღლითობის გამო. ჩვენთვის უცნობია რაიმე დარღვევების, მათ შორის თაღლითობის და საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომლებშიც ჩართულნი არიან ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან სხვა პირები,

რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა კონტროლში ან კომპანიის მიერ იმ დაქირავებულების შესახებ, სადაც თაღლითობას შესაძლებელია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების შესახებ.

21. ჩვენთვის არ არის ცნობილი წესდების, რეგულაციების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან კომპანიის წესდების დარღვევების ფაქტების ან შესაძლო დარღვევების შესახებ, რაც შესაძლებელია კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმების ან სხვა ზარალის მიზეზი გახდეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამობების ან დარღვევების შესახებ.
22. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების თანახმად, არ არსებობს ისეთი საკითხები, რის შესახებაც გსურთ ჩვენთან გამართოთ დისკუსია, თქვენი პროფესიის ეთიკური პრინციპების შესაბამისობის კუთხით, რომლებიც თქვენს დაგეგმვის წერილში მითითებულია, სხვა საკითხებთან ერთად. [თარიღი]

[ან]

ვადასტურებთ, რომ თქვენ მოგვაწოდეთ შემდეგი საკითხების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მითითებული იყო თქვენს დაგეგმვის წერილში და რომელთან დაკავშირებითაც ჩვენთან უნდა შედგეს კომუნიკაცია იმისათვის, რომ თქვენი პროფესიის ეთიკურ პრინციპებს შეესაბამებოდეთ:

- [ჩამოთვალეთ სხვა არააუდიტორული მომსახურებები, რომელთა გაწევაც ამჟამად ხდება;
- [ჩამოთვალეთ ინფორმირებული ხელმძღვანელობის წევრთან მიმართებაში ნებისმიერი სახის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები]; და
- [ჩამოთვალეთ დამკვეთის აქციების წილობრივ მონაწილეობაში ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები].

23. ჩვენ ვადასტურებთ თქვენი დაგეგმვის წერილის მიღებას [თარიღი] და ვადასტურებთ თქვენი ხელმძღვანელობის წერილის მიღებას [თარიღი].

[ან]

ვადასტურებთ თქვენს დაგეგმვის წერილის მიღებას [თარიღი] და ასევე ვადასტურებთ, რომ ინფორმირებულნი ვართ თქვენი შეტყობინების საშუალებით, რომ არ არსებობს ხელმძღვანელობის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები (რომლებიც მოიცავს, მათ შორის, შიდა კონტროლის მექანიზმების სისუსტეებს, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ კომენტარებს, შეფასების ტექნიკასა და ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებულ ინფორმაციას, ასევე აუდიტორული სამუშაოებისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი სირთულეების დეტალებს), რომელთა შესახებ გსურთ ჩვენი ყურადღება გაამახვილოთ.

პატივისცემით,

[სახელი]

ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით (მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები)

აღნიშნული ხელმოწერა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა განსხვავდება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისგან, როგორც ეს მითითებულია აუდიტორის საკონტროლო კითხვარის რეგულაციაში (ცალკეული წერილები შეიძლება მიჩნეულ იქნეს სათანადოდ, თუ სახეზეა მმართველობაზე პასუხისმგებელი პირების განმარტებები, როდესაც მმართველობაზე პასუხისმგებელი პირების კონფიდენციალურობის შენარჩუნება სურთ ხელმძღვანელობის წინაშე):

[სახელი]

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებთან, კონტროლთან, სააღრიცხვო პოლიტიკებთან და გასაჯაროებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემების კომუნიკაციის უნარებს

არსებობს დამატებითი მოთხოვნები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და უშუალოდ ხელმძღვანელობა განსხვავდება ერთმანეთისგან - აღნიშნული მოთხოვნები მოცემულია ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

წერილი ხელმძღვანელობას, ნიმუში - წამოჭრილი საკითხები



პირადად და კონფიდენციალური

დირექტორები

[კლიენტის სახელი]

[მისამართი]

[თარიღი]

(ქალ)ბატონებო

წერილი ხელმძღვანელობას

[თარიღი]-ით დასასრული [წლის/საანგარიშგებო პერიოდის] ფინანსური ანგარიშგება

შესავალი

ჩვენ მიერ ახლახან ჩატარებული [შუალედური/საბოლოო] აუდიტის შემდეგ,

[წლის/საანგარიშგებო პერიოდის]-ით დასრულებული [დამკვეთის სახელი]-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, გწერთ, რათა თქვენი ყურადღება იმ საკითხებს მივაპყროთ, რომლებიც ჩვენი მუშაობის მსვლელობისას გამოვლინდა. კომპანიის მიერ გამოყენებადი კონტროლისა და პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების მოწოდებასთან ერთად, ვიმედოვნებთ რომ ჩვენი შენიშვნები თქვენთვის სასარგებლო და კონსტრუქციული აღმოჩნდება.

აუდიტის დროს ჩვენი სამუშაო მოიცავდა კომპანიის გარკვეული ტრანზაქციების, პროცედურების [და კონტროლის] შემოწმებას [წლის/საანგარიშგებო პერიოდის], ფინანსური ანგარიშგების თაობაზე მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ეს სამუშაო არ იყო მიმართული უპირატესად თქვენს შიდა კონტროლის მექანიზმში სისუსტეების, მათი საოპერაციო ეფექტურობის გამოვლენისაკენ [გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს აუდიტორულ ანგარიშზე] ან თაღლითობის აღმოჩენისკენ. ეს წერილი მოიცავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენი ჩვეული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა და, შესაბამისად, ჩვენი შენიშვნები მიჩნეული არ უნდა იყოს, როგორც თქვენი შიდა კონტროლის მექანიზმში, ასევე თქვენი შიდა კონტროლის საოპერაციო ეფექტურობაში არსებული ყველა ხარვეზის ამომწურავი ჩამონათვალი, ასევე ყველა იმ სასიკეთო ცვლილების, რომელიც შეიძლება განხორციელდეს.

[მცირე ორგანიზაციები ან დამკვეთები, რომლებსაც მცირე ოდენობის თანამშრომლები ჰყავთ საბუღალტრო განყოფილებაში:

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თქვენი [საბუღალტერო] პერსონალის რაოდენობა შიდა კონტროლის მთლიან სისტემას პრაქტიკაში დანიშნულებისამებრ ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევს და დირექტორები [ან დანიშნული თანამდებობრივი პირები] ახორციელებენ ახლო უშუალო ზედამხედველობას, რაც, ჩვენი აზრით, აღნიშნულ გარემოებებში გონივრული გადაწყვე-

ტილებათ. ჩვენ გავითვალისწინეთ ზემოთ აღნიშნული საკითხები აუდიტის ჩატარებისა და ამ წერილის შედგენის პროცესში].

[მხოლოდ საბოლოო აუდიტი] ჩვენი სამუშაო ასევე მოიცავდა ფინანსურ ანგარიშგებაში გასაჯაროებული ინფორმაციის ადეკვატურობის შემოწმებას და კომპანიის მიერ გამოყენებული შეფასების ტექნიკებისა თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობის დადგენას. აღნიშნული შემოწმების საფუძველზე, არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც, ჩვენი აზრით, თქვენი ყურადღება უნდა მიგვეპყრო. [შეცვალეთ საჭიროებისამებრ].

შეჯამება

ჩვენი აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები მოცემულია დეტალებში [ქვემოთ] [თანდართულ მემორანდუმში]. [ინფორმაცია ნაკლები მნიშვნელობის საკითხებზე მითითებულია თანდართულ დანართში]. [თანდართული მემორანდუმი და დანართი ერთობლივად ამ წერილის ნაწილია.

[ჯგუფებისთვის ან მსხვილი ორგანიზაციებისთვის:

ჩვენ მიერ მომზადდა ცალკე მემორანდუმი თითოეული შვილობილი კომპანიისთვის, დივიზიონისათვის ან სხვადასხვა დონის ფუნქციონალური პასუხისმგებლობის სუბიექტისათვის, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი.

გვინდა თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მივაპყროთ შემდეგ საკითხებს:

[სამეურნეო სუბიექტის პრაქტიკის, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკების, სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებული ინფორმაციის არსებითი ხარისხობრივი ასპექტები.

ძირითადი საკითხების შემაჯამებელი ჩამონათალი:

1.

2 ა.შ.]

[აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილი მნიშვნელოვანი სირთულეები:

ძირითადი საკითხების შემაჯამებელი ჩამონათალი:

1. 1.

2. 2 ა.შ.]

აუდიტის შედეგად წარმოშობილი სხვა საკითხები [მათი არსებობის შემთხვევაში], რომლებიც, ჩვენი პროფესიული აზრით, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობის კუთხით.

ძირითადი საკითხების შემაჯამებელი ჩამონათალი:

1.

2. ა.შ.

[როდესაც ხელმძღვანელობისადმი მიწერილ წინა წერილებში არსებული საკითხები სრულად არ იქნა მოგვარებული:

ჩვენ წინა ჯერზე მოგმართეთ წერილობითი ფორმით [თარიღი(თარიღები)] ჩვენ მიერ [წლის/საანგარიშგებო პერიოდის] დასასრულს [თარიღი] ჩვენი [შუალედური/საბოლოო აუდიტის [აუდიტების] ჩატარების შემდგომ. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ბევრი საკითხი იმათგან, რომლებიც ჩვენ მიერ წინა ჯერზე იქნა წამოწეული, დამაკმაყოფილებლად მოგვარდა [თუმცა,ძალიან ვაფასებთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ყურადღებით განიხილავთ [კონკრეტულ

რეკომენდაცია(ებ)ს და მათ შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს]].

[მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებზეც თქვენი ყურადღება წინა აუდიტისას გავამახვილეთ, რომელთა დამუშავებაც, ჩვენი აზრით, თქვენი მხრიდან ეფექტურად არ მომხდარა, შეჯამებულია შემდეგი ფორმით:

თემა/საკითხი	წერილის თარიღი	მითითება შესაბამის პარაგრაფზე

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხები ხელახლა დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი]:

დასკვნის გამოტანა

დამატებითი ინფორმაციის ან დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მოხარული ვიქნებით დაგეხმაროთ.

მადლიერი დავრჩებით, თუ დაგვიდასტურებთ აღნიშნული წერილის მიღებას და მოუთმენლად ველით თქვენგან შესაბამისი კომენტარების მიღებას, მას შემდეგ რაც ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხების განხილვის შესაძლებლობას გამონახავთ. [თქვენ განაცხადეთ თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული წერილის შინაარსთან მიმართებით კომპანიის მიერ ოქმი შედგება, მას შემდეგ, როცა საბჭოს მიერ მისი სათანადო განხილვა მოხდება].

აღნიშნული წერილი განკუთვნილია მხოლოდ თქვენი პირადი სარგებლობისთვის. იგი შედგენილ იქნა იმ პირობით, რომ არ მოხდება მისი ნებისმიერი მესამე მხარისთვის გამჟღავნება, მასში მოყვანილი საკითხების ციტირება ან მოხსენიება, ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე; და ჩვენ არ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მხარესთან.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენს პერსონალს, ჩვენი მუშაობის დროს გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. ამ წერილის შინაარსი ჩვენ მიერ განხილილულ იქნა და დამტკიცდა [დამკვეთის ოფიციალური წარმომადგენელი პირის (პირების) სახელი) -ის მიერ, [თარიღი]-ში.

პატივისცემით,

.....

ხელმოწერილია [აუდიტურიფირმა]-ის სახელით

შენიშვნები:

1. „დირექტორთა საბჭოს“ [ან სხვა ექვივალენტური ორგანოს] მისამართით გაგზავნილი ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილს შეიძლება თან ახლდეს კლიენტის იმ თანამდებობრივი პირისათვის მომზადებული არაოფიციალური წერილი, რომელთანაც მისი შეთანხმება მოხდა, მისი შემდგომი განაწილებისა და მასზე პასუხის მიღების უზრუნველყოფის მიზნით, მაგალითად კომპანიის მდივანი, ფინანსური დირექტორი და სხვა.
2. ხელმძღვანელობის წერილების დადასტურებისა და ოქმში ჩაწერის პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

3. მნიშვნელოვანია წინასწარ შესაბამისი ზომების მიღება, რომ დამკვეთს წინასწარ განემარტოს და მასთან განხილულ იქნეს პასუხისმგებლობის მასშტაბის ამსახველი პარაგრაფი. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც სიტყვიერი თანხმობა ინფორმაციის გახსნაზე, უფრო მეტად პრაქტიკული იყოს განხორციელების თვალსაზრისით და (შესაბამისად სასურველი), ვიდრე წერილობითი თანხმობა.

დამატებითი მოთხოვნები იმ შემთხვევისათვის, როდესაც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და ხელმძღვანელობა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ქვემოთ მოყვანილია კომუნიკაციასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები, როდესაც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და ხელმძღვანელობა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რომლებსაც შესაძლოა ეცნობოთ „კომბინირებული“ დოკუმენტის მეშვეობით, ან შესაძლოა ეცნობოთ ცალკეული დოკუმენტების საშუალებით, ცალ-ცალკე მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და ხელმძღვანელობას:

- ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეცნობება ხელმძღვანელობას, ასევე უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსაც (ასს 260.16 (გ));
- თუ ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა შეცდომების შესწორება, ასეთი შესწორებული შეცდომების შესახებ უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსაც (ასს 450.ა23-1);
- როდესაც ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა აუდიტორს დასტურის წერილის გაგზავნაზე ნებართვის მიცემაზე, მაგალითად დებიტორული დავალიანების დადასტურების მიზნით ჩასატარებელი ცირკულარიზაციის პროცედურა (რომელი უარიც აუდიტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია) და როდესაც ალტერნატიული პროცედურების შესრულება შეუძლებელი იყო (ასს 505.9).
- აუდიტის მსვლელობისას, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები (ასს 550.27); და
- ისეთი გამოვლინილი შემთხვევები ან გარემოებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვები გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, ფუნქციონირება განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ხომ არ ქმნის აღნიშნული შემთხვევები ან გარემოებები არსებით განუსაზღვრელობას;
 - მართებულია თუ არა მოცემული კლიენტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება;
 - ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროების ადეკვატურობა; და
 - შესაბამის შემთხვევაში, აუდიტორის ანგარიშზე გავლენას. (ასს 570.25).

დამკვეთი:	მომზადდა:	თარიღი:
საანგარიშგებო პერიოდი:	შემოწმდა:	თარიღი:

**„წერილი ხელმძღვანელობის“ სამუშაო ფურცელი
[შუალედური/საბოლოო აუდიტი]**

ბარათის მითითება	იდენტიფიცირებული საკითხები ①	დამკვეთის შენიშვნები	რეკომენდაციები	ჩართული უნდა იყოს ხელმძღვანელობის წერილში ② დიახ/არა	მომდევნო აუდიტის ვიზიტისას, წინა აუდიტის დროს მონიშნული საკითხების შემოწმების შედეგები

- ① აღნიშნული უნდა ფარავდეს სააღრიცხვო სისტემასა და კონტროლის გარემოში არსებულ სისუსტეებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ ასპექტებს და დამკვეთის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა თუ შეფასების მეთოდების სათანადოობას.
- ② ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ასახული უნდა იყოს წერილში ხელმძღვანელობის მიმართ. სხვა საკითხებთან მიმართებაში, საკმარისი იქნება ვერბალური კომუნიკაციაც. იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი საკითხები არ არსებობს, ეს შეიძლება დადასტურებული იყოს ხელმძღვანელობის „ნებაყოფლობითი“ წერილით ან ალტერნატივის სახით, ხელმძღვანელობის წარმომადგენლობის (ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის ამსახველ) წერილში შესაძლებელია მიეთითოს, რომ არ არსებობს ხელმძღვანელობის წერილის მომზადებისა და მოწოდების აუცილებელობა - თუმცა, ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათობაა, როდესაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება ხდება.

დამკვეთი:	მომზადებულია:	თარიღი:
პერიოდი:	განხილულია:	თარიღი:

**ასს-თან შესაბამისობის კუთხით კრიტიკული საკითხების
მემორანდუმი**

მიზანი

ასს-თან შესაბამისობის უზრუნველყოფა აუდიტის კრიტიკული საკითხების შეჯამებით და მათი გადაჭრის გზების დოკუმენტირებით. საბოლოო ანალიზურ პროცედურებთან ერთად წაკითხვისას, წინამდებარე მემორანდუმის შევსებამ აუდიტორული გარიგების პარტნიორი უნდა უზრუნველყოს, შესაბამისი აუდიტის დავალების შესრულებისას წამოჭრილი, ყველა ძირითადი საკითხის შემაჯამებელი ჩამონათვალით.

ჩაწერების გაკეთება

ეს ფორმა უნდა შეივსოს და შეიცავდეს თავდაპირველი დაგეგმვის დოკუმენტაციაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებს, შესაბამისი მნიშვნელოვანი რისკების საპასუხო ქმედებებს აუდიტის მსვლელობისას და ასს-ების მიერ მოთხოვნილ სხვა კონკრეტულ საკითხებს. აღნიშნული ფორმის პირველი 3 გვერდის გამოყენება სავალდებულოა.

თუ აუდიტორული გარიგების პარტნიორს სურს, რომ აღნიშნული ფორმა სრულად შეივსოს, რითიც ყოვლისმომცველი, ამომწურავად შეჯამებული ინფორმაციის არსებობას უზრუნველყოფს, რომელშიც (საბოლოო ანალიზურ პროცედურებთან ერთად წაკითხვისას) მოცემულია ფინანსური და არაფინანსური საკითხების კრიტიკული მიმოხილვა, აღნიშნულია სამუშაოს განსაკუთრებული ნაწილი; ძირითადი საკითხები, რომლებიც აუდიტორული გარიგების პარტნიორის მონაწილეობას მოითხოვს და ასევე ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დამკვეთის შემდგომ ჩართულობას მოითხოვს.

აღნიშნული ფორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ რუტინული მიმოხილვის საკითხების ან ადმინისტრაციული საკითხების აღსაღრიცხად, რომლებიც აუდიტორული გარიგების პარტნიორის ყურადღებას მოითხოვს, ასევე არც დავალების შუალედურ ეტაპებზე შესრულებული განასკუთრებული სამუშაოს აღწერისათვის.

იმ ცვლილებების და მათი გავლენის მოკლე მიმოხილვა, რომლებიც აუდიტის გეგმაში აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ მათი დამტკიცების თარიღის შემდეგ შეიტანება:

ვეთანხმები დაგეგმვაში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს და მიმაჩნია, რომ ისინი სათანადოდ იქნა ინტეგრირებული აუდიტორულ მიდგომაში.

ცვლილებები დამტკიცებულია: _____ (---ის გარიგების პარტნიორი) _____

განვიხილე ასს 315-ის მოთხოვნები, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი რისკის განმარტება, „არსებითი უზუსტობის გამოვლენილი და შეფასებული რისკი იმისა, რომ აუდიტორული მსჯელობა სპეციალურ აუდიტორულ განხილვას საჭიროებს“.

გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკების შეჯამება, ამ რისკებზე შესრულებული აუდიტორული ტესტების შედეგი და გამოტანილი დასკვნები (სავალდებულო განყოფილება):

(საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ დამატებითი სტრიქონები)

სფერო/მტკიცება	გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკი	მინიშნება აუდიტორულ ტესტზე	აუდიტორული ტესტების შედეგები	გამოტანილი დასკვნები
თაღლითობა	ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლის რისკი			
თაღლითობის მაგალითი	მაგალითად, თაღლითობის რისკი ამონაგების აღიარებისას			

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი რისკები იდენტიფიცირებულია, გარიგების შესრულებისას განხორციელდა სათანადო საპასუხო ქმედებები და სათანადოდ მოხდა მათ შესახებ დამკვეთის ინფორმირება მისთვის დაგეგმვის წერილის გადაცემის საშუალებით (ან, დავალების შემდგომ/უფრო გვიან ეტაპზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკების შემთხვევაში, ალტერნატიული, შესაბამისი დოკუმენტაციის საშუალებით).

ხელმოწერა:

(---ის გარიგების
პარტნიორი)

საკითხ(ებ)ი:	აუდიტის გუნდის კომენტარები და დასკვნები:	(შესაბამის შემთხვევაში) დამკვეთისგან მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია და შემდგომში მიღებული ინფორმაციის შეჯამება:	(შესაბამის შემთხვევაში) აუდიტორული გარიგების პარტნიორის ჩართულობის აუცილებლობა:	აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ გამოტანილი დასკვნ(ებ)ი:
სფეროები, რომლებთან მიმართებაში კონსულტაცია იქნა მიღებული (სავალდებულო სექცია):				
დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და აუდიტის გუნდის მიერ მოპოვებულ სხვა მიგნებებს შორის დაფიქსირებული შეუსაბამოებები (სავალდებულო სექცია):				
სფეროები, რომლებშიც ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის გუნდისათვის დასტურის წერილების გაგზავნაზე უარის თქმამ, ალტერნატიული პროცედურების შესრულება გამოიწვია (სავალდებულო სექცია):				

ასს-ის მოთხოვნებიდან გადახვევა, გადახვევის მიზეზი და შესრულებული ალტერნატიული აუდიტორული პროცედურები (სავალდებულო სექცია):				

სხვა საკითხები (მათ შორის, ნებისმიერი სახის გადაუჭრელი აუდიტორული საკითხები):

საკითხ(ებ)ი:	აუდიტის გუნდის კომენტარები და მათ მიერ გამოტანილი დასკვნა:	(შესაბამის შემთხვევაში) დამკვეთისგან მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია და შემდგომში მიღებული ინფორმაციის შეჯამება:	(შესაბამის შემთხვევაში) აუდიტორული გარიგების პარტნიორის ჩართულობის აუცილებლობა:	აუდიტორული გარიგების პარტნიორის მიერ გამოტანილი დასკვნ(ებ)ი:

ცვლილებები, ან ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები და შეფასების მეთოდები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

პუნქტები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენები:

პუნქტები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:

მომავალში განსავითარებელი მოვლენები:

პუნქტები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:

ხარჯები დღემდე, მათ შორის, ბიუჯეტიდან, ასევე შესრულების განრიგიდან გადახრის განმარტება:

პუნქტები აუდიტორული გარიგების პარტნიორისათვის	აუდიტორული გარიგების პარტნიორის კომენტარები:

დამკვეთი:	მომზადებულია:	თარიღი:
პერიოდი:	განხილულია:	თარიღი:

საბოლოო ანალიზური პროცედურები

მიზანი:

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ისე, რომ მოპოვებული შედეგები, სხვა აუდიტორული ტესტებიდან გამოტანილ დასკვნებთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლეოდეს.

ჩაწერა

განიხილეთ სამეურნეო სუბიექტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი კოეფიციენტები. ამ კოეფიციენტებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახის დიდი ან მოულოდნელი ცვლილებები, ახსნილი უნდა იყოს. აღნიშნული სექცია აგრეთვე უნდა მოიცავდეს, ინფორმაციას ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგების ძირითადი მუხლების მნიშვნელოვანი ან მოულოდნელი ცვლილებების შესახებ.

უნდა ჩატარდეს მიმდინარე პერიოდის მონაცემების შედარება წინა პერიოდის და/ან საბიუჯეტო მონაცემებთან. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ბიზნესის ძირითადი კოეფიციენტებისა და ელემენტების მნიშვნელოვანი ან მოულოდნელი ცვლილებების შესახებ მოპოვებული ახსნა-განმარტებები, სხვა მტკიცებულებებითაც უნდა იქნეს დადასტურებული. შედეგად გამოტანილი უნდა იყოს დასკვნა.

ანალიზური პროცედურების ჩატარება აუდიტის დასრულების ეტაპზე სავალდებულოა. თუმცა, აღნიშნული ფორმის გამოყენება სავალდებულო არ არის.

<p>ძირითადი კოეფიციენტების შეჯამება, რომელიც შეიძლება გამოითვალოს ან ამოიბეჭდოს შესაბამისი პროგრამული პაკეტიდან (დაამატეთ სხვა მონაცემები, რომლებსაც სამეურნეო სუბიექტთან უშუალო კავშირი აქვთ):</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ (საერთო მოგება / ამონაგები) x 100 ➤ (მოგება დაბეგვრამდე / ამონაგები) x 100 ➤ (პირდაპირი ხარჯები / მარაგები) ➤ (სავაჭრო ვალდებულებები / საკრედიტო შესყიდვები) ① x 365 ➤ (სავაჭრო კრედიტორული დავალიანება / საკრედიტო შესყიდვები) ① x 365 ➤ მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები ➤ (მიმდინარე აქტივები – მარაგები) / მიმდინარე ვალდებულებები ➤ მთლიანი ვალდებულებები / კაპიტალი <p>① ზუსტი მაჩვენებლის მისაღებად საჭიროა ბრუნვაზე გადასახადის გათვალისწინებით (დღგ) კორექტირების შეტანა.</p>

ძირითადი მონაცემების შედარება (ან შეაჯამეთ იქ, სადაც აღნიშნული სამუშაო იქნება წარდგენილი)

მაგალითად:

მიმდინარე წლის მონაცემები, ხელმძღვანელობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერვალების გათვალისწინებით, საჭიროების მიხედვით, შეადარეთ შემდეგი ნიმუშებიდან გაკეთებულ შერჩევით ერთობლიობას:

- წინა წლის მონაცემები;
- საბიუჯეტო მონაცემები;
- დარგის და სხვა გარე სტატისტიკა;
- არაფინანსური ინფორმაცია (მიუთითეთ ინფორმაციის სახეობა); ან
- ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

დარწმუნდით, რომ შეაჯამება მომზადებულია ყველა გადახრისათვის (როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული) იმისათვის, რომ მოხდეს ჩატარებული ანალიზის დასასაბუთება.

შეადარეთ საბოლოო ანალიზური პროცედურების შედეგები წინასწარი ანალიზური პროცედურების შედეგებთან.

უჩვეულო გადახრების განმარტებები (ან შეაჯამეთ იქ, სადაც აღნიშნული სამუშაო იქნა წარმოდგენილი)

მაგალითად

გამოიკვლიეთ ნორმალური და ანომალური გადახრები და დაადოკუმენტირეთ შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

ჩაიწერეთ მოპოვებული მტკიცებულების დეტალები, მიღებული განმარტებების დასაბუთებისა და დადასტურებისათვის.

დაფიქრდით, საჭიროა თუ არა წამოჭრილი საკითხებიდან რომელიმეს შეტანა, ქვემოთ მოცემულ დოკუმენტებიდან ერთ-ერთში:

- წერილი ხელმძღვანელობას, ნიშნად ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში აღმოჩენილი სისუსტეების არსებობისა; ან
- ოფიციალური წერილი, როგორც ისეთ საკითხებთან დაკავშირებული განმარტებების შედეგი, რომლისთვისაც მხოლოდ ზეპირი მტკიცებულებებია ხელმისაწვდომი.

განიხილეთ, ხომ არ მიუთითებს რომელიმე გამოვლენილი უჩვეულო გადახრა, თაღლითობით განპირობებულ არსებითი უზუსტობის ისეთ რისკზე, რომელიც მანამდე ვერ იქნა იდენტიფიცირებული.

გამოტანილი დასკვნა:

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩავატარე როგორც საერთო, ისე დეტალური ანალიზური პროცედურები და კმაყოფილი ვარ იმით, რომ:

- მონაცემებში არ არის დიდი ან უჩვეულო გადახრები, რომელთა ადეკვატური ახსნაც არ არის შესაძლებელი;
- არ გამოვლენილა თაღლითობის ინდიკატორები; და
- არ გამოვლინდა ახალი ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტების წარდგენაზე ან მასში გასაჯაროებულ ინფორმაციაზე.

ხელმოწერილია: დათარიღებულია:

ანალიზური მიმოხილვის მეთოდები და ინტერპრეტაციები

1. არამატერიალური აქტივები (მათ შორის, გუდვილი)

არამატერიალური აქტივების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- შეძენით (ბიზნესის ან შვილობილი კომპანიის) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რაც იწვევს გუდვილის ან შეძენილი არამატერიალურ აქტივების ზრდას;
- გადავადებული განვითარების დანახარჯების ან ვებ-გვერდის დანახარჯების კაპიტალიზებით;
- არამატერიალური აქტივების შეძენით;
- არამატერიალური აქტივების გადაფასებით *(არ არის დაშვებული გუდვილთან მიმართებაში, ასევე იშვიათად თუ შეესაბამება სხვა ფიქსირებულ აქტივებსაც);*
- გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის აღდგენით (არა გულდვილთან მიმართებით);
- შემოსულობის ბუნების მქონე მუხლებით, რომელთა კაპიტალიზებაც არასწორად განხორციელდა.

არამატერიალური აქტივების კლება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- გაუფასურებით, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებების არსებობით (მაგალითად, დანერგვაზე გახარჯული თანხების ხარჯებად კლასიფიცირება ან ვებ-გვერდის ხარჯები);
- ამორტიზაციით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- აქტივების რეალიზაციით ან შვილობილი საწარმოს გაყიდვით.

ძირითადი მონაცემები

- დამატებები და გაყიდვები წინა პერიოდის, ასევე საბიუჯეტო მონაცემებთან შედარებით
- საამორტიზაციო განაკვეთების ადეკვატურობა
 - აქტივის საშუალო სასიცოცხლო ვადა
 - დარგის ნორმები
- პირდაპირი შემოსავლის მომტანი აქტივები
 - გაწეული ხარჯები
 - ამორტიზაციის დარიცხვა
 - მიღებული შემოსავალი

2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ბიზნესაქტივობის ზრდით ან ავტომატიზაციით, რომელმაც განაპირობა დამატებები;
- დაბეგვრის ხელსაყრელი წესით (ანუ კაპიტალის გაუფასურების მაღალი დროებითი განაკვეთები, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალური ხარჯების დაჩქარებას);
- შვილობილი კომპანიის ან ბიზნესის შესყიდვის შედეგად შეძენილი აქტივებით;

- კაპიტალიზაციის პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით (ზღვრის მინიმუმამდე შემცირება ან საკუთარი წარმოების აქტივებზე, საპროცენტი ხარჯის კაპიტალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება);
- ფინანსური იჯარით შეძენილი აქტივებით, განსხვავებით საოპერაციო იჯარით შეძენილისაგან;
- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადაფასებით;
- გაუფასურების შედეგად წარმოშობილი ზარალის აღდგენით;
- შემოსავლის ბუნების მქონე მუხლებით, რომელთა კაპიტალიზაცია არასწორად განხორციელდა.

ფიქსირებული აქტივების შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- აქტივების გაყიდვით/ჩამოწერით, რომელიც გამოწვეულია ბიზნესის დახურვით/ აუტოსორსინგით/ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შეწყვეტით და ა.შ.;
- კაპიტალიზაციის პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით (მაგალითად, საკუთარი წარმოების აქტივების საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება);
- აქტივებით, რომლებიც არ ჩანაცვლდება ეკონომიკური ვარდნის (რეცესიული გარემოს არსებობის) პირობებში;

საოპერაციო იჯარის და არაფინანსური იჯარის გზით შეძენილი აქტივებით;

- გაუფასურების ზარალის აღიარებით;
- „ნორმალური“ ამორტიზაციით და დამატებითი ხარჯებით, რომლებიც გამოწვეულია აქტივების სასარგებლო ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ან მათი ნარჩენი ღირებულების შემცირებით.

ძირითადი მონაცემები

- უძრავი ქონების გადაფასებული ღირებულების ინდექსებთან დაკავშირებით.
- დამატებები და გაყიდვები წინა პერიოდებთან, ასევე ბიუჯეტებთან შედარებით.
- საამორტიზაციო განაკვეთების ადეკვატურობა
 - ძირითადი საშუალებების საშუალო სამსახურის ვადა.
 - ზედმეტი ძირითადი საშუალებების საშუალო ხანდაზმულობა.
 - გაყიდვიდან მიღებული მოგება და ზარალი.
- დაზღვევის დაფარვა
- პირდაპირი შემოსავლის მომტანი აქტივები
 - გაწეული ხარჯები
 - ამორტიზაციის დარიცხვა
 - მიღებული შემოსავალი

3. ინვესტიციები

ინვესტიციების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვებით;
- კაპიტალის შენატანებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- საბაზრო ღირებულების ზრდით.
- ისეთი ინვესტიციების ღირებულების ცვლილებით, რომელიც არ არის კოტირებული საფონდო ბირჟაზე; მაშინ, როდესაც ასეთი ცვლილება გამოწვეულია დირექტორთა მიერ რეალური ღირებულების დადგენის შესაძლებლობის წარმოშობით;
- გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის აღდგენით;
- შემოსავლის ბუნების მქონე მუხლებით, რომელთა კაპიტალიზაციაც არასწორად განხორციელდა.

ინვესტიციების შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გაყიდვებით;
- გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალით;
- საბაზრო ღირებულების ვარდნით.

ძირითადი მონაცემები

- დამატებები და გაყიდვები წინა პერიოდებთან და საბიუჯეტო მონაცემებთან შედარებით;
- შემოსავალი საბაზრო ღირებულებასთან შედარებული;
- საფონდო ბირჟის ინდექსების ცვლილება (Dow Jones / Nikkei / FTSE და ა.შ.).

ისეთი ინვესტიციების ღირებულება (რომელიც კოტირებული არ არის საფონდო ბირჟაზე), კომპანიათა EBITDA-სთან მიმართებაში, რომლებშიც ინვესტიციებია ჩადებული.

4. მარაგები

მარაგის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- შესყიდვის პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით (მაგალითად, საბითუმო ფასდაკლების მიღების მიზნით);
- გაყიდვების შემცირებით;
- კაპიტალიზაციის პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით, რათა იქ, სადაც ეს შესაფერისია, ფინანსური ხარჯების „კაპიტალიზაცია“ მოხდეს;
- მარაგებზე გადატანილი ისეთი ხარჯებით, რომელთა ჩამოწერაც შესაბამისი ხარჯების ანგარიშზე უნდა მომხდარიყო;
- შესყიდვის გაზრდილი დანახარჯებით, რომელიც გამოწვეულია ინფლაციით ან სავალუტო გაცვლითი კურსების არასასურველი მოძრაობით და ა.შ.;
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებულ იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას.

მარაგების დონის ვარდნა/მარაგის ბრუნვის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- გაუმჯობესებული მარაგების კონტროლით (მაგალითად, დროულ შესყიდვაზე გადასვლა);
- გაყიდვების ზრდით;
- შესყიდვების შემცირებული ხარჯებით, რომლებიც გამოწვეულია დეფლაციით ან სავალუტო გაცვლით კურსებში სასურველი ცვლილებებით და ა.შ.;
- სააღრიცხვო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით;
- მარაგებიდან ელემენტების გამოტოვებით
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებული იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას;
- მარაგის ჩამოწერითა და ანარიცხით.

მარაგის ჩამოწერის მაღალი ინტენსივობა შეიძლება მიუთითებდეს:

- მატერიალური მარაგების ცუდ განკარგვაზე;
- წვრილმან ქურდობაზე;
- აღურიცხავ გაყიდვებზე;
- ცუდ საბაზრო პირობებზე;
- მარაგებში, მალფუჭებადი / მაღალი მოდის ელემენტების არსებობის მაღალ ხარისხზე.

5. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ბრუნვის/სავაჭრო საქმიანობის ზრდით.
- სავალუტო გაცვლითი კურსის ხელსაყრელი ცვლილებით.
- ეკონომიკური კლიმატის გაუარესებით.
- დამკვეთის საკრედიტო კონტროლის ან ვალის ამოღების პროცედურების გაურასებით.
- სააღრიცხვო მოგების გაზრდის მიზნით, ფიქტიურ დამკვეთებზე განხორციელებული გაყიდვებით.
- დამკვეთებისგან მიღებულ აღურიცხავი ქვითრებით, საბანკო ქვითრების რეგისტრაციის დაგვიანებით ან გადავადებული აღრიცხვით.
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებულ იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას.
- გაყიდვების ხელოვნური ინფლაციით, შემდგომი პერიოდის გაყიდვების შესახებ, წინასწარი ჩანაწერის გაკეთების გზით (ფინანსური სურათის შელამაზება).

დებიტორული დავალიანების შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ბრუნვის/სავაჭრო აქტივობის ვარდნით;
- სავალუტო გაცვლითი კურსის არახელსაყრელი ცვლილებით;
- საკრედიტო კონტროლის უფრო მკაცრი პროცედურებით;
- შემცირებული გაყიდვებით, რაც გამოწვეულია ინვოისების გამოწერის დაგვიანებით;
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებულ იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას;
- მომხმარებელთა მომდევნო პერიოდისათვის მისაკუთვნილებელი ქვითრების, მიმდინარე პერიოდში ჩაწერით და მათი მიმდინარე პერიოდზე მიკუთვნებით.

უიმედო დებიტორული დავალიანების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ცუდი ეკონომიკური პირობებით;
- სუსტი საკრედიტო კონტროლით;
- ნაადრევად ჩამოწერილი თანხებით;
- ფიქტიური გაყიდვებით, რომლებიც უქმდება;
- თაღლითობით (მაგალითად, დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, რომელიც ფაქტობრივად გადახდილი იქნა და ფული უკანონოდ იქნა მითვისებული).

6. ნაღდი ფული ბანკში და სალაროში

საბანკო და სალაროს ნაშთების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ბრუნვის/სავაჭრო აქტივობის ზრდით;
- გაუმჯობესებული საკრედიტო კონტროლით;
- მომხმარებელთა მომდევნო პერიოდისათვის მისაკუთვნილებელი ქვითრების, მიმდინარე პერიოდში ჩაწერით და მათი მიმდინარე პერიოდზე მიკუთვნებით;
- ერთჯერადი შემოსულობებით;
- შესყიდვების/არსებული მარაგის დონეების ვარდნით;
- ხელმძღვანელობის მიერ მომწოდებლებისთვის გადახდის გადადების გადაწყვეტილებით;
- გადახდებით, რომლებიც განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე და აღირიცხა შემდგომ პერიოდში;
- ინვესტიციების რეალიზებით;
- დაფინანსების ზრდით.

ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ბრუნვის/სავაჭრო საქმიანობის ვარდნით;
- უიმედო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული პრობლემებით;
- ერთჯერადი გადახდებით;
- მარაგის გაზრდილ დონეებით;
- კრედიტორული დავალიანების გადახდის დაჩქარებით;
- საკასო წიგნში აღრიცხული ჩეკებით, რომელთა შესაფერისი თანხებიც მითვისებულ იქნა;
- ძირითადი საშუალებების შესყიდვით ან განხორციელებული ინვესტიციებით;
- დაფინანსების შემცირებით.

ძირითადი მონაცემები

- ფულადი სახსრების ფაქტობრივი მოძრაობა, ბიუჯეტში გათვალისწინებულ ფულად სახსრებთან შედარებით;
- უჩვეულო/ერთჯერადი ფულადი გადახდების განსაზღვრული დონე;
- ხელმისაწვდომი საბანკო საშუალებები;
- მიღებული/გადახდილი პროცენტი საშუალო ნაშთთან შედარებით.

7. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანების ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- შესყიდვის/სავაჭრო საქმიანობის ზრდით;
- ხელმძღვანელობის მიერ გადახდის გადადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით;
- სავალუტო გაცვლითი კურსების არასასურველი ცვლილებებით;
- ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული სირთულეებით მათი გადახდის თარიღის დადგომისას;
- მარაგების გაზრდით;
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებულ იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას;
- გადახდებით, რომლებიც განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე და აღირიცხა შემდგომ პერიოდში ფულადი სახსრების ნაშთის გასაზრდელად (ფინანსური სურათის შელამაზება).

კრედიტორების შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- შესყიდვების/სავაჭრო საქმიანობის ვარდნით;
- გაცვლითი სავალუტო კურსის ხელსაყრელი ცვლილებებით;
- კრედიტორული დავალიანების გადახდის დაჩქარებით;
- ელემენტების გამორჩენით;
- შეცდომებით, რომლებიც დაშვებულ იქნა დროში გამიჯვნის პროცედურების განხორციელებისას;
- სალაროს წიგნში აღრიცხულ, მაგრამ მითვისებული (დოკუმენტაციაში შენახვის გარეშე) ჩეკებით.

ძირითადი მონაცემები

- კრედიტორული დავალიანების დონე.
- მარაგის ფარდობა არსებულ კრედიტორულ დავალიანებასთან.
- ძირითად მომწოდებლებისთვის გადასახდელი ფულადი სახსრები.
- კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.

8. ამონაგები

გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- გაყიდვების მოცულობის ცვლილება;
- გაყიდვების ფასის ცვლილება;
- ცვლილება გაყიდვების სტრუქტურაში;
- ბრუნვის თეორიული ცვლილება (წინა პერიოდის გაყიდვები, რომლებიც დაკორექტირდა მოცულობისა და ფასის მიხედვით);
- ბრუნვის ყოველთვიური სტრუქტურა;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პირობები;
- უკან დაბრუნებული საქონელი ან ფასდაკლებები.

9. ხარჯები

გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- შესყიდვების მოცულობის ცვლილება;
- შესყიდვების ფასის ცვლილება;
- შესყიდვის სტრუქტურის ცვლილება;
- თეორიული ცვლილება შესყიდვებში;
- შესყიდვების ყოველთვიური სტრუქტურა.

10. მთლიანი მოგება

ცვლილებების შესაძლო მიზეზები შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს:

- გაყიდვის ფასში;
- პროდუქტის ასორტიმენტში;
- თვითღირებულებაში;
- ხარჯების მუხლების განაწილებაში;
- მარაგების შემცირებული ან გადაჭარბებული შეფასებით და დაუმთავრებელი წარმოებით.

მთლიანი მოგების მარჟის დეტალიზაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება ბევრნაირად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:

- კვირებს, თვეებს ან კვარტალებს (განსაკუთრებით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს);
- გეოგრაფიულ არეალს;
- ბიზნესსაქმიანობას ან დანაყოფებს.

11. სახელფასო ხარჯებს

ცვლილებები სხვადასხვა კატეგორიების თანამშრომლების სახელფასო განაკვეთებში

- საქმიანობა
 - ხელფასის საშუალო ხარჯი თითო თანამშრომელზე.
 - ბონუსები და საკომისიო.
 - ზეგანაკვეთური სამუშაო.
- ეფექტურობა
 - ცვლილება თანამშრომელთა პროდუქტიულობაში.
 - მოგება თითო თანამშრომელზე.
 - შემოსავალი თითო დამსაქმებელზე.
 - სახელფასო გამოქვითვები, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ანაზღაურებასთან შედარებით.

12. საქმიანობის შედეგების ანგარიშგების სხვა კატეგორიები

გასათვალისწინებელია შემდეგი პუნქტები:

- პროდუქციის გასაღების დანახარჯები, ამონაგების პროცენტის სახით;
- აქტივის იჯარის ხარჯისა და ქონების გადასახადების შესაბამისობა, თვითონ ამ აქტივთან;

- შემოსავალი ქვეიჯარით გაცემული უძრავი ქონებიდან, უძრავ ქონებაში გადახდილი იჯარის ოდენობის მიხედვით;
- სადაზღვევო პრემიები;
- რემონტი თანხები, კაპიტალიზებულ თანხებთან შედარებით;
- სატრანსპორტო დანახარჯები ავტომანქანების რაოდენობისა და არსებული გარბენების მიხედვით;
- სამომავლო ვალდებულებების ნიშნები;
- რეგულარულად განმეორებითი მუხლები.

13. ბიზნესის ძირითადი კოეფიციენტები

არსებობს ოთხი ძირითადი კატეგორია:

- მომგებიანობა და უკუგება;
- საქმიანობა;
- ლიკვიდურობა;
- გადახდისუნარიანობა.

ძირითადი მონაცემები

- დებიტორული დავალიანების დონე.
- უიმედო დებიტორული დავალიანების დონე.

ძირითადი მონაცემები

- ხანდაზმული დებიტორული დავალიანების ანალიზში შეტანილი ცვლილებები
- დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი.
- უიმედო დებიტორული დავალიანება, რომელიც ჩამოიწერა გაყიდვების პროცენტის სახით.
- ძირითადი მომხმარებლების დავალიანებები.

13.1 მოგებიანობა და უკუგება

მთლიანი მოგების მარჟა	<u>მთლიანი მოგება x 100%</u> ამონაგები
<p>აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს კომპანიის სავაჭრო საქმიანობის წვლილზე მოგებიანობაში. ცვლილება შეიძლება მიუთითებდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კომპანიის უუნარობაზე, გაუძლოს ფასების გაზრდით გამოწვეულ ხარჯების ზრდას; ➤ ერთეულის გაყიდვის ფასით განპირობებულ, წარმოების ხარჯების ცვლილებაზე; ➤ გაყიდვების სტრუქტურის ცვლილებაზე; ან ➤ წარმოების ეფექტურობის ცვლილებაზე. 	

წმინდა მოგების მარჟა	<u>მოგება დაბეგვრამდე x 100%</u> ამონაგები
<p>აღნიშნული გვიჩვენებს მოგებას გაყიდვებიდან. დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა, ცვლადი ბაზრის პირობების მიმართ მაღალ მგრძობელობაზე მიუთითებდეს.</p>	

შენიშვნა: ფინანსური შემოსავალი და ხარჯები აგრეთვე უნდა გამოირიცხოს წმინდა მოგების მარჟის კალკულაციიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი „დაბიძნურებული“ იქნება საინვესტიციო ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით განპირობებული გავლენით.

აქციონერთა უკუგება	<u>მოგება დაბეგვრამდე x 100%</u> კაპიტალი
<p>რაც უფრო მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი, მით უფრო უკეთესია აქციონერთა უკუგება.</p> <p>შენიშვნა: ფინანსური შემოსავალი და ხარჯები ჩართული უნდა იყოს წმინდა მოგების მარჟის კალკულაციაში, ვინაიდან საინვესტიციო ქონების და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანია აქციონერებისათვის.</p>	

უკუგება კაპიტალზე (ROCE)	<u>მოგება დაბეგვრამდე x 100%</u> მთლიანი აქტივების ღირებულება, მიმდინარე ვალდებულებების გამოკლებით
<p>დაბალი პროცენტი მიუთითებს ბიზნესში ჩადებული ფინანსების დაბალ უკუგებაზე და, შესაბამისად, შესაძლო ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემებზე.</p>	

პროცენტის დაფარვა	<u>მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე</u> გადასახდელი პროცენტი
<p>აღნიშნული გვიჩვენებს, თუ რა მოცულობით გამოიყენება მოგება პროცენტის გადასახდელად.</p> <p><i>შენიშვნა: გადასახდელი პროცენტი არ უნდა მოიცავდეს მოწოდებაზე დისკონტის პოზიციის დახურვას და აგრეთვე პროცენტების დარიცხვას, რომელიც წარმოიშობა, გრძელვადიანი უპროცენტო კომპანიათაშორისი სესხების, ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე აღრიცხვით.</i></p>	

ძირითადი მონაცემები

- მარაგის მოცულობის ცვლილება.
- მარაგის ფაქტობრივი ღირებულების ცვლილება.
- მარაგის ერთეულების ფასების ცვლილება.
- მარაგის თეორიული ცვლილება (წინა პერიოდის ფაქტობრივი მარაგი, რომელიც დაკორექტირდა მოცულობისა და ფასის გათვალისწინებით).
- ანარიცხები.
- წარმოების სტანდარტები.
- მატერიალური, შრომითი და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილი წარმოების ხარჯებში.
- მასალის გამოყენება და უვარგისი მასალა.
- შრომითი დანახარჯები და საათები.
- გაწეული და განაწილებული ზედნადები ხარჯები.
- უკუგების დონე (განსაკუთრებით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისთანავე).
- მარაგის ბრუნვა.

13.2 საქმიანობა

მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	<u>გაყიდვების ღირებულება</u> საშუალო მარაგი
<p>აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს მარაგის ბრუნვის სიჩქარეზე. დაბალი ციფრი შეიძლება მიუთითებდეს მარაგების გადაჭარბებულ ოდენობაზე, მოძველებულ და ნელა მბრუნავ მარაგზე და შეიძლება შენახვისა და დაფინანსების მაღალ ხარჯებს გულისხმობდეს. მაღალი მაჩვენებელი შეიძლება მიუთითებდეს მარაგის ეფექტურ მართვასა და აგრეთვე არასაკმარის მარაგებზე (და, შესაბამისად, დაკარგულ პოტენციურ კლიენტზე, ან დამკვეთის გუდვილის დაკარგვაზე), ან ფასის გადაჭარბებულ დაკლებაზე.</p>	

დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი	<u>სავაჭრო დებიტორული დავალიანება x 365</u> ამონაგები
<p>ხანგრძლივი პერიოდი შეიძლება მიუთითებდეს ფულად ნაკადებთან და საბრუნავ კაპიტალთან მიმართებაში არსებულ პოტენციურ პრობლემებზე, ცუდ და უიმედო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ან არასაკმარისად ეფექტური საკრედიტო კონტროლის პროცედურების არსებობაზე. შედარება უნდა მოხდეს დარგის ნორმებსა და კომპანიის საკრედიტო პირობებთან.</p>	

კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი	<u>სავაჭრო კრედიტორული დავალიანება x 365</u> პირდაპირი ხარჯები
<p>აღნიშნული კოეფიციენტი ასახავს დამკვეთის მიერ მომწოდებლებლისათვის კრედიტორული დავალიანების დაფარვის სურათს. დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიუთითებდეს ნელი ტემპით გადახდების ამსახველი პოლიტიკის არსებობასა და მომწოდებლების, ოპერაციების დაფინანსებისათვის გამოყენებაზე და, შესაბამისად, ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ შესაძლო პრობლემებზე.</p>	

13.3 ლიკვიდურობა

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით) მიმდინარე ვალდებულებები
<p>აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს კომპანიის უშუალო ლიკვიდურობის პოზიციაზე, ანუ თუ რამდენად სწრაფად შეიძლება მოხდეს კრედიტორებისთვის თანხის გადახდა. ჩვეულებრივ, იგი უნდა აღემატებოდეს 1-ს. ეს კოეფიციენტი შესაფერისია, როდესაც მარაგი არ არის ძალიან ლიკვიდური.</p>	

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებები
<p>აღნიშნული მიუთითებს გადახდების კრედიტორულ დავალიანებასთან თანხვედრის ალბათობაზე. აღნიშნული კოეფიციენტი შესაფერისია, როცა მარაგი ძალიან ლიკვიდურია.</p>	

13.4 გადახდისუნარიანობა

<p>არასაკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი (Gearing)</p>	<p>არააქციონერთა წინაშე ჯამური ვალდებულებები x 100%</p> <p>კაპიტალი¹</p> <p>1 = მათ შორის, ვალის სახით დაკლასიფიცირებული, ბასს 32-ის შესაბამისად</p>
<p>აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიის დაფინანსების დონეს კრედიტორული დავალიანებისა და ვალის ხარჯზე და არა კაპიტალის დაფინანსების შედეგად. მაღალი კოეფიციენტები შეიძლება აღნიშნავდეს იმას, რომ ვალი არის ტვირთი და კომპანიას შეიძლება პრობლემები შეექმნას შემდეგი სესხის აღებისას, ასეთ გარემოებებში.</p>	

<p>გრძელვადიანი აქტივები: გრძელვადიანი ვალდებულებები</p>	<p>გრძელვადიანი აქტივები x 100%</p> <p>გრძელვადიანი ვალდებულებები</p>
<p>აღნიშნული მიუთითებს, თუ რა დონეზე გამოიყენება გრძელვადიანი ფინანსები, გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად. მნიშვნელოვან მიმდინარე ვალდებულებებთან ერთად არსებული მაღალი მაჩვენებელი შეიძლება მიუთითებდეს გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებაზე მიმდინარე ვალდებულებების ხარჯზე, რაც შეიძლება ფუნქციონირებადი საწარმოსთან დაკავშირებული სირთულეების ნიშანი იყოს.</p>	

<p>გრძელვადიანი აქტივები: კაპიტალი</p>	<p>გრძელვადიანი აქტივები x 100%</p> <p>კაპიტალი</p>
<p>კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს არასაკუთარი კაპიტალიზაცია, თუკი გრძელვადიანი აქტივები აღემატება კაპიტალს. თუ გრძელვადიანი აქტივები უფრო დაბალია, შესაძლებელია კომპანია ზედმეტად კაპიტალიზებული იყოს და, შესაბამისად, იყოს მისი გაფართოების შესაძლებლობა.</p>	

<p>მიმდინარე ვალდებულებები: კაპიტალი</p>	<p>მიმდინარე ვალდებულებები x 100%</p> <p>კაპიტალი</p>
<p>აღნიშნული ადარებს სახსრებს, რომლებიც კრედიტორებმა კომპანიაში მოკლევადიანი სახსრების სახით ჩადეს, მფლობელების მიერ ჩადებულ თანხებს. რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო დაბალია კრედიტორების უსაფრთხოება.</p>	

დამკვეთი

საანგარიშგებო პერიოდი

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

შეუსწორებელი უზუსტობების შეჯამება

იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დროს დაგროვილი უზუსტობების ერთობლიობა სამუშაო არსებობას მიუახლოვდება ან თუ გამოვლენილი უზუსტობების ბუნება სხვა ხარვეზების არსებობაზე მიუთითებს, რომელსაც ისეთ აკუმულირებულ უზუსტობამდე მივყავართ, რომელიც შესაძლოა სამუშაო არსებობას აღმატებოდეს, უნდა განისაზღვროს, ხომ არ დგება აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის გადახედვის საჭიროება.

მიზანი:

უზუსტობების შეჯამება წარმოადგენს იმის გარკვევას, ხომ არ არსებობს რაიმე შეცდომები, განმარტებებში არსებული შეცდომების ჩათვლით, რომლებიც ჯერ არ დაკორექტირებულა (წინა საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებული შეუსწორებელი უზუსტობების ჩათვლით), ინდივიდუალურად ან მთლიანობაში, საკმარისად არსებითია იმისათვის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი იქნას შესწორება და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას დამკვეთისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება. საჭიროებისამებრ, სავალდებულოა გადასახადების შედეგების დადოკუმენტირება.

გავრცელების სფერო:

ან ყველა შეცდომა უნდა ჩაიწეროს ამ ფორმით ან მხოლოდ ის უზუსტობები, რომლებიც მინიმალური მნიშვნელობის დონეს აღემატება და რომლებიც გარიგებოს პარტნიორს უნდა გაეგზავნოს (როგორც წესი, ეს არ უნდა აღემატებოდეს ან უნდა უტოლდებოდეს აშკარად ტრივიალური ზღვარს).

აშკარად ტრივიალური Ac13-ის მიხედვით

CU

ფე

საბოლოო სამუშაო არსებობა Ac13-ის მიხედვით

CU

ფე

საბოლოო არსებობა Ac13-ის მიხედვით

CU

ფე

მინიშნება სამუშაო ფურცელზე	უზუსტობათა აღრიცხვა და აღწერა	სავარაუდო გავლენა ფინანსური ანგარიშგებაზე				დაკორექტირდეს? დიახ/არა
		საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
		Dr	Cr	Dr	Cr	
აქტუალური უზუსტობები - ფაქტობრივი						

აქტუალური უზუსტობები - მსჯელობის შედეგად იდენტიფიცირებული						დაკორექ- ტირდეს?

ექსტრაპოლირებული უზუსტობები						დაკორექ- ტირდეს?

გასაჯაროებულ ინფორ- მაციასთან დაკავშირებული უზუსტობები						დაკორექ- ტირდეს?

დაუკორექტირებელ უზუსტობების ჯამური გავლენა						

გამოტანილი დასკვნა (ჩართეთ
მხოლოდ დაუკორექ-
ტირებელი უზუსტობები)

მინიშნება სამუშაო ფურცელზე	დეტალები	სავარაუდო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე			
		Dr	Cr	Dr	Cr
B DIV	არამატერიალური ელემენტები და გუდვილი				
C DIV	ძირითადი საშუალებები				
D/G DIV	ინვესტიციები				
E DIV	მარაგები				
F DIV	დებიტორული დავალიანებები				
H DIV	ფული ბანკში და ნაღდი ფული				
I DIV	კრედიტორული დავალიანებები				
J DIV	გადასახადები				
L DIV	ანარიცხები				
M DIV	კაპიტალი				
O DIV	შემოსავალი				
P DIV	პირდაპირი დანახარჯები				
Q DIV	სხვა შემოსავალი და მოგება				
R DIV	სხვა ხარჯები და ზარალი				
დაუკორექტირებელი უზუსტობების საერთო გავლენა					

* საერთო ჯამში, შეცდომები აშკარად ტრივიალურია (როგორც ეს განსაზღვრულია დაგეგმვის წერილით) და ამის შესახებ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული დირექტორებისთვის.

* უზუსტობები საერთო ჯამში, არ არის ტრივიალური და დირექტორებმა დაადასტურეს სიტყვიერად, რომ მათ არ სურთ ასეთი შეცდომების გასწორება და ეს წერილობით იქნება დადასტურებული ხელმძღვანელობის მიერ ოფიციალური ინფორმაციის მოწოდების წერილში.

მე კმაყოფილი ვარ რომ ზემოთ ხსენებული უზუსტობების კომბინირებული ეფექტი, მთლიანი ფინანსური ანგარიშგების სამუშაო არსებითობის ქვემოთ არის და**, შესაბამისად, არ საჭიროებს შესწორებას. *

შეცდომები მთლიანობაში აღემატება ფინანსური ანგარიშგებისათვის სამუშაო არსებითობას,** და დაუდგენელი ელემენტების რისკის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგება შეიძლება მიჩნეული იქნას არსებითად მცდარად, რაც აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირებას გამოიწვევს (Aa1, გვ 7).

ხელმოწერილია:

აუდიტორული გარიგების პარტნიორი

თარიღი

* წამალეთ საჭიროების შემთხვევაში

** არ აქცევს მოგებას ზარალად (ან პირიქით) ან წმინდა აქტივების პოზიციას წმინდა ვალდებულებების პოზიციად (ან პირიქით), ინდივიდუალურ სფეროში არსებული კორექტირებები, უზუსტობები, რომლებიც აქარბებს სამუშაო არსებითობის დონეს ან აღმატება Acl3- ში აღნიშნულ სამუშაო არსებითობის შესაბამისი საზომს (მაგალითად, დაკავშირებულ მხარეთა შორის გარიგებები, დირექტორების ანაზღაურება და ა.შ.). გარდა ამისა, თუ დამკვეთმა ხელოვნურად “შეარჩია” ისეთი კორექტირებები, ფინანსურ მდგომარეობის, სრული შემოსავლებისა და ფულადი ნაკადებს ანგარიშგების წარდგენისთვის (მაგალითად ყველა მუხლი რომელმაც შესაძლოა მოგება შეამციროს, შესწორებულ იქნა, ხოლო ის კორექტირებები, რომლებიც მოგებას ზრდის, არ გათვალისწინებულია), მაშინ აღნიშნული ასევე ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობად ჩაითვლება.

შენიშვნები:

„აშკარად ტრივიალური“ „შეცდომები არ უნდა იქნას აკუმულირებული. ეს საკითხები აშკარად უმნიშვნელოა, ინდივიდუალურად თუ ერთად აღებული, მათი ზომის, ბუნების თუ იმ გარემოებების მიუხედავად, რომლებშიც მათ ადგილი აქვთ. მიიჩნევა, რომ აუდიტის არსებითობის 1% გამოიყენება იმ ზღვარის დასადგენად, რომლამდეც ელემენტები აშკარად ტრივიალურად მიიჩნევა, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პროცენტული მაჩვენებელი, თუ აღნიშნული უფრო მიზანშეწონილია და სათანადოდ არის დასაბუთებული“.

თუმცა, თანხებთან დაკავშირებული უზუსტობებზე შეიძლება არ იყოს აშკარად ტრივიალური თუ კრიტერიუმად უზუსტობის ბუნება იქნება აღებული, ან ის გარემოებები რომლებშიც ის არსებობს. თუ ეს ასეა, უზუსტობები უნდა დაჯგუფდეს შეუსწორებელი შეცდომების სახით. თუ ეს ასეა, უზუსტობები უნდა აკუმულირდეს, დაუკორექტირებელი შეცდომების სახით.

გასაჯაროებულ ინფორმაციაში არსებული უზუსტობები ასევე შეიძლება იყოს აშკარად ტრივიალური, ინდივიდუალურად თუ მთლიანობაში, კრიტერიუმად ზომის, ბუნების ან გარემოებების გამოყენების შემთხვევაში. შეცდომები გასაჯაროებულ ინფორმაციაში, რომლებიც არ არის აშკარად ტრივიალური, ასევე აკუმულირდება, რათა აუდიტორს ხელიშეუწყოს შეაფასონ მსგავსი უზუსტობების გავლენა შესაბამის გასაჯაროებულ ინფორმაციასა და მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებებზე. ასს 450-ის ა13ა პუნქტი ასახავს მაგალითებს, როდესაც უზუსტობები, ინფორმაციის ხარისხობრივ გახსნაში არსებითი შეიძლება იყოს.

დამკვეთის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შეჯამება

მინიშნება სამუშაო დოკუმენ ტზე	კორექტირების აღრიცხვა და აღწერა	ცვლილებები დამკვეთის პირველად ფინანსურ ანგარიშგებაში			
		საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
		Dr	Cr	Dr	Cr

აუდიტორების მიერ განხორციელებული კორექტირებები

<p>აუდიტორების მიერ განხორციელებული კორექტირებების საბოლოო ეფექტი</p>					

პერიოდის მოგება (ზარალი), პირველადი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

CU ფე

აუდიტორების მიერ დამკვეთთა პირველადი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მაჩვენებლებში განხორციელებული ნეტო ცვლილებები

CU ფე

მოგება (ზარალი) საბოლოო ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

CU ფე

გამოტანილი დასკვნა:

დამკვეთის პირველადი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში ცვლილებები არ განხორციელებულა. *

იდენტიფიცირებულია, ზემოთ მოყვანილი კორექტირებები, დირექტორების („ინფორმირებული მენეჯმენტის“) მიერ სიტყვიერად დადასტურებულ იქნა რომ მათ აქვთ აღნიშნული კორექტირებების განხორციელების სურვილი, რაც დადასტურდებული იქნება ხელმძღვანელობის მიერ ოფიციალური ინფორმაციის წარმოდგენილის წერილში.*

აუდიტორული
გარიგების

ხელმოწერა: _____

პარტნიორი თარიღი : _____

* წაშალეთ საჭიროებისამებრ

აუდიტორის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შესახებ

წინამდებარე აუდიტორის ანგარიშში შემოთავაზებული ტექსტური ფორმულირება გამოყენებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდეგ.

უპირობო მოსაზრება

--

**დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში,
[სამეურნეო სუბიექტის სახელწოდება] შესაბამის წევრებს**

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ [სამეურნეო სუბიექტის სახელწოდება] („კომპანიის“) წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (თარიღი),¹ რომელიც მოიცავს [მიუთითეთ პირველადი ანგარიშგების დასახელებები]² და ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება:

- უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას [თარიღი] წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; და
- სათანადოდ მომზადდა [მიუთითეთ კანონმდებლობა] შესაბამისად.³

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს)

შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

[ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში, მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის შესაბამისი პირებისათვის, როგორც კომპანიის შესაბამისი საბჭოს წევრებისათვის [მიუთითეთ კანონმდებლობა] და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.⁴

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და [მიუთითეთ კანონმდებლობა]³ შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროვოს ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

[ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე სხვა საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომლებიც გათვალისწინებულია [მიუთითეთ კანონმდებლობა] მიერ³

[ჩასვით სათანადო მოსაზრება]

საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც, ანგარიშში გამონაკლისის სახით ინფორმირება გვევალება

[ჩასვით სათანადო მოსაზრება]³

[ხელმოწერა]

[მისამართი]

[ხელმოწერა აუდიტური ფირმის სახელით, პირადად აუდიტორის სახელი და გვარი ან ორივე ერთად, იმის და მიხედვით, თუ რა სახის მოთხოვნებს აწესებს ადგილობრივი კანონმდებლობა]³

[თარიღი]

შენიშვნები:

- 1) შეცვალეთ საჭიროებისამებრ.
- 2) აუდიტორული ანგარიში უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში შემავალი თითოეული ანგარიშგების სახელწოდებას (ასს 700, პუნქტი 24-გ) - მხოლოდ გვერდის ნუმერაციაზე მინიშნების გაკეთება, რომელზეც შესაბამისი ანგარიშგებაა მოცემული, აღარ არის დაშვებული. ძირითადი საკითხების აღწერისას გამოყენებული ტერმინები, ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი საკითხების აღწერისას გამოყენებული ტერმინების იდენტური უნდა იყოს.
- 3) საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში ძალაში მყოფი ადგილობრივი კანონმდებლობა, მათ შორის, ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც აუდიტორის მიერ აუდიტორის ანგარიშში შესაბამისი საკითხების ინფორმირებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას.
- 4) ზოგიერთი იურისდიქციით რეკომენდებულია, აუდიტორულ ანგარიშში პასუხისმგებლობიდან განრიდების ფორმულირების შეტანა, იმის ხაზგასასმელად, რომ აუდიტორს არ გააჩნია რაიმე სახის პასუხისმგებლობა რომელიმე ნებისმიერი მხარის მიმართ, გარდა იმ მხარისა, რომელიც აუდიტორის ანგარიშის ადრესატს წარმოადგენს.
- 5) მსგავსი ფორმულირება იმ შემთხვევაში უნდა იქნეს ჩართული აუდიტორის ანგარიშში, თუ მას შესაბამისი მხარდაჭერა გააჩნია ადგილობრივ დონეზე.

დირექტორთა პასუხისმგებლობი

აუცილებელია, რომ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი ინფორმაციას შეიცავდეს დირექტორების სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, თუ აღნიშნული დოკუმენტი არ შეიცავს მსგავს ინფორმაციას, ასეთი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს აუდიტორთა დასკვნაში.

ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი ნიმუში, რეკომენდებულ ფორმულირებას ასახავს, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამართლებრივ მოთხოვნებზე უნდა იქნეს მორგებული.

აღნიშნული ფორმულირება გულისხმობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებული არ არის კომპანიის ვებგვერდზე, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა, საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა.

„დირექტორები პასუხისმგებელნი არიან ყოველი ფინანსური წლისათვის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარ და სამართლიან სურათს იძლევა შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოსთვის კომპანიის მდგომარეობასა და მასში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ასევე შესაბამისი პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე, რომლებიც შეესაბამება [მიუთითეთ კანონმდებლობა]-ს. დირექტორები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას თანმიმდევრულად იქნა გამოყენებულ, სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკა, განვითარებული და გამოყენებულ იქნა გონივრული, წინდახედული და ფრთხილი მსჯელობები თუ შეფასებები. დირექტორები პასუხისმგებელნი არიან, უზრუნველყონ შესაბამისი საბუღალტრო ჩანაწერები კომპანიის აქტივების დასაცავად/მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თაღლითობისა თუ სხვა დარღვევების პრევენციის, ასევე პასუხისმგებელნი არიან მათი გამოვლენის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე.

დამკვეთი:

საანგარიშგებო პერიოდი:

ფინანსური ანგარიშგების კრიტიკული მიმოხილვა

დიახ/ არა/არ გამოი- ყენება	მინიმუმ სამუშაო დოკუმენტზე /კომენტარი
1. გამონაკლისით სარგებლობის შემთხვევაში, გარანტირებულია თუ არა, რომ კომპანიას კვლავ ექნება აღნიშნული გამონაკლისით სარგებლობის უფლება (დანართი 1.4, Ab2)?	
2. შემოწმდა თუ არა სხვა ინფორმაცია, რომელიც აუდიტს დაქვემდებარებულ ინფორმაციას მოიცავს, დირექტორების ანგარიშების ჩათვლით, იმაში დასარწმუნებლად, რომ იგი თავსებადია, შესაბამისი იურისდიქციის საფუძველზე მომზადებულ, აუდიტს დაქვემდებარებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ასევე იმაში, რომ რამდენადაც აუდიტორისათვის არის ცნობილი, ასეთი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომებს (ასს 720.14).	
3. არის თუ არა მინიმუმ საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობაზე სწორი (მაგ., წელი ან შესაბამისი პერიოდი, რომელიც სრულდება)?	
4. არის თუ არა კომპანიისა და ხელმძღვანელ(ებ)ის სახელები სწორად დასახელებული ყოველწლიურ ანგარიშში და შეესაბამება თუ არა კომპანიის სახელწოდება ზუსტად იმ სახელწოდებას, რაც რეგისტრირებულია ჩვენს „კომპანიების რეესტრიში“?	
5. შედეგენილი იქნა თუ არა ფინანსური ანგარიშგება?	
6. ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ ჩანაწერი შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელების რაოდენობას?	
7. არის თუ არა გვერდები დანომრილი და შესაბამისობაშია თუ არა ეს შინაარსის ამსახველ გვერდსა და აუდიტორის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასთან?	
8. შემოწმდა თუ არა მოკორესპონდენტო თანხები?	
9. თუ მოკორესპონდენტო თანხები არ არის აუდიტირებული, ანოტირებულია თუ არა ისინი შესაბამისად და „სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში“ შეტანილია თუ არა აუდიტორის ანგარიშში (ასს 710.14 / ასს 706.10 და 11)?	
10. გამოყენებულია თუ არა ფრჩხილები სწორად და თანმიმდევრულად ძირითად განცხადებებსა და შენიშვნებში?	
11. არის თუ არა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში დაბალანსებული?	
12. არის თუ არა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშგების პუნქტები ჯვარედინად შედარებული (მონიშნული) მთავარ ბარათებთან მიმართებაში?	

დამკვეთი: _____
 პერიოდი: _____

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებული ინფორმაცია და შესაბამისობის შემოწმების წლიური საკონტროლო კითხვარი

ეს საკონტროლო კითხვარი გამოყენებულ უნდა იქნეს „არაკომპლექსური კომპანიების“ გასაჯაროებული ინფორმაციის შემოწმებისა და შესაბამისობის საკითხების გადამოწმების დასადასტურებლად, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში შევსებულ იქნა შესაბამისი გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო (ფასს) კითხვარი და კომპანიის ზომისა და სირთულის გათვალისწინებით, ფირმა არ მიიჩნევს, რომ გასაჯაროებული ინფორმაციის სრული საკონტროლო კითხვარის შევსება ყოველწლიურად არის აუცილებელი.

1. გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარის გამოყენება

შესაბამისი გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი უნდა შეივსოს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

- გარიგების პირველ წელს;
- ყოველ სამ წელიწადში ერთხელ;
- თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის კომპიუტერიზებული სააღრიცხვო წარმოების პაკეტის საშუალებით;
- თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დამკვეთის საქმიანობაში ან სააღრიცხვო პოლიტიკაში;
- იმ შემთხვევებში, თუ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებში ან სამართლებრივ მოთხოვნებში (ფასს სტანდარტების პირველი გამოყენება ცვლილებები ფასს სტანდარტებში);
- იმ მნიშვნელოვანი ტრანზაქციების არსებობის შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს დამატებით ინფორმაციის გასაჯაროებას ფინანსურ ანგარიშგებაში (მაგალითად, კაპიტალში ცვლილება (წლიური მოგების გარდა), ახალი ტიპის აქტივის ან ვალდებულების შემოღება, შემოსავლის ან ხარჯების ახალი წყაროების შექმნა).

2. ზოგადი ცვლილებები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, გამოვლინდა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელიმე საკითხი, რამაც გამოიწვია გასაჯაროებულ ინფორმაციასთან ან შესაბამისობასთან დაკავშირებული ცვლილებები:

- ხელმისაწვდომია თუ არა გასაჯაროებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული გამონაკლისები კანონმდებლობაში/ფასს-ებში, რომელიც ამჟამად არის მიღებული / დაკარგული?
- ვალდებული იყო თუ არა კომპანია მოემზადებინა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წინა საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ არა მიმდინარე პერიოდში?

დიახ/არა

- ვალდებულია თუ არა კომპანია მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (მაგრამ არ მოუზადებია წინა პერიოდში)?
- ნერგავს თუ არა კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ახალ სტრუქტურას პირველად?

თუ ზემოთ მოცემულ კითხვებიდან ერთ-ერთზე მაინც არის პასუხი - „დიახ“, უნდა შეივსოს გასაჯაროებული ინფორმაციის სრული საკონტროლო კითხვარი.

3. ფინანსური ანგარიშგების ახალი სტანდარტები

გასაჯაროებული ინფორმაციის ბოლოს შევსებული საკონტროლო კითხვარი ეკუთვნის საანგარიშო პერიოდს, რომელიც სრულდება _____ აღნიშნული პერიოდის შემდეგ, არანაირი შემდგომი* სააღრიცხვო/ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი ან ცვლილებები (IFRS*) არ გამხდარა სავალდებულო, დაურთეთ კომენტარი, რა გავლენა ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებულ ინფორმაციაზე (ან მიუთითეთ ცალკე, ჯვარედინი მითითების განრიგი) (წაშალეთ შესაბამისი)

ან

აღნიშნული პერიოდის შემდეგ, შემდგომი* სააღრიცხვო/ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი ან ცვლილებები (IFRS*) გახდა სავალდებულო, დაურთეთ კომენტარი, რა გავლენა ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებებში გასაჯაროებულ ინფორმაციაზე (ან მიუთითეთ ცალკე, ჯვარედინი მითითების განრიგი) (წაშალეთ შესაბამისი):

ფინანსური აღრიცხვის სტანდარტი	გავლენა გასაჯაროებულ ინფორმაციაზე

4. გამოტანილი დასკვნა

არ არსებობს გასაჯაროებული ინფორმაციის სათანადო საკონტროლო კითხვარის შევსების აუცილებლობა - მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგება შემოწმებული იქნა გასაჯაროებული ინფორმაციის წინა ჯერზე შევსებული საკონტროლო კითხვარისა და ნებისმიერი ახალი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა თუ მათში შესული ცვლილებების მიხედვით და გასაჯაროებული ინფორმაცია შეფასდა, როგორც ადეკვატური.

დამკვეთი:

მომზადებულია:	თარიღი:
განხილულია:	თარიღი:

პერიოდი:

გამოყენების სფერო

აღნიშნული საკონტროლო კითხვარი უნდა შეივსოს ყველა კორპორაციული სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, სადაც იცავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს) და მიზანშეწონილი არ არის დანართ 3.14-ის შევსება – ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებული ინფორმაციის და შესაბამისობის ყოველწლიური განხილვის საკონტროლო კითხვარი.

აღნიშნული საკონტროლო კითხვარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტებს და შეიცავს მთელ რიგ „საუკეთესო პრაქტიკის“ გასაჯაროებულ ინფორმაციას, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების შედეგად. თუ ამგვარი საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებული ინფორმაცია არ არის მოთხოვნილი, ან აკრძალულია კანონმდებლობით, აუცილებელი იქნება მათი უგულებელყოფა და, სადაც საჭიროა, ამ გასაჯაროებული ინფორმაციის ჩანაცვლება შესაბამისი კანონმდებლობით მოთხოვნილი გასაჯაროებული ინფორმაციით.

ფასს სტანდარტების მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ არსებით მუხლებზე. არარსებითი ნაშთები შეიძლება გაერთიანდეს სხვა ანგარიშების სათაურებში და, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლებელია და აუცილებელიც არის, არარსებითი შენიშვნებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის მოშორება [ბასს 1 პუნქტები 29-31].

არსებობს სამი ძირითადი სტანდარტი, რომელთა ძალაში შესვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი ან 2019 წლის 1 იანვარი: ფასს 9, 15 და 16. ისინი სცილდება აღნიშნული საკონტროლო კითხვარის ფარგლებს. უფრო მეტი დეტალის მიღება შესაძლებელია უშუალოდ ფასს სტანდარტებიდან.

შენიშვნა: საკონტროლო კითხვარის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, უფრო სპეციალიზებული სფეროები განხილულ იქნა დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო კითხვარების მეშვეობით. მათი შევსება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სფეროების არსებობს.

შენიშვნა: აღნიშნული საკონტროლო კითხვარი არ მოიცავს ისეთი კომპანიებისათვის მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციის გასაჯაროებას, რომლებიც დებენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, იქ, სადაც აღნიშნული შესაბამისია, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაციის გახსნის მოთხოვნები ფასს 4-ის შესაბამისად. იგი აგრეთვე არ მოიცავს ბასს 26-ის მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება დამკვეთებს, წარმოდგენილებს საპენსიო სქემების ან ფასიკ 2-ის სახით, რომელიც კოოპერატიულ სამეურნეო სუბიექტებს შეეხება. საკონტროლო კითხვარი აგრეთვე არ მოიცავს გასაჯაროებულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ისეთ კომპანიებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ კოტირებული კაპიტალი ან ვალდებულება.

სპეციალური სფერო - დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება რომელიც შეეხება:	მინიშნება დანართზე ამ სახელმძღვანელოში	არის თუ არა აღნიშნული სფერო შესაფერისი? (დიახ/არა)	შევსებულია თუ არა დამატებითი საკონტროლო კითხვარი? (დიახ/არა/არ ივსება)
მინერალური რესურსების კვლევა და შეფასება	დან. 3.15.1		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა	დან. 3.15.2		
აქციებზე დაფუძნებული გადახდები	დან. 3.15.3		
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	დან. 3.15.4		
ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება	დან. 3.15.5		
მშობელი კომპანია, სადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული	დან. 3.15.6		

შესაფერისი სფეროებისთვის, გრაფაში – „დამატებითი საკონტროლო კითხვარი შევსებულია“ - საჭიროებისამებრ უნდა მოინიშნოს: „დიახ“, „არა“ ან „არ ივსება“. ნებისმიერი პასუხი „არა“სათანადოდ უნდა იქნეს ახსნილი.

შინაარსი

- 1-ლი ნაწილი** წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია
- მე-2 ნაწილი** დირექტორთა ანგარიში (ბიზნესის მიმოხილვა) - საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებული ინფორმაცია
- მე-3 ნაწილი** დირექტორთა ანგარიში - საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებული ინფორმაცია
- მე-4 ნაწილი** სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები
- მე-5 ნაწილი** კაპიტალში შეტანილი ცვლილებების ანგარიშგება
- მე-6 ნაწილი** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები
- მე-7 ნაწილი** ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- მე-8 ნაწილი** საადრიცხვო პოლიტიკა და შეფასების ტექნიკები/მეთოდები
- მე-9 ნაწილი** შენიშვნები და სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია

1-ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია				
მინიშნება			დიახ/არ ივსება	კომენტა- რები
	1	მოიცავს თუ არა წლიური ანგარიში შემდეგ დოკუმენტებს:		
	1.1	➤ წინა გვერდს;		
	1.2	➤ სარჩევს;		
საუკეთესო პრაქტიკა	1.3	➤ დირექტორთა ანგარიშს;		
ბასს 1.9ა	1.4	➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;		
IAS 1.9(b) ბასს 19(ბ) ბასს 1.10 ა ბასს 1.80 A	1.5	➤ სრული შემოსავლის ანგარიშგებას (SCI); აღნიშნული წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი ანგარიშ- გების სახით, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, ზედა ნაწილში მითითებული იქნება მოგების ან ზარალის შეჯამებული ელემენტები, ხოლო ქვედა ნაწილში სხვა სრული შემოსავალი (OCI). ალტერნატივის სახით, მისაღებია ორი ანგარიშგების არსებობა: მოგებისა ან ზარალის ანგარიშგება და სრული შემოსავლის ანგარიშგება (აღნიშნული დაიწყება პერი- ოდის მოგებით ან ზარალით).		
ბასს 1.9 (გ)	1.6	➤ კაპიტალში შესული ცვლილებების ანგარიშგება		
ბასს 1.9 (დ) ბასს 7	1.7	➤ ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
ბასს 1.9(ე) ბასს 1.112 ბასს 1.113 ბასს 1.114	2	წარმოდგენილ იქნა თუ არა შენიშვნები სისტემატური სახით? შემდეგი თანმიმდევრობა რეკომენდებულია ბასს 1-ის მიერ: ➤ განცხადება ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება; ➤ დამხმარე ინფორმაცია პირველად ანგარიშგებაში წარ- მოდგენილი ელემენტებისთვის; ➤ სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია, მათ შორის: ○ პირობითი ვალდებულებები და არ აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებები; და ○ არაფინანსური გასაჯაროებული ინფორმაცია, მაგა- ლითად სამეურნეო სუბიექტის ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკები.		
ბასს 1.49	3	წლიურ ანგარიშში აშკარად გამოყოფილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სხვა ინფორმაციისგან?		
ბასს 1.11	4	ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში ერთნაირი პა- სუხისმგებლობით იქნა თუ არა წარმოდგენილი ყველა პირველადი ანგარიშგება?		
ბასს 1.113	5	მოხდა თუ არა პირველადი ანგარიშგებისა და დამხმარე შენიშვნების სათანადო ჯვარედინი მონიშვნა?		

1-ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია				
მინიშნება			დიახ/არ არ ივსება	კომენტა- რები
	6	ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია		
ბასს 1.51 (ა)-დან (ე)-მდე	6.1	<p>გასაჯაროებულია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებში შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეურნეო სუბიექტის დასახელება (ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები); ➤ სამეურნეო სუბიექტის დასახელებაში შეტანილი ნებისმიერი სახის ცვლილება (ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ➤ მოიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგების კომპლექტი ინდივიდუალურ სამეურნეო სუბიექტს ან ჯგუფს (ანუ კონსოლიდირებულია თუ არა შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება); ➤ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულის თარიღი და პერიოდი, რომელსაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგება; ➤ წარსადგენი ვალუტა; და ➤ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი. 		
ბასს 1.138 (ა)	6.2	<p>გასაჯაროებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეურნეო სუბიექტის ფაქტობრივი და იურიდიული ფორმა; ➤ რეგისტრაციის ქვეყანა; ➤ რეგისტრირებული ოფისის მისამართი; და ➤ ბიზნესის ძირითადი ადგილი (თუ განსხვავდება რეგისტრაციის ადგილისგან)? 		
	7	წარსადგენი ვალუტა		
ბასს 21.53	7.1	იმ შემთხვევებში, სადაც წარსადგენი ვალუტა განსხვავდება ფუნქციონალური ვალუტისგან, არის თუ არა გასაჯაროებული აღნიშნული ფაქტი ფუნქციონალური ვალუტის შესახებ და მიზეზები, თუ რატომ იქნა გამოყენებული გასხვავებული წარსადგენი ვალუტა?		
ბასს 21.54	7.2	ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში ცვლილებების შეტანის ან მნიშვნელოვანი უცხოური ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, გასაჯაროვდა თუ არა ეს ინფორმაცია/ფაქტი ცვლილების მიზეზის მითითებით?		
ბასს 21.57	7.3	იმ შემთხვევაში, თუ გასაჯაროებული ინფორმაცია არც ფუნქციონალურ და არც საპრეზენტაციო ვალუტაში არ არის წარმოდგენილი, მოცემულია თუ არა ბასს 21-ის 57-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია?		

1-ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია				
მინიშნება			დიახ/არ არ ივსება	კომენტა- რები
ბასს 29.39	7.4	<p>თუ სამეურნეო სუბიექტი ანგარიშს ჰიპერინფლაციურ ფუნქციონალურ ვალუტაში ადგენს, იქნა თუ არა გასაჯაროებული შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგება და წინა პერიოდების შესაბამისი მონაცემები გადაანგარიშებულია სამუშაო ვალუტის საერთო მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებების გათვალისწინებით და, აქედან გამომდინარე, ისინი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ზომის ერთეულით; ➤ შედგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ისტორიული ღირებულების თუ მიმდინარე ღირებულების მეთოდით; და ➤ იდენტურობა და ფასების საერთო ინდექსის დონე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აგრეთვე ამ ინდექსის ცვლილების დინამიკა მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდებში. 		
	8	ძირითადი საქმიანობა		
ბასს 1.138 (ბ)	8.1	<p>აისახა თუ არა შემდეგი საკითხები ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ისინი არ არის გასაჯაროებული დირექტორთა ანგარიშის ან სტრატეგიული ანგარიშის განმარტებით შენიშვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეურნეო სუბიექტის ოპერაციების ხასიათის აღწერილობა; და ➤ მისი ძირითადი საქმიანობა? 		
	9	სამეურნეო სუბიექტები შეზღუდული სასიცოცხლო ვადით		
ბასს 1.138 (დ)	9.1	<p>თუ სამეურნეო სუბიექტი წარმოადგენს შეზღუდული სასიცოცხლო ვადის სამეურნეო სუბიექტს, იქნა თუ არა მოწოდებული ინფორმაცია, მისი სასიცოცხლო ვადის ხანგრძლივობის შესახებ?</p>		
	10	კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი		
	10.1	<p>აისახა თუ არა სარეგისტრაციო ნომერი გამოსაჩენ ადგილას?</p>		
	11	შესადარისები		
ბასს 1.10 (ეა), 38, 38ა	11.1	<p>გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას უშვებს ფასს სტანდარტები ან მოითხოვს სხვაგვარად, წარმოადგინა თუ არა სამეურნეო სუბიექტმა <u>სულ მცირე</u> წინა პერიოდის შედარებითი ინფორმაცია ყველა იმ თანხების შესახებ, რომელიც წარმოდგენილ იქნა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში (პირველადი ანგარიშგება და შენიშვნები)?</p>		
ბასს 1.38ბ		<p>1-ლი შენიშვნა: სამეურნეო სუბიექტმა შესადარისი ინფორმაცია უნდა დაურთოს ნარატიული და აღწერილობითი ინფორმაციისთვის, როდესაც ეს საჭიროა მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.</p>		

1-ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია			
მინიშვნა		დიახ/არ ივსება	კომენტა- რები
ბასს 1.38 გ ბასს 1.38 დ		<p>მე-2 შენიშვნა: იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული გასაჯაროებული ინფორმაცია არ მოითხოვს შესადარის ინფორმაციას, საჭიროა ასეთი საკითხების გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარში ასახვა.</p> <p>მე-3 შენიშვნა: არ არსებობს არავითარი შეზღუდვა ისეთი შესადარისი თანხების გასაჯაროებაზე, რომლებიც შეეხება პერიოდებს, რომლებიც წინ უსწრებს წინა პერიოდს (და ზოგჯერ ეს მოთხოვნილია კონკრეტულად), თუმცა, ფასს 1-ის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მომზადდეს ფასს სტანდარტების შესაბამისად და იმ შემთხვევებში, როდესაც დამატებითი პირველადი ინფორმაცია გასაჯაროებულია, საჭიროა, აგრეთვე შესაბამისი შენიშვნის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაც.</p>	
	11.2	იმ შემთხვევებში, სადაც შესადარისების ხელახლა გადაანგარიშება მოხდა, ან პირველად ანგარიშგებაში ან შენიშვნებში, მოხდა თუ არა მათი ამ სახით ანოტირება?	
ბასს 1.9ვ, 40ა, 4ბ ბასს 40გ	11.3	შეცდომის, ფასს სტანდარტების ახალი რეტროსპექტიული გამოყენების ან სამეურნეო სუბიექტების რეკლასიფიცირების შედეგად წინა პერიოდში კორექტირების შეტანის შემთხვევაში, საჭიროა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენა წინა პერიოდის დასაწყისით (<u>სხვა სიტყვებით: ფინანსური მდგომარეობის შესახებ მესამე ანგარიშგება</u>). საჭიროების შემთხვევაში, მოხდა თუ არა ამის გასაჯაროება? 1-ლი შენიშვნა: არ არის აუცილებელი შესაბამისი შენიშვნების გასაჯაროება.	
	12	არსებითობა და აგრეგირება	
ბასს 1.29 – 31	12.1	უზრუნველყოფილ იქნა თუ არა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის გადატვირთული არაარსებითი ინფორმაციის გასაჯაროებით? შენიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია არამატერიალურ ელემენტებთან, ამოღებულ უნდა იქნეს, ხოლო ის ელემენტები, რომლებიც გასაჯაროებულია პირველად ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაერთიანდეს სხვა ისეთ ანალოგიურ ელემენტებთან, რომლებიც ასევე არამატერიალურია.	
	13	დირექტორთა პასუხისმგებლობის ამსახველი ინფორმაცია	
საუკეთესო პრაქტიკა	13.1	გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➤ დირექტორთა პასუხისმგებლობის შესახებ სრული ინფორმაცია (იხ. დანართი 3.12 შემოთავაზებული ფორმულირების სანახავად); ➤ რამდენადაც ცნობილია დირექტორებისთვის, არ არსებობს აუდიტისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, 	

1-ლი ნაწილი – წლიური ანგარიშის ფორმატი და ზოგადი ინფორმაცია				
მინიშნება			დიახ/არ არ ივსება	კომენტა- რები
		<p>რომელიც არ არის ცნობილი კომპანიის აუდიტორებისათვის; და</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ის, რომ დირექტორებმა ყველა ნაბიჯი გადადგეს, რომლებიც მათ როგორც დირექტორებს უნდა გადაეღათ იმისათვის, რომ მოეპოვებინათ ნებისმიერი, აუდიტისთვის შესაბამისი ინფორმაცია და დაედგინათ, რომ კომპანიის აუდიტორებისათვის ცნობილია, ყველა ასეთი ინფორმაციის შესახებ? <p>აღნიშნული განმარტებები წარმოდგენილ უნდა იქნეს ან დირექტორთა ანგარიშის ნაწილის ან ცალკე ანგარიშგების სახით.</p> 		
	14	აუდიტორის ანგარიში		
	14.1.	შემოწმდა თუ არა აუდიტორის ანგარიში იმაში დასარწმუნებლად, რომ ანგარიში აქტუალურია?		

მე-2 ნაწილი – დირექტორთა ანგარიში (ბიზნესის მიმოხილვა) – გასაჯაროებული ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენტა- რები
	1	<p>არსებობს თუ არა კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ბიზნესის განვითარების ან მოსწრების შესახებ სამართლიანი მიმოხილვა ფინანსური პერიოდის განმავლობაში, იმ ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობის აღწერილობა, რომლებსაც აქვთ ადგილი კომპანიასთან და მის შვილობილი კომპანიებთან მიმართებაში, მდგომარეობა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს და ანალიზი საკვანძო ფინანსური მოსწრების ინდიკატორების გამოყენებით?</p> <p>შენ: ჩვეულებრივ, შესაძლებელია ზოგიერთი ინფორმაციის გასაჯაროების გამოტოვება, როგორებიცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიტუაციების მოსალოდნელ განვითარებასთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროება, რომლებსაც დირექტორთა აზრით კომპანიის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია; ან ➤ (პიროვნების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება) ინფორმაციის გასაჯაროება დირექტორთა აზრით, სერიოზულ ზიანს მიაყენებ ამ პიროვნებას და ამავდროულად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს. 		

მე-2 ნაწილი – დირექტორთა ანგარიში (ბიზნესის მიმოხილვა) - გასაჯაროებული ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
2	ფინანსური ინსტრუმენტები		
2.1	<p>კომპანიის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, გასაჯაროებულია თუ არა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინანსური რისკის მართვის მიზნები და კომპანიის პოლიტიკა, მათ შორის, პროგნოზირებული ძირითადი ოპერაციების თითოეული ტიპის ჰეჯირების პოლიტიკა, რომლისთვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვა; და ➤ კომპანიის ფასის რისკის, საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის რისკისა და ფულადი ნაკადების რისკის მიმართ მიდრეკილება? <p>სანამ აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება არაარსებითი სამეურნეო სუბიექტის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგებისა ან ზარალის შეფასებისთვის.</p> <p><i>შენ: თუ გასაჯაროებული ინფორმაცია სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაშინ დაშვებულია ჯვარედინი მითითება აღნიშნულ გასაჯაროებულ ინფორმაციასთან.</i></p>		

მე-3 ნაწილი - დირექტორთა ანგარიში (სხვა) - გასაჯაროებული ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
1.	გასაჯაროებულია თუ არა იმ დირექტორთა სახელები, რომლებიც მუშაობდნენ საანგარიშგებო პერიოდის ნებისმიერ დროს?		
2.	გასაჯაროებულია თუ არა კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და საქმიანობაში შეტანილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებები?		
3.	გასაჯაროებულია თუ არა შემოთავაზებულ დივიდენდებთან დაკავშირებული ინფორმაცია?		
4.	<p>გასაჯაროებულია თუ არა კომპანიისა და მის შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენის დეტალები, რომლებიც წარმოიშვა ბალანსის შემდგომ; ➤ სავარაუდო მომავალ მოვლენებზე მითითება ბიზნესში; და ➤ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტურო საქმიანობაზე მითითება? 		

მე-3 ნაწილი - დირექტორთა ანგარიში (სხვა) - გასაჯაროებელი ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
მინიშნება				
5.	იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიამ საკუთარი აქციები შეიძინა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: ➤ შეძენილი აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება; ➤ გადახდილი ანაზღაურება; ➤ შეძენის მიზეზი; და ➤ მოზიდული სააქციო კაპიტალის პროცენტული წილი, რომელიც წარმოადგენილია ამ აქციების სახით?			
6.	საკუთარი აქციების შეძენასთან დაკავშირებით, ყიდვის გარდა, ან გირაო ან ვალდებულების დარიცხვა ამ აქციებზე: ➤ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან გირავნობით დატვირთული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება; ➤ საანგარიშგებო პერიოდის ნებისმიერ დროს ამგვარი აქციების მაქსიმალური რაოდენობა და ნომინალური ღირებულება; ➤ შეძენილი ან გირავნობით დატვირთული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, რომლებიც გაიყიდა ან გაუქმდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ➤ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მოზიდული სააქციო კაპიტალის ოდენობა, რომელსაც წარმოადგენენ აღნიშნული აქციები; და ➤ ნებისმიერი გირაოს ოდენობა.			
7.	მოიცავს თუ არა დირექტორთა ანგარიში საბჭოს მიერ დადასტურების თარიღს და მათი სახელით ხელისმომწერი დირექტორების სახელებს?			

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
მინიშნება				
ბასს 1 მუხლი 81ა, საშუალებას იძლევა, რომ სრული შემოსავლის ანგარიშგება წარმოადგენილ იქნეს ერთი ან ორი ანგარიშგების სახით (მოგებისა და ზარალის ანგარიში და სრული შემოსავლის ანგარიშგება (რაც არის ერთი წლის განმავლობაში დაგროვებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის (OCI) ელემენტების კომბინაცია)).				
	1	ფორმატი		
ბასს 1.82	1.1	მოიცავს თუ არა მოგებისა და ზარალის ანგარიში (ან სრული შემოსავლის ანგარიშგების ზედა ნახევარი) შემდეგ მუხლებს, შესაბამის შემთხვევაში:		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნა			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ ამონაგები; ➤ ფინანსური დანახარჯები; ➤ მეკავშირეებისა და ერთობლივი საწარმოების მოგების ან ზარალის წილს, რომელიც აღირიცხა წილობრივი მეთოდის გამოყენებით; (წილობრივი აღრიცხვა ამჟამად დაშვებულია მხოლოდ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა, ბასს 27-ში შეტანილი ცვლილება მოგვეცემს ამის განხორციელების შესაძლებლობას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში). ➤ საგადასახადო ხარჯი; და ➤ შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური, ერთიანი თანხა 		
ბასს 1.99	1.2	მოგებაში ან ზარალში აღიარებული ელემენტების კლასიფიკაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, მათი შინაარსის ან ფუნქციიდან გამომდინარე, აირჩია თუ არა სამეურნეო სუბიექტმა წარდგენის უფრო შესაფერისი საფუძველი?		
ბასს 1.102	1.3	იმ შემთხვევებში, სადაც ელემენტები წარმოდგენილია <u>მათი შინაარსის საფუძველზე</u> , საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი სათაურები: <ul style="list-style-type: none"> ➤ ამონაგები; ➤ სხვა შემოსავალები; ➤ ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში; ➤ გამოყენებული ნედლეული და მასალები; ➤ პერსონალის შენახვის ხარჯები; ➤ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები; ➤ სხვა ხარჯები; ➤ სულ ხარჯები; და ➤ მოგება დაბეგვრამდე? 		
ბასს 1.103	1.4	იმ შემთხვევებში, სადაც ელემენტები წარმოდგენილია <u>ხარჯების ფუნქციის საფუძველზე</u> საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი სათაურები: <ul style="list-style-type: none"> ➤ ამონაგები; ➤ პირდაპირი ხარჯები; ➤ მთლიანი მოგება; ➤ სხვა შემოსავალები; ➤ კომერციული დანახარჯები; ➤ ადმინისტრაციული ხარჯები; ➤ სხვა ხარჯები; და ➤ მოგება დაბეგვრამდე. 		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
ბასს 1.104		თუკი სამეურნეო სუბიექტი ახდენს ხარჯის კლასიფიცირებას ფუნქციის მიხედვით, წარმოდგენილია თუ არა სხვა დამატებითი ინფორმაცია, ხარჯების შინაარსთან დაკავშირებით, მათ შორის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების და დაქირავებულ პირთა ანაზღაურების ხარჯებთან დაკავშირებით?		
ბასს 1.84	1.5	დაემატა თუ არა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას დამატებითი სტრიქონები, სათაურები და შუალედური ჯამები, როგა ასეთი პრეზენტაცია მნიშვნელოვანი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგების გააზრებისათვის.		
	2	გამონაკლისი ელემენტები გამონაკლისია ელემენტი რომელიც წარმოიშობა სამეურნეო სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში განვითარებული მოვლენებისაგან, მაგრამ მისი ზომის ან მოქმედების სფეროს გამო, ცალკე უნდა გასაჯაროვდეს (ოდენობისა და შინაარსის განმარტებით) უტყუარი და სამართლიანი ხედვის უზრუნველსაყოფად.		
ბასს 1.97	2.1	გასაჯაროვდა თუ არა გამონაკლის ელემენტებთან დაკავ- შირებული შემდეგი ინფორმაცია: ➤ მათი ოდენობა; და ➤ მათი შინაარსი.		
ბასს 1.98 ბასს 2.36 (ე) (ვ)	2.2	გასაჯაროებულია თუ არა ცალკე შემდეგი ელემენტები: ა) ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, ან ამგვარი ჩამოწერის რევერსირება (აღდგენა); ბ) ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ანაზღაურებად თანხამდე, ან ამგვარი ჩამოწერის რევერსირება (აღდგენა); გ) სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის რესტრუქტურისა ან რესტრუქტურის ხარჯების ნებისმიერი რევერსირება (აღდგენა); დ) ძირითადი საშუალებების ელემენტების რეალიზაცია; ე) ინვესტიციების გაყიდვა; ვ) შეწყვეტილი ოპერაციები; ზ) სასამართლო გარჩევები; და თ) ანარიცხების სხვაგვარი რევერსირება (აღდგენა)? <i>1-ლი შენიშვნა: ზემოაღნიშნულ პუნქტთან (ა) დაკავშირებით ბასს 2-ში კონკრეტულად აღნიშნულია, რომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გასაჯაროვდეს გარემოებები, რომლებმაც განაპირობა მარაგების ჩამოწერა ან რევერსირება (აღდგენა).</i>		
ბასს 2.36(ზ)				

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
	3	ამონაგების ანალიზი		
ბასს 18.35 (ბ) ბასს 11.39 (ა)	3.1	ჩატარდა თუ არა შემდეგი მონაცემების ანალიზი მოგებისა და ზარალის ანგარიშში აღიარებული ამონაგების თითოეული კლასისთვის (ბრუნვა, სხვა საოპერაციო შემოსავალი და ა.შ.): <ul style="list-style-type: none"> ➤ საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი; ➤ მომსახურების გაწევისგან მიღებული შემოსავალი; ➤ სამშენებლო ხელშეკრულებების შესრულების შედეგად აღიარებული შემოსავალი; ➤ საპროცენტი განაკვეთი; ➤ როიალტი; და ➤ დივიდენდები. 		
ბასს 18.35 (გ)	3.2	გასაჯაროვდა თუ არა ზემოაღნიშნულ თითოეულ კატეგორიაში ან შემოსავალში მოცემული საქონლის ან მომსახურების (მაგ., ბარტერული გარიგებები) გაცვლის შედეგად მიღებული შემოსავლის ოდენობა?		
	4	მესამე მხარისგან მიღებული კომპენსაცია, ძირითადი საშუალებების ელემენტებთან დაკავშირებით		
ბასს 16.74(დ)		გასაჯაროვდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან შენიშვნებში კომპენსაციის ოდენობა, რომელიც მიღებულ იქნა მესამე მხარეებისაგან ძირითადი საშუალებების ერთეულის გაუფასურების, დაკარგვის ან გაცემისათვის, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.		
ფასს 5.34	5	შეწყვეტილი ოპერაციები შენიშვნა: წინა პერიოდებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელახლა უნდა იქნეს წარდგენილ ისე, რომ მასში აისახოს ყველა ის ოპერაცია, რომელიც შეწყდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე.		
ფასს 5.33-ის (ა) ქვე-პუნქტი ფასს 5.33(ა)	5.1	გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია ცალკე სტრიქონის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგება და ზარალი ელემენტებში, თუ ისინი წარმოდგენილია განცალკავებულ ანგარიშგებაში): <ul style="list-style-type: none"> ➤ შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და ➤ დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით? 		
ფასს 5.33 (ბ)	5.2	მოცემულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ანალიზი, ან ინტეგრირებულია თუ არა იგი სრული		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნა			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
ფასს 12.81 (თ)		შემოსავლის ანგარიშგებაში, რაც უნდა გასაჯაროვდეს ფასს 5.33(ა)-ის თანახმად, შემდეგი სახით: <ul style="list-style-type: none"> ➤ შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე, ამონაგები, ხარჯები და დაბეგრამდელი მოგება ან ზარალი; ➤ შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებასთან, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით; ➤ შესაბამისი გადასახადის ხარჯი. 		
ფასს 5.35	5.3	მიმდინარე პერიოდში მომხდარი ცვლილებები იმ თანხებში, რომელიც ადრე წარდგენილი იყო შეწყვეტილ ოპერაციებში და პირდაპირ კავშირშია შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან წინა პერიოდში, კლასიფიცირებულია თუ არა ცალკე შეწყვეტილ ოპერაციებში? აღნიშნულ გასაჯაროვებულ ინფორმაციაში უნდა განიმარტოს ცვლილებების ბუნება და მოცულობა. 1-ლი შენიშვნა: პრაქტიკული მაგალითები მითითებულია ფასს 5-ის 35-ე პუნქტში		
ფასს 5.36	5.4	თუ საწარმო წყვეტს კომპონენტის კლასიფიცირებას, როგორც გასაყიდად გამიზნული, მოხდა თუ არა მანამდე შეწყვეტილ ოპერაციებში წარდგენილი კომპონენტის ოპერაციების შედეგების ხელახლა წარდგენა განგრძობით ოპერაციებში და მოხდა თუ არა მისი ასეთად აღწერა?		
IFRS 5.41 (გ)	5.5	თუ აქტივების ან გამსვლელი ჯგუფების ჩამოწერა ხდება თავდაპირველად ან შემდგომ, ან ხდება დაგროვილი გაუფასურების აღდგენა, გასაჯაროებულია თუ არა ცალკე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული შემოსულობა და ზარალი, ან ალტერნატივის სახით გასაჯაროებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში?		
	6	სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები		
ბასს 38.126	6.1	გასაჯაროვდა თუ არა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების საერთო ოდენობა, რომელიც აღიარდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში?		
	7	ამორტიზაცია		
ბასს 38.118 (დ)	7.1	რაც შეეხება საამორტიზაციო დარიცხვას არამატერიალურ აქტივებზე, აღინიშნა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგების რომელ პიზიციასა (პოზიციებშია) ისინი მოცემული?		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
	8	საინვესტიციო ქონება	
ბასს 40.75(ვ) (i)-დან (iv)-მდე	8.1	<p>გასაჯაროვდა თუ არა მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხა, შემდეგთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავლები; ➤ საექსპლუატაციო ხარჯები (რემონტისა და ტექნომსახურების ხარჯების ჩათვლით), გამიჯნული იმ ქონების მიხედვით, რომლებიდანაც მიღებულ იქნა და არ იქნა მიღებული საიჯარო შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ➤ მოგებასა და ზარალში აღიარებული რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ქონების გადატანასთან აქტივების ჯგუფიდან, რომლისთვისაც გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი, ჯგუფში, რომლისთვისაც გამოყენებულია რეალური ღირებულების მოდელი. 	
	9	გაუფასურება (აღიარებული ან კომპენსირებული)	
		<p>9.1-დან 9.4-მდე აღნიშნული გასაჯაროებული ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები, როგორც წესი, მოცემულია საოპერაციო მოგების შენიშვნაში ან შემოსავლის ანგარიშგებ(ებ)ში, თუმცა, სხვაგვარად, აღნიშნული გასაჯაროებული ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დადარების შენიშვნების ნაწილის სახით, რაც მხარს უჭერს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას [ბასს 36.128].</p> <p>ქვემოთ მოცემული გასაჯაროებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ცალკეული აქტივების თითოეული კლასისთვის [ბასს 36.127].</p>	
ბასს 36 126(ა)	9.1	გასაჯაროვდა თუ არა მოცემული პერიოდის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგების ის მუხლი (მუხლები), რომელიც მოიცავს ამ გაუფასურების ზარალის თანხებს;	
ბასს 36 126 (ბ)	9.2	ჩატარდა თუ არა მსგავსი ანალიზი ისტორიული გაუფასურებების აღდგენისათვის?	
ბასს 36 126 (გ)	9.3	გასაჯაროვდა თუ არა გადაფასებულ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი, რომელიც მოცემულ პერიოდში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში?	
ბასს 36 126 (დ)	9.4	გასაჯაროვდა თუ არა გადაფასებულ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღდგენა, რომელიც მოცემულ პერიოდში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში?	
ბასს 36 129 (ა) -დან (ბ)- მდე	9.5	გასაჯაროვდა თუ არა ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ცალკეული აქტივებისთვის (მათ შორის, გუდვილის) ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომ-	

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
ბასს 36 130 (ა)-დან (დ)-მდე		<p>ლისთვისაც აღიარებულ ან კომპენსირებულ (აღდგენილ) იქნა გაუფასურების ზარალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც განაპირობა გაუფასურების ზარალის აღიარება ან კომპენსირება; ➤ აღიარებული ან კომპენსირებული გაუფასურების ზარალის თანხა; ➤ თითოეული ცალკეული აქტივის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> ○ აქტივის შინაარსი; და ○ თუ სამეურნეო სუბიექტი ანგარიშგებას ახორციელებს სეგმენტურად (ინფორმაციის წარსადგენად ფასს 8-ს იყენებს), საანგარიშგებო სეგმენტი, რომელსაც აქტივი განეკუთვნება; ➤ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის: <ul style="list-style-type: none"> ○ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღწერა (მაგალითად, საწარმოო ხაზი, ქარხანა, ბიზნეს ოპერაცია, ან საანგარიშგებო სეგმენტი, ფასს 8-ის განმარტების შესაბამისად); ○ გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც აღიარებულ ან კომპენსირებულ იქნა აქტივთა კლასისთვის; და ○ თუ საწარმო სეგმენტის ინფორმაციის წარსადგენად ფასს 8-ს იყენებს - საანგარიშგებო სეგმენტისათვის 	
ბასს 36 129 (ა)-დან (ბ)- მდე		<ul style="list-style-type: none"> ○ თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების ბოლო შეფასების შემდეგ (თუ ასეთი არსებობს) შეიცვალა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იდენტიფიცირების მიზნით აგრეგირებული აქტივების შემადგენლობა, საწარმომ უნდა აღწეროს აქტივების აგრეგირებისთვის მიმდინარე, ან წინა პერიოდებში გამოყენებული მეთოდი და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განსაზღვრის მეთოდის შეცვლის მიზეზები. 	
ბასს 36 130 (ე)-დან (ზ)-მდე	9.6	<p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია ცალკეული აქტივისთვის (მათ შორის, გუდვილი) ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომლისთვისაც აღიარებულ ან კომპენსირებულ იქნა გაუფასურების ზარალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება და ასევე აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება მისი გამოყენების ღირებულების ტოლია, თუ გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების; 	

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშვნა		დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
			<p>➤ თუ ანაზღაურებადი ღირებულება გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ტოლია, საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეალური ღირებულების იერარქიის დონე (იხ. ფასს 13), რომელსაც მთლიანად მიეკუთვნა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) სამართლიანი ღირებულების შეფასება ○ რეალური ღირებულების შეფასებისთვის, რომელიც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეს: <ul style="list-style-type: none"> ▪ გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ის აღწერა. თუ შეცვლილია ზემოაღნიშნული შეფასების მეთოდი, საწარმომ უნდა აღწეროს თვითონ ცვლილება და ცვლილების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი; ▪ თითოეული ძირითადი დაშვების აღწერა, რომლის საფუძველზეც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება; ○ მიმდინარე და წინა შეფასებებისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთ(ებ)ი, თუ გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება შეფასებულია დღევანდელი ღირებულების მეთოდიკით. <p>➤ თუ ანაზღაურებადი ღირებულება გამოყენების ღირებულებას ეფუძნება - გამოყენების ღირებულების მიმდინარე და ადრინდელი შეფასების გამოსათვლელად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთ(ებ)ი.</p>
ბასს 36 131	9.7		<p>თუ ბასს 36.130-ით მოთხოვნილი ინფორმაცია არ გასაჯაროვდა (სავარაუდოდ, არამატერიალურობის საფუძველზე), გაასაჯაროვა თუ არა სამეურნეო სუბიექტმა შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივების ძირითადი კლასები, რომელზედაც გავლენა მოახდინა გაუფასურების ზარალმა და გაუფასურების ზარალის კომპენსირებამ; და ➤ მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც განაპირობა გაუფასურების ზარალისა და გაუფასურების ზარალის კომპენსირების აღიარება.
ბასს 36 132	9.8		<p>გასაჯაროვდა თუ არა დაშვებები, რომლებიც გამოყენებული იქნა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების) ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას (გარდა გასაჯაროებული ინფორმაციისა, რომელიც კონკრეტულად მოთხოვნილია ბასს 36.134-ით (იხ. ქვემოთ), აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება კეთდება ნებაყოფლობით).</p>

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		გაუფასურება - გუდვილი, რომელიც არ გამოიყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის	
ბასს 36 133, 84	9.9	<p>თუ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი გუდვილის რაიმე ნაწილი განაწილებული არ არის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ან მათ ჯგუფზე) საანგარიშგებო თარიღისათვის, საწარმომ გაასაჯაროვა თუ არა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ გაუნაწილებელი გუდვილის თანხა; და ➢ მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ამ თანხის განაწილება? 	
ბასს 36 136 ბასს 36 134	9.10	<p>გაუფასურება - გუდვილი და არამატერიალური ფიქსირებული აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით</p> <p>შენიშვნა: თუ გარკვეულ შემთხვევებში ხორციელდება დეტალური გაანგარიშება და გამოიყენება გაუფასურების მიმდინარე წლის განხილვისას ბასს 36, შესაბამისად (პუნქტები 24-დან 99-მდე), ქვემოთ მოცემული 134-ე და 135-ე პუნქტების გასაჯაროებული ინფორმაციის მოთხოვნები ეხება აღნიშნულ გაანგარიშგებას.</p> <p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაციამ თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) შესახებ, თუ ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ერთეულთა ჯგუფზე) მიკუთვნებული გუდვილის, ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვანია მთელი საწარმოს გუდვილის, ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების მთლიან თანხასთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ერთეულზე (ერთეულთა ჯგუფზე) მიკუთვნებული გუდვილის საბალანსო ღირებულება; ➢ ერთეულზე (ერთეულთა ჯგუფზე) მიკუთვნებული განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება; ➢ ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის საფუძველი (ე.ი. გამოყენების ღირებულება, თუ გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება); ➢ თუ ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა მის გამოყენების ღირებულებას: <ul style="list-style-type: none"> ○ თითოეული ძირითადი დაშვების აღწერა, რომლის საფუძველზეც ხელმძღვანელობამ გამოითვალა იმ 	

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული მნიშვნელობები				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		<p>პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზები, რომლებსაც მოიცავს ბოლო ბიუჯეტები/პროგნოზები. ძირითად დაშვებად მიიჩნევა დაშვება, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თითოეული ძირითადი დაშვების მნიშვნელობ(ებ)ის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მიდგომის აღწერა; ეს მნიშვნელობები წარსულ გამოცდილებას ეფუძნებოდა, თუ შეესაბამება ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებს და თუ არა, როგორ და რატომ განსხვავდება გამოყენებული მიდგომა წარსული გამოცდილებისა და ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებისაგან; ○ პერიოდი, რომლისთვისაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზები ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებსა, თუ პროგნოზებზე დაყრდნობით, ხოლო, როდესაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის (ერთეულთა ჯგუფისათვის) ასეთი პერიოდი აღემატება ხუთ წელიწადს – განმარტება, თუ რატომ არის გამართლებული ასეთი ხანგრძლივი პერიოდის გამოყენება. 		
ბასს 36 134 (გაგრძ.)		<ul style="list-style-type: none"> ○ ზრდის ტემპი, რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი ნაკადების პროგნოზების ექსტრაპოლაციისთვის ბოლო ბიუჯეტებითა თუ პროგნოზებით მოცულ პერიოდზე უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის. თუ გამოყენებულია პროდუქტების, დარგის, ქვეყნის ან ქვეყნების, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფისათვის) ბაზრისათვის დამახასიათებელ გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპზე უფრო დიდი მაჩვენებელი – ამგვარი ქმედების დასაბუთება; ○ ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზების განსაზღვრისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთ(ებ)ი; ➤ თუ ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას – ამ უკანასკნელის დასადგენად გამოყენებული შეფასების მეთოდიკა. ○ იმ შემთხვევაში, თუ შეფასება არ ხდება იდენტური ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) კოტირებული 		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
მინიშნება				
		<p>ფასით, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში დამატებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თითოეული ძირითადი დაშვების აღწერა, რომლის საფუძველზეც ხელმძღვანელობამ გამოითვალა გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება. ძირითად დაშვებად მიიჩნევა დაშვება, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება; ▪ თითოეული ძირითადი დაშვების მნიშვნელობის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მიდგომის აღწერა, ეს მნიშვნელობები წარსულ გამოცდილებას ეფუძნებოდა, თუ შეესაბამება ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებს და თუ არა, როგორ და რატომ განსხვავდება გამოყენებული მიდგომა წარსული გამოცდილებისა და ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებისაგან; ▪ რეალური ღირებულების იერარქიის დონე (იხ. ფასს 13), რომელსაც მთლიანად მიეკუთვნა რეალური ღირებულების შეფასება; ▪ თუ შეცვლილია ზემოაღნიშნული შეფასების მეთოდი, საწარმომ უნდა აღწეროს ცვლილება და ცვლილების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი; <p>○ თუ გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზების მეშვეობით, საწარმომ დამატებით უნდა გააშუქოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერიოდი, რომელსაც ეხება ხელმძღვანელობის მიერ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები; ▪ ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზების ექსტრაპოლაციისთვის გამოყენებული ზრდის ტემპი; ▪ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთ(ებ)ი. 		
ბასს 36 134 (გაგრძ.)	9.10	<p>➤ თუ რომელიმე ძირითად დაშვებაში, რომელსაც ხელმძღვანელობა დაეყრდნო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისას, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულების მეტობა ანაზღაურებად ღირებულებაზე;</p>		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული მენიშვნები				
მინიშვნა			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		<ul style="list-style-type: none"> ○ თანხა, რომლითაც ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება აჭარბებს საბალანსო ღირებულებას; ○ ამ ძირითად დაშვებაზე მიკუთვნებული მნიშვნელობა; ○ თანხა, რომლითაც უნდა შეიცვალოს ძირითად დაშვებაზე მიკუთვნებული მნიშვნელობა, რათა ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ფაქტორებში, ამ ცვლილების გავლენით გამოწვეული შესაბამისი ცვლილებების კომბინირებული ეფექტის შედეგად, ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება გაუტოლდეს საბალანსო ღირებულებას. 		
ბასს 36 135	9.11	<p>თუ გუდვილის ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მთლიანად ან ნაწილობრივ გადანაწილებულია მრავალ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (მათ ჯგუფზე) და ასეთი გადანაწილებული ღირებულება უმნიშვნელოა საწარმოს გუდვილის ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, მაშინ განმარტებით მენიშვნებში უნდა აისახოს;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღნიშნული ფაქტი; ➤ გადანაწილებული საბალანსო ღირებულების მთლიანი სიდიდე; ➤ ამასთანავე, თუ ამგვარი ფულადი სახსრების წარმომქმნელი რომელიმე ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა ერთსა და იმავე ძირითად დაშვებას (დაშვებებს) და გუდვილის ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების აღნიშნულ ერთეულებზე გადანაწილებული საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვანია საწარმოს გუდვილის ან განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, ასახა თუ არა სამეურნეო სუბიექტმა ეს ფაქტი, ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციასთან ერთად: ○ ამ ერთეულზე (ერთეულთა ჯგუფზე) მიკუთვნებული გუდვილის აგრეგირებული საბალანსო ღირებულება; ○ ამ ერთეულზე (ერთეულთა ჯგუფზე) მიკუთვნებული განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების აგრეგირებული საბალანსო ღირებულება; ○ ძირითადი დაშვებების აღწერილობა. ○ ძირითადი დაშვების (დაშვებების) აღწერა; 		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
IAS 36 135 (გაგრძ.)	9.11	<ul style="list-style-type: none"> ○ ხელმძღვანელობის მიდგომა ძირითადი დაშვები-სათვის (დაშვებებისათვის) ღირებულების სიდიდის გასაზღვრისას, ასახავს თუ არა გამოყენებული მეთოდი წარსულ გამოცდილებას ან, შეძლებისდაგვარად, თანამიმდევრულია თუ არა იგი ინფორმაციის გარე წყაროების მიმართ და თუ არა, რატომ და როგორ განსხვავდება იგი წარსული გამოცდილებისა და ინფორმაციის გარე წყაროებისაგან; ○ თუ ერთ-ერთ ძირითად დაშვებაში, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულების მეტობა ანაზღაურებადზე: <ul style="list-style-type: none"> ▪ თანხა, რომლითაც ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება აჭარბებს საბალანსოს; ▪ აღნიშნული ძირითადი დაშვების ღირებულების სიდიდის შეფასება; ▪ თანხა, რომლითაც უნდა შეიცვალოს ძირითადი დაშვების ღირებულების შეფასება, რომ ამ უკანასკნელით გამოწვეული ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების სხვა ფაქტორებში ცვლილებების კომბინირებული ეფექტის შედეგად, ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება გაუტოლდეს საბალანსო ღირებულებას. 		
	10	მარაგები		
ბასს 2.36 (დ)	10.1	<p>გასაჯაროვდა თუ არა იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად;</p> <p>შენიშვნა: აღნიშნული მოთხოვნა არ კმაყოფილდება მხოლოდ გაყიდული საქონლის თვითღირებულების ასახვით განმარტებით შენიშვნებში, ის დაკავშირებულია როგორც მარაგების საწყის ნაშთებთან, ისევე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის არსებულ ნაშთებთან, რომლებიც ზოგჯერ მოიცავს საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, თუმცაღა, გაყიდული საქონლის თვითღირებულების - შესყიდვების ელემენტი მას არ მოიცავს.</p>		
	11	უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი		
ბასს 21 52(ა)	11.1	გასაჯაროვდა თუ არა მოგებაში ან ზარალში აღიარებული საკურსო სხვაობების სიდიდე, იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობების გარდა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
	12	თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		
საუკეთესო პრაქტიკა	12.1	<p>გასაჯაროვდა თუ არა თანამშრომელთა საშუალო ყოველ- თვიური რაოდენობა (მათ შორის, მთლიან განაკვეთზე ან საზღვარგარეთ მომუშავე დირექტორები და თანამშრომლები) როგორც მთლიანად, ისე თანამშრომელთა კატეგორიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში?</p> <p>12 დაქირავებულ პირებზე გაწეული ანაზღაურების დანა- ხარჯები</p>		
საუკე- თესო პრაქტიკა	12.2	<p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი თანხებიდან თითოეული თანხის აგრეგირებული თანხა, ზემოთ აღნიშნული თანა- მშრომლების მიმართებაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ დაქირავებულ პირებზე გადახდილი ან გადასახდელი ანაზღაურების დანახარჯები; ➢ სოციალური უსაფრთხოების ხარჯები; და ➢ ამგვარად გაწეული სხვა საპენსიო ხარჯები. 		
ბასს 24.9 ბასს 24.17ა	13	<p>ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის (KMP) კომპენსაცია ძირითადი ხელმძღვანელობა განიმარტება, როგორც „პირები, რომლებიც უფლებამოსილები არიან და პასუხისმგებლობა აკისრიათ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის დაგეგმვაზე, მართვასა და კონტროლზე, პირდაპირ თუ ირიბად, მათ შორის, ამ სამეურნეო სუბიექტის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან არააღმასრულებელი)“.</p> <p>თუ საწარმო მმართველობითი ხასიათის მომსახურებას იღებს სხვა საწარმოსგან („მმართველი საწარმო“), საწარმო არ არის ვალდებული გაასაჯაროვოს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.</p>		
ბასს 24.17	13.1	<p>გასაჯაროვდა თუ არა სამეურნეო სუბიექტმა ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ მთლიანად და თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის ცალ-ცალკე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები; ➢ შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები; ➢ სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები; ➢ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავში- რებული გასამრჯელოები; და ➢ აქციებზე დაფუძნებული გადახდა. 		
	14	აუდიტორის ანაზღაურება		
საუკე- თესო პრაქტიკა	14.1	გასაჯაროვდა თუ არა კომპანიის აუდიტორის მიერ მისაღები თანხა (მათ შორის, არაფულადი გასამრჯელო და ხარჯები), დაყოფილი შემდეგი პუნქტების მიხედვით:		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ წლიური ანგარიშგების კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო აუდიტი; ➤ სხვა მარწმუნებელ მომსახურებებზე გაწეული ჯამური ხარჯები; ➤ საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებზე გაწეული ჯამური ხარჯი; ➤ არააუდიტორულ მომსახურებებზე გაწეული ჯამური ხარჯი. 	
	15	საიჯარო გადასახდელების სახით აღიარებული ხარჯი	
ბასს 17.35 (გ)	15.1	გასაჯაროებულია თუ არა ხარჯების სახით აღიარებული საოპერაციო იჯარის გადასახდელების ჯამი, რომელიც დაყოფილია: <ul style="list-style-type: none"> ➤ მინიმალურ საიჯარო გადასახდელებად; ➤ პირობით საიჯარო ქირად; ➤ საქვეიჯარო გადასახდელების თანხებად? 	
ბასს 17.31 (გ)	15.2	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით (სადაც დამკვეთი არის მოიჯარე) გასაჯაროვდა თუ არა მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული პირობითი საიჯარო ქირა.	
	16	სხვა საოპერაციო შემოსავალი	
ბასს 17 47 (ე) 56 (ზ)	16.1	იმ შემთხვევებში, როცა სამეურნეო სუბიექტი შემოსავალს იღებს იჯარიდან, აღიარებულია თუ არა პირობითი საიჯარო ქირის საერთო თანხა, განმარტებით შენიშვნებში პერიოდის შემოსავლის სახით, რომელიც განაწილებულია: <ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსურ იჯარას; და ➤ საოპერაციო იჯარას შორის? 	
	17	ჩვეულებრივი საქმიანობისგან მიღებული გადასახადები მოგებასა და ზარალზე	
ბასს 12 79, 80 (ა) და (ზ) მდე	17.1	გასაჯაროვდა თუ არა ცალ-ცალკე საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) ძირითადი კომპონენტები? შენიშვნა: საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) კომპონენტები შეიძლება მოიცავდეს: <ul style="list-style-type: none"> ➤ მიმდინარე საგადასახადო ხარჯს (შემოსავალს); ➤ მიმდინარე საგადასახადო პერიოდში აღიარებული, წინა საანგარიშგებო პერიოდების მიმდინარე გადასახადების ნებისმიერ კორექტირებას; ➤ დროებითი სხვაობების წარმოშობასა და ამოწურვასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხას; 	

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები			
	მინიშნება	დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
	<ul style="list-style-type: none"> ➤ საგადასახადო განაკვეთის ცვლილებასთან ან ახალი გადასახადების წარმოშობასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხას; ➤ წინა საანგარიშგებო პერიოდებში აუღიარებელ საგადასახადო ზარალთან, საგადასახადო შეღავათებსა და დროებით სხვაობებთან დაკავშირებით წარმოშობილი შეღავათის თანხას, რომელიც გამოიყენება მიმდინარე საგადასახადო ხარჯის შესამცირებლად; ➤ სარგებლის თანხას, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ზარალთან, საგადასახადო შეღავათსა (კრედიტსა) და დროებით სხვაობასთან, რომელიც არ აღიარდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში და გამოიყენება გადავადებული საგადასახადო ხარჯის შესამცირებლად; ➤ გადავადებულ საგადასახადო ხარჯს, რომელიც წარმოიშობა ბასს 12.56 პუნქტში განხილული გადავადებული საგადასახადო აქტივის ჩამოწერის ან ადრე ჩამოწერილი თანხის აღდგენის შემდეგ; და ➤ საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხას, რომელიც უკავშირდება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებსა და შეცდომებს და ბასს 8-ით გათვალისწინებულია მათი ჩართვა მოგებაში ან ზარალში, რადგან შეუძლებელია მათი რეტროსპექტულად ასახვა. 		
	17	გადასახადი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგებასა და ზარალზე	
ბასს 12 81 (გ)	17.2	<p>არსებობს თუ არა განმარტება, საგადასახადო ხარჯსა (შემოსავალს) და სააღრიცხვო მოგებას შორის არსებული თანაფარდობის შესახებ, ქვემოთ განხილული რომელიმე ან ორივე ფორმით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რიცხოვრივი თანაფარდობის ჩვენება საგადასახადო ხარჯსა (შემოსავალს) და სააღრიცხვო მოგებისა და გამოყენებული საგადასახადო განაკვეთის ნამრავლს შორის, საგადასახადო განაკვეთის გამოთვლის საფუძვლის შესაბამის განმარტებებთან ერთად; ან ➤ რიცხოვრივი თანაფარდობის ჩვენება საშუალო საგადასახადო განაკვეთსა და გამოყენებულ საგადასახადო განაკვეთს შორის, აგრეთვე საგადასახადო განაკვეთის გამოთვლის საფუძვლის შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება. <p>შენიშვნა: აღნიშნული შენიშვნის გასაკეთებლად არსებობს მითითება, ასევე სამუშაო მაგალითები, რომლებიც მოცემულია ბასს 12-ის 84-ე 86-ე პუნქტებში.</p>	

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნა			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
ბასს 12 81 (დ)	17.3	არსებობს თუ არა გამოყენებული საგადასახადო განაკვეთის (განაკვეთების) ცვლილებების შედარება წინა საანგარიშგებო პერიოდთან და შესაბამისი განმარტება.		
ბასს 12 81 (ე)	17.4	არსებობს თუ არა გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანხები (მათი ამოწურვის თარიღი, არსებობის შემთხვევაში), გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თანხები, რომელთათვისაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივი.		
	18	არაფულადი ფორმით გადახდილი დივიდენდები		
ფასიკ 17.15	18.1	არაფულადი ფორმით გადახდილი დივიდენდები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, განსხვავება ამ ღირებულებასა და განაწილებული აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, უნდა აისახოს ცალკე სტრიქონის სახით - მოგებაში ან ზარალში; გასაჯაროვდა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია?		
	19	ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით		
ფასიკ 19.11	19.1	თუ მოხდა წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვება, რომელიც ფარავს ან ნაწილობრივ ფარავს ფინანსურ ვალდებულებას, გასაჯაროვდა თუ არა რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, როგორც მოგების ან ზარალის განცალკევებული მუხლი, ან გასაჯაროვდა თუ არა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში?		
	20	სხვა სრული შემოსავალი (OCI)		
ბასს 1.82ა ბასს 21.52(ა)	20.1	არის თუ არა სხვა სრულ შემოსავალში ჩართული ან დარიცხული ელემენტები სათანადოდ კლასიფიცირებული, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ? აღნიშნული უნდა მოიცავდეს წმინდა საკურსო სხვაობებს.		
ბასს 1.82ა	20.2	გასაჯაროვდა თუ არა ცალკე, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი? შენიშვნა: წილობრივი აღრიცხვა ამჟამად ნებადართულია მხოლოდ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა ბასს 27-ის ცვლილების შედეგად, ეს შესაძლებელი იქნება სამეურნეო სუბიექტის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც.		
ბასს 1.82ა	20.3	ეფუძნება თუ არა სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის ელემენტები იმას, რომ: ➤ არ მოხდება მათი შემდგომი გადაკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში; და		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		➤ მოხდება მათი შემდგომი გადაკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში, კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში?		
ბასს 1.90	20.4	გასაჯაროვდა თუ არა მოგების გადასახადის ოდენობა სხვა სრული შემოსავლის თითოეულ ელემენტთან დაკავშირებით (ეს შეიძლება გაკეთდეს უშუალოდ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში)?		
ბასს 1.92	20.5	გასაჯაროვდა თუ არა სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული რეკლასიფიკაციის კორექტირებები?		
ბასს 12 81 (აბ)	20.6	გასაჯაროვდა თუ არა სხვა სრული შემოსავლის თითოეულ ელემენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადის აგრეგირებული თანხა?		
ბასს 12 81 (აბ)	20.7	გასაჯაროვდა თუ არა სხვა სრული შემოსავლის თითოეულ ელემენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აგრეგირებული თანხა?		
ფასიკ 1	20.8	დადგინდა და გასაჯაროვდა თუ არა, ცალკე ძირითადი საშუალებების ელემენტის გადაფასების შედეგად, ღირებულების მატების სახით განხორციელებული ცვლილება, რომელიც გამოწვეულ იქნა ექსპლუატაციიდან ამოღების, აღდგენის, ან მსგავს ვალდებულებაში ცვლილებების შესვლის შედეგად?		
	21	ინფორმაციის გასაჯაროება ფინანსური ინსტრუმენტებისათვის აღნიშნული შეეხება ორივეს, როგორც მოგება-ზარალის ანგარიშს, ასევე სხვა სრულ შემოსავალს. შემდგომი ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ან უშუალოდ პირველად ანგარიშგებაში ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.		
ფასს 7 20 (ა)		გასაჯაროვდა თუ არა წმინდა შემოსულობები ან ზარალი შემდეგთან დაკავშირებით: ➤ ფინანსური აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მათი ცალ-ცალკე მითითებით ფინანსურ აქტივებში ან ფინანსურ ვალდებულებებში, რომლებიც ამგვარად განისაზღვრა თავდაპირველი აღიარების დროს, და აქტივები, რომლებიც შეეხება ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული; ➤ გაყიდვისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები, რომლებიც ცალკე ასახავს სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მოგების ან ზარალის თანხას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და კაპიტალიდან მოგებაში ან		

მე-4 ნაწილი - სრული შემოსავლის ანგარიშგება (SCI) და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნა			დიახ/ არა/არ ივსება	კომენ- ტარები
		ზარალში გადაკლასიფიცირებული თანხის ოდენობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ➤ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია; ➤ კრედიტები და დებიტორული დავალიანება; და ➤ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.		
ფასს 7 20 (ბ)		გასაჯაროვდა თუ არა მთლიანი საპროცენტო შემოსავალი და მთლიანი საპროცენტო ხარჯი (გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით) ფინანსური აქტივებისთვის ან ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც აღრიცხული არ არის რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში?		
ფასს 7 20 (გ)		გასაჯაროვდა თუ არა შემოსავალი და ხარჯები (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში მონაწილე თანხების გარდა), რომლებიც წარმოიშობა: ➤ ფინანსური აქტივებისგან ან ფინანსური ვალდებულებებისგან, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით; და ➤ გასაჯაროვდა თუ არა მინდობილი საკუთრების მართვის და სხვა ფიდუციარული საქმიანობა, რომლის შედეგადაც აქტივების განკარგვა ან ინვესტირება ხდება ფიზიკური პირების, საინვესტიციო ფონდების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ინსტიტუციების სახელით?		
ფასს 7 20 (დ)	.4	გასაჯაროვდა თუ არა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე, რომელიც დაირიცხა ბასს 39-ის მგ93 პუნქტის შესაბამისად?		
ფასს 7 20 (ე)	21.5	გასაჯაროვდა თუ არა გაუფასურების ზარალის ოდენობა ფინანსური აქტივების თითოეული კლასისთვის?		

ნაწილი 5 - საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება				
<p>1-ლი შენიშვნა: აღნიშნული წარმოდგენილ უნდა იქნეს ძირითადი ანგარიშგების სახით და არა როგორც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა.</p> <p>მე-2 შენიშვნა: ბასს 21-ის პუნქტ 52(ა) შესაბამისად, ცალკე სვეტი უნდა გამოიყოს უცხოური საკურსო სხვაობებისთვის, რომელიც გაივლის სხვა სრულ შემოსავალს და გროვდება კაპიტალში.</p>				
ფასს 1.106	1	ასახავს თუ არა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, კაპიტალში შეტანილ ცვლილებებს, ეს წარმოდგენილ უნდა იქნეს სვეტების მიხედვით ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ნაჩვენებია კაპიტალში ჩართული ყველა და თითოეული კომპონენტი, მათ შორის:		

(დ)		➤ წინა პერიოდიდან, მიმდინარე პერიოდში საწყის ნაშთად გადმოტანილი ნაშთი;		
(დ)(i)		➤ მოგება ან ზარალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;		
(დ)(ii), A		➤ სხვა სრული შემოსავალი (თითოეული ელემენტი უნდა გასაჯაროვდეს უშუალოდ წინამდებარე ანგარიშგებაში ან დამატებით შენიშვნებში);		
(ბ)		➤ წინა პერიოდის კორექტირება, რაც განპირობებულ იქნა არსებითი შეცდომებით;		
(ბ)		➤ წინა პერიოდის კორექტირება, რაც განპირობებულ იქნა საადრიცხვო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით, რამაც გამოიწვია არსებითი კორექტირება;		
6.3 (გ) (iii)		➤ აქციების გამოშვება;		
6.3 (გ) (iii)		➤ საკუთარი აქციების შექმნა;		
(d) (iii)		➤ დივიდენდები და სხვა განაწილებები აქციონერებისთვის;		
(დ) (iii)		➤ შენატანები კაპიტალში;		
6.3 (გ) (iii)		➤ გადატანები სხვადასხვა რეზერვებს შორის?		
ფასს 1.106(დ)		➤ მომდევნო პერიოდში საწყის ნაშთად გადასატანი ნაშთი.		
ბასს 12 81(ა)	2	გასაჯაროვდა თუ არა მიმდინარე გადასახადის მთლიანი თანხა, რომლებიც პირდაპირ აისახება საკუთარი კაპიტალის დებეტში ან კრედიტში?		
ბასს 12 81(ა)	3	გასაჯაროვდა თუ არა გადავადებული გადასახადის მთლიანი თანხა, რომლებიც პირდაპირ აისახება საკუთარი კაპიტალის დებეტში ან კრედიტში?		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	1	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი და პრეზენტაცია	
ბასს 1.54	1.1	<p>როგორც მინიმუმ, შეიცავს თუ არა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება ისეთ პუნქტებს, როგორცაა:</p> <p>ა) ძირითადი საშუალებები;</p> <p>ბ) საინვესტიციო ქონება;</p> <p>გ) არამატერიალური აქტივები;</p> <p>დ) ფინანსური აქტივები (ე., თ, და ი პუნქტებში მოცემული თანხების გარდა);</p> <p>ე) ინვესტიციები, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით;</p>	

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 1.57		<p>ვ) ბიოლოგიური აქტივები;</p> <p>ზ) მარაგი;</p> <p>თ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;</p> <p>ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;</p> <p>კ) ჯამური თანხა ფასს 5-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“- შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და გასაყიდად ბგამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში ჩართული აქტივების;</p> <p>ლ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;</p> <p>მ) ანარიცხები;</p> <p>ნ) ფინანსური ვალდებულებები (ლ და მ პუნქტებში მოცემული თანხების გარდა);</p> <p>ო) მიმდინარე საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები; გადავადებული გადასახადებისათვის;</p> <p>პ) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები;</p> <p>ჟ) ფასს 5-ის შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში შემავალი ვალდებულებები;</p> <p>რ) გამოშვებული სააქციო კაპიტალი და მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული რეზერვები.</p> <p>1-ლი შენიშვნა: აღნიშნული სტანდარტი არ განსაზღვრავს ფორმატს ან წესს/თანმიმდევრობას, რომელშიც წარმოდგენილია ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები.</p>		
ბასს 1.55, 58,59	1.2	<p>იმ შემთხვევებში, სადაც საჭიროა უტყუარი და სამართლიანი ასახვა, შეტანილ იქნა თუ არა დამატებითი პუნქტები, სათაურები და შუალედური ჯამები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში?</p>		
ბასს 1.60	1.3	<p>(იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ლიკვიდობის ან შერეული ბაზისის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია) სამეურნეო სუბიექტმა უნდა წარადგინოს ქვემოთ მოცემული კომპონენტები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ცალკე ელემენტების სახით.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიმდინარე აქტივები; ➤ გრძელვადიანი აქტივები; ➤ მიმდინარე ვალდებულებები; და ➤ გრძელვადიანი ვალდებულებები. <p>1-ლი შენიშვნა: მთლიანი გადავადებული გადასახადი უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც გრძელვადიანი.</p>		
ბასს 1.56				

მე-ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 1.67		მე-2 შენიშვნა: ზემოაღნიშნული კლასიფიკაციისთვის შეიძლება სხვადასხვა ტერმინოლოგია იქნეს გამოყენებული.		
ბასს 1.61	1.4	ნებისმიერი მეთოდის შერჩევისას საწარმო ვალდებულია, აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლისათვის გაასაჯაროვოს თანხები, რომელთა მიღებას ან დაფარვას ვარაუდობენ თორმეტი თვის შემდეგ, რომელშიც გაერთიანებული იქნება თანხები, და მათი მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია: <ul style="list-style-type: none"> ➤ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტ თვეში; და ➤ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. <p>კონკრეტული ფასს სტანდარტები მოითხოვს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით განაღდების ვადების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას (და, ამგვარად, არსებობს ერთგვარი გადაფარვა სტანდარტების მოთხოვნებში), თუმცა, ბასს 1.61. მოითხოვს დაფარვის ვადების ანალიზს ყველა კლასიფიკაციის მიხედვით და ამიტომ, რეზერვები და მარაგები საჭიროებს ზემოაღნიშნულ ანალიზს.</p>		
ბასს 1.64.65				
ბასს 1.77	1.5	სამეურნეო სუბიექტმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაასაჯაროვოს, ან უშუალოდ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პუნქტების შესაფერისი ქვეკლასიფიკაციის შენიშვნებში (ანუ დებიტორული დავალიანების განაწილება: სავაჭრო, დაკავშირებულ მხარეთა ავანსად გადახდილი თანხები და სხვა). <p>ბასს 1 იძლევა მხოლოდ მაგალითებს და ზოგიერთი კონკრეტული სტანდარტი განსაზღვრავს ანალიზის მინიმალურ დონეს (ეს საკითხები კონკრეტულად აღინიშნა შემდგომ საკონტროლო კითხვარში), თუმცა სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს, თუ რამდენად დეტალურია ანალიზის დონე, რათა მას მნიშვნელობა მიენიჭოს.</p> <p>ჩატარდა თუ არა ადეკვატური დონის ანალიზი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების პუნქტებისთვის?</p>		
	2	გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივი და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის აქტივები		
ფასს 5.38	2.1	გასაჯაროვდა თუ არა ცალ-ცალკე განმარტებით შენიშვნებში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივი და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის აქტივები?		
ფასს 5.38	2.2	გასაჯაროვდა თუ არა გამსვლელი ჯგუფების ვალდებულებები ცალკე ვალდებულებებს შორის?		

მე-ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ფასს 5.38	2.3	გასაჯაროვდა თუ არა განმარტებით შენიშვნებში აქტივების ან ვალდებულებების ძირითადი კატეგორიები ცალკე, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ან მის შენიშვნებში?		
ფასს 5.41(ა)	2.4	არსებობს თუ არა გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) აღწერილობა განმარტებით შენიშვნებში?		
ფასს 5.41(ბ)	2.5	არსებობს თუ არა გაყიდვის მონაცემებისა და გარემოებების, ან მოსალოდნელ ლიკვიდაციაზე მიმანიშნებელი გარემოებების, აგრეთვე ლიკვიდაციის მოსალოდნელი ვადებისა და ტიპის აღწერა?		
ფასს 5.42	2.6	იმ შემთხვევებში, როცა გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) აღარ აღიქმება როგორც ასეთი, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➤ იმ ფაქტებისა და გარემოებების აღწერილობა, რომლებმაც განაპირობეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება; და ➤ აღნიშნული გადაწყვეტილების გავლენა მოცემული ან სხვა წინა წარდგენილი პერიოდის ოპერაციების შედეგებზე. 		
	3	დამტკიცება და ხელმოწერა		
ბასს 10.17	3.1	გასაჯაროვდა თუ არა თარიღი, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ გამოსაცემად?		
ბასს 10.17				
IAS 10.17	3.2	სადაც ეს შესაფერისია, გასაჯაროვდა თუ არა, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორებს საკუთარი ნებასურვილით, აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება აქვთ, თუ შემდგომში მასში ხარვეზები აღმოჩნდება?		
ბასს 10.17				
საუკეთესო პრაქტიკა	3.3	მითითებულია თუ არა საბჭოს სახელით ხელისმომწერი დირექტორების სახელები? <i>ერთი დირექტორის შემთხვევაში, საჭიროა მხოლოდ ერთი ხელმოწერა.</i>		
	4	არამატერიალური აქტივები (გუდვილის ჩათვით)		
ბასს 38.119	4.1	ტარდება თუ არა სათანადო ანალიზი არამატერიალურ აქტივებზე, ბასს 38 იძლევა შემდეგ მაგალითებს, რომლებიც შეიძლება აგრეგირდეს ან დისაგრეგირდეს, ინფორმაციისთვის მეტი ღირებულების მისანიჭებლად: <ul style="list-style-type: none"> ➤ სასაქონლო ნიშანი; ➤ ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება და პუბლიკაციების სათაურები; ➤ კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; ➤ ლიცენზიები და ფრანშიზა; 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 38.125		<ul style="list-style-type: none"> ➤ საავტორო უფლებები, პატენტები და სხვა სამრეწველო ქონების საკუთრების უფლებები, მომსახურებისა და ექსპლუატაციის უფლებები; ➤ რეცეპტები, ფორმულები, მოდელები, დიზაინები და პროტოტიპები; და ➤ არამატერიალური აქტივები, რომლებზეც მიმდინარეობს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. <p>1-ლი შენიშვნა: არამატერიალური აქტივები უნდა გამოიყოს კომპანიის შიგნით შექმნილი აქტივების და სხვა აქტივებისგან.</p> <p>მე-2 შენიშვნა: აქტივების ერთი კლასი არ უნდა შეიცავდეს თვითღირებულებით და რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივებსაც, თუ ასეთი გარემოება დაფიქსირდება, აღნიშნული კლასი უნდა დაიყოს ორ კლასად.</p>		
ნებაყოფლობითი განმარტებითი შენიშვნები	4.2	<p>სამეურნეო სუბიექტებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება ბასს 38.128 მეშვეობით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნებისმიერი სრულად ამორტიზებული არამატერიალური აქტივების აღწერილობა, რომლებიც ჯერ კიდევ გამოიყენება; და ➤ მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების მოკლე აღწერილობა, რომელსაც აკონტროლებს სამეურნეო სუბიექტი, მაგრამ არ არის აღიარებული იმის გამო, რომ ისინი არ აკმაყოფილებს ბასს 38-ში მოცემულ აღიარების კრიტერიუმებს ან იმის გამო, რომ ისინი შექმნილ ან გენერირებულ იქნა 1998 წელს გამოშვებული ბასს 38-ის შესაბამისი ვერსიის ძალაში შესვლამდე? 		
ბასს 38.124 (ა)	4.3	<p>თუ არამატერიალური აქტივები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, გაკეთდა თუ არა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება არამატერიალური აქტივების კლასების მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გადაფასების თარიღი; ➤ გადაფასებული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები; და ➤ საბალანსო ღირებულება, რომელიც აისახებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში, არამატერიალური აქტივები შეფასებული რომ ყოფილიყო თვითღირებულების მოდელით; და <p>შენიშვნა: გუდვილის გადაფასება კანონსაწინააღმდეგოა და სხვა არამატერიალური აქტივების გადაფასება იშვიათადაა შესაძლებელი.</p>	არ ივსება	
	4	არამატერიალური აქტივები (გუდვილის ჩათვლით)		
ბასს 38.118	4.4	ფინანსურ ანგარიშგებაში თითოეული კლასის არამატერიალური აქტივისათვის შენიშვნებში გასაჯაროებულია თუ არა		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
(გ), (ე)	<p>შემდეგი ინფორმაცია და გამიჯნულია თუ არა საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები და სხვა არამატერიალურ აქტივები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საერთო ღირებულება/შეფასება ფინანსური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს; ➤ საბალანსო ღირებულების შეჯერება პერიოდის ბოლოს და დასაწყისში, რომელიც აჩვენებს: <p>საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოებას და შიდა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ცალკე შეძენილს ან ცალ-ცალკე საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილს;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბიზნესკომბინაციების მეშვეობით განხორციელებული შენაძენები; ➤ აქტივებს, რომლებიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიჯნულად ან შეტანილია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიჯნულად ფასს 5- ის შესაბამისად; ➤ სხვა სახის გასვლები; ➤ გადაფასების ზრდა და კლება; ➤ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას და უცხოური ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას წარმოქმნილ წმინდა საკურსო სხვაობებს; ➤ პერიოდის განმავლობაში საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებებს; ➤ პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამორტიზაცია/ გაუფასურების ზარალი პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსთვის; ➤ ამორტიზაცია; ➤ პერიოდის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში აღიარებულ გაუფასურების ზარალი; ➤ პერიოდის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში უკუგატარებული გაუფასურების ზარალი; ➤ ნებისმიერი სახის კორექტირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გასვლის შედეგად; ➤ აქტივებს, რომლებიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიჯნულად ან შეტანილია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიჯნულად ფასს 5-ის შესაბამისად; ➤ სხვა სახის გასვლები; ➤ გადაფასების ზრდა და კლება; ➤ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას და უცხოური ოპერაციების წარსადგენ 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>ვალუტაში გადაანგარიშებისას წარმოქმნილ წმინდა საკურო სხვაობებს;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პერიოდის განმავლობაში საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებებს; ➤ წმინდა საბალანსო ღირებულება, პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსთვის; <p>შენიშვნა: <u>საჭიროა</u> შესაბამისი თანხების სრულყოფილად გასაჯაროება.</p>		
ბასს 38.122 (ბ)	4.5	<p>იმ შემთხვევებში, სადაც <u>ინდივიდუალური</u> არამატერიალური აქტივი არის მატერიალური, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივის აღწერილობა; ➤ საბალანსო ღირებულება; ➤ დარჩენილი ამორტიზაციის პერიოდი 		
ბასს 38.122 (ე)	4.6	<p>გასაჯაროვდა თუ არა ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულებები არამატერიალური აქტივების შემენისთვის?</p>		
ბასს 38.122 (დ)	4.7	<p>გასაჯაროვდა თუ არა შემთხვევები, სადაც ნებისმიერ არამატერიალურ აქტივებზე არსებობს შეზღუდული საკუთრების უფლება ან, რომლებიც დაგირავებულია ვალდებულებაზე, პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის სახით?</p>		
	4	არამატერიალური აქტივები (გუდვილის ჩათვლით)		
ბასს 38.122 (ბ)	4.8	<p>თუ არამატერიალური აქტივები შემენილ იქნა გრანტის მეშვეობით და აღიარებულია რეალური ღირებულებით ბასს 38.44-ის შესაბამისად, გასაჯაროვდა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამ აქტივებისთვის თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულება; ➤ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება; და ➤ როგორ აღირიცხება აქტივები აღიარების შემდგომ თვითღირებულების მოდელით თუ გადაფასების მოდელით. 		
ბასს 38.122 (ა), ბასს 38.123	4.9	<p>იმ შემთხვევებში, როცა მიჩნეულია, რომ არამატერიალურ აქტივს აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მისი საბალანსო ღირებულება; და ➤ მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას (ბასს 38.90-ში მოცემულია მაგალითები). 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	5	ძირითადი საშუალებები		
ბასს 1.77(ა)	5.1	არის თუ არა სათანადოდ კლასიფიცირებული ძირითადი საშუალებები? შემდეგი მაგალითები მოცემულია ბასს 16-ში: ➤ მიწა; ➤ მიწა და შენობა-ნაგებობები; ➤ მანქანა-დანადგარები; ➤ გემები; ➤ თვითმფრინავი; ➤ სატრანსპორტო საშუალებები; ➤ ავეჯი და მოწყობილობა; და ➤ საოფისე აღჭურვილობა.		
ბასს 16.36				
ბასს 16.74 (ა)	5.2	გასაჯაროვდა თუ არა ძირითადი საშუალებების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომლებზეც სამეურნეო სუბიექტს აქვს საკუთრების შეზღუდული უფლება ან, რომლებიც დაგირავებულია პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის სახით?		
ბასს 16.74 (ბ)	5.3	გასაჯაროვდა თუ არა შექმნის პროცესში მყოფი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში აღიარებული დანახარჯების ოდენობა;		
ბასს 16.79	5.4	იმ შემთხვევებში, სადაც აღნიშნული სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის, გაკეთდა თუ არა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება: ➤ დროებით გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ელემენტების საბალანსო ღირებულება; ➤ სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება, რომელთა გამოყენება ისევ გრძელდება; ➤ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან და კვალიფიცირებული არ არის, როგორც გასაყიდად გამიზნული, ფასს 5-ის შესაბამისად; და ➤ თვითღირებულების მოდელის გამოყენებისას ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება, როცა იგი არსებითად განსხვავდება საბალანსო ღირებულებისაგან. 1-ლი შენიშვნა: ბასს 16 მხოლოდ იძლევა აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროების რეკომენდაციას.		
ბასს 17 30 (ა)	5.5	აქტივის თითოეული კლასისთვის, გასაჯაროებულია თუ არა აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება, რომლებიც ფინანსურ იჯარას ექვემდებარება?		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		1-ლი შენიშვნა: ტექნიკურად, აღნიშნული ძალაშია ნებისმიერი სახის აქტივებისათვის, არამატერიალური აქტივების ჩათვლით და ა.შ.		
	5	ძირითადი საშუალებები		
ბასს 17.73 (დ) - (ე)	5.6	<p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი დადარების აღმნიშვნელი შენიშვნა ძირითადი საშუალებების თითოეული კლასისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საერთო ღირებულება/შეფასება ფინანსური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს; ➤ დამატებები; ➤ ბიზნესკომბინაციების მეშვეობით განხორციელებული შენაძენები; ➤ აქტივები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად ფლობილი ან შეტანილია გამსვლელ ჯგუფში და აგრეთვე კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი ფასს 5-ის შესაბამისად ან სხვა გაყიდვები; ➤ სავალუტო გაცვლების მოძრაობა; ➤ გადაფასება; ➤ სხვა ცვლილებები. ➤ მთლიანი კუმულაციური ამორტიზაცია / გაუფასურების ზარალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს; ➤ ცვეთა; ➤ გადაფასება; ➤ მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი; ➤ გაუფასურების ზარალი, რომელიც კომპენსირდება მოგებაში ან ზარალში; ➤ ნებისმიერი სახის კორექტირებები, რომლებიც განხორციელდა აქტივების გასაყიდად გამიზნული აქტივების სახით კლასიფიცირების შედეგად, ან მათი გამსვლელ ჯგუფში შეტანის შედეგად, რომელიც კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის შესაბამისად; ➤ სავალუტო გაცვლების მოძრაობა; ➤ სხვა ცვლილებები. ➤ წმინდა საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს? <p>შენიშვნა: <u>საჭიროა</u> შესაბამისი თანხების სრულად გასაჯაროება.</p> <p>მე-2 შენიშვნა: მარაგისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების კატეგორიებში და ამ კატეგორიებიდან გადატანილი ქონება, აგრეთვე უნდა გასაჯაროვდეს.</p>		
IAS 40.76(f)				

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
IAS 16.77 (ა) (ბ) (დ)	5.7	იმ შემთხვევებში, სადაც მოხდა ძირითადი საშუალებების გადაფასება, გაკეთდა თუ არა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება, გარდა ფასს 13-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გასაჯაროებისა: <ul style="list-style-type: none"> ➢ გადაფასების ძალაში შესვლის თარიღი; ➢ იყო თუ არა მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებელი; ➢ ძირითადი საშუალებების ცალკეული გადაფასებული ჯგუფისათვის საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარდებოდა, თუ ისინი აისახებოდა თვითღირებულების მოდელით; და 		
	6	შემთხვევები, როცა აქტივები გამოიყენება საოპერაციო იჯარაში		
ბასს 17.56(ა)	6.1	იმ შემთხვევებში, სადაც აქტივები გამოიყენება საოპერაციო იჯარაში, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი დეტალები მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებით, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით მთლიანად და თითოეული შემდეგი პერიოდისათვის: <ul style="list-style-type: none"> ➢ არა უგვიანეს ერთი წლისა; ➢ ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა; და ➢ ხუთი წლის შემდეგ. 		
ბასს 17 56(გ)	6.2	წარმოდგენილია თუ არა მეიჯარის მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა ?		
	7	საინვესტიციო ქონება		
ბასს.40 75 (ე)	7.1	გასაჯაროებულია თუ არა ის დონე, რომელზედაც საინვესტიციო საკუთრების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებლის შეფასებას, ახლო/ბოლო პერიოდში მიღებული გამოცდილებით, აქტივების ადგილმდებარეობისა და კატეგორიის მიხედვით? იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შეფასება არ ჩატარებულა, გასაჯაროებულია თუ არა ეს ფაქტი განმარტებით შენიშვნებში? შენიშვნა: აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება აგრეთვე გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა შეფასებების გასაჯაროება უფრო ხდება ვიდრე აღრიცხვა.		
ბასს 40.75 (ზ)	7.2	გასაჯაროვდა თუ არა შემთხვევები, როდესაც არსებობს საინვესტიციო ქონების გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებული, მიღებული შემოსავლისა და გასვლის შედეგად მიღებული ამონაგების გადარიცხვაზე არსებული შეზღუდვები?		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 40.85დ	7.3	2014 წლის 1 ივლისამდე დაწყებულ სააღრიცხვო პერიოდების შემთხვევაში, განიხილეთ ბასს 40-ის პუნქტები 14ა და 84ა ის, იქნა თუ არა წინა პერიოდში გამოყენებული ამ პუნქტების (შესაბამისია და) დებულებები. გასაჯაროვდა თუ არა აღნიშნული ფაქტი?		
ბასს 40.76	7.4	<p>საინვესტიციო ქონება - როდესაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების მოდელი</p> <p>აისახა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საბალანსო ღირებულება ფინანსური პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს; ➤ ზრდა (რომლებიც ცალკე ასახავს შეძენის, შემდგომ ხარჯების ან ბიზნესკომბინაციების შედეგად წარმოშობილ ზრდას); ➤ აქტივები, რომლებიც გადაკლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი ან შეტანილია გამსვლელ ჯგუფში და აგრეთვე კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი ფასს 5-ის შესაბამისად ან სხვა გაყიდვები; ➤ რეალური ღირებულების კორექტირების შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა და ზარალი; ➤ ფინანსური ანგარიშგების განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისა და უცხოური ქვედანაყოფის ანგარიშვალდებული საწარმოს წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი წმინდა საკურსო სხვაობები; ➤ გამოყენების ცვლილების შედეგად, მარაგისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების (ძირითადი საშუალებები) კატეგორიებში და ამ კატეგორიებიდან გადატანილი ქონება; და ➤ სხვა ცვლილებები. <p>საჭიროა შესაბამისი თანხების სრულად გასაჯაროება.</p> <p>შენიშვნა: თუ, გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთი აქტივი აღრიცხება თვითღირებულებით, ზემოაღნიშნული ანალიზი უნდა გაკეთდეს რეალური ღირებულებით და თვითღირებულებით აღრიცხული აქტივებისთვის.</p>		
ბასს 40.77	7.5	როდესაც საინვესტიციო ქონებისათვის გამოყენებული შეფასება კორექტირებულია მნიშვნელოვნად ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის (მაგალითად, იმ აქტივებისა და ვალდებულებების დუბლირებული აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად, რომლებიც აღიარებულია ცალკე აქტივებისა და ვალდებულებების სახით), საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს ზემოაღნიშნული მიღებული შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		ასახული კორექტირებული შეფასების შემაჯერებელი ინფორმაცია, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ნებისმიერი აღიარებული საიჯარო ვალდებულებების აგრეგირებული თანხა, რომლებიც ისევ დაემატა და სხვა მნიშვნელოვანი კორექტირებები.		
ბასს 40.78 (ა) და (დ) მდე	7.6	<p>გამონაკლისს შემთხვევებში. როდესაც სამეურნეო სუბიექტმა მიიღო რეალური ღირებულების მოდელი, თუმცა გარკვეული საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ვინაიდან შეუძლებელია მისი სამართლიანი ღირებულების დადგენა, გაკეთდა თუ არა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საინვესტიციო ქონების აღწერილობა; ➤ განმარტოს, თუ რატომაა შეუძლებელი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება; ➤ (თუ შესაძლებელია) შეფასებების დიაპაზონი, რომელშიც ყველაზე მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, რომ მოქცეული იქნება რეალური ღირებულება; და ➤ გასვლის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> ○ ფაქტი, რომ საწარმომ გადასცა საინვესტიციო ქონება, რომელიც არ აღირიცხებოდა რეალური ღირებულებით; ○ საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება გაყიდვის მომენტისათვის; ○ ქონების გასვლიდან აღიარებული შემოსულობა ან ზარალი. 		
ბასს 40.80	7.7	<p>როცა სამეურნეო სუბიექტი პირველად ახდენს საოპერაციო იჯარით მიღებული ქონებრივი ინტერესის კაპიტალიზებას, მაშინ რეკომენდებულია, მაგრამ არ არის სავალდებულო წინა წლის კორექტირების განხორციელება, <u>თუ საკუთრების რეალური ღირებულება გასაჯაროვდა წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებებში</u> (აღნიშნული მიდგომა განსხვავდება ბასს 8-ის მიერ მოთხოვნილი მიდგომისგან), თუმცა, თუ ზემოთ ხსენებულ გარემოებებში არ ჩატარდა წინა წლის კორექტირება, გასაჯაროვდა თუ არა ეს ფაქტი?</p>		
ბასს 40.79 (გ) და (დ) მდე	7.8	<p>საინვესტიციო ქონება - როდესაც გამოყენებულ იქნა თვითღირებულების მოდელი</p> <p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი შეჯერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მთლიანი საბალანსო ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა (გაუფასურების აკუმულირებულ ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულის მდგომარეობით; ➤ ზრდა (სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები საინვესტიციო ქონების შეძენით გამოწვეული ზრდა და შემდგომი დანახარჯების აქტივში კაპიტალიზაციის შედეგად ან 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
			<p>საწარმოთა გაერთიანების შედეგად შემენით მიღებული ზრდა);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივები, რომელიც ფასს 5-ის მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული ან სხვა გასვლა; ➤ გამოყენების შეცვლის შედეგად, მარაგისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების (ძირითადი საშუალებების) კატეგორიებში გადატანილი საინვესტიციო ქონება და პირიქით; ➤ სავალუტო გაცვლების მოძრაობა; ➤ სხვა ცვლილებები. ➤ მთლიანი დაგროვილი ცვეთა/გაუფასურების ზარალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს; ➤ ცვეთა; ➤ მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი; ➤ მოგებაში ან ზარალში კომპენსირებული გაუფასურების ზარალი; ➤ ნებისმიერი სახის კორექტირებები, რომლებიც განხორციელდა აქტივების გასაყიდად განკუთვნილი აქტივების სახით კლასიფიცირების შედეგად ან გამსვლელ ჯგუფში ჩართვის შედეგად, რომელიც ფასს 5-ის შესაბამისად გასაყიდად განკუთვნილ აქტივებად კლასიფიცირდება; ➤ გამოყენების შეცვლის შედეგად, მარაგისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების (ძირითადი საშუალებების) კატეგორიებში გადატანილი საინვესტიციო ქონება და პირიქით; ➤ სავალუტო გაცვლების მოძრაობა; ➤ სხვა ცვლილებები; ➤ სუფთა საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს? <p>შენიშვნა: საჭიროა შესაბამისი თანხების სრულად გასაჯაროება.</p>
ბასს 40.79 (ე) (i) დან (iii) მდე	7.9		<p>იმ შემთხვევაში, სადაც შეუძლებელია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების გასაჯაროება, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით, გაკეთდა თუ არა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საინვესტიციო ქონების აღწერილობა; ➤ განმარტება, თუ რატომაა შეუძლებელი რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა; ➤ (თუ შესაძლებელია), შეფასებების დიაპაზონი, რომელშიც ყველაზე მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მოექცევა რეალური ღირებულება.

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	8	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (როდესაც არ ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება)		
ბასს 27.17	8.1	ერთობლივ საწარმოში ან მეკავშირე საწარმოში თითოეული მნიშვნელოვანი ინვესტიციის შემთხვევაში, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი მონაცემები: <ul style="list-style-type: none"> ➤ სახელწოდება; ➤ საქმიანობის ძირითადი ადგილი (რეგისტრაციის ადგილი, თუ ის განსხვავებულია); ➤ ამ ინვესტირებულ საწარმოებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი (და, თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში). 		
	9	მარაგები		
ბასს 2.36 (ბ) ბასს 1.78 (გ) ბასს 2.37	9.1	გასაჯაროვდა თუ არა მარაგების მთლიანი საბალანსო ღირებულება, დაკლასიფიცირდა თუ არა სათანადოდ მარაგები და გასაჯაროვდა თუ არა საბალანსო ღირებულება თითოეული საკლასიფიკაციო ჯგუფებისთვის? ძირითადი საკითხი ის არის, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ბასს 2 აღნიშნავს, რომ ქვემოთ მოყვანილია საერთო კლასიფიკაციები? <ul style="list-style-type: none"> ➤ საქონელი; ➤ საწარმოო მარაგი; ➤ ნედლეული; ➤ დაუმთავრებელი წარმოება; და ➤ მზა პროდუქცია. 		
ბასს 2.36(გ)	9.2	გასაჯაროვდა თუ არა იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც ასახულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.		
ბასს 2.36 (თ)	9.3	გასაჯაროებულია თუ არა იმ მარაგის საბალანსო ღირებულება, რომელიც გაცემულია გირაოს სახით ვალდებულებების დაფარვის უზრუნველსაყოფად.		
ბასს 11.40	9.4	სამშენებლო კონტრაქტები (სადაც დამკვეთი „მიმწოდებელია“) ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებით გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი: <ul style="list-style-type: none"> ➤ მოცემული საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული დანახარჯების მთლიანი თანხა და აღიარებული მოგების თანხები (აღიარებული ზარალის თანხების გამოკლებით); ➤ მიღებული ავანსების თანხა; და ➤ შეჩერებული თანხები? 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	10	დებიტორული დავალიანება		
ბასს 1.78 (ბ)	10.1	დებიტორული დავალიანების ანალიზი ხორციელდება შემდეგნაირად: <ul style="list-style-type: none"> ➤ სავაჭრო მომხმარებლებისგან; ➤ დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ მოთხოვნებად; ➤ გადახდილ ავანსებად; და ➤ სხვა თანხებად. 		
ბასს 11 42(ა)	10.2	გასაჯაროვდა თუ არა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, დამკვეთებისგან მთლიანად მისაღები თანხა როგორც აქტივი ?		
	11	გადავადებული საგადასახადო აქტივები გადავადებულ საგადასახადო აქტივებთან დაკავშირებით არსებობს დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება, თუმცა, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ისინი შეტანილ იქნა აღნიშნული საკონტროლო კითხვარის „დებულებების“ ნაწილში.		
	12	მეიჯარეები (ფინანსური იჯარა) ფასს 7-ის მიერ მოთხოვნილი გასაჯაროებული ინფორმაციის გარდა, საჭიროა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება.		
ბასს 17 47(ა)	12.1	ჩატარდა თუ არა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მთლიანი საიჯარო ინვესტიციის შეჯერება, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ მისაღებ მინიმალურ საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებასთან.		
ბასს 17 47(ა)	12.2	გარდა პუნქტი 12.1-ისა, გასაჯაროვდა თუ არა სამეურნეო სუბიექტმა, მთლიანი საიჯარო ინვესტიციისა და მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება, თითოეული შემდეგი პერიოდისათვის: <ul style="list-style-type: none"> ➤ არა უგვიანეს ერთი წლისა; ➤ ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა; და ➤ ხუთი წლის შემდეგ. 		
ბასს 17 47(ბ)	12.3	გასაჯაროვდა თუ არა გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი ?		
ბასს 17 47(გ)	12.4	აისახა თუ არა განმარტებით შენიშვნებში არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელიც ზრდის მეიჯარის სარგებელს ?		
ბასს 17 47 (დ)	12.5	გასაჯაროვდა თუ არა მინიმალური საიჯარო გადასახდელების ამოუღებელი მოთხოვნების აკუმულირებული შესწორება?		
ბასს 17 47 (ვ)	12.6	არსებობს თუ არა მეიჯარის არსებითი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა ?		
ბასს 17 48	12.7	ბასს 17 იძლევა შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროების რეკომენდაციას – გაიხსნას ინფორმაცია მთლიანი ინვესტიციის		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
საუკეთესო პრაქტიკა		შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამატებული ახალი საქმიანობიდან გამოუმუშავებელი შემოსავლის გამოკლებით, მას შემდეგ, რაც გამოიქვითება გაუქმებული იჯარის შესაბამისი თანხები. მოხდა აღნიშნული ინფორმაციის გახსნა/გასაჯაროება?		
	13	ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები;		
საუკეთესო პრაქტიკა	13.1	გასაჯაროვდა თუ არა დამკვეთის ის საერთო თანხა, როცა შეწყდა დამკვეთის ფულის აღიარება და გასაჯაროვდა თუ არა სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა?		
	14	არაფულადი ფორმით გადახდილ დივიდენდებთან დაკავშირებული კრედიტორები		
ფასიკ 16	14.1	გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: ➤ გადახდას დაქვემდებარებული დივიდენდის საბალსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს; და ➤ ზრდა და კლება საბალანსო ღირებულებაში, რომელიც აღიარებულ იქნა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფასს-ების ინტერპრეტაციების კომიტეტის მე-17 მე-13 პუნქტის შესაბამისად, გასანაწილებელი აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად?		
	15	ფინანსური იჯარა		
ბასს 17.31 (ბ)	15.1	შედარებულ იქნა თუ არა მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მათ დღევანდელ ღირებულებასთან? (მაგალითად, „მთლიანი“ და „წმინდა“ მაჩვენებლების შედარება).		
ბასს 17.31 (ბ)	15.2	გარდა ამისა, საწარმომ უნდა გახსნას/გაასაჯაროვოს ინფორმაცია, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხისა („ბრუტო“) და მათი დღევანდელი ღირებულების („ნეტო“ ციფრები) შესახებ თითოეული შემდეგი პერიოდისათვის: ➤ არა უგვიანეს ერთი წლისა; ➤ ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა; და ➤ ხუთი წლის შემდეგ.		
ბასს 17.31(დ)	15.3	გასაჯაროვდა თუ არა მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა ქვეიჯარის მიხედვით, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ქვეიჯარებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს?		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 17.31(ე)	15.4	<p>იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება არსებითაა მოიჯარისთვის, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გადასახდელი პირობითი საიჯარო ქირის განსაზღვრის საფუძველი; ➤ განახლების ან შესყიდვის უფლებების არსებობა და პირობები და მასშტაბების გაზრდის პირობები; ➤ საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომლებიც ეხება დივიდენდებს, დამატებით ვალს და შემდგომ იჯარას. ➤ სხვა შესაბამისი პუნქტები. 		
	16	სხვა კონტრაქტში ჩართული საოპერაციო იჯარა		
ფასიკ 4.15ბ	16.1	<p>მაშინ, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად ყველა გადახდა ჩართულ უნდა იქნეს ბასს 17-ის გასაჯაროებული ინფორმაციის მოთხოვნების დაცვის მიზნით, გაკეთდა თუ არა ინფორმაციის გასაჯაროება მინიმალური საიჯარო გადახდებზე, რომლებიც წარმოიშვა აღნიშნული ხელშეკრულებებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ მოიცავს არასაიჯარო ელემენტებს) იმ გადახდებისგან განცალკევებით, რომლებიც არ შეიცავს არასაიჯარო ელემენტების გადახდებს.</p>		
	17	იჯარით დადებული სამართლებრივი ფორმის ტრანზაქციების შეფასება		
(იმკ-ინტერპრეტაციების მუდმივ მოქმედი კომიტეტი) 27 10,11	17.1	<p>შეთანხმების ყველა ასპექტი, რომელიც იურიდიულად იჯარის ხელშეკრულებაა, თუმცა, შინაარსობრივად არ შეესაბამება განმარტებას, იმის მიხედვით უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ რა სახის ინფორმაციის გახსნა/გასაჯაროებაა საჭირო შესაბამისი ხელშეკრულებისა და გამოყენებული ბუღალტრული მიდგომის გაგებისათვის.</p> <p>სამეურნეო სუბიექტი ვალდებულია, წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული სახის ინფორმაცია, რომელიც ხელშეკრულების თითოეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არსებობს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხელშეკრულების აღწერა მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> ○ მოცემულ აქტივს და შეზღუდვებს მის გამოყენებაზე; ○ ხელშეკრულების ხანგრძლივობისა და სხვა მნიშვნელოვან პირობებს; ○ ერთმანეთთან დაკავშირებულ გარიგებებს, მათ შორის, ნებისმიერი მიღებული მოსაკრებლის მიმართ გამოყენებული ბუღალტრული მიდგომა, საანგარიშო პერიოდში შემოსავლად აღიარებული თანხა და სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგების განსაზღვრული პუნქტი, რომელშიც ეს ინფორმაციაა მოცემული; <p>ამ ინფორმაციის გასაჯაროება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად თითოეული ხელშეკრულებისთვის ან ერთობ-</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		ლიობაში ხელშეკრულების თითოეული კატეგორიისთვის. კატეგორიაში იგულისხმება მსგავსი ტიპის ძირითადი აქტივების შემცველი ხელშეკრულებები (მაგ., ელექტროსადგურები).		
	18	მომსახურების საკონსეციო ხელშეკრულებები		
იმკ 29 6, 7	18.1	<p>მომსახურების საკონსეციო ხელშეკრულების ყველა ასპექტი განხილული უნდა იქნეს განმარტებითი შენიშვნებში შესაფერისი ინფორმაციის გასაჯაროებისას.</p> <p>კონცესიის ოპერატორმა და ნებართვის გამცემმა ყოველ პერიოდში უნდა მოახდინონ შემდეგი საკითხების ახსნა-განმარტება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეთანხმების აღწერა; ➤ შეთანხმების მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სამომავლო ფულადი სახსრების ოდენობაზე, წარმოქმნის ვადებსა და მასთან დაკავშირებულ განსაზღვრულობაზე (მაგალითად, კონცესიის პერიოდი, გადაფასების თარიღები და საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრება გადაფასება და ახალი მოლაპარაკებები); ➤ შემდეგი საკითხების ბუნება და ფარგლები (მაგ., რაოდენობა, დროის პერიოდი ან თანხა, საჭიროებისამებრ): <ul style="list-style-type: none"> ○ სპეციფიკური აქტივების გამოყენების უფლებები; ○ მომსახურების გაწევის ვალდებულებები, ან უფლებები, რომლებიც მომსახურების გაწევის მოლოდინს წარმოშობს; ○ ძირითადი საშუალებების შეძენის ან მშენებლობის ვალდებულებები; ○ კონცესიის პერიოდის ბოლოს სპეციფიკური აქტივის მიღების უფლება ან მიწოდების ვალდებულება; ○ განახლებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები; და; ○ სხვა უფლებები და ვალდებულებები (მაგალითად, კაპიტალური რემონტი); და ➤ პერიოდის განმავლობაში შეთანხმებაში მომხდარი ცვლილებები; და ➤ როგორ არის კლასიფიცირებული შეთანხმება მომსახურებაზე. <p>შენიშვნა: ეს გასაჯაროებელი ინფორმაცია უნდა მომზადდეს ინდივიდუალურად თითოეული მომსახურების საკონსეციო ხელშეკრულებისთვის ან ერთობლიობაში, თითოეული მომსახურების საკონსეციო ხელშეკრულების კატეგორიისათვის.</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	19	მომსახურების საკონსეციო ხელშეკრულებები		
იმკ 29.6A ა	19.1	თუ სამეურნეო სუბიექტი არის ოპერატორი, ოპერატორმა უნდა გაასაჯაროვოს ამონაგების თანხა და მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც სამშენებლო მომსახურება გაიცვალა ფინანსურ აქტივზე ან არამატერიალურ აქტივზე.		
	20	ანარიცხები ვალდებულებებისათვის		
ბასს 1.78(დ)	20.1	ანარიცხები გაანალიზებულია შემდეგნაირად: <ul style="list-style-type: none"> ➤ დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ანარიცხები; ➤ სხვა მუხლები; 		
ბასს 37.85 (ა) დან - (ე) მდე	20.2	თითოეული კლასის ანარიცხისთვის, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი პუნქტები: <ul style="list-style-type: none"> ➤ საბალანსო ღირებულება საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულს; ➤ პერიოდის დამატებითი ანარიცხები, უკვე არსებული ანარიცხების ზრდის ჩათვლით; ➤ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული თანხები (ანუ გაწეული და დარიცხული - რეზერვებიდან); ➤ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპენსირებული გამოუყენებელი თანხები; და, ასევე ➤ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფასდაკლების თანხის ზრდა, რომელიც გამოწვეული დროის გასვლით და დისკონტირების განაკვეთის ეფექტური ცვლილებით. 		
ბასს 37.85 (ა) დან (გ) მდე	20.3	თითოეული კატეგორიის ანარიცხისათვის, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი პუნქტები: <ul style="list-style-type: none"> ➤ ვალდებულების არსის მოკლე აღწერა; ➤ ეკონომიკური სარგებლის გასვლის მიახლოებითი დრო; ➤ მითითება ეკონომიკური სარგებლის გასვლის მოცულობასა და პერიოდულობასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობათა შესახებ; ➤ (საჭიროების შემთხვევაში სათანადო ინფორმაციის მიწოდება) ძირითადი დამკვეთები მომავალ მოვლენებთან მიმართებაში; და ➤ ნებისმიერი მოსალოდნელი ანაზღაურების თანხა იმ აქტივის თანხის ოდენობის მითითებით, რომელიც აღიარდა მოსალოდნელი ანაზღაურებისათვის. 		
ბასს 37.92	20.4	20.3 პუნქტში მითითებული გასაჯაროებული ინფორმაციის მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ გამოიწვევს სერიოზულ ზიანს (თუ კანონით არ არის სავალდებულო, რომელთაგან ზოგიერთი ჩამოთვლილია ქვემოთ):		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენ-ტარები
		<p>აღნიშნულისგან განთავისუფლების გამოყენების შემთხვევაში, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი პუნქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დავის ზოგადი ხასიათი; ➤ ფაქტი, რომ არ მომხდარა ინფორმაციის სრულად გახსნა/გასაჯაროება; და ➤ მიზეზი, რატომ არ იქნა წარდგენილი საჭირო ინფორმაცია? 		
	21	გადავადებული გადასახადი (ვალდებულება და აქტივი)		
ბასს 12 82	21.1	<p>გასაჯაროებულ იქნა თუ არა გადავადებული საგადასახადო აქტივის ოდენობა, მისი აღიარების დამადასტურებელი მტკიცებულების შინაარსთან ერთად, როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, გადაამეტებს თუ არა მომავალი პერიოდის საგადასახადო მოგების თანხები მოგების იმ თანხას, რომელიც წარმოიშობა არსებული დასაბეგრი დროებითი სხვაობების ამოწურვის შედეგად; და ➤ საწარმოს გააჩნია მიმდინარე ან წინა საანგარიშგებო პერიოდების ზარალი იმ საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც უკავშირდება გადავადებული საგადასახადო აქტივი. 		
ბასს 12 81 (ვ)	21.2	<p>თუ საწარმოთა გაერთიანების შედეგად, რომელშიც საწარმო წარმოადგენს მყიდველს, იწვევს შექმენამდელი გადავადებული საგადასახადო აქტივისთვის აღიარებული თანხის ცვლილებას, გახსნილ იქნა თუ არა ინფორმაცია, ამ ცვლილების თანხის შესახებ; და</p>		
ბასს 12 81 (ზ)	21.3	<p>თითოეული ტიპის დროებითი სხვაობისათვის და ასევე თითოეული ტიპის გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტისთვის, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხები თითოეული წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის; ➤ მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადავადებული საგადასახადო შემოსავლის ან ხარჯის თანხა, თუ ეს არ ჩანს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ცვლილებიდან. 		
ბასს 82ა	21.4	<p>ზოგიერთ იურისდიქციაში დივიდენდების გადახდამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს კომპანიის მიერ გადასახდელი გადასახადები, მსგავს შემთხვევაში, გასაჯაროებული იქნა თუ არა შემდეგი პუნქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოგებიდან გადასახადის პოტენციური შედეგების ხასიათი, რაც გამოწვეულია აქციონერებზე დივიდენდების გაცემით; და ასევე 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ბასს 12 81 (i)		<p>➤ მოგებიდან გადასახადის პოტენციური შედეგების თანხა, რომელიც პრაქტიკულად განსაზღვრებადია და მოგებიდან გადასახადის პოტენციური შედეგების თანხა, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრებადი არ არის.</p> <p>შენიშვნა: საჭიროა კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება ნებისმიერი დივიდენდების ეფექტის შესახებ, რომლებიც შეთავაზებულ ან გამოცხადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე, მაგრამ არ იყო აღიარებული ვალდებულების სახით.</p>		
	22	კაპიტალი და რეზერვები		
ბასს 1.78 (ე)	22.1	<p>საკუთარი კაპიტალის და რეზერვების ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა კლასებად, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სააქციო კაპიტალის ანაზღაურებული ნაწილი; ➤ საემისიო კაპიტალი; ➤ რეზერვები. 		
ბასს 1.79ბ	22.2	მოცემულია თუ არა საკუთარ კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსისა და დანიშნულების აღწერა.		
	22	საკუთარი კაპიტალი და რეზერვები		
ბასს 16.40 16.77 (ვ)	22.3	გასაჯაროებულია თუ არა ცალკეული გადაფასების რეზერვი საკუთარ კაპიტალში, სადაც გადაფასდა ძირითადი საშუალებების ობიექტები, ასევე, გამოვლინდა თუ არა შეზღუდვები აქციონერებზე ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაშთის განაწილებაზე?		
ბასს 38.124 (ბ)	22.4	გასაჯაროვდა თუ არა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულს არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებული გადაფასების ნამეტი, რომელიც პერიოდის განმავლობაში არსებულ ცვლილებებსა თუ აქციონერებზე აღნიშნული ნაშთის განაწილებაზე რაიმეს სახის შეზღუდვას ასახავს?		
ფასს 5.38	22.5	გასაჯაროვდა თუ არა მთლიანი შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში - გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივთან (ან გამსვლელ ჯგუფთან) დაკავშირებით?		
	23	<p>სააქციო კაპიტალი</p> <p>მნიშვნელოვანია ძირითადი ტერმინოლოგიის გაგება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ავტორიზებული სააქციო კაპიტალი = აქციების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც კომპანიას შეუძლია რომ გამოუშვას (მაქსიმალური ნებადართული აქციების რაოდენობა); ➤ გამოშვებული აქციები = არსებული აქციების რაოდენობა; ➤ განთავსებული აქციები = აქციონერთათვის გადანაწილებული აქციების რაოდენობა; 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
მინიშნება				
		<ul style="list-style-type: none"> ➤ Called-Up აქციები (მოზიდული კაპიტალი) = აქციები, რომლებზეც აქციების გამომშვები სუბიექტის მიერ მოთხოვნილია თანხის გადახდა; ➤ გადახდილი აქციები = გადახდა მიღებულია. 		
ბასს1.79 (ა)	23.1	<p>გასაჯაროვებულია თუ არა სააქციო კაპიტალის თითოეული ტიპის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნებადართული აქციების რაოდენობა; ➤ გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა; ➤ გამოშვებული, მაგრამ ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა; ➤ მიმოქცევაში გაშვებული აქციების რაოდენობის შეჯერება პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის; ➤ უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება მოცემული ტიპის სააქციო კაპიტალს, მათ შორის, დივიდენდების განაწილებასა და კაპიტალის დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვები; ➤ საწარმოს აქციები, რომლებიც თვით საწარმოს, მისი შვილობილი ან მეკავშირე საწარმოების საკუთრებაშია; ასევე აქციები, რომლებიც რეზერვირებულია ოფციონებისა და აქციების გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის, პირობებისა და თანხების ჩვენებით. 		
ბასს1.80	23.2	<p>თუ სამეურნეო სუბიექტს არა აქვს სააქციო კაპიტალი, გაასაჯაროვა თუ არა მან 23.1 პუნქტში მითითებული ინფორმაცია, სადაც ნაჩვენებია იქნება პერიოდის განმავლობაში თითოეული კატეგორიის სააქციო წილში მომხდარი ცვლილება, ასევე თითოეული კატეგორიის სააქციო წილთან დაკავშირებული უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები.</p>		
ბასს 1.80ა	23.3	<p>თუ საწარმომ მოახდინა რეკლასიფიკაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებულ დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტის; ან ➤ წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული ინსტრუმენტის, რომელიც საწარმოს აკისრებს ვალდებულებას, მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში სხვა მხარეს გადასცეს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი; <p>თუ ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია მიანიჭა კაპიტალის ელემენტს ან პირიქით, მან უნდა გაასაჯაროვოს თანხა, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის თითოეულ კატეგორიაში (ფინანსური ვალდებულებები ან საკუთარი კაპიტალი) ჩართვისა და თითოეული კატეგორიიდან ამოღების შედეგად, რეკლასიფიკაციის თარიღი და მიზეზი.</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	23	სააქციო კაპიტალი		
ბასს 1.136ა	23.4	<p>თუ სამეურნეო სუბიექტს აქვს წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი, საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს შემდეგი ინფორმაცია (თუ სხვა რამ არ არის მითითებული):</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოკლე რაოდენობრივი მონაცემები წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული თანხის ირგვლივ; ➤ საწარმოს მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ამ ინსტრუმენტების გამოსყიდვის ვალდებულების მართვას, როდესაც ამის გაკეთებას ითხოვენ ინსტრუმენტების მფლობელები, მათ შორის წინა პერიოდის შემდეგ ამ მიზნებში, პოლიტიკასა და პროცედურებში მომხდარი ცვლილებები; ➤ მოცემული კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტების გამოსასყიდად საწარმოს მიერ გასაცემი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ოდენობა; და ➤ ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ განისაზღვრა ამ ინსტრუმენტების გამოსასყიდად საჭირო სავარაუდო ფულადი სახსრების ოდენობა. 		
ბასს 17.31	24	<p>ფინანსური ინსტრუმენტები</p> <p>ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გასაჯაროვებული ინფორმაცია ვრცელდება დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე, ინვესტიციებზე, ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და ნაღდ ფულზე, ასევე კაპიტალზე. ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული მოთხოვნები ჩართული ყოფილიყო ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ განყოფილებებში და საკონტროლო კითხვარში გასაჯაროებული ინფორმაციის პოტენციური განმეორება მომხდარიყო, ქვემოთ განხორციელდა ფასს 7-ით „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ გათვალისწინებული მოთხოვნების ცალკე მითითება.</p> <p>რაც შეეხება ფინანსურ იჯარას, გასაჯაროებულ ინფორმაციასთან მიმართებაში ბასს 17-ის მოთხოვნების გარდა, განხორციელდა ფასს 7-ით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება, გასაჯაროებულ ინფორმაციასთან მიმართებაში.</p>		
		ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია		
ფასს 7.8	24.1	<p>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან გასაჯაროებულ ინფორმაციაში უნდა აისახოს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, თითოეული ქვემოთ განხილული კატეგორიის მიხედვით:</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
მინიშნება				
		<ul style="list-style-type: none"> ➤ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამასთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები : <ul style="list-style-type: none"> ○ ისინი, რომლებიც ასეთად იყო განსაზღვრული თავდაპირველი აღიარებისას; ○ აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ ფლობილი, ბასს 39-ის მიხედვით. ➤ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ➤ სესხები და დებიტორული დავალიანებები; ➤ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები; ➤ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ცალ-ცალკე წარმოდგენილი: <ul style="list-style-type: none"> ○ როგორც ასეთად ასახული, თავდაპირველი აღიარებისას; და ○ კლასიფიცირებული, როგორც სავაჭროდ ფლობილი ბასს 39-ის მიხედვით. ➤ ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. 		
	24	ფინანსური ინსტრუმენტები		
ფასს 7.9	24.2	<p>თუ საწარმოს სესხი ან დებიტორული დავალიანება (ან სესხებისა ან დებიტორული დავალიანებების ჯგუფი), საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მან უნდა გაასაჯაროვოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საანგარიშო პერიოდის ბოლოს საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე (იხ. ფასს 7, პუნქტი 36 (ა)); ➤ თანხა, რომლითაც მასთან დაკავშირებული რომელიმე საკრედიტო რისკის წარმოებული ან ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტი ამცირებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას; ➤ კონკრეტული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა, როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ისე კუმულაციური, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკში მომხდარ ცვლილებებთან და განსაზღვრულია: <ul style="list-style-type: none"> ○ როგორც მის რეალურ ღირებულებაში მომხდარი ისეთი ცვლილება, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო რისკის გამომწვევ ბაზრის პირობების ცვლილებებზე; ან ○ სხვა მეთოდით, რომელიც საწარმოს ხელმძღვანელობის რწმენით უფრო სამართლიანად ასახავს მის რეალურ ღირებულებაში მომხდარ ისეთ ცვლილებას, რომელიც 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაიხ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>უშუალოდ მიკუთვნებადია ამ აქტივის საკრედიტო რისკის ცვლილებებზე;</p> <p>➤ ნებისმიერი დაკავშირებული საკრედიტო რისკის წარმოებულის ან მსგავსი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების სიდიდე, რომელიც დაფიქსირდა მოცემული პერიოდის განმავლობაში და ასევე კუმულაციურად, ფინანსური აქტივისთვის ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის მინიჭების შემდეგ.</p>		
ფასს7.10	24.3	<p>თუ სამეურნეო სუბიექტის მიერ ბასს 39 მე-9 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებული აქვს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გასაჯაროებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>➤ ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების კუმულაციური ცვლილება, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მთლიანობაში, რომელიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკში მომხდარ ცვლილებებთან, და განისაზღვრება:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ როგორც რეალური ღირებულების ცვლილებების სიდიდე, რომელიც არ უკავშირდება საბაზრო პირობებში ცვლილებებს, რომლებიც საბაზრო რისკს წარმოშობს; ან ○ ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, რომელიც, სამეურნეო სუბიექტის აზრით, უფრო ზუსტად ასახავს რეალური ღირებულების ცვლილების სიდიდეს, რომელიც საკრედიტო რისკის ცვლილებებს უკავშირდება; <p>➤ სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომლის გადახდაც კრედიტორისთვის საწარმოს ხელშეკრულებით მოეთხოვება ვალდებულების დაფარვის თარიღისთვის.</p>		
ფასს7.11	24.4	<p>გასაჯაროვდა თუ არა მეთოდი, რომელიც გამოიყენება ფასს 7-ის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად რეალური ღირებულების ცვლილებათა გამოთვლისთვის და თუ სამეურნეო სუბიექტი მიიჩნევს, რომ ეს გასაჯაროებული ინფორმაცია სარწმუნოდ არ ასახავს რეალური ღირებულების ცვლილებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს, ასეთი დასკვნის გამოტანის მიზეზები და შესაბამისი ფაქტორები, რომლებსაც სამე-ურნეო სუბიექტი ადეკვატურად მიიჩნევს.</p>		
	24	ფინანსური ინსტრუმენტები		
		ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია		
ფასს 7.12	24.5	<p>თუ სამეურნეო სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება (ბასს 39-ის, 51-54-ე პუნქტების შესაბამისად)</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
მინიშნება				
		<p>განხორციელდა, როგორ ფასდება აქტივები შემდეგი კომპონენტების შეფასების საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თვითღირებულების ან ამორტიზებული ღირებულების და არა რეალური ღირებულების; ან ➤ რეალური ღირებულება და არა თვითღირებულება ან ამორტიზებული ღირებულება; <p>მოხდა თუ არა თანხების რეკლასიფიცირება თითოეულ კატეგორიაში და თითოეული კატეგორიიდან და ასეთი რეკლასიფიცირების მიზეზის გასაჯაროება.</p>		
ფასს 7.12ა	24.6	<p>იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო სუბიექტი ფინანსურ აქტივს, ბასს 39-ის 50ბ ან 50დ პუნქტების შესაბამისად რეალური ღირებულებიდან გადააკლასიფიცირებს მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან კატეგორიიდან „გაყიდვისთვის ხელმისაწვდომი“, ბასს 39-ის 50-ე პუნქტის შესაბამისად, გასაჯაროებული იქნა თუ არა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თითოეულ კატეგორიაში და თითოეული კატეგორიიდან რეკლასიფიცირებული თანხა; ➤ ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის აღიარების გაუქმებამდე, მიმდინარე ან გასული საანგარიშგებო პერიოდში რეკლასიფიცირებული ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებები და რეალური ღირებულებები; ➤ თუ ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია 50ბ პუნქტის შესაბამისად, როგორც იშვიათი სიტუაცია, და ასევე ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სიტუაცია იშვიათი იყო; ➤ საანგარიშგებო პერიოდისთვის, როდესაც ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებული იქნა, ფინანსური აქტივის მოგება ან ზარალი რეალური ღირებულების მიხედვით, აღიარებული მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში მიმდინარე და გასულ საანგარიშგებო პერიოდში; ➤ ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებამდე, რეკლასიფიკაციის შემდგომი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის (ფინანსური აქტივის რეკლასიფიცირების საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით), რეალური ღირებულების მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებული იქნებოდა მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, თუ არ მოხდებდა ფინანსური აქტივის რეკლასიფიცირება, ასევე შემოსულობა, ზარალი, შემოსავალი და ხარჯები, აღიარებული მოგებაში ან ზარალში; და ➤ ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და შეფასებული ღირებულება, რომელსაც სამეურნეო სუბიექტი მოელის, რომ მიიღებს, ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციის თარიღისთვის. 		

მე-ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
ფასს 13ა			
ფასს 13 ბ, გ,	24.7		

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა
 ბასს 32-ის 42-ე პუნქტის შესაბამისად, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია.
 შენიშვნა: ეს გასაჯაროებული ინფორმაცია ასევე ვრცელდება აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო მთავარ ხელშეკრულებას ან მსგავს შეთანხმებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ხელშეკრულებები ბასს 32-ე მუხლის 42-ე პუნქტის შესაბამისად შედგენილი.

გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ შეთანხმებების გაქვითვის გავლენას ან პოტენციური გავლენას. ამისათვის გასაჯაროებული უნდა იქნეს შემდეგი კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის:

- ა) იმ აღიარებული ფინანსური აქტივებისა და აღიარებული ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა;
 - ბ) თანხები, რომელთა ურთიერთგადაფარვა განხორციელდა, ბასს 32-ის 42-ე პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, როდესაც განისაზღვრა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ნეტო თანხები;
 - გ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ნეტო თანხები;
 - დ) თანხები, რომლებიც ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება იურიდიული ძალის მქონე ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმების, ან სხვა ანალოგიური შეთანხმების თანახმად, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, არ მოხვდებოდა (ბ) პუნქტში, მათ შორის:
 - ისეთ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ბასს 32-ის 42-ე პუნქტით განსაზღვრულ ურთიერთგადაფარვის ზოგიერთ, ან არც ერთ კრიტერიუმს; და
 - თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ უზრუნველყოფასთან (მათ შორის, ფულად უზრუნველყოფასთან); და
 - ე) წმინდა თანხა, რომელიც დარჩა (გ) პუნქტში მითითებული თანხებიდან (დ) პუნქტში მითითებული თანხების გამორიცხვის შედეგად;
- ეს ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისათვის, თუ არ არსებობს სხვა უფრო შესაფერისი ფორმატი.

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
			(დ) პუნქტის შესაბამისად ინსტრუმენტისათვის გასაჯაროებული ჯამური თანხა შემოიფარგლება (დ) პუნქტის ინსტრუმენტისთვის მითითებული თანხის ოდენობით. (დ)-თან დაკავშირებით, ამ პუნქტში მითითებული უფლებების არსი უნდა გასაჯაროვდეს ამ განმარტებით შენიშვნებში. თუ ფასს 7-ის 13 ბ-13 ე პუნქტების შესაბამისად მოცემული ინფორმაცია გასაჯაროებულია ერთზე მეტი შენიშვნის სახით, საჭიროა ჯვარედინი მონიშვნის გამოყენება.
			უზრუნველყოფა
ფასს 7.14	24.8		საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს: <ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც სამეურნეო სუბიექტმა როგორც ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების გირავნობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენა, მათ შორის, თანხები, რომელიც რეკლასიფიცირდა ბასს 39-ის 37 (ა) პუნქტის შესაბამისად და ➤ ამ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვადები და პირობები.
			უზრუნველყოფა
ფასს 7.15	24.9		თუ სამეურნეო სუბიექტს აქვს დამატებითი უზრუნველყოფა (ფინანსური ან არაფინანსური აქტივები) და აქვს გაყიდვის ან უზრუნველყოფაში ხელახალი ჩადების უფლება მფლობელის მიერ დადგენილ ვადებში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➤ უზრუნველყოფის რეალური ღირებულება; ➤ ნებისმიერი ისეთი უზრუნველყოფის რეალური ღირებულება, რომელიც გაყიდა ან გადააგირავა და გააჩნია თუ არა საწარმოს მისი უკან დაბრუნების მოვალეობა; და ➤ ამ უზრუნველყოფის გამოყენების ვადები და პირობები.
			რეზერვის ანგარიში საკრედიტო ზარალისთვის
ფასს 7.16	24.10		როდესაც ფინანსური აქტივები გაუფასურებულია საკრედიტო დანაკარგებით და სამეურნეო სუბიექტის მიერ ეს გაუფასურება აღრიცხულია ცალკე ანგარიშზე (მაგალითად, სარეზერვო ანგარიში, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური გაუფასურების აღრიცხვისთვის ან მსგავსი ანგარიში, რომელიც გამოიყენება აქტივების კოლექტიური გაუფასურების აღრიცხვის მიზნით) აქტივის საბალანსო ღირებულების პირდაპირ შემცირების ნაცვლად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, ფინანსური აქტივების თითოეული კატეგორიისთვის ამ ანგარიშში შეტანილი ცვლილებების შესახებ?

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		რთული ფინანსური ინსტრუმენტები მრავალი ჩართული წარმოებულ ინსტრუმენტით		
ფასს 7.17	24.11	თუ საწარმომ გამოუშვა ინსტრუმენტი, რომელსაც გააჩნია როგორც ვალდებულებითი, ასევე წილობრივი კომპონენტი და მას აქვს მრავალი ჩართული წარმოებულ ინსტრუმენტის თვისებები, რომელთა ღირებულებები ურთიერთდამოკიდებულია (როგორცაა, მაგალითად, კონვერტირებადი სავალო ინსტრუმენტი გამოსყიდვის პირობით), გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია აღნიშნული მახასიათებლების შესახებ?		
		ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და დარღვევები		
ფასს 7.18	24.12	საანგარიშგებო თარიღისათვის აღიარებული სესხის გაცემის ვალდებულებებისათვის, საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს: <ul style="list-style-type: none"> ➤ დეტალური ინფორმაცია, ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე სესხის ძირ თანხასთან, პროცენტთან, სესხის დაფარვის ფონდთან, ან სესხის ვალდებულების დაფარვის პირობებთან დაკავშირებით; ➤ საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული იმგვარი სესხის გაცემის ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან; და ➤ გამოსწორდა თუ არა დარღვევა, ან შეიცვალა თუ არა სასესხო ხელშეკრულების პირობები ხელახალი მოლაპარაკების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე. 		
ფასს 7.19	24.13	თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოხდა სასესხო შეთანხმების პირობების ისეთი დარღვევა, რომელიც აღწერილი არ არის მე-18 პუნქტში, საწარმომ იგივე ინფორმაცია უნდა გაასაჯაროვოს, რომელიც მოითხოვება მე-18 პუნქტით, თუ ეს დარღვევა სესხის გამცემს უფლებას აძლევს, სესხის დაფარვა მოითხოვოს დაჩქარებული წესით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა გამოსწორდა, ან მოხდა სესხის პირობების გადასინჯვა და ხელახლა შეთანხმება საანგარიშგებო თარიღისათვის ან მანამდე).		
		რეალური ღირებულება		
ფასს 7.25,26	24.14	იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც განსაზღვრულია ფასს 7-ის 29-ე პუნქტში, საწარმომ ყველა სხვა შემთხვევაში ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორიისათვის, რეალური ღირებულება იმგვარად უნდა წარმოადგინოს, რომ შესაძლებელი იყოს შედარება საბალანსო ღირებულებასთან.		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		შენიშვნა: გაქვითვა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარულია მათი საბალანსო ღირებულება.		
ფასს 7.28	24.15	<p>თუ ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას საწარმო არ აღიარებს შემოსულობას, ან ზარალს, ვინაიდან მისი რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით და არც შეფასების ისეთ მეთოდს ეყრდნობა, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ბაზრებზე დაკვირვებადი მონაცემები. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების მიხედვით უნდა გაასაჯაროვოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენა თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის განსხვავების თანხის მოგებაში ან ზარალში აღიარებისთვის, რათა აისახოს ისეთ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები (მათ შორის დროის ფაქტორში), რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას (იხ. ბასს 39, პუნქტი AG76 (ბ)); ➤ მთლიანი განსხვავების თანხა, რომელიც მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს და ამ სხვაობის ნაშთში მომხდარი ცვლილებების შემაჯერებელი ინფორმაცია; ➤ მიზეზი, თუ რატომ დაასკვნა საწარმომ, რომ გარიგების ფასი არ წარმოადგენდა რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას, მათ შორის იმ მტკიცებულებების აღწერა, რომელიც ასაბუთებს რეალურ ღირებულებას. 		
ფასს 7.29,30	24.16	<p>რეალური ღირებულების გასაჯაროება არ მოითხოვება შემდეგ გარემოებებში:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) როდესაც საბალანსო ღირებულება მიახლოებით რეალური ღირებულების ტოლია, მაგალითად ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორცაა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები; ბ) წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები, რომლებსაც არა აქვთ კოტირებული (დადგენილი) ფასი აქტიურ ბაზარზე იდენტური ინსტრუმენტისთვის (პირველადი ინფორმაცია, მაგალითად ბაზრებზე დაკვირვებადი მონაცემები), ან იმ წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული წარმოებული ინსტრუმენტები (დერივატები), რომელიც შეფასებულია ბასს 39-ის შესაბამისად, ვინაიდან მათი რეალური ღირებულება სხვაგვარად არ შეიძლება შეფასდეს საიმედოდ; ან 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>გ) ისეთი ხელშეკრულებისთვის, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას (როგორც აღწერილია ფასს 4-ში), თუ ამ პირობის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.</p> <p>დ) ზემოთ აღნიშნული ბ და გ პუნქტების შემთხვევაში, გასაჯაროებული იქნა თუ არა ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მკითხველს ამ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებისა და მათი რეალური ღირებულების შესაძლო განსხვავებებზე დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ იქნა გასაჯაროებული, ვინაიდან მათი რეალური ღირებულება არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; ➤ ფინანსური ინსტრუმენტების აღწერა, მათი საბალანსო ღირებულება და განმარტება, თუ რატომ არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს რეალური ღირებულება; ➤ ინფორმაცია ამ ინსტრუმენტების ბაზარზე შესახებ; ➤ ინფორმაცია იმის შესახებ, აპირებს თუ არა საწარმო ამ ფინანსური ინსტრუმენტების დათმობას და თუ აპირებს, როგორ; და ➤ თუ შეწყდა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება წინათ შეუძლებელი იყო, საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს თავად ეს ფაქტი, გაასაჯაროვოს აღიარების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული მისი საბალანსო ღირებულება და აღიარებული შემოსულობის ან ზარალის ოდენობა. 		
ფასს 7.31,32, 32 ა		<p>ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების ხასიათი და მოცულობა</p> <p>საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ისეთი რისკების ხასიათი და მოცულობა, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო თარიღისათვის. რისკები, როგორც წესი, მოიცავს, (მაგრამ არ შემოიფარგლება) საკრედიტო რისკებს, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკებს.</p>		
ფასს 7.33	24.17	<p>ხარისხობრივი ინფორმაციის გასაჯაროება - ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, თითოეული ტიპის რისკის შესახებ, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საწარმოზე რისკის გავლენისა და მისი წარმოშობის შესახებ; ➤ რისკის მართვის მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების და რისკის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდების შესახებ; და 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>➤ ზემოთ აღნიშნულ პროცესებში მომხდარი ცვლილებები წინა პერიოდის შემდეგ.</p>		
ფასს 7.34	24.18	<p>რაოდენობრივი ინფორმაციის გასაჯაროება</p> <p>ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების თითოეული კატეგორიისათვის საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს:</p> <p>ა) რაოდენობრივი მონაცემების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც ეხება საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმოზე ამ რისკის გავლენას. აღნიშნული განმარტებები უნდა ეყრდნობოდეს იმავე ინფორმაციას, რომელიც თვითონ საწარმოში მიეწოდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს; და</p> <p>ბ) რისკების კონცენტრაცია, თუ ეს არ ჩანს სხვა გასაჯაროებულ ინფორმაციაში?</p>		
ფასს 7.35	24.19	<p>თუ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გასაჯაროებული რაოდენობრივი მონაცემები არ ასახავს საწარმოზე რისკის გავლენის იმავე ხარისხს, რაც იყო საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე, საწარმომ დამატებით უნდა გაასაჯაროვოს სხვა რეპრეზენტაციული ინფორმაცია.</p>		
ფასს 7.36	24.20	<p>საკრედიტო რისკი - გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგი კატეგორიების შესახებ:</p> <p>➤ თანხა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას საწარმოზე საანგარიშგებო თარიღისათვის, საწარმოს მიერ ფლობილი ყოველგვარი უზრუნველყოფის ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების გაუთვალისწინებლად (მაგალითად, ურთიერთ-ჩათვლის შეთანხმება, რომელიც არ აკმაყოფილებს ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმს ბასს 32-ის შესაბამისად); [შენიშვნა: ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ მოითხოვება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საბალანსო ღირებულებები საუკეთესოდ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას];</p> <p>➤ კრედიტის გარანტიის სახით ფლობილი უზრუნველყოფის ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებისა და მათი ფინანსური ეფექტის აღწერა იმ თანხასთან მიმართებით, რომელიც საუკეთესოდ ასახავს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ გავლენას;</p> <p>➤ ფინანსური აქტივების კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც არ არის ვადაგადაცდილებული და გაუფასურებული.</p>		
ფასს 7.37	24.21	<p>ვადაგადაცდილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები - გასაჯაროებული იქნა თუ არა ინფორმაცია, ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიების შესახებ:</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➢ საანგარიშო პერიოდისათვის ფინანსური აქტივების ხანდაზმულობის ანალიზი, რომლებიც ვადაგადაცილებულია, თუმცა არ არის გაუფასურებული; ➢ ფინანსური აქტივების ანალიზი, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულად განისაზღვრა საანგარიშგებო პერიოდისათვის, იმ ფაქტორების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა გაუფასურების დადგენისას. 		
ფასს 7.38	24.22	<p>მიღებული უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები - როდესაც საწარმო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოიპოვებს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებს, იმ თვალსაზრისით, რომ მის მფლობელობაში გადადის კრედიტის უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები (მაგ., გარანტიები) და ეს აქტივები აკმაყოფილებს სხვა სტანდარტების აღიარების კრიტერიუმებს, მან საანგარიშგებო თარიღისთვის მის მფლობელობაში მყოფი ამგვარი აქტივების შესახებ უნდა გაასაჯაროვოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მიღებული აქტივების ბუნება და საბალანსო ღირებულება; და ➢ აქტივების გასხვისების ან საწარმოს საქმიანობაში გამოყენების პოლიტიკა, თუ ზემოაღნიშნული აქტივები არ არის ადვილად კონვერტირებადი ნაღდ ფულში. 		
ფასს 7.39	24.23	<p>ლიკვიდობის რისკი - გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, შემდეგი საკითხების შესახებ:</p> <p>ა) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი (მათ შორის, გაცემული ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების), საიდანაც გამოჩნდება დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები;</p> <p>ბ) წარმოებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი. დაფარვის ვადების ანალიზმა უნდა მოიცვას დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები იმ წარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადების გასაგებად; და ასევე</p> <p>გ) იმის აღწერა, როგორ მართავს (ა) და (ბ) პუნქტებში ხსენებული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ ლიკვიდობის რისკს.</p>		
ფასს 7.40	24.24	<p>საბაზრო რისკი -მგრძნობელობის ანალიზი - თუ საწარმოს არ ეხება ფასს 7-ის 41-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაშინ მან უნდა გაასაჯაროვოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მგრძნობელობის ანალიზი თითოეული ტიპის საბაზრო რისკისთვის, რომელიც გავლენას ახდენდა საწარმოზე 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშვნება			დაიხ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>საანგარიშგებო თარიღისათვის, ამასთან ისე, რომ ჩანდეს, რა უარყოფით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე რისკის შესაფერისი ცვლადის იმგვარი ცვლილება, რაც, გონივრულების ფარგლებში, მოსალოდნელი იყო ამ თარიღისათვის;</p> <p>➤ ამ მეთოდებსა და დაშვებებში წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები და მათი შეცვლის მიზეზები.</p>		
ფასს 7.41	24.25	<p>თუ საწარმო ამზადებს მგრძნობელობის ანალიზს, როგორცაა შეფასება რისკის საფუძველზე, რომელიც ასახავს რისკის ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას (მაგ., საპროცენტო განაკვეთსა და სავალუტო კურსებს შორის) და ამ ანალიზს იყენებს ფინანსური რისკების მართვისათვის, მან შეიძლება ეს ანალიზი გამოიყენოს ფასს 7-ის მე-40 პუნქტით განსაზღვრული მგრძნობელობის ანალიზის ნაცვლად. გარდა ამისა, საწარმომ უნდა:</p> <p>➤ გაასაჯაროვოს ამ ანალიზის დროს გამოყენებული მეთოდები, ასევე ძირითადი პარამეტრები და დაშვებები, რომლებიც ამოსავალ ბაზად გამოიყენა; და</p> <p>➤ გაასაჯაროვოს გამოყენებული მეთოდების მიზანი და მისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები, რის გამოც მიღებული ინფორმაცია შეიძლება სრულყოფილად არ ასახავდეს შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.</p>		
ფასს 7.42	24.26	<p>სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია საბაზრო რისკის შესახებ - როდესაც ფასს 7-ის მე-40 ან 41-ე პუნქტების შესაბამისად მომზადებული მგრძნობელობის ანალიზი არ ასახავს ფინანსური ანგარიშგებისთვის დამახასიათებელ რისკს (მაგალითად, იმიტომ, რომ რისკის გავლენა საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ასახავს რისკის გავლენას წლის მანძილზე), საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს თავად ეს ფაქტი და მიზეზი, რომელიც, მისი აზრით, მგრძნობელობის ანალიზს არარეპრეზენტაციულს ხდის.</p>		
ფასს 7.42 ა		<p>ფინანსური აქტივების გადაცემა - ფასს 7-ის 42ბ- 42თ მუხლით მოთხოვნილი ინფორმაციის გასაჯაროება ეხება ყველა გადაცემულ ფინანსურ აქტივს, რომლის აღიარებაც არ შეწყვეტილა და ასევე გადაცემულ აქტივში საწარმოს ნებისმიერი სახის მონაწილეობას, რომელიც ისევ შენარჩუნებულია საანგარიშგებო თარიღისთვის, იმის მიუხედავად, როდის განხორციელდა აქტივის გადაცემის ოპერაცია. ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნების გამოყენების მიზნით, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, რომ საწარმოს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივი (გადაცემული ფინანსური აქტივი), ან მისი ნაწილი, თუ საწარმო:</p> <p>➤ გადასცემს ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს; ან</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დაიხ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➢ ინარჩუნებს ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ თავის თავზე იღებს აქტივის ერთი ან რამდენიმე მიმღებისთვის ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას. 	
ფასს 7.42 ბ	24.27	<p>გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მკითხველს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) გაიგოს, რა კავშირი არსებობს გადაცემულ ფინანსურ აქტივსა (რომლის აღიარება მთლიანად არ შეწყვეტილა) და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის; და ბ) შეაფასოს საწარმოს შენარჩუნებული მონაწილეობის ხასიათი ფინანსურ აქტივებში, რომლის აღიარებაც შეწყდა და ასევე მასთან დაკავშირებული რისკები. 	
ფასს 7.42 დ	24.28	<ul style="list-style-type: none"> ➢ ფასს 7-ის 42ბ (ა) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გასაჯაროებული იქნა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➢ გადაცემული აქტივის ხასიათი; ➢ საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის ხასიათი, რომელიც საწარმოსთან რჩება; ➢ გადაცემულ აქტივებსა და შესაბამის ვალდებულებებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა, მათ შორის, აქტივების გადაცემის შედეგად წარმოქმნილი შეზღუდვების, რომლებიც ეხება ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების გამოყენებას; ➢ როდესაც გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტრაქტ(ებ)ს გააჩნია(თ) მხოლოდ გადაცემული აქტივების უკან მოთხოვნის უფლება, ცხრილი, რომელშიც მითითებულია გადაცემული აქტივების რეალური ღირებულება, მასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალური ღირებულება და ნეტო პოზიცია (გადაცემული აქტივებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობა); ➢ გადაცემული აქტივებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო აგრძელებს ყველა გადაცემული აქტივის აღიარებას; ➢ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო აგრძელებს აქტივების აღიარებას, მან აქტივების იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელშიც მონაწილეობას ინარჩუნებს (იხ. ბასს 39-ის 20 (გ) (ii) და 30), უნდა აჩვენოს: თავდაპირველი აქტივების საბალანსო ღირებულებების მთლიანი თანხა, რომელიც მათ გააჩნდათ გადაცემამდე, იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომელთა აღიარებასაც აგრძელებს 	

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		საწარმო და ასევე დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები.		
ფასს 7.42 ე.ვ	24.29	<p>ფასს 7-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, 42<u>ბ</u> (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჯაროებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>ა) საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც ასახავს საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა და ასევე უნდა მიუთითოს ანგარიშგების მუხლები, რომელშიც ასახულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები;</p> <p>ბ) იმ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები, რომლებიც ასახავს საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა;</p> <p>გ) თანხა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს იმ ზარალის მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს მონაწილეობის შენარჩუნებამ ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა და ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, როგორ განსაზღვრა საწარმომ ზემო-ღნიშნული მაქსიმალური ზარალის სიდიდე;</p> <p>დ) არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ოდენობა, რომლის გასვლა საწარმოდან შეიძლება საჭირო გახდეს, ან მოთხოვნილ იქნეს იმ აქტივების გამოსყიდვისთვის, რომელთა აღიარებაც შეწყდა (მაგალითად, ოფციონის შეთანხმების აღსრულების ფასი), ან სხვა თანხები, რომელიც გადასახდელია გადაცემული აქტივების მიმღებისთვის, ფულადი სახსრების გადაცემასთან დაკავშირებით. თუ ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის გასვლაც მოსალოდნელია საწარმოდან, ცვალებადი სიდიდეა, მაშინ მისი სიდიდე უნდა განისაზღვროს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული პირობების გათვალისწინებით;</p> <p>ე) არადისკონტირებული ფულადი ნაკადების ვადების ანალიზი, რომლის გასვლა საწარმოდან საჭირო გახდება, ან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ აქტივების გამოსყიდვისთვის, რომელთა აღიარებაც შეწყდა, ან სხვა თანხების გასვლის ვადების ანალიზი, რომელიც საწარმოს გადასახდელი აქვს გადაცემული ფინანსური აქტივების მიმღებისთვის, აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, მითითებული უნდა იყოს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები, რომლებიც ეხება საწარმოს შენარჩუნებულ მონაწილეობას ამ აქტივებში;</p>		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
	24.29	<p>ვ) ხარისხობრივი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც ხსნის და ასაბუთებს (ა)-(ე) პუნქტებში მოთხოვნილ რაოდენობრივ ინფორმაციას.</p> <p>საწარმოს უფლება აქვს აგრეგირებულად წარმოადგინოს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ამა თუ იმ კონკრეტულ აქტივთან მიმართებით, თუ საწარმო ამ აღირებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივში მონაწილეობას ინარჩუნებს სხვა-დასხვაგვარად და ანგარიშგებაში მათ წარადგენს, როგორც ერთი ტიპის შენარჩუნებულ მონაწილეობას.</p>		
ფასს 7.42 ზ	24.30	<p>ფასს 7 მუხლის 42ვ პუნქტით გათვალისწინებული გასაჯაროებული ინ ფორმაციის გარდა, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივების გადაცემის თარიღისთვის აღიარებული შემოსულობა, ან ზარალი; ➤ შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც აღიარებულია როგორც საანგარიშგებო პერიოდში, ასევე მთლიანად მას შემდეგ, რაც საწარმომ შეინარჩუნა მონაწილეობა ფინანსურ აქტივებში, რომელთა აღიარებაც შეწყდა (მაგალითად, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები); ➤ თუ საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გადაცემის ოპერაციიდან მიღებული შემოსავლების მთლიანი თანხა (რომელიც აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს) არათანაბრად ნაწილდება საანგარიშგებო პერიოდზე (მაგალითად, თუ აქტივების გადაცემის ოპერაციის მთლიანი თანხის არსებითი ნაწილი მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღებში): <ul style="list-style-type: none"> ○ როდის განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების გადაცემის ყველაზე მსხვილი ოპერაცია; ○ საანგარიშგებო პერიოდის მოცემულ ნაწილში აქტივების გადაცემის ოპერაციასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა (მაგალითად, შემოსულობა ან ზარალი); და ასევე ○ საანგარიშგებო პერიოდის მოცემულ ნაწილში აქტივების გადაცემის ოპერაციასთან დაკავშირებით აღიარებული შემოსულობების მთლიანი თანხა. 		
	25	ჰეჯირების აღრიცხვა		
ფასს 7.22	25.1	<p>არის თუ არა გასაჯაროებული გამოყოფილად რეალური ღირებულების ჰეჯირების, ფულადი ნაკადების ჰეჯირებისა და უცხოური ოპერაციების წმინდა ინვესტიციის ჰეჯირების შესახებ ინფორმაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თითოეული სახის ჰეჯირების აღწერილობა; ➤ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჰეჯირების ინსტრუ- 		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		მენტების სახით მითითებული ფინანსური ინსტრუმენტების აღწერა და მათი რეალური ღირებულებება; და ➤ ჰეჯირებული რისკის ხასიათი.		
ფასს 7.23	25.2	გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია ფულადი სახსრების ჰეჯირებასთან დაკავშირებით: ➤ ფულადი ნაკადების შემოდინების მოსალოდნელი პერიოდი, როდესაც ისინი გავლენას მოახდენს მოგება ან ზარალზე; ➤ ნებისმიერი პროგნოზირებული ტრანზაქციის აღწერა, რომლის მიმართ ადრე გამოყენებულ იქნა ჰეჯირების აღრიცხვა, მაგრამ აღარ არის მოსალოდნელი მისი ხელახლა გამოყენება; ➤ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა; ➤ თანხა, რომელიც კაპიტალიდან რეკლასიფიცირებულია პერიოდის მოგებაში ან ზარალში, სრული შემოსავლის ანგარიშების თითოეულ ელემენტში ასახული თანხების მითითებით; და ➤ ის თანხა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამოღებულ იქნა კაპიტალიდან და შეტანილ იქნა არასაფინანსო აქტივის ან არასაბანკო ვალდებულების თავდაპირველ ღირებულებაში ან საბალანსო ღირებულებაში, რომელთა შესყიდვა ან განხორციელება იყო ჰეჯირებული, მაღალი ალბათობით, დაგეგმილი ტრანზაქცია.		
	25	ჰეჯირების აღრიცხვა		
ფასს 7.24 ბ	25.3	გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან წარმოშობილი მოგებასა და ზარალში აღიარებული არაეფექტურობის შესახებ?		
ფასს 7.24 (გ)	25.4	გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია უცხოური ოპერაციების წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებიდან წარმოშობილი მოგებასა და ზარალში აღიარებული არაეფექტურობის შესახებ?		
ფასს 7.24 (ა)	25.5	რეალური ღირებულების ჰეჯირებასთან დაკავშირებით, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია: ➤ შემოსულობა ან ზარალი ჰეჯირების ინსტრუმენტზე; და ასევე ➤ შემოსულობა ან ზარალი ჰეჯირებულ ელემენტებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკებთან.		
	26	განმარტებითი შენიშვნები, რეალური ღირებულების დაკავშირებით ფასს 13-ით გასაჯაროებული ინ ფორმაციის შესაბამისად, სამეურნეო სუბიექტმა უნდა გაასაჯაროვოს ცხრილის ფორმატში მოცემული რაოდენობრივი		

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები			
მინიშნება		დაახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		განმარტებითი შენიშვნები, თუ არ არსებობს სხვა ფორმა, რომელიც უფრო მეტად შესაბამისია [ფასს 13, პუნქტი 99].	
ფასს 13.91	26.1	<p>გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, რომელიც ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს, შეაფასოს ქვემოთ მოცემული ორივე კომპონენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქტივებთან ან ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთა რეალური ღირებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ პერიოდულად, ან ერთჯერადად ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - ამ შეფასებების გამოსათვლელად გამოყენებული შეფასების მეთოდები და ამოსავალი ინფორმაცია; და ➤ მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) საფუძველზე გამოთვლილი რეალური ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც პერიოდულად ხელახლა განისაზღვრება - ამ შეფასებების გავლენა პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე, ან სხვა სრულ შემოსავალზე. <p>ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, სულ მცირე, გასაჯაროებული უნდა იქნას ფასს 13-ის 93-ე პუნქტში მითითებული ინფორმაცია.</p>	
ფასს 13 93,94,9 5	26.2	<p>თითოეული კატეგორიის აქტივების ან ვალდებულებების მიხედვით (იხ. 94-ე პუნქტი ინფორმაციის მისაღებად აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისი კატეგორიების დასადგენად), რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებულია რეალური ღირებულებით (მათ შორის, შეფასებები, რომლებიც ეყრდნობა რეალურ ღირებულებას და განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) რეალური ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - რეალური ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო რეალური ღირებულებების ერთჯერადი შეფასებებისთვის - შეფასების მიზნუბი. ბ) რეალური ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - რეალური ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება რეალური ღირებულების შეფასებები მთლიანად (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე); გ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს კუთვნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა რეალური ღირებულებები პერიოდულად ხელახლა განისაზღვრება - თანხები, რომელთა გადანაცვლება მოხდა რეალური ღირებულების იერარქიის 1- 	

მე-6 ნაწილი – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები				
მინიშნება			დიახ /არა/არ ივსება	კომენტარები
		<p>ელ და მე-2 დონეებს შორის, გადატანის მიზეზები და საწარმოს პოლიტიკა, რომელიც ეხება იმის დადგენას, როდის მიიჩნევა, რომ განხორციელდა შეფასების გადანაცვლება ერთი დონიდან მეორეში (იხ. 95-ე პუნქტი). თითოეულ დონეში გადატანილი შეფასებები, თითოეული დონიდან სხვა დონეში გადატანილი შეფასებებისგან განცალკევებით უნდა იყოს ნაჩვენები და განხილული;</p>		
ბასს 24.25	<p>სახელმწიფოსთან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტები და დაკავშირებულ მხარეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება</p> <p>ანგარიშვალდებული საწარმო თავისუფლდება დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციებისა და ნაშთების (მათ შორის ვალდებულებების) განმარტებით შენიშვნებში გასაჯაროებისგან, თუ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები, მათ შორის, ვალდებულებები ეხება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მთავრობას, რომელსაც აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი; ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე; და ასევე 		

მე-9 ნაწილი - შენიშვნები და სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია			
მინიშვნება		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
			<p>➤ სხვა საწარმოს, რომელიც არის დაკავშირებული მხარე, რადგან, ერთი და იგივე სახელმწიფო აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოსაც და მეორე საწარმოსაც, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორივე მათგანზე.</p>
ბასს 24.26	15.3		<p>ამ გამონაკლისების გამოყენების შემთხვევაში, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სახელმწიფოს სახელწოდება; ➤ ურთიერთობის შინაარსი; და ➤ შემდეგი ინფორმაცია საკმარისად დეტალურადაა ფორმირებული, რათა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ გაცნობიერონ დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების გავლენა, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ○ თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციის შინაარსი და თანხა; და ○ სხვა გარიგებებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოცულობის მაჩვენებელი? <p>➤ ბასს 24.27-ში მოცემულია დამატებით მითითებები.</p>
	16	კაპიტალის მართვა	
ბასს 1.134	16.1		<p>საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასაჯაროებულია თუ არა ისეთი ინფორმაცია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება.</p> <p>ბასს 1-ის, 134-ე პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაასაჯაროვოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) დახასიათება იმისა, თუ რას მართავს საწარმო, როგორც კაპიტალს; ბ) როდესაც საწარმო კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნებს ექვემდებარება, ამ მოთხოვნების შინაარსი და როგორ უკავშირდება ისინი კაპიტალის მართვას; და გ) როგორ არის შესრულებული საწარმოს მიზნები, კაპიტალის მართვის შესახებ; დ) რაოდენობრივი მონაცემები იმის შესახებ, რასაც ის მართავს როგორც კაპიტალს; ე) წინა პერიოდის შემდეგ (ა-დ) პუნქტებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება; ვ) შეასრულა თუ არა მან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კაპიტალთან დაკავშირებული გარე სავალდებულო მოთხოვნა;
ბასს 1.135			

მე-9 ნაწილი - შენიშვნები და სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია				
მინიშვნება			დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
ბასს 1.136		<p>შენიშვნა: ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს იმ ინფორმაციას, რომელიც მომზადდა საწარმოში, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის.</p> <p>შენიშვნა: თუ სამეურნეო სუბიექტს აქვს მთლიანიკაპიტალის განსაზღვრის სხვადასხვა გზები ან კაპიტალთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარე სავალდებულო მოთხოვნებს ექვემდებარება, ინფორმაცია შესაძლებელია გაიცეს მხოლოდ აგრეგირებული სახით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემას აზრი ექნება.</p>		

დამკვეთი: _____

საანგარიშგებო პერიოდი: _____

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

დამატებითი კორპორაციული გასაჯაროებელი ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი (ფასს) - დამატებითი გასაჯაროებელი ინფორმაცია, მინერალური რესურსების კვლევისა და შეფასების სფეროში ჩართული სამეურნეო სუბიექტისათვის

მითითება ფასს-ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
ფასს 6.23	1	გასაჯაროებელი უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს და განმარტავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ იმ თანხობრივ სიდიდეებს, რომლებიც მინერალური რესურსების კვლევისა და შეფასების შედეგად წარმოიშვა. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია შემდეგი განმარტებითი შენიშვნების ასახვა.	
ფასს 6.24 (ა)	2	გასაჯაროებულ იქნა თუ არა კვლევისა და შეფასების ხარჯებთან დაკავშირებული საბუღალტრო პოლიტიკა, მათ შორის, კვლევისა და შეფასების აქტივების აღიარების საკითხები?	
IFRS 6.24 (ბ) ფასს 6.24 (ბ)	3	გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი საკითხები: ➤ აქტივები; ➤ ვალდებულებები; ➤ შემოსავალი; ➤ ხარჯები; ➤ საოპერაციო ფულადი ნაკადები; და ➤ საინვესტიციო ფულადი ნაკადები, რაც მინერალური რესურსების კვლევისა და შეფასების შედეგად წარმოშობა.	
ფასს 6.25	4	ხომ არ იყო კვლევისა და შეფასების აქტივები კლასიფიცირებული როგორც ცალკეული აქტივები და გასაჯაროებელი იქნა თუ არა ბასს 16-ით - „ძირითადი საშუალებები“, ან ბასს 38-ით - „არამატერიალური აქტივები“ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია?	

დამკვეთი:

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

საანგარიშგებო პერიოდი:

დამატებითი კორპორაციული გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო კითხვარი (ფასს)

დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაცია სამეურნეო სუბიექტისთვის, დადგენილი საპენსიო სქემით (მათ შორის, სამეურნეო სუბიექტებისათვის საპენსიო ფონდში დადგენილი შენატანებით აღრიცხულისა)

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
	1	ზოგადი ინფორმაცია	
	1.1	მოიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება, სათანადოდ ფორმულირებულ სააღრიცხვო პოლიტიკას?	
	2	<p>დადგენილგადასახდელიანი პროგრამა, დადგენილი შენატანების საფუძველზე განისაზღვრება (გარდა იმ სქემებისა, რომლებიც რისკებს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სამეურნეო სუბიექტებს შორის აზიარებენ)</p> <p><i>შენიშვნა: ეს ნაწილი ჩვეულებრივ ეხება მხოლოდ კონკრეტული სეგმენტის/დარგის შიგნით მოქმედ საპენსიო სქემებს, როგორცაა, მაგალითად სავაჭრო ფლოტის ოფიცერთა ფონდი.</i></p>	
ბასს 19.148(დ) (i)-დან (v)-ის ჩათვლით	2.1	<p>თუ საწარმო მონაწილეობს დამქირავებელთა ჯგუფის დადგენილგადასახდელიანი პროგრამაში, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო, დადგენილი შენატანების საფუძველზე მოქმედ საპენსიო სქემად განიხილება, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ის ფაქტი, რომ პროგრამა არის დადგენილგადასახდელიანი პროგრამა; ➤ მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოიპოვა საწარმომ საკმარისი ინფორმაცია, რათა ეს პროგრამა აღერიცხა, როგორც დადგენილგადასახდელიანი პროგრამა; ➤ პროგრამის შენატანები, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მომდევნო წლიურ საანგარიშგებო პერიოდში; ➤ ინფორმაცია პროგრამის ნებისმიერი დეფიციტის, ან პროფიციტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მომავალი შენატანების სიდიდეზე, მათ შორის, რა მეთოდი გამოიყენა საწარმომ პროგრამის დეფიციტისა თუ პროფიციტის (თუ ასეთი არსებობს) და მისი გავლენის დასადგენად; და ➤ პროგრამაში საწარმოს მონაწილეობის დონის შედარება პროგრამაში მონაწილე სხვა საწარმოებთან. თუ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაჩვენებლებს, რომლებიც პროგრამაში საწარმოს მონაწილეობის დონეს 	

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
		გვიჩვენებს, განეკუთვნება, მაგალითად საწარმოს ხვედრითი წილი: <ul style="list-style-type: none"> • პროგრამით გათვალისწინებულ მთლიან შენატანებში; • ან საწარმოს ხვედრითი წილი პროგრამის მოქმედი წევრების; • პენსიაზე გასულთა; და • პროგრამის ყოფილ წევრთა მთლიან რიცხოვნობაში, რომლებსაც პროგრამის გასამრჯელოების მიღების უფლება აქვთ. 	
ბასს 19.148 (ა) - (გ)	2.2	გასაჯაროებულ იქნა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➢ დაფინანსების სქემებისა (მათ შორის მეთოდის, რომელიც გამოიყენება საწარმოს შენატანების დონის დასადგენად) და მინიმალური დაფინანსების მოთხოვნების აღწერა; ➢ იმის აღწერა, რა დონეზე შეიძლება დაეკისროს საწარმოს პასუხისმგებლობა პროგრამასთან მიმართებით, დამქირავებელთა ჯგუფის პროგრამის პირობების შესაბამისად, სხვა საწარმოთა ვალდებულებების გამო; ➢ პროგრამის დეფიციტისა თუ პროფიციტის განაწილების შეთანხმებული მეთოდის აღწერა შემდეგ შემთხვევებში: <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის ლიკვიდაცია; ან ○ საწარმოს გამოსვლა პროგრამიდან; 	
ბასს 19.136-138	3	დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამები სტანდარტი მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს აძლევს იმის საშუალებას, რომ განსაზღვრონ, რამდენად მიიღწევა ბასს 19.135-ის გასაჯაროებული ინფორმაციის მიზნები. ამდენად, განსაზღვრონ დეტალიზაციის დონე, ქვემოთ აღნიშნულ თითოეულ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე აქცენტის ხარისხი, თუ არსებობს დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაციის საჭიროება და იქ, სადაც ორგანიზაცია რამდენიმე დადგენილ საპენსიო სქემას იყენებს, ხომ არ არსებობს სხვადასხვა სქემისათვის განკუთვნილი გასაჯაროებული ინფორმაციის გაერთიანების აუცილებლობა და, იმ შემთხვევაში, თუ ასეა, რა მოცულობით უნდა გაკეთდეს ეს.	
	3.1	გასაჯაროებული იქნა თუ არა შემდეგი ინფორმაცია:	
ბასს 19.139 (ა) (i)	ა	პროგრამით გათვალისწინებული გასამრჯელოების ხასიათის აღწერა (მაგალითად, საბოლოო ხელფასზე დაფუძნებული დადგენილგადასახდელიანი პროგრამა, ან შენატანებზე დაფუძნებული პროგრამა გარანტიით);	
ბასს 19.139 (ა) (ii)	ბ	იმ ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის აღწერა, რომელშიც პროგრამა ფუნქციონირებს, მაგალითად დაფინანსების მინიმალური მოთხოვნების დონე და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის გავლენა პროგრამაზე, როგორცაა პროგრამის აქტივების ზღვრული (მაქსიმალური) სიდიდე;	
ბასს	გ	პროგრამის მართვასთან დაკავშირებული, საწარმოს სხვა	

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
19.139 (ა) (iii)		პასუხისმგებლობების აღწერა, მაგალითად პროგრამის ვალდებულებები, ან პროგრამის მეურვეების, ან მმართველი საბჭოს წევრების ვალდებულებები;	
IAS ასს 19.139 (ბ)	დ	იმ რისკების აღწერა, რომლებსაც საწარმო ექვემდებარება პროგრამიდან გამომდინარე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული უჩვეულო, საწარმოსთვის დამახასიათებელ ან პროგრამისთვის დამახასიათებელ რისკებზე, და ასევე რისკების ნებისმიერ მნიშვნელოვან კონცენტრაციაზე. მაგალითად, თუ პროგრამის აქტივები, ძირითადად, ინვესტირებულია ერთი კლასის/კატეგორიის ინვესტიციაში, მაგალითად უძრავ ქონებაში, მაშინ ამგვარი პროგრამის გამო, საწარმოზე შეიძლება გავლენა მოახდინოს უძრავი ქონების ბაზრის რისკების კონცენტრაციამ;	
ბასს 19.139 (გ)	ე	პროგრამაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების, პროგრამის შეკვეცისა და პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორების აღწერა.	
ბასს 19.140 (ა)	3.2 ა	<p>თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლისთვის საწყისი და საბოლოო ნაშთების შემაჯერებელი მონაცემები:</p> <p>დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება (აქტივი), სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები შემდეგი მუხლების საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის აქტივები; ➤ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულების დღევანდელი ღირებულება; ➤ აქტივის ზღვრული სიდიდის გავლენა; ➤ ნებისმიერი კომპენსაციის უფლება. 	
ბასს 19.140(ბ)	3.2ბ	საწარმომ ასევე უნდა აღწეროს ნებისმიერ კომპენსაციის უფლებასა და შესაბამის ვალდებულებას შორის ურთიერთკავშირი.	
ბასს 19.141 გარდა ბ (iv))	3.3	<p>ზემოთ 3.2ა-ში აღწერილი თითოეული შეჯერებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნულია თუ არა როგორც შეჯერებული?</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მიმდინარე მომსახურების ღირებულება; ბ) საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები; გ) დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულების (აქტივის) გადაფასების თანხები, სადაც ცალ-ცალკე იქნება გამოყოფილი: <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის აქტივებთან დაკავშირებული უკუგება, (ბ) პუნქტში მითითებული პროცენტის თანხების გამოკლებით; 	

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ○ დემოგრაფიულ დაშვებებში შეტანილი ცვლილების შედეგად წარმოქმნილი აქტუარული მოგება და ზარალი; ○ ფინანსურ დაშვებებში შეტანილი ცვლილების შედეგად წარმოქმნილი აქტუარული მოგება და ზარალი; ○ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა აქტივების გარკვეულ ზღვრულ სიდიდემდე შეზღუდვით გამოწვეულ შედეგებში მომხდარი ცვლილებები, (ბ) პუნქტში მითითებული პროცენტის თანხების გამოკლებით; <p>დ) წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება და პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი. (დამატებითი ინსტრუქციებისათვის, იხილეთ ბასს 19.100);</p> <p>ე) სავალუტო კურსების ცვლილებების გავლენა;</p> <p>ვ) შენატანები პროგრამაში, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები დამქირავებლისა და პროგრამის მონაწილეთა მიერ გადახდილი თანხები;</p> <p>ზ) პროგრამიდან გადახდილი თანხები, სადაც ცალკე იქნება გამოყოფილი ნებისმიერი პროგრამის საბოლოო ანგარიშსწორებისას გადახდილი თანხა;</p> <p>თ) საწარმოთა გაერთიანებებისა და საწარმოთა გასვლის შედეგები.</p>	
ბასს 19.141 (გ (iv))	3.4	გეგმის პროფიციტის შემთხვევაში, გაასაჯაროვა თუ არა საწარმომ, როგორ განსაზღვრავს ხელმისაწვდომ მაქსიმალურ ეკონომიკურ სარგებელს, ე.ი. ეს სარგებელი პროგრამიდან სახსრების უკან დაბრუნების ფორმით იარსებებს, მომავალში პროგრამაში გადასარიცხი შენატანების შემცირების სახით, თუ ორივე ფორმით.	
ბასს 19.142	3.5ა	<p>გეგმის აქტივები</p> <p>საწარმომ პროგრამის აქტივები სათანადო კატეგორიების მიხედვით უნდა გაანალიზოს, ამ აქტივების ხასიათისა და მათთან დაკავშირებული რისკების მიხედვით. ჩატარდა თუ არა ასეთი ანალიზი?</p> <p>ბასს 19, ქვემოთ მოცემულ საილუსტრაციო მაგალითს მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები; ➤ წილობრივი ინსტრუმენტები (დაყოფილი დარგების ტიპების, კომპანიის ზომის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და სხვა ნიშნების მიხედვით); ➤ სავალო ინსტრუმენტები (დაყოფილი ემიტენტის ტიპის, საკრედიტო ხარისხის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და ა.შ. ნიშნებით); 	

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
			<ul style="list-style-type: none"> ➤ უძრავი ქონება (დაყოფილი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და ა.შ. ნიშნებით) ➤ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (დაყოფილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკის ტიპის მიხედვით, მაგალითად საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო კურსების ხელშეკრულებები, წილობრივი ინსტრუმენტების ხელშეკრულებები, კრედიტის ხელშეკრულებები, სვოპის ხელშეკრულებები, რომლებიც ანაზღაურებს იმის რისკს, რომ პროგრამის მონაწილე მუშაკთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მოსალოდნელს გადააჭარბებს; ➤ საინვესტიციო ფონდები (დაყოფილი ფონდების ტიპის მიხედვით); ➤ აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები; და ➤ სტურუქტურიზებული სავალო ვალდებულებები.
ბასს 19.142	3.5ბ		<p>ამასთან, პროგრამის აქტივების თითოეული კატეგორია, თავის მხრივ, უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: აქტივები, რომელთათვისაც არსებობს აქტიური ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი (როგორც ეს განმარტებულია ფასს 13-ში - „რეალური ღირებულების შეფასება“) და აქტივები, რომელთათვისაც ასეთი ფასი არ არსებობს.</p>
ბასს 19.143	3.6		<p>იქ, სადაც პროგრამის აქტივები მოიცავს ქვემოთ მოცემულს, საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისი საკუთარი არაგადაცემადი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც წარმოადგენს პროგრამის აქტივებს: ან ➤ პროგრამის იმ აქტივების რეალური ღირებულება, რომლებიც საწარმოს მიერ დაკავებულ უძრავ ქონებას წარმოადგენს; ან ➤ საწარმოს მიერ გამოყენებული სხვა აქტივების რეალური ღირებულება; <p>გასაჯაროებული იქნა თუ არა თითოეული ასეთი ტიპის აქტივის რეალური ღირებულება?</p>
საუკეთესო გამოცდილება	3.7		<p>აქტუარული შეფასებები</p> <p>მიუხედავად იმისა რომ ბასს, 19 სპეციალურად არ მოითხოვს აქტუარული ინფორმაციის კონტექსტში ჩართვას, განხილულ უნდა იქნეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბოლო კომპლექსური აქტუარული შეფასების თარიღი; და ➤ თუ ბოლო აქტუარული შეფასება არ ემთხვეოდა საანგარიშგებო თარიღს, ხორციელდება „მოქნილი“ კორექტირების აღწერა, აქტუარული შეფასების საანგარიშგებო თარიღისათვის მორგების თვალსაზრისით მდომარეობის შესაფასებლად.

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები	
ბასს 19.144	3.8	აქტუარული დაშვებები გასაჯაროვდა თუ არა ინფორმაცია, მნიშვნელოვანი აქტუარული დაშვებების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულების დასადგენად. ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს აბსოლუტურ გამოსახულებაში (როგორცაა, მაგალითად აბსოლუტური პროცენტული თანაფარდობა და არა, როგორც მარჯა სხვადასხვა პროცენტულ სიდიდეებსა და სხვა ცვლად სიდიდეებს შორის). თუ საწარმო მოთხოვნილ ინფორმაციას გასაჯაროებს მთლიანად პროგრამების ჯგუფების მიხედვით, მან ამგვარი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს საშუალო შეწონილი სიდიდეების, ან შედარებით ვიწრო დიაპაზონის მნიშვნელობების სახით.		
ბასს 19.145 (ა)	3.9	აქტუარული დაშვებები და მგრძობელობის ანალიზი გასაჯაროვდა თუ არა მგრძობელობის ანალიზი თითოეული მნიშვნელოვანი აქტუარული დაშვებისათვის, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული მდგომარეობით (როგორც წარმოდგენილია 3.8 პუნქტში); სადაც ნაჩვენები იქნება, თუ რა გავლენას იქონიებს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებზე შესაბამისი აქტუარული დაშვების ცვლილებები, რაც, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია ამ თარიღისთვის.		
ბასს 19.145 (ბ)	3.10	გასაჯაროებულ იქნა თუ არა ინფორმაცია (ა) პუნქტით მოთხოვნილი მგრძობელობის ანალიზის მომზადებისას გამოყენებული მეთოდებისა და დაშვებების, ასევე ამ მეთოდების შეზღუდვების შესახებ.		
ბასს 19.145 (გ)	3.11	გასაჯაროვდა თუ არა ინფორმაცია მგრძობელობის ანალიზის მომზადებისას გამოყენებულ მეთოდებსა და დაშვებებში, წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებებისა და ამ ცვლილებების მიზეზების შესახებ.		
ბასს 19.146	3.12	სხვა გასაჯაროებული ინფორმაცია გასაჯაროვდა თუ არა საწარმომ აქტივებისა და ვალდებულებების დაბალანსების/შესაბამისობის ნებისმიერი სტრატეგიის აღწერა, რომელიც გამოიყენება პროგრამაში, ან საწარმოს მიერ, მათ შორის, ინფორმაცია რისკის სამართავად გამოყენებული ანუიტეტისა და სხვა მეთოდების შესახებ, როგორცაა, მაგალითად სვოპის ხელშეკრულებები, რომლებიც ანაზღაურებს იმის რისკს, რომ პროგრამის მონაწილე მუშაკთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მოსალოდნელს გადააჭარბებს.		
ბასს 19.147	3.13	საწარმოს მომავალ ფულად ნაკადებზე დადგენილგადასახდელიანი პროგრამის გავლენის საჩვენებლად, გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია, შემდეგის ჩათვლით: ➤ დაფინანსების ნებისმიერი შეთანხმებისა და პოლიტიკების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს მომავალ შენატანებზე;		

მითითება ფასს -ზე		დიახ/არა/არ გამოიყენება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის შენატანების შესახებ, რომლის გადახდა მოსალოდნელია მომდევნო წლიურ საანგარიშგებო პერიოდში; ➤ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებების დაფარვის გრაფიკის შესახებ. აქ მოცემული უნდა იყოს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებების საშუალო შეწონილი ხანგრძლივობა. გარდა ამისა, შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება გასამრჯელოების გადახდის დროის განაწილებას, მაგალითად გასამრჯელოების გადახდის ვადების ანალიზი. 	
ბასს 19.150	4	<p>დადგენილგადასახდელიანი პროგრამა, რომლითაც რისკები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სამეურნეო სუბიექტებს შორის ნაწილდება.</p> <p>შენიშვნა: 149-ე პუნქტის (გ) და (დ) ქვეპუნქტებში გასაჯაროებულკი ინფორმაციის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმოს შეუძლია უბრალოდ გაასაჯაროვოს ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჯგუფის ამ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში განცალკევებით არის წარმოდგენილი პროგრამის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია; და ➤ ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია იმავე პირობებით, როგორც საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პარალელურად ან უფრო ადრე. 	
ბასს 19.148 (ა) (გ)	4.1	გასაჯაროებულია თუ არა ზემოთ 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია?	
ბასს 19.149 (ა)	4.2	იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს სახელშეკრულებო შეთანხმებასთან, გაასაჯაროვოს სახელშეკრულებო შეთანხმება ან გაცხადებული პოლიტიკა ჯგუფის ცალკეული საწარმოსთვის, მთელი პროგრამის დადგენილი გასამრჯელოს წმინდა ღირებულების/დანახარჯების მიკუთვნების შესახებ, ან გაასაჯაროვოს, რომ ამგვარი პოლიტიკა არ არსებობს.	
ბასს 19.149 (ბ)	4.3	სამეურნეო სუბიექტის მიერ გასაჯაროებულია თუ არა საწარმოს მიერ გადასახდელი შენატანების ოდენობის განსაზღვრის პოლიტიკა.	
ბასს 19.149 (გ)	4.4	თუ საწარმო ასახავს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა დანახარჯების განაწილებას, იგი ვალდებულია, ზემოთ 3.1-3.13 პუნქტებით მოთხოვნილი ყველანაირი ინფორმაცია გაასაჯაროვოს მთელი პროგრამის შესახებ.	
ბასს 19.149(დ)	4.5	თუ საწარმო ასახავს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გადასახდელ შენატანებს, მან მთლიანი პროგრამის შესახებ უნდა გაასაჯაროვოს ზემოთ 3.1, 3.5ა-3.8 და 3.13 (მაგრამ მხოლოდ პირველი ორი) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.	

დამკვეთი:

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

საანგარიშგებო პერიოდი:

**დამატებითი კორპორაციული გასაჯაროებული ინფორმაციის
საკონტროლო კითხვარი (ფასს)**

- დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაცია აქციებზე დაფუძნებული გადახდების მქონე სამეურნეოსუბიექტისთვის

ფასს სტანდარტებზე მითითება		დიახ/არა/ არ გამოიყენება	შენიშვნები
	1	ზოგადი ინფორმაცია	
	1.1		შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ ფორმულირებულ სააღრიცხვო პოლიტიკას?
ფასს 2.45(ა)	1.2		<p>აღწერილია თუ არა აქციებზე დაფუძნებული გადახდის თითოეული ტიპის დაფარვის წესი, რომელიც არსებობდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რომელიმე მომენტში, მათ შორის ინფორმაცია ზოგად პირობებსა და მდგომარეობაზე. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უფლებამოსილების მინიჭების მოთხოვნები; ➤ მინიჭებული ოფციონის მაქსიმალური ვადა; ➤ ანგარიშსწორების მეთოდი, მაგ., ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება, თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორება? <p><i>შენიშვნა: სადაც შეთანხმებები მსგავსია, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაციის აგრეგირება.</i></p>
	2	აქციების ოფციონი	
ფასს 2.45 (ბ)	2.1		<p>გასაჯაროებულია თუ არა აქციების ოფციონის რაოდენობა და ოფციონის გამოსაყენებელი საშუალო შეწონილი ფასი თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოუყენებელი პერიოდის დასაწყისისათვის; ➤ პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი; ➤ პერიოდის განმავლობაში გაუქმებული; ➤ პერიოდის განმავლობაში გამოყენებული; ➤ პერიოდის განმავლობაში ვადაგასული; ➤ გამოუყენებელი პერიოდის ბოლოს; და ➤ რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება პერიოდის ბოლოს?

ფასს სტანდარტებზე მითითება		დიახ/არა/ არ გამოიყენება	შენიშვნები
ფასს 2.45 (გ)	2.2		საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული აქციების ოფციონისთვის, გასაჯაროებული იქნა თუ არა საშუალო შეწონილი ფასი გამოყენების თარიღი? <i>შენიშვნა: თუ ოფციონები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეგულარულად გამოიყენებოდა, სამეურნეო სუბიექტს ზემოაღნიშნულის ნაცვლად შეუძლია საანგარიშგებო პერიოდში საშუალო შეწონილი ფასი გაასაჯაროვოს.</i>
ფასს 2.45(დ)	2.3		საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის გამოყენებული აქციების ოფციონებისთვის, გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➢ ოფციონის გამოსაყენებელი ფასის დიაპაზონი; ➢ საშუალოდ შეწონილი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა? <i>შენიშვნა: თუ ოფციონის გამოსაყენებელი ფასის დიაპაზონი ფართოა, გამოყენებული ოფციონები უნდა დაიყოს ტიპებად, რომლებიც აქტუალურია დამატებითი აქციების რაოდენობისა და ვადების შეფასებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს, ასევე ფულადი სახსრებისა, რომლებიც ამ ოფციონების გამოყენებისას შეიძლება იქნეს მიღებული.</i>
ფასს 2.46	3	წილობრივი ინსტრუმენტებით, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები - შეფასებული, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტის მიხედვით	
ფასს 2.47 (ა)	3.1		გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი საკითხები: <ul style="list-style-type: none"> ➢ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი აქციების ოფციონისთვის, მათი საშუალო შეწონილი რეალური ღირებულება შეფასების თარიღისთვის და ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა რეალური ღირებულების შეფასება, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ▪ ოფციონის ფასის დადგენისას გამოყენებული მოდელი და შემომავალი მონაცემები აღნიშნული მოდელისათვის, მათ შორის: ▪ აქციების საშუალო შეწონილი ფასი; ▪ ოფციონის გამოსაყენებელი ფასი; ▪ მოსალოდნელი ცვალებადობა (გადახრები/ვოლატილურობა); ▪ ოფციონის ვადა; ▪ მოსალოდნელი დივიდენდები; ▪ ურისკო საპროცენტო განაკვეთი; და ▪ მოდილირებაში გამოყენებული ნებისმიერი სხვა შემომავალი ინფორმაცია (მათ შორის, გამოყენებული მეთოდისა და ოფციონის ადრე

ფასს სტანდარტებზე მითითება		დიახ/არა/ არ გამოიყენება	შენიშვნები
		<p>გამოყენებით მოსალოდნელი შედეგების გასათვალისწინებლად გაკეთებული დაშვებები);</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ როგორ განისაზღვრა მოსალოდნელი ცვალებადობა/გადახრები/ვოლატილურობა (მათ შორის, რა დონეზე მოხდა ისტორიულ ვოლატილურობაზე დაყრდნობა); და ▪ მოხდა თუ არა და თუ მოხდა, როგორ განხორციელდა ოფციონის გამოყოფის სხვა მახასიათებლების გათვალისწინება რეალური ღირებულების შეფასებაში, მაგალითად, როგორიცაა საბაზრო პირობები? 	
ფასს 2.47 (ბ)	3.2	<p>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი სხვა წილობრივი ინსტრუმენტებისთვის (ე.ი. აქციების, ოფციონების გარდა), გასაჯაროებულ იქნა თუ არა ინფორმაცია, ამ ინსტრუმენტების რაოდენობისა და საშუალო შეწონილი რეალური ღირებულების თაობაზე შეფასების თარიღისათვის და ასევე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იქნა რეალური ღირებულება შეფასებული; მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმ შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულება არ შეფასდა, დაკვირვებადი საბაზრო ფასის საფუძველზე, როგორ მოხდა ასეთ შემთხვევაში ღირებულების დადგენა; ➤ გათვალისწინებულ იქნა თუ არა მოსალოდნელი დივიდენდები რეალური ღირებულების შეფასების დროს და თუ გათვალისწინებული იქნა, როგორ; და ➤ გათვალისწინებულ იქნა თუ არა გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების რომელიმე სხვა მახასიათებლები, რეალური ღირებულების შეფასების დროს და თუ გათვალისწინებულ იქნა, როგორ? 	
ფასს 2.47 (გ)	3.3	<p>აქციებზე დაფუძნებული გადახდების შეთანხმებებისათვის, რომელთა მოდიფიკაცია პერიოდის განმავლობაში განხორციელდა, მიუთითეთ შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამ ცვლილების ახსნა; ➤ გადაცემული დამატებითი რეალური ღირებულება (როგორც ამ ცვლილებების შედეგი); და ➤ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდა გადაცემული დამატებითი რეალური ღირებულება? 	
ფასს 2.46	4	<p>წილობრივი ინსტრუმენტებით, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები - შეფასებული, მიღებული საქონლის ან მომსახურების მიხედვით</p>	
ფასს 2.48	4.1	<p>გასაჯაროებულია თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა საქონლისა და მომსახურების</p>	

ფასს სტანდარტებზე მითითება		დიახ/არა/ არ გამოიყენება	შენიშვნები
		რეალური ღირებულების განსაზღვრა (მაგალითად, შეფასდა თუ არა რეალური ღირებულება საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებით)?	
ფასს 2.49	4.2	თუ სამეურნეო სუბიექტმა უარყო დაშვება, რომ საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულება, დაქირავებულ პირთა მომსახურების გარდა, შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს (ზასს 2.13), არის თუ არა ეს ფაქტი გასაჯაროებული და განმარტებულია თუ არა ამის მიზეზი?	
	5	აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით	
საუკეთესო გამოცდილება	5.1	როგორ იქნა გასაჯაროებული ვალდებულებების გაზომვასთან (გაზომვის მეთოდებთან) დაკავშირებული ინფორმაცია? HAT მიიჩნევს, რომ ეს გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა გაკეთდეს, ფასს 2-ის სხვადასხვა ზოგადი გასაჯაროებული ინფორმაციის დებულებებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, ფასს 2.44-ის ჩათვლით.	
ფასს 2.50	6	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე და ფინანსურ მდგომარეობაზე	
ფასს 2.51(ა)	6.1	გასაჯაროებულ იქნა თუ არა აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან მიღებული მთელი ხარჯები, რაც აღიარდა მოგებაში ან ზარალში, შემდეგი პოზიციების მიხედვით: <ul style="list-style-type: none"> ➤ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით; ➤ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით? 	
ზასს 2.51(ბ)	6.2	აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შემთხვევაში, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➤ მთლიანი საბალანსო ღირებულება, პერიოდის ბოლოსთვის; და ➤ ისეთი შეთანხმებების ვალდებულებების მთლიანი საკუთარი ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის, რომელთათვისაც პერიოდის ბოლოს გადაცემული იყო მეორე მხარის უფლება ფულად სახსრებზე ან სხვა აქტივებზე. 	

დამკვეთი:

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

საანგარიშგებო პერიოდი:

კორპორაციული გასაჯაროებული ინფორმაციის დამატებითი საკონტროლო კითხვარი (ფასს)

დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მქონე საწარმოსთვის

გამოყენების სფერო

აღნიშნული კითხვარი უნდა შეივსოს იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო სუბიექტი ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა განიმარტება, როგორც „სამეურნეო სუბიექტის მიერ ბიოლოგიური ტრანსფორმაციისა და ბიოლოგიური აქტივების მოსავლის მართვა მათი გაყიდვის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გადაქცევის მიზნით“.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია განიმარტება, როგორც „სამეურნეო სუბიექტის ბიოლოგიური აქტივებიდან მოწეული პროდუქცია“.

ბიოლოგიური აქტივები განიმარტება, როგორც „ცოცხალი ცხოველი ან მცენარე“.

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
	1	სააღრიცხვო პოლიტიკა	
	1.1	აღწერილია თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკა ბიოლოგიური აქტივების და მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითოეული კლასისთვის?	
	2	შესრულება	
ბასს 41.40	2.1	გასაჯაროვდა თუ არა განმარტებით შენიშვნებში მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებიდან და ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო, შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი აგრეგირებული შემოსულობა ან ზარალი?	
	3	ზოგადი ნაწილი	
ბასს 41.41	3.1	წარმოდგენილია თუ არა ბიოლოგიური აქტივის თითოეული ჯგუფის აღწერილობა? შენიშვნა: დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ბასს 41; 42-45 პუნქტებში იმის შესახებ, თუ რისგან შეიძლება ეს შედგებოდეს.	
ბასს 41.46	3.2	გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი:	

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ იცხება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ საქმიანობის ხასიათი ბიოლოგიური აქტივების თითოეულ ჯგუფთან მიმართებაში; და ➤ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა? <p><i>შენიშვნა: თუ აღნიშნული გასაჯაროებული ინფორმაცია მოცემულია წლიური ანგარიშის სხვა ნაწილში, როგორცაა, მაგალითად დირექტორთა ანგარიში, მაშინ მისი დუბლირება აღარ არის საჭირო.</i></p>	
	4	სეკიურიტიზაცია, ვალდებულებები და რისკი	
ბასს 41.49 (ა)	4.1	გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში იმ ბიოლოგიური აქტივების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომელზეც შეზღუდულია ქონებრივი უფლება?	
ბასს 41.49 (ა)	4.2	გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება;	
ბასს 41.49 (ბ)	4.3	გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში, ბიოლოგიური აქტივების შეძენის ან განვითარების პოტენციური ვალდებულებების თანხა?	
ბასს 41.49 (გ)	4.4	გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიები?	
	5	შედარება	
ბასს 41.50	5.1	<p>გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში ბიოლოგიური აქტივების თითოეული კლასის ცვლილებების შეჯერება, რომელიც დაფიქსირდა მიმდინარე პერიოდის დასაწყისიდან დასრულებამდე პერიოდში, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მომდევნო პერიოდის საწყის მნიშვნელობად გადატანილი, წინა პერიოდის საბოლოო საბალანსო ღირებულება; ➤ გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი; ➤ შესყიდვების შედეგად გამოწვეული ზრდა; ➤ შემცირება, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, ან ბიოლოგიურ აქტივებთან, რომლებიც ფასს 5-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული); ➤ შემცირება, გამოწვეული მოსავლის აღების შედეგად; ➤ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული ზრდა; 	

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
			<ul style="list-style-type: none"> ➤ ნეტო საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გადაყვანის შედეგად სხვა წარსადგენ ვალუტაში და ასევე უცხოური ქვედანაყოფის მონაცემების გადაყვანის შედეგად ანგარიშვალდებული საწარმოს წარსადგენ ვალუტაში; ➤ სხვა ცვლილებები; და ➤ წინა პერიოდიდან, მომდევნო პერიოდში, გამოქვითვის მიზნით გადატანილი საბალანსო ღირებულება.
ბასს 41.51	5.2		<p>რეკომენდებულია შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა წარმოების ციკლი აღემატება ერთ წელიწადს):</p> <p>გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს როგორც ფიზიკური ცვლილების, ასევე ბაზარში ფასის ცვლილებების შედეგად. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, საწარმომ ჯგუფების მიხედვით ან სხვაგვარად, ასახოს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც ჩართულია ფიზიკური ცვლილებებისა და ფასის ცვლილების შედეგად მიღებულ ნეტო მოგებაში ან ზარალში.</p>
ბასს 41.53	5.3		<p>იმ შემთხვევაში, სადაც ადგილი აქვს ინფექციურ დაავადებას, წყალდიდობას, მწვავე გვალვას ან ყინვას ან წარმოიშობა მატერიალური ხარჯები მწერების გამო, გასაჯაროვდა თუ არა ასეთი ხარჯის ხასიათი და ოდენობა განმარტებით შენიშვნებში ბასს 1 შესაბამისად?</p>
	6		<p>ბიოლოგიური აქტივები, აღრიცხული თვითღირებულებით, ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით დაგროვილი</p>
ბასს 41.54	6.1		<p>გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი განმარტებითი შენიშვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბიოლოგიური აქტივების აღწერა; ➤ განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის შესაძლებელი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება; ➤ (თუ შესაძლებელია) წინასწარი შეფასებების დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც რეალურ ღირებულებასთან არსებული უზუსტობის დიდი ალბათობა არსებობს; ➤ გამოყენებული ცვეთის მეთოდი; ➤ სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის ნორმები; და

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ მთლიანი საბალანსო ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა (აგრეგირებული აკუმულირებულ გაუფასურების ზარალთან) პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს. 	
ბასს 41.55	6.2	<p>გასაჯაროვდა თუ არა ზემოაღნიშნული 5.1 პუნქტით მოთხოვნილ შეჯერებაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაუფასურების ზარალი; ➤ გაუფასურების ზარალის ანულირება (აღდგენა); და ➤ ცვეთა. 	
ბასს 41.55	6.3	<p>ზემოაღნიშნულ პუნქტში 5.1 მოთხოვნილ დადარებაში, ბიოლოგიური აქტივების გასვლის შედეგად აღიარებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი გაიყო თუ არა ბიოლოგიურ აქტივებს შორის, რომლებიც აღირიცხა რეალური ღირებულებით ან თვითღირებულებით?</p>	
ბასს 41.56	6.4	<p>თუ მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივების, რომლის შეფასება ადრე თვითღირებულებით ხდებოდა ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით, რეალური ღირებულება ხდება საიმედოდ შეფასებადი, საწარმომ ამ ბიოლოგიური აქტივებისათვის უნდა გასაჯაროვდეს შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბიოლოგიური აქტივების აღწერა; ➤ განმარტება, თუ რატომ გახდა რეალური ღირებულება საიმედოდ შეფასებადი; და ➤ ცვლილების შედეგი. 	
	7	<p>სახელმწიფო გრანტები</p> <p>შენიშვნა: სახელმწიფო გრანტები, რომლებიც უკავშირდება რეალური ღირებულების მქონე ბიოლოგიურ აქტივებს, არ წარმოდგენს ბასს 20-ის ფარგლებში განხილვის საგანს და ექვემდებარება ბასს 41-ის ფარგლებში განხილვას.</p>	
ბასს 41.57	7.1	<p>ბასს 41-ს დაქვემდებარებულ სახელმწიფო გრანტებთან მიმართებაში, გასაჯაროვდა თუ არა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული სახელმწიფო გრანტებების ხასიათი და სიდიდე; ➤ შეუსრულებელი პირობები და სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები; და ➤ სახელმწიფო გრანტების მოცულობის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შემცირება. 	

დამკვეთი:

მომზადდა:	თარიღი:
შემოწმდა:	თარიღი:

საანგარიშგებო პერიოდი:

კორპორაციული გასაჯაროებული ინფორმაციის დამატებითი საკონტროლო კითხვარი (ფასს)

- დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაციის ფასს სტანდარტების პირველად გამოყენების შემთხვევაში

გამოყენების სფერო

წინამდებარე საკონტროლო კითხვარი გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა იმ სამეურნეო სუბიექტის მიერ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ იცემა	კომენტარები
	1	შესადარისი ინფორმაცია	
ფასს 1.6, 21	1.1		<p>პირველად გამოყენებისას, შედარებითი მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ფასს სტანდარტების შესაბამისად, ფასს 1 ფარგლებში არსებული კონკრეტული გამონაკლისებისა და აკრძალვების გათვალისწინებით.</p> <p><u>თუმცა, აგრეთვე საჭიროა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გასაჯაროება, გადასვლის თარიღისთვის.</u></p> <p>გასაჯაროებულია თუ არა შესადარისი ინფორმაცია (მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ორი წლის პერიოდის შესადარისი ინფორმაცია) ფასს 1-ის შესაბამისად?</p>
ფასს 1.22	1.2		<p>იმ შემთხვევებში, სადაც ისტორიული რეზიუმე ან შესადარისი ინფორმაცია, მანამდე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენებით (ნებაყოფლობით) არის ნაჩვენები, არის თუ არა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ გამორჩეულად აღნიშნული, რომ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებულ ინფორმაცია, არ არის ფასს სტანდარტებით მომზადებული; და ➢ განმარტებული ძირითადი შესწორებების ბუნება, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია ფასს სტანდარტებს დაუქვემდებარა?
ფასს 1.28	1.3		<p>თუ საწარმოს არ წარუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, გაასაჯაროვა თუ არა ეს ფაქტი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.</p>

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/ არ იესება	კომენ- ტარები
	2	ახსნა-განმარტება ფასს სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით	
ფასს 1.23 ა	2.1	მოცემულია თუ არა ახსნა-განმარტება, რომელშიც ახსნი- ლია, თუ რა გავლენა იქონია მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან ფასს სტანდარტებზე გადასვლამ მის საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე?	
ფასს 1.23 ბ, 4ა	2.2	თუ სამეურნეო სუბიექტი ისტორიულად ფასს სტან- დარტებს იყენებდა (თუმცა, წინა ფინანსურ პერიოდში არ იქნა გამოყენებული, ვინაიდან ის არ შეიცავდა ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აშკარა და უპირობო განაცხადს) გასაჯაროვდა თუ არა განმარ- ტებით შენიშვნებში: <ul style="list-style-type: none"> ➤ მიზეზი, თუ რატომ შეწყვიტა ფასს სტანდარტების გამოყენება; და ➤ მიზეზი თუ რატომ განაახლა ფასს სტანდარტების გამოყენება? 	
ფასს 1.23 ბ, 4ა	2.3	პუნქტში 2.2 აღნიშნულ სიტუაციაში, თუ სამეურნეო სუბიექტი გადაწყვეტს, რომ არ გამოიყენოს ფასს 1, განმარტა თუ არა ფასს-ის გამოყენების მიზეზი ისე, თითქოს მას არასდროს შეეწყვეტოს ფასს სტანდარტების გამოყენება.	
	3	შეჯერებები	
ფასს 1.24(ა)	3.1	გასაჯაროვდა თუ არა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი: <ul style="list-style-type: none"> ➤ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადე- ბული საანგარიშგებო საკუთარი კაპიტალის შე- ჯერება, ფასს სტანდარტებით წარმოდგენილ საკუ- თარ კაპიტალთან, ორივე შემდეგი თარიღისათვის: <ul style="list-style-type: none"> ▪ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის; და ▪ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის დასას- რულისათვის, რომელიც წარმოდგენილია მანამ- დე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუ- ღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით მომზადებულ, საწარმოს ყველაზე ბოლოდრო- ინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში; ➤ საწარმოს ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, უკანასკ- ნელი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერებას, რომელიც გამოთვლილია ფასს სტანდარ- ტების შესაბამისად. ამ შეჯერების ამოსავალი ბაზა უნდა იყოს იმავე პერიოდის, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მთლიანი სრული 	

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ იცვლება	კომენტარები
ფასს 1.24(b)			
ფასს 1.25			
ფასს 1.26			
ფასს 1.25	3.2		
ფასს 1.24(გ)	3.3.		
ბასს 36			
	4		
		ანგარიშგება	უკვე
ფასს 1.27ა	4.1		
	5		
ფასს 1.29	5.1		

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ იცნება	კომენტარები
		<p>გასაჯაროებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კლასიფიკაციის მინიჭების თარიღისთვის); და ➤ მათი კლასიფიკაცია და საბალანსო ღირებულება წინა ფინანსურ ანგარიშგებაში 	
	6	რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება	
ფასს 1.30	6.1	<p>ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება ან არამატერიალური აქტივები</p> <p>თუ საწარმო გარდამავალ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებას იყენებს, როგორც დასაშვებ საწყის ღირებულებას ძირითადი საშუალებების მუხლისათვის, საინვესტიციო ქონების ან არამატერიალური აქტივისათვის, მაშინ საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში გასაჯაროებული უნდა იყოს ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ამ რეალური ღირებულების აგრეგირებული სიდიდე; და ➤ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საანგარიშგებო საბალანსო ღირებულებების მთლიანი შესწორების თანხა. 	
ფასს 1.31	6.2	<p>ინვესტიციები, შვილობილ, ერთობლივ ან ასოცირებულ/მეკავშირე საწარმოებში</p> <p>თუ საწარმო რეალურ ღირებულებას იყენებს გარდამავალ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მშობელი კომპანია, კონსოლიდირებულისგან განსხვავებით), ზემოაღნიშნული ნებისმიერ აქტივისათვის გასაჯაროებულია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დასაშვები საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც დასაშვები საწყისი ღირებულება არის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი საბალანსო ღირებულება; ➤ დასაშვები საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც დასაშვები საწყისი ღირებულება არის რეალური ღირებულება; და 	

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ იცნება	კომენტარები
		<ul style="list-style-type: none"> ➤ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარდგენილი საბალანსო ღირებულებების კორექტირების აგრეგირებული თანხა. 	
ფასს 1.31ა	6.3	<p>წავთობისა და გაზის აქტივები</p> <p>თუ საწარმო იყენებს ფასს 1-ის დ და ა(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ განთავისუფლების უფლებას წავთობისა და გაზის აქტივებისთვის, გაასაჯაროვა თუ არა მან განმარტებით შენიშვნებში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თვითონ ეს ფაქტი; და ➤ საფუძველი, რომლის მიხედვითაც აქტივებზე მიკუთვნებული იყო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით განსაზღვრული საბალანსო ღირებულებები. 	
ფასს 1.31ბ	6.4	<p>ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება სატარიფო რეგულაციებს</p> <p>თუ საწარმო იყენებს დ8 პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს იმ ოპერაციების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას, გაასაჯაროვა თუ არა მან განმარტებით შენიშვნებში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თვითონ ამ ფაქტის შესახებ; და ➤ საფუძველი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საბალანსო ღირებულებები, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. 	
ფასს 1.31გ	6.5	<p>მძიმე ჰიპერინფლაცია</p> <p>თუ საწარმო აირჩევს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას რეალური ღირებულებით და მძიმე ჰიპერინფლაციის გამო, რეალურ ღირებულებას გამოიყენებს დასაშვებ საწყის ღირებულებად ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაასაჯაროვოს, როგორ და რატომ ჰქონდა საწარმოს სამუშაო ვალუტას შემდეგი ორი მახასიათებელი და ახლა რატომ აღარ აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არ არსებობს საიმედო საერთო ფასების ინდექსი ყველა საწარმოსთვის, რომელთა ოპერაციები და ნაშთები გამოსახულია ამ ვალუტაში; ➤ არ არსებობს ამ ვალუტასა და შედარებით მყარ უცხოურ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის საშუალება. 	

დამკვეთი:	მომზადდა:	თარიღი:
პერიოდი:	განხილულია:	თარიღი:

კორპორაციული გასაჯაროებული ინფორმაციის დამატებითი საკონტროლო კითხვარი (ფასს)

დამატებითი გასაჯაროებული ინფორმაცია მშობელი საწარმოებისათვის, სადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დაიხ/არა/არ ივსება	კომენტარები
	1	გათავისუფლების საფუძველი	
ბასს 27.16 (ა)	1.1		აღინიშნა თუ არა წარდგენის შესაბამის საფუძვლებში/განმარტებებში, რომ ესაა ინდივიდუალური და არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება?
ბასს 27.16 (ა)	1.2		აღინიშნა თუ არა, რომ ფასს 10 მე-4 პუნქტის (შუალედური ჰოლდინგური კომპანიის გათავისუფლება) ან 31-ე პუნქტის (საინვესტიციო საწარმო, რომელსაც არ მოეთხოვება შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია) ნაწილში, გამოყენებულ იქნა გათავისუფლება?
ბასს 27.16 (ა)	1.3		იქ, სადაც ფასს 10-ის მე-4 პუნქტის ნაწილში გათავისუფლება იქნა გამოყენებული, გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია მშობელი საწარმოს შესახებ, რომლის მონაცემებიც მოიცავს ამ შუალედური მშობელი საწარმოს შედეგებს: <ul style="list-style-type: none"> ➤ სახელი; ➤ საქმიანობის ძირითადი ადგილი (თუ ის არ არის რეგისტრირებული, ან განსხვავდება რეგისტრაციის ადგილისაგან); ➤ ქვეყანა, სადაც საწარმოა რეგისტრირებული; ➤ მისამართი, სადაც შესაძლებელია კონსოლიდირებული ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება. <p><i>შენიშვნა: შეიძლება, საჭირო გახდეს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასლის დართვა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დამოწმებული თარგმანით).</i></p>
	2	მნიშვნელოვანი ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში	
ბასს 27.16(ბ) ბასს 27.17	2.1		(საინვესტიციო საწარმოების გარდა) შვილობილ საწარმოებში, ერთობლივი საწარმოებში ან მეკავშირე საწარმოებში, თითოეული მნიშვნელოვანი ინვესტიციის შეტანისას გასაჯაროვდა თუ არა შემდეგი ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> ➤ ამ ინვესტირებული საწარმოების სახელწოდებები; ➤ თითოეული ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის

მინიშნება ფასს სტანდარტებზე		დიახ/არა/არ ივსება	კომენტარები
		ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან); ➤ ინვესტირებულ საწარმოებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი (და, თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში).	
ბასს 27.16 (გ)	2.2	არსებობს თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში შეტანილი ინვესტიციების აღრიცხვის წესია მოცემული.	
	3	საინვესტიციო საწარმოები	
ბასს 27.16 (ა)	3.1	იმ შემთხვევაში, სადაც დამკვეთი წარმოდგენილია საინვესტიციო საწარმოს სახით, გასაჯაროვებული იქნა თუ არა ფასს 12-ში მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნები?	